114
1962

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

114

9

1962

1962/2

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 39-ე | № 9 | სექტემბერი, 1962 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

8796

## შინაარსი

ირაკლი აბაშიძე — ხმა გალავნის ბჭენთან. ლექსი . . . . . . . . . 3
ედიშერ ყიფიანი — ჯარში გაწვეული მუსიკა. მოთხრობა . . . . . . . . . 5
ხუტა ბერულავა — ლექსები . . . . . . . . . 23
ოთარ ჭელიძე — წიგნიდან „ათას ერთი ღამის წერილები“. ლექსი . . . . . . . . . 25
ლადო მრელაშვილი — ყაბახი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . 27
ხიკო ფაშალიშვილი — ლექსები . . . . . . . . . 46
ნინო აბაშიძე — გადაჭრილი ხე. მოთხრობა . . . . . . . . . 47
ზაქარია შერაზადიშვილი — ლექსები . . . . . . . . . 57
ელია რურუა — დაუთა. მოთხრობა . . . . . . . . . 59
ოთარ ჭილაძე — თიხის სამი ფირფიტა. ლექსი . . . . . . . . . 62
დავით კვიცარიძე — ალმართი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . 67
ი. ა. გონჩაროვი — ატლანტიკის ტროპიკებში. თარგმანი ამირან გაბესკირიასი 114

### 1862 დავით კლდიაშვილი 1962

ვანო წულუკიძე — ქართული მხატვრული სიტყვის მშვენება . . . . . . . 127
ხერგო გერსამია — შეხვედრები დიდ ქართველ მწერალთან . . . . . . . 139
შალვა გოზალიშვილი — დავით კლდიაშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება . . . . . . . . . 146

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ლავროსი კალანდაძე — დიდი ადამიანთმცოდნე . . . . . . . . 154
დიმიტრი ბენაშვილი — ფილოსოფიური მოტივები გალაქტიონის შემოქმედებაში . . . 157
ალექსანდრე კოჭლავაშვილი — გიორგი წერეთელი და ქალის ნავთობის საკითხი . . . . 172

(იხ. მე-2 გვ.)

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“

## ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ

სეით იაშვილი — ნახული და გაგონილი . . . . . . . . 177

## ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ზურაბ ჭუმბურიძე — შოთა ნიშნიანიძის ლექსების კრებული . . . . . . . . 184
ელიზბარ ჯაველიძე — მეტი სიფრთხილით მოვეკიდოთ მხატვრულ თარგმანს . . . . . . . 185
ლევან ფრუიძე — მასალები საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის . . 187
ანზორ შავგულიძე, ელენე ინწკირველი — კიბერნეტიკა და ფსიქოლოგია . . . . . . . 190
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ . . . . . . . . . . 192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო   კ ო ლ ე გ ი ა:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. ვამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX-62 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 09210
ტირაჟი 6000 შეკვეთა № 1571

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
**Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

# ხმა გალავნის ბჭენთან

„რუსთაველის ნაკვალევზე“

„შენგან განდგომა,
ო, ჯვარცმულო,
მე რად დამბრალდა,
მაღალ მწვერვალთა სალოცავო,
ხატო ნაპრალთა,
ძლეულთ ნუგეშო,
დავრდომილთა თავშესაფარო,
მაშვრალთ იმედო,
ანთებულო ბნელში ლამპარო,
არას მქონეთა საგანძურო,
დიდო ზაფხულო,
მიზანთ მიზანო უმაღლესო,
რწმენით ნახულო.

მე შენის მცნების
აღსარება
ვარ თვით აკვნიდან,
შენია ჩემი
გულიც,
ცნობაც,
ხმაც საკუთარი,
მე სიყრმის დღიდან
არ მქონია
სხვა საყუდარი,
შენგან არს ჩემში
რაც ამაღლდა,
რაც რამ დიკნინდა.

შენით, მე შენით
ათას გზაში
გზა არ შემშლია,
შენმა განგებამ,
შენმა მცნებამ
მართლად წარმმართა,
შენ ამაშორე
ბიწიერი
წარყვნა წარმართთა,
შენ ჩამაგონე ზეციური:
„ღმერთი შენშია“.

და თუ რამ წარვწყმდი,
რამ შევცოდე,
რამ შემოგბედე,
გულთამხილავო,
ეს შენ უწყი
უმალ ყოველი;
მაღალ მსაჯულად,
დიდ მოწამედ
მყავს შემოქმედი,—
შენგან შენდობას,
სულგრძელობას
შენგან მოველი.

მე ჩემს გონებას,
ცნობას ვთვლიდი
ჩემ დიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგანს
მე მებოძა
ეს საბოძვარი,—
შენ მთხოვდი თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.

თუ განმაკაცე,
თუ დამადგი
თვალი სრულმქმნელის,
თუ მომეც ძალი
ხან ფრთაშესხმის,
ხან დაღონების,
მე მწადდა შენგან
სიტკბოც
ცნობის თავისუფლების,
მე მწადდა შენგან
სიხარულიც
განხმულ გონების·

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ამ წადილით,
მე ამ ლოცვით
ვიყავ დამწვარი,
ხამს ლოცვა ჩემი
არ მემწუხროს,
ხამს არ წამმწარდეს;
და თუ შენ მაინც
ცოდვად მითვლი
ამ ჩემს საწადელს—
ცოდვა არ ცოდვის
ჭეშმარიტი
სად ძევს სამძლვარი?!

ნუ, ნუ შემრისხავ...
მე აქ ვდგევარ,
მე აქ მოველი,
სადაც გიზგიზებს
სუნთქვა შენი
და შენეული,
იმ ჩემი სევდის,
იმ წადილის
კვალად მთხოველი,
აწ გარდასული,
მე სიბერის
ჭირით სნეული.

შენგან განდგომა
ო, ჯვარცმულო,
მე რად დამბრალდა.
მაღალ მწვერვალთა სალოცავო,
ხატო ნაპრალთა,
შენ უპოვართა საგანძურო,
დიდო ზაფხულო,
მიზანთ მიზანო უმაღლესო,
რწმენით ნახულო.“

1962.VII

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

# ჯარში გაწვეული მუსიკა

> „ნეტარ-იყუნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაჲ“

ფართო, მოსხლეტილი ნაბიჯებით ჩამოდიოდა დაღმართზე გოჩა, მზით გამთბარ რკინის მოაჯირზე ხელისგულს მოაცურებდა და ჩუმად, სულ ჩუმად მღეროდა. არავის ესმოდა ეს სიმღერა, მაგრამ გოჩას გულში იგი გამაყრუებლად გუგუნებდა, ძარღვებს უგლეჯდა თითქოს და თანდათან მთელს სხეულს ეუფლებოდა; გოჩას ჰქონდა უამრავი ძარღვი სურვილისა და მისი გული მოითხოვდა იმ ზღაპრული, უჩინარი საკრავების გამუდმებულ ჟღერას.

იგი დაღმართზე ჩამოდიოდა, თითქოს სადღაც ზეცაში იყო და თანდათან უახლოვდებოდა დედამიწას. დედამიწა კი მტკვრის გაღმა წამომდგარი თეთრი შენობა იყო, რომლის ფანჯრებს ახლა ღიმილივით აერეკლათ ჩამავალი მზის ელვარება.

იმ თეთრ შენობაში გურანდა ცხოვრობდა...

დღეს დაემშვიდობება იმ შენობას გურანდა. გოჩა მას წამოიყვანს — ხვალ დილით გურანდა გოჩას სახლიდან გავა და გოჩას სახლშივე დაბრუნდება საღამოს.

ეს ჯერ გურანდამ არ იცის.

„დღეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს“, დილიდანვე აეკვიატა ეს აზრი გოჩას. აეკვიატა საამოდ შემბოჭავი ახალი მელოდიასავით, რომელიც ჯერ ბურუსით არის მოცული, მაგრამ გრძნობ რომ ნისლის გაფანტვისთანავე საოცრად გამოიკვეთება. „დღეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს“, არ ასვენებდა ეს სიტყვები გოჩას, სიამაყეს ვერ იტევდა გულში — იგი ეტყვის გურანდას, და გურანდა წამოჰყვება. რა უბრალოდ მოხდება — ეტყვის. და გურანდა წამოვა...

ეს სჯეროდა გოჩას, მაგრამ ვერ შეჩვეოდა. იცოდა, რომ ასე მოხდებოდა და ვერ წარმოედგინა, როგორ მოხდებოდა. მას ქვეყნად ყველაზე დიდ საოცრებად მიაჩნდა ეს ამბავი... სამი წლის წინათ, სამჯერ სამასსამოცდახუთი დღის წინათ, იგი არ იცნობდა გურანდას. წარმოდგენაც არ ჰქონდა მის არსებობაზე. სადღაც დაიბადა გურანდა და გოჩას არ გაუგია ეს, სადღაც იზრდებოდა, სწავლობდა, იცინოდა, ტიროდა გურანდა და გოჩამ არაფერი იცოდა ამის შესახებ, და თურმე გოჩა უნდა შეხვედროდა გურანდას და გურანდა უნდა შეხვედროდა გოჩას. და გოჩას ვერ წარმოედგინა გურანდას არყოფნა... ალბათ, მაშინ გოჩაც არ დაიბადებოდა, რა თქმა უნდა, აღარ დაიბადებოდა. ალბათ, ადამიანები ერთმანეთისათვის იბადებიან, სხვა აზრი მათ გაჩენას არა აქვს.

„დღეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს“, ამაზე ფიქრობდა გოჩა სახლიდან გამოსვლისას, ამ სიტყვებს ბუტბუტებდა კონსერვატორიის დერეფანში, როცა მისი პროფესორი, საკომპოზიციო კლასის ხელმძღვანელი, მოსკოვის ახალ ამბებს უყვებოდა.

კონსერვატორიიდან კინოთეატრში გაიარა და ბილეთები იყიდა ახალ ფრანგულ ფილმზე. მერე შინ დაბრუნდა და გურანდას დაურეკა.

— მართლა?! — საშინლად გაეხარდა გურანდას, — რომელ საათზე?

— რვა საათიანზე!

— გამოგივლი... ანდა, კინოსთან დაგელოდები.

— არა... — გოჩას გული შეუთამაშდა, — მე გამოგივლი!

— შენ?! — წამოიძახა გურანდამ, — სად მივდივართ?

— „რუსთაველში!"

— მერე?.. რატომ უნდა გაიგრძელო გზა?

გოჩა დუმდა, მერე ძლივს თქვა:

— დეიდა ცაცას... ნახვა მინდა! — და შერცხვა, რადგან ეგონა, გურანდა ყველაფერს მიხვდებოდა, მაგრამ პატარა გურანდა, გულუბრყვილო გურანდა, ვერაფერს მიხვდა...

— გოჩა, გოჩა, მისმენ?... იცი, ახლა შენს მუსიკას გადმოცემენ რადიოთი! — უეცრად წამოიძახა მან.

— მართლა?! ახლავე ჩავრთავ! — გოჩამ ყურმილი დაკიდა და საბაზანოსკენ გაემართა. უეცრად შეკრთა, ვაი, თუ გურანდამ ტელეფონში გაიგონა, მეც რომ ჩართული მქონდა რადიოო. სწრაფად მობრუნდა და ხმა დაუდაბლა მიმღებს...

მის მუსიკას ხშირად გადმოსცემდნენ. ხანდახან, მოულოდნელად ფულს მიიღებდა ხოლმე რომელიმე ქალაქიდან და მიხვდებოდა, რომ იქაურ ორკესტრს შეესრულებინა მისი ნაწარმოები. დღევანდელ გადმოცემის შესახებაც იცოდა, მაგრამ გურანდასთვის ეს მთელი მოვლენა იყო და გოჩას არ შეეძლო გაეცრუებინა მისი სიხარული — ვითომ არ იცოდა, ვითომ თვითონაც უზომოდ გაეხარდა.

...ჰო, უნდა გაუაროს, ნახოს დეიდა ცაცა და უთხრას, რომ კინოს შემდეგ გურანდა შინ აღარ დაბრუნდება. დეიდა ცაცა არ გაიკვირვებს, დიდიხანია ელოდება ამ დღეს, მაგრამ მაინც მიუბრუნდება გურანდას (როცა უნდა გოჩას მისცეს შენიშვნა, გურანდასკენ შებრუნდება ხოლმე) და უსაყვედურებს, რატომ არ გამაფრთხილეთ, მოვემზადებოდიო, ასე როგორ შეიძლებაო...

გოჩა აუხსნის, რომ გურანდამ არაფერი იცოდა, რომ ყველაფერი თვითონ გადაწყვიტა და რადგან აშკარად გოჩა აღმოჩნდება „დამნაშავე", დეიდა ცაცა ვეღარ შებრუნდება გურანდასაკენ და ვეღარ უსაყვედურებს გოჩას, უკვე ათასჯერ წარმოსახულ სურათს, რომელსაც ვერაფრით ეგუებოდა, ახდენილად ჩათვლის, შეურიგდება და დამშვიდდება.

გურანდა კი ალბათ გაწითლდება, ენა დაებმება, თავის ლამაზსა და თეთრ ხელებს ადგილს ვეღარ უპოვნის, ანდა, იქნებ ვერც მიხვდეს, რა თქვა გოჩამ, იქნებ გაოცებულმა ჰკითხოს: „რატომ აღარ დავბრუნდები შინ?" როგორ ეშინია გოჩას გურანდასი! როგორ ეშინია, რომ გურანდა ბავშვია, სულ ბავშვი... თუმცა იცის, რომ ბოლოს გოჩასთან უნდა გადმოვიდეს, რომ მთელი სიცოცხლე ერთად უნდა გაატარონ, უნდა ეყოლოთ ორი ჭკვიანი ბიჭი და ორი ლამაზი გოგო, რომ მერე გოჩა დიდი კომპოზიტორი გახდება და ამის მსგავსი რაღაცეები... მაგრამ გოჩას მაინც ეშინია, რადგან გურანდა სულ ბავშვია, არაფერი იცის, არ იცის, რომ ქალია, ვერ გრძნობს თავის თავს, ვერ გრძნობს, რომ მისმა სხეულის ნაკვთებმა ბოლომდე შეავსო თავისი კუთვნილი სივრცე და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ჰაერში ტოვებს უხილავ გურანდებს, უხილავ, თავბრუდამხვევ ქანდაკებებს...

და გოჩა კვლავ აღიღინდა, მის ძარღვებში კვლავ აჩქროლდა ძლიერი მუსიკა. თვითონ გოჩა გადაიქცა რაღაც უცხო საკრავის მშფოთვარე სიმად, თრთოდა ეს სიმი, კვნესოდა, მაგრამ საოცარია; ამ კვნესას მომხიბვლელ მელოდიად გამოსცემდა სიმი.

გოჩა ხედავდა მუსიკას, სადღაც, წარმოსახვის სიღრმეში, სანოტო ქაღალდზე მიჰქროდა შავგვრემანი, მოკისკისე ბგერა, ხან ფრთებს ისხამდა, ხან მრავლდებოდა, ნაწევრდებოდა, მერე გუბდებოდა, პირთამდე ივსებოდა და გამაყრუებელი გუგუნით ლეწავდა ზღუდეს, ეშვებოდა მოუზომელ ჩანჩქერად და

კვლავ მიჰქროდა აქაფებული მოკისკასე ბგერა, გოჩას გულისძგერას აყოლილი...

მტკვარს გაღმა, სანაპიროდან მართლაც ისმოდა მუსიკა.

გოჩამ იცნო სამხედრო ორკესტრის ხმები, მიხვდა, რომ ჯარის ნაწილები ემზადებოდნენ საპირველმაისო აღლუმისათვის. გამვლელნი ხიდზე შეჩერებულიყვნენ, ხიდის მოაჯირს გადაყრდნობოდნენ და თაღქვეშ გამძვრალ სანაპირო ქუჩას დასცქეროდნენ მაღლიდან, უმრავლესობა ბავშვები იყო, მაგრამ აჩქარებით მომავალი მოზრდილებიც ჩერდებოდნენ და იკმაყოფილებდნენ ცნობისმოყვარეობას. სამხედრო მარშის აკორდები და ათასი ჯარისკაცის ჩექმა თითქოს ერთდროულად ეხეთქებოდა ასფალტს, სხლტებოდა და იმ მაღალი სახლის ფასადს ასკდებოდა, სადაც გურანდა ცხოვრობდა. შენობის მზით გამთბარი ქვები არბილებდა, ანაზებდა ამ ხმებს და ბუნდოვან ეხოდლა აბრუნებდა უკან. შეგუბებულ მტკვარზე წითელ ტუჩებივით ენთო ჩამავალი მზის ანარეკლი. ცა იყო მოწმენდილი და ღრმა, და ამ ცაში თითქოს ტივტივებდა ლამაზი ქალაქი. გაცრეცილი, ფერწასული მთვარე თითქოს ჭუჭრუტანასავით დაეტოვებინა ლურჯ ცას და იქიდან დედამიწას რიგრიგობით უთვალთვალებდნენ და ესიყვარულებოდნენ უცნობი სამყაროები.

„დღეს ასე თბილად არ უნდა ჩამეცვა“, — გაიფიქრა გოჩამ და ყელში წაჭერილ პერანგზე ღილი შეიხსნა, — პერანგი, ჯემპრე, პიჯაკი... მეტი მომივიდა“, როდესაც ხიდზე შეაბიჯა, სამხედრო ორკესტრი ჩაჩუმდა. ქვემოდან მოისმა ოფიცრის გაწვრთნილი, ომახიანი ძახილი, გაწელილი და ყველას გასაგონად წარმოთქმული ბრძანება. გოჩამ ვერ გაიგონა, რა სიტყვა იყო, მაგრამ ასფალტზე ატყაპუნებულმა, არეული ნაბიჯების ხმამ მიახვედრა, რომ ჯარისკაცები დაიშალნენ. ცნობისმოყვარე გამვლელებიც ზლაზვნით შორდებოდნენ მოაჯირს.

და გოჩამ ისევ გურანდაზე განაგრძო ფიქრი. თეთრი სახლი მოახლოვებულიყო, თავს წამოდგომოდა გოჩას. მან გადათვალა მეოთხე სართული და თვალებით მოძებნა მარცხნიდან მესამე ფანჯარა. ასე დაიმახსოვრა მაშინ, როცა პირველად აედევნა კონსერვატორიიდან გამოსულ გურანდას. როგორ უთრთოდა მუხლები, რა შემკრთალი იყურებოდა აქეთ-იქით, ეგონა ყველა გამვლელი ხვდებოდა, რომ გურანდას მისდევდა... რა კარგი იყო გურანდა. რა ბავშვივით მიბაკუნობდა სახლისკენ, გოჩა კი შორიდან ეალერსებოდა, ვერ ბედავდა მიახლოებას. რა უნდა ეთქვა?... სისულელეა...

გურანდა მაშინ ამ თეთრ სახლში შევიდა, და ერთი თუ ორი საათის შემდეგ აი ის, მარცხნიდან მესამე ფანჯარა გამოაღო... არასოდეს დაავიწყდება გოჩას, არასოდეს... ფანჯრიდან გადმომდგარი გურანდა...

ხიდის მოაჯირის გასწვრივ ასფალტი მოკენკილი იყო ქალის ტუფლების ნაქუსლარებით, „ეს შარშანდელი კვალია, — გაიფიქრა გოჩამ, — წელს ჯერ ასფალტი არ გაულღვია მზეს“.

მკრთალად დაჩნეული ანაბეჭდები ახალ შეღერებულ გოგონას ეკუთვნოდა ალბათ, გოჩამ წარმოიდგინა ჰაეროვანი, ცოცხალი ნაბიჯები, როცა ფრენას ღარაფერი აკლია, იქნებ იმ დღეს პირველად ჩაიცვა გოგონამ მაღალქუსლიანი, წვეტიანი ტუფლები... მიგოგმანობდა ხიდზე საკუთარი სილამაზით უზომოდ კმაყოფილი ქალიშვილი... ეს ღრმად ჩამჯდარი ნაკვალევი კი ხანდაზმული ქალისა უნდა იყოს. მოდიოდა მძიმედ, ცხოვრებისგან დაღლილი, ფიქრებში ჩაფლული. ანდა, იქნებ ბავშვი ეჭირა ხელში? ერთ ხელში ბავშვი, მეორეში ჩანთა ბავშვის სათამაშოებით სავსე... რამდენ ქალს გაუვლია ამ ხიდზე და ქუსლებით დაუჩნევია თავისი ცხოვრების მთელი სიმძიმეცა და სილამაზეც, ვინ იცის, რა ჯავრი აწუხებდათ იმ

დროს, ან რა სიხარული იწვევდა მათ ბაგეებზე უნებურ ღიმილს... ალბათ, აქ სადმე გურანდას ტუფლების კვალიც არის, ალბათ კი არა, აუცილებლად იქნება, და მერე განა ერთი! ყოველდღე ამ გზით დადის. და გოჩამ უეცრად წარმოიდგინა ცარიელი ხიდი, ხიდზე მხოლოდ გურანდა მოაბიჯებს, უკან მეორე გურანდა მოჰყვება, ხელში ატატებული ლამაზი ბიჭუნა მოჰყავს, მესამე გურანდას სულ სხვაგვარი კაბა აცვია, მეოთხეს კი, რომელმაც აი, ამ წუთში შემოდგა ხიდზე ფეხი, ჭაღარა შეჰპარვია თმებში, მაგრამ ისე უხდება, ისე ალამაზებს, რომ... მოდიან გურანდები და გოჩასთან ქრებიან, მოდიან ბედნიერნი, აცრემლებულნი, გახარებულნი... მოდიან ცალცალკე, მოდიან ერთად...

...(გაქანებულმა ტროლეიბუსმა ხიდი აზანზარა)...

...რა გრძელი გზა უნდა გაიარონ გოჩამ და გურანდამ, ღვთისათვის გამოუცნობი რამდენი გაუთვალისწინებელი მწუხარება და სიხარული შეხვდებათ ცხოვრებაში, მწუხარებისა გოჩას არ ეშინია, ოღონდ იყოს ის გრძელი გზა, ოღონდ არ შეწყდეს... რამდენჯერ უთქვამს გურანდას, ნეტა მივაღწევთ თუ არა ოცდამეერთე საუკუნემდეო... ახლა 1962 წელია, 2001 წლის 28 აპრილს გოჩა იქნება 65 წლის, გურანდა 61-ის, აქ არაფერია შეუძლებელი. უკვე ათი საუკუნეა, წელთაღრიცხვას წინ ერთიანი უძლვის, გოჩა კი, უკვე მოხუცებული გოჩა, შექმნის რაიმე ახალ ნაწარმოებს და წააწერს თარიღს: „2001 წელი“.

...(ცაზე თვითმფრინავმა გადიგრიალა. გოჩამ მაღლა აიხედა, თვითმფრინავი აღარსად ჩანდა)...

...არა, ჯერ გურანდას ეტყვის, რატომ უნდა იუცხოოს? ხომ იცის, რომ ბოლოს გოჩასთან უნდა წამოვიდეს? უკვე დროა, ლოდინს აღარავითარი აზრი აღარა აქვს!

„მაინც რამ გამხადა ასე სულწასული?“, უსაყვედურა თავისთავს გოჩამ, თუმცა უკვე დიდიხანია იცოდა ამ საყვედურის პასუხი.

გოჩა ამაყობდა, რომ ასეთ სათნოსა და ნამივით წმინდა გოგონას უყვარდა იგი, და დარწმუნებული იყო, რომ სხვა ვერავინ, ვერავინ გაუგებდა და გააბედნიერებდა გურანდას... შეხვედრისას, თუ ოთახში იყვნენ მარტონი, გოჩა მკერდში ჩაიკრავდა ხოლმე მის პატარა, კოხტა თავს და ეალერსებოდა, ან აიტატებდა, ოთახში დაჰყავდა და კოცნიდა, კი არ კოცნიდა, ყვავილივით ყნოსავდა თითქოს. გურანდა არ გრძნობდა თავის ქალობას და მაშინ არც გოჩასათვის იყო იგი ქალი. მაგრამ ამ სამი თვის წინათ, ერთი შეხედვით, სულ უბრალო, უმნიშვნელო ამბავმა ყირაზე დააყენა მათი ურთიერთობის მთელი პოეზია.

იანვრის სუსხიანი საღამო იყო. გურანდა გამოცდებისათვის ემზადებოდა. წინა დღით გოჩა დაპირდა, არ მოვალ, ხელს არ შეგიშლიო. მაგრამ ვერ გაძლო და იმ საღამოს მაინც შეიარა „ორი წუთით“... (მარჯვნივ, სანაპიროს მოაჯირიდან, ვიღაც ბიჭი გადახტა მტკვარში, მას მიჰყვა მეორე, მესამე)... ჰო, შეიარა... გურანდას ძალიან გაეხარდა, არ გელოდიო,... მერე უეცრად შეჰკივლა, უჰ, როგორ გაგყინვია ხელებიო...

— გინდა გაგათბო?!- — ჰკითხა გურანდამ და თითები თითებით მოუსრისა, გოჩამ თავი დაუქნია, გამათბეო.

და უეცრად გურანდამ იღლიებქვეშ შეიცურა გოჩას ხელები, გარედან სალტეებივით გადაუჭირა მკლავები... გურანდას ეცვა მერინოსის მკრთალი ვარდისფერი, საპნის ქაფივით რბილი სვიტრი... გოჩას გააკანკალა, კინაღამ წონასწორობა დაჰკარგა — მისი ხელისგულები ავსებული იყო გურანდას მრგვალი, ზამბარასავით ჯიუტი ძუძუებით, გოჩას ფერი წაუვიდა...

— გათბი? გათბი? ხომ გათბი?! — კისკისებდა გურანდა.

ილუზია გამქრალი იყო, გოჩას წინ ცდუნება კისკისებდა.

...(ხიდის მოპირდაპირე მოაჯირთან კვლავ შეგროვდნენ გამვლელები)...

„ეს ჩემი ბრალი არ არის... არც გუ-

რანდის ბრალი იქნება... ეს ჩვენ არ გამოგვიგონია", ფიქრობდა გოჩა.

ხიდს გასცდა და მარჯვნივ გაუხვია, გული აუძგერდა, სულ ახლოს იყო გურანდის სახლი.

„შეიძლება დღეს არც ვუთხრა არაფერი, — დაფრთხა უეცრად, — შეიძლება მართლა უხერხული იყოს კინოდან პირდაპირ ჩემთან რომ წავიყვანო".

(მარცხნივ, სანაპირო ქუჩიდან მოისმა ოფიცრის გაწვრთნილი, ომახიანი ძახილი)...

„ჰო, ალბათ, უხერხულია, ბავშვი ხომ არა ვარ, ვეტყვი ხვალ, ანდა ზეგ... ვეტყვი სხვათა შორის, ვითომ ხუმრობით..."

(ოფიცერმა წამოიძახა რაღაც გაწელილი, ყველას გასაგონად წარმოთქმული ბრძანება)...

„...იცხოვრებს ჩემთან, ჩემს ოთახში დაიძინებს, შემეჩვევა..."

(ხიდის მოაჯირს ჟივილ-ხივილით მიაწყდნენ ბავშვები)...

„შემეჩვევა თანდათანობით, თუკი მე მეყო მოთმინება, მერე..."

(გაისმა სამხედრო ორკესტრის ხმა)...

უეცრად აგუგუნდა სამხედრო ორკესტრი.

თითქოს რაღაც უხილავს შეასკდაო, გოჩა ადგილზე გაიყინა.

სწრაფად შემობრუნდა ხიდისკენ.

მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ყურებს არ უჯერებდა...

## 2

გოჩა გაიქცა, ხიდი გადასჭრა, მოაჯირთან მიირბინა, პატარა ბიჭუნები მისწი-მოსწია და ისე გადახედა სანაპირო ქუჩას, თითქოს აი, ამ წუთში რაღაც გადავარდნოდეს.

მრავალთავიანი და უთვალავფეხიანი დევივით მოდგანდგარებდა თეთრ ასფალტზე ერთ არსებად ქცეული ჯარისკაცთა ასეული, ჯარისკაცებს საალუმო ფორმა ეცვათ, ახალგაზრდულ, მაგრამ შეგნებულად გამკაცრებულ სახეებზე ნაკვთი არ ენძრეოდათ, მხოლოდ მაშინ, როცა სახელდახელოდ შემოდგმულ ტრიბუნას მიუახლოვდნენ, ერთი კაცივით მარჯვნივ მიაბრუნეს თავები, ლარივით გასწორდნენ, უფრო მაღლა ასწიეს ფეხი და მათი სქელლანჩიანი ჩექმების ტლაშუნი ერთიორად გაძლიერდა. და თითქოს გაძლიერდა სამხედრო ორკესტრის ხმაც... მხრებში ოდნავ მოხრილმა, ხანშიშესულმა კაპელმეისტერმა უფრო ენერგიულად დაიწყო ხელების ქნევა, თუმცა იგი ზურგით იდგა ორკესტრისაკენ და ისე დირიჟორობდა, თვალს აყოლებდა მწყობრად მიმავალ ჯარისკაცებს და ისე დირიჟორობდა მარშს...

გოჩას დაწერილ მარშს...

„საიდან... როგორ?! — ფიქრობდა განცვიფრებული გოჩა, — ვინ გადააკეთა... ვის მოუვიდა აზრად?..."

ტრიბუნაზე მდგარმა მაღალი ჩინის ოფიცერმა ჯარისკაცებს სალამი აუღო, გაიჭიმა და რაღაც შესძახა, გადაბმულ ქუხილივით გაეხმაურა ამ შეძახილს ასეული. მაღალი ჩინის ოფიცერმა ხელი ჩამოიღო და გვერდით მყოფ ოფიცრებს მიუბრუნდა, მერე ისევ ქუჩას გაჰხედა; ტრიბუნას მეორე ასეული უახლოვდებოდა...

ორკესტრი კი უკრავდა მარშს. მზეზე ისეთი ლაპლაპი გაჰქონდა ოქროსფერ საკრავებს, რომ გოჩა კარგად ვერც არჩევდა სამხედრო მუსიკოსების სახეებს. ცისკენ პირდაღებული, უზარმაზარი ბასი, რომლის სიმძიმე თითქოს ადგილზე აბრბაცებდა პატარა ტანის მუსიკოსს, გულისძგერასავით რიტმულად გამოსცემდა დაბალ, დაგუბებულ ბგერებს. კორნტა, მსუბუქი საყვირები და ნიყარასავით დახვეული ვალტორნები თავგამოდებით ამღერებდნენ მთავარ მელოდიას, რომელიც სიმფონიურ ორკესტრში ვიოლინოებისათვის ჰქონდა დაწერილი გოჩას. მოხდენილი მარშის მუსიკა მიდამოს ედებოდა და თითქოს ყველაფერს აწესრიგებდა — ერთ ხაზზე ამწკრივებდა მოშრიალე ხეებსა და საელნათურო

რძისფერ ბოძებს, მიჯრით აწყობდა ახალ სახლებს, ძერწავდა ხიდის მოაჯირის ორნამენტებს, თითქოს ტუჩებგადმობრუნებულ საკრავებს პირი ცის გუმბათზე მიედოთ და თითოეული აკორდის ამოსუნთქვით უზარმაზარ საჰაერო ბუშტივით ბერავდნენ ზეცას.

გოჩა ილიმებოდა. ერთბაშად მომსკდარი სიხარული თითქოს აღარ ეტეოდა მის სხეულში და გაბრწყინებულ თვალებიდან ეფრქვეოდა, მაგრამ ხანგამოშვებით გულში რაღაც უსიამოვნო შეგრძნება გაჰკენწლავდა, გონება წუთით წამოედებოდა ფიქრის უფერულ ძაფს, მაგრამ ის ძაფი უმალ სადღაც ქრებოდა, იტრუსებოდა, რომ ისევ ამოწვერილიყო და როგორმე აცმოდა ტკივილის ნემსს. გოჩას არ ესმოდა მიზეზი ამ ტკივილისა, არ ესმოდა, რადგან ნიავივით აძრულიყო მისი საყვარელი მარშის ჰანგები და მტკვარს მიჰყვებოდა, ქუჩებსა და ქალაქს ედებოდა...

„ასეთი დიდი აუდიტორია..."

„ამდენი მსმენელი..."

გოჩას არასოდეს ჰყოლია.

მთელი ქალაქი უსმენდა გოჩას მუსიკას.

მაგრამ სიხარულთან ერთად თითქოს ტყუპივით დაბადებულიყო ბუნდოვანი სევდა და ჯაბნიდა სიამოვნებას, გოჩას საოცრად აკვირვებდა ეს დაუპატიჟებელი ნაღველი, ეს უჩინარი აბეზარა.

მისი სუიტა შარშანწინ შეასრულა პირველად საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა. ნაწარმოებს დიდი წარმატება არ ჰქონდა, მაგრამ რეცენზენტები ერთხმად აღნიშნავდნენ „ახალგაზრდული" სუიტის ცალკეული ნაწილების სრულყოფილებას. განსაკუთრებით მოსწონდათ მარში, სწორედ ის მარში, რომელსაც ახლა სამხედრო ორკესტრი ასრულებდა...

მარშს სახელი არ შეარქვა გოჩამ, მაგრამ ახსოვს, როცა სწერდა თვალწინ ედგა სარბენ ბილიკებზე ქარივით ჩაქროლილი მკერდგანიერი ახალგაზრდები, ესმოდა მათი დიდი ფილტვების სუნთქვა და გულისძგერა, ესმოდა ქარის სისინი ალპინისტების მიერ დაძლეულ მიუვალ მწვერვალებზე, მზით გარუჯული, გადაქანცული ტურისტების ჯიუტი ნაბიჯების ხმა, და ხედავდა ძლევას, ძლევას, მთა-გორების, დაუსრულებელი მანძილის, დაუძლეველი შიშის ძლევას. იმ ღამეს, როიალთან მას ესმოდა ადამიანის უძლეველობის ჰიმნი, იმ წუთებში ათასჯერ უფრო მეტად უყვარდა სიცოცხლე და ქვეყანა, და როცა წერა დაამთავრა, ეგონა, მეორე დილით მსოფლიო განცვიფრდებოდა ახალი ქმნილებით...

მერე გოჩას მარშს ცალკე ნომრად ასრულებდნენ კონცერტებზე, სტუდენტთა სიმფონიურმა ორკესტრმაც შეიტანა თავის რეპერტუარში. მუსიკა სწრაფად მოედო ქალაქს, ღიღინებდნენ, ქუჩებში უსტვენდნენ ბიჭუნები. ბოლოს მოსკოვში გამოცემულ ქართველ კომპოზიტორთა კრებულშიც შეიტანეს, გოჩას ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს იყო მისი პირველი, დიდი ნაბიჯი ხელოვნებაში...

ალბათ, კიდევ უფრო შორს გაჰყვებოდა სასიამოვნო მოგონებებს გოჩა, რომ უეცრად იმ ბუნდოვან ტკივილს ხელმეორედ არ შეეხსენებინა თავისი თავი.

„ვინ მოიფიქრა, ვის მოუვიდა აზრად სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერილი მარში სასულესთვის გადაეკეთებინა? სამხედრო სასულე ორკესტრისათვის?... მერედა, ჩემს დაუკითხავად..." — გაიფიქრა მან.

შეგუბებულ მდინარის გასწვრივ, ფართო ქუჩას ცოცხალ მდინარესავით მიჰყვებოდა საალლუმო ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები. მათ ხელთ ეპყრათ მომაკვდინებელი ავტომატები, (გოჩამ თითქოს ახლა შენიშნა ეს) ზურგზე, მოეკიდათ გამანადგურებელი ნაღმსატყორცნები (ნამდვილად ახლა შენიშნა), მერე მოდიოდა მექანიზებული ნაწილები, ავი ძაღლებივით აეკრათ ქვემეხთა მრისხანე ტუჩები და მოგორავდნენ ზანტად, შე-

ულახავი თვითდაჯერებით, და ყველაფერს — ამ სვლას, ამ დაუთრგუნველი სამხედრო ძლიერების დემონსტრაციას, ამ რკინის ბორბლებისა და მუხლუხოების გრიალ-ხრიალს, გოჩას მარში ხელმძღვანელობდა, გოჩას მუსიკა აწვდიდა ენერგიას, ჰკვებავდა და ასაზრდოებდა, ამ მარშის რიტმმა აუთამაშა ტრიბუნის ფიცარზე თითები იმ მაღალი ჩინის ოფიცერს...

„ჩემს დაუკითხავად", გაიფიქრა გოჩამ... ეს იმას ნიშნავდა, რომ მარშმა სახელი მოიხვეჭა, რომ იგი გადაიქცა საერთო საკუთრებად. იმდენად საერთო შეიქმნა ყველასათვის, რომ ერთერთმა მფლობელმა არც ჰკითხა, ისე გამოიყენა თავისი საჭიროებისათვის, მაგრამ ასე მაინც არ შეიძლება, მუსიკას ხომ მაინც გოჩას სახელი ჰქვია, უნდა ეკითხათ მისთვის, ჰო... უნდა ეკითხათ... უნდა ეკითხათ და... მაშინ გოჩა ნებას არ მისცემდა, არაფრით არ მისცემდა ნებას...

ამ დასკვნამ თვითონვე განაცვიფრა, სახტად დარჩენილი ადამიანივით გაუშეშდა თვალები, „არაფრით არ მისცემდა ნებას"?... რატომ? რატომ არ მისცემდა?

და კვლავ მოაგონდა როიალთან გატარებული ღამე. მაშინ გოჩას არ მოლანდებია ბრძოლის ველი (ეშმაკმა იცის, იქნებ მოელანდა კიდეც), არ უგრძვნია დენთის მხრჩოლავი სუნი, არ გახსენებია სიკვდილი. იგი წერდა მამაც, უშიშარ ადამიანებზე, იგი წერდა ყველაფრის ძლევაზე... ჰო, ომიც მამაცებისა და უშიშრების არის, ომშიც უნდა სძლიო შიში, გაჭირვება, ყოველგვარი ტკივილი და გაიმარჯვო, მაგრამ დაიფიცებს ყველაფერს, თუნდაც გურანდას დაიფიცებს, თუ იმ ღამეს ომი გახსენებოდეს...

არა, არ უნდა... არ უნდა, რომ მისმა მუსიკამ...

ოჰო! საიდან მოფრინდა ეს აზრი? რატომ ჰგონია ასე ძლიერი თავისი მუსიკა? ეს ხომ... ეს საკუთარ თავთან ტრაბახია, მეტი არაფერი...

გოჩა მოდუშულიყო, სახის ნაკვთები დამძიმებოდა, ის უფერული ფიქრის ძაფი უკვე ამოდა ტკივილის ნემსს და აღარ ეშვებოდა, აღარ წყდებოდა ეს ძაფი, აღარ იტრუსებოდა.

„არა, უნდა ვიკითხო, ვინ მოისაზრა ეს, ვინ გადააკეთა სამხედრო ორკესტრისათვის, უნდა ვიკითხო და პასუხიც მოვითხოვო", — ფიქრობდა გოჩა.

ერთბაშად სადღაც გაქრა იმ მუსიკით სიამაყე, რომელმაც დასძრა ჯარისკაცთა ტალღები, მჭყობრად აათუხთუხა მრისხანე სამხედრო მანქანათა უსულო მოტორები. გადაავიწყდა, რომ მარშს უსმენდა დიდი ქალაქი... უზარმაზარი, საოცნებო აუდიტორია... ამ წუთში გოჩას სულ სხვა სურათი ედგა თვალწინ, შას რატომღაც აგონდებოდა საბავშვო ბილიარდის კოხტა პატარა ბურთული, რომელიც გასულ კვირას მეზობლის ბიჭუნას გადასცდა ყელში და კინაღამ იმსხვერპლა... ის ბურთულა საავადმყოფოში დაიტოვეს ექიმებმა.

უეცრად ვიღაცამ მხარზე ხელი დაჰკრა. მოიხედა. კონსერვატორიის ამხანაგი შერჩა ხელთ. გამოპრანჭული იყო, ბანტი შემოეჭირა ქათქათა პერანგის საყელოზე, ძაფივით წვრილი ულვაშები ჰქონდა, ვიღაც ქალიშვილისათვის ხელმკლავი გამოედო და ეტყობოდა, შეხვედრის არც აპირებდა, ოღონდ ერთი ჩაიცინა ნაძალადევად და ქვემოთ, ორკესტრისკენ მიუთითა გოჩას:

— პროცენტებს უსმენ?

— რა თქვი? — ვერ გაიგო გოჩამ და წარბები შეჭმუხნა.

— შენს პროცენტებს უსმენ-მეთქი? — გაიმეორა ამხანაგმა და საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთზე სწრაფად გაუსვ-გამოუსვა.

გოჩა უეცრად მიხვდა და გაწითლდა.

— ხომ არ გაგიჟდი, რის პროცენტები...

— რის და — მარშის. შენს ნაწარმოებს ასრულებენ, ესე იგი, ფულიც გერგება!

— გაგიჟდი! — სხვა სიტყვა აღარ გაახსენდა გოჩას, — ნამდვილად გაგიჟდი!

— კარგი, ჰო, ვითომ ვერ ხვდები, რომ ვხუმრობ... — სწრაფად გაეცალა თვალებამღვრეულ გოჩას და თან გაიტაცა ის ქალიშვილი.

გოჩა გაბრუებული იდგა.

„უნდა გავიგო, ახლავე უნდა გავიგო ყველაფერი და პასუხი მოვითხოვო!“

ადგილს მოწყდა, უკანვე გადმოირბინა ხიდი და სანაპირო ქუჩისკენ დაეშვა. გზადაგზა ეგებებოდა თავისი მარშის ხმები, თითქოს გოჩას გამოჩენით გახარებული.

ხიდქვეშ ჯარისკაცმა გადაუღობა გზა.

— არ შეიძლება, ამხანაგო! — თქვა მან და პატარა, წითელი ალამი აუქნია თვალწინ, ჯარისკაცს მკლავზეც წითელი ქსოვილი ჰქონდა შემოხვეული. გოჩა შედგა. ჯარისკაცი ახლა მსუბუქ მანქანას გადაუდგა და გააჩერა. შოფერმა ხელების ქნევა დაიწყო, იქით მივდივარო, ჯარისკაცმა ალმით ანიშნა, შემოუარეო. მანქანა ბუზღუნ-ბუზღუნით შემოტრიალდა და გაბრუნდა. ჯარისკაცი ისევ გოჩას მიუახლოვდა.

— შინ მივდივარ... იქით ვცხოვრობ! — უნებურად გაახსენდა გოჩას ბავშვობისდროინდელი ხერხი, როცა საშვიდნოემბრო ან საპირველმაისო ზეიმისას მილიციელებით გადაკეტილ შესართავ ქუჩიდან მთავარ ქუჩაზე უნდოდა გასვლა. მაგრამ მილიციელები არასოდეს მოტყუებულან, არც ჯარისკაცმა მოიტყუა თავი:

— გათავდება ვარჯიში და წახვალთ... თქვენი სახლი არსად გაიქცევა! — ეტყობა, მოწყენოდა მარტო ყოფნა და ლაპარაკის გუნებაზე იყო ჯარისკაცი.

გოჩა ხიდქვეშ შეიმალა, ბურჯის გრილ ქვებს ზურგით მიეყრდნო. აქედან კარგად მოჩანდა ჯარისკაცთა სახეები, უფრო ძლიერად ისმოდა მათი ნაბიჯებისა და სასულე ორკესტრის ხმები. მწყობრად მომავალ ასეულსა და ასეულს შორის გამოჩნდებოდა ხოლმე ტრიბუნა, მის გვერდით მდგარი ორკესტრი და მხრებში ოდნავ მოხრილი კაპელმეისტერი. სანაპიროს მოაჯირზე ჩამომსხდარიყვნენ ჯარისკაცები, რომლებსაც უკვე ჩაეარათ ტრიბუნის წინ და ოფიცრის ბრძანების შემდეგ დაშლილიყვნენ.

გოჩა გაჰყურებდა სივრცეს და ცდილობდა უცხო ადამიანის ყურით მოესმინა თავისი მარში, უნდოდა შეეცნო, რა შთაბეჭდილებას დასტოვებდა მუსიკა იმ კაცზე, რომელიც პირველად მოუსმენდა მას. მაგრამ მუსიკა ძალზე ახლობელი, მშობლიური, საკუთარ ხელწერასავით ნაცნობი იყო.

„ნუთუ არ შეიძლება, — ფიქრობდა გოჩა, — მიაღწიო იმას, რომ მუსიკა სიტყვებივით გაიგოს ხალხმა, როგორც ლექსი ან მოთხრობა?... და ყოველთვის მიახვედრო, რომ ვთქვათ, ესაა ქალის სიყვარულზე დაწერილი მუსიკა, ეს კი — ლამაზი პეიზაჟის აღწერაა... ნუთუ არ შეიძლება?“

გოჩას მკრთალი ღიმილი გამოეფინა სახეზე, მას გაახსენდა ერთი საბავშვო რადიოგადაცემა, სადაც მამლების ძიძგილაობის გამოსახატავად მონტეკებისა და კაპულეტების ბრძოლის სცენა იყო გამოყენებული ჩაიკოვსკის მუსიკიდან. მუსიკალური, მაგრამ გაუთვითცნობიერებელი მსმენელი არასოდეს გამოთქვამდა საყვედურს, ეს მუსიკა მამლების ბრძოლას არ შეეფერებაო...

გოჩა ჯარისკაცს მიუბრუნდა:

— წავალ ახლა! — თქვა ისეთი ხმით, თითქოს ვეღარავითარი უარი ვეღარ შეაკავებდა.

— არ შეიძლება, ხომ ხედავთ ჯერ არ დამთავრებულა.

— წავალ, ხელს არავის შევუშლი.

— გეუბნებიან, რომ არ შეიძლება... აქამდე შინ იქნებოდით, რომ შემოგეარათ, — და ალმით მრუდე მოხაზა ჰაერში.

გოჩა აწრიალდა, მოუსვენრად გაიარგამოიარა, მერე ისევ ჯარისკაცს მიმართა:

— ნეტავ, რა არი რომ უკრავენ, რა

მარშია? — და ხელი ორკესტრისკენ გაიშვირა.

— ჩვეულებრივი მარშია... სამხედრო! — თქვა ჯარისკაცმა.

„ჩვეულებრივი... სამხედრო...“

— რაღაც არ ჰგავს სამხედრო მარშს! ჯარისკაცს დამცინავად ჩაეღიმა.

— პირწავარდნილი სამხედრო მარშია!

გოჩა გაწითლდა, გაწითლდა, ყურის ბიბილოები აუხურდა.

— ნეტავ ფრონტებზე... — ხმა ჩაუწყდა გოჩას, — ნეტავ ფრონტებზე თუ უკრავენ ხოლმე ბრძოლის დროს?

— უკრავენ... ალბათ, უკრავენ... არ ვიცი, მე ომში არ ვყოფილვარ! — ახლა ჯარისკაცს მოერია სიწითლე.

გოჩა ვერხვის ნერგს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. თავბრუს ხვევა იგრძნო.

„ალბათ, მზემ დამკრა, — გაიფიქრა მან, — მთელი დღე ქუჩაში ვიყავი და მზემ დამკრა“.

უეცრად მოელანდა თავისი პროფესორი, საკომპოზიციო კლასის ხელმძღვანელი, კი არ მოელანდა, თვითონვე გამოიწვია, რადგან ამ წუთში ძალზე უნდოდა მასთან შეხვედრა.

„ეს რა ჩაგიდენია, გოჩა?! — განცვიფრებული ბუტბუტებდა პროფესორ ი.

„მე არაფერ შუაში ვარ...“

„როგორ თუ არაფერ შუაში?“

„მე არ ვიცოდი, ჩემთვის არ უკითხავთ...“

„შენ ხომ იცი, გოჩა, რომ შვილი ომში დამეღუპა?“

„ვიცი, პატივცემულო პროფესორო!“

„მერე?“... მე მეორე ვაჟი მყავს...“

„ვიცი...“

„მამაშენიც ომმა წაგართვა...“

„დიახ!“

„დედაც ომის გაჭირვებამ იმსხვერპლა, მარტო დარჩი, დაობლდი...“

„ასე იყო, პატივცემულო პროფესორო!“

„მერე?!“

„მე არაფერ შუაში ვარ?“

უეცრად, საიდანღაც კაპელმეისტერი ამოისვეტა, გაიღიმა და პროფესორს მოუბრუნდა:

„რას ერჩით ამ ყმაწვილს, მშვენიერი მუსიკა დაუწერია...“

გოჩა გაბრაზდა:

„მშვენიერია, თუ საშინელია, მე სამხედრო ორკესტრისათვის არ დამიწერია!“

„მერე რა მოხდა, — კვლავ გაიღიმა კაპელმეისტერმა, — ჩვენ ხომ არცერთი ნოტი არ შეგვიცვლია, იგივე ტემპია, იგივე მელოდია... ამას გარდა, თქვენი მუსიკა ხომ შესყიდულია?...“

„მე არაფერს არ ვყიდი!“ — დაიყვირა გოჩამ.

„ესე იგი... მე მინდოდა მეთქვა... ფული ხომ გადაგიხადეს, ჰონორარი ხომ მიიღეთ?“

„მაგრამ იქ არ სრულდება, სადაც უნდა შესრულდეს, — მრისხანედ წარმოთქვა პროფესორმა, — ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს!“

„დიახ, ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს, — მხარი დაუჭირა გოჩამ — ბილიარდის ბურთსაც კი...“

„მართალი ბრძანდებით, გეთანხმებით, — თქვა კაპელმეისტერმა, იგი თან ორკესტრს დირიჟორობდა, თან ლაპარაკობდა, — მაგრამ აბა, გაიხსენეთ შოპენის სამგლოვიარო მარში მისი სონატიდან, განა შოპენმა იგი პანაშვიდებისათვის დაწერა?“.

„ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს, — თქვა პროფესორმა, — შოპენი პროტესტს განაცხადებდა!“

„ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს, — გაიმეორა გოჩამ, — მე პროტესტს ვაცხადებ!“

„ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს!“ — დაიგრგვინა ცამ.

„ყველაფერს!“ — დაიძახა ქალაქმა.

„ყველაფერს!“ — თქვა კონსერვატორიის შენობამ.

„ყველაფერს...“

„თავისი...“

„ყველაფერს...“

„თავისი...“

— შეჩერდით! შეჩერდით!

ყრუდ ჩაესმა გოჩას ჯარისკაცის ძახილი.

გოჩა ქუჩაზე გადარბოდა... გადასჭრა სანაპირო და ტრიბუნისაკენ გაიქცა...

— შეჩერდით, თორემ გესვრით, შეჩერდით!

გოჩა მიქროდა, მიფრინავდა.

— შეჩერდით-მეთქი, თორემ გესვრით! — ყვიროდა ჯარისკაცი შესაშინებლად.

გოჩამ უკანიდან შემოუარა ტრიბუნას, ორკესტრის მუსიკოსებს გვერდზე ჩაურბინა და კაპელმეისტერის ცხვირწინ აისვეტა აქოშინებული, თმებგაშლილი და გაოფლილი. ცისფერთვალა, სახედანაოჭებულმა კაპელმეისტერმა განცვიფრებით შეხედა გოჩას.

— საქმე მაქვს თქვენთან! — ჩაჰყვირა გოჩამ, რომ ორკესტრის ხმა დაეფარა.

მკერდი გაღელოდა გოჩას, ძლივს სუნთქავდა. კაპელმეისტერს გული შეეკუმშა; იქნებ თავისი ოჯახი და შვილები გაახსენდა ხანშიშესულ მუსიკოსს, რამე უბედურება ხომ არ დამატყდა თავსო. მალულად გააპარა მზერა ტრიბუნაზე მდგარი ოფიცრებისაკენ, მერე ორკესტრს ანიშნა, უჩემოდ განაგრძეთ დაკვრაო და მთლად აკანკალებულმა გოჩა გვერდზე გაიყვანა.

— რა მოხდა?! — კი არ ჰკითხა, თითქოს შეევედრა გოჩას, რამე ცუდი ამბავი არ მითხრაო.

გოჩამ არ იცოდა, საიდან დაეწყო:

— მე... მე... ამ მარშის ავტორი ვარ....

კაპელმეისტერი სახტად დარჩა, თითქოს ვერ მიხვდა, რა უთხრეს, კარგა ხანს იდგა დამუნჯებულივით, მერე მისი შეშფოთებული, ავის მომლოდინე თვალები ღიმილმა გაანათა, ერთბაშად აცქმუტდა, კეთილი, სათნო სახე გამოუცოცხლდა, — საშინლად გაეხარდა, რომ არაფერი ცუდი არ უთხრეს და რომ მის წინაშე მხოლოდ ახალგაზრდა კომპოზიტორი იდგა, მეტი არაფერი...

— რას ამბობთ! ძალიან სასიამოვნოა... რამდენი ხანია მინდოდა თქვენი გაცნობა... მშვენიერი მარშია, ისე...

— მე მაინტერესებს... — უნდოდა რაღაც ეთქვა გოჩას, მაგრამ კაპელმეისტერი არ უსმენდა, სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა, თან ხელებსაც ახმარდა სიტყვებს და მალიმალ იყურებოდა ორკესტრისა და ტრიბუნისაკენ, უნებურად იქითკენ იწეოდა.

— მშვენიერია... ისე მოსწონს ყველას... მთელმა გარნიზონმა ზეპირად იცის...

— მე მინდოდა გამეგო...

— მთელმა გარნიზონმა!.. მგონი, რაღაც სიტყვებიც შეუწყვეს... შემთხვევით წავაწყდი თქვენს ნოტებს მაღაზიაში... მშვენიერი მარშია, ბრწყინვალე... მერე მე თვითონ გადავაკეთე სასულესთვის... მე მგონი, გამომივიდა... ახლა არ მცალია, ისედაც დავარღვიე დისციპლინა, ახლა მაპატიეთ, დრო არა მაქვს... გამოიარეთ ოფიცერთა სახლში. ხვალ, პირველ საათზე, რეპეტიცია მაქვს... სიამოვნებით ვისაუბრებ თქვენთან...

— მე იმისთვის მოვედი რომ...

— არ დაგავიწყდეთ, პირველ საათზე!

გოჩამ უნებურად საათზე დაიხედა.

რვას ხუთი წუთი აკლდა.

„გურანდა!!“

— აუცილებლად გამოიარეთ... გელოდებით, მარში კი, მართლა, მშვენიერია...

„სულ გადამავიწყდა გურანდა!“

— ახლა მაპატიეთ, ისედაც დავარღვიე დისციპლინა, — კაპელმეისტერი შებრუნდა და ორკესტრისკენ გაემართა სწრაფი ნაბიჯით.

თითქოს ერთი საუკუნე აღარ უფიქრია გურანდაზე...

სულ გადაავიწყდა, რომ კინოში უნდა წასულიყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

გურანდას სახლის კიბეებზე გოჩა ისე შევარდა, როგორც მაღალ ტალღაში შევარდებიან ხოლმე ზღვაზე მოცურავენი, სამ-სამ საფეხურს ერთად იტოვებდა ლაჯებქვეშ, თოკივით თავისკენ იზიდავდა კიბის სახელურს და არბოდა. მეორე სართული... მესამე... თითქოს სახლმა ტრიალი დაიწყო... მეოთხე... ზარს თითი დააჭირა და აღარ აუშვა. შემაშფოთებლად წკრიალებდა ზარი გურანდას ბინიდან. სწრაფი ნაბიჯების ხმა, გასაღების ჩხაკუნი და დეიდა ცაცას მყისვე გაოცებული, შეშინებული სახე.

— გოჩა?!.. რა მოხდა? გურანდა სად არის?!

— შინ არ არის?

— ღმერთო მომკალი,... კინოში წამოვიდა, თქვენ ხომ კინოში აპირებდით...

— უნდა დაეცადნა...

— გელოდებოდა!.. მერე თქვა, ალბათ, რაღაც მოხდაო, რატომ არ მოვიდაო... იქნებ ცუდად გავიგონე და მე თვითონ უნდა მივსულიყავი კინოსთანო... წამოვიდა, უკვე ოცი წუთია, რაც წამოვიდა! — უეცრად გაჩუმდა, გამომცდელად შეხედა გოჩას თვალებში, — მართლა რამე ხომ არ მოხდა?

— არაფერი... — ხელი ჩაიქნია გოჩამ...

— აბა, რამ აგალელვა ასე, ადამიანისშვილს არ გავხარ!

— არაფერი, დეიდა ცაცა, დავიღალე, ალბათ...

— მოიცა, მეც წამოვალ!

— არა... რა საჭიროა...

— სად უნდა იყოს ახლა გურანდა?

— ვიპოვნი... ალბათ, მართლა კინოსთან მიცდის, თქვენ ნურაფრის გეშინიათ, დეიდა ცაცა, არაფერი მომხდარა!

გოჩა კიბეზე დაეშვა.

— დამირეკოს... გესმის?

— დაგირეკავთ!

ჩარბოდა გოჩა და გრძნობდა, რომ გურანდას დედა გადმოჰყურებდა ზემოდან, დაფიქრებული და შეშფოთებული.

გარეთ საღამოს ბინდი ჩამოწოლილიყო. ქუჩა სავსე იყო ხალხითა და ტრანსპორტით. გოჩამ ტაქსის მწვანე თვალს დაუწყო ძებნა. ოთხივე მხრიდან მოქროდნენ გზაჯვარედინისკენ მანქანები, ავტობუსები და ტროლეიბუსები, და ოთხივე მხარეს აგრძელებდნენ სვლას, ერთმანეთს ასწრებდნენ, უხვევდნენ, ამუხრუჭებდნენ, ხანდახან ისმოდა კაბინიდან თავგამოყოფილი შოფრის ლანძღვა, ხანდახან მილიციელის სასტვენის ხმა გახვრეტდა ქუჩის გუგუნს და მაშინ კი აუცილებლად რომელიმე მანქანას მოჯადოებულივით ღონე გამოეცლებოდა და მორჩილად გაჩერდებოდა.

ბინდი ჩამოწოლილიყო ქალაქში, დღისა და ღამის გასაყარი, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩაერთოთ ქუჩის ლამპიონები, ჯერ არც მანქანები ანათებდნენ ფარებს, მხოლოდ აქა-იქ, სხვადასხვა უბნებში კიაფობდა ცალკეული ნათურები და გოჩას ეჩვენებოდა, რომ ქალაქში კი არა, დიდ სოფელში წვებოდა ღამე. იგი დაძაბული იჭვრიტებოდა ქუჩის სიბნელეში, თვალს აყოლებდა გამვლელთა ბუნდოვან სილუეტებს, მაგრამ არცერთი არ ჰგავდა გურანდას.

ავტობუსებისა და ტროლეიბუსების გაჩერებასთან ხალხის ტევა არ იყო. ჩამომდგარ ტროლეიბუსს გოჩა ახლოსაც ვერ გაეკარა. უკვე ამოვსებულ, ამოპირთავებულ კარისკენ მაინც მიიწევდა ხალხი, ზოგი ვის აწვებოდა, ზოგი ვის კრავდა მუჯლუგუნს. მორევივით ირეოდა ადამიანთა თავები, ტროლეიბუსის წინა კარს გამწარებით სცემდა მუშტს ბავშვიანი ქალი...

სარკმელში მძღოლმა გამოიხედა.

— კაცო, ვერა ხედავთ ბავშვს? გააღეთ ახლავე! — დაუყვირა გაანჩხლებულმა დედამ.

— რა ვქნა, გენაცვალე, ადგილი არ არის, უკან ცარიელი მოდის და დასხდებით!

ტროლეიბუსმა ძლივს აითრია წელი, კარს გარეთ სამი თუ ოთხი კაცი ეკიდა, მხოლოდ ცალ-ცალი ფეხით იდგნენ, ალბათ, კიბეზე. გოჩამ დამწვარი რეზინის სუნი იგრძნო.

არც მეორე ტროლეიბუსი მოსულა ცარიელი, ჯერ ქალები აუშვა გოჩამ, მერე ძლივს იპოვნა კიბეზე ფეხის დასადები ადგილი და უკვე დაძრულ ტროლეიბუსს ჩამოეკიდა. ელბაქიძის აღმართზე ტროლეიბუსი თითქმის გაჩერდა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ზოზინით და ნჯღრევა-ნჯღრევით აუყვა აღმართს. გოჩა უხერხულად იდგა კიბეზე, მაგრამ მაინც ცდილობდა ტროტუარზე მოსიარულეთა დათვალიერებას. არა, გურანდა არსად ჩანდა...

კინოს ორივე სალაროსთან გრძელი რიგები გაწელილიყო, მორიგ სეანსზე ყიდდნენ ბილეთებს, რიგის კუდები ქუჩაში გამოდიოდა, მერე ერთმანეთს შორდებოდა და აქეთ-იქით შენობის კედელს მიჰყვებოდა. გოჩამ გაღმიდან გამოხედა კინოთეატრს, თვალებით დაეძებდა ცალკე მდგომ ქალს, ცალკე მდგომ გურანდას. მერე ქუჩა გადმოსჭრა.

კონტროლიორი ქალი კარის დაკეტვას აპირებდა. გოჩამ მიირბინა, სასწრაფოდ ხელი დაატანა კარებში და მიაწვა.

— ბილეთი გაქვთ? — ჰკითხა კონტროლიორმა და კარი ოდნავ გამოაღო.

— დიახ... არა, არა მაქვს! — გოჩამ მაყურებელთა მოსაცდელ ფოიეში შეჰყო თავი და სწრაფად მოათვალიერა, ფოიე ცარიელი იყო.

— თუ არა გაქვთ, რაღას აწვებით? — ჩაიბუზღუნა კონტროლიორმა ქალმა და ცხვირწინ მოუჯახუნა კარი.

რა თქმა უნდა, შესვლას არ აპირებდა, მაგრამ გოჩამ შეურაცხყოფა იგრძნო, გული ატკინა ქალის უზრდელობამ. ჯიბეში ხელი ჩაიყო და კინოს ბილეთები ამოიღო. „28. IV. 62". დაეშტამპათ ბილეთებზე თარიღი. „8 საათი", და მერე ქიმიური ფანქრით — მე-14 რიგი, მე-7 და მე-8 სკამები. გოჩა დაჰყურებდა კონტროლმოუხეველ ბილეთებს, რომლითაც ის და გურანდა კინოში უნდა შესულიყვნენ, დაჰყურებდა და ფიქრობდა, რომ ამ ბილეთებს ვერ გადაჰყრიდა, შეინახავდა, გრძნობდა, რომ შეინახავდა...

„ახლა ამ ადგილებზე ვიღაცეები სხედან, — გაიფიქრა მან, — ანდა, იქნებ ცარიელიც იყოს..."

ბილეთები ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გამოვიდა. უეცრად თავისი სახელი მოესმა. მოიხედა. რიგში მისი ამხანაგი იდგა და ხელს უქნევდა. სწორედ ის გაპრანჭული ამხანაგი, დღეს რომ ხიდზე შეხვდა. გოჩას რატომღაც გაეხარდა.

— გურანდა ხომ არ გინახავს? — ჰკითხა მისვლისთანავე.

— გურანდა? — შუბლი მოიქავა ამხანაგმა, — მგონი, სადღაც მოვკარი თვალი... ჰო, ჰო, აი, იქ იდგა, გადმოსასვლელთან...

— დიდი ხანია? — აღელდა გოჩა.

ამხანაგს ჩაეცინა.

— ნახევარი საათი იქნება... არ შემოდიხარ?

— არა!

გოჩა ხალხით სავსე ტროტუარს გაჰყვა, იგი მიაბიჯებდა ჩამწკრივებული ვერხვების ჩრდილში, თითქოს ისევ შუადღე იყო და ისევ მზეს ემალებოდა. ქუჩის იმ მხარეს საშინლად აცხუნებს ხოლმე მზე...

„სად დაიკარგა? — ფიქრობდა გოჩა, — სად უნდა წასულიყო? იქნებ, შინ დაბრუნდა უკვე? ანდა, იქნებ კინოში ვეგონე და იქ შევიდა?... სად დაიკარგე, გურანდა? აბა, თუ კარგი გოგო ხარ, იგრძნობ რომ გეძებ, სადაც არ უნდა იყო, იგრძნობ და ჩემს შესახვედრად წამოხვალ... ხუთი, ათი წუთის შემდეგ შემხვდები კიდეც, ან უკანიდან მომეპარები უეცრად... აბა, თუ ხარ კარგი გოგო, აბა, თუ იგრძნობ, რომ გეძებ... რა იქნება მართლა რომ შემხვდეს? აი, ამ წუთში, აი, იმ მოსახვევთან... მაშინ ხომ ნამდვილად დავიჯერებ, რომ იგრძნო".

მაგრამ, ეტყობა, გურანდა ძალიან შორს იყო, ანდა, სულ სხვა ფიქრებით იყო გართული მისი გონება. ალბათ, ასე იყო, რადგან იგი ვერ გრძნობდა გოჩას უსიტყვო ძახილს.

ჯორჯიაშვილის ქუჩაზე ჩაუხვია და დიდ ჭიშკრიან ეზოში შევიდა. ხის გრძელ აივნებს აჰხედა. ვიღაცას სარეცხი გაეფინა და იმ ოთახის ფანჯრები, სადაც გოჩა აპირებდა შესვლას, არ ჩანდა. ბნელ კიბეებზე აირბინა და ფრთხილად დააკაკუნა. აქ გურანდას ამხანაგი ცხოვრობდა, იქნებ...

— ო, გოჩა, რა კარგია რომ მოხვედი! — ტაში შემოჰკრა ქერათმიანმა თეთრმა გოგონამ, მერე ღია კარს გაეცალა და ხელი ოთახისკენ გაიშვირა, — ნახე, რა კარგი სტუმრები მყავს, შემო, შემო!

ჩაითა და ტკბილეულობით გაწყობილ მაგიდას ახალგაზრდა გოგონები და ბიჭები უსხდნენ, ზოგი ნაცნობი იყო გოჩასი. ხელისაწევით მიესალმნენ ოთახის სიღრმიდან, შემოდიო, ანიშნეს.

— ვერ შემოვალ, მანანა, მეჩქარება! — გოჩამ უკან დაიხია, აივნის მოაჯირს მიადგა ზურგით. მანანამ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა და მკლავში ჩააფრინდა.

— კარგი ახლა, წელიწადში ერთხელ გაგახსენდებით და ისიც... შემოდი რა!

— არა, მანანა... გურანდას ვეძებ! — წასჩურჩულა გოჩამ, — კინოში უნდა შევსულიყავით და სადღაც დამეკარგა, ვიფიქრე შენთან...

მანანამ ნაღვლიანი სახე მიიღო, ვითომ საშინლად შეაწუხა ამ ამბავმა.

— დილით კი ვნახე, მაგრამ მერე აღარ შემხვედრია, — და მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა, — სად წავიდოდა ნეტა?

გოჩას უეცრად შერცხვა, არ უნდოდა მისი აღელვება ეგრძნო მანანას, ამიტომ ასე თქვა:

— მით უარესი გურანდასთვის... მე ფილმი ნანახი მაქვს...

— მშვენიერი სურათია, — ჩაურთო მანანამ.

— იმან იკითხოს... ბილეთების დაკარგვა მენანებოდა და შენთან შემოვიარე, აქ ხომ არ არის-მეთქი...

— იქნებ მზიასთან წავიდა, ან თალიკოსთან? მოდი, გინდა დარეკე ჩვენგან!

— არა, წავალ ახლა შინ... მაინც სამუშაო მქონდა, ნახვამდის!

— ნახვამდის, გოჩა, ნუ დაგვივიწყებ!

როცა რუსთაველის ქუჩაზე ამოიყვაკა, უეცრად აჩახჩახდა მთელი პროსპექტი, აბდღვიალდა ქუჩის ლამპიონები და დღესავით განათდა. და გოჩას მოეჩვენა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა, რომ აქამდე უნდა ეპოვნა გურანდა, სანამ ქუჩის ნათურებს ჩართავდნენ ქალაქში, იმ სიბნელეში უნდა ეპოვნა, დღისა და ღამის გასაყართან, ის იყო ძებნისა და პოვნის მკაცრი ვადა,.. ახლა კი ყველაფერი გათავებულია, ახლა იმიტომ განათდა, რომ, სულერთია, უკვე ვეღარ იპოვნიდა გურანდას...

კიდევ კარგი მანანამ გაახსენა, ახლავე დაურეკავს მზიას, თალიკოს, სხვებსაც. სადმე ხომ უნდა იყოს გურანდა? პაპიროსის გამყიდველთან ორშაურიანი დაახურდავა და კავშირგაბმულობის სახლის ფართო და დინჯ კიბეებზე აირბინა.

დარეკა.

. . . . .

— არა, გოჩა, ჩემთან არ მოსულა...

დარეკა.

. . . . .

— ვინ ლაპარაკობს? ო, გოჩა?... არა, არა, გურანდა ერთი კვირაა, არ მინახავს... ისე, როგორ ხარ, რა არის შენსკენ ახალი?...

დარეკა.

. . . . .

— გურანდა? სად რეკავთ? აქ, ჯერჯერობით, არავის ქვია გურანდა!

და ბოლოს, დარეკა კიდევ ერთხელ.

„საოცარია... ახლა თუ გურანდა შინ არ არის, ნამდვილად გავგიჟდები", გაიფიქრა გოჩამ.

როცა ნომერი აკრიფა, შე[illegible]

თუ მართლა არ მისულა შინ, დეიდა ცაცას ნამდვილად რაღაც უბედურება ეგონებაო, ის იყო ყურმილის დადებას აპირებდა, რომ ტელეფონში გაისმა:

— დიახ... გისმენთ!

დედას და ქალიშვილს ძალიან უგავდათ ხმები და გოჩას სიხარულისგან გული შეუტოკდა.

— გისმენთ-მეთქი, ვინ ლაპარაკობს?

ახლა კი იცნო გოჩამ დეიდა ცაცას შეშფოთებული ხმა და მოულოდნელად, დაუფიქრებლად, ვიღაც უჩინარის კარნახით ხმა დაიბოხა, დაიდარბაისლა:

— გურანდას თხოვეთ... თუ შეიძლება!

— არ არის შინ... ვინ ბრძანდებით?

— ამხანაგი ვარ... მაპატიეთ... დავრეკავ კიდევ... მოგვიანებით, — გოჩამ ცივად დაკიდა ყურმილი.

„ვაი, თუ „უცნობმა" ხმამ უფრო შეაშფოთა დეიდა ცაცა, საიდან მომაგონდა, რა საჭირო იყო ახლა ხმის გამოცვლა?... ვაი, თუ მიხვდა, რომ მე ვიყავი!".

უეცრად, რაღაც ბედად მოაგონდა, რომ ამ საღამოს გურანდას პედაგოგი, საფორტეპიანო კლასის ხელმძღვანელი, მოსკოვს მიემგზავრებოდა. „აცილებს. აუცილებლად აცილებს... მე ვეღარ შემატყობინა", გაუელვა სასიხარულო აზრმა.

— ტაქსი, ტაქსი! — დაიყვირა მოუზომელად და ხელაწეული მანქანას გამოუდგა.

ათი წუთის შემდეგ უკვე ხალხით გაჭედილ რკინიგზის სადგურზე იყო. ქურდულად მიაბიჯებდა ბაქანზე, უხერხულად იხედებოდა აქეთ-იქით და ვაგონის ფანჯრების წინ მოფუსფუსე გამცილებლებს ათვალიერებდა. დაინახავს გურანდა და მაშინვე მიხვდება, რომ მთელი საღამო ეძებდა გოჩა, ჯერ ბოდიშს მოუხდის, შეწუხდება, მერე გოჩასაც უსაყვედურებს დაგვიანებას...

მაგრამ სად არის გურანდა?

აი, იქ იქნება!...

. . . . . . . . , .

არა, არ არის...

ალბათ, ის მაღალი კაცი ფარავს...

. . . . . . . . , .

არა, არც აქ ყოფილა...

იქნებ ახალი კაბა აცვია და ვერ ვცნობ?

. . . . . . . . ; .

იქნებ ვაგონშია შესული?

. . . . . . . . , .

იქნებ უკვე წავიდა?

იქნებ არც მოსულა?

გურანდა არსად ჩანდა, არსად!

მოსკოვის მატარებელი ისე ზანტად გასცილდა სადგურს, თითქოს აუცილებელი არც იყო მისი წასვლა. გოჩა ქალაქის გასასვლელში იდგა და უკან გამობრუნებულ გამცილებლებს ათვალიერებდა. ბაქანი დაცარიელდა. რკინიგზის ფორმაში გამოწყობილმა თხელმა და მაღალმა კაცმა რკინის დაბალი ჭიშკარი მოხურა და შიგნიდან გადარაზა...

...ათის ნახევარზე გოჩა ლენინის ქუჩაზე ჩამოვიდა მანქანიდან და ქალთა საპარიკმახეროში შეიხედა...

— მობრძანდით, ბატონო, რით გემსახუროთ? — ირონიულად გაიღიმა თეთრხალათიანმა ახალგაზრდა ქალმა, სკამი გამოსწია, ვითომ გოჩასთვის, და სწრაფად და მალულად გადახედა თანამშრომელ ქალებს, აქაოდა, ნახეთ, როგორ ვიხუმრეო.

გოჩას ყურადღება არ მიუქცევია, თავისი დარდი ეყოფოდა, გურანდა დაიკარგა, ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ...

რამდენი ხანია ძაძრწის ქალაქში გოჩა, სად არ შეიხედა, ვინ არ გააჩერა, ვის არ დაურეკა, მაგრამ გურანდა არსად იყო, გურანდას მნახველი არავინ აღმოჩნდა.

„მაგრამ სადღაც ხომ არის ამ წუთში? ან ლაპარაკობს, ან ვიღაცას თუ რაღაცას უყურებს, ან სადმე ქუჩაში მიაბიჯებს, ან წყალს სვამს, ან იცინის, ან რამეზე ფიქრობს... გოჩაზე ფიქრობს... ჰო, გოჩაზე ფიქრობს..."

უეცრად შეჩერდა, გაეღიმა, თითქოს

თავის თავს დასცინა, აქამდე როგორ ვერ მოვისაზრეო, მკვეთრად შემობრუნდა და უკვე დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯებით ჯავახიშვილის აღმართს აჰყვა. გოჩა მიდიოდა თავისი სახლისკენ. მას ახლა ვერავინ დაარწმუნებდა, რომ გურანდა მისი სახლის სადარბაზო შესასვლელთან არ უცდიდა. ალბათ, გურანდაც ეძებდა გოჩას, მოიარა მთელი ქალაქი, სად არ შეიხედა, ვის არ ჰკითხა, და მერმე იფიქრა: სადაც არ უნდა იყოს გოჩა, ბოლოს მაინც შინ მოვაო. ჰოდა, ახლა ელოდება გურანდა გოჩას. ამაში ისე დარწმუნებული იყო, რომ როცა სახლს მიუახლოვდა და გურანდა ვერ დაინახა, ეგონა, სადარბაზო კარს უკან დამემალაო. როცა იქაც ვერ ნახა, ერთი სართული აირბინა სულმოუთქმელად, მეზობელთან შეიხედა, ხომ არავის ვუკითხივარო, თავისი ბინის კარები აათვალიერა, ბარათი ხომ არ არის ჩატანებულიო, მერე ისევ ქვემოთ ჩამოირბინა და ქუჩას გაჰხედა.

ერთბაშად ოფლმა დაასხა. ისე ძლიერად მოისრისა შუბლი, ოთხ წითელ ზოლად დააჩნდა თითების ანაბეჭდები. საშინელმა ეჭვმა ატკინა ტვინი.

„იქნებ, გურანდა სულაც არ აპირებდა დღეს ჩემთან ყოფნას? იქნებ, სხვაგან უნდოდა წასვლა? სხვა საქმე ჰქონდა იქნებ?“

გოჩას ყრუდ მოესმა იმ აბობოქრებული მუსიკის ზღაპრული ხმები, რომელიც დღეს თან მისდევდა გურანდას სახლისკენ მიმავალს. ახლა მუსიკა შორს იყო, საკრავები აღარ გამოსცემდნენ გოლიათურ ბგერებს, ჩანჩქერებად აღარ იფრქვეოდა ჰანგები... მერე ხიდზე დაჩნეული ქალთა ტუფლების ნაქუსლარები მოაგონდა, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგინა გურანდა, რომელსაც ხელში ბავშვი ჰყავდა აყვანილი, როგორ უნდოდა, რამდენს ეცადა და ვერ წარმოიდგინა. მერე კაპელმეისტერი და სამხედრო ორკესტრი გაახსენდა. გაახსენდა და რაღაც უცნაურად ჩაეღიმა. ამ დროს ვინმე გამვლელს რომ შეეხედნა გოჩასთვის, გააკვირვებდა ამ ლამაზი, შავგვრემანი ახალგაზრდის უჩვეულო ღიმილი, რომელშიც გაოცებაც იყო, ირონიაც და სინანულიც ერთდროულად. გოჩა ფიქრობდა:

„ხსენებაც კი საკმარისი ყოფილა... მხოლოდ ხსენება... რომ გურანდა დამკარგვოდა...“

პაპიროსი ამოიღო და ცეცხლი წაუკიდა, ღრმად ჩაისუნთქა და დიდხანს გააჩერა ფილტვებში კვამლი, მსუბუქი თავბრუს ხვევა იგრძნო, ხელმეორედ დაეწაფა პაპიროსს და ხელმეორედ ჩაიგუბა მკერდში.

„იქნებ სულაც არ აპირებდა ჩემთან ყოფნას ამ საღამოს?...“ არ ასვენებდა ეს სიტყვები, იგივე სიტყვები იწვევდნენ შეთხზულ, ფანტასტიკურ სურათებს: გურანდა ხან მატარებლით მიჰქროდა, ხან სადღაც ბალის სიმყუდროვეში იჯდა, ხან უცხო ქალაქის უცხო ქუჩაში მიაბიჯებდა, და ჰქონდა სულ სხვაგვარი თვალები, სხვაგვარი თმები და სხვაგვარი გამოხედვა. გოჩას ვერ ცნობდა და ყველგან — მატარებელშიც, ბაღშიც და უცხო ქალაქის უცხო ქუჩაშიც უყურადღებოდ უვლიდა გვერდს იმ ლამაზი ქალივით, რომელმაც იცის, რომ პირველად ხედავ...

ყველაფერი გოჩას ბრალია, სუყველაფერი... რატომ დააგვიანა? კინოში კი არა და, დღეს შინ წაყვანას უპირებდა გურანდას, სამუდამოდ წაყვანას... რა მოხდა, რამ აალელვა ასე? ასულიყო თავის დროზე გურანდასთან და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მისი ბრალია, ყველაფერი მისი ბრალია, იცის ხოლმე გაზვიადება... ბოლოსდაბოლოს, სხვა დროს წავიდოდა იმ კაპელმეისტერთან, მონახავდა სადაც არ უნდა ყოფილიყო...

გოჩა ქალაქის მთავარ პროსპექტს მიჰყვებოდა თავჩაქინდრული. რაღაც ალღოთი, მაგრამ სრულიად დაუფიქრებლად, იგი საფოსტო მტრედივით უბრუნდებოდა იმ ადგილს, საიდანაც გურანდას საძებრად აფრინდა.

გამვლელთა უჩვეულო სიმრავლემ და

ხმამაღალმა ლაპარაკმა ფიქრები დაუფანტა, თავი მაღლა ასწია. იგი რუსთაველის კინოთეატრს უახლოვდებოდა. რვასაათიანი სეანსი დამთავრებულიყო და მაყურებლები ფართო ნაკადად მოჰყვებოდნენ ტროტუარს.

უეცრად გოჩა ისე მოულოდნელად შედგა, უკან მოთმავალმა ვიღაც გამვლელმა ძლივს აუქცია გვერდი, რომ ზედ არ შესკდომოდა.

მაყურებელთა შორის გურანდა მოდიოდა...

გურანდა მოდიოდა ვიღაც ბიჭთან, სულ უცნობ ბიჭთან...

გოჩა პირველად ხედავდა იმ ბიჭს...

გურანდა მოდიოდა და რაღაცას გაცხოველებით უამბობდა იმ ვაჟს, თავის ლამაზ ხელებს იქნევდა და კისკისებდა.

გურანდა მოდიოდა ვიღაც ბიჭთან, სულ უცნობ ბიჭთან, გოჩას ის ბიჭი არასოდეს ენახა, მსხვილი, ძლიერი კისერი ჰქონდა და სქელი ტუჩები, ვიწრო შუბლი და ელვარე თვალები, ცხოველური გამომეტყველება და თავხედური ღიმილი... ხარბად ათვალიერებდა გურანდას, მსუნაგურად ჩაეჭიდა ხელი მის შიშველ მკლავზე და ზედ დასცქეროდა, თითქოს ღვინით სავსე ყანწი აელო პირთამდე სავსე და სული ელეოდა სანამ დასცლიდა...

სადღაც, გონების უცნობ სივრცეში ამოიკვამლა მკვდარი გოჩა, არასოდეს მოჩვენებია ეს სურათი...

„ასე მოხდება, მე რომ მოვკვდე, — გაიფიქრა გოჩამ, — სადღაც, ფრონტზე რომ დავიღუპო“.

და უეცრად წარმოიდგინა, რომ ომი მართლა დაიწყო... პირველსავე დღეს დაიღუპა გოჩა, და გურანდამ სხვა იპოვნა, სხვას შეუერთა თავისი ბედი... მაგრამ ომი ისეთი საშინელი იყო, ისეთი ჯოჯოხეთური, რომ ის „სხვაც“ მოკვდა და ბოლოს — გურანდაც, გურანდაც!.. და გოჩას შეებრალა გურანდა... აპატია ყველაფერი, რადგან გულისმომკვლელად შეებრალა... აპატია, რადგან მისმა გურანდამ ვერც გოჩასთან იპოვნა ბედნიერება, ვერც სხვასთან... და ვერც ვეღარასოდეს იპოვნიდა...

აი, ახლოვდებიან... ახლოვდებიან... ახლა არ შეიძლება რომ გურანდამ გოჩასკენ არ მოიხედოს, არაფრით არ შეიძლება. გურანდა იგრძნობს გოჩას სიახლოვეს, იგრძნობს და მოიხედავს... წარმოუდგენელია, რომ არ მოიხედოს...

ჩაიარეს...

იმ უცნობმა ბიჭმა და გურანდამ ჩაიარეს... გურანდა იღიმებოდა, რაღაცას ყვებოდა გატაცებით, მისი ბავშვური, მგრძნობიარე ხმა ახლა სხვის ყურებს ატკბობდა. იმ ბიჭს კისერი მოეღრიცა და ისევ ხარბად ათვალიერებდა გურანდას...

უეცრად გურანდა შეჩერდა. მკლავზე ხელი გააშვებინა იმ ბიჭს, აქეთ-იქით დაიწყო ყურება, თითქოს ვიღაც ეძახდა და ვეღარ გარკვეულიყო, საიდან მოდიოდა ეს ხმა. კარგა ხანს იყო ასე აწრიალებული, მერე ისევ იმ ბიჭთან მივიდა და...

გზა განაგრძეს...

გოჩა ხის ჩრდილს გაეცალა, სწრაფი ნაბიჯებით დაეწია გურანდას და მკლავზე ხელი ჩასჭიდა:

— კინოში იყავი?

— გოჩა?! — დაიძახა გურანდამ და მკერდში ჩაეკრა, — გოჩა! — აუციმციმდა წყლიანი თვალები, — გოჩა, სადა ხარ, რამდენი გელოდე... მერე აქ, კინოსთან გელოდე, რატომ არ მოხვედი, გოჩა?.... მერე ჩემმა ამხანაგმა დამპატიჟა... გაიცანით... ეს ჩემი სკოლის ამხანაგია...

გოჩას სახეზე არც შეუხედავს იმ უცნობისათვის, ხელი ჩამოართვა და უნებურად მაგრად მოუჭირა, მერე სწრაფად შეუშვა, გურანდა კი განაგრძობდა:

— დამპატიჟა... ზედმეტი ბილეთი აღმოაჩნდა... შენ ხომ მაინც ნანახი გქონდა ეს ფილმი, გოჩა... ჰოდა, შევედი.

— კარგი გიქნია! — თქვა გოჩამ.

გურანდა იმ ბიჭს მიუბრუნდა:

— დიდი მადლობელი ვარ, ნახვამდის, ჩვენ აქეთ მივდივართ!

სქელკისერამ რაღაც ჩაიბურდღუნა და თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა გოჩა.

მიდიოდა გოჩა. გურანდა ძლივს უსწორებდა ნაბიჯს, მიდიოდა გოჩა და ზურგში სუსხს გრძნობდა. იცოდა, რომ ის ბიჭი თვალს არ აცილებდა მათ. უნდოდა აღარ ეგრძნო ეს სუსხი, მოეცილებინა, მოეშორებინა. უნდოდა მოეშორებინა ამ საღამომდელი ფიქრების მწვავე სუსხი, დაეწმინდა, ამოერეცხა ნალექი, რომელიც გულში ჩარჩენოდა.

— შენ ნაწყენი ხარ ხომ, გოჩა? — მოესმა გურანდას ხმა.

— რაზე მატყობ?

— ისე ჩქარა მიდიხარ... არც კი მიცდი.

— აჰა, ახლა ნელა მივდივარ... ხომ აღარა ვარ ნაწყენი?!

— გოჩა, შენ მართლა ნაწყენი ყოფილხარ,.. იცი, უხერხული იყო უარის თქმა, იფიქრებდა, რომ...

— მე კი დღეს შენი წაყვანა მინდოდა, — თითქოს თავისთავს შეახსენა გოჩამ.

— სად?

— ჩემთან... სამუდამოდ!

— სამუდამოდ? — გაეცინა გურანდას, — მერე რატომ დაიგვიანე?

გურანდა გაჩუმდა, ხელი ჩასჭიდა გოჩას, ფეხი შეუწყო. გოჩა ირიბად ჩაჰყურებდა მის დაბლა დახრილ წამწამებს, ერთბაშად ჩაფიქრებულ, საყვარელ სახეს.

— არა, გოჩა... დღეს ის დღე არ იყო... ის დღე სულ სხვაგვარი უნდა იყოს, სულ სხვანაირი, რაღაც ციმციმა, თუ... ბრჭყვიალა, თუ... ოქროსფერი, თუ... არ ვიცი, ის დღე სულ, სულ სხვაგვარი უნდა იყოს... მე ამოვარჩევ იმ დღეს, კარგი, გოჩა? მე თვითონ ვიგრძნობ, რომ აი, დღესაა ის დღე, და გეტყვი... მაშინ წამიყვანე...

გოჩამ იგრძნო, როგორ დაუთბა სხეული, როგორ დაუარა თავიდან ფეხებამდე საამო ჟრუანტელმა.

„რა საოცრად მომხიბვლელია, ღმერთო, რა საოცრად მომხიბვლელია".

— მე კი იცი, რას ვფიქრობდი დღეს კინოში? — ქვემოდან ამოხედა გურანდამ.

— რას ფიქრობდი?

— გითხრა?

— მითხარი, რას მაშინებ...

— ვფიქრობდი — ხომ შეიძლება მერე გოჩას სხვა შეუყვარდეს-მეთქი?

— შეიძლება, — თქვა გოჩამ და გურანდას გაოცება აღარ აცალა, — მაგრამ ვინც ამის შემდეგ შემიყვარდება, ისიც შენ იქნები!

ეტყობა, გურანდას ძალიან მოეწონა ასეთი პასუხი, გაჩუმდა, თავი დახარა.

ისინი ერთად მიაბიჯებდნენ, ერთმანეთისგან ოდნავ დაშორებულნი, მაგრამ გოჩას ეჩვენებოდა, რომ გურანდა ხელში ჰყავდა აყვანილი და ისე მაგრად ჩახუტებული, თავისი ღონიერი მკლავების ისეთი მარწუხებით შებოჭილი, რომ ვერავინ წაართმევდა, ვერავითარი ძალა ვერ შესძლებდა მათ დაშორებას.

როცა გურანდას სახლის სადარბაზო კარებში შევიდნენ და კიბეს მიადგნენ, მართლაც მიუბრუნდა და უთხრა:

— გინდა ხელით აგიყვან!

— უჰ, რას ამბობ... დაიღლები!

— შენ რა გინდა, აგიყვან!

დაიხარა და ბუმბულივით აიტაცა გურანდა, მკერდზე მიიკრო და საფეხურებს აჰყვა.

— უჰ, რა კარგია, უჰ, რა კარგია! — კისკისებდა გურანდა.

შინ აღარ შემოვალო, დედას უთხარი, ერთად ვიყავით კინოში, ველარ მოვასწარი და ვეღარ დაგირეკე-თქო, დაარიგა გურანდა, ხვალამდე გამოემშვიდობა და სანამ ძირს დასვამდა, ტუჩებში აკოცა, თავისი დაღლილი, ძლიერი სუნთქვა გურანდას ნაზსა და მიმქრალ სუნთქვას შეუერთა...

ორთაჭალჰესის საგუბარი აეშვათ და

მტკვარი ისევ გაცოცხლებულიყო, წყლის უძრავი, სქელი ფენა სადღაც გაპარულიყო, მხოლოდ მოსილული ნაპირები დაეტოვებინა სახსოვრად... სანაპიროს ლამპიონების შუქი მდინარის პატარა ტალღებს დაეტეხათ, დაექუცმაცებინათ, თითქოს წყალში უამრავი სარკის ნამტვრევი ეყარა და უამრავ ანარეკლსავე უბრუნებდა ქალაქს.

იყო მშვიდი და ვრცელი ღამე.

გოჩა ხიდის მოაჯირს გადაეყრდნო; სწორედ იმ ადგილას, საიდანაც დღისით ჯარების წინასაზეიმო ვარჯიშს დაჰყურებდა. თვალებით მოძებნა ის ხეები, რომელთა წინ სახელდახელო ტრიბუნა იდგა და სამხედრო ორკესტრი უკრავდა. გაახსენდა კაპელმეისტერის კეთილი, სათნო სახე და უეცრად ინანა, ინანა, რომ შეაშფოთა ხანშიშესული მუსიკოსი, რაღაც უბედურება მოაჩვენა თავისი მოულოდნელი გამოცხადებით. და გოჩამ იგრძნო, რომ ხვალ, პირველ საათზე, იგი აღარ მივა სამხედრო ორკესტრის რეპეტიციაზე, აღარ მოსთხოვს ახსნა-განმარტებას კაპელმეისტერს... მისი მარში დღეს სამხედროვალდებულია... არა, აღარ მივა...

ხიდის თაღქვეშ გამძვრალ სანაპირო ქუჩას დასცქეროდა გოჩა, საკუთარ სინათლეებს დასდევნებოდნენ ავტომანქანები, თითქოს უცნაური, მანათობელი თევზები დასრიალებდნენ გამჭვირვალე წყლის ფსკერზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ხუტა ბერულავა

უბის წიგნიდან

### ქართველ მესტამბეებს

პოეტის ნაწერს თქვენ ყველაზე პირველად ხედავთ,
როცა კითხულობთ ანბან-ანბან და მღელვარებით,
მესტამბეებო, ამ მეგობრულ შეძახილს ვბედავ,
რადგან მიყვარხართ მთელი გულით და მეყვარებით.

სახელი თქვენი წიგნებს ხშირად არ აწერია,
თუმცა თქვენც ჰქმნიდით გატაცებით და შთაგონებით...
უსმინეთ, ძმებო, დროის ქარში როგორ მღერიან
მათი ფურცლები, ჩუქურთმები, კაბადონები!

წინაშე თქვენდა გარდაუხდელ ვალში არიან
ოქრომჭედლები სიტყვის, აზრის, გრძნობის, ფერების.
(მეც ვერ გშორდებით ამ შრომაში და მიხარია,
ვახტანგ მეექვსის შთამომავლად რომ ვიწერები!)

ნურც წარიშალოს, რაც შექმნილა წვითა და რწმენით,
ელავდეს მუდამ რუსთველური ასოხლართული,
და, ვით უკვდავი ანაბეჭდი ცხოვრების ჩვენის,
ცოცხლობდეს ქვეყნად წიგნი ქართული!

### მხოლოდ სიმღერა

ყვავილი ყველგან, კაცის გულშიც, შინაც და გარეც.
დიდება ყვავილს და სიცოცხლე სამშობლო მხარეს!

ყველა ფანჯარას, რაც კი არის საქართველოში,
ყველა გზაშარას, რაც კი არის საქართველოში,

ყველა აივანს, რაც კი არის საქართველოში,
მინდორს ნამიანს, რაც კი არის საქართველოში,

უნდა გაუჩნდეს ყვავილების თეთრი ხანძარი
და იმ ხანძარში მეც გენახეთ მაშინ დამწვარი.

ყვავილი ყველგან, კაცის გულშიც, შინაც და გარეც.
სიცოცხლე ყვავილს და დიდება სამშობლო მხარეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალისტები... ხუთი მაისი...

მოუსვენრობა!—აი, რაა სიმშვიდე თქვენი,
დადიხართ ქვეყნად უფარაჯო ჯარისკაცები,
რომ ცას და მიწას მიახაროთ მადლიან ენით
ქვეყნის იმედი, ხალხის ფიქრი, კაცის განცდები.

სადღაც კაცს უჭირს და მასთან ხართ ელვარე კალმით,
სიხარულია და სიხარულს ქვეყანას ამცნობთ,
წუხილს გაიგებთ და მიჰქრიხართ უებარ წამლით,
დაუცხრომელნო, სიმართლის და სინათლის კაცნო!

და დღეს, რა გზა მაქვს, არ გამოვტყდე; დასტურ არ ვიცი,
თქვენ მოგილოცოთ, თუ მე თვითონ ალვივსო ლხენით,
მეც პირველ რიგში, მეგობრებო, ვარ ჟურნალისტი
და შემდეგ... ალბათ დამერქმევა პოეტი თქვენი!

ვიდრე ცოცხალ ვარ, სიტყვა ჩემი არის უცვლელი,
ვივლი თქვენსავით, ლექსისა და გაზეთის კაცად.
მიიღეთ ჩემი სიყვარული წმინდა, გულწრფელი
და ეს ბარათი—ვაჟკაცური ამბორის ნაცვლად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ოთარ ჭელიძე

# წიგნიდან „ათას ერთი ღამის წერილები"

### წერილი XIII

ჰო, ვისაც ლოდინით შეუვსია
სიცოცხლის სარწყული საკუთარი,
აშკარად, თამამად შეუძლია
თქვას—რაა ყველაზე სანუკვარი!
შენდამი წერილით შეუცვლია
საწუთროს ავკარგზე საუბარი.
და როცა სისხლშიაც შემოსტობა,
ასკმა დამიწყო მოძალება,
რომ ვხედავ უწყალო შემოდგომა
ჟუბოსფერ ფოთლებით მობრძანდება,
მწუხრია შენს სულში შემოხტომა,
დღეიდან დავკარგე მოკრძალება.
და როცა ქუჩაში გადახვედი,
სარკმელი ხელდახელ გამოვაღე,
სრულიად თბილისის ქალთა ღმერთი
უბრალო მოკვდავად წარმოგსახე.
ბავშვივით იმდენად გავთავხედდი,
ბავშვობის სახელი წამოგძახე.
და როცა ნიავმა წამოჰბერა,
ჩემი ხმა ვერასგზით მოგაწვდინე,
უღრუბლო წარსულის წარმოდგენამ
გამხადა მგზავრობის მონაწილე,
როდესაც სიმწარის მწყალობელმა
აწმყომდე უსიტყვოდ მომაცილე.
მე, ვისაც ლოდინით შემივსია
სიცოცხლის სარწყული საკუთარი,
აშკარად, თამამად შემიძლია
ვთქვა—რაა ყველაზე სანუკვარი,
შენდამი წერილით შემიცვლია
საწუთროს ავკარგზე საუბარი.

### წერილი XIV

უპასუხო წერილს როცა ვუთევ,
გადმოსცემენ მოცარტს რადიოთი
და მახსენებს დავიწყებულ წუთებს,—
შენთან სტუმრად როცა დავდიოდი.
მიწუდებოდა რეკვა სიზმრის ზართა,
სახურავი თვლემდა როიალის,
ამოტვიფრულ მარმარილოს მსგავსად
ზედ ეხატა სახე მგლოვიარის.
ბედისწერას ატანილი ბავშვის
მქონდა კუშტი, ცივი გამოხედვა,
ტკივილივით მეწყებოდა მაშინ
შენგან გამშრალ სისხლის ამბოხება.
კლავიშები თეთრი კბილებივით
კრთოდნენ მაცდურ, ყალბი გაღიმებით,
შესახვედრად ვშორდებოდით დილით,
გატეხილი ღამით დაღლილები.
შენი სახე დამრჩა ამომწვარი
ოთხ კედელზე ჩემთა თვალთა ცეცხლით,
ჰოი, განა ჟამი საოცარი
დავიწყებას ერთად გადავეცით!
სანუგეშოდ უკრავს მხოლოდ ჩემთვის
ოთხ როიალს ოთხი შავი ქალი,
მუსიკის ხმა გრუხუნია თერგის
და ოთახი არის დარიალი.
ოთხივ მხარეს კედლებია კლდეთა,
მათ ჭრის რკინის საჭრისივით ბგერა,—
გაქვავებულ გულზეც ამომკვეთა
შენი სახე—ჩემი ბედისწერა.
შუაღამის ზარებს ყური უგდე,
გადმოსცემენ მოცარტს რადიოთი
და მახსინებს დავიწყებულ წუთებს,
შენთან სტუმრად როცა დავდიოდი.

### წერილი XV

ჩავ დღეს ღამეთა ტეხვა დამმართებს,
შენგან იაფად ვარ გაყიდული,
გწერ და უწყალოდ კეტავს ბარათებს
უჯრის წყვდიადი მარადიული.
გამოუგზავნელს ამწყვდევს წერილებს,
როგორც უცოდველ, მართალ
ტუსაღებს,
მაგრამ მათ—დაწვას გადარჩენილებს
დრო მოწმეებად გამოუძახებს.
და შენ წარსდგები ხვედრის წინაშე,

სამსჯავროს ველარ გადაურჩები,
იგემებ ცხარე ცრემლის სიმლაშეს
ჩემსსისხლნაწოვარ ლამაზ ტუჩებით.
დრო დაბადებას დაგაჭყევლინებს,
ბედშავად გაქცევს ბედით კმაყოფილს
და შავით თეთრზე დაგაწერინებს,
რომ ხარ მიზეზი ჩემი არყოფნის.

### ᲬᲔᲠᲘᲚᲘ XVI

საქართველოში რაც ლომებია—
ჩემი ბალღობის ნაცნობებია,
მაგრამ, რომ ჰკითხო ნამდვილ თამადას,
როგორ მოყვრობდნენ ლაშქრად
ძველები,
მოგხვდები, ალბათ, ნათესავადაც,
ისე ცოტანი ვართ ქართველები.
შენ ხარ ძუ ლომი—ღირსი ხოტბათა,
ვისაც წინაპართ სისხლი მოხმარდა,
რათა ხორციელ სრულყოფილებად
ჩამოენაკვთა კდემა, სინაზე
და ჩემ სალოცავ უცხო ქმნილებად
წარმოესახა დედამიწაზე.
ასე მგონია შენი გულისათვის
ამტყდარა ქვეყნად ომი ურიცხვი,
ცხენდაცხენ ჯიქურ ჩეხდნენ ერთმანეთს,
იყო ჯახანი რკინის თორების,
ხმლებით ბზესავით ლეწდნენ ბეგთარებს,
ორთქლავდა ველი სისხლის ტბორების,
ჰო, შენ იყავი ალბათ, იგი მზე,
რომ კისკისებდი მხდალთა სიკვდილზე,
რომ ქვითინებდი ლომის დაჭრისას,
რომ დაეძებდი, ვის დაეძებდი?
ყრმას დაეძებდი, რომლის აჩრდილსაც
ვერ წარმოვადგენთ ახლა ვერცერთი.
შენში იმ ქალის სილამაზეა,
ვინც გაათცა წინა აზია,
რომი, კოლხეთი და ბაბილონი,
დროჟამის ჟანგთან შებმა შებედა,
გამოჩნდნენ მასთან სასაცილონი
ტურფა მხევალნი მხედარ მეფეთა,
და ათასი წლის შემდეგ ბარათებს
გწერ და გარდასულ დღეებს განატრებს
ერთი იმ ქართველ მოყმეთაგანი,
ვინც თეთრ ქაღალდზე დარდს
ალვენთებდა,
ვინც ათასერთი ღამის ამბავი
დაიწყო შენდა გასაღმერთებლად.
შენ ხარ ძუ ლომი, ღირსი ხოტბათა,
ვისაც წინაპართ სისხლი მოხმარდა,
რათა ხორციელ სრულყოფილებად
ჩამოენაკვთე კდემა, სინაზე
და ჩემს სალოცავ უცხო ქმნილებად
წარმოისახე დედამიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლადო მრელაშვილი

# ყ ა ბ ა ხ ი*

— რისთვისაც წამოდექი, შენ იმ საქმეზე ილაპარაკე, — მობეზრდა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს. — ეგ იმ საქმესთან არავითარ კავშირში არ არი.

მდივანი თითქოს ამას ელოდაო, წამოდგა ფეხზე, ფანქარი თითებშუა მოიქცია და ორივე ხელის გულით მინას დაეყრდნო.

— საკმარისია, მეტი აღარ არი საჭირო. უკვე გარკვეულია საქმე. აქ სიტყვებისა და ურთიერთ ბრალდებების მთელი კორიანტელი დააყენეს და, რომ ნებაზე მივუშვათ, მთელ კვირას არ გაათავებენ. უკვე ნათელია, რომ იმ ორგანოში, როგორიც მილიციაა, არსებობს დაჯგუფებანი და შინაგანი ინტრიგა ღრღნის. ჩვენ, ამხანაგებო, სამოქალაქო ომი კარგა ხანია მოვათავეთ და ისტორიასაც ჩავაბარეთ. ამათ რა წესრიგი უნდა დამიმყარონ რაიონში, როდესაც თვით მის შიგნით არ არი წესრიგი? მთელი დღეები, კვირეები და თვეები კინკლაობას უნდებიან და ადრიდანვე აწყობილი საქმე უკან მიჰყავთ. ძალიან ცუდად იქცევით, ამხანაგებო, ახლა თქვენ აუცილებლად პარტიულ სასჯელს დაგადებთ და, მე მგონია, მაშინ მაინც ისწავლით ცოტაოდენ ჭკუას.

მდივანმა ცოტა ხანს შეისვენა, მერე თვალი კაბინეტს მოავლო, ფანქარი ბოლოთი მინას მძიმედ დაჰკრა და ერთბაშად მოჭრა:

— თქვენი ერთად მუშაობა შეუძლებელია. გედისა და კიბოსი არ იყოს, თქვენი აქეთ-იქით წევა რაიონს არ გამოადგება. ორი გამდელის ხელში კი ყმაწვილი დაგვეჩაგრება.

— ამათი ერთად მუშაობა არ შეიძლება, — დაეთანხმა რაიაღმასკომის თავმჯდომარე.

მდივანმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქ მყოფთ და იკითხა:

— ბიუროს წევრები რას იტყვიან?

— რასაც თქვენა ბრძანებთ, ლუარსაბ სოლომონიჩ!

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ვენტილიატორის ზუზუნი უკვე აშკარად ესმოდათ შორეულ კუთხეშიც.

მდივანმა წარბი შეიკრა და ქეშად გახედა გულუბრყვილო ემტეესის უფროსს.

რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ღიმილი გაუკრთა მაგრად მოკუმულ ტუჩებზე.

კაბინეტი მოლოდინით დაიძაბა.

— დაისვას საკითხი ოლქის მილიციის სამმართველოს წინაშე ამხანაგ გრიგოლ პეტრეს-ძე ჯაშიაშვილის სხვა რაიონში გადაყვანის შესახებ ვინაიდან მისი მუშაობა ამჟამად მილიციის უფროსად მყოფ ვანო ესტატეს-ძე ღაღანაშვილთან ერთად შეუთავსებელია, — ისე ტკეპნით ლაპარაკობდა რაიკომის მდივანი, რომ, ეტყობოდა, ეს საქმე ადრევე ქონდა გადაწყვეტილი. — და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური თავისი უფროსის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიისათვის.

მილიციის უფროსი ისე მძიმედ ჩამოჯდა სკამზე და ისეთი შვებით ამოიქშინა, გეგონებოდათ ტროლეიბუსის შინა დაეშვაო.

მაიორს სიბრაზისაგან კინაღამ ცრემ-

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 8.

ლები წამოსცვივდა თვალებიდან და ბოღმისაგან გაგუდული ხმით იკითხა:

— მერე ეს განა სამართლიანი იქნება, სოლომონიჩ?

— აუცილებლად. თქვენი ორივეს ერთად მუშაობა შეუთავსებელია. წადი, რაკი აქაურობა არ მოგწონს, სხვაგან შეგიძლია დაამტკიცო შენი კაიკაცობა.

— ჩემს კაიკაცობას ყველგან დავამტკიცებ, მაგრამ უსამართლო განაჩენი რატომ უნდა ვზიდო? ან ეს სასჯელი რაღააო?

— ნუ გეშინია, არც ღლანაშვილი დარჩება დაუსჯელი. თქვენი კვლავ ერთად მუშაობა შეუძლებელია.

მდივნის თანაშემწე აჩქარებით ავსებდა ქაღალდებს და ასეთივე სისწრაფით ჰყრიდა გვერდზე.

რაიკომის მდივანი ბიუროს წევრებს მიუბრუნდა.

— მე ვფიქრობ, ამითი დავამთავროთ დღევანდელი ბიურო, რადგან უკანასკნელი საკითხი მოუმზადებელია.

ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს და ამით დარჩენილი განსახილველი საკითხი შემდეგი ბიუროსათვის იქნა გადადებული.

ხალხი აიშალა და სკამების ვიწრო მწკრივებს შუა ფრთხილად დაიწყო გზის გაკვლევა.

წამოდგნენ ბიუროს წევრებიც.

რაიაღმასკომის თავმჯდომარემ პაპიროსს მოუკიდა, მოქაჩა, მერე უცებ ნამწვი საფერფლეს დაასრისა და ისიც წამოდგა.

— მე მგონია, ლუარსაბ, რაიონიდან მილიციის უფროსი უნდა წასულიყო.

მდივანმა განიერ, დაკუთხულ სახეს ახედა, ხელი ჩაიქნია და არაფერი უპასუხა.

მოსაუბრე რაკი მიხვდა, რომ მდივანს ასე სურსო, უსიტყვოდ გაბრუნდა და საკიდარიდან თავისი ქუდი ჩამოიღო.

მილიციის უფროსის მოადგილემ დააყოვნა გარეთ გასვლა და მდივნის მაგიდას მიუახლოვდა. უნდოდა, ორიოდე სიტყვა ეთქვა, მაგრამ აგრძნობინეს განაჩენი საბოლოოა და მისი „კასაცია“ არ შეიძლებაო.

— თუ უსაფუძვლოდ მიგაჩნია, მიმართე ოლქის განყოფილებას, ან პირდაპირ თქვენს სამინისტროს.

მაიორმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი და გაბრუნებულმა მწარედ წაიდუდუნა.

— იმათი ლოცვა-კურთხევითა ზის ეგ აქა და დავიჯერო, იმდენად სულელად მიგაჩნივართ, რომ იქ მივიდე მაგაზე საჩივრით?

მდივნის თანაშემწემ წესრიგში მოიყვანა ყველა ქაღალდები. ოქმის თაბახებიც შეაგროვა, გვერდების მიხედვით დააწყო, საქმეში ჩადო და მდივანს მიუჩოჩა მაგიდაზე.

მერე ყველა გაიკრიბა კაბინეტიდან და მდივანი ისევ მარტო დარჩა.

იგი ერთხანს იყო გაბრუებულივით, მერე მაგიდის ძგიდესთან ღილაკს თითი დააჭირა.

ზარის წკრიალზე მაღალი, კოხტა ქალი შემოვიდა მოსაცდელი ოთახიდან.

მდივანმა ხელით ანიშნა, რომ მაგიდა წესრიგში მოეყვანა და საფერფლე პაპიროსის ნამწვავებისაგან დაეცალა.

სანამდე ქალი დავალებას ასრულებდა, მანამდე მდივანმა თავზე ხელები შემოიწყო, იდაყვები მაგიდას ჩამოაყრდნო და ისევ თავის საფიქრალს მიეცა.

ერთხანს იყო ასე, მერე, რაკი ქალმა მაგიდა მიალაგ-მოალაგა და მოშორებით მოლოდინით გაჩერდა, თავი აიღო და დაღლილი ხმით იკითხა:

— ვინც დღეისათვის იყო დაბარებული ბიუროზე და მათი საკითხი ვერ გავიტანეთ, ყველა წავიდა?

— ყველა წავიდა. მხოლოდ ერთი კაცი დარჩა და დილას აქეთია გელოდებათ. ძალიან ჯიუტია. მე ვუთხარი, მდივანი დღეს ისეა გადატვირთული, რომ თქვენი მიღება შეუძლებელია-მეთქი. არაფრით არ გაიგონა. თქვენ მოახსენეთ, რომ ნართიაშვილი გელოდებათ და ის უეჭველად მიმიღებსო, ამბობს. მე მახსოვს ის კაცი სახეზე, რამდენიმეჯერ მინახავს თქვენთან მოსული.

მდივანმა შუბლზე გადაისვა ხელი და მძიმედ უთხრა:

— შემოუშვი.

ქალი გაბრუნდა, მუშამბიანი კარი უჩუმრად გააღო და მოსაცდელში გასძახა:

— მობრძანდით.

დაბალი, მსუქანი და წითელთმიანი კაცი წელში ოდნავ მოხრილი შემოვიდა, ჩალის ძველი შლიაპა ორივე ხელით გულთან მიკრული მოჰქონდა და თან ნაბიჯებს ისეთი ქანაობითა და ფრთხილად ადგამდა იატაკზე, გეგონებოდათ, დიდი იმედი არა აქვს მისი სიმაგრისა და ეშინია, არ ჩაინგრესო. მივიდა ახლოს, სახეზე მორჩილი ღიმილი გაიფინა და თავი მოწიწებით დაუკრა.

მდივანმა ხელი უნდილად გადაუგდო და მანაც დიდი მადლობით ჩამოართვა.

— დაჯექი, თედო.

მოსული დაჯდა, მდივანს ლოდინით მიაჩერდა და მთლად ღიმილად იქცა.

— როგორა ხარ, ახალს რას იტყვი, თედო?

თედომ მოკითხვისათვის მადლობა გადაიხადა და კვლავ გაჩუმდა.

— რაშია საქმე, თედო, რაზე გარჯილხარ?

თედომ ყური ახლოს მისწია.

— რა ბრძანეთ?

— შენ უსაქმოდ არ გაირჯებოდი, რა ამბავია? — ხმას ოდნავ დაატანა ძალა მდივანმა.

თედოს არა უთქვამს რა და არც ღიმილი მოუშორებია სახიდან. ორივე ხელის თითები ერთმანეთში გაუყარა, ცერები ურთიერთ გარშემო დაატრიალა, ქალისკენ თვალი ფრთხილად გააპარა და მერე ისევ მდივანს მიხედა.

— თუ აღარ გჭირდებით, მე გეახლებით, — მიხვდა ქალი და კარებთან შეჩერდა.

— ჰო, ცოტა ხანს იქ დამიცადე.

ქალი გავიდა.

თედომ ერთხელ კიდევ გახედა გახურულ კარს და, რაკი დარწმუნდა მდივანთან მარტო ვარო, მაგიდაზე გადაიხარა და თითონაც ჩურჩულად იქცა.

— გუშინ ჩვენი კოლმეურნეობის საშრობად გაკეთებული გომურის ფიცრები ჩაინგრა და ოთხ ტონა ნახევარი წვითა და დაგვით დარჩეული შვინდის კურკის სიმსხო ხორბალი ნეხვში ჩაიმზღვლა და ჩაიყარა.

მდივანმა დამძიმებული ქუთუთოები ასწია, ხშირსა და ჯაგარა ცეცხლისფერ თმას უსულგულოდ მიაჩერდა და ვენტილიატორი გამორთო.

5

„მოსკვიჩი" მარჯვენა თვლებით წყალში შევიდა, მარცხენათი რიყეზე დარჩა და გაჩერდა.

საჭესთან მჯდომი მშრალზე გადმოხტა და თვლებს დააკვირდა. გაიღო უკანა კარები და ზაქრომ ოთხადმოკეცილი ვეება სხეული ძლივს გამოიტანა გარეთ.

— ოჰო-ჰო-ჰო! — გაეცინა მძღოლს.

— ერთი საბურავებს დახედე, როგორი შვება იგრძნეს. დაჲე მანქანამაც აიწია სიმაღლეში. — მივიდა, უკანა საბურავს ფეხი მოწონებით მიარტყა და ღია კარში შეიჭყიტა. — დანარჩენი რაღა იქნენ? ჰეი, ვალერიან, გთხოვთ თქვენი ბრწყინვალება გარეთ გამოასვენოთ როგორმე.

— შენ ისეთ ადგილას გააჩერე, ქაჯო, რომ აქედან პირდაპირ გადაუხედავად უნდა ჩავტოპო წყალში, — მოისმა ბუზღუნი შიგნიდან.

— შენც აქედან გამოდი. აბა, ვარლამ, გადმოდი და გზა მიეცი ხვედას, თორემ იმოდენა თავს იმ კარებში ვერ გაატევს — მერე მობრუნდა და საჭესთან მივიდა: — შენა, ლოტოს კოჭო, რას უყურებ? მანდ ხომ არ აპირებ გამოზამთრებას? აგე, შალვა უკვე საბანაოდ გაემზადა.

ლეომ ქუდი მოიძრო, იქვე დააგდო და განიერი გავის ცურვით საჭისკენ წავიდა.

— ფეხთ დაიხადე და იქით გადი, თორემ აქეთ საჭე მოგედება მუცელზე, — ასწავლა სერგომ.

ლეომ უკმაყოფილოდ ააცმაცუნა ტუჩები, და ფეხთ დახდა დაეზარა.

როგორც იყო, დაცარიელდა მანქანა,

ექვსი კაცი წყლის პირას გამწკრივდა და იქიდან გაჰხედა მდინარის თეთრი ქვითა და რუხი შლამით აჭრელებულ კალაპოტს.

ნელა მოაგორებდა ოდნავ-მღვრიე ტალღებს განიერ სადინარზე მრავალ ტოტად დაშლილი ალაზანი. მოჰქონდა ბორბალოსა და წიფლოვანას ნაცრისფერი კლდეების ნარეცხი და დაუნანებლად ხარჯავდა ალვანისა და ალავერდის სანახებში. საშუადღეოზე წამოსული სხივბაჯაღლო მზე რიყეზე ცხვრის ფარასავით დაყრილ ქვებს საკირესავით ავარვარებდა. ნიავი სადღაც წნორების ტყეში მიყუჟულიყო და მთელი კალაპოტი, თბილი წყლისა და მგუდავი ბუღისთვის დაეთმო.

— აბა, ვარლამ, ერთი ეგ ვედრო მომაწოდე.

— ქლორი არ გინდათ, ბიჭებო, ჯერ დინამიტი ვესროლოთ, — არ მოიწონა ვალერიანმა.

— დინამიტი ვსინჯოთ, იქნება ქლორი სულ არ დაგვჭირდეს.

ზაქრომ ფეხთ დაიხადა და შარვლის დაკარწახება დაიწყო. დიდხანს ეწვალა, მაგრამ რაკი სქელ ბარძაყებს მუხლებს ზევით ვერ ააცდინა შარვლის ტოტის ნაკეცი გორგალი, მთლად გაიხადა და ტრუსის ამარა კოჭამდე წყალში განზე გადგა მსხვილი წვივები.

— საიდან დავიწყოთ, ბიჭებო? — იკითხა და დამარგილებული მკლავები დოინჯად შემოილაგა წელზე.

ლეო წყლის პირამდე მიგორდა, გახუნებული ქეპი შუბლზე უფრო წამოიჩრდილა და გამოცდილი თვალი მდინარეს მოავლო.

— აქ სადინამიტე ადგილს ძნელად ვიპოვით, წყალი დაფანტულია და ჩინჩხილებიც არ უჩანს.

— კარგი იყო თხილიფონზე გავსულიყავით. იქ წყალიც მდორედ მოდის და მორევებიც ბლომად აქვს, — თავი მოიქექა დაფიქრებით ვარლამმა.

— აქა სჯობია, ბიჭებო, ქვეყანა იქ მიდის და იგრეა დანგრეული ჩქაურობა, ერთ ლიფსიტასაც ვეღარ დაიჭერ, — იუარა სერგომ.

— ტყუილია, ეხლა სხვაგან წასვლას ვეღარ მოვასწრებთ. უკვე შუადღეა და ჯერ დინამიტებიც არ გაგვიკეთებია, — ვალერიანი მობრუნდა ხელი გადაყო მანქანაში და უკან თახჩაზე დადებული და ქაღალდში შეხვეული ამონალი გადმოიღო. — ფისტონები რაღა უყავით? — მიუბრუნდა ბიჭებს.

— მანდვე საჭესთან, თახჩაშია, — ნიკაპის აქნევით ანიშნა სერგომ, — პატრუქიც მანდ არი და ბარემ დავამზადოთ.

შვიდი დინამიტი გაამზადეს, პატრუქებს თავი გაუჩეჩეს, რათა უკეთ მოჰკიდებოდა ცეცხლი და, რადგან კანაფი არ ჰქონდათ, ზედ თელის ხარალი დაახვიეს.

ალაზანს ერთი ტოტი გამოჰყოფოდა აღმოსავლეთით, კლდის ძირას წისქვილის არხს პარალელურად მიუყვებოდა და ერთ ადგილას მორევსა ქმნიდა, რომლის შუაც ვეებერთელა კუნძი გაწოლილიყო გაზმორებულ კატასავით მაღლა ზურგაბრეცილი.

— თევზი თუ იქნება, აქ უნდა იყოს, — დაასკვნა ვალერიანმა, დაიხარა, ნახევარგირვანქიანი მოგრძო ქვა მოძებნა და დინამიტს მიაბა, — აბა, თქვენ თავთხელში გამწკრივდით და მოსმა გაჭიმეთ, — პაპიროსი მაგრად მოქაჩა. მერე პირიდან გამოიღო, პატრუქის თავზე გაჩეჩილი ფოჩები გადასწვა, შიგ ჩადო და, რაკი დარწმუნდა, მოეკიდაო, შუა მორევში კუნძის ძირში ისროლა.

— ქვები დააყარეთ მორევის ნაპირებს, ბიჭებო, ქვები! — აყვირდა უცებ ლეო და ისეთი სისწრაფით აკრიფა ხუთიოდე მუშტა ქვა, რომ გულმა ნაჯირითალი ცხენივით დაუწყო ბაგუნი.

— აბა, განზე, ბიჭებო, არა დაგიშავოთ რა! — და ვალერიანი განზე გავარდა.

ბიჭებმა კარგა ბლომა ქვა ჩაყარეს შიგ, მერე ისინიც მოშორებით გაცვივდნენ, შემობრუნდნენ და მოლოდინით დაიძაბნენ.

მორევიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ნაცრისფერი კვამლი გამოჩნ-

და იმ ადგილას, სადაც დინამიტი ჩავარდა და ზედაპირზე ისე მძიმედ და ზანტად დაიკლაკნა, გეგონებოდათ, ზევიდან უხილავი ხელი აწევება და არ აცლის წელის გამართვასო.

— პატრუქი კარგად არ ჩაუდვია ფისტონში, — გაბრაზდა ვარლამი, მორევისკენ წავიდა და გაღმა მყოფს გასძახა:

— ქლიავო! ესროლე მეორე, ხომ ხედავ არ აფეთქდა!

მაგრამ მორევმა ჩაყლაპული ვერ იგუა, გაჯავრებულმა ერთბაშად დაიგრგვინა, უკანვე გადმოანთხია და წყლის უზარმაზარი სვეტი მაღლა ღმერთამდე აუშვა.

ვარლამი ერთ ადგილას გაშეშდა, თავზე ხელები წაიფარა და ასევე დარჩა წაკუზული მანამდე, სანამ ძირს დაშვებულმა წყალმა მის ზურგზე არ გადაითქარუნა შხივილით.

ბიჭები სიცილმა ჯერ დაგრიხა, მერე უცებ გაასწორა და მორევისაკენ გააქცია.

— თევზია, ბიჭებო! — აყვირდა ყველაზე ადრე მივარდნილი და ზედ გადამხობილი ვალერიანი. — ჩქარა მოსმა და თავთხელში ჩაუდექით, თორემ წაგვივა.

ბიჭები დგაფა-დგუფით ჩაცვივდნენ წყალში და მზისაგან აბრჭყვიალებულ წყლის ზედაპირს თვალებით დააკვდნენ.

ნაპირზე დარჩენილმა სერგომ უცებ მიატოვა საჩვენებელ თითზე მანქანის გასაღების ტრიალი და გაუხდელად ჩავარდა მორევში ყვირილით.

— მოვიდა თევზი, ბიჭებო, არიქა, თორემ წაგვივიდა.

და დაბორიალებულ ციდა მურწას იმდენი სდია, სანამ წყალი მკერდამდე არ შემოაღგა.

— ფუი, შენი პატრონის დედაც! — ამოვიდა ნაპირზე დამბალი. — რაზე გასაღებს დავკარგავდი. სადამდე ივლი? მაინც ჩემი ლუკმა ხარ. აბა, მარჯვედ ბიჭებო, თევზი დაიძრა. — გასაღები ჯიბეში იკრა, ორი წვრილი ნაფოტა იქვე რიყეზე დააგდო და ისევ მორევს ეტაკა.

ზაქროსა და ვარლამს მოსმის გამოღება მოესწროთ მანქანიდან და იმ ადგილას გაეჭიმათ, სადაც ნადინამიტარი ტოტი მეორე უფრო დიდ ტოტს ერთვოდა.

თავთხელში ჩამდგარიყო ლეო, მსუქანი და მოკლე ფეხები აქეთ-იქით გაეჩაჩხა, ბალნიანი კოტიტა ხელებით მარჯვედ კრეფდა წყლიდან წვრილ თევზს და კბილებში მოქცეულ მაისურის წინა კალთაში იყრიდა. დროდადრო გაუსხლტებოდა ხელიდან ცოცხალმკვდარი ლიფსიტა. მაშინ ლეო უკან მისდევდა სწრაფი ჭყაპაჭყუპითა და ქაქანით:

— არა, რომ მიდიხარ, რატომ არ მეკითხები, გიშვებ თუ არა?

თევზი მოდიოდა, მოდიოდა გულაღმა ამობრუნებული. ზედაპირზე თეთრ მუცელს აელვებდა და მერე ან მოსმაში ებმებოდა, ანდა წყლიდან გასროლილი ნაპირზე ცვიოდა.

კანჭმაღალი ვალერიანი მორევში ბაყაყიჭამიასავით დააბოტებდა და ირვვლივ დატრიალებულ ნანადირევს იჭერდა გრძელი ხელებით.

— გაიქეცი, სერგო, ქლორი ტომარაში ჩაცალე და ვედრო წამოიღე. თევზი ავკრიფოთ, თორემ რიყეზე მზე გააფუჭებს.

სერგო გაიქცა.

— კარგით, აქ გვეყოფა, ბიჭებო. რაც იყო თევზი, ჩამოვიდა.

ზაქრომ და ვარლამმა მოსმა ამოსწიეს.

მეთევზეებმა დახედეს და გუნება წაუხდათ: ოციოდე მურწა და ფოშოლა გაბმულიყო და ჭროღა თვალებგაშტერებულნი გაუნძრევლად იწვნენ შიგ.

ვალერიანმა დახედა და შუბლდაკუშტული გაბრუნდა უკან.

— ეს ხელი გავაცდინე, მაგრამ ჯანდაბას, მეორე ტოტს კაი ჩინჩხილი უჩანს ძირიანად მოგლეჯილი ხეა გაჩრილი მორევში.

— მხოლოდ მაგ დინამიტს პატრუქი ცოტა დაუმოკლე, თორემ გრძელი მოგსვლია, წელანაც მეგონა, არ აფეთქდება მეთქი და კინაღამ მორევში არ შევედი, — გააფრთხილა ვარლამმა.

— შიგ შესულიყავ და კაი დროს გაატარებდი, — ახალ პაპიროსს მოუკიდა მედინამიტემ და ამორჩეული ადგილისაკენ გასწია.

ვერც იმ ჩინჩხილმა გამოიღო უკეთესი შედეგი.

მესამე უჩინჩხილო ადგილას, ჩანჩქერის ბოლოში სცადეს, მაგრამ ან თევზი არ იყო, ან კიდევ სიღრმეზე წაილო და დაიძირა.

— იგეთ ადგილას ესროლეთ, რომ ბოლოში თავთხელი ჰქონდეს, თორემ ღრმა წყალში არა ჩანს, — ურჩევდა ლეო.

შვიდმა დინამიტმა ვედროს ძირი ძლივს მოუმალა.

მეტი გზა არ იყო, ისევ ქლორისათვის უნდა მიემართათ.

გასცდნენ მანქანას, მოედვნენ რიყეს და დასაწყვეტ ტოტს დაუწყეს შერჩევა.

— ღვინო გათბება მანქანაში. არა სჯობია წყალში ჩავდგათ?

— ხორციც გაფუჭდება. მიდი, შალიკო, კლდის ძირას თელის ქვეშ შეიტა, იქ ცივი იქნება წყალი. მე თავი ამატკივა ამ მზემ და ხორცს რას უზამს.

— შენ თავზე წყალს ნუ ისხამ, ლეო, თორემ უარესად აგტკივდება.

— მა რა ვქნა, როცა ტაფასავით მიხურდება?

— უნდა გაუძლო. აი, ბიჭებო, ისა სჯობია, ხედავთ? დასაყურიც კარგი აქვს, ნარიყი და ბრანძიც ახლოა და სადევარიც ნახევარ კილომეტრამდე ექნება, — ვალერიანმა შუა კალაპოტზე გაირეკა ბიჭები.

საღამომდე თითქმის მეოთხედი ალაზანი დაწყვიტეს, შიგ ქლორი გაუშვეს და მერე ფაცრის ჩასადგმელად გაიქცნენ.

— ჩქარა, თორემ თევზი გაგვეპარება.

მალაყებს გადადიოდა ვალერიანი. ქვებზე დაბეგვილ ფეხის გულებს დროდადრო მოიქექავდა, ერთი გულიანად შეუკურთხებდა და თან ნიჩაბსა და ფაცერს მიათრევდა დაწყვეტილი ტოტის ბოლოში ჩასადგმელად.

— აბა, მარდად, ბიჭებო. აქედან მოუარეთ. აქ კაი ჩასადგმელია. ყორე გეზად გაუკეთეთ, რომ თევზი პირდაპირ ფაცერში წავიდეს. ქვებს შუა ჭუჭრუტანები კენჭებით ამოქოლეთ, თორემ თუ ერთი თევზმა ცხვირი წაყო, მერე მშვიდობით, უყარე კაკალი! აბა, მარდად, აჰა, შენ ნიჩაბი, შალიკო!

ჭინკასავით დახტოდა ხმელი ვალერიანი, ბიჭებს არიგებდა და თან აჩქარებით ასწორებდა პატარა ჩქერში ფაცერს.

— შენ, ვარლამ, ფაცერს ძირში ქვები გამოაცალე და ქვევითაც კარგად გაურუე, რომ ბოლოში წყალი არ შემოადგეს, თორემ იცი, კალმახს რა უთქვამს?

— რაო, რა მინდაო კალმახმა? — დაინტერესდა ზაქრო.

— წვიმის კამარა თუ არ შეწყდება, ზეცაში ავალო.

— მერე? — ვერ მიხვდა ლეო, — იქ რა მინდაო?

— ხინვალს გოუხვევო.

მერე ისა, რომ ფაცერს თუ ბოლოში წყალი ექნა. თევზი უკანვე გაბრუნდება და დამრჩები ხახამშრალი.

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია შალიკომ, — ჩემი მტერი გაბრუნდეს იგრე უკან, როგორც ქლორნაჭამი თევზი გაბრუნდება.

ყორე მოათავეს ბიჭებმა, მერე ამოქოლვა დაიწყეს კენჭებით და ბოლოს შიგნიდან მიქვიშეს კიდეც.

ფაცერზე პირველი ლიფსიტის გადავარდნას ერთი ყვირილითა და ღრიანცელით შეხვდნენ მეთევზენი.

ვალერიანმა ხელში აიყვანა აფართხალებული და მცოდნე კაცის იერით განუცხადა მეგობრებს:

— გოჭაა. ეს დიდი არ იზრდება, თუმცა ამაზე დიდიც შემხვედრია. გემრიელი ხორცი აქვს და კუჭისთვისაც მარგებელია.

მეორე გველანა იყო. იგი მუცელზე გაწოლილი აქეთ-იქით იკლაკნებოდა და ხელის წატანებაზე იკბინებოდა.

— იჭმება? — იკითხა ზაქრომ, — რა პატარა პირი აქვს. საიდან იკბინება?

— ლაყუჩებს აქეთ-იქით ორ-ორი

ეკალივით წვეტიანი ძვალი აქვს და როცა ხელში აყვანილი თავს იქნევს და ტანსა გრეხს, მაშინ იჩხვლიტება.

— თევზების პროფესორს გაუმარჯოს! — ლეომ ხელი დასტაცა მესამე თევზს, ბოლოდან ასწია და ვალერიანს გაუწოდა.

„თევზების პროფესორმა" დიდი გულისყურით ჩამოართვა, საქმიანად შეავლო თვალი და განაცხადა:

— ციმორია. ალაზანში ამაზე გემრიელი თევზი არ მეგულება.

ეტყობოდა, ქლორმა გასჭრა, რომ თევზებმა უკვე ფართხა-ფურთხით დაიწყეს გადმოსვლა. ფაცრის ბოლოს გარიყულები ამაოდ ხტებოდნენ მაღლა და აწყდებოდნენ გვერდებსა და ზევიდან გადახურულ ჯოხებს. უმწეოდ აღებდნენ პატარა პირებსა და მუცელზე გაწოლილნი და ნახევრად მორკალულნი უნიათოდ ბერავდნენ განიერ ლაყუჩებს. სხვანი უღონოდ დაყრდნობოდნენ ნაცრისფერსა და გაფარჩხულ წინა ფარფლებს, გაციებული თვალები უსაგნოდ გაეშტერებინათ ახალი სამყაროსათვის და ლასტის წკეპლებზე მიეკრათ სიკვდილის ცივ სუნთქვა დაკრული ნაზი და რბილი ულვაშები.

ერთბაშად მოაწყდა ქარავანი.

მეთევზენი სიხარულით ჰყიოდნენ, შეძახილებით დახტოდნენ ყორის გარეთ და ქვებში გამომძვრალთ დასაჭერად დასდევდნენ. ზოგნი იქვე ჩაცუცქულიყვნენ და თუმცა თევზი თავისით მიდიოდა ფაცერში, მაინც წყალშივე იჭერდნენ, თავისი ხელით ჰყრიდნენ ფაცერში და ამით უდიდეს სიამოვნებას განიცდიდნენ.

— თან ამოიღეთ, ბიჭებო, ვედროში ამოიღეთ, თორემ გაივსო ლასტი, — დარბოდა ლეო და პეშვში მოქცეულ თევზს უკანვე ისროდა საფაცრე წყალში, რათა ლასტზე მისი ხელმეორე გადმოსვლით ალტაცებულიყო.

საბრალო თევზები მოწამლულ წყალს გაურბოდნენ, მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ გასხლტომას და პირდაღებულ ფაცერში კი ებმებოდნენ. დაბორიალებული მურწა და ციმორი, გოჭა და ნაფოტა, ფოშოლა და ჭანარი, გვერდზე გადაბრუნებულნი, უღონოდ მინდობოდნენ წყლის დინებას და წვრილი ნაკადიც მიაქანებდა გამოუცნობი და ბურუსიანი ადგილსამყოფელისაკენ. დროდადრო კვლავ იელვებდა მათში თავის გადარჩენის ალღო, მძლავრად დაჰკრავდნენ ბოლოს და გვერდულად გაიციალებდნენ მცირე მანძილზე, მაგრამ მოწამლულ-მოდუნებულ სხეულს მეტს ვეღარ ზიდავდნენ სასიცოცხლო ძალადაცლილები და წყნარად და უდრტვინველად მიჰყვებოდნენ მდუმარე ტალღებს.

ბევრნი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ. აეღირებინათ თავები და ცდილობდნენ წყალს ზევით სჭეროდათ, რათა მომაკვდინებელი სითხე აშორებოდა პირსა და ლაყუჩებს.

ბიჭები განსაკუთრებით გააკვირვა ერთმა პატარა ლიფსიტამ, რომელმაც საფაცრე წყალი კუდზე შემდგარმა გადასერა საოცარი სისწრაფით მთელ სიგანეზე. თავი ამაყად აეწივნა, წინა ფარფლები აეცილებინა ზედაპირისთვის და ცდილობდა გაქცეოდა იმ საშინელ საერთო სვრემას. მან წაუფორხილებლად მიაღწია ყორის თავამდის და თავისი სისწრაფის წყალობით კინაღამ გადაახტა ყორეს, მაგრამ ბედმა უმუხთლა მამაცსა და ღონიერს, წაუხდა ნახტომი, ყორეზე დარჩა და ქვებს შუა გაიჭედა.

ზაქრომ ერთ ხანს სიბრალულით უცქირა განწირულ პატარას, მერე წარბი შეიკრა, ფრთხილად გადასწია ქვები აქეთ-იქით, ფრთხილად აიყვანა ვაჟკაცურად მებრძოლი ლიფსიტა, ორი ნახტომით გადაახტა ქვიშნარს და სუფთა წყალში ფრთხილადვე ჩაუშვა.

იდგა, უმზერდა როგორ გაიტაცეს თეთრმუცელა, უმოძრაო ტყვე ტალღებმა და მხოლოდ მაშინ გამობრუნდა უკან, როცა თევზმა სული მოითქვა, გადმობრუნდა, წამით გააელვა ჩრდილისფერი ზურგი და ზვირთებში მიიმალა.

ბიჭები ჰკრეფდნენ ფაცრიდან ნადავლს და ვედროში ყრიდნენ. ეგონათ

მეორე ვედროც დაგვჭირდებაო, მაგრამ როგორც უცებ მოაწყდა თევზი ფაცერს, ისევე უცებ შეწყდა მათი მოდენა.

უკანასკნელად შიგ მტკავლიანი კაპუეტი გადმოვარდა, ბოლო მოიქნია და გარინდდა.

მეთევზეებმა ერთი კიდევ შეჰყვირეს ალტაცებით და უმალ აიტაცეს. ხელიდან ხელში გადიოდა დღევანდელ ნანადირევში ყველაზე დიდი თევზი და თითოეული მათგანი მოწონებით სწონიდა ხელის გულზე დადებულს მაღლა შეგდებით. ბოლოს მასაც ბოლოზე წაავლეს ხელი და სხვებთან ერთად ვედროში უკრეს თავი.

ლასტი მალე დაცარიელდა და ახლა თევზების ადგილას დაუფშვნელი ქლორის თეთრი კოტოშებიღა გადმოჰქონდა დაწრეტილ წყალს. ფაცერიც უკვე მიქვიშულიყო, ძირიდან ჩქერი შემოსდგომოდა და შემოებერნა.

ფაცერს მაღლიდან ხის ტოტები და ქერქი გადახადეს, მაგრამ ბოლოში შეგროვილ წვრილ ნარიყში, ბალახის ღეროებსა და კლერტში, წვრილ ქვიშასა და ქლორის შედედებულ ბუშტულებში ამაოდ ეძებდა ხარბად მცოცავი ხელი თევზის ნატამალს.

სერგომ ნახევრამდე მოყრილ ვედროს ათვალწუნებით შეავლო თვალი, ხელი ძირამდე ამოურია და ტუჩ-აბრეცით ამოიღო უკანვე.

— რაზე გავცდით დღეს ექვსი კაცი! — სინანულით თქვა და ერთხელ კიდევ გადაიხედა შიგ. — ჭიპოლებია და მეტი არაფერი.

ვალერიანმა ვედრო გამოართვა, ერთი-ორჯერ შეანჯღრია და სხვების გასაგონად ინუგეშა თავი:

— რაც არი, ძმაო, კარგია, მშვენიერი ფიჩხულია.

ზაქრომ დინჯად მოიბრუნა მეგობრისკენ ხარის კისერი და თავი გაიქნია.

— განა ეგ თევზი ცოდვით იჭმება?

— რას ამბობ შენა, გემო ამაშია, — დაიხარა ვარლამი და ფაცერი აშალა.

— გარეცხეთ მაინც, ჩვენც არ მოგვწამლოს.

— მოხარშვის დროს გავრეცხავთ.

— მერე როდის უნდა დავანაწლაოთ ეგ ჟიუმატი?

— მსხვილებს დავანაწლავებთ, წვრილებს რა დანაწლავება უნდა.

ზაქრომ ხელი ჩაიქნია, დაიხარა, წყალში ჩაყრილი ორი ნიჩაბი აიღო, მხარზე გაიდო და რიყეს შუბლზე ხელმიჩრდილულმა თვალი დაკვირვებით მოავლო.

— მოგვშივდა კიდეც, ღრეობას სად ვაპირებთ?

შედგნენ დანარჩენნიც და დაფიქრდნენ.

— ალავერდში ავიდეთ, მწვანეც კარგია და ადგილიც მშვენიერი.

ვარლამმა იუარა.

— მანდ მუშები არიან. დანგრეულ ქონგურებს აკეთებენ. იგეთ ადგილას წავიდეთ, სადაც ხელს არავინ შეგვიშლის.

ლეომ კეპი აიწია შუბლზე და კვერი დაუკრა.

— შეიძლება ექსკურსია მოვიდეს კიდეც, დღეს კვირაა.

— დღე მიიწურა და მზე ჩასვლაზეა, რაღა დროს ექსკურსიაა, საწყობის გამგევ?

— ნება თქვენი აღსრულდეს. როგორც გინდათ, ბიჭებო, — უკან დაიხია ლეომ.

— არ მინდა ალავერდი, — დაიღრიჯა ვალერიანი, — სათევზაოდ წასული მე პურს ვერ გავტეხ, თუ გვერდით ალაზანი არ მიდის. რა ალავერდია საჭირო? აგე, გაჰხედეთ იმ ნაშეს, იმაზე კარგი საპურმარილო ადგილი არ მეგულება.

მეთევზეები ხელმოჩრდილებით მიაჩერდნენ ნაჩვენებ ადგილს.

— კარგი ადგილია, დაჟე ვერხვიცა დგა ზედ, — მოეწონა სერგოს, — ვაჰ, შე ვირისთაო, ვახვახიშვილის ჩამომავალი ხარ, თუ ჩოლოყაშვილისა. ერთი ეგ არი, მანქანას რა ვუყოთ? წყალში ვერ გავა, დიდი მოდის.

— მანქანა რად გვინდა?—გაუკვირდა შალიკოს,—მინები აუწი კარებზე და დაკეტე. აქ არა ვართ? ვინ მოიპარავს?

მთელი სათევზაო იარაღი მანქანაში შეზიდეს, კარგად დაკეტეს, ტანსაცმელი ამოიღლიავეს, პური, ხორცი და ღვინო გაიყოლეს და ნაშესკენ გასწიეს.

ადგილი მართლაც დიდებული იყო. შუაზე უზარმაზარი ვერხვი იდგა და მძლავრად აეტყორცნა ზევით ქირაფივით აჭრელებული ტანი. ბალუმი ტოტები დაუდევრად გადაეყარა აქეთიქეთ და ვერცხლით მოსევადებულ ფოთლებს ისე ტკბილად აშრიალებდა, რომ ზაქრო მხრით მიეყუდა ზედ, პირზე ღიმილი გადაიკრა და სმენად გაირინდა.

ხის ქვეშ მოლი გაშლილიყო, ლურჯმწვანე მოლი, დაცერებით მიუყვებოდა ჯუჯა ძეწნებამდე და იქ მის გადმოხრილ ყლორტ-ფოთლებში ერთვოდა და იკარგებოდა.

ლეომ მიიხედ-მოიხედა და სახე გაებადრა.

— ვაჰ, დღეს სალ-სალამათებს მოგვიხდება სამოთხეში პურის ჭამა. აჰა, რა გინდა, ძმაო, ალაზანიც გვერდით ჩაუდის. ხედავ, რამოდენა ტოტი გადმოვარდნილა აქეთ? მოდი, ღვინო ჩავდოთ შიგ, ცოტა გაგრილდება. მიდი, შალიკო, შენ პატარა ხარ.

შალვამ პატარა კასრი ასწია და წყლისკენ ზარბაცით წავიდა.

ვალერიანმა ვედრო წამოაპირქვავა ბალახებზე და იქვე მდგომი მოინმო.

— ვარლამ, წადი და წნორის ჭალიდან ძირხვენისა და ბუერის ფოთლები მოიტა, თეფშებად გამოგვადგება. ლეო, შენა და სერგოც გაჰყევით და შეშა მოიტანეთ. შენ რაღა შალაფის კონასავით მიყუდებიხარ მაგ ხეს. მიდი, ხმელი წოწკები მოკრიფე და ცეცხლი დაანთე.

ზაქრო ზანტად დაიძრა, წყლის პირასა და ძეწნებში ცოტა ხანს იბორიალა, ჩინჩხვარი და წკიმალ-წკუმალი ცარიელ ვედროსთან მოიტანა და უნდილად დაყარა.

— რაღას უყურებ? აჰა, ასანთი, და დაანთე.

მალე ლეომ ერთი იღლია ნარიყი მოიტანა და უკვე აბრჩოლებულ ცეცხლს მიუკეთა.

— შენ მაგას თავი დაანებე, ზაქროც კარგად მოუვლის. შენ, ანდო, ჯერ ეგ ნეხვი გაიტანე და შორს გადააგდე, მერე აქ მოდი და დანაწილავებაში მიშველე. ფუი, ამათი დედაც, ეგეთ ადგილას საქონელს როგორ უშვებენ, ცოდო არ არის ამ მწვანის წამურტვლა?

ზაქრო ჩაცუცქდა და აბოლებულ ჩინჩხვარს გასაჩაღებლად ისეთი შეუბერა, რომ მთელი ცეცხლი და წოწკები აქეთიქეთ მიფანტ-მოფანტა.

ლეო გაბრაზდა.

— უგემურო, უგემურო! მოდი და ამას დაავალე კაცმა რამე. ადე, აეხირე აქედან. შექსპირმა თქვა: რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსაო.

ვალერიანს გაეცინა. თევზის გამოწელვა არ შეუწყვეტია, ისე მიუხედა მეგობარს.

— შენ გენაცვალე, მაგ ენაში. შენ თავი კი არა, მთელი აკადემია გაბია.

—არც შენა გაქვს ნაკლები თავი, ვხედავ, მაგრამ ღმერთს შენთვის ჭკუა მაინც არ გაუმეტებია. არა, რომ მოდიოდი, ერთი დანჯღრეული ქვაბი ვერ გამოიყოლე? რაში უნდა მოვხარშოთ თევზი?

— ქვაბი რად მინდა, ვედრო აქ არ არი?

— მაგ ვედროში მოხარშული რამე იჭმება; ქლორიანია და დაგვხოცავს სუყველას.

— ანდე, რამოდენა ალაზანი მოდის. დედას ვუტირებ, ვერ გავრეცხავ?

— არა, ძმაო, მაგაში მოხარშული თევზი თქვენა ჭამეთ. მე მწვადს ავაგებ და იმითაც იოლას გავალ. აფსუს, რატო იმ ბიჭებს საშამფურეები არ დავაბარე! თუმცა ვერხვი აქ არ არი? ცო-

დო კია, რომ კაცმა ამას წკირი შეატეხოს.

მაგრამ ზაქროს ვერხვის ხელყოფა აღარ დაჭირვებია, ვარლამი დაბრუნდა და ოთხი საშამფურე და ბლომად ძირხვენის ფოთლები მოიტანა.

— მოშორებით დააწყე, აქ ეგრე ახლო დაჭკნება,—ლეომ როგორც იყო დაანთო ცეცხლი და ახლა ჯიბის დანა გახსნა, რათა ძმაკაცს გამოწელვაში მიშველებოდა.

ვალერიანი უცებ წამოდგა, ზაქროს ღრეჭით მიაჩერდა და რადგან ხელები მოთხუნული ჰქონდა, ცხვირი მაჯით მოისრისა.

— რა გაცინებს, ხვედავ?

—აი, შტუკა თუ გინდა, ეს არი.

— რა შტუკა?—ზაქრომ გათლილი შამფური გვერდზე გადადო და ახალს დაუწყო სხეპა.

— მარილი დამვიწყებია.

ბიჭს გაოცებისაგან კინაღამ ჯოხი გაუვარდა ხელიდან.

— აი, ჩოფ-ოლლი!..

ქალაში წასულები დაბრუნდნენ და თან ბლომად შუშა მოიტანეს.

—რაღა ეშმაკად მინდა ეგ ჩინჩხვარმანჩხვარი? ვაი, თქვენი გადაყრუება რა ვთქვა, რამ გამოგაჩურჩუტათ, ეგრე, კაცო?

— რა იყო, რა ამბავია?

— მარილი არა გვაქვს.

— აი, სმერტელნი ანიგდოტი,—ძირს დაახეთქა გუდურა სერგომ.

— დაიცა, დაიცა,—შეფიქრიანებულ ვალერიანს უცბად მოღრუბლული სახე უცბადვე გაეშალა,—მაგაზე რა გაწუხებთ? ზემო ალვანი აქვე არ არი? ამ წუთში გავაჩენ მარილსაც და ქვაბსაც. თქვენ მანამდე ცეცხლი არ ჩააქროთ და თევზიც დაანაწლავეთ. ამ წუთში აქა ვარ.

მეთევზე გავარდა, წყალში ხელები გაიბანა, ტუფლები წამოიცვა და გაენთო სოფლისაკენ.

ფეხაკრეფით ეპარებოდა ბინდი ალაზანსა და დინჯად წვებოდა ალვანის ველზე. ჩრდილები გაშავდა, წყალი ჩამუქდა, რიყემ ქათქათს უკლო და ჯუჯა ძეწნებში ჩუჩუნმა გაირბინა. ოდნავ ისმოდა საძოვრებიდან სოფელში დაბრუნებული ნახირის შებღავლება და მენახირეთა შოლტის ტყლაშუნი.

ნელა მოირწეოდა განიერ კალაპოტზე აუჩქარებელი ალაზანი და სულამდე ჩამწვდენი უნაზესი შრიალითა და პაწაწინა ტალღების ცემით ლოკავდა შლამიან ნაპირს. გარინდულიყო წნორის ჭალა და მდუმარებას მხოლოდ ვერხვის გაანცებული ფოთლების ტაში და შეშაზე ავარდნილი ალის ტკაცუნი არღვევდა.

— ქალი დაიბადა აი, რას ჩამოგიყრიათ ყურები და გატრუნულხართ?—სერგომ მანქანის გახალები ამოიღო და წვრილი ძეწკვით თითზე გადაიხვ-გადმოიხვია.

— არა სჯობდა, ძველ ფშასთან გვესინჯა დინამიტი?—კეფას იქექდა შალიკო.

— იქ უფრო ვერაფერს დავიჭერდით, მთელი გაღმა სოფლები მანდ მოდის სათევზაოდ.

— შიგ ფშაში რომ გაგვეშვა ქლორი?

—სადღაა ფშაში თევზი? ორი-სამი წელია მე იქ ვერაფერს მოვკარი თვალი. ხანდახან ალაზნიდან თუ შევა შესართავში და ისინიც სულ ჭიპოლებია. შენ იმათ საცრით თუ დაიჭერ, თორემ მოსმასა და ფაცერში იგრე გაძვრებიან, როგორც ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარე ცალყურაანთ ქვრივის ფანჯარაში.

— ოჰო-ჰო-ჰო! მართლა კარგადა სთქვი, ვარლამ,—გადაიხარხარეს ბიჭებმა.—იცის გემო ძია ნიკომ. იგეთი გათამთამებული დააქვს თეძო-გავა, რომ ზედ ერთი საკამპანიო სუფრა გაიშლება.

— მერე მამათილი ვერ იგებს?— დაეჭვდა ლეო.

— რა უნდა გაიგოს იგრეა სიბერისგან გადაყრუებული, რომ ერთხელ მინდორში იას ვირმა შიგ ყურში ჩაჰყრო-

ჯინა და იმას გვერდიც არ უცვლია. სანამ ნესტოში გრძელი ნამჯის ღერო არ ჩავჩარეთ და კარგა ხანს არ ვუღიღიტეთ, თავი არ აუწევია. მაშინაც თვალგაუხელელად სამჯერ ზედიზედ დააცემინა, „ღმერთო მიშველეო“, წაიბუტბუტა და ისევ დაიძინა.

— ჭორაობას თავი მიანებეთ და იმ საცოდავ მართას ტყუილუბრალოდ ნუ კბენთ. სჯობია, თევზი დავანაწლაოთ, სანამ მარილი მოვა, თორემ იგრე მომშივდა, ცოცხალ მგელს შევჭამ. ესეც თევზია რაღა! კბილის ქარად არ გაგვყვება.

— შენ ტყუილად ემდურები, ზაქრო. ეხლა ალაზანი თავიდან ბოლომდე რომ გადასერო, ამაზე მსხვილ თევზს ვერსად დაიჭერ. შე დალოცვილო, რატომ არ ფიქრობ, რომ ეს წყალი ერთია და ათასი კაცი ურევს შიგ ხელს ყოველ დღე.

— მახსოვს, ბალღობისას რომ გოდორყურს ამოვიღებდი მორევიდან, შიგ სულ მაჯის სიმსხო კაპუეტები ფართხალებდნენ. ნემსკავს დავუგებდი და ზედ დილით წვივის სისქე ჭანარი იყო წამოგებული. ლეო, გახსოვს, ლეო, ერთხელ ჩინჩხილში გაჭედილი ორაგული რომ ვიპოვეთ? საწყალი, შიმშილით მომკვდარიყო. ხორცი იგრე შემოლპობოდა ზედ, რომ არაფრით არ ივარგა საჭმელად.

— როგორ არ მახსოვს, ზაქრო, როგორ არ მახსოვს,—ალტაცებით ეთანხმებოდა ლეო. რამოდენა იყო ის წყეული. თავი რომ მხარზე გავიდე, ბოლოს ფეხებთან მიათრევდა.

— მაშ ვერაფერი ორაგული ყოფილა, თუ მხოლოდ შენი სიგრძისა იყო, —იკრიჭებოდა სერგო.

ზაქრომ კვლავ მოჰკრა თვალი დღევანდელ ნანადირევსა და სასიამოვნო მოგონებით გაბრწყინებული თვალი ისევ დაებინდა.

— ეხლა კი აი, რას დავდევთ... თევზს აღარც გაზრდას ვაცლით და აღარც გამრავლებას. ერთი იგეთი კანონი ვერ გამოუშვეს, რომ თევზი გაზარდონ და გაამრავლონ.

— ეჰ, შენც ერთი, მოგიცლია და ქადაგობ, — მხართეძოზე წამოწვა ვარლამი. — თევზს კანონი კი არა, მოვლაპატრონობა ზრდის.

— აი, შენ ნახე, თუ ალაზანში ორ-სამ წელიწადში თევზის ნასახი არ გაქრეს. მერე რა გემრიელი იცის ამ ოხერმა, — შეწუხდა ლეოც.

— ეჰ, თქვენი ვიფოფებიც რა ვთქვა. — დაიღრიჯა სერგო, — მაგაზე მეტი სალაპარაკო არა გაქვთ? ახლა მაგისი დარდი მაკლია! თუ გაწყდება, ფეხებზე არა მკიდია? გაწყდეს.

— ეჰ, ბიჭებო, დედა-მიწა, ამბობენ, ასი მილიარდი წელია არსებობსო და ადამიანი უფრო ცოტა ხანია, რაც გაჩნდა. ან რა არი მისი სიცოცხლე? დღესა ვართ და ხვალ აღარა. ყველაფერზე რომ თავი იტკიო, უფრო შეიმოკლებ ამ ორი დღის წუთისოფელსა. რასაც ღმერთი გვაძლევს, ის გამოვწუროთ მთლიანად და გავიხაროთ.

—ოჰ, მოვკვდი მშიერი, ხვედა რა იქნა აქამდის, სად ეშმაკებში დაიკარგა, მწვადი მაინც შეგვეწვა, კაცო.

— უმარილოდ? დაიცა ცოტაც ბაყბაყ-დევო. იმერელს გალეწვა, დაფქვა და გამოცხობა მოუთმენია და შენ ხომ მხოლოდ მარილი გაკლია. აი, თევზიც საცაა მთლიანად დანაწლავდება...

ვალერიანი მხოლოდ საათნახევრის შემდეგ დაბრუნდა. ღრეჭით დადგა ცეცხლა-პირას და ბიჭებს გაკვირვებისაგან წარბები თმის ძირებამდის ააჭიმინა.

— ვერ იცნობთ?, — იკითხა და თან მოყვანილი ქალი სინათლეზე გამოიყვანა. — მოდი, გოგო, რისი გრცხვენიან? სულ ჩემი ძმაკაცებია, აღარ გახსოვს?

ქალმა მორცხვად დაუქნია თავი და ხის ქვეშ მსხდომთ მიესალმა.

— მაშ ვერ იცანით? — კიდევ ჰკითხა შეცბუნებულ მეგობრებს მოსულმა.

— ქეთოა, კაცო.

—ქეთო? — სერგომ თითზე დახვეული გასალები მუჭაში მოიქცია.

— ჰო, ქეთო.

— ქეთო... — სქელი ტუჩები დაბრიცა და ჩაფიქრდა ლეო.

ქალმა უფრო დაირცხვინა.

— არ გახსოვთ, კაცო? ალვანში ამასწინათ ამათთან არ ვიქეიფეთ ღამე?

ახლა კი გაახსენდათ ბიჭებს. სახეზე ღიმილი გადაეკრათ და რიგრიგობით მივიდნენ ხელის ჩამოსართმევად.

მოკითხვის შემდეგ მშობლებიც კარგად მყოფნი აღმოჩნდნენ, სახლკარიცა და თითონაც.

ქალს ნელ-ნელა დაეკარგა უხერხულობა, თავზე მანდილი შეისწორა და დატრიალდა.

ცეცხლი დანაკვერჩხლდა.

ხორცი დაიჭრა.

თევზი გაირეცხა და მწვადებმა შიშხინი დაიწყეს.

ბიჭები ყველაზე უფრო მწიფე პამიდორით სავსე ქვაბმა გაახარა. უმალვე წამოყარეს, თან მოტანილ დიდ ლამბაქზე დაჭრეს და მაღლიდან თალიშ-თალიში ხახვი დაათალეს.

— რატო ჩვენ არ მოგვაგონდა ამის წამოღება? — უკვირდა შალიკოს.

—აი, თურმე რატომ დაიგვიანა ამ ქაჯმა — ხარობდა ლეო და თან მშვენიერ მანდილოსანს ეხმარებოდა დიასახლისობაში.

მეთევზეთ კრიჭა საბოლოოდ მაინც ღვინომ გაუხსნა. ხელიდან ხელში გადადიოდა ხარის რქის ყანწი და ნელ-ნელა ხსნიდა დახურული გულის კუნჭულებს. ჩხრიალებდა ცეცხლის ალზე ალისფრადვე ალაპლაპებული ნანატრი სითხე და გაფიცხებულ ყელს მოკლე-მოკლე ყლუპებად გადაჰქონდა ძვალსა და რბილში გასაჯდომად.

პირდაპირ მწვანეზე ეყარა მოხარშული თევზი და მწვადასხმული შამფურები. დალეწილი შოთები და მთელ-მთელი გამტკიცული პურები. შექეიფიანებისთანავე აღარ გახსენებიათ ბუერისა და ძირხვენის ფოთლები. სქელ ნაჭრებად ჩეხდნენ ერბოიან თუშურ ყველსა და აქეთ იქით ისროდნენ.

ისმებოდა სადღეგრძელო ამ მთისა და იმ მთისა, თავზე გადმომდგარი ვერხვისა და ძირს გაგებული მოლისა, ალაზნის ლამაზი ტოტებისა და გზაზე შეხვედრილი დამპალ-დაფუტუროვებული კუნძისა.

და რაკი ერთბაშად ვერ მოიკლა ყანწით წყურვილი, ზაქრომ კასრი მოითხოვა და თანამესუფრეებმაც დიდი ზარზეიმით მიაწოდეს.

ოცდახუთ ლიტრიანი კასრი ორივე ხელით ჩაბღუჯა და იმათ სადღეგრძელო ასწია, ვისი გულიც გულთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოსო.

სადღეგრძელო ღრიალმა დაფარა და საერთო ტაშისცემაში ზაქრომ „საღვინის“ პირი ტუჩზე მოიყუდა.

ექვსი წყვილი თვალი ხარბადა და აღტაცებით შესცქეროდა გაწითლებულ ყელზე ვეება ხორხის მოძრაობას და დანანებით აყოლებდნენ მზერას კასრისა და კაცის ტუჩიდან სქელ გულმკერდსა და თხელ პერანგზე ორ ტოტად ჩამოღვრილი ღვინის ნაკადულს.

ბოლოს მსმელს ხელები აუკანკალდა, მძიმედ, სულ მძიმედ მოიშორა ტუჩიდან სასმელი, ჭურჭელი მიწას მოწყვეტით დაახეთქა და სახე და ყელ-კისერი ერთხელ კიდევ გაიწუწა კასრის პირიდან ამოჩქაფუნებული მათრობელა წვენით.

— თქვენი გამარჯვებისა იყოს! — დაამთავრა მსმელმა ამღვრეული თვალებით და ვეება ხელისგულით ტუჩი მოიწმინდა.

— აი, საღოლ, გენაცვალე! — შეაწია ლეომ და დიდრონ ლუკმაზე დადებული მწვადის ნაჭერი მიაწოდა.

მეთევზეებმა ვაშას ღრიალით შეასხეს ქება თანამესუფრეს.

ზაქრომ აცრემლებული თვალებით ასწია გვერდით მჯდომი, გაფუებულ ლოყაზე გრძნობით აკოცა და დათუთქული ხმით შეევედრა:

— სიმღერა მინდა ბიჭო, სიმღერა, შე რჯულძაღლო!

შალიკომ ცეცხლთან მოფუსფუსე გოგოს, ტუჩების მწკლატუნით გადახედა და ლეოს მაგიერ წამოიწყო:

თუშების ქალასა,
ქვეშ დავუფენ ჩალასა...

მაგრამ ვალერიანმა ვიწრო მხრებზე უზარმაზარი თავი მოატრიალა, ჩასისხლიანებული თვალები დააბრიალა და თედოს ბიჭს უწმაწური სიმღერის გაგრძელების ხალისი დაუკარგა.

ლეომ „მე მიყვარხარ, შენ კი რატომ გეჯავრები“ დაიწყო, და გამოშტერებულ ზაქროს სიმღერის ბოლომდის აბანინა ლაწვის თავები მლაშე წყლით.

ვარლამმა ლამაზ თვალთა კილოები ეშხიანად დაწკურა და მჭექარე ხმით მუხრან-ბატონს მიაკითხა. დანარჩენებმა თავიანთი ბანი ასწიეს და ნიშანში ამოღებულ მებატონეს კი საკუთარი დაანგრიეს თავზე.

დიდხანს გუგუნებდა სიმღერა, დიდხანს აყოლებდნენ დამუშტულ ხელებს სიმღერის მუხლებს და ბოლოს ზაქრომ ისევ ლეოს გადახედა.

ლეომაც გალიცლიცებული ყანწი გვერდზე დაიჭირა და დაიკვნესა:

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება...

და უცებ გაჩუმდა.

აცახცახებულ ხელში სასმისიც ცახცახებდა, პირზე ცრემლებად გადმოსდიოდა ნაკურთხი წვენი და რქის წვერისაკენ სვენებ-სვენებით მიიკვლევდა გზას.

ერთბაშად ფილოსოფიურ გუნებაზე დადგა საწყობის გამგე. ჩაქინდრული თავი ასწია, ამღვრეული ცალი თვალით ალვანს გახედა, მეორეთი — ალავერდს, ტუჩების თრთოლვით გაიხსენა, რომ მართლაც სტუმრები არიან წუთისოფლისა. ეს ქვეყანა, ეს სოფელი მართლაც წუთისაა კაცთათვის და ამიტომაც დაურქმევიათ წუთისოფელი.

—რა ვართ? ბალახნი ვართ, მიწა ვართ, ქვიშა და გორახი.

მწვანეში ხელი ჩაყო, ერთი მუჭა ლამი ამოთხარა მოკლე თითებით და მერე მაღლა აწეული ხელით ნელ-ნელა ისევ ძირს ჩამოაბნია.

— შექსპირმა თქვა: მიწა ხარ და მიწად იქეციო. და განა მიწა არა ვართ? ჩვენამდე აქ სხვები ისხდნენ და ქეიფობდნენ. ვინ იცის, ჩვენზე მაგარი ბიჭებიც იყვნენ და ჩვენზე ჭკვიანებიცა... სადღა არიან ახლა ისინი, სად დაიფლნენ და სად დაინაცრნენ?

ლეომ ხელი კიდევ ერთხელ ასწია. მერე შეაბრუნა, საჩვენებელი თითი ქვევით უქნა და მიწას დაარჭო.

— აი, აქ არიან, არსად არ წასულან. დაიფშვნენ, დაიშალნენ გაცამტვერდნენ და აი, ამ ვერხვად იქცნენ, ამ ბუჩქებად. ამ ქვიშად და ამ ბალახად.

მოლაპარაკემ თავის წინ ბლუჯა ბალახს ხელი სიფრთხილით გადაუსვა თავზე და ხმაც აუკანკალდა.

— ვინ იცის, ვისი ქოჩორია, ვისი ტუჩი და მაჯის ძარღვია... ერთ დროს ჩვენც ამად ვიქცევით, ერთ დროს ჩვენც ამ მიწასავით დავიშლებით და დავიფერფლებით.. .მერე მოვლენ სხვები და იმასვე იტყვიან ჩვენზე, რასაც ჩვენ ვამბობთ იმათზე, ვინც ჩვენზე წინ იყვნენ.

საწყობის გამგეს ჩალურჯებული ტუჩები უარესად გადმოუბრუნდა მეტი გრძნობისაგან და ტირილი დაიწყო.

მხოლოდ ორს მოსდგომოდა თვალზე ცრემლი ცეცხლთან მყოფთაგან: ზაქროს მეგობრის საცოდაობით, ხოლო თუშის გოგოს სურათოვნად დახატულ იმ გარდაუვალი აუცილებლობის წინასწარი განჭვრეტით, რომელიც ყველა მოკვდავს მოელოდა საბოლოოდ.

დანარჩენნი ისხდნენ ბუებივით გაფუყულნი და დაბღვერილი თვალით ჩაჰყურებდნენ მიყრილ-მოყრილი ხორაგით გათელილ ბალახს.

მხოლოდ მას შემდეგ ასწიეს ღვინით დამძიმებული თავები, რაც ქალმა განაცხადა: ახლა კი დროა ჩემი წასვლისაო.

ბარბაცით წამოიშალნენ მწვანეზე მორთხმულნი, ქალს უთხრეს: დიდად დაგვავალე შენი სუფრაზე მომსახურებითო, და გამოემშვიდობნენ.

გრძნობამოჭარბებულმა ლეომ გადაწყვიტა თავისი მადლობა კოცნით განემტკიცებინა, ხელები გაშალა, წაბარბაცდა და სტუმრის ცეცხლის ალით ატკეცილი ლოყის მაგიერ, შუაზე ჩავარდ-

ნილ ვალერიანს ილლიის ძირში მიაწება ღვინით გასიებული ტუჩები.

გოგომ წამოკრიფა მოტანილი ჭურჭელი, ცალ ხელში ქვაბი დაიჭირა, ბოდიში მოიხადა ადრე დატოვებისათვის, დაემშვიდობა და ხის ქვეშიდან გავიდა.

რამდენიმე წყვილმა ამღვრეულმა თვალმა და ვალერიანმა გააცილა იგი სუფრიდან.

ქალმა გაიარა ასიოდე ნაბიჯზე დამშრალი ტოტი ალაზნისა, გადასჭრა წვრილი ბუჩქნარი და წნორის ჭალაში შევიდა.

აქ შედგა და მოტრიალდა.

— კარგი .მეტი გაცილება არ მინდა, ვალერიან. ეს ტყე სამას-ოთხასი ნაბიჯის სიგანეა, მერე ვიწრო მინდორია, იმას იქით ჩვენი ბოსტანი იწყება და სახლიც იქვეა.

—არა უშავს, ცოტას გაგაცილებ კიდევ· ტყეზე ბნელა და ბილიკიც კარგად არა ჩანს.

— დაბრუნდი, ვალერიან, თვალი სიბნელეს შეჩვეული მაქვს და ბილიკიც კარგად ვიცი. ბალღობისას აქეთ დამიდიოდა ძროხები ალაზანზე წყლის დასალევად. წნორის ტყისა კი არ მეშინიან. აქ დაბუდებული უკანასკნელი ნადირი — ბებერი მაჩვი ხუთი წლის წინათ მოკლა ცალთვალა მეველემ.

— მე მაინც გული არ დამიმშვიდდება, სანამ ამ ტყეს არ გაგაცილებ და სამშვიდობოს არ გაგიყვან.

— არ მინდა, ვალერიან, გზას მე თვითონ გავიგნებ და არც ტვირთი მამძიმებს.

— ჩემო სულიკო, გზასაც თითონ გაიგნებ, ბილიკიც კარგად იცი და არც ტვირთი გამძიმებს, მაგრამ მე მაინც მინდა ამ ტყეს იქით კარგად მყოფი განახო.

— დაბრუნდი, ვალერიან, შენი ამხანაგები რას იტყვიან: ჩვენ თავი დაგვანება და შეყვარებულს გაეკიდაო.

— ალაზანს წაუღია ჩემი ამხანაგებიცა და იმათი თავიც. მე მირჩევნია შენ გიცქერდე წუთნახევარი, ვიდრე მთელი საუკუნე იმათ.

— ოჰ, ვალერიან, როგორი ჯიუტი ხარ.

ტყე ბნელი იყო და ბილიკი ვიწრო. აქეთ-იქით ძირხვენისა და ღოლოს ფოთლები გადმოკიდულიყო და კაბის ბოლოებზე შარიშურობდნენ. წნორებს ძირს გადმოეზიდათ მოქნილი ტოტები, ერთმანეთში თითებივით გაეხლართათ და ბილიკის თავზე კამარა შეეკრათ. ჩუჩუნებდნენ წვრილი ფოთლები და რიყის პირიდან ბაყაყები გაჰკიოდნენ გულმოდგინედ.

უეცრად გოგომ იგრძნო როგორ შემოეხვია ტანზე მამაკაცის ძლიერი ხელები და შეკრთა:

—რას შვრები, ვალერიან?

— მოიცა, ქეთინო.

— გამიშვი ხელი, ქვაბი შარვალს მოგიმურავს და მეც მომთხუნავს.

— ჯანდაბას ქვაბიცა და ჩემი შარვალიც.

—გამიშვი-მეთქი, მხეცო, ჯიუტო!

მაგრამ ქალს ხმელმა ხელმა სამაგრებზე შეკრული კაბის საყელო ერთი გაქნევით ჩახსნა ქამრამდე და თბილი და მკვრივი ძუძუ თითებში ისე მოიგდო, როგორც კლანჭში მიმინომ ნარზე განაბული ნიბლია.

—ოჰ, ვალერიან, არ გინდა, ვალერიან! ნუ ვალერიან!

— დაიცა, ქეთინო... ერთ წუთს, ქეთინო... დამაცა ცოტა ხანს.

— ნუ მეთქი, გენაცვალე! ნუ, სირცხვილია. თავი არ მომჭრა. ღმერთო ჩემო! გამიშვი, გამიშვი-მეთქი.

მაგრამ თანამგზავრმა ხელი მოხვია და ბილიკიდან გადაიყვანა.

— ვაიმე, დედავ! სად მიგყავარ, ვალერიან, გამიშვი ხელი, გამიშვი-მეთქი! გამიშვი საყვარელო... ოჰ, დედილო, დედილოოო!..

დიდხანს ემუდარებოდა ქალი, დიდხანს აფიცებდა თავის სიყვარულს, დიდხანს იბრძოდა თავგამოდებით, მაგრამ ჟღარუნით დაეცა ძირს ქვაბი, გვერდზე გადაგორდა გაბზარული ლამბაქი და... თუშის გოგომ თვალი მოჰკრა, როგორი ურცხვად იჭყიტებოდა წნორის გაბურ-

დულ ტოტებშუა ყვითლად დამწიფებული ვარსკვლავებით მსხმოიარე ცა.

## ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

ახალ ამბავს კარგ გუნებაზე არ დაეყენებია თავმჯდომარე. ზურგზე ხელებდაწყობილი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით უვლიდა მოგრძო მაგიდას თავის ფართო კაბინეტში და თან დაჟინებით ჩასცქეროდა ყავისფერი ტილოს ფეხსაცმლის წვერებს.

— ვინ ეშმაკს მოეპრიანა ამ ამბის შეტყობინება? ნუთუ ვარდენმა გამცა? ეგ ძაღლის ლეკვი! ჩემთანაც კუდს იქნევს და იქაც საჯდომს ულოკავს. ვიცნობ, რა შვილიც არი, ჯერ ძილივით წამოგეპარება და მერე დასიცხულ გიურზასავით გეცემა... ვიცი, ვარდენ, სადაც უმიზნებ, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ფეხი არ ჩაგეტევა. მართალია, ხმა კარგი გაქვს, მაგრამ ეგ ნანა ვერ დამაძინებს.

ძია ნიკომ ტუჩები მშრალად გაატკაცუნა და მოხოტრილი თავის ქნევით საწერ მაგიდასთან მდგარ სკამს მზერა შამფურივით გაუყარა.

— არ იფიქრო, ამ სკამზე სხვისი შარვალი გაცვდეს. მეორე წელია მიტრიალებ, როგორც მგელი ფარეხს, მაგრამ მე იმ ძაღლს ვგევარ, რომელსაც ყელზე ჩანგალი არტყია და კუდიც გაკრეჭილი აქვს. საკმარისი იპარპაშა იმ მწითურმა ტურამ. თითქმის მთელი ზემო უბანი შეჭამა და სახლი აიშენა იგეთი, ჭალისპირს სკოლა არა აქვს. ეეჰ, თედო, მაღალ კლდეზე ამსვლელს წრიაპიც მაგარი უნდა ჰქონდეს, შენს კოტიტა ფეხს კი მხოლოდ სატალახე ჩექმა მოერგება. ტყუილად ფიქრობ, ისე ვიყო დამწიფებული, რომ ქარის ერთ დაბერვაზე ჩამოვვარდე. ჩემი შემოდგომა ჯერ არ დამდგარა და ზამთრამდეც სალსალამათი მივატან.

ძია ნიკო ფანჯარასთან შედგა. ერთხანს ჩაფიქრებული გასცქეროდა იქვე კანტორის ეზოში შემოღობილ ყვავილნარში აყრილ წვრილფოთოლა ლერწმების პატარა რაყას, შემდეგ შემოტრიალდა, მაგიდის მარცხენა-უჯრის თავში თითი ამოსდო პატარა ღილაკს და როცა ზარის წკრიალზე მოანგარიშემ გაღებულ კარში შემოყო თავი, სკამზე მძიმედ ჩამოჯდა.

— გაგზავნე ვინმე მემარნესთან და აქ ჩამოვიდეს.

მოანგარიშე გატრიალდა და კარი ფრთხილად მიიხურა.

„რა ეშმაკმა ჩაამტვრია სამნახევარ ვერშოკიანი ფიცარი? თითქოს არც ისე ძველი იყო. ქვევიდან იქნებოდა დამპალი სინესტისაგან... ეს კორესპონდენტები რაღა ეხლა შემომიჩნდნენ? კალიასავით მისევიან ამ დატოტვილ თავთავს და უნდათ ცალი თვალით მაცინონ და ცალით მატირონ. აგრონომსაც აღარ ასვენებენ და ვერ გაიგებ, რომლის ცქერით ძღებიან: ჯერეთ უნახავი ყანისა თუ იმ ყანასავით დამწიფებული გოგოსი. ის ერთი ხომ სახლისკაცივით შემეყარა, გეგონება მისი საკუთარი სახლი ხანძარს მოეძოვოს.

თავმჯდომარემ მჭრელი თვალი კარებს გაუშტერა, მცირე ხანს დაკვირვებით უცქირა, მერე წამოდგა, ფრთხილად მივიდა და გამოაღო.

— ოოჰ, მადლობა ღმერთს, გამოჩნდი და შენი ბრწყინვალე ფეხი ისევ აღირსე ამ ცოდვილი ჭალისპირის მიწას. რასა ტრიალებ ამ კარებთან, როგორც ღორი წიფლის ქვეშ? რატო არ შემოდიხარ, პირი გერცხვინება?

უკან გაბრუნდა, თავისი სკამისაკენ გასწია და მოსულიც შეიწვია.

— მოდი, განა ღრმა არი, რისი გეშინიან? მოგშივდა და მოხვედი? — დაჯდა და ირიბად შეავლო თვალი კაბინეტში შემოსულის მოხრილ მარცხენა მკლავზე გადაკიდულ ცარიელ ტომარას.

საშუალო ტანის ხნიერ კაცს ოდესღაც ნაცრისფრად გახუნებული ძველი სამხედრო გიმნასტურა ყველა ღილზე შეეკრა ყელამდის და მისი განიერი, გრძელი კალთები სამხედრო გალიფეზე-

კე ჩამოშვებულიყო. შარვალზე მუხლებთან მიკერებული ნაჭრები გაცვეთილიყო და მისი დაშპალი ძაფები დაწყვეტილი ლარებივით ეკიდა მოკლე-მოკლედ. გალიფეს ტოტებზე ამოწეული მატყლის ყვითელი ძველი წინდები ჩასჩაჩოდა და ზედ წამოცმული გაგლეჯილი ქალამნიდან სახსრის ძვალში მოღრეცილი მტვრიანი ცერი მოუჩანდა.

თავზე ჭუჭყისაგან ყალამო გაქონილი რუხი ნაბდის ქუდი ეხურა და ამ ქუდიდან პატარა შავ-ჭაღარა ქოჩორს თავი ისე გამოეყო, გეგონებოდათ, ხაფანგად დაგებული ქაშანური ჯამი თაგვს კისერზე დასცემიაო. ოდნავ იღიმებოდა მომცდარ ყანასავით თხელ ულვაშებში და გულუბრყვილო სუფთა ცისფერ თვალებს ძლივს უმართავდა მაგიდასთან მჯდომს.

— არა, რომ აიღე თავი და წახვედი, ვის დაეთხოვე? ამ გახურებული ყანის მკის დროს სად გარბოდი? როგორც კაცის მკვლელს დაღვრილი სისხლი ისევ იქ მიიყვანს, სადაც ეს მკვლელობა მოხდა, არ იცოდი, რომ ეგრე ეგ შენი მუცელი აქ მოგიყვანდა? ერთი ცხენის ურემი ჭურჭელი სადამდე უნდა გყოფნოდა? ან ეგრე მალე სად გამოჭამე? ალბათ, შენებურად ღვინოს გადააყოლე და ისევ მე მომადექ.

მოსულმა ფეხი მოინაცვლა და კისერი გვერდზე გადახარა საბრალოდ.

— უნამუსო კაცი ვიყო, ნიკო, თუ მთელ კვირას ჩემ პირში წვეთი ღვინო ჩასულიყოს. რა მეღვინებოდა, კაცს დარდისაგან ცეცხლი მეკიდა.

— დარდისაგანო? — ნიკომ თითები ერთმანეთში გაუყარა და მაგიდის მინაზე დადო. — რა გქონდა სადარდებელი, კაცმა ერთი ურემი ჭურჭელი გაჰყიდე? რაც წახვედი, დღემდის არ გამოჩენილხარ და როცა გამოჩნდი, მაშინაც ცარიელი ტომრით მომადექი. სად იყავ აქამდის? იქნებ, იმ ერთის გარდა სხვაცა გქონდა და დღემდის ვერ გაასაღე? შენ იცი ჩვენი პრინციპი, რომ ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს? ძალიან შემცდარხარ, თუ თავი ეგრე მალე დაიგულე კომუნიზმში. დარდისაგანო? რა გქონდა სადარდებელი, ჩიტივით — რომელ ტოტზედაც გინდა, იმაზე დაჯდები.

ტომრიანმა კვლავ მოინაცვლა ფეხი, ტომარა მარჯვენა ხელზე გადაიტანა და საწერ მაგიდაზე მიდგმულ აქეთ-იქიდან სკამებ შემომწკრივებული გრძელი მაგიდის კიდეს მუცლით მიებჯინა. ზედ გადაფარებულ ლურჯ მაუდს მარცხენა ხელის გამომწვარი თიხისფერი, მოხრილი თითები მოუცაცუნა და თხელი წარბების აწევით იმ მაუდხავე ჩასძახა.

— რა მქონდა და... ბაზარში მისვლისთანავე სამიოდე კოკა და ხუთი სურის გაყიდვა ვერ მოვასწარი, რომ დამიმტვრიეს.

თავმჯდომარემ უცებ აიწია მაგიდიდან, სკამის ზურგს მიაწვა და გამომცდელი ჭროლა თვალი ახალ გაპარსულ სახეზე დაეჭვებით მოუფათურა.

— დაგიმტვრიეს? სად დაგიმტვრიეს?

— ბოდბისხევში მქონდა ჩატანილი, ბაზარში.

— ვინ დაგიმტვრია? ეფრეეემ... — ნიკო გვერდზე გადმოწვა და ქეშად გახედა, — დიდი ხანია, შენი მოსატყუარი კბილი მოვიცვალე.

ეფრემმა თავი აიღო, თვალი გაუსწორა, იქვე მიდგმული სკამის ზურგს მისწვდა, ასწია მაღლა და მერე ისევ გამეტებით ძირს დაახალა.

— დამიმტვრიეს! ამ სკამივით გავხმე, თუ არ დაემტვრივნოთ.

— ვინ დაგიმტვრია? — დაინტერესდა მცირე ხნის შემდეგ თავმჯდომარე.

— ვინა და ვირებმა.

— მაინც ვინ იყვნენ? პატიოსანი კაცი ხომ მაგას არ იზამდა.

— ვირებმა მეთქი, ვირებმა დამმტვრიეს.

ნიკო გაოცებული წამოდგა, შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ზურგით ღია ფან-

ჯრის რაფას მიეყუდა და იქვე მდგარს ღიმილით მიუბრუნდა:

— რაო, როგორ იყო, რანაირად მოხდა, იქ არ იყავი?

— მა სად ჯანდაბაში ვიყავი, იქ ვიყავ, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხეთ.

— როგორ თუ ვერ მოუხერხეთ, რა მოხდა, გეთი?

ეფრემმა ტომარა მკლავიდან მხარზე გადაიგდო და თავი ასწია.

— იგრე, რომა ჭურჭლის მუშტარი დედაკაცი მოვიდა, დიდ ქილებს შევაჭრებოდა, მწნილისთვის მინდაო. თან ვირი მოეყვანა წასაღებად. გავიხედე ახლა ერთი კაცი მომადგა კოკებისათვის. რატო ფეხი არ მოტყდა, სანამ ჩემამდის მოვიდოდა, — თან ერთი ფაშატი ვირი არ მოიყვანა! ამ დედაკაცის ვირი თურმე ულაყი ყოფილიყო. დაინახა თუ არა ფაშატი, ერთი უგემურად დაიყროყინა, გაქანდა და პირდაპირ ამ კაცის ვირს არ დაახტა! დაფთხვა ეს ფაშატი, შეყარა ტლინკები, მაგრამ ვერ მოიშორა. მაშინ შეკუნტრუშდა, ხან აქეთ ეცა, ხან იქით, მაგრამ ვერაფრით ვერ გადმოიგდო მალლიდან. ეტაკნენ მერე ერთმანეთზე შეხორხლილები და ამ ჩემ ჭურჭელს არ აუყენეს ლიწინ-ლიწინი! დავავლე კეტს ხელი, დავაყარე ორივეს, სხვებიც მომეშველნენ, მაგრამ სანამ პირწმინდად არ მილეწ-მოლეწეს მიწაზე გაფენილი მთელი ჭურჭელი, მანამდე ერთმანეთს ვერ მოვაშორეთ.

თავმჯდომარე ზურგით აწყდებოდა ფანჯრის რაფასა და თან სიცილისაგან წინ გადმოგდებული მუცელი უთახთახებდა.

— ვუჩივლე, სასამართლო კვირის თავზეა დანიშნული, სიღნაღი არჩევს,— დაამთავრა ეფრემმა, — მაგაზე დავრბოდი მთელი კვირა, თორემ ამ ყელიჭრა მუშაობისას შინ რა ჭირი გამაჩერებდა... ახლააა... ბევრი კი არ მინდა, ერთი კოდი მეყოფა.

ნიკომ სიცილი მოათავა, მობრუნდა, გულჯიბიდან ფანქარი დააძრო, ზედა წაუთლელი ნაწილით მოკლე ცხვირის წვერი მოიქექა, დაჯდა თავის მაგიდასთან და უჯრიდან სუფთა ფურცელი გამოიღო.

— კარგი იყო, რომ ეგრევე ცარიელტარიელი გამებრუნებინე უკან, მაგრამ გული არ მიშვრება. ღირსი კი ხარ უფრო მეტისაც.

ქაღალდზე რამდენიმე სტრიქონი გაჯღაბნა, ქვეშ ხელი მოაწერა და მოჟუტული თვალით მეჭურჭლეს მიაწოდა.

— აჰა, წაიღე და ლეოს უთხარი, ფრთამომძვრალ სანიავებელთან რომ ხორბალი ყრია, ის აგიწონოს. აქა სწერია, მაგრამ შენც შეახსენე.

ეფრემმა უკან დაიწია და საწყალობლად დაიღრიჯა. ერთხანს ასე იყო და მერე ძლივს ამოაცილა ხორხს სათქმელი.

— სხვა ჩამიწერე, ნიკო, ამბობენ ის ხორბალი ნეხვში ეყარაო.

თავმჯდომარემ მუშტებად შეკრული ხელები მინას მაგრად დააბჯინა, მძიმედ წამოდგა და შეჭმუხნულ წარბებ ქვეშ შემძვრალ ჭრუტა თვალებს ფოლადის ცივი ელვარება გადააკრა.

— ვინა თქვა, რომ ნეხვში ეყარაო?

მეჭურჭლე დაიბნა.

— რა ვიცი, ხალხი ლაპარაკობს.

— ხალხი? ვინ ხალხია?

— აბა რა ვიცი, — უკან დაიწია ეფრემმა, — ნეხვში ეყარაო, ფიცრები ჩატყდაო.

თავმჯდომარე კარგა ხანს უმზერდა გამსჭვალავი თვალით გაოგნებული მეჭურჭლის სახეს და რაკი დარწმუნდა: ამ ხეპრემ რაც თქვა, იმის გარდა არა იცის რაო, მოეშვა და სკამზევე დაჯდა.

— შენ თუ არ გინდა, რომ ეგეც არ დაჰკარგო, მალევე წადი საშრობში. წადი, სანამ მაგ ვარაუდში ვარ. მანდ ერთი ფუთი სწერია მაგაზე მეტს ჯერ არც სხვას ვუწერ ავანსს. აბა, რაღას უდგეხარ? წადი, მიუტანე ეგ დედაკაცსა და შენ ნამგალი გალესე ყანაში სატაკებლად.

ეფრემმა შეყოყმანდა, დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და

ხელი ჩაიქნია. ფრთხილად დაკეცა ქაღალდი, ფრთხილადვე ჩაიდო ქუდის ყალამოში და რაკი იცოდა, თავმჯდომარეს სატეხითაც ველარ გასტეხდა, კაბინეტიდან ფეხაკრეფითა და ზლაზვნით გავიდა.

— მხოლოდ იცოდე, მაგ ჭურჭლის ჭრას მოეშვი, თორემ ფინაგენტებმა თუ გაიგეს, მოგადგებიან და მოხარშული კარტოფილივით გაგფცქვნიან, — მიაყოლა გარეთ გამავალს და წამოდგა.

ისევე ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და ოთახში დაიწყო ბოლთის ცემა. დროდადრო შედგებოდა, მსხვილ მსუქან ტუჩებს უარესად გამობურცავდა და წარბებს აჭიმავდა. ზედა ქუთუთოებს დაძგიბავდა, ტუფლის წვეროებს ზევით ასწევდა და ქუსლებზე დაეყრდნობოდა, მერე ამ ქუსლებს იატაკს აცილებდა, ტანის სიმძიმეს ისევ ფეხის წვეროებზე გადაიტანდა და მსხვილი თავის ქნევით ფანჯრიდან გადაჰყურებდა ეზოში თეთრად გადაპენტილ ცაცხვს.

— „მთელ სოფელს გაუგია. რა თქმა უნდა, ეგრეც უნდა მომხდარიყო, ორმა იცის, ღორმაც იცისო. ან სხვანაირად როგორ იქნებოდა, სათესლე და ჩასაბარებელი ხორბლის მრჩეველი ქალები იქვე იყვნენ. რაღა მაინცა და მაინც ის დამთხვეული ჩავარდა? რაზე მოსტყდებოდა რამე. ერთი კიდევ უნდა გავუგზავნო ექიმი. საშრობში მომუშავენიც იქ მიცვენილან ყვირილზე... სამჭედლოდანაც. აი, აჰა, ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო. არა, რაღაც უნდა მოვუხერხო, თორემ მართლა ცუდად არი საქმე. ერთ სამჭედლოში ოთხი კოლმეურნეობის მჭედლები რას დაეტევიან. დასწყევლოს ღმერთმა, ადგილიც არა მაქვს“.

კანტორის კიბეზე მძიმე ფეხის ბრაგუნი გაისმა, მეორე სართულს მიაღწია და კაბინეტის კართან შეწყდა.

თავმჯდომარე არც განძრეულა. კისერი მიღრიცა, კარს დააცქერდა და როცა მოსულმა ბუღალტერიაში არ შეუხვია და მის კართან შეყოვნდა, წაიქეზა.

— მოდი, ბინდი, მოდი, ღობე აშლილია და შენ ფეხშიშველი არა ხარ.

გაღებულ კარში დაბალი, ფეშტამალაფარებული კაცი გამოჩნდა. მძიმედ მოჰქონდა ვეება სქელლანჩიანი ბათინკები. ხმელ, ჩაცვენილ ყბებზე მჭვარტლი მოჰკიდებოდა, ხოლო მხრის თავამდე გაშიშვლებული კუნთმაგარი და დაძარღვული მკლავები ცეცხლსა და მურს თავის ფრად მოექცივნა. ნაბდის ქუდიდან გადმოყრილ გრუზა შავ ქოჩორზე ქურიდანა და გრდემლიდან ასხლეტილი ფერფლი და თოგალი ვერცხლივით ეყარა, ხოლო ღაწვის თავები, გრძელი ცხვირის კეხი, წარბთა შესაყარი და ქუთუთოები ისე გაშავებოდა, რომ წამწამთა შორის მარტო თვალთა თეთრონები ანათებდნენ ცისფრად.

— გაგიმარჯოს. ისევ იმაზე მოხვედი? —მობრუნდა თავმჯდომარე, ფეხები განზე გადგა და გვერდულად ახედ-დახედა შემოსულს.

— სხვა რაზე შემიწუხებიხარ? მოვედი, რატომ არ უნდა მოვსულიყავ?

მოსულმა იქაურობა კუშტად მოათვალიერა და მერე თავმჯდომარეს ახედა.

— ექვსი კაცი შევყრილვართ მტკავლიან სამჭედლოში და ერთმანეთის ხელის შეშლის გარდა არაფერს ვაკეთებთ. რამდენჯერ გვითხარით, რამდენჯერ დაგვპირდით, რამდენჯერ გამგეობაზე და საერთო კრებაზეც გაიტანეთ საკითხი და იმ დასანგრევს არც აშენება ეღირსა და აღარც გადაშენება.

თავმჯდომარის მახვილ თვალს არ გამოეპარა, რატომ მოავლო თვალი მჭედელმა კაბინეტს. გვერდულად ჩაიღიმა, ზურგით ისევ ფანჯრის რაფას მიეყრდნო და განზე გაწეული მარჯვენა ფეხი მუხლის სახსარში აათამაშა.

— რა ვქნათ, გიორგი, განა სტყუი, მაგრამ სანამ მოვწესრიგდებით, მანამდე საბნის სიგრძეზე გავჭიმოთ ფეხები. ცოტაც დამაცადეთ, ეს მოსავალი დავაბინაოთ როგორმე და მერე ვიზრუნოთ მაგაზე. ხომ ხედავ, რა ცეცხლის კიდებაა.

— მომბეზრდა, ნიკო, მომბეზრდა კაცო, ამდენი გურგური. ავდგები და თავს დავანებებ. რკინა და ფოლადი გარეთ ყრია მზე-წვიმაში და ჟანგისაგან იჭმება. შიგნით ფეხის ასაქცევი არ არის და კვერი გაშეტებით ვერ მომიქნევია. მეშინიან, თავში არავის მოვარტყა. კიდევ კარგი წვიმა არ მოდის, თორემ ის დამპალი ტოლი დაიჭერს? ათასგან არი დახვრეტილი და თითო ნახვრეტში კამეჩი გაძვრება. ხომ ნახე, კედელიც დანგრეულია და ყორესავით ქვებია მილაგებული. შიშით იარაღი შიგ ვერ დამირჩენია და ყოველ დილა-საღამოს სახლში მიმაქვს. ან მარტო მე და როსტომა რას აუვალთ, შეგირდები დამთხვეულები გვყავანან. ხალხი მოდის, ზოგს თოხი აქვს გამოსაწკეპი, ზოგს ბარი, ზოგს წალდი და ცული, ზოგს ნამგალი და სახნისი. ახალსაც გაკეთება უნდა და დაუჭედავ საქონელსაც დანალვა. გუშინ ბელურას კამეჩს ტაბიკები დაუმტვრევნია და ფუნდრუკით ალაზნის ბოლომდე ჩასულა. კიდევ კარგი, ადამიანს არ ერჩის, თორემ აქამდის იმ საწყალ კაცს ლელვის ფოთოლივით დახვრეტდა იმ წვივის სიმსხო რქებით. იმას რა ხის ტაბიკმა უნდა გაუძლოს? სახლში მოვიდა წუხელ საღამოთი და ჭირი მომჭამა. მა რა ვქნა, არ გავუკეთო რკინისა? მხერხავები ჩანგლებს მოითხოვენ მორების დასამაგრებლად, ტრაქტორისტები ათასგვარ წვრილმანს. ამ დედაკაცებმა ხომ გამათავეს: ზოგს ფეხმოტეხილი ზედადგარი მოაქვს შესაკეთებლად, ზოგს გახვრეტილი სარეცხის ქვაბი, ზოგს ახლის გაკეთება უნდა და ზოგს ათასი ჯანდაბა და დოზანა, ყველას სად ჩამოთვლი? ეხლა ნალ-ყაირიც შემომელია და საქონელი ფეხშიშველი დარჩება, მემრე დაეზრდებათ ჩლიქები, დაუსკდებათ და ველარც ნალს მიასადაგებ და ველარც ყაირს გაუყრი, უნდა ადგე და ხორცად ჩააბარო რაიონში. საქმე კი ჩაისვრება და გათახსირდება. ან მარტო მე რას მომჩერებიხართ, კაცო, ჩემს გარდა კოლექტივში მჭედლები არ არიან? გამიშვით და გამანებეთ თავი, ეხლა სხვებმა იმტვრიონ კეფა. რომ გაგინებებია თავი და ხმას არა სცემ, როდემდის? ხომ ხედავთ, ხელოსნები ვართ და მინდორ-ვენახში მუშაობა არ გვეკადრებაო. აუღიათ თავები და ყალაღინად დადიან. შენც რას გაჯიუტებულხარ, ადექი და იმოდენა მაინც ააშენე, რომ ის წყეულებიც დაეტივნენ შიგა და ცოტა მეც ამოვისუნთქო თავისუფლად.

თავმჯდომარეს მჭედლისთვის ზურგი შეექცივნა, ცალი ფეხის წვერს იატაკზე რიტმულად აბაკუნებდა და თან თავის ოდნავი რხევით გაშტერებული უცქერდა ფანჯრიდან ცაცხვის ხმელ ტოტზე ჩამომჯდარ ბელურას.

ჩიტს, ეტყობოდა, სადღაც ებანავნა და ახლა ნისკარტით იჩიჩქნებოდა ბუმბულის ძირებში. ხამუშ და ხამუშ შეიბერტყებოდა, ჯაგარივით აშლიდა თავის მსუბუქ სამოსელს და მერე ისევ ნისკარტითვე ისწორებდა.

ბელურამ შეასწრო თვალი ჩაციებულ თვალებს და თითონაც მიაცქერდა. შემდეგ ცალ ფეხზე დადგა, მეორე მაღლა ასწია და შუა თითის გრძელ ფრჩხილზე მოდებული ბეწვის მცირე გუნჯალი მოიწიწკნა ნისკარტით. ისევ ღია ფანჯარას მიჰხედა და უეცრად, ჯერ კიდევ გაუმშრალმა, ფრთა-ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა.

ნიკო მობრუნდა და გაიკვირვა.

— რაღა ბელურას უტყდება ყველაფერი?

— იმას უბია ის დამთხვეული ყორანა-კამეჩი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიკო ფაშალიშვილი

# საგაზაფხულო ქუხილი

იქუხა, ელვამ, ფირუზნი ცანი
მიხაზ მოხაზა წითელ-მოვითა.
არა თუ სმენით, მე გულით ვსცანი,
რომ გაზაფხული კიდევ მოვიდა.

კიდევ მოვიდა... კეთილი იყოს
მზის გულში ოქროს ამობრწყინება,
უდასრულო ნათელი იქოს
და ხნულში თესლის აღორძინება!

მერცხლების ენით დილის ხარება
და ბულბულების ხმის აჟღერება,
მინდვრად ფერების ელვარება,—
როცა ხალისით გულს ემღერება.

კეთილი იყოს მშვიდობა სრული,
ქუხილს რომ მოსდევს გაზაფხულითა,
რომ ადამიანს აევსოს გული
დაუსრულებელ სიხარულითა!

# პაპა ამბობდა, მე ვიმეორებ

მე ვარ ქართველი, ვარ ქართლელი, მესხი, კახელი,
სამშობლოსათვის გამარჯვია ხმალი და ხელი
და მილოცნია ჩემი ხალხის გზა და სახელი!

კეთილისათვის, ვცდილვარ მუდამ კარი გამეღო,
მტრისათვის მკლავი მომეკვეთა, სისხლი ამეღო
და ბოროტება დამეთრგუნა, ფეხქვეშ გამეგო!

რაც მე მიზიდავს, რაც მახარებს და ფიქრსა მტაცებს.
მანთებს სურვილით, რომ ვბაძავდე სანატრელ კაცებს,—
წინაპართაგან მიმიღია და ვალად მაძევს!

ეს ცა ჩემია, და ეს მთები—ჩემი მთებია!
სადაც პირველად პრომეთეოსს ცეცხლი ნთებია,
ქართველი კაცი ვეფხვს პირისპირ შეფეთებია!

დაე, ეს სწრაფვა არასოდეს არ გაირიყოს,
ჩვენში კაცობის სამაყო სახელი იქოს,
და ეს მთა-ბარი მომძახოდეს „ალალი იყოს!“

# ერთი ცნებაა

— „ხალხი—პარტია“ ერთი ცნებაა,
როგორც ლენინის დიდი გენია,
ლენინის აზრი, ხალხის ნებაა
და მომავლის გზად წინ გაგვეფენია,

რაც მაღალია, რაც ნათელია,
რაც დიდ მშვიდობის შუქად ანთია,—
ერთი ცნებაა, უეჭველია,
მიტომ ამბობენ: „ხალხი—პარტია!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნინო აბაშიძე

# გადაჭრილი ხე

სამგზავრო, წითელი ავტობუსი ტაფობთან ხშირად ჩერდებოდა. ახალგაზრდა მძღოლი, რომელსაც დიდი თუ პატარა გიტოს ეძახდა, მანქანიდან გადმოხტებოდა, ყელმოღერებული ჩაივლიდა. მიმავალ მგზავრებს შორის კი იმ წუთშივე ჩურჩული გაიბმებოდა:

— ჩვენ შოფერს აქ ქალიშვილი მოსწონს და მანქანას წყაროსთან განგებ აჩერებს...

— აბა, სად არის ის ქალიშვილი? — იკითხავდა რომელიმე მგზავრი და კისერწაგრძელებული მანქანიდან იცქირებოდა. გზის მეორე მხარეს, ხეებთან და-ძმას უსათუოდ დაინახავდა. ქალს ტანი აყრილი ჰქონდა, მაღალი იყო, მაგრამ ლამაზი თვალები პატარა გოგონასი შემორჩენოდა. ბიჭი კი ჯერ ბავშვი იყო. ისინი საგარაკოთ მიმავალ მგზავრებს ცნობისმოყვარეობით მიჩერებოდნენ.

შოფერი გიტო ნათელას შორი-ახლოს ჩაუვლიდა, მერე იქვე წყაროსთან დაიხრებოდა და წყუროდა თუ არა წყუროდა, წყალს მაინც სვამდა. მგზავრები წასვლას შეახსენებდნენ. გიტო ერთი ნახტომით საჭესთან გაჩნდებოდა, ქალის წინ მანქანას მოხდენილად შეატორტმანებდა და ისეთი სისწრაფით დაძრავდა, რომ შეშინებული მგზავრი ყვიროდა:

— ფრთხილად ბიჭო, ემანდ არსად არ გადაგვჩეხო.

გიტო ხარხარებდა და მიჰქროდა გზაზე.

ნათელას სახლში უწყრებოდნენ და არიგებდნენ:

— პატარა კი აღარა ხარ, რომ გზაზე ყველა გამვლელს წინ გაუჩერდე.

— რა შუაშია სიდიდე და სიპატარავე, ჩემ გზაზე რომ ავტობუსს დავხვდე, უსათუოდ პატარა უნდა ვიყო? — უკვირდა ქალს.

ერთხელ, შებინდებისას, ნათელა წყაროსთან იდგა, პატარა ძმისათვის ხელი ჩვეულებრივად ჩაეჭიდა. გვერდით კი თეთრი ქოფაკი ძაღლი ამოსდგომოდა. მანქანამ ტაფობთან ნიშანი მისცა და ცოტა მოშორებით ხესთან გაჩერდა. გიტო გადმოხტა. ყელმოღერებული წამოვიდა.

— სურა მათხოვე წყლის დასალევად, — უთხრა ქალს. ეტყობოდა სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

ძაღლი სიავისაგან კანკალებდა, მაგრამ ნათელამ სურა უხმოდ, სიცილით გაუწოდა, ამ სიცილმა ეტყობა გაავებული ძაღლი დააცხრო.

გიტომ სურა მარცხენა ტუჩთან მოიქცია, წყალს ნელ-ნელა სვამდა, რომ ქალისათვის დიდხანს ეცქირა.

— რა გინდა ამ ტყე-ღრეებში რომ მომწყვდეულხარ? — უთხრა ნათელას და სურა უკან დაუბრუნა.

— როგორ, ჩემ სახლში რა მინდა?! ეგ რა საკითხავია?..

— საკითხავი კია, მაგრამ მე ვინა მკითხავს, — ჩაილაპარაკა ბიჭმა და ცოტა ხნის შემდეგ ჩუმი ალერსიანი ხმით დაუმატა, — ჩემი უნდა იყო, ამას არ უნდა ლაპარაკი — და ქალს ალერსით ორივე ხელი გაუშალა.

ამ ვაჟკაცურ ღონიერ ხელებთან სიახლოვე, ცეცხლთან სიახლოვეს წააგავდა. ნათელა მიხვდა, რომ პატარა აღარ იყო, ცეცხლს მორიდება სჭირდებოდა

და გიტოსგან უკან დაიხია, სამაგიეროდ „ბოროტა“ ძალმა გაიწია წინ.

— რამდენი მცველი გყავს, ვერ გამიგია, — გაჯავრდა გიტო და ძაღლს შეუტია.

ნათელამ კი ხმამაღლა გაიცინა და გიტოც აიყოლია. იცინოდნენ ორივენი და ისე ეგონათ, ცხოვრებას სიცილის და სიყვარულის მეტი სხვა არაფერი არ სჭირდებოდა.

მერე გიტოს თავისი ავტობუსი გაახსენდა, საჭეს მოუჯდა და ელვის სისწრაფით გააქანა. დაცარიელებულ შარა გზაზე კი ნათელამ თავის ძმასთან ერთად ამორბინა. ერთხანს მანქანის ფარებს დაბნეული, გახარებული მისჩერებოდა. სულ სხვანაირად უცემდა გული. გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც ახალი უცნობი სიამოვნება შემოჭრილიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ გიტომ ნათელას ნახვა კიდევ მოახერხა და აღელვებულმა უთხრა:

— მამაშენი დიდ უარზეა, ვიღაც გზაზე გამვლელ შოფერს ქალს როგორ მივცემო, შენც ისე ფიქრობ, რომ ვიღაც გზაზე გამვლელი უსაქმური ვარ?

ნათელამ უარის ნიშნად თავი მაცდურად გადააქნია და გიტოს უსიტყვოდ გააგებინა — მე შენზე ასე არა ვფიქრობ.

— მაშ თუ ასეა, წამოდი ჩემთან. მე მიყვარხარ, — უთხრა ბიჭმა.

— რას ამბობ, მამაჩემის დაუკითხავად ამ ტყიდან და ამ ტაფობიდან არც ერთი ხე არ გატანილა და მე, მის უნებურად?

— ახლა სხვა დროა, გვეპატიება, — შეაწყვეტინა გიტომ.

— მამასა და შვილს შორის დრო რომ არასოდეს არ იცვლება? — გაიღიმა ნათელამ და თვალებში შუქმა გადაურბინა.

— მამაშენის უნებურად, მაშ, არ წამოხვალ. — გაუმეორა კიდევ ბიჭმა.

ნათელამ უარის ნიშნად თავი მერყევად, უხმოდ გადაიქნია. გიტო წავიდა.

იმის შემდეგ ავტობუსი ტაფობთან აღარ ჩერდებოდა. მაგრამ საყვირით, ხმაურით გაიქროლებდა, ეს ხმა ნათელას არ ასვენებდა. გამორბოდა გარეთ და მთების იქით მიმალულ ქალაქს, მის ცას, ისეთი ბავშვური სურვილით გასცქეროდა, თითქოს გაფრენა სურსო. ერთ დღეს ტაფობში ამბავი მოიტანეს:

— თბილისის ავტობუსს ლამაზი შოფერი რომ დაყვებოდა, წუხელის ჩვენ გზაზე დაჭრეს, მთვრალ მოჩხუბრებს აშველებდა და იარაღი შემთხვევით მოხვდაო.

ნათელა გაიქცა გზაზე. ყინავდა. ქარი გაშიშვლებულ ხეებს ერთმანეთს ახეთქებდა და მოასფალტებულ გზას გეგონებოდათ ცოცხითა გვისო. ერთ ადგილას რაღაც ლაქას შეასწრო თვალი. ყინვას ასფალტზე სისხლი მუქად შეეყინა. ამის დანახვაზე ქალმა თვალებზე ხელი მიიფარა და შინ გამოიქცა, მაშინ კი დარწმუნდა, გიტო დაჭრილი იყო, მაგრამ ჭრილობის საფრთხემ არ შეაშინა.

— არა. არ შეიძლება გიტოს პატარა ჭრილობა მოერიოს, კარგად გახდება, გამოივლის, — ეუბნებოდა თავის თავს და ისევ გზისაკენ იყურებოდა. ხანდახან კი თოვლსა და ქარში თავის ძმასთან ერთად ფანჯარას მიუჯდებოდა. ბავშვი მოუთმენლად ეკითხებოდა:

— რა იქნა, სად წავიდა ის ბალახები მე და შენ რომ ვკოტრიალობდით. რად გაშიშვლდნენ ხეები ასე?

ნათელა იცინოდა და გამჭვირვალე აბრეშუმის ნაჭრებისაგან ბიჭუნას მინდვრის ბალახებს და ყვავილებს უკეთებდა. ართობდა ძმას და თვითონაც ერთობოდა. ნათელას ძურწა ბალახები, ცხვირის სატეხელები გამოჰყავდა და ისე ამსგავსებდა, რომ მეგობარი გოგონებიც არ ეშვებოდნენ, ოთახის მოსართავად ითხოვდნენ. ისიც საჩუქრად ურიგებდა. ნათელას მამა შვილის ნახელარს ერთხანს ღიმილით, უხმოდ მისჩერებოდა, მერე ვერ მოითმინა და ახლოს მივიდა:

— სად ისწავლე, გოგო, ეგ ხელობა,

— რას ამბობ, ენძელების და ძურწების გაკეთება რა ხელობაა? — გაჯავრდა ნათელა.

— აბა, მიჰყევი ამ საქმეს, თუ ხელობად არ გადაგექცეს. ასე მიმსგავსებული ლამაზი ენძელას ნაჭრისა კი არა, ქვისგანაც რომ იყოს გაკეთებული, თავისი ფასი აქვს.

— შენ ამას განგებ მეუბნები, რომ ტექნიკუმში სასწავლებლად აღარ გამგზავნო. ჩვენი სოფლის სკოლა გინდა მაკმარო, — საყვედურით ეუბნებოდა ნათელა.

— გაგგზავნი, შვილო, რატომაც არ გაგგზავნი, —მაგრამ ნათელამ იცოდა. მამა ჯერ-ჯერობით სპეციალობის მისაღებად ვერ გაგზავნიდა. მისი დედინაცვალი ფერმის სახელგანთქმული მწველავი იყო. კოლმეურნეობა არ უშვებდა, ოჯახს გოგონა მოუძღოდა, პატარა ძმასაც კი თვითონა ზრდიდა. მაგრამ ეს მძიმე ტვირთი თითქოს მსუბუქად ეჩვენებოდა, რადგან წითელ ავტობუსის გაჩერებას თითქმის ყოველდღე ისე მოუთმენლად ელოდებოდა.

ეს დღეც მოვიდა. გიტომ ვილისი გამოაქროლა და პატარა დაგრეხილ ხესთან გადმოხტა. გიტოს სახის ფერი ნაავადმყოფარს მიუგავდა, მაგრამ მუქი, ლურჯი თვალები ძველებურად უელვარებდა.

ნათელამ ბავშვური სიჩქარით მოირბინა:

— რატომ არ უფრთხილდები თავს, რა მოგივიდა? — შეეკითხა.

— მე რომ არ ვყოფილიყავ, მოჩხუბრები ერთმანეთს დახოცავდნენ

— მერე შენ? — შეეკითხა კიდევ და ახლოს მივიდა.

— არაფერია. ოდნავ გამკაწრეს, შენ წასაყვანად წამოვედი, მე ამ გზაზე აღარ ვმუშაობ, ჩემი ავტობუსი აქ არასოდეს აღარ გაივლის, ჩვენ ერთმანეთს ვეღარა ვნახავთ, — ეუბნებოდა ისეთი სიჩქარით, რომ, ეტყობოდა, უნდოდა ყველაფერი ეთქვა ნათელას დასაყოლიებლად.

— ათი დღე და ღამე რომ ერთმანეთს გადაებას, მაინც დავიცდი, — განაგრძობდა გიტო.

რად ეღირება აქ ცხოვრება, ეს გრძელი გზა, ეს ტყე, გიტოს მოლოდინი რომ არა ჰქონდეს, — გაურბინა ამ აზრმა ნათელას და იმიტომ იყო, გიტოს ათი დღე და ღამე კი არა, რამდენიმე საათიც არ მოუცდია. ნათელა ვილისში იჯდა და იმ შეშინებულ მგზავრს არა გავდა, რომელიც გიტოს სიჩქარის დროს ეხვეწებოდა — ფრთხილად იყავი, არსად არ გადაგვჩეხოო. თავდავიწყებით მიჰქროდა ქალი და ისე ეჩვენებოდა, პატარა მანქანა გიტოს ხელებში, თითქოს ცეკვავდა.

* * *

ნათელამ გიტოს კარების ზღურბლზე თამამად, ღიმილით გადააბიჯა. მოხუცი დედა შეეგება. მიხვდა ეს სითამამე სიყვარულისა და ახალგაზრდობისაგან მოდიოდა. მოხუცის მოკუმულმა ტუჩებმა ახალგაზრდობას და სიყვარულს გაუღიმეს. ნათელამ მოძველებულ შუშაბანდს, გიტოს ოთახს მიხედ-მოხედა, ეტყობოდა, თავის ლამაზ სახლთან შედარებით არ მოეწონა. გიტომ იგრძნო, ეს, ხელი წაავლო და გოგონა თავის ღონიერ მკერდთან მიიხიდა, მერე ეზოში ერთად გავიდნენ და ნათელამ პატარა აღმართზე აირბინა გაჩირაღდნებული დიდი ქალაქი დაინახა.

— უჰ, რა კარგია, მე მგონია აქ ყველა ბედნიერი უნდა იყოს, — უთხრა გიტოს და მის მხართან ახლოს მიიწია, თითქმის მიეკრო. — ქალაქი იმით არის კარგი, რომ აქ ყველას მუშაობა შეუძლია, მეც ვიმუშავებ... ხომ მართალია?

— არც ისეა, შენ როგორც ფიქრობ. ქალაქს თავისი კანონები აქვს. ჯერ პასპორტი უნდა მიიღო. შენ კი ისე წამოხვედი, რომ არც ერთი ცნობა არ წამოიღე, მაგრამ ეგეც იქნება, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. — უთხრა გიტომ და ღონიერი მკლავები გოგონას კიდევ შემოჰხვია.

ასე დაიწყო ახალი ცხოვრება.

შრომას და მოუსვენრობას მიჩვეული

ნათელას სისხლი ქალაქშიაც ვერ ისვენებდა. დილით გარიჟრაჟისას გიტოსთან ერთად ფეხზე იყო. ქმარს წასასვლელად ამზადებდა. გარეთ ერთად გადიოდნენ. გიტო თავდაღმართზე ჩაირბენდა, ნათელა კი ზევით რჩებოდა.

— ხო დროზე მოხვალ, არ დაიგვიანება,—დილის ბინდ-ბუნდში ქალის ერთი და იგივე სიტყვები მოისმოდა. გიტო მიეფარებოდა თვალს და ნათელას საზრუნავი აღარა ჰქონდა. გიტოს დედა იმ ერთ ოთახს მცველივით ედგა, ნივსაც კი არ აკარებდა, რომ მისი დადგენილი წესრიგი არ დაერღვიათ. არ უნდოდა ნათელასთვის დაეთმო ის ცოცხი, რომელიც თვითონ დედამთილისაგან დიდი დავიდარაბით ჩაიბარა. ნათელას კი მისი ცოცხი სულ არაფრად არ მიაჩნდა. რაკი გიტოს გაისტუმრებდა, პატარა აღმართზე დიდხანს იდგა. ქალაქის გაღვიძებას ელოდებოდა. ქარხნის საყვირი ისე ახლო მოისმოდა, რომ ფანჯრის მინები ზრიალებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათ ბილიკზე ახალგაზრდები გამოირბენდნენ. ქარხნებში და სასწავლებლებში ეშურებოდნენ, ნათელას გაბრწყინებული თვალები თვითეულ მათგანს აცილებდა:

— აქ, ჩემს მეტი ყველა რაღაცას აკეთებს, მე რატომ არ უნდა ვმუშაობდე? გიტოს მიხმარება უნდა, ცოდოა მარტო. ორივე ერთად ოჯახს ფეხზე დავაყენებთ და ნათელას ფიქრები მომავალზე სწრაფად, მსუბუქად გაიშლებოდნენ. ფიქრებით აშენებული ცხოვრებაც მსუბუქი იყო და გამჭვირვალე. ფიქრებში დრო სწრაფად, ბედნიერად ტრიალებდა, როგორც ნათელას უნდოდა, სწორედ ისე.

დრო კი ისე სწრაფად არ მიდიოდა, როგორც ნათელას უნდოდა. პასპორტის მიღება გაჭიანურდა. მამა გაჯავრებული იყო. სოფლიდან ჩამოსულები ეუბნებოდნენ: — მამაშენი კიდევა ბორგავს, არ ისვენებს, ვიღაც გზაზე გამვლელმა ჩემი სახლიდან ქალი როგორ წაიყვანაო. ყველას აფრთხილებს, რომ არც ერთი ცნობა არ გამოგზავნონ. ნათელა წუხდა და თვალი გზისაკენ ეჭირა. ამ მოლოდინში დღეები გადიოდა, მაგრამ ახალი არაფერი არ მოჰქონდა. ნათელა გარიჟრაჟისას გიტოს ისევ ისე აცილებდა. გარიჟრაჟი ერთხელ ისე თბილი იყო და სასიამოვნო, რომ ქალი პატარა აღმართზე დიდხანს გაჩერდა. ქალაქის გარეუბანში ალუბალი და ატამი ყვაოდა და კრამიტიანი სახურავები ამ გაშლილ ტოტებში ოდნავ მოჩანდა. ნათელა წუხდა, რომ გიტოს ეზო ტიტველა იყო. მშენებლებს დარგული ხეები გადაეთხარათ. გვერდით დიდი ნაცრისფერი სახლი აეშენებინათ. მხოლოდ დერეფანთან გადაჭრილი მსხალი დარჩენილიყო, ბულდოზერს, ეტყობოდა, ისე ახლო გაევლო, რომ მსხალი გვერდზე გადაეწვინა. მაგრამ ფესვები მიწას ღონივრად ეჭიდებოდნენ, ქერქზე მწვანე, მაღალი ყლორტები ამოეყარა, ხე სიცოცხლეს კიდევ განაგრძობდა, ნათელა ამ ნახევრად მკვდარ მსხალს ვერც კი ამჩნევდა, ნაცრისფერ სახლში მობინადრეების ფუსფუსს და ცხოვრებას უცქეროდა. ნათელამ იცოდა, მათი ფანჯრის პირდაპირ ბინა ქარხნის მუშა ქალს ეკუთვნოდა. ის ქალი ხალიჩების სახელგანთქმული მქსოველი იყო. მისი ნახვა ჰქონდა გადაწყვეტილი, იქნებ დახმარებოდა, სამუშაოდ მოეწყო სადმე, იმიტომ დიდხანს უთვალთვალა, შუახნის ქალი ეზოში გამოვიდა, რაღაც დაბერტყა. ნათელამ დაღმართზე ჩაიარა და ქალს გაუბედავად მიუახლოვდა.

— თქვენ ხალიჩებსა ქსოვთ? — შეეკითხა.

— ჰო, ჩვენი ქარხანა ხალიჩებსა ქსოვს.

ნათელა შედგა. წყლიანი თვალები აუელვარდა.

— რატომ მეკითხები?

ჩვენ დაბაშიაც ქსოვენ ქალები ხალიჩებს. ქსოვენ.

— შენ, შენც ქსოვდი?

— არა, ხანდახან ფერებს და ყვავილებს მე ვურჩევდი.

— როგორ, შენ ხატავ?

— არა, — და ნათელა ოდნავ დაიბნა, გაუბედავად ჩაილაპარაკა, — მე ბალახებს და ყვავილებს თხელი გამჭვირვალე ნაჭრებისაგან ვაკეთებდი.

— უჰ, ისე არ მიყვარს ის ყვავილები, აქ ქალაქში მკვდარ ყვავილებს გვირგვინებისათვის აკეთებენ. შენ რამ მოგაფიქრა?

— ჩვენთან სოფელში მოაგარაკე ქალმა მასწავლა. მერე ჩემ ძმას ვართობდი და ზამთარში მეც ვერთობოდი, — გაიცინა ნათელამ.

— აბა მაჩვენე შენი ნახელარი, — სთხოვა ქალმა.

ნათელა გაიქცა და ცოტა ხნის შემდეგ ტაფობიდან წამოღებული ძურწები და „თეთრი ყვავილი" გამოიტანა. ხალიჩის მქსოველს სიცილით გაუწოდა; ნათელას ნახელარი, ეტყობოდა, ქალს მოეწონა, „თეთრი ყვავილი" კარგა ხანს ხელში ატრიალა.

— იცი, რას გეტყვი, მასალას მე მოგაწვდი და თქვენებური კარგი ყვავილები გამიკეთე.

— სოფლური, მინდვრის ყვავილები თქვენ რაში გამოგადგებათ, — უთხრა ნათელამ.

— ყვავილები სოფლური უნდა, აბა სადაური?—გაიცინა ხალიჩის მქსოველმა და ნათელას თავიდან ფეხებამდე თვალი შეავლო. ქალს ტანი შევსებოდა, როგორც ჩანდა, მალე დედა გახდებოდა.

— არსად არ მუშაობ?

— არა, ძალიან მინდოდა, მაგრამ აქამდე დავრჩი, პასპორტის მიღება ვერ მოვახერხე.

— ჰო, უპასპორტოთ მუშაობა არ შეიძლება. მაინც სად გინდა, იმუშაო?

— ელექტრო-გამშვებ ქარხანაში, ჩემი მეგობარი გოგო მუშაობს.

— ნეტავ რა გინდა იქ, დაჯექი და კარგი ყვავილები გააკეთე. გაცილებით მეტ ფულს აიღებ. მე მგონია, შენი ნახელარი ყველას ძალიან მოეწონება.

— არა, რას ბრძანებთ, ჩვენთან მინდვრის ყვავილები არ იყიდება. თქვენ გგონიათ ისეთი გაჭირვებული ვარ?

— ჩვენთან ქარხანაში მოგაწყობდი, მაგრამ თავისუფალი ადგილი არ მეგულება. ჯერ მშვიდობით მორჩი, სამუშაოზე მერე ვილაპარაკოთ. მანამდის კი დრო გაქვს. შენ გენაცვალე კარგი, თეთრი ყვავილები გამიკეთე.

ნათელამ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია, მაგრამ ნაწყენი იყო. შინ მძიმე ნაბიჯით, ალეწილი გამოეშურა, თითქოს მის დაწყებულ ოცნებას ვიღაცამ გზები გადაუჭრაო. გიტოს დაბრუნებას მოუთმენლად ელოდებოდა.

გიტომ ოთახის კარი შუაღამისას შემოაღო. დაღლილი იყო. ყოველთვის მოღერებული კისერი თითქოს მოწყვეტით შემოიტანა, ცივი წყლით ხელ-პირი დაიბანა და თავჩაქინდრული მიუჯდა სუფრას.

— გიტო, — ხმა ამოიღო ნათელამ კარგა ხნის შემდეგ, და წინასწარ გაიცინა, — თქვენმა მეზობელმა საქმე მიშოვა.

გიტოს ხორცის ნაჭერი შერჩა ხელში, ცოლს მიაჩერდა.

— მუშაობა რად გინდა, დაჯექი და ძურწა ბალახები გააკეთეო. მაგას სულელი ხომ არა ვგონივარ? ვინ იცის, ფიქრობს, სოფლელია, მაინც მეტ ვერაფერს მოახერხებსო.

გიტო ცოლს კიდევ უხმოდ მისჩერებოდა.

— აქ ხალხი უზარმაზარ ღუმელებს ატრიალებს, მე კიდევ პატარა „ლაშქარა" ყვავილს მკითხავივით მივუჯდე და ვუკრკიტო.

— მერე, შენ არ იცი, რომ არაფერი არ ფასდება სიდიდით და სიპატარავით, დიდი მუხის ქვეშ ამოსულ ფურუსულასა და ენძელასთან ისე მისულხარ, რომ მუხის სიდიდე დაგვიწყებია.

— არა, მე სხვაზე ნაკლებ არ მერჩის ღონე და არც უსახელოდ ვიმუშავებ. აბა მიყურონ, დაზგებთან როგორ ვიტრიალო. ჯერ პასპორტის მიღებას ველირსებოდე და მერე ნახონ.

— აბა, შენ იცი, — ჩაილაპარაკა გიტომ, ფეხზე წამოდგა, გაშლილ ლოგინზე გულაღმა დაწვა. ცოტა ხნის შემდეგ

მშვიდი სუნთქვა ამოუშვა. ნათელა კი ისევ ბორგავდა, ვერ ისვენებდა, კიდევ იმდენი ჰქონდა სალაპარაკო, რომ გიტოსთან ერთად ღამეს ლაპარაკში გაათენებდა, მაგრამ გიტო გულჩათხრობილი ჩუმი იყო, ის ცეცხლი, რომელმაც ნათელა ტაფობიდან წამოიყვანა, აღარა ჩანდა.

ხალიჩის მქსოველმა ნათელას ნეილონის ნაჭრები და საღებავები მოუტანა, მაგრამ შინ აღარ დახვდა. წინა ღამეს საავადმყოფოში წაეყვანათ. იმის შემდეგ მის დაბრუნებას ქალი თითქმის ყოველდღე უთვალთვალებდა. ერთ დილას, თავის სარკმლიდან დაინახა, ნათელა აღმართზე ამოდიოდა, ხელში თბილად შეხვეული ბავშვი ეჭირა, საავადმყოფოდან ბრუნდებოდა. სახე თითქოს სულ სხვანაირად უბრწყინავდა. კარებში შეაბიჯა და ხალიჩის მქსოველს მოეჩვენა, რომ მოძველებულ დერეფანში იმ გაწვდილ ხელებით ნათელამ ბავშვი კი არა, მარტო სიყვარული შეიტანაო.

ასეც იყო, ნათელამ დაბალჭერიანი ოთახის კარი შეაღო, თუ არა, სიყვარული და სიცოცხლე კიდევ ხელახლა შეიტანა. ამ პატარა სახლში ახლა თავისი საკუთარი ცხოვრება ჰქონდა. აღარავის საცქერლად აღარ ეცალა, აღარც ქალაქის შფოთი და დავიდარაბა ეკითხებოდა, მაგრამ ქარხნის საყვირის ხმა ისევ ისე მოისმოდა. მაშინ კი თავს აიღებდა და აგონდებოდა, რომ ქალაქის, ამ სახლის უკანონო სტუმარი იყო და ვერ ისვენებდა, ბორგავდა და წუხდა.

— რა იქნება, რომ დღესვე წავიდე, ჩემი ბიჭუნა წავიყვანო, მე ვიცი, ამის მიყვანა იქ, ზავსა და მშვიდობას ჩამოაგდებს, ხელს ხომ არა გვკრავს მამაჩემი? გიტო მგზავრობიდან ხვალ შუადღისას დაბრუნდება, ჩვენ ჩამოვუსწრებთ. — გაიფიქრა ნათელამ, ტაფობზე წასვლა მოიფიქრა და, როგორც სჩვეოდა, ფიქრს საქმე მოაყოლა. ბავშვი გამოხსნა, პატარა ბიჭუნამ ჯერ გაიზმორა, მერე პატარა წითელი ენა დაატრიალა, ამის დანახვაზე ნათელა ხმამაღლა აკისკისდა.

— ხომ შემარიგებ მამაჩემთან, — ეკითხებოდა და ჰკოცნიდა ბავშვს, თან წასასვლელად ამზადებდა.

ნათელა მალე ავტობუსების გაჩერებასთან გაჩნდა. ტაფობში მიმავალი წითელი ავტობუსი მაშინვე იცნო და შორიდანვე გაიღიმა. შარშან ამის ერთ გამოჩენას როგორ თავდავიწყებით ელოდებოდა. ამის საყვირის ხმა ნათელას ყველაფერს ავიწყებდა. ავტობუსი სულ არაფრით არ გამოცვლილა, ისევ ის არის, მხოლოდ გვერდებზე ოდნავ საღებავი გახუნებია. ნათელას ცხოვრება კი როგორ დიდად შეიცვალა. ვიღაც მგზავრი მიეხმარა, ასვლა უშველა. ქალმა მყუდრო ადგილი გამოძებნა თავის ბიჭუნასთან ერთად კუთხეში მიიყუჟა და ღელვა დაიწყო: როგორ შეხვდებოდნენ თავისიანები. ავტობუსი კი მოასფალტებულ გზაზე მიჰქროდა. აი, გამოჩნდა ერთ სიმაღლეზე ჩარიგებული წიფლის ხეები. ნათელას უნდოდა, მოკრიალებული თავისი ცა დაენახა. მანქანის სარკმლიდან იცქირებოდა, მაგრამ ხეებს ერთმანეთზე თავები ისე მიეწყოთ, რომ ცა ოდნავ ჩანდა. ტყეში ჩრდილი იყო. აქა-იქ ნაადრევად ამოსული ფერდაკარგული ია მოჩანდა. მანქანამ უღელტეხილზე აუხვია. ნათელამ იგრძნო, რომ ბავშვი რაღაცამ შეაწუხა. სახე და ტუჩები გაულურჯდა. ტირილი უნდოდა და ვერა ტიროდა. პირს პატარა ბარტყივით უმწეოდ აღებდა.

— ბავშვი ეტყობა სიმაღლემ შეაწუხა, უნდა დაბრუნდეთ, —უთხრა ერთერთმა მგზავრმა.

— მიშველეთ, ისეთი განწირული, ჩუმი ხმით მიმართა ყველას ნათელამ, რომ მგზავრები ფეხზე წამოიშალნენ. ნათელა პატარა ბიჭუნით გადმოიყვანეს. მძღოლმა თბილისისკენ მიმავალი მსუბუქი ავტომანქანა გააჩერა. მგზავრებმა დედა და შვილი დალოცვით და იმედებით გამოისტუმრეს. მაგრამ ნათელას

არაფერი ეყურებოდა. თვითონაც არ იცოდა, თავისი ბიჭუნა საით მიჰყავდა.

პირველ დახმარების წერტში გაჩერდნენ. ექიმებმა ბავშვი გასინჯეს. გულის მანკი აღმოაჩინეს, დაბადებიდან დაჰყოლოდა.

— ნუთუ ჩემ ბიჭს ვეღარაფერი უშველის?—ეკითხებოდა დედა და შემკრთალი თვალებით იცქირებოდა.

ექიმები ბავშვის მომავალ სიცოცხლეს, ეტყობოდა, ეჭვის თვალით უყურებდნენ, შუბლშეკრულნი იცქირებოდნენ.

— ბავშვმა შეიძლება იცხოვროს გულის მანკით იქამდე, ვიდრე ოპერაცია გაუკეთდება. ისე კი მისი ცხოვრება საფრთხეშია. ზედმეტი მოძრაობა არ შეიძლება — უთხრეს დედას და საავადმყოფოს რეჟიმი ურჩიეს. მაგრამ ნათელას ბავშვის მიყვანა საავადმყოფოში არ შეეძლო. არც ერთი საბუთი ხელთ არა ჰქონდა. ბავშვს ორივე ხელი შემოაჭდო. ფეხის ცერებზე ფრთხილად დაჰყავდა. ეგონა მისი მკლავები საფრთხეს ახლო არ მიუშვებდნენ. მთელი ღამე ასე ლანდივით დადიოდა. გიტოს დაბრუნებას, როგორც მართლმსაჯულებას, ისე ელოდა და ასეც მოხდა.

— შენი ბრალია; — უთხრა გიტომ, როცა მგზავრობის ამბავი მოისმინა, — თუ მამაშენი ისე გიყვარდა, იმ ტაფობიდან რას გამორბოდი, მაგრამ ასეთები ხართ ქალები. ჭკვა არა გაქვთ. დაღუპე ბავშვი და ახლა რაც გინდა ქენი, ზედ არ მოგხედავ. — უთხრა და კარები მიუჯახუნა. ნათელა ავადმყოფ ბავშვთან მარტო იყო. გიტოს ფეხის ხმას მაინც გულისცემით ელოდებოდა, მაგრამ გიტომ თავისი ავტობუსი, ეტყობოდა, შორეულ რეისში წასასვლელად მოამზადა. დილით ხმაამოუღებლივ გავიდა სახლიდან.

— მაგისი ბრალი იქნება, თუ ჩემი შვილი იმ რეისიდან აღარ დაბრუნდა. —ბუტბუტებდა მოხუცი.

— ჩემი ბრალია ყველაფერი, იმეორებდა ნათელა და ბავშვთან მიყუჟული მწუხარების აჩრდილსა გავდა. ცხოვრება, რომელიც ისეთი ცეცხლით დაიწყო, ხელიდან წასული ეჩვენებოდა, მთელი დღე ტიროდა გვიან საღამოს მოულოდნელად კარი გაიღო, ოთახში ნათელას მამა შემოვიდა. სანოვაგით და ხილით დატვირთული მკლავები შემოიტანა. იღლიაში კი ქაღალდში შეხვეული საბუთები ჰქონდა ამოდებული.

ნათელა ზეზე წამოფრინდა, მამას კისერზე შემოეხვია. ჩამოტანილი საბუთები კი შორის გადაყარა. —აღარ მინდაო — მამამ ჯერ ბავშვს გადახედა და მერე წარბშეკრულმა გიტო იკითხა. ნათელამ არაფერი არ უპასუხა, მამას კიდევ მეორედ მოეხვია, ჩუმად ატირდა.

— კარგი, გეყოფა, რაც მოსახდენია უნდა მოხდეს, აბა რას იზამ, — თავის ჯიუტ გოგონას ამშვიდებდა და ბრტყელ, მზისაგან დამწვარ მოუხეშავ ხელს თავზე უსვამდა.

— რად წამოვედი ტაფობიდან, რად. შენ არ იცი, რომ მე ყოველ დღე, ყოველ თვეს, შეიძლება ყოველ წელიწადს ჩემი ბავშვის სიკვდილს უნდა მოველოდე.

— რა ვიცი, მოწონებული ქალაქი ეს არის და. ამ ნაცრისფერი კოლოფების საყურებლად გამოიქეცი, მაგრამ რაკი ასე მოგიხდა საქმე, უკან წაგიყვან. — ნათელამ უარის ნიშნად მამას თავი გადაუქნია, ცრემლიანი თვალებით გვერდით მოუჯდა, თავის გაზრდილ ძმას კითხულობდა, დედინაცვალს, მეზობლებს, ტაფობს, „ბოროტა“ ძაღლიც არ დატოვა. მამას არ უშვებდა, თხოვდა, დიდხანს დარჩენილიყო მასთან. მაგრამ მამამ უარი უთხრა დარჩენაზე:

— არ შემიძლია, მიტოვებულ სახლკარს უნდა მივხედო.

ნათელამ მამა გაისტუმრა და დღემ ასე მძიმედ, პირქუშად გაიარა. გიტოს დედა მთელი დღე კაბის ფრიალით დადიოდა. შუბლი შეკრული ჰქონდა. ნათელას ესმოდა, მეზობლებთან როგორ ჩიოდა:

— ბედი არაფერში არა მქონდაო, ჩემმა შვილმა არ მოიყვანა ისეთი ქალი, როგორიც მე მინდოდა, არაფერი

ხელობა არა აქვს, შინ მოიკალათა, ან რა ხელობა ექნება სოფლელ ქალს, იქიდან რომ არ წამოეყვანა, აქ ქალი გაქრაო. — ნათელას ესმოდა ეს და კედელთან იყუჟებოდა. გარეთ გასვლა აღარ უნდოდა, სარკმელს მიკვროდა და ქვევით გადაშლილ ქალაქს შემკრთალი თვალებით უცქეროდა. ქალაქიც ისე ცივი, მიუკარებელი ეჩვენებოდა.

— მე კი მეგონა აქ ყველა ბედნიერი უნდა ყოფილიყო, ეუბნებოდა თავის თავს და ლამაზ ფარდებიან სარკმელებს თვლიდა. ვინ იცის, იქაც ჩემსავით გამწარებული ზის, რა შეეტყობა ქალაქს, არაფერი, კითხულობდა ნათელა, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს არავინ ეუბნებოდა.

მეორე დღეს მამა კიდევ ჩამოვიდა.

— ეჰ, ამ გოგოს ჯავრმა არ მომასვენა. — უთხრა დერეფანში გიტოს დედას და პირდაპირ ოთახში შეაბიჯა. ნათელა გულ-ხელდაკრეფილი მხრებჩამოყრილი იდგა.

— ერიჰა, ჩემი ყოჩაღი გოგო ველარ მიცვნია. — გაისმა მისი მაღალი ხმა.

ნათელა მორჩილი ბავშვივით წინ წამოვიდა.

— მარტო ფიქრით ცხოვრება, შვილო, არ შეიძლება. ან მოქსოვე, ან შეკერე. გახსოვს, თხელი ნაჭრებისაგან მინდვრის ყვავილებს აკეთებდი. ისეთი ლამაზი გამოდიოდა, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა. მაგრამ ყველაფერს თავი მიანებე. ჩვენი აღარაფერი აღარ ინდომე, აბა, ბავშვს მიუჯექი და იმუშავე. ხელების განძრევა გულს მოგიფონებს.

— ის სხვა დრო იყო, მამაჩემო.

— როგორი დროც არ უნდა იყოს, ცოცხალი ადამიანი უნდა ცოცხლობდეს, —აბა მოდი აქ, ამ მოჭრილ მსხალს გადახედე, როგორ იბრძვის სიცოცხლისათვის.

ნათელამ იქით არ გაიხედა, თავი აიღო, მოუსვენარი, ლამაზი თვალებით დაბინდული იცქირებოდა. — ხომ არ გამოშტერდა მამაჩემი, ჩემი მწუხარება ხეს შეადარაო, — წაიჩურჩულა, მაგრამ კარადის უჯრა მაინც გამოაღო, გაახსენდა რომ ამას წინათ ხალიჩის მქსოველმა ნეილონის ნაჭრები და სალებავები მოუტანა. მამას რომ აღარაფერი ეთქვა, ძებნა დაუწყო.

მამა ღამე გაისტუმრა. დილით კი ფეხზე წამოდგა. გიტო ჩამოსულიყო, დედამისთან დერეფანში ტრიალებდა. ნათელა მის ნაბიჯებს ახლა უკვე აღარ ელოდა, შეკრული შუბლის ეშინოდა. სარკმელს მიუჯდა, ქალის ფერდაკარგულ თითებს, თითქოს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ ემუშავათ და მუშაობდნენ. ყვითელი „ტუხტი" გააკეთა და ბიჭუნას თვალებთან მიუტანა. პატარა თვალები ყვითელ ფურცლებს ისე აზრიანად მიაჩერდნენ, რომ ნათელამ გაიცინა. ასე ართობდა ძმას, იმასაც უყვარდა ნეილონისაგან გაკეთებული ყვითელი „ტუხტი", უხაროდა ამის დანახვა. ნათელამ ყვავილი კიდევ თვალებთან გაუტარა და ბავშვმაც ცქერა გააყოლა.

— მართლა ძალიანა გავს. — გაიფიქრა ქალმა. — ფასი რომ ჰქონდეს, რა კარგი იქნება. მაშინ მე და ჩემ ბავშვს არაფერი გაგვიჭირდება. მაგრამ, იტყვიან წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო, ისეა ჩვენი საქმე, უთხრა თავის ბიჭს და მაგრად აკოცა. მისმა თითებმა კი მუშაობას მოუმატეს. მთის ყვავილებისთვის თითქოს უნდოდა სული ჩაედგა. დილიდან საღამომდე უტრიალებდა.

ხალიჩის მქსოველმა, ეტყობოდა, მის მუშაობას თავის სარკმლიდან თვალი შეასწრო, ნათელას წინ ვიწრო ბილიკზე გამოიარა და ვითომ არ იცოდა, რას აკეთებდა, განგებ, შეპარვით შეეკითხა.

— რაღაცით გართულხარ, კიდევ კარგი.

ნათელამ თავი აიღო, მის წყლიან თვალებს მღელვარება ეტყობოდა. ხელი გასწია და ქაღალდიდან „თეთრი ყვავილი" და „ლაშქარა" გამოიღო და ქალს ისე გაუწოდა.

— უი, რა კარგია, სულ ცოცხლებს გვანან, ოქროს ხელი გაქვს, ოქროსი,

უნდა მიჰყვე ამ საქმეს. — სულ მოუთქმელად მიაყარა ხალიჩის მქსოველმა. საფულე გახსნა, ფულს დაუწყო ძებნა, მაგრამ ნათელამ ხელი დაუჭირა.

— არა, არა, ეს თქვენ საჩუქრად გაგიკეთეთ, ძალიან გთხოვთ, იქნებ ვისმეს მოეწონოს, მე არ მეგონა, რომ მინდვრის ბალახების გაყიდვაც შეიძლება. — ჩაილაპარაკა და თავი დახარა.

— აბა, რა გეგონა, შენ ჯერ ბავშვი ხარ, ცხოვრებისა არაფერი გაგეგება, აბა ის რა ხელობაა, თუ ღირებულება არ ექნება. დამაცადე, მე სხვანაირად დაგეხმარები.

ორი დღის შემდეგ ხალიჩის მქსოველმა გამოიარა. ვიწრო ბილიკზე კი არ გაჩერდა, მოუარა და პირდაპირ ოთახში შეიჭრა.

— იცი, შენი ნამუშევარი მხატვრებს ვაჩვენე და ძალიან მოეწონათ. მითხრეს, უსათუოდ მოიყვანეო, — უთხრა ნათელას.

— რა უნდათ ჩემგან. — ჩაილაპარაკა ნათელამ და ნაღვლიანად შორს გაიხედა.

— გელოდებიან, ერთ-ორ კარგ სიტყვას გეტყვიან, რა გენაღვლება, — არ ეშვებოდა ხალიჩის მქსოველი.

კარებს გიტოს დედა აეყუდა. ეტყობოდა, ლაპარაკს უსმენდა.

— ხალიჩის მქსოველმა ბავშვი მოსავლელად დაუტოვა.

ნათელა კი ფეხზე წამოდგა ისე, თითქოს წელის აწევა გაუჭირდაო. საზაფხულო პალტო ჩაიცვა და მწარედ, უნდობლად გაიღიმა. ხალიჩის მქსოველთან ერთად გარეთ გავიდა, მშფოთვარე ქალაქი სწორედ იმ დროს იღვიძებდა, ხალხი სამუშაოდ ეშურებოდა. ნათელაც იმ ხალხში იყო. ისიც სამუშაოდ მიდიოდა. როგორ ნატრობდა იმ დღეს, მაგრამ ახლა იმ ნათელას აღარ გავდა. თავისი ცხოვრება დამთავრებულად ეჩვენებოდა.

ქარხნის კარებთან საშვი მოსთხოვეს. ცოტა ხნით ხალიჩის მქსოველმა მიატოვა.

ნათელა დაბნეული აქეთ-იქით იცქირებოდა. ამ დროს მხატვარი ქალი გამოვიდა.

— თქვენი ნამუშევარი ჩვენ ყველას მოგვწონს. როგორ სამწუხაროა, რომ ხატვა არ იცით, — უთხრა მან და თანაგრძნობით დააცქერდა. ეტყობოდა, მისი ამბავი ხალიჩის მქსოველს უკვე ეამბა.

— ის თეთრი ყვავილი არც კი მინახავს, რა მშვენიერია.

ნათელამ სიამოვნებისაგან გაიღიმა.

— არ გენახვებათ, ეგ ჩვენთან ხარობს.

— იმუშავებთ ქარხანაში? — ჰკითხა მხატვარმა.

— არა, ისეთი მდგომარეობა მაქვს, მუშაობა არ შემიძლია.

— მით უმეტეს, უნდა იმუშაოთ. ისეთი საღებავებით აკეთებს იმ მკვდარ ყვავილებს, რომ სულ ცოცხლებს გვანან. მე მგონია თქვენ ხალიჩების საქმეში სახელს გაითქვამთ.

ნთელამ მწარედ, უნდობლად გაიღიმა.

— აბა, კარგად მოიფიქრეთ და ხვალ დილით უსუთუოდ შემატყობინეთ, თუ მოხვალთ, თან ბალახები და ყვავილებიც მოიტანეთ. ისე მომწონს, რომ ვეცდები ხალიჩისთვის ესკიზი თქვენი ყვავილებისაგან გავავსოთ.

ნათელას წყლიანი თვალები მხატვარს გაუნძრევლად მისჩერებოდნენ.

— თქვენი პირობები სულ სხვანაირად შეიცვლება. აბა მიხედეთ, თქვენი მეზობელი ხალიჩის მქსოველი როგორა ცხოვრობს.

ნათელა ერთ ხანს თავჩაქინდრული უხმოდ იდგა. მერე გამოსამშვიდობებლად თავი დაუკრა და შინ წამოვიდა. საღამოს თავის ბიჭთან ერთად სარკმელთან იჯდა, ბავშვის ლოყისთვის ლოყა მიედო და დაფიქრებული იცქირებოდა. მათი სახლის წინ ვიწრო ბილიკზე მორთული ახალგაზრდები მირბოდ-მორბოდნენ. ეშურებოდნენ, რომ წვიმისათვის მალე გაესწროთ. გაჩირაღდნებული ქალაქი ახლა მათ გასართობად ემზადებოდა. ხანდახან დაიჭე-

ქებდა, ღრუბლებში ელვა ერთი წამით გადაირბენდა.

—ყველას რაღაცა უხარია, ყველას პატრონი ჰყავს და მზრუნველი. მარტო მე და შენა ვართ ასე, — ეუბნებოდა თავის ბიჭუნას და გადაჭრილ მსხალს მისჩერებოდა. წვრილი მაღალი ყლორტები ქარიშხალისაგან ერთმანეთს აწყდებოდნენ, ილუნებოდნენ, მერე წელში სწორდებოდნენ სულის მოსათქმელად და ისევ ებრძოდნენ ქარს.

— ნეტავ ამ ქარიშხალისგან რა დაემართებათ ამ უბედურებს, გადაიმტვრევიან თუ არა — გაიფიქრა ქალმა.

ელვამ კი თანდათან მოუმატა. ნათელა მოშორდა სარკმელს. თამამ, უშიშარ გოგონას, რომელიც ასეთ ქარიშხალის დროს ტაფობში გარეთ უშიშრად დაქროდა, ახლა ოთახში ეშინოდა ქარის, წვიმის, ჭექა-ქუხილის. ეს ღამე რატომღაც თავის ცხოვრებას აგონებდა და აჩქარებდა მალე მიწოლილიყო დასაძინებლად, რომ აღარაფერზე აღარ ეფიქრა.

დილით გარიჟრაჟისას ფეხზე წამოდგა. ბავშვს მოუარა, აჭამა, რომ ქარხნის საყვირმა მათ ფანჯრებთან გაიზრიალა. არასოდეს ისე დიდხანს არ უყვირია, როგორც იმ დილას. თითქოს ნათელას თავისთან ეძახდა, თავშესაფარ ადგილს აძლევდა.

— რომ წავსულიყავი, იქნებ ჩვენი საქმეები გამოსწორებულიყო. მაგრამ შენ როგორ დაგტოვებ, როგორ — უთხრა ბიჭს და მხურვალედ რამდენჯერმე გადაჰკოცნა. კარებს გიტოს დედა აეყუდა, სახე შეკრული ჰქონდა. ქალს გოროზი სახით მისჩერებოდა.

— ადექი, წადი სამუშაოდ, რას აგვიანებ. ხომ ხედავ იმ ბალახბულახებმა რა საქმე გიყვეს. კაცზე უფრო გაგიტანეს, — უთხრა რძალს და ჩაიცინა.

ნათელას თვალები გაუნძრევლად მიჩერებოდნენ.

— ბავშვს შენ მოსვლამდე მე მოვუვლი — ჩაილაპარაკა მოხუცმა და პირი მოკუმა.

ნათელა წასასვლელად მოემზადა. ბიჭუნას ალერსით, სიცილით გამოეთხოვა და გარეთ გავიდა.

გაზაფხულის მზე სახეში ეცა. სულ სხვანაირი დილა დახვდა. წუხანდელ ღამეს არა გავდა. დერეფანთან ცოტა ხანს შედგა. მწვანე ყლორტებს ცქერა დაუწყო. წელში გამართულნი იდგნენ, წვიმისაგან შესველებული ფოთლები გასაშრობად გაზაფხულის მზეს ეფიცხებოდნენ. ნათელამ გაიარა და კიდევ მეორედ მოიხედა. გადაჭრილი ხე სიცოცხლეს კიდევ განაგრძობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია შერაზადიშვილი

## რკინის ტყეები

უკან დავტოვეთ შირვან-მუღანი,
გავხდით მოწმენი უცხო ხილვების,
გადაგვეღობა კუშტი უღრანი
აჩონჩხებული ჭაბურღილების.

ასე სიზმარშიც არ მგონებია,
სადღაც, ველს მიღმა იძირებიან,
რა დაშრეტილი მთაგორებია,
რა უსიცოცხლო მთის ძირებია.

ამ ტყეს ფოთოლიც რომ არ მოუსხამს
და არც ატარებს ამის იმედებს,
მჯერა, სურით რომ წყალი მოვუსხა,
ჩაესახება მწვანე სინედლე.

ახლა რომ ტანი აჩონჩხებიათ,
ტოტებით არვის გაყადრებიან,
მაშინ უთუოდ გაცოცხლდებიან
და უსიკვდილოდ აყვავდებიან.

ქარი იქნება მათი გამრთობი,
მიწას დახრავენ ფესვთა ფრჩხილებით
და მოიკლავენ წყურვილს ნავთობით
გარინდებული ჭაბურღილები.

გვეჩვენებიან, ნუთუ მაშინაც
უსულგულონი, როგორც კანონი,
რკინის ტყეები ისე აშლილან,
ვით ავსებული სასაფლაონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესტაკადები

კოშკები ჩანან ზღვაზე ათობით,
ტანზე მშრალნი და კანქებსველები,
მოდის და მოდის ზღვიდან ნავთობი
შეუნელებლივ,
შეუსვენებლივ.

ზღვაში შეჭრილა დიდი შარაგზა,
მიდის და რკინის ბოძებს მიიბჯენს,
როგორც სოფელში ავტოს ნაგაზი,
მისძალებია ტალღა ხიმინჯებს.

ამ ლექსს ნავთობის მოხვდა
შხეფები,
ვერ გამოჩნდება ქართლის ნუშებთან,
მე ვგრძნობ, რომ რკინის ცივი ფეხები,
თვით სველ ტალღებსაც ეხამუშება.

არ ვიცი ფეხზე როგორღა დგება,
არ მესმის ამას როგორ ვიჯერებ,
ესტაკადები,
ესტაკადები
ზღვის გაღმა მხრისკენ მიაბიჯებენ.

თითქოს გაუხამთ ასი ერქვანი,
ზღვის ყამირებზე კვალის დამდები,
ანუ ზღვა არის ვრცელი ეკრანი
და ზედ გარბიან
კინოკადრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჩუჩუა

# დ ა უ თ ა

ვის უნდა ჰკითხოთ ამ კაცზე აჭარაში, რომ სახე არ გაებადროს:

— ო, ჩვენი დაუთა!

გვარით იშვიათად ახსენებენ, თუმც ძველისძველი, სახელოვანი ქართული გვარის კაცია. ამ გვარის ხალხს მრავალჭირნახულ აჭარაში თუ შეხვდებით კიდევ.

დაუთას წინაპრები მესხეთის სპასალარებს უმშვენებდნენ გვერდს თურქებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

თვითონ დაუთი უბრალო პროფესიის კაცია: მისი დღე და მოსწრება მილიციაში გაატარა.

თავისთავს უსწავლელს ეძახის, მისი ბიბლიოთეკა კი ბევრ მწიგნობარს შეშურდება. მე თვითონ მინახავს ამ ბიბლიოთეკის თაროებზე უნიკალური წიგნები. ზოგიერთ მათგანზე ნიკო მარის სამახსოვრო წარწერაც წამიკითხავს.

მაგონდება, ბათუმელმა მხატვრებმა გადაწყვიტეს, ლადო გუდიაშვილისათვის იუბილეზე შველი ჩაეყვანათ. დასანანი ის იყო, რომ სწორედ თბილისში გამგზავრების დღეს მოუვიდათ თავში ეს აზრი.

მაშინ ვიღაცამ დაუთი გაიხსენა.

— შველი, ძიავ, ქართაში კი არ მყავს დაბმული, — შორს დაიჭირა დაუთამ.

დღის ბოლოს კი მერისიდან დარეკა, თოვლში ჩარჩენილიყო მანქანით:

— დავიჭირე, ძიავ! ამოდით და წაიყვანეთ.

დაჭერით კი დაიჭირა დაუთამ შველი, მაგრამ მხატვრებმა წამოყვანა ვერ მოახერხეს. მატარებელი გაასწრებდათ.

ამასწინათ დაუთა თბილისში, ტაქსის გაჩერებასთან შემხვდა.

ყველას ყურადღებას იქცევდა სახეგაყინულილებული დევკაცი, ნიკაპამდე ჩამოფანჩული ულვაშებით, განუყრელ ტყავის ქურთუკსა და კრაველის ქუდში. სამხრეები აღარ ეკეთა.

— „წეველი ასტავკაში, ძიავ... ბალღებს ვუვლი ახლა, — და მკერდზე მიხუტებულ ბუთხუზა შვილიშვილს მაჯის სისხო საჩვენებელი თითი მოუცაცუნა.

— რომლისაა, დაუთ?

— გოსი.

უნებურად გამეღიმა.

— რას იცინი, ძიავ?

როგორ თუ რას ვიცინი! დაგავიწყდა აჭარლები რომ ოლიმპიადაზე მივემგზავრებოდით?... შენი გოგო ქედელთა გუნდის მშვენება და თვალი იყო. სადგურში რომ გამოაცილე, წახდი ამოდენა ყაზახი. წვერლინლლიანმა ბიჭებმა შეგაშინეს: მგლის ლეკვებივით კვესავენ თვალებს, მაგაზე გოგო ინდობაო? დაჰკარი ფეხი და შენც თბილისში ამოყავი თავი, თითქოს დიდი მომღერალი მყავდე.

მერე რა! ათასი დამნაშავისა და ბოროტმოქმედის დამჭერს, არაფერი გაგივიდა. ერთმა „მგელმა“ მაინც მოგტაცა კრავივით უმანკო და უწყინარი გოგო.

— აბა, ძიავ! — იცინის დაუთა და სიძეს მაცნობს, — აგია ის მამაძაღლი, ა!

ბევრი რამის თქმა შეიძლება დაუთაზე, მაგრამ ამჯერად ერთ ამბავს დავჯერდეთ.

მოგეხსენებათ, ომისა და განსაცდელის ჟამს ყველა კუთხეში გამოერევა თითო-ოროლა მშიშარა და ძვალის გამტეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ასეთი აღმოჩნდა იმ რაიონშიც, სადაც დაუთა მილიციის განყოფილებას განაგებდა.

დასაბმელი გახდა დაუთა: ისრაფილ ჯინჭარაძისა და ასლან ბაჯელიძის გამზრდელი კუთხე შეარცხვინა, ჩემი ხელით ჩავაძაღლებო.

უთხრეს, ეგ არ გვინდა, იქნებ ჭკუაზე მოვიდესო.

მაგრამ არა! გატყიურდა ბიჭი, თავის დანაშაულს დღე დღეზე ამძიმებდა.

მაშინ დაუთას დასტური მისცეს — იმოქმედეო.

როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, დაუთამ შეიმუშავა „ოპერატიული გეგმა" და საქმეს რომ უნდა შედგომოდა, წერილი მიიღო:

„დაუთავ! გევიგე შენ აგილია ფიშტო და მდევ... გავრიგდეთ... დურსუნასთან ჩამო დავახშმებაზე".

დაუთა წავიდა.

არც არავისთვის უთქვამს, არც ვინმე გაუყოლებია....

დაბნეულმა დურსუნმა შინ შეიპატიჟა, მაგრამ დაუთამ ეზოში დაცდა ირჩია. კარგს იზამთ, თუ პირს დამაბანინებთო.

იარაღი ხეზე ჩამოკიდა და ხელები თუნგს შეუშვირა.

ამ დროს იგრძნო, რომ ზურგიდან უახლოვდებოდნენ.

„იარაღი!" გაუელვა თავში, მაგრამ შეჩერდა. არ ისურვა, პირდაპირ იარაღზე მიმდგარიყო საქმე.

თითქოს აქ არაფერიო, მშვიდად იმშრალებდა სახეს, თან თავის ჩრდილს აკვირდებოდა. ჩრდილი ჯერ უსაშველოდ გაიბერა, შემდეგ ორად გაიყო და დაუთის წინ თავით ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი ბოროტმოქმედი დაესო.

— გამარჯობა ტყეში დატოვე, ჰო?

— დაუთავ! — ბოროტმოქმედის თვალებთან ერთად რევოლვერის ცივმა ელვარებამაც გამოანათა.

— დადე, ჰოვ!.. შენი ჟანგიანი ფიშტო არ გეგონოს. გაგივარდება... შენთვინ მდომებოდა, ხეზე არ ჩამოვკიდებდი.

— სიტყვა მაქვს.

— თქვი!

— აქ არა!

— წევიდეთ, აბა! — არაფერი შეიმჩნია დაუთამ.

უსიტყვოდ, გვერდი-გვერდ მიდიოდნენ. ერთი უიარაღოდ და უქამროდ დარჩენილი, მეორე შეიარაღებული და რევოლვერმომარჯვებული.

ღელეზე ჩასასვლელ ვიწრო ბილიკს მიადგნენ.

— ჰეიდა! — გაიგონა დაუთამ.

ყველაფერი ცხადი იყო.

დაუთას გონება საოცრად დაიძაბა რაიმე გამოსავლის ძებნაში, თუმცა გარეგნულად წინანდებურად მშვიდად გამოიყურებოდა. ნელი ნაბიჯებით მიდიოდა. იცოდა, უკან მოხედვა ან ზედმეტი მოძრაობა და, ტყვია გახვრეტდა. ცდილობდა, უმნიშვნელო ჩქამიც არ გამოპარვოდა. უკან მომავალს, თითქოს ხედავდა კიდეც.

წლობით დაგეშილი ალღო უტყუარი გამოდგა. მარჯვენა მკლავის აქნევა, მობრუნება და რევოლვერის გავარდნაც ერთი იქნა. ტყვიამ ზედ საფეთქელთან გაიპუტუნა. შემდეგი ტყვიისა უკვე აღარ ეშინოდა. ღონიერი თითების მარწუხებში მოქცეულ ბოროტმოქმედის მკლავთან ერთად რევოლვერის ტუჩიც თანდათან განზე იღრიცებოდა. დაუთმა ახლა მარცხენა ხელი კისერში მოსდო ბოროტმოქმედს და გადმოიღო. ორივე რიყეზე გაგორდა. ხან ერთი ექცეოდა ზევით, ხან მეორე. ბოლოს დაუთამ იმძლავრა, მკერდზე დააჯდა და მანამ არ მოეშვა, სანამ ღვედივით არ მოაქცია.

ახლა დურსუნის ეზოსაკენ ბოროტმოქმედი მიდიოდა წინ, თავჩაღუნული და იარაღაყრილი, უკან კი ტანსაცმელამოგანგლული, გამარჯვებული დაუთი მოაბიჯებდა.

— ქალ-ბალანას ეზოში ნუ ჩამოუშვებ, — უთხრა მასპინძელს დაუთმა და ჩვეული გულახდილობით დაუმატა. — მგელივით მომშივდა, ძიავ.

ბოროტმოქმედს წვერმოშვებული სა-

ხე უფრო ჩაყანგებოდა, დალმეჭილი ბაგეები უთრთოდა.

— ხომ აფერი მოგტეხე, ჰოვ?.. ხელები ჩამეილე და უთურ ხალიჩაზე!

დამნაშავე მოსავათებული დაეშვა მოლზე.

დურსუნმა ჰადი და ერბო-კვერცხი ჩამოიტანა და თუნგით წყალზე წავიდა.

—არ გშია, ჰო? — და ისე, რომ პასუხისათვის არ დაუცდია, საჭმელი მიუწილადა.

ბოროტმოქმედმა ცალი თვალით გამოიხედა, შებანჯგლული ნიკაპში შეიფხანა და გამოართვა...

რაიონულ ცენტრამდე სულ ფეხით იარეს.

პატიმარი პირდაპირ კაბინეტში შეიყვანა.

— დაჯექი, ჰო!... მაქ არა... კრესლო კარგი ხალხიზაა... აქ, ჰო!

თასმებით აბლაბუდასავით ერთმანეთში გადახლართული იარაღი ფეხებთან დაახვავა და ცოტახნის შემდეგ ტელეფონს დაწვდა.

— დაუთა ვარ, მინისტრო! ყველაფერი რიგზეა... თვითონ მოვიდა თავისი ფეხით... დიახ, დამნაშავეზე მოგახსენებთ... იარაღიც ჩამაბარა.

დამნაშავეს გაოცებისაგან თვალები გადმოუცვივდა ბუდიდან, უნებურად წამოიწია, მაგრამ დაუთამ შეუბღვირა, ხელით ანიშნა არ გაინძრეო.

—ამბობს თუ შეცდა, — განაგრძობდა დაუთი. — ბეჩობით მომივიდა, მაპატიეთ, კაცი გამოვალო... დიახ, დიახ!... ბათუმში, არა?.. კეთილი, მინისტრო!

ასე იყო ეს ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ ჭილაძე

# თიხის სამი ფირფიტა

### (გილგამეშის მოტივები)

„გფარვიდეს შენი ღმერთი“.

გილგამეშის ეპოსი,
მეორე ფირფიტა.

1.

მე, გილგამეში: ნინსუნის შვილი, ურუქის მეფე და გმირთაგმირი, ჩემი მაღალი ხმითა და ტანით მოვარღვევ მიწას და თვალწინ მიდგას ევფრატის წყალი, ქალურად უხვი და იდუმალი. ჩემს ლამაზ ქალაქს ურუქი ერქვა. მე შემოვავლე მას გალავანი და ავუშენე დიდი ტაძრები ანუს და იშთარს. მე კაცი ვიყავ, მაგრამ ყოველთვის მშურდა ღმერთების. ან უფრო სწორედ, სიცოცხლე მსურდა დაუსრულებლივ. მე მსურდა, მაგრამ არ სურდათ ღმერთებს. და ჩემი მძლავრი სუნთქვის ნასახი ამ ხმელ ფირფიტას შემორჩა მხოლოდ. ამ ხმელ ფირფიტას, რომელიც ახლა ჩემი ხელივით გიჭირავს ხელში. მე დავამარცხე შლეგი ხუმბაბა. მე და ენკიდუმ შლეგი ხუმბაბა ავჩეხეთ ჩვენი მძიმე ცულებით და დავამშვიდეთ მონადირენი, შეძრწუნებულნი ხუმბაბას შიშით. მე ვძლიე ხარი, ციური ხარი. მე და ენკიდუმ, ორივემ ერთად. ენკიდუმ კუდში ჩაკიდა ხელი, მე კი დავკარი ბასრი მახვილი საზარელ რქებსა და თვალებს შორის. მაგრამ ვერც ერთი ვერ გავცდით მაინც ადამიანის უბრალო სახელს, ვერ ვძლიეთ სიკვდილს. ოღონდ ჩემამდე ენკიდუ მოკვდა. მიწაზე დაწვა და მიწად იქცა. მე შემეშინდა და მთელი ღამე დავძრწოდი ტყეში ევფრატის გასწვრივ და ვაბიჯებდი ჩათვლემილ ლომებს, რომლებიც ყვითელ გორაკებს გავდნენ. ჩემი ენკიდუ ღმერთებმა შექმნეს. მოზილეს თიხა და შექმნეს კაცი. მხოლოდ იმიტომ, რომ შეეზღუდათ ჩემი სახელი და ასპარეზი. მაგრამ ჩვენ ძმობა ვარჩიეთ მაინც ჯიბრსა და მტრობას, არ გავუმართლეთ ღმერთებს იმედი. ალბათ ამიტომ მოკვდა ენკიდუ, ალბათ ამიტომ ჩასახლდა ჩემშიც სიკვდილის ჭია. ალბათ, მალე, ჩემი ხელებიც ველარ იგრძნობენ ნაზი მეუღლის მკერდსა და კისერს და დრეკად ნეკნებს, ველარც სიმძიმეს საომარ ცულის. მე მივუგზავნე ენკიდუს ქალი, როცა ის ტყეში ცხოვრობდა მშვიდად. იმ ქალს სახელად შამხატი ერქვა და მთელ ურუქში ყველაზე კარგად ესმოდა ქალის მთავარი საქმე. შამხატმა უხმოდ გაიძრო კაბა და მიაჩეჩა უხეშ ხელებში მოქნილი წელი და მკვრივი მკერდი. და მთელი კვირა სვამდა ენკიდუ ამ უცხო სასმელს. სვამდა, თვრებოდა და ნათდებოდა მისი გონება ხვრელივით ბნელი. მერე შამხატმა აჭამა პური და გაახედა ურუქის მხარეს. და რადგან იგრძნო პურიც და ქალიც, ენკიდუ იქცა ადამიანად და მოკვდა, როგორც ადამიანი.

ქალაქს საფუძვლად ლეგენდა უდევს
და შესაფერი სახელიც ჰქვია.
და საათები უჩინარ წუთებს
ჯანსაღი გულის სიზუსტით თვლიან.

რაც უნდა მოხდეს დიდიხნის მერე,
ბევრჯერ მომხდარა დიდიხნის წინათ.
და ქვებზე ჩუმად გროვდება მტვერი
და ჩასაფრებულ თვალივით ბრწყინავს.

მაინც არავინ არ გარბის არსად,
ცხოვრებას ყველა თავიდან იწყებს.
და თიხის დიდი თოჯინის მსგავსად
ქალაქი ხელში უჭირავს სიცხეს.

იზრდება სიცხე და მაგარ თითებს
თანდათან უფრო თამამად უჭერს
აცახცახებულ თაღებს და ხიდებს
და ჩრდილებისკენ გაქცეულ ქუჩებს.

იზრდება სიცხე და სიცხით მთვრალებს
თვალი ფანჯრისკენ გაურბით მუშებს.
და შამხატივით თამამი ქალი
ასწორებს საწოლს და ფარდებს უშვებს.

დღემდე გრძელდება, ფეთქავს და ბრუნავს
შამხატის ცხელი და ლაღი სისხლი
და ჩვენც გვიმძაფრებს სიცოცხლის უნარს,
სიცოცხლის მარტივ კანონებს გვიხსნის.

გვიხსნის და მიდის და ჩვენს სახელებს
მხიარულ სულში მძევლად იტოვებს
და უსასრულო ღელვით გვაღელვებს,
რომ დაგვამშვიდოს ზოგჯერ თვითონვე.

მზეზე ბრწყინავენ ზანტი მუშები
და იმშრალებენ გაოფლილ კისრებს
და როცა სიცხით პირიც უშრებათ,
თვალი ფანჯრისკენ გაურბით ისევ.

იქ ეგულებათ ისეთი რამე,
რაც ყველა ტკივილს ავიწყებთ უცებ
და გახურებულ თვალებით სვამენ
უცხო ქალაქის იდუმალ ქუჩებს.

რა უბრალოა ადამიანი.
რა ცოტა ყოფნის, რომ იქცეს მიწად.
და რა უმწეო ხმებით შრიალებს,
რასაც სიცოცხლეს არქმევს და იცავს.

მაინც არავინ არ გარბის არსად,
ცხოვრებას ყველა თავიდან იწყებს.
და თიხის დიდი თოჯინის მსგავსად
ქალაქი ხელში უჭირავს სიცხეს.

და იმედივით ნათელს და კეთილს,
შუა ქალაქში ძინავს მდინარეს
და ატივტივებს არეკლილ კედელს
და ძინავს ანდა თავს იმძინარებს.

ამქვეყნად ყველა მდინარემ იცის
თავისი ფასი, სიგრძე და განი.
ზოგი უდროოდ ივსება მიწით,
მარად წყალუხვნი რჩებიან სხვანი.

ზოგი პირამდე სავსეა თევზით,
ზოგს ელანდება თევზის ბრჭყვიალი
და უსასრულოდ გადადის ქვებზე,
ხელმოცარული და ეჭვიანი.

მაგრამ ყველანი ცხრებიან დღისით,
გაბრუებულნი ღმერთთან კამათით
და ეშინიათ არ აღსდგეს ისევ
აფსუ და მუმუ და თიამათი.

რადგან ქალაქი სავსეა ხალხით,
რომელიც ქალაქს ყველაფერს მისცემს
და რაც დღეისთვის სათქმელად არ ღირს,
ხვალ შეიძლება სიმღერად იქცეს.

ხვალ, შეიძლება, განახლდეს ისევ,
რაც დღეს საოცრად ძველია უკვე
და ისევ გახდეს სიცოცხლის ღირსი
და გაახილოს თვალები უკეთ.

ასე ფიქრობდა ნინსუნის შვილიც,
საქვეყნოდ განთქმულ ურუქის მეფე,
და უყურებდა ცვალებად ჩრდილებს
და ღმერთზე გულუხვ ევფრატის შხეფებს.

მან უთვალავი ლომი და სპილო
შეწირა მსხვერპლად ანუს და იშთარს,
მაგრამ იდუმალ ევფრატის პირას
იპყრობდა ეჭვი და ჩუმად იჯდა.

სადღაც ქრებოდა გზა და თარილი,
როგორც სილაში თხუნელას სორო.
მას კი უნდოდა, რომ მომხდარიყო
ის, რაც ზღაპარში მომხდარა მხოლოდ.

ლომის სურნელი დაქონდათ ქარებს
და ნთქავდა სივრცეს უდაბნოს ბული,
თვალი გარბოდა ოთხივე მხარეს,
სისხლი ხმამაღლა იწყებდა დუღილს.

მაგრამ ყველაზე ვრცელდება თურმე,
თურმე სიკვდილი მოგველის ყველას,
რომელიც უკან მოგვყვება ურმით
და გამოფიტულ თვალებით გვზვერავს.

ურუქიც გაქრა. დაიცვა წესი
ამქვეყნიური და გაქრა უცებ,
მაგრამ მიწაში ჩარჩენილ ფესვებს
გული აქამდე შერჩად და უცემთ.

ისიც აქამდე ცოცხლობს და ეძებს,
ხმელ ფირფიტაზე წევს და ცახცახებს
და მზე აწვალებს მის გაშლილ მკერდზე
ურუქის მძიმე კარის გასაღებს.

ვინ იცის, ისიც ცოდავდა იქნებ,
ველა მოგონილ ღმერთის წინაშე
და სულ ამაოდ მისდევდა ფიქრებს,
ვით დასიცხული კაცი მირაჟებს.

იქნება ცოდავ, როდესაც ცდილობ
განდევნო შენგან სიკვდილის შიში
ან როცა ბედი გარგუნებს წილად,
დაიცვა შენი მოდგმა თუ ჯიში.

ახლა კი ჩრდილი და მხოლოდ ჩრდილი
ოდესღაც ჯანით განთქმულ სხეულის,
ყოველ საღამო და ყოველ დილა
ცისკენ მიფრინავს ლოცვად ქცეული.

მაგრამ რა უნდა აკეთოს ცაზე
შეყვარებულმა ევფრატის შხეფებს
და დღემდე ეძებს და წვალობს ასე
ყოფილი კაცი, გმირი და მეფე.

მას ურჩევნია, გულზე ეყაროს
და არა ფეხქვეშ ურუქის ქვები
და ისევ ქვეყნად დარჩეს ქვეყანა
ჯიუტი კაცის თუ ღმერთის ნებით.

2.

ბედნიერია უტნაფიშთიმი. მან მოიპოვა სიცოცხლე მხოლოდ. და ახლა სადღაც თავისთვის ცხოვრობს, განდიდებული და კმაყოფილი. ღმერთზე მეტია უტნაფიშთიმი. მისი წყალობით ვიგემეთ ყველამ, რაც კი ვიგემეთ, კარგიც და ცუდიც. თურმე წინათაც ცოდავდა ხალხი. და თურმე შური ახრჩობდათ ღმერთებს. და დათქვეს, ერთხელ და სამუდამოდ, მოესპოთ კაცის თავხედი თესლი. ღმერთებმა, როგორც ჩვევიათ ღმერთებს, არ დააშორეს სიტყვა და საქმე, მაგრამ გამორჩათ, რომ ნაზი ეა ჯერ ქალი იყო და მერე ღმერთი. მან გააფრთხილა უტნაფიშთიმი. ისიც მაშინვე გაიქცა ტყეში. ტყიდან მოზიდა ნედლი კედარი და აიშენა მცურავი სახლი. და რასაც მისწვდა, სახლში შეზიდა, რომ წარღვნის შემდეგ ამ ქვეყანაზე სიცოცხლეს ისევ გაედგა ფესვი. ასე გადარჩა უტნაფიშთიმი და გაოცებულ ღმერთების ნებით გახდა ღმერთების ტოლი და ღირსი. სამაგიეროდ უკვალოდ გაქრა ხალხის ნაფიქრი და ნახელავი. მე სულ არ მინდა, რომ კიდევ გაჩნდეს ამგვარი აზრი ღმერთების ტვინში. და არც ის მინდა, რომ ნაზმა ეამ ჩემით შეცვალოს უტნაფიშთიმი. თუ კი ურუქი უნდა დაინგრეს, მეც დავინგრევი ურუქთან ერთად. მე მირჩევნია, გულზე მეყაროს და არა ფეხქვეშ, ურუქის ქვები. მე ახლა მზეზე ვზივარ და ვუცქერ მზეზე გაფენილ თიხის ფირფიტებს. მე მათ გავანდე და ჩავაბარე ჩემი ფიქრები და ოცნებები. ადამიანზე გამძლეა თიხა და იქნებ ვინმემ იპოვოს იგი, როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნები, იქნება ვინმემ იპოვოს იგი, და წაიკითხოს ჩემი ცხოვრება, შეძრწუნებული სიკვდილის შიშით.

კარგად იცოდა ნინსუნის შვილმაც,
რომ კაცზე უფრო გამძლეა თიხა.
და როგორც სიცხით დაქანცულ
ფრინველს,
თიხის ფირფიტას უცქერ და ზიხარ.

ზიხარ და უცქერ და ძალას იკრებ
და კვირას მისდევს ახალი კვირა
და თურმე შენად მიჩნეულ ფიქრებს
ფესვი აუდგამთ ევფრატის პირას.

შენ არც მეფე ხარ, არც გმირთაგმირი.
მაგრამ ქალაქი, რომელშიც ცხოვრობ,
თავს გირჩევნია და ფიქრში, ხშირად,
გმირიც გამხდარხარ, ბოლოს და
ბოლოს.

თუმცა არავის არა აქვს ნება,
იცქიროს უცხო ფარდების იქით:
აწონ დაწონოს ვიღაცის ვნება,
ფანქრით ასწოროს ვიღაცის ფიქრი.

და თიხის დიდი თოჯინის მსგავსად
ხელში უჭირავს სიცხეს ქალაქი.
იზრდება სიცხე და ჩრდილის ფასი,
მაგრამ ცოტაა ჩრდილის მარაგი.

და იმედივით ნათელს და კეთილს,
შუა ქალაქში ძინავს მდინარეს
და ატივტივებს არეკლილ კედელს
და ძინავს ახლა თავს იმძინარებს.

მდინარე, როგორც ჯიუტი კვალი
კვლავ ინარჩუნებს პირვანდელ სახეს.
და სემაფორიც შეღებილ თვალებს
ახელს და ხუჭავს, ხუჭავს და ახელს.

და გამვლელები საკუთარ ჩრდილებს
გულზე აფენენ დასიცხულ ქუჩებს
და ქუჩა ჩრდილებს მიყვება ფრთხილად
და გული გამთბარ დოლივით უცემს.

შენ კი მზადა ხარ, რომ უფრო დიდხანს
უცადო შენთვის გაჩენილ შამხატს.
ყველაფერს ფერი ეცვლება თითქოს,
როცა შამხატის თვალებში ჩანხარ.

შამხატიც მიზეზს ბევრჯერ იშოვის,
და არარსებულ ქვეყნების ამბავს
ბევრჯერ მოგაწვდის და მოიშორებს
ზღვის ფრინველივით მყვირალა კაბას.

და შეუმჩნევლად გაქრება შიშიც,
რომელიც მოჰყვა თიხის ფირფიტას.
შენ აღმოჩნდები სანატრელ ჩრდილში,
გონებას განგებ გამოიფიტავ.

თუმცა არავის არა აქვს ნება,
თუნდაც ცოტა ხნით მოხუჭოს თვალი,
და აკივლებულ ფიქრებს და ვნებებს
ხმა ჩაუწიოს და ჩაკლას ძალით.

და თუ შენც გიყვარს შენი კარავი
და თუ გაიგე, რაც აგიხსენი,
თამამი უნდა იყო ქარივით,
ძაღლივით უნდა იყო ფხიზელი.

ადამიანზე გამძლეა თიხა,
მაგრამ თიხაზეც გამძლეა სიტყვა.
ის, შეიძლება, უბრალო იყოს
და აუტანელ ტკივილით ითქვას.

უბრალო იყოს, ვით მწყემსის დანა,
უფრო უბრალო ვიდრე მარილი.
და სულში მთელი სიმძიმით წვანან
დღეები, უკვე გადატანილი.

წვანან ჩაძირულ გემის ფიცრები...
წვანან ჩაძირულ გემის აფრები...
მაგრამ სიკვდილის წინ შეიძლება,
რომ ერთი სიტყვით სთქვა ყველაფერი

და სიკვდილამდე იმ სიტყვას ეძებ,
მისკენ მიყავხარ უჩინარ საქმეს,
და ფიქრებს, როგორც გასაწვრთნელ
მხეცებს,
ყველა ტკივილის ატანას აჩვევ.

რაც უნდა მოხდეს დიდიხნის მერე,
ბევრჯერ მომხდარა დიდიხნის წინათ.
და უკვე ყოფილ ხმებსა და ფერებს,
უნდათ თუ არა, მიწაში ძინავთ.

მხოლოთ ხანდახან თუ ამოყვება
მათი ნასახი წერაქვს და ნიჩაბს,
როგორც კივილი და ამბოხება,
რომელმაც ბედი მრავალჯერ სინჯა.

და მუზეუმის გრილ დარბაზებში
ცნობისმოყვარე ხალხი გროვდება.
დგანან, უცქერენ და აფასებენ
გონებას, ქცეულს ოქროს ზოდებად.

ბევრს ავიწყდება, რა დარდიც ჰქონდა,
და ახლა სულში იმედი წვეთავს
და ბევრი მხოლოდ იმიტომ მოდის,
ამდენი ოქრო რომ ნახოს ერთად.

დარბაზში გრილა და სიჩუმეა,
როგორც უეცარ ქუხილის შემდეგ.
და უძველესი სამაჯურები
ჯილდოებივით ჰკიდიათ კედლებს.

საყურეც ისევ ციხციახებს ვნებით
და ისევ ასდის ნაზი სურნელი,
თითქოს არაფერს არ ნიშნავს წლები,
თითქოს არაფერს არ ცვლის სრულებით.

და ბევრი ხვდება, რისთვისაც სწუხდა,
ბევრი სულელად რჩება ბოლომდე,
და მაინც ყველა მადლობას უხდის
მზით გაბრუებულ არქეოლოგებს.

არ უნდა მოხდეს დიდი ხნის მერეც,
ის, რაც მომხდარა დიდიხნის წინათ,
რადგან უთვალავ ხმებსა და ფერებს
ჯერ კიდევ მიწის წყვდიადში იინავთ.

იზრდება სიცხე და ჩრდილის ფასი,
მაგრამ ცოტაა ჩრდილის მარაგი
და თიხის დიდი თოჯინის მსგავსად
ხელში უჭირავს სიცხეს ქალაქი.

3

მე, გილგამეში: ნინსუნის შვილი, ურუქის მეფე და გმირთაგმირი, ცოცხლებში აღარ ვითვლები უკვე. და მაინც ვცდილობ ჩემი სიკვდილით გავახანგრძლივო თქვენი სიცოცხლე. მე ბევრჯერ მითხრეს, ბევრჯერ მირჩიეს, რომ შემეცვალა სიკვდილზე ფიქრი ღვინით და ქალით. ბევრჯერ ამიხსნეს რომ ყველაფერი მოგონილია და წარმავალი, რომ ერთადერთი ჭკვიანი საქმე არის გართობა და სიყვარული. თუმცა არც ჩემთვის არ იყო უცხო ღვინი და ქალი. ჩემი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე მეც მიგემია ღვინიც და ქალიც. სწორედ ამიტომ ვუცქერდი შიშით თიხის უფერულ და უძრავ ბორცვებს. და მიზანს მაინც ვერ მივაღწიე, რადგან ყოველთვის მარტო ვიყავი. თუ გესმის ჩემი, თუ ჩემი მძლავრი სუნთქვის ნასახი მართლა შემორჩა ამ ხმელ ფირფიტას, ამ ხმელ ფირფიტას, რომელიც ახლა ჩემი ხელივით გიჭირავს ხელში, შენ გააგრძელე რაც მე მინდოდა და გაამრავლე შენისთანები.

თუ მართლა გესმის და მართლა გჯერა
შენს ჩასახვამდე გარდაცვლილ კაცის,
და თუ კი შენი ფუძე და ჭური
გართმევს სიცოცხლის უდიდეს ნაწილს.

შენი საღამო და შენი დილა
რას მოხმარდება, ისიც თუ იცი,
ორივე ხელი და ყველა კბილი
მაგრა ჩაჭიდე შანხატის სიცილს.

მაგრა ჩაჭიდე ქალაქის კედლებს
და ინედივით ნათელ მდინარეს,

რომელიც ღმერთთან კამათის შემდეგ,
შენს დასანახად თავს იმდინარებს.

არც მოწყალება და არც საშველი
არ ღირსებია ციდან არავის
და რასაც ფიქრობ ყველას აჩვენე,
ან ვისთან რა გაქვს დასამალავი.

სიჩუმე ზოგჯერ სისუსტეს უდრის
და შენც გახსენი შენი ფიქრები,
რომ პატიოსნად, მშვიდად და
მყუდროდ
იცხოვრო, როცა აღარ იქნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კვიცარიძე

# ალმართი

* * *

— დღეს ხელფასს ავიღებთ! — ეუბნება გივი ლადოს.

— რაო?

— ხელფასს ავიღებთ, არ გაინტერესებს, რა გამოიმუშავე?

ამ წუთამდე ხელფასი არ გახსენებია. ახლა კი დაფიქრდა.

„ნეტავი რამდენი მერგება".

მაინც არ დაუხედია ნუსხისთვის, ისე მოაწერა ხელი. მოლარეს თვალი ჩაუკრა და, განზე რომ გავიდა, ფულს დააცქერდა.

იდგა და უცნაურად იღიმოდა...

ხელში ეჭირა პატიოსანი ოფლის საფასური...

ღღის ბოლოს მორიდებით შეაღო გიორგი ლომიძის კაბინეტის კარები.

— შეიძლება, ბატონო გიორგი?

— შემოდი, შემოდი, ლადო! გამარჯობა!

— იცოცხლეთ!

— გიჭირს რამე, ბიჭო!

ამ სიტყვებმა ის საღამო მოაგონა. ასე უთხრა მაშინაც სრულიად უცნობს, საბოროტოდ მისულს: „გიჭირს რამე ბიჭო?" ჰო, ასე უთხრა.

ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დასდო.

— ეს რა, ბარათს მწერ? — გაეღიმა გიორგის.. თუმცა მიხვდა...

— ვალი მოგიტანეთ!

— ასე მალე? წაიღე მამა-შვილობამ. მეორე თვის ბოლომდე...

ღიმილი გაჰქრა ლადოს სახიდან. ოდნავ გადაჰკრა ფერმა, გაფითრდა.

ახლა გიორგის დაუდგა თვალწინ ის საღამო. სწორედ ამ ფერზე იყო მაშინ ლადო.

— ვალი მოგიტანეთ!

და მიხვდა ლომიძე, რომ აწყენინა, მაგრამ არ დაიბნა.

— ვიცოდი, პირველსავე ხელფასზე მომიტანდი!

— ვეცდები, დიდი ვალიც გადაგიხადოთ, — ეს თქვა და კაბინეტიდან გავარდა.

კონვერტი გახსნა გიორგიმ. შიგ ოთხმოცი მანეთი იდო.

„ნეტავი რამდენი გამოიმუშავა".

...სახლისაკენ მიმავალ ლომიძეს გივი ჩხეიძე წამოეწია. თავად უნდოდა ეკითხა, მაგრამ გივიმ დაასწრო.

— უცნაური კაცია, ბატონო გიორგი, ჩვენი ლადო!

— როგორ უცნაური, ცუდად მუშაობს?

— არა, პირიქით, ყველაზე უფრო მაცადინია!

— აბა, რაღა გინდა!

— დღეს ოთხმოცდაათი მანეთი აიღო და მაინც ჩემგან ისესხა ოცდაათი მანეთი!

ნატკენი მუხლი აუკანკალდა ლომიძეს...

თავი მეშვიდე

**ოჯახის გოძი**

— რად მინდოდა, ბიჭო, შენი ნაყიდი ქათმები! ისე დაცალიერდა ჩემი ოჯახი, რომ შენს დაუხმარებლად ხუთ კაცს ველარ ვეცი პატივი?! ფულით მაკვირვებ თუ კაიკაცობით! რას იცინი, შე მამაძაღლო! დაიღუპე აქედან შენი ქათმებიანად! უყურე ამას შენ, გამომიჩნდა ეგეც ოჯახის კაცი! სალომე! სალომე! გამოდი, ქალო, შეეგებე ვაჟიშვილს, დატვირთული მოვიდა ბაზრიდან. კიდო! ნუ იცინი, ბიჭო! თუ არა წაგიტიალებ ერთს მაგ თავში!

ამ სიტყვებით შეეგება შოთა ვარდანიძეს ჭიშკართან მამა. ეს გახუმრებაც კი უხდებოდა სოლომონ ვარდანიძეს.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 8.

სამოც წელზე მეტი იცხოვრა ამ ქვეყნად და, მაინც მუდამ თავაწეული დადიოდა, ოდნავადაც არ მოხრილიყო მხრებში. არც ერთი კბილი არ აკლდა და თმაც გვარიანად შემორჩენოდა ბერიკაცს. წვერ-ულვაში ყოველთვის კოხტად ჰქონდა დავარცხნილი.

პენსიაზე გასვლამ ცოტა შეაფიქრა, უსაქმოდ ყოფნას ველარ ეგუებოდა ძველი მებაღე. დილით სამუშაოზე წასვლას მიჩვეული, მაინც ადრიანად დგებოდა, ეზოში დაფუსფუსებდა საღამომდე. ხან ხეხილს სხლავდა, ხან ყვავილებს რგავდა და ხან კიდევ ბოსტანს ბარავდა. ასე კლავდა დროს.

ორი ვაჟი დარჩა სოლომონს. ქალიშვილი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო ომის დაწყების წინ და სხვებთან ერთად ისიც მოხალისედ წავიდა ფრონტზე. წავიდა და ველარ დაბრუნდა.

ომმა და ტყვიამ კაცის და ქალის გარჩევა არ იცისო, იტყოდა ხშირად დარდით განახევრებული სოლომონი.

ხანდახან მეზობლებთან, ან მეგობრებთან მოხვდებოდა სუფრაზე იმ მწარე დღეებში. ყველას თავის სატკივარი აწუხებდა, ყველა შინმოუსვლელ შვილსა თუ ახლობელზე ფიქრობდა.

ჰიქას ასწევდნენ, ომში დაღუპულ ვაჟკაცებს შესანდობარს შეუთვლიდნენ, ყველას დაბრუნებას უსურვებდნენ. ფერი გადაჰკრავდა სოლომონს. ტუჩზე იკბენდა და უხმოდ შესვამდა ღვინოს.

არავის ახსოვდა მამულს შეწირული ქალიშვილები. ხანდახან გული მოსდიოდა, მაგრამ ზოგჯერ კიდეც ამართლებდა მეგობრებს.

ჩემს თინიკოსაც ვაჟკაცებში თვლიანო, ასკვნიდა გამწარებული მამა.

უფროსი ვაჟი თენგიზი შვიდი წლის იყო მაშინ. შოთა იმ ხანებში შეეძინა ოჯახს.

გავიდა დრო. წამოიზარდნენ ბიჭები. თანდათან დაცხრა დარდი, მაგრამ სალომეს შავ კაბას მაინც ვერაფერი მოუხერხა სოლომონმა.

სხვაა დედის გული.

— ნუ იცრემლები, ქალო! — ეტყოდა სოლომონი მეუღლეს. — აგერ, ბიჭები წამოგვეზარდნენ, მალე ცოლებს მოიყვანენ და ეფერე მერე რძლებს რამდენიც გინდა, გადააყოლე შვილის დარდი... ჩვენს თავზე კი არაა მარტო ეს უბედურება...

თენგიზმა პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და საავტომობილო ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მალე დაწინაურდა, ცოლი შეირთო, დაოჯახდა. ქარხნის დირექციამ ბინაც მისცა და ახლა თვეში ერთხელ თუ მოახერხებდა მშობლების ნახვას...

შოთამაც დაასრულა თუ არა საშუალო სასწავლებელი, პირდაპირ ქარხანას მიაშურა, მუშად გაფორმდა.

— მაგ ქარხნისათვის დამიზრდია შვილები და ესაა! — იტყოდა ხოლმე სოლომონი, ყურს აარიდებდა სალომეს ოხვრას, ჩაახველებდა და გაიხუმრებდა:

— ნუ კრუსუნობ, ქალო! ნუ გეშინია, ამ ბიჭს მაინც არ გავუშვებ სახლიდან. აბა ვილასთვის მინდა ეს ოჯახი!

მერე წვერზე ხელს ჩამოისობდა, ცალ თვალს მოჭუტავდა, თეთრ ულვაშებში ჩაიცინებდა ეშმაკურად და განაგრძობდა:

— თუ ღმერთი გაუწყრა და უმცროსი ვაჟიშვილიც გაგიფრინდა, აგერ ვარ მე!

ერთხელ საქალაქო გაზეთში შოთას სურათს წააწყდა. სათვალე მოირგო. ხან აქედან შეხედა, ხან იქედან, ხომ არ ვცდებიო, მაგრამ, როცა წერილიც წაიკითხა, ირწმუნა. ამაყად წამოდგა და წელში გაიმართა.

— უყურე შენ ამ გლახას!

სალომეს დაუძახა, გვერდით მოისვა, სურათს დახედა, ხელმეორედ წაუკითხა გაზეთი. აცრემლდა მოხუცი. თავადაც მოეძალა ცრემლი, მაგრამ როგორლაც შეიკავა თავი.

...ნაკითხი კაცია სოლომონი, ბევრი ხალხური ლექსი იცის ზეპირად და ამით დიდად მოაქვს თავი.

გუშინ მორიდებით გაუმხილა შოთამ წადილი. მეგობრებისა და ზოგიერთი

უფროსის მოწვევა მინდა და უარს ნუ მეტყვითო.

ჰმ, უარს როგორ ეტყოდა, პირიქით, მოუწონა.

— კი, შვილო, კი, მამა! მოიყვანე, ვინც გინდა. აბა, რა ოხრად მინდა ოჯახი, თუ მოყვარემ და კეთილმა ჭიქა ღვინო ვერ აიღო! მოიწვიე, შვილო, არ შეგარცხვენ. ქათმებს, კი იცი, დედაშენი რომ არ გამოილევს, ღვინო არა გვაქვს საყიდელი და გულიც კი მივარგა. მოიწვიე, მამა, აგერ ვარ მე!

გახალისდა სოლომონი. ყმაწვილკაცივით დატრიალდა. ღვინო გადაიღო, მოსვა, მეუღლესაც გაასინჯა.

ღვინის გადაღებას რომ მორჩა, ბაზარში წავიდა, სამწვადე სუკი, ნედლი თევზი და ხილი იყიდა.

სახლში რომ დაბრუნდა, მთელი ეზო შემოიარა. უცხო თვალს არაფერი ეჩოთიროსო და მაკრატლითა და სასხლავით შეალამაზა ყვავილების ბუჩქები, ნარგავები.

შვილს ჭიშკართან მიეგება.

მამის თითქოსდა საყვედურმა ღიმილი მოჰგვარა შოთას. სირბილით ჩაუარა გვერდი სოლომონს და სამზარეულოში გართულ დედას ქათმები ჩააბარა.

ვარდობდა ვარდობისთვე.

ყვავილებისა და მწვანე ბალახის საამო სურნელი იფრქვეოდა ირგვლივ.

ახლადდაჩეკილი ბატის ბეიტების ნისკარტებივით იყურებოდნენ დაჩითული ტყემლები ხიდან.

სალომემ შვილს კალათი მიაჩეჩა ხელში და ტყემლის მოსაკრეფად გაგზავნა.

სუფრას ახალი ტყემალი მოუხდებაო.

ტყემალი მოკრიფა და მამამ დაასაქმა. ღვინის ჩამოსხმაში მოიხმარა.

ჭიქა აავსო სოლომონმა და შვილს გაუწოდა.

შოთამ ჭიქა ჩამოართვა, ღვინო მოსვა, მოიწონა.

— ა, ვარგა!

— კარგია, მამა, მაგრამ...

— რა მაგრამ, ბიჭო! ფერს უწუნებ თუ გემოს. თუმცა აჯლანდელმა ახალგაზრდებმა რა იცით ღვინის ფასი...

— მაგარია!

— ღვინის მოწონება მის ძალაშია, შვილო!

— თუ აღარ გჭირდები, წავალ, მამა. სტუმრებს მოვყვები!

— წადი, შვილო! დედაშენს მე მივხედავ. ოღონდ, თენგიზს დაურეკე, არ დაგვავიწყდეს. ტელეფონით თუ ვერ გააგონო, სახლში გამოუარე!

— კარგი, მამა!

...საღამო ხანს მოვიდნენ სტუმრები. პირველად გივი ჩხეიძემ შემოაღო ჭიშკარი.

გამოჩნდა სოლომონიც.

— მობრძანდით, მობრძანდით! — გადმოსძახა აივნიდან და მკვირცხლად დაეშვა კიბეზე.

გივის ლადო შემოჰყვა, მერე ორივემ ერთად ქალიშვილიც წარუდგინეს ოჯახის უფროსს.

— ვისი ხარ, შვილო? რა გქვია? — გაუღიმა და ხელი ჩამოართვა სოლომონმა.

— ნანა, ბატონო!

— ბედნიერი იყოს, შვილო, შენი ფეხი ჩემს ოჯახში... — რაღაც მრავალმნიშვნელოვნად თქვა სოლომონმა და ლადოს და გივის გადახედა. ბიჭებს გაეცინათ.

ერთი შეხედვით მოეწონა სტუმარი ქალიშვილი მასპინძელს. იდგა, უღიმოდა და თვალს არ აშორებდა.

ნანამ დაირცხვინა.

ყვავილებითა და ხეხილით სავსე ეზომ გაიტაცა ნანა. ხან ერთ ბუჩქთან მივიდა, ხან მეორესთან, ხან ერთ ყვავილზე დაიხარა, ხან მეორეზე. სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექნა. ხის ტოტი დაიწია, ტყემალი მოკრიფა.

სოლომონი ისევ იდგა და იღიმებოდა. ნანასთან მივიდა, თვითონ დაუკრიფა ჩაის ვარდები და მიაწოდა.

ნანამ მადლობა გადაუხადა.

გივი ჩხეიძე შინაურობდა. სახლში შეირბინა, სკამები და ნარდი გამოიტანა და ლადოსთან ნარდის თამაში დაიწყო. ისევ გაჩერდა მანქანა ჭიშკართან. მარინე და გოგი შემოემატნენ სტუმრებს.

მზე ჩავიდა.

მოვიდა თბილი და ლამაზი საღამო.

ოდნავ უბერავდა ნიავი. ყვავილების საამო სურნელი იდგა ეზოში.

ცა ჯერ კიდევ თეთრი იყო და სუფთა.

სოლომონმა სტუმრები სახლში შეიპატიჟა.

ნანა როიალს მიუჯდა.

მეორე ოთახიდან სალომე გამოვიდა. ყველანი ოჯახის დიასახლისს მიესალმნენ.

სოლომონმა გვერდში ამოიყენა მეუღლე, თვალი ჩაუკრა და ნანაზე ანიშნა.

— მოგწონს?

— ჩუ, რა დროს ეგ არის!

— ვითომ რა უდროობაა. ხედავ, რა გოგოა! მაგი თუ არ შემოვიყვანე რძლად ოჯახში, სოლომონი მოგიკვდეს!

— გაჩუმდი, კაცო, ნუ გამოსულელდი! — უჩქმიტა სალომემ ქმარს. თავად კი ჩუმჩუმად უჭვრეტდა ნანას შავ, დიდრონ თვალებს, ნაწნავებს.

მღეროდა ნანა, მღეროდა ხმადაბლა, ხმატკბილად, სიმღერაშიც კი ემჩნეოდა მოკრძალება.

აბა რას წარმოიდგენდა სალომე, ან სოლომონი, თუ ეს მორცხვი, ერთის შეხედვით წყნარი და მოკრძალებული გოგონა საავტომობილო ქარხნის ერთ-ერთი მოწინავე მუშა იყო და ლურჯ ხალათში გამოწყობილი ვეებერთელა შავ დაზგას მართავდა.

მაგიდის გაწყობას შეუდგა დიასახლისი. ნანა და მარინე მიეშველნენ, სალომემ იუარა.

— შენ, დაუკარი, შვილო, — მიუბრუნდა იგი ნანას. — იმღერე, გაერთე და იმხიარულე. სუფრას მე გავაწყობ.

მაგრამ ქალიშვილებმა არ დაიშალეს. სალომეს სამზარეულოში გაჰყვნენ. სუფრაზე დანა-ჩანგალი და ჭიქა-საინი დაალაგეს.

დაცქრიალებდნენ ოთახიდან-ოთახში და ყველაფერი შვენოდათ.

კარები გაიღო და შოთამ შემოჰყო თავი.

ოთახში ჯერ ვლადიმერ ჯუღელი შემოვიდა, მერე გიორგი ლომიძე და ბოლოს შოთა.

სოლომონი სტუმრებს მიეგება. მარინემ და ნანამ ვლადიმერსა და გიორგის პალტოები ჩამოართვეს. მალე თენგიზიც გამოჩნდა მეუღლესთან ერთად. სხვას აღარავის ელოდნენ და მასპინძელმა სტუმრები სუფრაზე მიიწვია.

შოთამ სასმისი აავსო, აიღო და გიორგი ლომიძეს მორიდებით თხოვა თამადობა გაეწია.

ყველანი ტაშით შეხვდნენ ამ წინადადებას, მაგრამ ლომიძე წამოდგა და სოლომონს გადახედა.

— ოჯახის უფროსმა გვცეს პატივი! რას იტყვით, ვლადიმერ?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — უცებ დაეთანხმა ჯუღელი.

უარი აღარ გაუვიდა სოლომონს. სტუმრებს მადლობა გადაუხადა, შოთას ჭიქების შევსება დაავალა და ასე მიმართა სუფრას:

— სტუმარი უპირველესი კაცია ქართველი კაცის ოჯახში. თქვენ ეს უკეთ მოგეხსენებათ! თავის დროზე ქართული ხალხური ლექსების კარგი მცოდნე გახლდით და ახლაც თუმცა მეხსიერება მღალატობს, მაგრამ, თავს თუ არ მომაწყენთ, იქნებ მოვიგონო რომელიმე...

საუბარი შეწყდა. ყველანი სოლომონს მისჩერებოდნენ.

თამადამ ნელა ჩაახველა და დაიწყო:

კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არ ნახულისა.
დააპოს ურმისა მორგვი,
ზაფხულის შენახულისა.
დასწვას ფიწალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთოს გულისა.
ატლასის ჩოხა ჩააცვას
და ცხენსაც შესვას, სპილოსა, —
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს,
დასვას და ანადიმოსა.
სუყველა ფუჭად ჩაუვლის,
თუ კი არ ასმევს ღვინოსა.

გაისმა ტაში და მოწონების შეძახილები.

სოლომონი გიორგი ლომიძეს მისჩერებოდა. ლომიძემ გაუცინა და თითი მოღუნა.

გახურდა სმა. სოლომონი იყო სიმღერის წამომწყები და პირველი მომლხენიც. ისეთი ძველი სიმღერები შემოს-

ძახა, რომ თვით გივი ჩხეიძესაც გაუჭირდა აყოლა.

პირდაპირ ნემსის ყუნწში აძვრენდა ხმას მოხუცი.

სალომე ოთახიდან ოთახში დაფუსფუსებდა. ბევრჯერ თხოვეს, მაგრამ სუფრას მაინც არ მიუჯდა. როცა გამოჩნდებოდა და მაგიდას რაიმეს შემოამატებდა, წუთით დაყოვნდებოდა. გამოცდილი თვალით გადახედავდა შოთას და ნანას. უნდოდა ურთიერთობის რაიმე ნიშანი ამოეკითხა მათ თვალებში...

სამშობლოს სადღეგრძელო ასწია სოლომონმა.

ამ უზარმაზარ მიწაზე, რა გასაკვირია, რომ ჩვენს პატარა კუთხეზე ლამაზი ქვეყნებიც იყოს, მაგრამ ერთიც უნდა ვთქვა, ცოტა, მგონი, ღვინო მერევა და მაპატიეთ...

არასოდეს არ დაგიძახებს ლამაზი მთა, ზღვა თუ ყვავილები. არც პალმები დაგიქნევენ ხელს და არც ზვრები დაგახევენ ჩოხის კალთებს. ქართველი კაცის გული სამეგობროდ ღიაა და ესაა, რომ ამშვენებს და ალამაზებს ჩვენს კუთხეს. ხალხს გიღლეგრძელებთ, სამშობლოს. მხნეობას ვუსურვებ ქართველ ხალხს არ გამოვწყვეტილიყოთ დიდ ოჯახში და მოწინავენიც ვიყოთ დიდი საბჭოთა ქვეყნის წინსვლის გზაზე!

სუფრის დასასრულს უმცროსი შვილის — შოთას სადღეგრძელო შესვა თამადამ.

— იცოცხლე, შვილო, ურიგო ბიჭი არა ხარ და მინდა შენი ადგილი მონახო ცხოვრებაში, საზოგადოებაში. გითხრა სიმართლე, თავიდან გულმა ვერ მოგიწონა ნაბიჯი, როცა საშუალო სასწავლებლიდან პირდაპირ ქარხანაში გაიქეცი. ვფიქრობდი, ფეხისხმას იყავი აყოლილი. მერე და მერე მეც შემივიდა გუნებაში შენი არჩევანი. ახლა კი ფარხმალს ვყრი. ეტყობა, კაცად გთვლიან, რაკი შენს ოჯახში ასეთმა საპატიო სტუმრებმა ინებეს მობრძანება. სიტყვა გამიგრძელდა და ბოდიშს ვიხდი! — მაგიდას გადახედა სოლომონმა.

— ბრძანეთ, ბრძანეთ! თქვენი სიტყვა საჭიროცაა და სასარგებლოც! — სუფრის მეორე თავიდან შეუძახა ჯულელმა.

თამადამ ისევ შვილს გაუსწორა თვალი.

— იმუშავე, შვილო, შრომა არ აწყენს ადამიანს. მაგრამ, ერთიც გახსოვდეს. სწავლა არ უნდა დაივიწყო, უმაღლესი უნდა დამიმთავრო და გამახარო.

შვილიშვილებსაც ითხოვს ოჯახი. კარგი ხანია ბავშვების ჟღურტული არ სმენია ჩემს ყურებს. ნურც ამაში დამწყვეტ გულს. ჰო და გახსოვდეს ჩემი სიტყვა. შრომა გიყვარდეს და ნუ გეშინია.

კაცს კაცის წინ რა გამოლევს, შვილო, შენც მოესწრები წინსვლას.

დალია და გიორგი ლომიძეც წამოდგა ფეხზე.

ოჯახი და მშობლები მოუწონა შოთა ვარდანიძეს. თავად შოთაც შეაქო, მერე სოლომონს შეავლო თვალი და უთხრა:

— კარგი შვილები დაგიზრდიათ, ბატონო სოლომონ! ბედნიერია ის ოჯახი, რომელსაც თქვენისთანა ჭარმაგი, ბევრის მნახველი ადამიანი თავკაცობს. ვინატრებდი: ბოძად და დამამშვენებლად თქვენისთანა მოხუცი არ მოშლოდეს ქართულ კედელ-ყურეს, დიახაც გვჭირდება ასე, ჩვენს ახალგაზრდობას სჭირდება ასე.

გიორგიმ შესვა და დაჯდა. ერთ ხანს სდუმდა სუფრა. ვლადიმერ ჯულელი ერთ ამოჩემებულ წერტილს მისჩერებოდა დაჟინებით.

შოთას სადღეგრძელოს შემდეგ სოლომონის სადღეგრძელოც უნდოდათ შეესვათ, მაგრამ თამადამ ერთი სიტყვა ითხოვა და დაუთმეს.

კედელზე დაკიდებულ უფროსი ქალიშვილის სურათს შეავლო თვალი სოლომონმა. ორიოდე წუთი იდგა უძრავად.

სდუმდნენ სხვებიც.

— გაღლეგრძელებ, შვილო, ჩემო პირველო სიხარულო! შენი დარდია ამ

ოჯახში მხოლოდ, შენი მოგონებაა, ჩრდილად რომ ახლავს ჩემს ბედნიერ ოჯახს.

სალომე შემოსულიყო და კუთხეში იცრემლებოდა.

თვალი მოჰკრა სოლომონმა მეუღლეს, სუფრასაც გადახედა, ყველანი დაღვრემილნი ისხდნენ და თავად გაფანტა ნაღველი. წვერებზე ხელი ჩამოისვა, გაიღიმა და...

„რა ვქნაის ციხე ავაგე,
დარდი დავკიდე კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
ამ კარის სანახავადა.
დიდხანს უარეს ციხესა,
კარი ვერ გახსნეს ძალადა,
ბოლოს თქვეს: დრო გაივლის,
კარ გაიხსნების თავადა“.

— საოცარი მოხუცია, არასდროს არ დამავიწყდება ეს საღამო! — უჩურჩულა მარინემ გოგის.

ბოლოს თამადის სადღეგრძელო ასწიეს. დალოცეს და მადლობა მოახსენეს.

ეზოში გამოვიდნენ.

ჭიშკართან მოსულებს სოლომონი წამოეწიათ. ცალ ხელში ტუჩმოგრეხილი დოქი ეჭირა, მეორეში მორჩილი ყანწი.

— ბარემ ეზო-გარემოც დამილოცეთ, ბატონო გიორგი! — უთხრა და ყანწი აუვსო.

— ნუღარ შევაწუხებთ, მამა! — ყურში ჩაუჩურჩულა შოთამ.

— ამას სხვა გემო აქვს, ბიჭო! ეს პატარა ყანწი უფრო დაახსომდებათ, ეს უნდა იცოდე!

გიორგიმ ყანწი დასცალა, ვლადიმერი ეძია თვალებით, მაგრამ იგი უკვე მანქანაში იჯდა. გოგის გადაულოცა.

ყანწი ხელიდან ხელში გადავიდა.

წავიდნენ.

ვარსკვლავებით გაკაშკაშებული ცა აათკეცებდა მაისის ღამის სილამაზეს.

თავი მერვე

ეროვნული

## შორეული და ახლობელი...

გოგი ისევ თავის მცირე გაბარიტიან ტრაქტორს უტრიალებდა. არც სახლი ახსოვდა, არც კარი. იშვიათად ხვდებოდა მარინეს და მამასაც, მხოლოდ გვიან ღამით სახლში მისული თუ გამოელაპარაკებოდა.

მალე „რიონს“ გამოცდა უნდა დაეჭირა. მეათეჯერ ამოწმებდა ერთსა და იგივეს. დაშლიდა,ააწყობდა. ჩართავდა, სათავსოში გაატარებდა ისე, როგორც დედა ასწავლის სიარულს ახლადფეხადგმულ ბავშვს. „რიონის“ ხმაურზე უცებ გაივსებოდა სათავსო. მთელი ქარხანა, ყოველი მუშაკი დაინტერესებული იყო გოგის გამარჯვებით. თითქოს არაფერი არ უნდა გაჰკვირვებოდათ ავტომშენებლებს.

მთავარი კონვეიერიდან ყოველდღიურად ათობით თვითმცლელები ჩამოდიოდნენ. დიდები, თავისებურად ლამაზები, მაგრამ ამ პატარა ტრაქტორს მაინც თავისი ადგილი ჰქონდა დიდი ქარხნის ცხოვრებაში.

თვითონ გოგი ლომიძეს ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა, უკვე გულდაჯერებული იყო, მაგრამ მაინც ვერ შორდებოდა სათავსოს. შვილივით შეიყვარა ეს პატარა მანქანა. ოცნებაში საკოლმეურნეო სოფლების ფერდობებსა და ბორცვებზე ხედავდა თავის ტრაქტორს. დღე არ გავიდოდა, რომ ახლო რაიონების კოლმეურნეობებიდან არ მოსულიყვნენ „რიონის“ სანახავად. მოდიოდნენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, აგრონომები, რიგითი კოლმეურნეები. მუშტრის თვალით სინჯავდნენ ტრაქტორს და ძირითადად იწონებდნენ. გოგი გულდასმით უსმენდა მათ, უხსნიდა და ყოველ შენიშვნას იწერდა. ოდნავ გახდა. ღამე არ ეძინა. არ ეგონა, თუ ასეთ დაინტერესებას გამოიჩენდნენ „რიონისადმი“. ამ ხანებში მარინესთან შეხვედრასაც გაურბოდა.

განგებ უვლიდა გვერდს საბავშვო ბაღის შენობას. როცა ერმანეთს ნახავდნენ, ტრაქტორზე ერთი სიტყვაც არ დასცდებოდა.

მარინემ კარგად იცოდა გოგის გატაცება. მისი ფიქრის ამოხსნაც არ იყო ძნელი, საუბარში იწვევდა, მაგრამ მარინეს კითხვაზე გოგი ულვაშებში ჩაიცინებდა მხოლოდ.

ყოველ კვირას მარინე თეატრში მიჰყავდა. ადრე წამოვიდოდნენ სახლიდან. თეთრ ხიდთან გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩამოვიდოდნენ, იქვე სკვერში შევიდოდნენ და რამდენიმე წუთს ძველი ჭადრის ახლო დაჰყოფდნენ.

გოგი გარინდებული უცქერდა თითქმის დამშრალ რიონს. გული ნაღვლით ეკუმშებოდა და უფრო თავის თავს გასამხნევებლად ეტყოდა:

— მალე ცხენისწყალი შეუერთდება რიონს, მაშინ ნახე, როგორ მოზღვავდება ჩემი რიონი. ახლა რომ ვუცქერ, მებრალება, ქვებსაც ვერ ფარავს და გული მტკივა.

მერე საცოლეს მკლავში ხელს გამოსდებდა და თეატრისაკენ წაიყვანდა.

ორშაბათს დილიდანვე თავის სათავსოში განცალკევდებოდა, დღის ბოლომდე ვინ არ შემოაკითხავდა .ხან დირექტორი მოდიოდა, ხან მთავარი ინჟინერი, ხან კიდევ ვლადიმერ ჯულელი.

აჩქარებდნენ, მაგრამ გოგი ჯერ კიდევ არ იყო კმაყოფილი. ყოველთვის პოულობდა მიზეზს „რიონის" გამოცდის გადასადებად.

ხანდახან მამაც შემოიხედავდა. ეს უფრო მაშინ, როცა გოგი მარტო იყო. რატომღაც არ უნდოდა გიორგი ლომიძეს შვილთან ერთად დაენახათ იგი ტრაქტორთან. შემოიხედავდა, ორიოდე სიტყვას ეტყოდა, გაამხნევებდა.

ერთ დღეს გიორგი ლომიძემ საქარხნო გაზეთ „ლენინელის" რედაქციაში შეიარა. მაგიდაზე გაზეთის ახალი ნომრის ამონაბეჭდები გაეშალათ. კორექტორები კითხულობდნენ. თვალი გადაჰკრა გიორგიმ წერილს. ინჟინერ გიორგი ლომიძის წარმატებაზე წერდიღაც. პატარა ტრაქტორისათვის სურათიც კი გადაეღოთ.

გიორგიმ გაზეთის ერთ-ერთი მუშაკი მოიხმო, წერილზე ანიშნა და რატომღაც მორიდებით უთხრა:

— ამ წერილში ინჟინერ გიორგი ლომიძეზეა ლაპარაკი, შვილო, თუ გვიან არ არის მამის სახელიც დაუმატეთ, თორემ ქვეყანა წაიკითხავს და ვაი, თუ მე ვეგონო...

ტანდაბალმა, ცოცხალთვალებიანმა ახალგაზრდამ გიორგის თვალწინ ჩაასწორა წერილი.

— ასე სჯობია! — ხელმეორედ გადაიკითხა წერილი გიორგიმ და ყმაწვილს მადლობა უთხრა.

რედაქციიდან პირდაპირ შვილისაკენ გაემართა, მაგრამ გოგი ადგილზე არ დახვდა, დირექტორს გამოეძახებინა.

„რიონის" გამოცდა დამთავრდება და დავაქორწინებ", გადაწყვიტა გიორგი ლომიძემ.

— გამარჯობათ, ბატონო გიორგი!— მოესმა ამ დროს სანდრო მელიას ხმა.

— საით, სანდრო?

— დირექტორი მეძახის, მოსკოვში მგზავნის!

— ისევ მატარებლით იმგზავრებ? — ოდნავ ჩაიცინა გიორგიმ.

— კი ბატონო, კი! ხმელეთზე სიკვდილი მირჩევნია ჰაერში გამოწვას.

საქმიანი კაცის ნაბიჯით გაშორდა მელია ლომიძეს. იღლიაში წითელი პორტფელი ამოეჩარა და მიდიოდა თავჩაღუნული. თვალი გააყოლა გიორგიმ ექსპედიტორს. თავი გადააქნია და თავადაც განაგრძო გზა.

სანდრომ საამქრო გაიარა, ეზოში გამოვიდა და დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართა. მიდიოდა და ლალისასთან შეხვედრისათვის ემზადებოდა.

მორიდებით შეაღო დირექტორისა და მთავარი ინჟინრის მოსაცდელი ოთახის კარები. ჯერ თავი შეჰყო და, რა თქმა უნდა, პირველად ყოვლისა — პირადი მდივნის მაგიდისაკენ გაიხედა, იქ ლალისა ეგულებოდა, მაგრამ ლალისას სკამზე ქაღალდებში თავჩარგული ახალგაზრდა კაცი იჯდა.

შევიდა, ფრთხილად მიხურა კარები და ჭაბუკს მიუახლოვდა.

„რა უნდა მომხდარიყო ამ ორ დღეში? ავად არის თუ გაანთავისუფლეს? — გაიფიქრა მელიამ და ჩაახველა.

ახალგაზრდამ თავი ასწია და სანდროს გაუღიმა.

თავის მხრივ არც მელიამ დაიშურა ღიმილი. მაგიდას ორივე ხელებით დაეყრდნო და...

— თქვენ აქ...

— ლალისა მოსკოვში გაემგზავრა, მე დროებით გადმომიყვანეს!

— მოსკოვში?!

— დიახ, მოსკოვში! შვებულება აიღო და წავიდა!

— როდის?

— გუშინ! გინდოდათ რაიმე?

რაღა უპასუხოს. ცერად გახედა ჯერ დირექტორის, მერე მთავარი ინჟინრის კაბინეტს, რომელთან შევიდეს. ლალისას შემცვლელი ერთხანს გაკვირვებით უცქეროდა სანდროს, მერე ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა.

სანდრო მელია უცებ დაფაცურდა. სულ ერთი საათის განმავლობაში სამივლინებო საბუთები გაამზადა და პირდაპირ პაეროდრომისაკენ მოჰკურცხლა.

„რაც მოსავალია, ბარემ მომივიდეს. ქვეყანა თვითმფრინავით დადის და რაღა ჩემზე გატყდება კოკა. სიჩქარე კი სწორედ ახლაა საჭირო. უნდა ჩავუსწრო და მოსკოვში კურსკის ვაგზალზე დავხვდე. მაგრამ... იქნებ თავადაც თვითმფრინავით წავიდა. ისეთი უტეხია, უეჭველად გაფრინდებოდა, მაშინ... მაშინ უნდა მოვიძიო. დღე და ღამე ვივლი“, — ფიქრობდა გზადაგზა სანდრო. ოცნებით უკვე მოსკოვში იყო. ლალისა მკლავზე დაყრდნობოდა და ნელა მისეირნობდნენ გორკის ქუჩაზე. აქეთ კრემლი, იქეთ მდინარე მოსკოვის წყნარი დუდუნი. სანდრო ცას წვდება სიხარულით...

ჯიქურ მიიჭრა საბილეთო სალაროსთან, ბილეთი აიღო და თვითმფრინავის მოლოდინში იქვე, ბაღში, ხის ძირას ჩამოჯდა.

„რატომ წავიდა, უბრალო გასეირნება თუ... არა, გოგი ლომიძე არ წყალობს და ამიტომ განერიდა მცირე ხნით. სწორედ ახლა უნდა ვუშოვო ყელი. სწორედ ამ ხასიათზე უნდა გამოვეცხადო იქ და ვინ იცის... იქნებ ხელმოწერილიც დავბრუნდე მოსკოვიდან“.

დაცხა. ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე ოფლი შეიმშრალა.

შორით ისმოდა თვითმფრინავების გუგუნი. ეს ხმა აშინებდა მელიას, მაგრამ უკანდახევაც აღარ შეეძლო. თითქოს და მშვიდად გახედა მინდორს... ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავები კოხტად ჩამწკრივებულიყვნენ მინდვრის შუა გულში. ახლა ბაღს მოავლო თვალი. აგერ ვიღაც ქალი ჯოხზე დაბჯენით მიემართება ავტობუსისაკენ.

„ნუთუ ესეც თვითმფრინავში უნდა ჩაჯდეს?“ — გაიფიქრა მელიამ და იმედი მიეცა.

წამოდგა, ბაღში გაიარ-გამოიარა. დიდხანს ეძია ვინმე ნაცნობი, მაგრამ ამაოდ, გულით კი უნდოდა ვისმეს გამოლაპარაკებოდა.

ათიოდე წუთის შემდეგ, როგორც შეეძლო, მშვიდად ადიოდა თვითმფრინავის კიბეზე. დასაჯდომი ადგილი მოიძია. ფანჯრისაკენ მიჩოჩდა და მიწას გახედა.

„ვაი თუ უკანასკნელად ვუცქერი ამ მიწას!“ — შიშისაგან მუხლები უკანკალებდა.

როგორც იქნა ეშველა. ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა. ძრავები აგუგუნდა, აგუგუნდა სანდროს გულიც.

თვითმფრინავი დაიძრა ჯერ ნელა, მერე თანდათან უმატა სვლას, სანდროს გულმაც უმატა ცემას.

უცებ თვითმფრინავი მიწას მოსწყდა. ოდნავ შეარხია ფრთები და ჰაერში აიჭრა.

„გათავდა!“ — აღმოხდა სანდროს და ფანჯარას თვალი მოაშორა.

კარგა ხანს იჯდა უძრავად. თავი ჩაღუნა და აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. მერე თავი ასწია და ახლა მგზავრებს დაუკვირდა. საუბრობენ თავისუფლად, იცინიან კიდეც. თითქოს საკუთარ

ოჯახში გაწყობილ სუფრას უსხდნენ, ისე გრძნობენ თავს.

აგერ, მის წინ, ვიღაც პირხმელი კაცი ანეგდოტს უყვება გვერდში მჯდომ მანდილოსანს. ქალი სიცილისაგან იჭაჭება.

„რა ეხუმრება ამ ოჯახდაქცეულს!“ — სანდროს ბრაზი ახრჩობს, თავისთავზე მოსდის გული. რატომღაც ძილი მოეკიდა, ჯერ გაუძალიანდა, არ უნდოდა თვალის მოხუჭვა, მაგრამ ძილმა ძალა წაართვა და მინებდა.

„ეჰ, რაც მოჰივა, ბარემ ძილში მომივიდეს“, — გაიფიქრა და მიიძინა.

ყურების ტკივილმა გამოაღვიძა. ყურებში რაღაც წიოდა უსიამოვნოდ, ახლა თავად ცდილობდა დაძინებას, მაგრამ ამაოდ. ვიღაცამ კამფეტი მიაწოდა. მადლობა გადაუხადა და კამფეტს წუწნა დაუწყო. ესიამოვნა, თითქოს ყურის ტკივილმაც უკლო.

ასე იწვალა მოსკოვამდე.

წელგამართული ჩამოყვა თვიმფრინავის კიბეს. ამაყად გადახედა მოსკოვს. მის წინ მიმავალი მგზავრი არ ჩქარობდა. სანდროს კი გული უწუხდა, სანამ მიწაზე ფეხს დადგამდა.

და, აი, როგორც იქნა, ჩამოვიდა.

გამარჯობა, მოსკოვო!

მგზავრები ავტობუსში ჩასხდნენ. სანდრომ ტაქსი დაიქირავა და პირდაპირ კურსკის ვაგზალს მიაშურა. მატარებლის შემოსვლის საათი დააზუსტა. იქვე ბუფეტში წაიხემსა, გაზეთი იყიდა და კითხვით გაერთო.

მატარებელი თბილისი-მოსკოვი რომ შემოვიდა, ყველა ვაგონის წინ მოასწრო გაძრომა. დარბოდა. აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, მაგრამ ამაოდ...

გულდაწყვეტილი დაეშვა სკამზე. რაღა ქნას, სად ეძიოს ლალისა!

მერე დაფიქრდა და გულში იანგარიშა.

თუ ლალისა გუშინ გამოვიდა ქუთაისიდან, დღეს როგორ ჩამოვიდოდა მოსკოვში? სახე გაუბრწყინდა, იმედი მიეცა, ისევ დაიქირავა ტაქსი და სასტუმრო „მოსკოვში“ ნომრის აღებაც მოახერხა.

მეორე დღეს დახვდა მატარებელს, ისევ იწრიალა ვაგონების წინ, მაგრამ ლალისა არ გამოჩნდა.

მესამე დღეს საბოლოოდ დაჰყარა ფარ-ხმალი. ტაქსით შემოიარა ყველა სასტუმრო და ლალისას კვალს მაინც ვერ მიაგნო.

„ამ ქვეყნის ოდენა ქალაქში ერთი წრიპა გოგო როგორ უნდა ვიპოვო?“ — თავის ნომერში დივანზე მიწვა და მიეძინა.

დილით ისევ შეუდგა ძებნას. დადიოდა მოსკოვის ქუჩებში, გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა, ეძებდა ბაღებში, სკვერებში, კინო-თეატრებში... უნივერმაღებში...

არა და არ ჩანდა ბერიძის ქალი!

საღამო იყო. ივნისის თბილი და საამო საღამო.

სანდრო დაფიქრებული მიაბიჯებდა გორკის ქუჩაზე, ჯერ კიდევ არ დაეკარგა იმედი. ჯერ კიდევ სწამდა, რომ თუ ლალისა მოსკოვში იყო, სადმე შეხვდებოდა და აი... ქუჩის მოპირდაპირე მხარეს უზარმაზარი მაღაზიის ვიტრინასთან ლალისას მოჰკრა თვალი. სიხარულმა ისე აიტაცა, რომ უნდოდა დაეყვირა, მაგრამ შეეშინდა, არ განრისხდესო, და გასასვლელისაკენ გაიქცა.

ზურგიდან წამოეპარა ლალისას.

— ლალისა!

ერთბაშად შემობრუნდა ქალიშვილი, ფართოდ გახელილი თვალები სანდროს მიანათა და მისდა გასაკვირველად ხელები გაშალა.

— სანდრო! აქ საიდან გაჩნდი?

მთელი კვირა დაგეძებო, კინაღამ წამოცდა, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი.

ლალისა იცინოდა, მხიარული ჩანდა.

სანდრო კი იდგა ბედნიერებისაგან გაბრუებული და სიტყვის თქმა ვეღარ მოეხერხებია,

— ახლა საით მიიჩქაროდი, სანდრო?

— არსად! თუ მოისურვებთ, თუ მიკადრებთ, თქვენს განკარგულებაში მიგულეთ! — როგორც იქნა, მოახერხა ხმის ამოღება სანდრომ.

— აბა, წავიდეთ! — ეს უთხრა ლალისამ და მკლავში ხელი გამოსდო.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე. ეს რა დღე გამითენდა! ნუთუ ცხადში ვარ და ყველაფერი ეს სიზმარი არ არის. ნუთუ ასრულდა ჩემი ოცნება. რატომ გეცინებათ, ლალისა! თქვენ რომ იცოდეთ რა გაჭირვება გადავიტანე, რა განსაცდელი გამოვიარე, ამ წუთისათვის... თქვენ რომ იცოდეთ...

— არაფერი მესმის!

სანდრომ დაწვრილებით უამბო, თუ როგორ შეალო დირექტორისა და მთავარი ინჟინრის მოსაცდელი ოთახის კარები. როგორ გაშრა, როცა ლალისას სკამზე სხვა დახვდა. შემდეგ თვითმფრინავი, მოსკოვი, კურსკის ვაგზალი, სასტუმროები, ქუჩები, ბაღები, სკვერები, თეატრები და უნივერმაღები...

— მაშ მე დამეძებდი? — გულიანად კისკისებდა ბერიძის ქალი.

— ამ გაგანია სიცხეში მოსკოვში რატომ წამოხვედით?

ლალისამ კისკისი შესწყვიტა და უპასუხა.

— მოსკოვში ჩემი უფროსი და ცხოვრობს, ორი წელია, არ მინახავს და ისედაც არც მოსკოვში ჩამოვსულვარ კარგა ხანია.

სანდრო ყელამდე ბედნიერი იყო ამ შეხვედრით. იცინოდა, ხუმრობდა და, რაც მთავარია, ლალისას პატარა ხელი იღლიაში ამოეჩარა, ეს ხელი ათბობდა და აღარ იცოდა, რა ექნა...

— მაინც საით მივდივართ? — იკითხა ბოლოს ლალისამ.

— სადაც თქვენ მოისურვებთ?

გორკის ფართო პროსპექტს მიჰყვებოდნენ. სანდროს ვერ მოეფიქრებინა, თუ საით აელო გეზი.

— უკაცრავად, ჩემო კეთილებო, ერთის წუთით უნდა შეგაწუხოთ!

ლალისამ და სანდრომ ერთსა და იმავე დროს აიხედეს. მათ წინ თოვლივით თეთრთმიანი, ტანმაღალი ქალი იდგა.

— გისმენთ, ქალბატონო! — დაასწრო ლალისას სანდრომ.

ლალისა ქალს მისჩერებოდა. ერთის შეხედვით მოხიბლა მისმა გარეგნობამ.

ქალი იდგა, ოდნავ დაბნეული, თეთრი სახე ასწითლებოდა, ილიმებოდა და, როგორც ჩანს, სათქმელის გამხელა უჭირდა.

— რა თქმა უნდა, ქართველები ბრძანდებით! — წამოიწყო როგორც იქნა, პასუხს აღარ დაელოდა და ისევე მორიდებით განაგრძო:

— თუ არ შეწუხდებით, თუ სადმე არ მიგეჩქარებათ, დამითმეთ თქვენი თავი სულ ერთი საათით!

სანდრომ ლალისას გადახედა, ორივემ — ქალს. ხან ერთს მისჩერებოდა მუდარის თვალით და ხან მეორეს.

—სადმე მიგეჩქარებათ? მაშინ არ შეგაწუხებთ.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, თქვენს განკარგულებაში გვიგულეთ!

— რა თქმა უნდა! — დაეთანხმა მელია.

— მაშ ერთმანეთს გავეცნოთ! თამარა როდიონოვა!

— ლალისა!

— სანდრო!

ორივეს ხელი ჩამოართვა და წინ გაუძღვა. მალე ტაქსი გააჩერეს, ჩასხდნენ. როდიონოვამ შოფერს მისამართი უთხრა. მანქანა დაიძრა.

ლალისა მანქანის კუთხეში მიიკუჭა, ქვედა ტუჩს იკვნეტდა და ფიქრობდა: „თამარა როდიონოვა, თამარა როდიონოვა, ღმერთო მომაგონე, სად მსმენია ეს გვარი, სად“, — თითქმის ჩურჩულებდა იგი.

უცებ გონება გაეხსნა, თავი ასწია და ზუსტად მის წინ მჯდომ თამარს უფრო გულმოდგინედ დაუკვირდა. მერე ფიქრით თავის სამუშაო მაგიდასთან გაჩნდა. მაგიდის ქვედა უჯრა, შიგ ორი ბარათი, ახლაც რომ აწყვია უძრავად.

„ის არის, ნამდვილად ის არის! ო, ბედო უცნაურო, საიდან, სად, საიდან სად!“

სანდროს გადახედა, მელია გალურსულიყო, ისიც საკუთარ ფიქრებს გაეტაცნა და აბა რას წარმოიდგენდა, თუ

რა ცეცხლი დატრიალდა ლალისას გულში.

რამდენიმე წუთის შემდეგ დანილოვის ბაზართან, ერთ სადარბაზო შესასვლელის წინ დადგა ტაქსი. სანდრომ როდიონოვას დაასწრო და შოფერს ფული გადაუხადა.

— მობრძანდით, ჩემი ოჯახი გაიცანით! — აჩქარდა მასპინძელი, სტუმრებს ხელები ჩაჰკიდა და სახლში შეიყვანა.

მდიდრულმა, მაგრამ გემოვნებით მორთულმა ბინამ ლალისას ყურადღება მიიქცია, თვალს მაინც არ აშორებდა თამარს, თავიდან ფეხებამდე ზომავდა და უკვირდა.

„ამ ხნის ქალი გოგის ზარათს როგორ მისწერდა, რაშია საქმე?“ სული მისდიოდა სანამ რაიმეს გაიგებდა.

მეორე თუ მესამე ოთახში გავიდნენ. ლალისა და სანდრო რბილ სავარძლებში ჩასხდნენ.

— ერთის წუთით, მხოლოდ ერთის წუთით დაგაყოვნებთ, მანამდე აგერ, ეს ალბომი გადაფურცლეთ, გაერთეთ! — სუფთა ქართულით, მაგრამ მაინც რუსული აქცენტით ლაპარაკობდა თამარი, ლალისას ალბომი მოაწოდა, თითონ კი მეორე ოთახში გავიდა.

თვალი გააყოლა ბერიძის ქალმა. როდიონოვას ალბათ ორმოცდაათ წელს აღარაფერი უკლდა, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა ახალგაზრდული ეშხი და სიხალვათე.

რატომღაც თავი ასტკივდა ლალისას, უგულოდ, ყოველგვარი ინტერესის გარეშე ფურცლავდა ალბომს, არც კი უკვირდებოდა სურათებს. მელია დიდკაცურად გამოჭიმულიყო სავარძელში და ლალისას თეთრ ყელს უჭვრეტდა.

უცებ შეჰკივლა ლალისამ. ერთი სურათი ალბომიდან სწრაფად ამოიღო და თვალებთან მიიტანა.

„გოგი! აქ საიდან“ — მაგრამ უფრო გულდაგულ რომ დააკვირდა სურათს, მიხვდა, რომ ეს გოგი არ იყო. სურათიდან კაპიტნის ფორმაში გამოწყობილი გიორგი ლომიძე იღიმებოდა.

ხელში შეატრიალა სურათი, წარწერა ამოიკითხა.

„საყვარელ თამარს გიორგი ლომიძისაგან. ბელოსტოკი, 1940 წ.“.

ღმერთო, ეს რა ხდება!

ამასობაში დიასახლისმა კონიაკი და ხილი გამოიტანა. ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ.

პირველი სასმისი თამარმა აიღო. ოდნავ უთრთოდა ტუჩები და კანკალებდა მისი ხმა.

— მე ბევრი რამ მაერთებს თქვენს მშვენიერ ქვეყანასთან. ოდესღაც ვყოფილვარ თბილისში, მერე უფრო დიდი ბედნიერებაც მხვდა წილად, მაგრამ არ დამცალდა. ახლა მინდა ჩემს ოჯახში თქვენი ლამაზი კუთხის სადღეგრძელო შევსვა. აყვავებას და მარად სიხარულს ვუსურვებ საქართველოს და ქართველ ხალხს.

— იცოცხლეთ, ქალბატონო, დღევანდელი ჩვენი შეხვედრა უცნაურად მოხდა, ვფიქრობ, თქვენს მგძნობიარე სიტყვებში რაღაც ამბავი იმალება. ნება მომეცით, გკითხოთ...

— მე თვითონ გიამბობთ. მე თვითონ... სწორედ ამისათვის შეგაწუხეთ.

— ქალბატონო თამარ! ხომ შეიძლება ასე მოგმართოთ! — წამოდგა სანდრო.

— რა თქმა უნდა, ჩვენ დღეიდან მეგობრები უნდა ვიყოთ.

— ქალბატონო თამარ! განაგრძო მელიამ, — მე კი მინდა თქვენი ოჯახის სადღეგრძელო შევსვა, თქვენი კარგი და დიდი ოჯახის სადღეგრძელო იყოს!

თამარმა ამოიოხრა...

— სადღაა, ჩემო კეთილო! სადღაა... ოდესღაც მართლაც გვქონდა ოჯახი. ახლა კედლებიღა შემოგვრჩა მხოლოდ.

— ასე კარგად საიდან იცით ქართული? — მოკრძალებით შეეკითხა თამარს ლალისა.

თამარმა გაიღიმა.

— სხვაგვარად ნუ ჩამომართმევთ, ჩემო მეგობრებო. მე ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორი ვარ. კავკასიის ხალხთა ენებზე ვმუშაობ მთელი ჩემი სიცოცხლე. ქართული კი დიდი ხანია

ვიცი, მასწავლეს. ერთი ადამიანის სიყვარულმა მასწავლა თქვენი ტკბილი ენა...

— გიორგი ლომიძის! — ხმადაბლა შეაგება ლალისამ. თამარი გაფითრდა. სანდრო გაშრა.

— თქვენ, საიდან?

— ალბომში გიორგი ლომიძის სურათს წავაწყდი. ჩვენ მას ძალიან კარგად ვიცნობთ. ჩვენი ქარხნის მთავარი მექანიკოსია.

— რომელი ქარხნის?

— ქუთაისის საავტომობილო ქარხნის!

— ნუთუ? — თამარი ფეხზე წამოდგა. ლამაზი სახე აშლოდა. ხან წითელი ფერი გადაჰკრავდა, ხან ყვითელი. მაგიდას შემოუარა. თითებს იმტვრევდა, მერე ლალისასთან მივიდა და პირდაპირ ჩახედა თვალებში.

— მე ორჯერ გავგზავნე ბარათი თქვენს ქარხანაში. გიორგი ვასილიჩი ავტოინჟინერი იყო. ისიც ვიცოდი, რომ ქუთაისში შვილი ჰყავდა და, თუ ომის ცეცხლს გადაურჩებოდა, სწორედ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში უნდა მიმეკვლია მისთვის. ორჯერ გავგზავნე ბარათი და უარით მიპასუხეს. ჩემი ბარათები კი აღარ დამიბრუნეს, დაველოდი, მაგრამ რაკი გიორგი იქ ველარ აღმოვაჩინე ბარათებს რაღას დაველოდებოდი...

თამარი შემობრუნდა, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და პატარა ქაღალდი ლალისას მიუტანა.

სანდრო წამოიწია, უნდოდა გაეგო მასაც, თუ რა ეწერა დეპეშაში, მაგრამ ლალისამ შეუბღვირა და ისიც თავის ადგილას დაჯდა.

„გიორგი ლომიძე ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში არ მუშაობს. ბერიძე“.

ლალისა მოიკუნტა. ცივმა ოფლმა დაასხა. თვალებით ჭამდა პატარა ქაღალდს, მისი ხელით შედგენილ დეპეშას და ფიქრობდა:

„ნეტავ ეს სახლი დაინგრეოდეს ამ წუთში და მხოლოდ მე, მე ნუ გადავრჩები ცოცხალი“.

თამარმა ქაღალდი გამოართვა და ისევ თავის ადგილას შეინახა.

სანდრო, თუმცა ყურადღებით უსმენდა ქალების საუბარს, მაგრამ მაინც ვერ გაიგო, თუ რატომ ასე მოულოდნელად დაჰკარგა ფერი ლალისამ.

— მაშ გიორგი ცოცხალია? მაშ გიორგი ლომიძე გადარჩა? — ბუტბუტებდა თამარი და მის დიდრონ თაფლისფერ თვალებიდან ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლი.

— ეს გიორგი ლომიძის სადღეგრძელო იყოს, ქალბატონო თამარ! — ჭიქა ასწია სანდრომ. — ბევრი რამ უცნაური და გაუთვალისწინებელი ხდება ცხოვრებაში და მე მოხარული ვარ, რომ ასეთი დიდი ამბის მოწმე გავხდი ჩემდა უნებურად. ალბათ, ასე ფიქრობს ლალისაც, არა?

ლალისამ უხმოდ დაუქნია თავი.

— გიორგი ლომიძის სადღეგრძელო იყოს!

ლალისამ შესვა.

თამარმა ცრემლი შეიმშრალა.

— უკანასკნელად 1941 წლის ივნისში, სწორედ დღეის დღეს შევხვდი გიორგის ბელოსტოკის სადგურზე, ცეცხლი ეკიდა მაშინ ყველაფერს, მაგრამ უფრო დიდი ცეცხლი ჩემს გულში ენთო. ამიტომ ველარ დავდექი დღეს სახლში. დღევანდელმა დღემ წარსულის წუთები მომაგონა, გამოვედი, მინდოდა ვისმეს გამოვსაუბრებოდი და იღბლად თქვენი ტკბილი ქართული გავიგონე. ჰო, იმას მოგახსენებდით, ბელოსტოკიდან იმავე მატარებლით გამოვბრუნდით, რომელმაც მოსკოვიდან დასავლეთ ბელორუსიაში ჩამოგვიყვანა. დავტოვე გიორგი და შემრჩა ჩემი პატარა გოგონა, ჩემი მარია. მას შემდეგ თითქმის ოცი წელი გავიდა, ოცი წელი... ახლა მომიხედა ბედნიერებამ სულ ორი დღის წინ შვილის კვალს მივაგენ და თურმე გიორგიც ცოცხალი ყოფილა...

— შვილის კვალს მიაგენით? — სკამიდან წამოიწია ლალისა, რომელსაც ადამიანის ფერი აღარ ედო, მთელი ტანი უცახცახებდა. „გიორგი ლომიძე-,

„მარია“, „ოცი წელი“, ყურებში უწიოდა ეს სიტყვები. ეს სახელები ლურსმნებივით ესობოდნენ მის გულს და ტვინს უხვრეტდნენ.

ზღაპარში გაგონილს მოჰგავდა დღევანდელი დღე და ალბათ უფრო მეტიცაა მოსალოდნელი, ამას გრძნობს ბერიძის ქალი.

— მივაგენ, ჩემო კეთილო, ბევრი ძებნისა და წვალების შემდეგ მივაგენ, ისიც თქვენთან ყოფილა!

— ჩვენთან! — შეჰყვირა ლალისამ და შეტორტმანდა. სანდრო სავარძლიდან წამოხტა და მიეშველა.

ლალისამ ძალღონე მოიკრიბა, შესძლო თავის შეკავება.

თამარი დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— მაპატიეთ, ჩემო კეთილებო, ჩემი ოჯახური წვრილმანებით, მგონი, უსიამოვნება მოგაყენეთ.

თამარის თვალებში ცრემლი ბრწყინავდა, ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლი შეიმშრალა და ლალისას წინ სკამზე ჩამოჯდა.

ლალისა როდიონოვას სიტყვებს უსმენდა და არც უსმენდა. ახლა მისი გონება სულ სხვა ფიქრებით გამოჭედილიყო. სამოქმედო გეგმა გაუჩნდა. ქვედა ტუჩს იკვნეტდა და, თუმცა პირდაპირ თვალებში ჩასცქეროდა როდიონოვას, მაგრამ ფიქრით სულ სხვაგან იყო.

— მაშ თქვენი ქალიშვილიც ჩვენთან არის? — თამარისთვის თვალი არ მოუშორებია ისე იკითხა ბერიძის ქალმა.

— თქვენთან, თბილისში, უპატრონო ბავშვთა სახლში გაზრდილა ჩემი გოგო. ხვალ-ზეგ მივემგზავრები კიდეც. თბილისშიო!

ამას კი აღარ მოელოდა ლალისა. რატომღაც წარმოედგინა რომ, თამარის, ქალიშვილი მარია, ქუთაისში უნდა აღმოჩენილიყო. უფრო მეტიც, — საავტომობილო ქარხანაში... არა, კი არ წარმოედგინა, მას ასე უნდოდა, ასე სჭირდებოდა...

— გულწრფელად მიხარია, ქალბატონო თამარ, რომ ამდენი ხნის ლოდინისა და წვალების შემდეგ გაგიმართლათ. თქვენ ღირსი ხართ ბედნიერი იყოთ ცხოვრებაში...

— გვიანღაა, ჩემო კეთილო. გვიანღაა, მაგრამ ახლა მართლაც ბედნიერი ვარ. თქვენ დღეს დიდი სიხარული მომანიჭეთ. ამიერიდან ჩემი ოჯახის კარები მუდამ ღია იქნება თქვენთვის. საკუთარ ოჯახად იგულეთ იგი. მე კი დად მიმიღეთ, გნებავთ — დედად... — და მთელი სახით გაიღიმა.

— თქვენთან მეგობრობა ვის არ გაახარებს, ქალბატონო თამარ. ეს საამაყოცაა. რაც მთავარია, ჩვენი საყვარელი ადამიანის, გიორგი ლომიძის... — აქ შეჩერდა და თამარს თვალი-თვალში გაუყარა.

— ოჰ, გიორგი, გიორგი! — თავზე ხელები შემოიწყო თამარმა. სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მალე ისევ გამოცოცხლდა მასპინძელი. სასმისები აავსო.

— აჰ, მეტი აღარ... თორემ მე და ჩემი კავალერი ბინამდე ველარ მივაღწევთ! — გაიცინა ლალისამ და სანდროს შეხედა. მელია გაიბადრა. თამარმა გამოცდილი თვალი მოავლო ჯერ ლალისას, მერე სანდროს, მაგრამ არაფერი თქვა.

ლალისა წამოდგა. სანდრომაც მას მიჰბაძა.

— მოსკოვში, ალბათ, ცოტახანს მაინც დარჩებით და გთხოვთ კიდევ მინახულოთ!

— არ ვიცი, რა გიპასუხოთ, ქალბატონო. თუ დავრჩებით, უსათუოდ შემოვივლით! არა, სანდრო?

— რა თქმა უნდა! — იმ წუთშივე დაუდასტურა სანდრომ, ფეხზე ძლივს იდგა სიხარულით. ცქმუტავდა. თვალებში შესციცინებდა ლალისას. ცდილობდა, ყოველი მისი სურვილი წინასწარ ამოეცნო და უყოყმანოდ შეესრულებინა.

— ეს ერთი მაინც შევსვათ! — ჰოქა აიღო თამარმა

— საყოვლაწმიდო, არა?

— როგორ თქვით? საყოვლაწმიდო. მე ეს სიტყვა არ ვიცი.

სანდრომ განუმარტა. თამარმა ჩაიწერა.

კიბეებზე ჩამოაცილა სტუმრები. გულთბილად გამოეთხოვა. ლალისა ჩაკოცნა და ერთხელ კიდევ თხოვა შემოევლოთ.

სანდრომ ტაქსის გაჩერება დააპირა, მაგრამ ლალისამ იუარა. თავი მტკივა და სჯობია ფეხით გავიაროთო. თავის ტკივილი არც ისე აწუხებდა, მაგრამ სუფთა ჰაერზე გავლა ერჩია ახლა. ბევრი საზრუნველი, ბევრი საჭირბოროტო დაგროვდა მის გონებასა და გულში. საჭირო იყო ყველაფრის აწონ-დაწონა, მოსაზრება. არ უნდა აჩქარდეს. საქმე ცუდად როდი ეწყობა. მგონი, ლალისას ბედის ვარსკვლავიც გამოჩნდა ცაზე. მგონი, ტყუილად არ ჩაიაროს ამდენი ხნის წამებამ.

ცას გახედა.

ვარსკვლავები კიაფობდნენ. განიერი ქუჩები ისე იყო გაჩირაღდნებული, რომ მართლაც ნემსის პოვნა არ გაუჭირდებოდა ადამიანს. ნელა ირხეოდნენ ნაძვები.

ათჯერ დარეკა კრემლის საათმა. ლალისა ყურს უგდებდა ზარის ხმას და გულში ითვლიდა. რა საამოდ, რა თავისებურად რეკენ კრემლის კურანტები!

სანდრო ჩუმად მიაბიჯებდა ლალისას გვერდით. იცის, რომ რაღაც დიდი საფიქრალი გაუჩნდა ბერიძის ქალს და არ უნდა ჩაერიოს, ხელი შეუშალოს, გამოთიშოს ამ ფიქრებისაგან თუ ოცნებისაგან. ვინ იცის, იქნებ სწორედ ახლა ებრძვის გულს. ვინ იცის, იქნებ სწორედ ახლა შემობრუნდეს და...

აბა, რას ნიშნავს დღევანდელი შეხვედრა, მთელი დღე და საღამო. ლალისას გადახედა. სახე მშვიდი ჰქონდა ბერიძის ქალს, მაგრამ თვალები უცნაურად უბრწყინავდნენ, უცნაურად...

ლალისა კი...

„ცხადია, თამარი და გიორგი მეტად დაახლოებულნი ყოფილან.

იქნებ უფრო მეტიც...

აა! უფრო მეტიც?!

ჰო, უფრო მეტი, ცოლ-ქმარი... რატომაც არა. ადვილი შესაძლებელია, ცოლ-ქმარიც იყვნენ...

აბა რას მიეწერება ამდენი ცრემლი თამარის თვალებში, ღელვა... როგორ შეიცვალა, როგორ შეკრთა, როცა გიორგი ლომიძე ვუხსენე... როგორ აელეწა და აეშალა სახე. გაფითრდა კიდეც... ამ დიდად განათლებულმა ქალმა სათქმელს ველარ მოუყარა თავი.

კი, უსათუოდ ასეა... ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა საჭირო, ჩემთვის ასე სჯობს“.

გიორგი ლომიძის პირქუში სახე დაუდგა თვალწინ. დარდიანი, გულჩათხრობილი და მკაცრი... აი, თურმე, რა აწუხებს ლომიძეს... კი, მაგრამ, მაინც რატომ?

რატომ?

ერთხელ ქარხნის სკვერში საბავშვო ბაღის თანამშრომლების საუბარს მოუსმინა ლალისამ შემთხვევით. ერთი საყვედურობდა მეორეს:

— ბავშვებს სუფთა ქართულით უნდა ესაუბროთ. აქედანვე უნდა შეეჩვიონ პატარები სიტყვის სწორად წარმოთქმას, თქვენ კი შინაურულად, ოჯახურად რად ელაპარაკებით მათ. აი, მარინე, რუსი ქალია, მაგრამ თქვენზე უკეთ ლაპარაკობს ქართულად...

მაშინ ყურადღება არ მიუქცევია ამ საუბრისათვის ლალისას, ახლა კი...

„წავალ თუ არა ქუთაისში, იმ ქალს მოვძებნი და ვათქმევინებ. როგორმე მეტი უნდა დავტყუო. უეჭველია, მან რაღაც იცის, რაც ჩემთვის ახლა სიცოცხლეზე უფრო საჭიროა. იქნებ თვით მარინემ უამბო მეგობრებს თავისი თავგადასავალი“.

და თუ ეს ასეა...

მაშინ...

მაშინ, იქნებ სწორედ ის მარინე თუ მარიაა თამარ რადიონოვას ქალიშვილი...

იქნებ გამიმართლოს...

მაშინ...

მაშინ გიორგი და მარინე და-ძმა ყოფილა! აა! და-ძმა! წაბარბაცდა, იქვე გზის პირას ნაძვს მიეყრდნო. სანდრო მიეშველა.

— ცუდადა ხართ?

— არაფერია, ცოტა თავის ტკივილი გამომყვა და...

მკვდრის ფერი დასდებოდა ბერიძის ქალს.

სანდრომ მას მკლავში შეაპარა ხელი.

ლალისას წინააღმდეგობა არ გაუწევია. გზა განაგრძეს. ფეხის წვერებზე მიაბიჯებდა ლალისასთან მკლავი-მკლავში გაყრილი სანდრო. გეგონებოდათ, საცეკვავოდ ემზადებაო, და უნგრული ტუფლების ნაცვლად თითქოს ფეხზე უძიროები ცმოდეს.

ფიქრის ძაფი არ უნდა გაუწყვიტოს ლალისას.

„იფიქრე, გენაცვა, იფიქრე. თუ ჭკუა გაქვს, ღმერთივით ბიჭი გიდგას გვერდში, ღმერთივით ბიჭი“. — ამ სიტყვებზე ჩაიღიმა. „ღმერთივით ბიჭი არა ვარ თუ? მართალია, გოგი ლომიძესავით საჯენი სიმაღლე არ მომცა უფალმა, მაგრამ, რა თავში ვიხლი სიმაღლეს, არც ეს ქალბატონია ალვისტანა. ჰო და იფიქრე, გენაცვა, თორემ ორი კურდღლის მადევარივით არ წაგივიდეს საქმე ბოლოს“.

ლალისამ კი...

ფიქრებით მოიარა საქართველო, ქუთაისი, ყველა გზები ჩახლართა და ჩახერგა. ყველა, ვინც მისთვის საჭირო იყო, ინახულა. ზოგს დაუტკბა, ზოგს შხამი ასვა და გოგი ლომიძემდე გათელა ბილიკი. თანდათან გამოუსწორდა ხასიათი. თვალში სინათლე მოემატა. ფერიც მოუვიდა. ახლა ლოყები უხურდა მხოლოდ და სანდროს ხელი იღლიაში რომ უღიტინებდა, სიამოვნებდა კიდეც.

არც სანდრო მელიას მომდურება არგია ახლა ლალისას.

ამასაც უნდა დაუყვავოს, ცოტა იმედიც მისცეს. ამისთვის დიდი თავისტეხა არაა საჭირო. ერთი ღიმილი, ერთი მადის აღმძვრელი ღიმილი, მაცდური, კაცის დამბმელი, და მორჩა!...

ოდნავ მოაბრუნა თავი სანდროსკენ. „ნეტავ რაზე ფიქრობს ეს ყეყეჩი?“ აი, სასტუმროც.

— შენ უნდა გაგეცილებინე, სანდრო, და პირიქით კი გამოვიდა.

— ეგ მართალია, მაგრამ მე ხომ არ ვიცი თქვენი და სად ცხოვრობს!..

— არც ისე შორსაა, ნუ გეშინია!

— რას ამბობთ, ლალისა, მე კი მინდოდა...

— თქვი, სანდრო, რა გინდოდა. მანამდე კი გთხოვ, ეს თქვენობით მომართვა მოიშალო. ჩვენ ხომ შინაურები ვართ.

— ლალისა!

— ჰო, ჰო, შენობით მელაპარაკე!

სანდროს ახლა მთლად ჩაუვარდა ენა და თავად ასტკივდა თავი.

— ერთად ვივახშმოთ! — ძლივს ამოილუღლუღა მელიამ.

— გვიან რომ არის?

მელიას იმედი მოეცა, ლალისას სიტყვები უარს როდი ნიშნავდა.

— გვიან? ჯერ ხომ ათი საათია მხოლოდ. ნუ მეტყვით უარს!

— ისევ თქვენობით?

— ნუ მეტყვით უარს, მაჩუქე რამდენიმე წუთი. მთელი ჩემი სიცოცხლეა ამ წუთისათვის ვიბრძვი და ნუ ჩამაშხამებ დღევანდელ სიხარულს. — ეს თქვა და ორი თითი კისერთან მიიტანა, ტუჩები მოღრიცა.

„ღმერთო, რა საზიზღარი ვარ“, — თავისთვის ჩაილაპარაკა ლალისამ, სანდროს კი ეს უთხრა:

— კარგი, ვივახშმოთ!

მელიამ ხელები დაუკოცნა.

სასტუმროს რესტორანში შევიდნენ. კუთხის მაგიდას მიუსხდნენ.

ვახშამთან ერთად ხელზე მომტანს შამპანურიც შეუკვეთა სანდრომ, პირველი სადღეგრძელო ლალისამ აიღო.

— შენს მიზნებს გაუმარჯოს, სანდრო!— ჩაიცინა. მელიას მრავალმნიშვნელოვნად შეხედა, ჭიქა ჭიქაზე მიაჭახუნა და შამპანური ბოლომდე შესვა.

— ჩემი მიზანი შენ...

— აჰ, არ გაამხილო, თორემ ძალა დაეკარგება... — აკისკისდა ლალისა და გვერდით მაგიდასთან მსხდომ მოქალაქეთა ყურადღება მიიქცია.

სანდრომ ჭიქა ასწია. მჭევრმეტყველურად შეაქო ქალიშვილი. ჭკუა და გონება მოუწონა და ბოლოს დაასკვნა:

— მაინც სილამაზეა მთავარი. ქალის უპირველესი ღირსება სწორედ სილამაზეა, მერე მისი ჭკუა და მოსაზრება. ამ მხრივ აღარ ვიცი, ვის შევადარო. ერთიც უნდა გითხრა, რაკი გამათამამე, შენობით მოგმართავ და მაინც გულს მეკოკნება. ლამაზ ქალს არ შეჰფერის ლამაზი ქმარი, კიდეც რომ შეხვდეს, უნდა შეძლოს თავშეკავება, უნდა განერიდოს.

— რატომ, რას ერჩი ლამაზ მამაკაცს? — გაიღიმა ლალისამ.

— ლამაზი მამაკაცი ქალზე უფრო თავხედია. სიცოცხლეს ჩაგიმწარებს. ფარული ჯიბრი დაჩრდილავს მოჩვენებით სიყვარულს. ლამაზ ქალს მეხოტბე სჭირდება ყოველ დღე და არა მოშურნე!

„მგონი, სწორედ მსჯელობს, უყურე, რა დაკვირვებული ყოფილა!“

— ბედნიერი იყოს შენი ცხოვრება, ლალისა! — განაგრძო სანდრომ. სათქმელი, იცოცხლე, ბევრი მქონდეს. არც თევზივით მაქვს პირი წყლით სავსე. რად გინდა... უთქმელადაც გრძნობ... მე მოთმინების უნარით დამაჯილდოვა განგებამ და ვითმენ. ვითმენ მანამ, სანამ შენ თითონ არ გაგეხსნება გული...

— შენც გისურვებ ბედნიერებას, სანდრო...

ისევ მოუჭახუნა ჭიქა და ისევ ბოლომდე შესვა.

სანდრომ ჩუმად ანიშნა მომტანს და ერთი შამპანურიც შემოემატა მაგიდას.

ლალისამ არაფერი თქვა.

მესამე ჭიქის შემდეგ ოდნავ იგრძნო თავის ტკივილი ბერიძის ქალმა, მაგრამ ეს ტკივილი ახლა აღარ აწუხებდა. შუბლი უხურდა. ხანდახან ხელს შემოიდებდა შუბლზე, ლოყაზე და ხელის სიგრილე სიამოვნებდა.

მაგიდის ქვეშ სანდროს მუხლი ვითომდა შემთხვევით შეეხო ლალისას მუხლს. იმ წამსვე უნდოდა უკან დაეწია, მაგრამ ბერიძის ქალს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ჭიქა აიღო და შიგ ჩარჩენილი შამპანური მოსვა.

სანდროს თავი სიზმარში ეგონა. ყველაფერს, ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ბედის ასე შემობრუნებას?! ჭიქები ხელახლა აავსო. მუხლი მუხლს ეკვროდა.

— ეს შენი თვალების, შენი ლამაზი თვალების სადღეგრძელო იყოს, ძვირფასო. თვალებია თუ თაფლის ტბა... თვალებია თუ...

დაღნა მელია. გადაიხარა და ყურის ძირთან ტუჩები ოდნავ შეახო ქალიშვილის გაცხელებულ ლოყას.

ლალისა წამოდგა და საათს დახედა.

— უჰ, უკვე თერთმეტი საათია!

სანდროც ადგა.

უნდოდა ეთხოვა, დარჩიო, მაგრამ გადაიფიქრა. შეეშინდა, წალმა დაბრუნებული საქმე არ ჩამეფუშოსო. დანახარჯი გადაიხადა.

ქუჩაში გამოვიდნენ, ფეხით გაიარეს.

— ტაქსი ხომ არ გავაჩერო, ლალისა?

— ჰო, გავაჩეროთ, თორემ დავგვიანდი!

როცა მანქანაში სხდებოდნენ, სანდრომ ორივე მხრებზე მოჰკიდა ხელი ლალისას, და ერთხელ კიდევ სცადა ლოყაზე ეკოცნა, მაგრამ ლალისამ ცივად მოიშორა. მანქანა დაიძრა. სანდრომ ახლა წელზე შეაპარა ხელი.

ლალისამ დატუქსა.

„უყურე, რამდენს მიბედავს ეს თავტლიპა!“ — ცოტა არ იყოს, გულიც კი მოუვიდა ბერიძის ქალს.

„ჩემი ბრალია, აქამდე არ უნდა მიმეშვა. მთელი საღამო ვუღიმი. ვემაცდურები, უფრო მეტიც, ვეალერსები და აბა რას იზამს. რაც არ უნდა იყოს, მამაკაცია“...

მაგრამ მელიას მომდურება ჯერ მაინც არ შეიძლება. ეს კარგად იცის ბერიძის ქალმა. ჯერ საჭიროა ეს ქონდრის კაცი. ცოტა ხანს ასე უნდა შეიყოლიოს და მერე თუ გინდ წყალს წაუღია მისი გაპუტული თავი...

მთავარია, რაც დღეს მოხდა, რაც დღეს გაიგო, დრომდე საიდუმლოდ

დარჩეს. მელიამ კრინტიც არ უნდა დაძრას ამის შესახებ და, ვინ იცის, იქნებ სხვა რამეშიც გამოიყენოს იგი...

— მოვედით!

მანქანა გაჩერდა. გადმოვიდნენ.

— შენ როდის ბრუნდები ქუთაისში, სანდრო?

— რა ვიცი! — და ახლა გაახსენდა საქმეები...

— შენ, ლალისა?

— მე ხვალვე უნდა გავფრინდე. მომწყინდა და თანაც საქმეები მაქვს...

— მეც წამოვალ!

— ძალიან კარგს იზამ!

— დღეს შენ გამაცოცხლე, ლალისა, ოცი წლით გამაჭაბუკე...

„ცოტაა ოცი წელი, მაინც ბებერი ხარ," — გაიფიქრა ლალისამ, თქმით კი ეს უთხრა:

— კარგი, გეყოფა ქათინაურები. ახლა ნახვამდის. ხვალ გამოიარე, გელოდები!

— ნახვამდის, ჩემო სასურველო! — ხელები დაუკოცნა, მისამართი ჩაიწერა და ბედნიერებით მთვრალი უკანვე გამოჰყვა გზას.

* * *

შვებულების დამთავრებას აღარ დაუცადა ლალისამ. რამდენიმე დღით ადრე გამოცხადდა სამუშაოდ, როგორც კი თავი დაიმარტოხელა, მაგიდის ქვედა უჯრას ეცა იმ წამსვე. მოსკოველი თამარის ორი ბარათი გამოიღო, გახსნა და გადაიკითხა.

გულწრფელად შეეცოდა თამარა როდიონოვა, გიორგი ლომიძეც.

„მაშინვე რომ გადამეცა ეს ბარათები, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა გიორგი ლომიძის ცხოვრება, შეიძლება, ჩემთვისაც ასე აჯობებდა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, უკვე ვეღარ დააბრუნებ" — ფიქრობდა გაკერპებული და აღარ უნდოდა ამ დანაშაულის გახსენება.

ახლა მას სხვა მიზანი ამოქმედებდა.

საბავშვო ბაღის გამგე (თურმე, ის ქალი გამგე ყოფილა) მოხერხებულად ჩაიგდო ხელში და რაც სჭირდებოდა, ათჯერ უფრო მეტი გაიგო მარინეზე. ყველაფერი თავისებურად გადაადუღა, ასჯერ ასწონა და დასწონა.

„გიორგი ლომიძე და თამარა როდიონოვა დაახლოებული ყოფილან, ეს ფაქტია, როდიონოვას ქალიშვილი დაუკარგავს, მარია — ისიც თქვენთან არისო, თქვა. ჩვენს საბავშვო ბაღში სწორედ მარია მუშაობს აღმზრდელად, რუსის ქალი, უდედო და უმამო, რატომ არ შეიძლება ვიფიქრო, რომ როდიონოვას ქალიშვილი სწორედ ეს მარიაა... მაშინ, მაშინ გოგი და მარია დაძმანი ყოფილან... ღმერთო, ეს რამ მაფიქრებინა, მაგრამ ასე სჯობს, ასე მჭირდება, ასე სჭირდება ამ გულს, ჩემს სიყვარულს. იქნებ მართლაც მოხდეს დამთხვევა. იქნებ მართლაც სწორ კვალზე ვდგავარ, იქნებ გამიმართლოს...

და თუ არა..

და თუ არა, მაშინ ვინ ვარ მე?

მომეხმარე, გულო, მირჩიე რამე, ვცდები? ვცდები ხომ? მე არა ვარ დამნაშავე, მე ჩემი სიყვარულისათვის ვიბრძვი, მე ერთი უსუსური ქალი ვარ, სხვა რა შემიძლია და შემინდე შენ მაინც შემინდე, გულო!".

დარდის ჭია ჩაუსახლდა გულში. ისედაც ტანდაბალი კიდევ უფრო დაპატარავდა და დაჩიავდა.

ჭია გულს ღრღნიდა, სულს უწეწავდა.

თავის ტკივილი დასჩემდა. სამუშაოზეც თავშეხვეული მიდიოდა, მაგრამ თავსახვევი მაინც კოხტად ჰქონდა ქუდს ქვევით შენიღბული.

დაჰკარგა სიმშვიდე...

ვიღაც უხილავს, მასზე ძლიერს ებრძვის ბერიძის ქალი. ებრძვის მთელი თავისი გონებით, ებრძვის და გრძნობს, რომ თუ არ დააჩქარებს, თუ არ გაბედავს გადამწყვეტ ნაბიჯის გადადგმას, თუ კიდევ დააყოვნებს, ის უხილავი ვიღაც გაიმარჯვებს.

ჭია კი ისე ღრღნის გულსა და უწეწავს სულს.

რა ჰქნას?!

ერთბაშად მოშხამოს ორივე თუ

წვეთწვეთობით შესვას საწამლავი ჯერ ერთს, მერე მეორეს...

მაინც რომელი გაიმეტოს პირველად! ჰია კი ღრინის, არა, ახლა ის ჰია ასპიტად გადაქცეულიყო და მთელ სხეულს უშხამავდა.

რომელი გაიმეტოს, რომელს გაჰგზინოს პირველად!

გოგის, თუ მარინეს?

მარინეს თუ გოგის?

რა თქმა უნდა, მარინეს, ვინ იცის, რა მოუვა, როცა გაიგებს, რომ ძმის საცოლეა... ღმერთო!

იქნებ ვერც გადიტანოს!

გოგი?!

გოგიმ არ უნდა გაიგოს, რომ ყველაფერი ეს მე ჩავიდინე, მე მოვიფიქრე... და მერე...

ისევ გაინძრა ჰია თუ ასპიტი, ისევ აფორიაქდა სული, მაგრამ გადაწყვიტა!...

## თავი მეცხრე

### „რიონი“

სამუშაო დღე მიიწურა. გივიმ, ლადომ და შოთამ შხაპი მიიღეს და ერთად გამოვიდნენ ქარხნის ეზოში. გადაწყვეტილი ჰქონდათ გოგისთან შევლოთ, ქალაქგარეთ გაეყვანათ, მუხნარში ან წინავლში და მასთან ერთად ევახშმათ.

—სამი დღეა, ფეხი არ გამოუდგამს თავის სამუშაო ოთახიდან, კაცმა არ იცის, როდის ჭამს, როდის ისვენებს. ჩვენ კი გვერდით ჩავუვლით და ჩამოვუვლით, ალბათ ნაწყენია კიდეც,— უთხრა გივი ჩხეიძემ მეგობრებს.

— ხვალ-ზეგ „რიონის“ გამოცდა უნდა დაინიშნოს და, იქნებ სჯობია, არ შევაწუხოთ! — მიუგო ლადომ.

მეგობრები გოგის ოთახის კარებთან შეჩერდნენ. ლადომ ჭუჭრუტანა მოძებნა და სათავსოში შეიხედა, მერე ამხანაგებს ხელით ანიშნა, ახლო მოდითო, გივიმ შოთას მოასწრო და ლადოს ადგილი დაიკავა. შოთას შემდეგ გივიმ შეიხედა ოთახში. გოგი ლომიძეს თავის პატარა ტრაქტორზე თავი ჩამოედო და ეძინა.

—ესაა საქმე? —უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი გივიმ.

— შევიდეთ! — თქვა ლადომ და იმის მაგიერ, რომ კარები გამოეღო, შოთას ამოუდგა უკან. მოერიდა, არ უნდოდა პირველად მას გაეღვიძებინა უფროსი მეგობარი.

მცირე ხანს ითათბირეს, მერე გივიმ ფრთხილად გამოაღო კარები. უზრალოდ შეჰედილმა ფიცრის კარებმა უსიამოდ გაიჭრიალეს, ბიჭები ფეხაკრეფით შევიდნენ ოთახში. გოგი ისე გემრიელად ხვრინავდა, რომ მათი შესვლა არც გაუგია. გაღვიძება შეენანათ, უკან გაბრუნებაც კი გადაწყვიტეს, მაგრამ ამ დროს ნელა წამოსწია თავი ლომიძემ, თვალებში ხელები ამოისვა და პირველად მაჯაზე საათს დახედა.

— აუჰ! რამდენი მძინია!

ბიჭები კუთხეში მიდგნენ, გოგი წამოდგა და მხოლოდ მაშინ შენიშნა მეგობრები.

— თქვენ აქ საიდან გაჩნდით?—გაეცინა და კარებს გახედა. კარები ღია იყო.

— შემოვიპარეთ, ჭუჭრუტანიდან დაგინახეთ, რომ გეძინა, და...—ყველას მაგიერ უპასუხა გოგისთან უფრო შეთამამებულმა გივიმ. ლომიძეს გაუხარდა მათი მოსვლა. ეს სამი დღეა თავად არავის უშვებდა სამუშაო ოთახში, ქარხნის შემოსასვლელში გუშაგიც კი გააფრთხილა, ჩემთან საშვით არავის მოსცეთო. ეს კი არა და, სახლშიც შუაღამემდე არ მიდიოდა. „რიონის“ გამოცდის წინ ღელავდა ლომიძე.

— მოვედით იმისათვის, რომ შენი „რიონი“ დავლოცოთ! — მაინც რაღაც უფრო მორიდებით უთხრა გივიმ და მეგობრებს ანიშნა, წამომეხმარეთო.

— რას აპირებთ?— ჰკითხა გოგიმ ჩხეიძეს.

—შაბათ საღამოა, სადმე გავიაროთ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, „რიონი“-

ვადღეგრძელოთ, ჰაერზე გავლაც მოგიხდება...

— რატომაც არა, წავიდეთ! თითო ჭიქა მართლაც არ გვაწყენს!—არ გააწბილა გოგიმ მეგობრები, იქვე ონკანთან მივიდა, ხელები დაიბანა და ერთი პეშვი წყალი პირზეც შეისხა.

— შენ აქ პირდაპირ ოჯახურად ხარ მოწყობილი, გოგი. დიასახლისი გაკლია მხოლოდ!—გაეხუმრა გივი ლომიძეს, რომელიც თეთრი გაქათქათებული პირსახოცით სახეს იმშრალებდა.

გოგის გაეცინა.

— გადამიყოლა „რიონმა". მაგრამ მგონი, ღირდა შრომად. გუშინ ერთი აგრონომი მეგობარი მეწვია სოფლიდან, გუშაგს საშვისი არ მიეცა და დამირეკა. მოუთმენლად ველითო „რიონს". გითხრათ სიმართლე, გამეხარდა. მოდით, ბიჭებო, წასვლის წინ ერთად შევამოწმოთ, ა, რას იტყვით?

ბიჭები დაფაცურდნენ, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

გოგი ტრაქტორთან მივიდა, სახელურებში ორივე ხელი ჩაჰკიდა, შეანძრია, მერე ჩართო. „რიონი" აგუგუნდა, გოგიმ ტრაქტორი გაატარ-გამოატარა. დაყავდა და თან მეგობრებს გულდაგულ უხსნიდა, თუ რა სამუშაო შეეძლო გაეკეთებინა „რიონს". გოგის გივი შეენაცვლა, გივის შოთა და მერე ლადო. მალე ისწავლეს „რიონის" მართვა. ეს კი ყველაზე კარგი თვისება იყო ტრაქტორის. ყოველ კოლმეურნეს შეეძლო მასზე მუშაობა.

— ღირსია დალოცვის, შენი მარჯვენა და მანქანაც!—დაასკვნა ჩხეიძემ.

ის-ის იყო, ოთახიდან გამოსვლას აპირებდნენ, რომ კარებს ახალგაზრდა მუშა მიადგა და გოგის მიმართა:

— დირექტორი გთხოვთ, ორჯერ ვიყავი, მეგონა, აქ არ ბრძანდებოდით!

— თქვენ გასასვლელთან დამიცადეთ, მე მალე წამოგეწევით!—მიუბრუნდა გოგი მეგობრებს, კარები ჩაკეტა და მუშას გაჰყვა.

დირექტორის მოსაცდელი ოთახის კარები რომ შეაღო, ოდნავ გაკვირდა. ლალისა ჯერ კიდევ იქ იყო, მაგრამ გოგის ჩვეულებრივ არ გაუღიმა. ღიმილი კი არა და, თავიც არ მოუბრუნებია მისკენ. როცა გოგიმ დირექტორის კაბინეტის კარები შეაღო, მხოლოდ მაშინ გააყოლა ცალი თვალი ლალისამ და უცნაურად გაიღიმა.

„იწყება", —გაიფიქრა ბერიძის ქალმა.

დირექტორი საწერ მაგიდას უჯდა. არც მისი შეხვედრა მოეწონა ლომიძეს. არც დირექტორმა შეაგება მისთვის ესოდენ დამახასიათებელი კეთილი ღიმილი. სალამზე თავი დაუქნია მხოლოდ და დაჯდომა ანიშნა. გოგი დაჯდა.

— გაჭიანურდა თქვენი „რიონის" საქმე, ამხანაგო ლომიძე, ასე თანგადაყოლაც არ შეიძლება, ამდენი ხმაური ავტეხეთ და...

გოგი სდუმდა. არ მოეწონა დირექტორის ტონი, ასე არ ხვდებოდა სერგო ლომიძეს, მერე ეს გაჭიანურებული. „თქვენი" „რიონი" უსიამოდ მოხვდა გულზე. „რაშია საქმე?" — ფიქრობდა გოგი.

— რას იტყვით?

— ტრაქტორი მზადაა, შეგიძლიათ ხვალვე დანიშნოთ მისი გამოცდა. თუ დააგვიანდა, ეს არაა ჩემი ბრალი. ახალი საქმეა, ამხანაგო დირექტორო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შევამოწმებინე, ბევრი რამ დავაზუსტე... მე... არც საკუთარი თავის შერცხვენა მინდა და არც თქვენი...

დირექტორს გაეღიმა. თუმცა მარილი მაინც აკლდა ამ ღიმილს. ესეც შენიშნა ლომიძემ.

—გიორგი არ წაგეხმარა?—იკითხა მან.

სხვა დროს მნიშვნელობას არ მისცემდა გოგი ამ კითხვას. დირექტორი კი არა და სხვა მეგობრებისგანაც გაუგონია, მამა გეხმარება თუ არაო, მაგრამ ახლა პასუხი დააყოვნა. ცალი თვალი მოეჭუტა სერგოს და როგორღაც გა-

მომცდელად უცქერდა ლომიძეს. ასე მოეჩვენა გოგის.

— როგორ არა, თუ კი შევაწუხე, მამა დახმარებაზე უარს როგორ მეტყვის...

— ჰოო!

დირექტორის ამ სიტყვაზე გოგი წამოწითლდა, უფრო მეტიც, გაბრაზდა, პირდაპირ შეხედა თვალებში სერგოს და უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ დირექტორმა დაასწრო:

— ხვალ გამოცდას დავნიშნავთ. ჩვენ გვინდა დღეს ვიცოდეთ, ვინ არის მისი ავტორი, თქვენ, მამათქვენი, თუ ორივე ერთად?

არა, ამას არ მოელოდა გოგი ლომიძე. პირველად შერცხვა კიდეც. „ნუთუ აქამდე მივიდა საქმე, ნუთუ... მამაჩემი ამას როგორ იკადრებდა. მაშ რატომ გაუჩნდა ეს აზრი დირექტორს. რა ხანია მუშაობს „რიონზე“ და ერთხელაც არ დასმულა ეს საკითხი. აბა, რადა დღეს, ამ გამოცდის წინ დასჭირდათ „რიონის“ ავტორის დადგენა. ნუთუ ახლა ეს საკითხავია?! — გაიფიქრა გიორგიმ.

მაინც რა უპასუხოს...

— მთავარი ავტორობა არ არის, პატივცემულო სერგო. მთავარი „რიონის“ გამარჯვებაა, და ის, რომ აქ, ჩვენს დიდ კოლექტივში იბადება ასეთი მანქანა.

— მართალია, გოგი, მაგრამ ჩვენ. ხელმძღვანელებმა ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ შექმნა „რიონი“.

— არ იცით?

— კი, მაგრამ...

— „რიონის“ შექმნის იდეა მამამ მომცა...

— მთავარი იდეა არ არის, მთავარი მისი განხორციელებაა. არ იფიქრო შენი განაწყენება მომინდა, გოგი. აქ ამხანაგები დაინტერესდნენ და მე მინდოდა დამეზუსტებინა.

სერგო წამოდგა, გოგის მიუახლოვდა და მხარზე ხელი გადახვია.

— ცოტა, მგონი, უგემურად შეგხვდი და არ მიწყინო. ჩვენ კარგად ვიცით, თუ ვინ შექმნა „რიონი“. ავტორი შენა ხარ და ყველა სიხარული, რაც „რიონს“ მოელის, შენია. აქ ჩამიწვეთეს, მაგრამ რა ვუყოთ... ჯერ კიდევ გვირევია ბოროტები, ჩვენი ცხოვრების ეკლები. ეკალი კი სათითაოდ უნდა ამოაძრო, სათითაოდ. ერთბაშად ეკლის ამოძრობა არ შეიძლება. რომ არ მეთქვა, არ შემეძლო. ხომ იცი, კაცმა ფაჩუნი უნდა გაიგონოს, თორემ გრუხუნს ყველა მოისმენს. ტრაქტორის გამარჯვებაში დარწმუნებული ვართ. გამოვცადოთ და შემდეგ ახალი ქარხნის აგებას შევუდგეთ.

— ახალი ქარხნის?

— დიახ, ახალი ქარხნის, პროექტი უკვე მზადაა. ქუთაისს მცირე გაბარიტიანი ტრაქტორის ახალი ქარხანა უნდა შევმატოთ.

— გმადლობთ, ამხანაგო სერგო!

დირექტორმა ხელი ჩამოართვა გოგის და კარებთან გასვლის წინ უთხრა:

— გიორგის არაფერი უთხრა.

თვითონ გოგისაც გადაწყვეტილი ჰქონდა, მამისთვის არ გაემხილა ეს ამბავი.

მოსაცდელ ოთახში ლალისას მაგიდისკენ გაიხედა.

ლალისა გაფითრებული ეჩვენა. თავი დაუქნია და გავიდა.

ამჯერადაც ცალი თვალი გააყოლა ლალისამ ლომიძეს და უცნაურად გაიღიმა.

### თავი მეათე

### გამოცდის წინ

— გძინავს, მამა?

— არა, შვილო!

გოგიმ მაინც ფრთხილად შეაღო მამის საწოლი ოთახის კარები.

— შემოდი, გოგი!

— კითხულობ?

— მოდი, შვილო, რას მერიდები. აგერ საქალაქო გაზეთში სურათია, ნახე?

— ვნახე, მამა, აჩქარებულან.

— რატომ, ბიჭო. ხვალ გამოცდას დაიჭერს შენი „რიონი“ და. მერე... — გაუცინა გიორგიმ შვილს.

— ეს ხვალ შეიძლება მოხდეს, მაგრამ დღეს!—რატომღაც უხასიათოდ იყო გოგი. წარბები ჩამოეშვა და ღიმილის ნატამალიც არ აჩნდა სახეზე. თვალებიც უფრო ჩაღრმავებოდა და ჩამუქებოდა.

რამდენი ხანია, ხვალინდელ დღეს ელის, თითქოს მთელი მისი სიცოცხლე ამ დღისთვის იღწვოდა. გამოცდა დაინიშნა, ბოლოსდაბოლოს, მისცა თანხმობა ქარხნის ხელმძღვანელობას. ეს მაშინ, როცა თავისთავში და, რაც მთავარია, ტრაქტორის გამარჯვებაში ეჭვი აღარ ეპარება და მაინც ღელავს. არც კი ეგონა, თუ ამდენი ხმაური ატყდებოდა „რიონზე“. წუხელიც თვალი არ მოუხუჭავს, საწოლში წრიალებდა. ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე. იქნებ უძილობის გამო აჰყვა უგუნებობა.

— ხომ წაიკითხე, რას წერენ. მთელი ქარხნის დაპროექტება განუსაზღვრავთ, მერე რა ადგილი შეურჩევიათ, მუხნარის ტყე, ეს ხუმრობა არ არის, ეს უკვე გამარჯვებაა, შვილო!

— რომ ჩავვარდე!

გიორგის გაეცინა.

— მეორედ აღარ გამაგონო ეს სიტყვა! რა დროს მაგაზე ფიქრია. „რიონი“ გაიმარჯვებს. ეჭვი ნუ გეპარება. ჩვენ გუშინ დავრწმუნდით ამაში. მე მჯერა!

— მართლა, მამა?

— რა თქმა უნდა. მე ყოველთვის მჯეროდა შენი, შვილო. ახლა მით უმეტეს. გახსენი წარბი, ნუ იღუშები, თუ კაცი ხარ. ჩემზე ხომ არ ხარ ნაწყენი, ბიჭო?

— რას ამბობ, მამა!

— რა ვიცი, შვილო, იქნებ პატარა წყენამაც კი გაგიარა გულში... იქნებ სამართლიანადაც, მაგრამ მეც ჩემი მოსაზრება მქონდა. განგებ არ ვტრიალებდი შენს გვერდით. „რიონი“ შენია, საკუთრად შენი და არ მინდოდა სალაპარაკო მიმეცა ვინმესთვის. მე ისიც მეყოფა გასახარად, რომ შენ ხარ მისი ავტორი.

— ვიცი, მამა, მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, რომ თქვენ შთამაგონეთ ეს საქმე...

— ეგ არაფერი, ახლა ნუ იკუპრები! დღეს თეატრში წაიყვანე მარინე. ბილეთები მანდაა საწერ მაგიდაზე.

გოგი მხოლოდ წუთით უცქერდა მამის თვალებს. ნაღვლიან თვალებს, მაგრამ რამდენი ცეცხლია ამ თვალებში და რამდენი სითბო...

— ხვალიდან კი... ქორწილზე ვიფიქროთ!—გაუღიმა გიორგიმ შვილს და მხარზე ხელი მოხვია.

— ასე მალე?

— მალეა? პირიქით, დავაგვიანეთ. აბა, ასე სტუდენტებივით სანამდე გინდა, რომ ვიცხოვროთ, ნუ გერიდება... აქ გიორგი გაჩუმდა, მცირე ხანს ფიქრობდა, მერე შვილს გადახედა და განაგრძო:

— თქვენ ამ ბინაში მოეწყეთ, ისე როგორც ახლადდაქორწინებულებს მოუხდებათ. მე გადავალ...

— რას ამბობ, მამა?

— ასე სჯობს...

— მარინე კი სულ სხვას ფიქრობს.

სადღაც მკერდში გულის ძარღვი შეუტოკდა გიორგი ლომიძეს ამ სიტყვებზე. შვილს არაფერი ჰკითხა, მაგრამ გოგი მიუხვდა.

— მარინეს შენთან, ერთ ოჯახში ცხოვრება უნდა, მამა, იგი ამაზე ოცნებობს...—ისევ დარეკა გულმა და ოდნავ გადაჰკრა ფერი გიორგის. თავისი ნიჩბისოდენა მარჯვენა ნელა ასწია გიორგი ლომიძემ და გულს შეაშველა. გოგიმ შენიშნა, თუ როგორ დაეცვარა შუბლი მამას.

— ისევ გული?

პასუხის ნაცვლად თავი დაუქნია გიორგიმ. გოგი მამის საწოლზე ჩამოჯდა და უცებ ამოდინა ვაჟკაცს მის მკერდზე თავის ჩამალვა მოუნდა. არასოდეს, არასოდეს არ მოხვევია შვილი მამას.

სიზმრად ახსოვს, როცა სულ პატარა იყო გოგი, როცა დიდი ხნით დასტოვა ოჯახი გიორგი ლომიძემ, მაშინ აიყვანა ხელში და ჩაკოცნა. ეს იყო და ეს, მერე დიდი, ძალზე დიდი დრო გავიდა და ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი ათას ჭირსა და ვარამში გამოვლილი, ნაომარი და გულდაკოდილი, მეორე ახლადშეღერებული, დაკაცებული და დამშვენებული.

შეხვდნენ და ერთმანეთს მაგრად ჩამოართვეს ხელი. არ მოხვევია მამას და არც გიორგი გაწეულა საკოცნელად. ოღონდ ცრემლი კი შენიშნა შვილმა მამის თვალებში. ესეც კარგა ხნის ამბავია...

იშვიათად გაესაუბრებიან ერთმანეთს. არც ალერსი გამოსდით. თითოოროლა სიტყვით გამოელაპარაკებიან ხან მამა—შვილს და ხან შვილი—მამას.

ახლა, ამ წუთში, როცა გულმა თავის ტკივილი შეახსენა გიორგის, როცა ეს მუხასავით კაცი უბრალოდ ავადმყოფი იყო მხოლოდ, გოგის შეებრალა იგი. სადღაც საკუთარი თავიც დაადანაშაულა.

„მე გადავალო,„—ამ სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო გოგი. „რატომ თქვა ეს სიტყვები! იქნებ მე მივეცი ამის საბაბი, იქნებ რითიმე მე ვატკინე გული“.

გული... გული, მამის გული, კაცის გული, ძლიერი და სუსტი, დიდი და სათნო.

საოცარია, ყველაზე ძვირფასი თუ კი რამ გააჩნია გიორგი ლომიძეს, ეს მისი გულია და სწორედ ეს გული ტკივა...

გულთან ხუმრობა არ შეიძლება, დიდი სიხარულიც საშიშია და დიდი წუხილიცო,—უთხრა ერთხელ ექიმმა გოგის.

თავად გიორგის არასოდეს მიუკითხავს ექიმისათვის, მაგრამ გოგი არასოდეს არ ივიწყებდა მამის გულს.

„მე გადავალო“, რომ დაიჟინოს. არა, მარინის მივუგზავნი, მეც ვთხოვ, დავითანხმებთ. მაინც რას ჩამომიშვია ცხვირი დღეს. პირიქით, აღტაცებული უნდა ვიყო. მთელი ქარხანა, მთელი ქალაქი ჩემზე ლაპარაკობს, იქნებ კიდევ უფრო მეტი თქვან ხვალ და მე...

— რამ ჩაგაფიქრა, ბიჭო!

გოგიმ გაიცინა. მკლავები გაშალა, მამისკენ გადაიწია და უხერხულად ჩაკოცნა.

— ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით, მამა! გვეყო ცალცალკე ცხოვრება. თუ სიხარულია, ერთად გავიხაროთ და, თუ რომ სადარდო შეგვემთხვა, ორივე ერთად უფრო გავუძლებთ, უფრო მოვერევით!—ეს თქვა გოგიმ და ოთახიდან გავარდა.

თვალი გააყოლა გიორგიმ შვილს, მერე ბალიში ასწია, ცხვირსახოცი გამოიღო და ორად ორი კურცხალი მოიწმინდა თვალიდან.

— რაც მე დამაკლდა, შენ შეგმატებოდეს, შვილო!

გოგიმ მთელი დღე იწრიალა ქარხანაში. ხან ერთ საამქროში შევიდა, ხან მეორეში. ყველგან, ქარხნის ყოველ კუთხეში ყველას „რიონი“ ეკერა ენაზე. შეაჩერებდნენ, ეკითხებოდნენ და პასუხს ველარ ასდიოდა. ზოგს უცინოდა, ზოგს ეხუმრებოდა.

სამუშაო დღე მიიწურა, მაგრამ გოგი მაინც „რიონის“ ახლო წრიალებდა. ერთხელ კიდევ შევიდა სათავსოში, ჩაიკეტა. ბავშვივით მიუალერსა პატარა მანქანას, რომელმაც ამდენი სიხარული მოუტანა. უნდოდა ჩაერთო, ერთხელ კიდევ მოესმინა მისი მჭახე ხმისათვის, კიდევ გამოეცადა, მაგრამ გადაიფიქრა.

სათავსოდან რომ გამოდიოდა, ერთი მაინც მოუხედა გაპრიალებულ ტრაქტორს და ხელი დაუქნია, კაცივით დაემშვიდობა.

საამქროდან პირდაპირ საბავშვო ბაღისაკენ გასწია.

საბავშვო ბაღი ამ დღეებში ბორჯომის ხეობაში აპირებდა გამგზავრებას. ახალდაბაში ბინები უკვე მზად იყო. ნაწილი ერთი კვირის წინათ წავიდა. ქუთაისში უკვე საგრძნობლად ცხელოდა.

მარინე ჯერ კიდევ იქ იყო და გასამგზავრებლად ემზადებოდა. განგებ ჩამორჩა. უნდოდა „რიონის“ გამოცდას დასწრებოდა და გოგის სიხარული გაენაწილებინა.

მარინეს ბავშვები ნაძვნარში წაეყვანა. თამაშობდნენ პატარები. თვითონ კი ისევ იმ ძველ ცისფერად შეღებილ სკამზე იჯდა და ბავშვებს თვალყურს ადევნებდა.

შორიდანვე შენიშნა მისკენ მიმავალი საქმრო და შეეგება.

— მადლობა ღმერთს, გაგახსენდი?— გაუცინა მარინემ გოგის.

— მსაყვედურობ და, მგონი, სამართლიანადაც, მაგრამ კიდევ ერთი დღე, მხოლოდ ერთი და...

— მერე... — ისევ გაიცინა მარინემ. — სულ ჩემთან იქნები?

— სულ შენთან, ბოლომდე... იცი, ამ დილით მამამ რა მითხრა?

— რა გითხრა?

— რად შეკრთი?

— რა ვიცი...

— ხვალინდელ დღეს მოვილევთ, გახარებ და ქორწილზე ვიფიქროთო. ისეც დავაგვიანეთო, სულ ასე სტუდენტებივით ხომ არ ვიცხოვრებთო...

— მართლა! ბავშვივით შეხტა მარინე, თავი ვერ შეიკავა. გოგის გულიანად გაეცინა. მარინეც კისკისებდა.

სკამზე ჩამოსხდნენ. თავის პატარა ხელი გოგის ხელში ჩადო მარინემ. ერთმანეთს შესციცინოდნენ თვალებში და უსაზღვროდ ბედნიერები სჩანდნენ;

— იცი, კიდევ რა მითხრა? თქვენ აქ იცხოვრებთ, მე კი გადავალო!—გოგიმ გამომცდელად შეხედა საცოლეს.

მარინე ამას აღარ მოელოდა.

— რატომ, რა დავუშავეთ!

გოგიმ მხრებზე ხელი მოხვია. ერთი შეიხედ-მოიხედა და ლოყაზე აკოცა.

— მე კი, პირიქით, სულ სხვას ვფიქრობ, გოგი, სულ სხვას... თავი ასწია მარინემ, ცას შეხედა. ამოიოხრა და ჩუმად, თითქოს მხოლოდ თავის თავს ელაპარაკებაო, განაგრძო:

— მე მინდა სულ მის ახლო ვიყო. ვგრძნობდე მამის თვალებს, მეც ვაგრძნობინო შვილის გული, სიყვარული და სითბო. ნაჯაფი კაცია, ახლა უნდა გახარება და ჩვენს მეტი რაღა გააჩნია...

— გულიც ღალატობს, ხშირად მოსდის შეტევები! — დაუმოწმა გოგიმ.

— კისლოვოდსკში წავიყვანოთ, კარგი?

გოგის გაეცინა და მარინეს ხელზე ხელი მოუჭირა.

მთელი დღეა მხიარულ გუნებაზეა მარინე. ახლა გოგის გამოჩენაც დაემატა და ლამის ფრთები გამოისხას...

გოგიც გამხიარულდა, ფიქრს ხელი აუქნია. გულიანად იცინოდა. ბჭობდნენ, სახვალიო გეგმებს აწყობდნენ.

— ორივემ ერთად ვთხოვოთ, უარს ვერ გვეტყვის, ჩვენთან იცხოვრებს. ჩვენს პატარებს ბებია არ ეყოლებათ მფარველად და ბაბუაც აღარ ჰყავდეს! თავადაც გულს გადააყოლებს შვილიშვილებთან! არა? — ისევ გაიცინა გოგიმ.

— ჩვენს პატარებს!—გადაიკისკისა მარინემაც.

საოცარია ახალგაზრდული გული. უცებ წამოხტნენ, ნაძვნარში მოთამაშე პატარებში გაერივნენ. ერთმა ერთი აიტაცა და ჩაკოცნა, მეორემ მეორე.

— მარინე დღეს თეატრში პრემიერაა. ორი ბილეთი მაქვს, აი!—და ჯიბიდან ბილეთები ამოიღო.

— წამიყვან?

— აბა, ვისთვის მინდა!

— მამა?

— თვითონ უყიდია ბილეთები ჩვენთვის და დამავალა, დღეს მარინე თეატრში წაიყვანეო!

— თვითონ გითხრა?

— ჰო, თვითონ მითხრა...

— შვიდ საათზე ჩაცმული დამხვდი, მარინე, მე მოვალ!

— რატომ უნდა გაიმრუდო გზა, მე თვითონ გამოგივლი!

— კარგი, მაგრამ, იცოდე, არ მალოდინო!

ისევ დაუჭირა ხელები სიცხისა და სიხარულისაგან აწითლებულ მარინეს. ისევ მიიხედ-მოიხედა, უნდოდა ერთხელ კიდევ მოეპარა კოცნა, მაგრამ ხეივანში მუშები მოაბიჯებდნენ და თავი შეიკავა. მარინეს გაშორდა და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ გასწია.

მამა შინ არ დახვდა. გოგიმ წვერი გაიპარსა, თეთრი პერანგი ჩაიცვა, თმა კოხტად გადაივარცხნა და საათს გახედა. შვიდს ოცი წუთი აკლდა. საწერ მაგიდასთან ჩამოჯდა და ფიქრით ისევ თავის „რიონთან“ გაჩნდა. ხშირ-ხშირად გასცქეროდა კედლის საათს, მაგრამ დრო განგებ ზანტად მიდიოდა. კედელზე, საწერი მაგიდის პირდაპირ, კედლის საათის გვერდით მამის მოზრდილი სურათი ეკიდა. მცირე ხანს უცქეროდა გოგი სურათს. თითქოს იღიმოდა გიორგი ლომიძე სურათიდან, თითქოს რაღაც უნდა უთხრას ვაჟიშვილს და ოდნავ გაუხსნია კიდეც ბაგე, თითქოს ეპირება საიდუმლოს გამხელას და ვერ გადაუწყვეტია...

როგორც იქნა, ეშველა. შესრულდა შვიდი. საათმა შვიდჯერ დარეკა. გოგი წამოდგა, ჯერ ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა. მიჰქრიან და მიჰქრიან მანქანები. მტვრის ბული დგას ქუჩაში. ლორთქო ჭადრების ტოტებს ძალუმად არხევს ქარი.

„რაღა ახლა ამოვარდა ეს ოხერი ქარი, დღეს მაინც ეცლია, მაგრამ ქუთაისი და უქაროდ“! — გაიფიქრა გოგიმ და რატომღაც ერთბაშად დაჰკარგა ხალისი.

რვის ნახევარიც შესრულდა, კედლის საათმა მხოლოდ ერთხელ დარეკა, მაგრამ მარინე ჯერ კიდევ არ ჩანდა.

„ალბათ საგანგებოდ ემზადება თეატრისათვის, მაინც ქალია“... გაეღიმა გოგის, მაგრამ როცა კედლის საათმა რვაჯერ დარეკა, გაუკვირდა, შეშფოთდა კიდეც...

ეს რაღას ნიშნავს, ახლა უკვე თეატრში უნდა იყვნენ... გრძელი ნაბიჯებით დაალაჯებს ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში. ხან კედლის საათს შეხედავს, ხან მამის სურათს. ისევ მივიდა ფანჯარასთან, გამოაღო, მაგრამ ვეღარ შეიკავა, ქარმა გამოგლიჯა ხელიდან ფანჯარა, რაფას მიახეთქა და მინა ჩაამსხვრია.

— ტფუ! ესღა მაკლდა! — ძლივს მიხურა ფანჯარა. ისევე ახედა საათს და იმ წუთსვე კიდევ ერთხელ დარეკა.

ცხრის ნახევარია.

დარეკა გოგის გულმაც!

მეტი ლოდინი უაზრობაა, უთუოდ მარინეს რაღაც შეემთხვა, იქ, იმ პატარა ოთახში რაღაც მოხდა. კარები გაიხურა და კიბეზე დაეშვა.

მირბოდა. შიშიც თანდათან მატულობდა. მტვერსა და წვრილ ხრეშს აყრიდა ქარი სახეში. ვეღარ გაუძლო და ხელები აიფარა.

„იქნებ ქარმა შეაშინა და აღარ წამოვიდა“, — სცადა თავის დაიმედება.

ამ ფიქრმა ცოტა დაამშვიდა კიდეც, ნაბიჯსაც უკლო, მაგრამ, რაც უფრო უახლოვდებოდა მარინეს ბინას, მუხლი ეკვეთებოდა და რაღაც გაუთვალისწინებელის მოლოდინში მთელი სხეული უკანკალებდა.

და აჰა, როგორც იქნა, მიუახლოვდა ბინას. სადარბაზოსთან შეუხვია, კიდევ ათიოდე ნაბიჯიც... მერე კიბე და მარინეს ოთახიც...

კარებთან შედგა, სული მოითქვა. დაუკაკუნოს? — რა თქმა უნდა, თორემ პირდაპირ რომ შევიდეს, შეიძლება შეაშინოს კიდეც... დაუკაკუნა. ხმა არავინ გასცა. მეორეჯერ, მესამეჯერ დაუკაკუნა, მაგრამ ოთახიდან ჩქამიც არ ისმოდა. კარებს მიაწვა, გაიღო, ოთახში შევარდა, იქვე კედელს აეკრა, წამში მოავლო თვალი ოთახს და გაქვავდა.

კარადის კარები ღიაა და მარინეს ტანსაცმელი იატაკზე ყრია უთავბოლოდ. საწოლი აშლილია, არაფერს ემჩნევა ქალის ხელი. გვერდის ფანჯარა ღიაა და მინა ჩამსხვრეული. კედელს ეხეთქება ცალი ფანჯარა. ოთახში ქარი დაძრწის, ყველაფერს აფორიაქებს და

თითქოს ცივა კიდეც. ქარს ფანჯრის ფარდა ჩამოუგლეჯია, ერთად ერთ ლურსმანზე შერჩენილა თოკი და იალქნის ნახევივით ფრიალებს თეთრი ფარდა.

— მარინე! — სხვისი ხმით დაიყვირა გოგიმ.

ქარმა გაიტაცა ეს ხმა და სადღაც ფანჯრის იქით ჩაჰკარგა.

— მარინე!

„რა მოხდა? რა მოუვიდა მარინეს? ვინ იყო აქ, ამ მყუდრო ოთახში? ვინ ააფორიაქა მარტოხელა ქალიშვილი. ვინ, ვინ?!“

— მარინე!

აქეთ ეცა, იქეთ ეცა. სამზარეულოში შევარდა, კარადაშიც შეიხედა. არავითარი ნიშანი, არავითარი კვალი. თავდაყირაა მთელი ოთახი.

დროდადრო ღია ფანჯრიდან ქარი შემოვარდება და კიდევ უფრო ურევს და აფორიაქებს ყველაფერს.

ფანჯარასთან მივიდა. როგორც იქნა, მოხურა და ჩაკეტა.

ახლა უმინოდ დარჩენილ ჩარჩოში მოძვრება ქარი, წივის, წივის, თითქოს მოთქვამს, თითქოს ეს ქარის წივილი კი არა და ქალის შეცხადებაა, უსიამო და შიშისმომგვრელი.

დაიბნა ლომიძე.

რა ქნას, ვინ მოიხმოს მშველელად, ვის ჰკითხოს.

დერეფანში გამოვარდა. მეზობელ ოთახის კარებს კარგა ხანს უკაკუნა, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

ისევ შებრუნდა მარინეს ოთახში, საწერ მაგიდას მიუახლოვდა და მინის ქვეშ ამოდებული რვეულის ფურცელი შენიშნა. მყისვე გამოიღო და გაშალა.

ქარი წივის, გატეხილ ფანჯარაში მოძვრება და წივის..

არც ერთი ძარღვი აღარ ფეთქავდა. არც ერთი კუნთი აღარ იძროდა და თითქოს სისხლი გაჰყინოდა გოგი ლომიძეს.

იდგა ცოცხალმკვდარი, უფრო მკვდარი, ვიდრე ცოცხალი.

იდგა და არც იდგა. სუნთქავდა და აღარც სუნთქავდა.

უნდოდა დაეყვირა, ქვეყანა შეეძრა, მაგრამ ხმა ჩასწყვეტოდა.

უნდოდა, ყველაფერი დაემსხვრია, დაელეწა, მაგრამ ძალა წართმეოდა.

იდგა ცოცხალმკვდარი. არა უფრო მკვდარი...

— მოვკლავ!

ამოიხრიალა, როგორც იქნა, და ანგარიშმიუცემლად კარებს ეცა. კისრისტეხით ჩაირბინა კიბე, ქუჩაში გამოვარდა.

მოძუნძულებდა შუა ქუჩაში. უკან მანქანა მოსდევდა და გზას თხოვდა. გოგის აღარ ესმოდა მანქანის ხმაური.

ქარს წვიმაც ამოჰყოლოდა. სახეში წვიმის წვეთებთან ერთად წვრილი ხრეშიც ეყრებოდა და მაინც მირბოდა.

ქარი კი სულ უფრო და უფრო მატულობდა, მძლავრდებოდა და ბრაზობდა.

ახლა მიწაზე წვებოდნენ ჭადრები და ისევ იმართებოდნენ წელში. აქაიქ ხეებზე საცოდავად ეკიდა ქარის დატეხილი ტოტები.

— მოვკლავ!

„გოგი, გოგი, სიყვარულო და უბედურებავ ჩემო. აღარ შემიძლია შეგხვდე, აღარ შემიძლია თვალებში შეგხედო. ვაი, მე უბედურს... ხომ გითხარი ერთხელ, რომ ბედნიერება არ მიწერია... რომ წყალში გადასროლილი ნაფოტი ვარ, ძმაო...

ჰო, თურმე, ძმაო, გესმის, ძმა ყოფილხარ ჩემი, ნამდვილი ძმა... ახლა მე დაღუპული ადამიანი ვარ, იქნებ სჯობდა სულაც არ გ-მემხილა შენთვის, იქნებ სჯობდა სამარეში ჩამეტანა და შენთვის მაინც აღარ წამერთმია სიმშვიდე, მაგრამ ამის უფლება არა მაქვს... ვერც მოვითმინე, ვერ შევძელი.

შენ ნუ დამიწყებ ძებნას, საერთოდ, ნუ დამიწყებენ ძებნას... მარინე“.

კარებთან შეჩერდა, მიაწვა, დაკეტილი დახვდა. ჯიბეში გასაღები მოიძია, საკეტში გადააბრუნა და კარებს წიხლი

ჰკრა. პირდაპირ მამის საწოლ ოთახს მიაშურა.

აქაც არავინ დახვდა. აქაც სიცარიელეა. ოთახს შეშლილივით მოავლო თვალი. მოეჩვენა, თითქოს აქაც თავდაყირაა ყველაფერი. აქაც უპატრონობაა. გონებას ძალა დაატანა. თანდათან გადაიწმინდა ნისლი თვალებიდან. აზრი დაუბრუნდა.

ყველაფერი წესრიგზეა, მხოლოდ აქაც გატეხილი მინის ჩარჩოდან უსიამოდ უბერავს ქარი. წივის, წივის და ეს წივილი ქალის შეცხადებას მიჰგავს. უსიამოს და შიშისმომგვრელს.

კედელს გახედა და სწორედ ამ დროს ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გაბზარულად დარეკა საათმა.

ათის ნახევარი შესრულებულა.

დარეკა გოგის გულმაც.

თავს ძალა დაატანა, გონს მოეგო.

კედლის საათის გვერდით ჩამოკიდებულ მამის სურათზე შეაჩერა თვალი.

მტრულად შეხედა გიორგი ლომიძეს, რომელიც თითქოსდა იღიმებოდა სურათიდან, თითქოს რაღაც საიდუმლოს გასამხელად ოდნავ გაეხსნა ბაგე...

— თქვი, თქვი, რა გიდევს გულში! თქვი, ვინ ვარ მე? სად არის ჩემი და? ვინ არის ჩემი და!

თქვი, შე უბედურო, თქვი მეთქი! — სახეზე ხელები აიფარა და დაიბღავლა. ასე იდგა ცოტა ხანს და მერე ისევ ახედა სურათს.

— შენი ცხოვრება დიდიხანია დაღუპე, დღეს — ჩემიც... მორჩა! ახლა უნდა გავსწორდეთ, გიორგი ლომიძე! — სურათს ეცა, კედლიდან ჩამოგლიჯა და იატაკზე დაანარცხა.

მინის ნამსხვრევები მიმოიფანტა ოთახში.

იატაკზე ეგდო გიორგის სურათი და სურათიდან მაინც იღიმებოდა ლომიძე...

ისევ ქუჩაში გამოვარდა და ახლა ქარხნისაკენ გაიქცა.

„უნდა ვნახო, უნდა მიპასუხოს, ყველაფერი დამთავრდა, აღარ ღირს ჩემი კაცობა, ჩემი სიცოცხლე“...

მირბის და ხმამაღლა ფიქრობს. ქარი სახეში სცემს და აბრაზებს.

— შენ საით გარბიხარ, გოგი! — აღგილზე გაყინა ამ ხმამ. შემობრუნდა.

მის წინ თვალებამდე ქუდჩამოფხატული ვლადიმერ ჯუღელი იდგა.

— ვერ ისვენებ, არა?

— რაო, რა თქვით?

— შენს „რიონთან“ მიდიხარ, ხომ! ნუ შიშობ. ხვალ შენი „რიონი“ დავასველოთ! — გაუცინა ვლადიმერმა და მხარზე ხელი დაჰკრა.

— რიონი, რიონი! ჰო, მართლა რიონი! რატომ აქამდე არ მომაგონდა!..

უცებ მოტრიალდა და მოპირდაპირე მიმართულებით გაიქცა.

— რა მოუვიდა ამ ბიჭს! — გაუკვირდა ჯუღელს! — რა უცნაურად მოიქცა, წავიდე ერთი, გიორგი ვნახო!

...გიორგი ლომიძე კი ამ დროს იმ სათავსოში ჩაკეტილიყო, სადაც ხვალ მისი ვაჟიშვილის „რიონს“ გამოცდა უნდა დაეწყო.

ტრაქტორი ჩართო. მჭახედ გაისმა ძრავის ხმა. დააყურა. მოუსმინა ისე, როგორც გამოცდილი მკურნალი უსმენს ავადმყოფს.

სახელურებში ხელები ჩაჰკიდა. ტრაქტორი სათავსოში გაატარა და ესიამოვნა. შვილივით მოეფერა მანქანას. გამარჯვება უსურვა. ძრავი გამორთო და ის-ის იყო სათავსოდან გამოსვლას აპირებდა, რომ მასთან სანდრო მელია შემოვიდა.

— გამარჯობათ, ბატონო გიორგი!

— ასე გვიან საიდან გაჩნდი, სანდრო?

— თქვენ დაგეძებთ, ბატონო გიორგი?

— მე? რაშია საქმე? —გაკვირვებით შეხედა ლომიძემ მელიას.

— თქვენთან ბარათი მაქვს!

— მომეცი!

— ამდენ ხანს უნდა მომეტანა, მაგრამ ვერ გიპოვეთ, სახლში მოსვლა მომერიდა, ქარხანაში კი ყველა საამქრო შემოვირბინე და ვერ გნახეთ.

— ვისგან არის?

— არ ვიცი. თქვენ თვითონ ნახეთ,— ბარათი ხელში შეაჩეჩა და ისევ მელიასავით გაძვრა სათავსოდან.

გიორგიმ კონვერტს დახედა. გამომგზავნელის ვინაობა არ ეწერა, გახსნა, იქვე კედელს მიეყრდნო და წაიკითხა.

* * *

...ალბათ დილამდე იქნებოდა იატაკზე გაშხლართული გიორგი ლომიძე, მაგრამ ვლადიმერ ჯუღელმა, რომელიც მის საძებრად წამოვიდა, შემთხვევით თვალი მოჰკრა ამ სათავსოს ღია კარებს, შემოვიდა და ცოცხალმკვდარი გიორგი ლომიძე შერჩა ხელში.

ელდა ეცა.

— არიქა ექიმი, ჩქარა! — გასძახა სამქროში.

ნანა შემოვარდა.

— ნანა, შვილო, ექიმს დაუძახე, გიორგი გვიკვდება, ჩქარა!

ნანა ადგილიდან მოწყდა.

ვლადიმერმა გიორგის წინ მუხლებზე დაიჩოქა, მაჯა გაუსინჯა.

ოდნავ, სულ ოდნავ სცემდა გიორგი ლომიძის მაჯა...

სათავსო მუშებით გაივსო. გივი ჩხეიძე მკერდზე დაემხო ლომიძეს. მკვდარი ეგონა და დაიღრიალა, მაგრამ ვლადიმერმა დაუცაცხანა.

— იქით! რა ღრიალებს, ჯერ არაფერია სატირალი!...

— სუნთქავს, ბატონო ვლადიმერ! ვაიმე, რა ვქნათ!

ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, დაასველა და ისევ ჩაიჩოქა ლომიძის წინ. სველ ცხვირსახოცს შუბლზე უსვამდა, მაგრამ ლომიძე არ იძროდა.

— ბატონო გიორგი! გიორგი ვასილიჩ!

უცებ შეჯგუფებული მუშები გაიწ-გამოიწიენ. სათავსოში ლადო შემოვიდა. ჩხეიძეს გვერდი გაჰკრა. თვალებით დააკვირდა ლომიძეს.

— რას უდგეხართ! კაცი კვდება, სად არის ექიმი, ეი! მე გავიტან საავადმყოფოში. — და ლომიძის ასაწევად დაიხარა. ვლადიმერმა შეაჩერა.

— დაწყნარდი, შვილო! აქ გულის ამბავია და, ჩემი აზრით, მისი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლება.

ლადო წელმოწყვეტილი წამოდგა. ტუჩებს იკვნეტდა, ქალივით იხოკავდა სახეს.

ვლადიმერმა გიორგის მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული ქაღალდი შენიშნა. გამოიღო, წამოდგა. კუთხეში მიდგა და წაიკითხა.

— ვინ იყო აქ ჩემს მოსვლამდე!

პასუხი არავინ გასცა.

ამ დროს კარებში ნანა გამოჩნდა.

— ექიმი ამ წუთში აქ გაჩნდება!

— არავინ შეგიმჩნევიათ, ვინ შემოვიდა აქ?

— სანდრო მელია გამოვიდა ათიოდე წუთის წინ! — უპასუხა ნანამ.

— მელია ვინ არის!

— მომარაგების ექსპედიტორი!

— ვინ შემოვიდა? — ახლა გივი ჩხეიძე აიტუზა ნანას წინ.

— მელია!

— მელიაო! ლადო! აქეთ მოიწი!

ლადო გივის მიუახლოვდა. რაღაც უჩურჩულა ყურში ჩხეიძემ გორდაძეს. ლადო სათავსოდან გავარდა.

ექიმი შემოვიდა და ყველას თხოვა, სათავსოდან გასულიყვნენ.

ვლადიმერ ჯუღელი, ნანა და გივი ჩხეიძე დარჩნენ მხოლოდ. ექიმმა მაჯა გაუსინჯა ლომიძეს. თავი გადააქნია და იმ წუთს ქაფური გაუკეთა.

ბავშვებივით მისჩერებოდნენ ექიმს, რომლის სახეზე საიმედოს ვერაფერს კითხულობდნენ.

ორი საათის შემდეგ გიორგი ლომიძე ფრთხილად გადაიყვანეს საავადმყოფოში.

* * *

გოგი რომელიღაც სატვირთო მანქანას შეახტა და ქალაქამდე გაჰყვა. წითელ ხიდთან შეჩერდა მანქანა, ლომი-

ძე ჩამოვიდა და ფეხით განაგრძო გზა.

იარა, იარა...

ჯაჭვის ხიდზე შედგა. ერთხანს უცქირა რიონს.

იდგა დაბნეული და თითქოს განწირული.

რესტორნიდან მოქეიფეთა სიმღერა ისმოდა.

გრიალებდა აკორდეონი.

ხმადაბლა ჰყვებოდა საყვირი.

ვიღაც ხმაჩახლეჩილი თავგამეტებით მღეროდა ძველისძველ სიმღერას:

ავადა ვარ ავადა,
მოდი სანახავადა,
შავო გოგო, შენი ჭირიმე...
თან წამალი წამოიღე,
საქმე მიდის შავადა,
შავო გოგო, შენი ჭირიმე...

გრიალებდა აკორდეონი.

მღეროდა ვიღაც ხმაჩახლეჩილი კაცი...

უდარდელი და უსაქმური, ალბათ, მღეროდა...

„ნეტავი თქვენ!" — გაიფიქრა გოგიმ, ხიდი გადაიარა და ვაჟას ქუჩას აუყვა.

„შენ ნუ დამიწყებ ძებნას, გოგი. საერთოდ, ნუ დამიწყებენ ძებნას...".

„სად უნდა გეძებო, სად უნდა გიპოვო, ან და, რა უნდა გითხრა, რომ გიპოვო".

პირველ შემხვედრ მანქანას ხელი აუწია, გააჩერებინა და ქარხნისაკენ გამობრუნდა.

თავის ბინის კიბეზე რომ ადიოდა, ძალა აღარ ეყო და ჩაიკეცა.

მერე ძალა მოიკრიბა, წამოდგა, კარებს მიაწვა, ღია იყო და შეკრთა...

„ნეტავ არ დამხვდებოდეს სახლში", კარები შეაღო. მამის საწოლს გადახედა. საწოლი ცარიელი იყო.

მიხვდა. თავად დარჩენოდა კარები ღია.

მოეშვა. მოითენთა და საწერ მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა.

შუბლზე ცივი ხელი შემოიდო. იამა. ლამის გასკდეს თავი.

გატეხილ ფანჯრიდან ისევ უსიამოდ უბერავს ქარი, ოთახში მოძვრება და წივის, წივის...

მოიხედა.

სწორედ იქ იჯდა მარინე მაშინ, როცა პირველად გაუმხილეს ერთმანეთს სიყვარული...

ახლა მარინეს ნაამბობი მოაგონდა. თავს ძალა დაატანა, გონება მოიკრიფა და უფრო ღრმად ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას.

„მაშ, მარინეს დედა შეურთავს მამაჩემს, მაგრამ როდის! სად! რატომ ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამის შესახებ!.

„რიონის" გამოცდა მოილიე და ქორწილზე ვიფიქროთო, ვისზე მიპირებ დაქორწინებას, მამაჩემო...".

თავი ჩამოდო მაგიდაზე. მინის სიგრილე ესიამოვნა, მაგრამ უცებ ისევ ასწია თავი. რაღაც ახალმა აზრმა გაუნათა გონება.

„დღიურები! გიორგი ლომიძის დღიურები! აქ იდო რვეული. მარინემ შენიშნა პირველად, წაკითხვაც გვინდოდა, მაგრამ მაშინ არ ჩავხედეთ სულში მამას, მაშინ სხვა იყო, ახლა..."

ახლა უნდა მონახოს ის რვეული, უნდა მონახოს და წაიკითხოს.

უჯრები მოსინჯა. ყველა უჯრა დაკეტილი აღმოჩნდა.

გასაღებები ეძია, ვერ იპოვნა. ისევ მიუბრუნდა მაგიდას.

უჯრის სახელურს ჩაეჭიდა და მოქაჩა. სახელური ხელში შერჩა.

მერე სამზარეულოდან რკინის ნაჭერი მოარბენინა, ჯერ ერთი უჯრა გატეხა, მერე მეორე და აი, ისიც...

ყვითელი, ფერდაკარგული რვეული. გიორგი ლომიძის დღიურები.

გაშალა, უნდოდა იმ წამსვე შედგომოდა კითხვას, მაგრამ არა, წამოდგა. კარებთან მივიდა და საგულდაგულოდ ჩაკეტა. მერე პირდაპირ გრაფინიდან მოსვა წყალი და მაგიდას მიუჯდა.

პირველსავე სტრიქონებს დააკვდა თვალებით.

### გიორგი ლომიძის დღიურები

რატომ გადავწყვიტე დღიურის წერა? რატომ ვუზივარ მაგიდას და ვსაუბრობ საკუთარ გულთან? ალბათ იმიტომ, რომ ამ ცოტა ხანში ბევრი რამ გადამხდა. ძნელი ყოფილა მარტოხელა ადამიანის ცხოვრება. ერთფეროვნებაა ჩემს ირგვლივ. გულს საიდუმლო გაუჩნდა და მაფორიაქებს. ვეცდები დღიურში გადავიტანო, შემოვინახო ჩემი ნაფიქრალი თუ ნაოცნებარი. ჩემი დღიური არაფრით არ იქნება საინტერესო, რადგან ერთი უბრალო ადამიანის ცხოვრების ნაწილია მხოლოდ. არც თუ ისე საინტერესო ცხოვრების... მაგრამ ქვეყნად ხომ არიან უცნაური ადამიანები (უმეტეს შემთხვევაში, მწერლები), რომლებიც სწორედ ადამიანის „საკუთარ ცხოვრებას“ დაეძებენ. წააწყდებიან, გულდაგულ გადაქექენ და, მორჩა!.. იმ წუთშივე გახდებიან მისი სულის მონაწილენი.

ზოგი თავმდაბალია ამ შემთხვევაში, ზოგი — თავხედი. ჩაიგდებს თუ არა ხელში დღიურს, წამსვე გადასწყვეტს, „დაეხმაროს“ ავტორს. „შეალამაზოს“, ენა და სტილი გაუსწოროს, გვარიანი ცვლილებები შეიტანოს სრულიად უბრალო ადამიანის უბრალო ცხოვრებაში. უფრო სასარგებლო და საინტერესო გახადოს იგი.

მე თვითონ ბევრი შელამაზებული დღიური წამიკითხავს, მიგვრძვნია სხვისი ჩარევა, „დახმარება“, ჭეშმარიტად შემბრალებია ავტორი, ამიტომ მინდა სხვისი ბედი არ მეწვიოს.

ზოგიც თითქოს უფრო კეთილშობილურად იქცევა. აიღებს შენს დღიურს, წლების ნაცოდვილარს, რომელსაც სასოებით ინახავ და უვლი. გადაიკითხავს, პატარა კომენტარს გაუკეთებს და ჰაიდა... ქვეყანას გააცნობს. იმ დალოცვილს ავიწყდება, რომ შენ ეს დღიური შენთვის შეჰქმენი, საკუთრად შენთვის და არა სხვისთვის. შეჰქმენი იმიტომ, რომ შეუძლებელია ადამიანს არ გააჩნდეს რაღაც საკუთარი. თუ გინდ ეს მწუხარებაც იყოს. საკუთარ მწუხარებასაც უნდა მიხედო და მოუარო.

დიახ!

სანამ წერას დავიწყებდე, მინდა ერთი რამ ვისურვო: ჩემს სიცოცხლეში ჩემთან დარჩეს ეს რვეული. და თუ ოდესმე ნებით თუ უნებლიეთ დღიური ხელში ჩაუვარდება ვისმეს, ამ მინაწერს წაიკითხავს და იქნებ გამიგოს, დაფიქრდეს და გამიგოს.

1940 წელი.

**10 მაისი, 1940 წელი.**

ჩვენი ნაწილი დასავლეთ ბელორუსიის ამ პატარა ქალაქში დგას. ნოვოგრუდოკი, ასე ეწოდება ქალაქს. რა არის აქ თვალსაჩინო? ერთადერთი დიდი ქუჩა და პატარა მოედანი. ერთმანეთზე გადაბმული სავაჭროები. ორსართულიანი სახლები, პატარა აივნებით. მეორე კვირაა ნოვოგრუდოკში გადმოვედით ბარანოვიჩიდან. ჩვეულებრივი ჯარისკაცური ცხოვრებით ვცხოვრობთ და თითქოს არაფერია საგულისხმო. მართლაც, დღე-დღეს მისდევს და გუშინდელი დღე მაგონებს დღევანდელს და, ალბათ, ასე იქნება ხვალაც. თუმცა ჩემთვის ეს დღე, მაისის მშვენიერი დღე, საინტერესოცაა და სამახსოვროც.

შვილის, ჩემი პატარა გოგიას ბარათმა ამრია და ამაფორიაქა. ახლაც წინ მიდევს რვეულის ქათქათა ფურცელი. დავცქერი დიდის მონდომებით გამოყვანილ ასოებს, ცრემლი მახრჩობს და საკუთარი გულისცემა მაფიქრებს. მეშინია, არსად დავკარგო ეს ბარათი. ჯარისკაცური ცხოვრება ხომ ათასგვარი მოულოდნელობითაა სავსე და მინდა, ჩემი ბიჭის მონაწერი უცვლელად გადავიტანო დღიურში. გადაწერილი, რა თქმა უნდა, დაჰკარგავს სურნელს, მაგრამ...

ჩემო მამიკო!

„გკოცნი და მოგიკითხავ სიყვარულით. ეს-ეს არის შემოვედი სახლში, წამსვე მაგიდას მივუჯექი და გწერ, გწერ იმიტომ, რომ მინდა გესაუბრო. დღეს დეიდა იულიამ სასაფლაოზე წამიყვანა. წინ ის მიდიოდა, მე უკან მივდევდი. ხელში ყვავილების კონა მეჭირა, საფლავის ქვებს გვერდს ვუვლიდი, ზოგსაც ვაკვირდებოდი, მივდიოდი უხმოდ.

ზოგ საფლავზე ქვაც არ დევს. მიწაა ოდნავ ამობურცული მხოლოდ. ზოგიც მთლიანად გასწორებულია, ბალახით დაფარული და ძალიან თუ არ დააკვირდები, ვერც შეამჩნევ, საფლავია თუ არა...

დეიდა იულიამ მითხრა: საფლავზე ნუ გადაივლი, არ შეიძლებაო. მე არ ვიცი, რატომ არ შეიძლება, მაგრამ მაინც ფრთხილად მივდიოდი და ვცდილობდი შორით ჩამევლო ასე უპატრონოდ მიტოვებული საფლავისათვის. მე ისინი მებრალებიან, მამიკო. ხომ შეიძლება ოდესმე დედაჩემის საფლავზეც გადაიაროს ვინმემ და მაშინ...

დედის საფლავთან მივედით. კარგა ხანს ვიტირე. განა აქ პირველად ვარ, მაგრამ დღეს დიდხანს დავცქეროდი საფლავს. დავცქეროდი და ძალიან, ძალიან მინდოდა შიგ მიწაში ჩახედვა. დედის დანახვა მომინდა... დედაჩემის საფლავი მოვლილია. ყვავილები დედას საფლავთან დავუწყე.

გზაში სულ დედაზე ვფიქრობდი. სწორედ ამ ფიქრმა მომანატრა შენი თავი და ამიტომაც გწერ ბარათს.

შენ არაფერი იდარდო, მამიკო... მე ძალიან კარგად ვარ. რა ვუყოთ, დედა რომ აღარ მყავს. დეიდა იულია საკუთარი შვილივით მივლის, ჩვენს ირგვლივ ყველანი კარგები არიან, და რა მიჭირს... უშენობა კი მაწუხებს ცოტა. ამას წინათ რომ ჩამოდი, რატომ დაგვტოვე ისე მალე. რამოდენა ბეჭები გაქვს, რა ძლიერი მკერდი. ჰო და, მენატრები, მაგრამ მოვითმენ. ხომ უნდა დაასრულო სამსახური. როცა ჩამოხვალ, მე უკვე დიდი ბიჭი ვიქნები. ჯერ ოთხიანი არ მიმიღია, სულ ხუთები მაქვს და ასე მექნება ბოლომდე. მე უკვე ვიცი, როდის უნდა ჩამოხვიდე და ჩემთვის ვითვლი დღეებს, თვეებს...

გეხვევი დიდ მკერდში და გკოცნი ბევრს, ჩემო კარგო მამიკო! შენი გოგი. 1940 წელი, 3 მაისი, ქუთაისი".

ამ ბარათმა დამსვა მაგიდასთან. შვილზე ფიქრი არ მასვენებს, მაგრამ რა უნდა ვქნა, როცა ასე წავიდა ჩემი ცხოვრება. მალე დავასრულებ სამხედრო სამსახურს, მალე გავემგზავრები ჩემს გოგისთან, ჩემს ქალაქში.

გუშინ პოლკის კომისარი არკადი ტიაპკინი მეუბნება:

—ასე მუნჯურად ცხოვრება ვის გაუგონია, არც გეკადრება, უნდა გაიარო, გაერთო, რაა რომ სულ სახე ჩამოგტირისო...

მგონი, მართალი ხარ, მეგობარო! დღეს ვახშმად დამპატიჟა, უნდა წავიდე და მის სერიოჟას, ჩემი გოგიას კბილას, საჩუქრები უნდა წავუღო. ისედაც მაინტერესებს ტიაპკინის ოჯახის გაცნობა.

* * *

რა კარგი ოჯახი ჰქონია არკადის. თბილი, მადლიანი. გულკეთილი, სათნო და ფრიად განათლებული ქალია კომისრის მეუღლე ევგენია. „ფერიფერსა და მადლი ღმერთსო", სწორედ მათზეა ნათქვამი.

მაგრამ... მე სულ სხვა რამ მაწუხებს ახლა, სულ სხვა რამ... ტიაპკინის ბინასთან რომ მივედი, კიბეზე ახალგაზრდა ქალი შემომეგება. მე იგი არკადის მეუღლედ მივიჩნიე და პატარა სერიოჟასათვის საჩუქრები გადავეცი. ოთახში შემიძღვა.

არკადიმ მკლავში ხელი გამომდო და წარმადგინა:

— კაპიტანი ლომიძე, გიორგი ლომი-

ძე! — მერე სიცილით დაუმატა — ქართველია, ამისი გვარის ძირი ლომს ნიშნავს!

იმ ქალმა, რომელიც პირველად შემომხვდა, მომიბრუნდა და მკითხა:

— განა თქვენთან, საქართველოში, კაცის ფიზიკური შეხედულების მიხედვით წესდება გვარი?

ყველას გაგვეცინა. ოთახში ოთხნი ვიყავით. ყველანი მე მომჩერებოდნენ და მეც უხერხულად ვიშმუშნებოდი, მაგრამ ისევ კომისარმა მიხსნა:

— აბა, გიორგი გაიცანი, ეს ჩემი მეუღლეა!

ცოტა არ იყოს, დავიბენი კიდეც, რადგან არკადიმ მეორე მანდილოსანზე მანიშნა.

ჩემს წინ იდგა მაღალი, ჭაღარაგარეული, სათნო და სასიამოვნო შეხედულების ქალი.

— ეს კი ჩემი ცოლისდა გახლავთ, ჩვენი სტუმარი.

არკადის ცოლის დამ ხელი გამომიწოდა.

— თამარი!

უსიამოდ გამაჟრჟოლა. სწორედ არ ველოდი ახლა აქ თამარს. ჩვენთვის, ქართველებისათვის, მეტად ახლობელი და საყვარელია ეს სახელი, სპატიოც. მით უმეტეს, ჩემთვის, ჩემს კოლსაც თამარი ერქვა...

ვერ დავემდურები არკადი ტიაპკინს. საუცხოოდ გავატარეთ მთელი საღამო. შეიძლება ითქვას, ბევრად უფრო კარგად, ვიდრე მოველოდი, ბევრად უფრო სამახსოვროდ...

* * *

სამი დღე გავიდა, მე კი არც გამხსენებია ჩემი რვეული... რატომ? განა არაფერი მქონდა ჩასაწერი? ო, არა. იქნებ ვერ გავბედე. მით უმეტეს, რომ ცუდი ოსტატი ვარ და დასაწერადაც ძნელია ეს ამბავი, ცოტა საშიშიც..

...თამარს მეორე დღესაც შევხვდი სრულიად მოულოდნელად. ოფიცერთა სახლში შემოვიდა კომისართან ერთად. მესიამოვნა მათი დანახვა, მივედი და მივესალმე. კომისარმა მარტო დაგვტოვა. ტანმაღალი ქალია თამარი. ხორბლისფერი ხვეული თმა, თეთრი, ძალზე თეთრი სახე, თაფლისფერი თვალები... ჩემი აზრით, იგი ბევრად უფრო მიმზიდველი და ლამაზია, ვიდრე მისი და ევგენია. ეს ალბათ წლების ბრალიც არის. თუმცა დიდი სხვაობა არ უნდა იყოს დებს შორის. თამარს ძალზე სასიამოვნო ხმა აქვს. ლაპარაკობს მშვიდად და ხშირად იღიმება თავისი არაჩვეულებრივი ღიმილით. საქართველოზე პირდაპირ შეყვარებულია. აინტერესებს და ბევრი რამ იცის ჩვენი წარსულიდან. მე, რა თქმა უნდა, როგორც შემეძლო, ვუამბობდი ჩემი ქვეყნის შესახებ. უბრალოდ, შეულამაზებლად. ხანდახან ისე უცნაურ შეკითხვებს მაძლევდა, რომ მიჭირდა კიდეც პასუხის გაცემა. ყველაფერი ეს ჩემთვის გასახარელიც იყო და გასაკვირიც. ბოლოს გაირკვა.

თამარი ფილოლოგიური მეცნიერების კანდიდატია. საქართველოს ისტორიის საკმაოდ კარგი მცოდნე. ქართულსაც, რომ იტყვიან, ამტვრევს, და ეს უხდება კიდეც. ცდილობს ზუსტად გამოთქვას ესა თუ ის სიტყვა, წინადადება...

— თქვენ თუ დამეხმარებით, ქართულს მალე შევისწავლი. დამეხმარებით, გიორგი?— მკითხა და პირდაპირ შემხედა თვალებში.

— მე ინჟინერი ვარ, ავტოინჟინერი და, ალბათ, ცუდი პედაგოგი ვიქნები თქვენთვის-მეთქი, — ვუპასუხე.

— ჩემთვის სრულიად საკმარისია, რაც თქვენ იცით, შეეთანხმდეთ! დღეიდან ჩემი მასწავლებელი ხართ, მე კი თქვენი მოსწავლე, კარგი?

— სიამოვნებით, თამარა ნიკოლაევნა, სიამოვნებით!

— ახლა ვიცეკვოთ, ცეკვავთ? — პასუხის ნაცვლად ხელები ფრთხილად დავაწყვე მის ფაფუკ მხრებზე და მოცეკვავე წყვილებს მივყევით.

დარბაზში უხვად იფრქვეოდა ვალსის ცრობილი მელოდია: „მანჯურიის მთებზე“.

დავცურავდით ვეებერთელა დარბაზში, თან ვსაუბრობდით.

დაე, შემინდოს ყველამ და ყველაფერმა. მე იმ წუთში ბედნიერი ვიყავი.

პირველი გაკვეთილი ცეკვის დროს ჩავუტარე. ეტყობა, ნიჭიერია ჩემი მოსწავლე.

ბინამდე მივაცილე.

მე სახლში აღარ მინდოდა შევყოლოდი, მაგრამ ტიაპკინი ღია კარებში დაგვხვდა და აღარ მომეშვა.

— არკადი, გიორგი ვასილევიჩმა ჩემი მასწავლებლობა იკისრა! — უთხრა სიძეს ცოლისდამ. კომისარს გაეცინა. მერე ორივეს ხელები ჩაგვკიდა და გვერდით ერთ პატარა ოთახში შეგვიყვანა.

— აქ იმეცადინეთ!

— ახლა გვიან არის, არკადი პეტროვიჩ, ხვალ შემოვივლი! — ვთქვი და თამარს გადავხედე.

— ჩაი ხომ უნდა დალიოთ!

— მეჩქარება, ნაწილში უნდა მივიდე და მაპატიეთ!

მასპინძლებს გამოვეთხოვე და წამოვედი.

ისედაც ფიქრის კაცი ვარ და, აბა, იმ ღამეს რა დამაძინებდა.

მეორე დღეს ნამდვილად არ მინდოდა არკადის ოჯახში მისვლა, მაგრამ ჩემდა უნებურად, საღამო ხანს, საბჭოთა ქუჩაზე ამოვყავი თავი. თამარმა ფანჯრიდან დამინახა და ხელი დამიქნია. „ოჰო, ეს მეტისმეტია“, — გავიფიქრე და კიბეზე ავედი.

არკადის ცოლშვილი სასეირნოდ წაეყვანა. მე და თამარი სრულიად მარტონი აღმოვჩნდით.

— დავიწყოთ? — თავისი დიდებული ღიმილით მიღიმის ჩემი მოწაფე.

— დავიწყოთ?

კომისრის მიერ მიჩნეულ ოთახში მოვეწყეთ. თითქმის ორი საათი ვამეცადინე. არკადი და ევგენია ისე შემოვიდნენ წინა ოთახში, რომ არც გაგვიგია მათი შემოსვლა.

— როგორ მიდის გაკვეთილი? — დაიბუბუნა კომისარმა და ჩვენს პატარა „საკლასო ოთახში“ შემოვიდა.

— ძალიან კარგად, — უპასუხა თამარმა.

— განაგრძეთ, ხელს არ შეგიშლით! — კომისარი შებრუნდა.

— ჩვენ უკვე დავამთავრეთ, არკადი!

სამივე სასტუმრო ოთახში გავედით.

— აბა, თამარ, გვიმღერე რაიმე. გიორგი ცოტა სევდიანი კაცია და იქნებ გავამხიარულოთ! — უთხრა კომისარმა თამარს, ხელი მოჰკიდა და თვითონ მიიყვანა როიალთან. თამარი დაჯდა. სკამი ოდნავ დახია უკან. ხელები გაშალა და თითებით კლავიშებზე გადაირბინა. პირველსავე აკორდზე მივხვდი, რომ იგი საკმაოდ კარგი დამკვრელი იყო.

მე კუთხეში სავარძელში ვიჯექი და ვისმენდი ძველისძველ ნაღვლიან რომანსს.

Проходят годы вереницей,
а мы храним в душе своей
те сны и радостные страницы
далеких, но чудесных дней,
нас жизнь на долго разлучила...

ვისმენდი ამ ტკბილ სიმღერას და ვფიქრობდი:

„არც ამ ქალის ცხოვრება ყოფილა ვარდიანი, მასაც დიდი სევდა აქვს, მე ამას ვგრძნობ, მე ეს მჯერა“.

те сны и радостные страницы
далеких, но чудесных дней...

მღეროდა თამარი, მღეროდა თუ მისტიროდა ვიღაცას. ეძებდა, ეძახდა, წუხდა. მღეროდა ეს მშვენიერი ქალი. კვნესოდა მისი გული- ცრემლიღა აკლდა ამ სიმღერას და მისი წუხილი გადამედო მეც.

დამთავრდა რომანსი. თამარი წამოდგა და გადმომხედა. სიმღერა მოვუწო-

ნეთ, გაგვიღიმა და მადლობა გვითხრა. წამოსვლისას გაკვეთილი შემახსენა და ისევ დიდებული ღიმილი გაჩნდა მის სახეზე.

მე დავპირდი.

მეორე და მესამე დღესაც იგივე სურათი განმეორდა.

თითქოს არ მინდოდა მისვლა და მაინც მივდიოდი. ადრე წამოსვლას ვაპირებდი და მაინც გვიან გამოვდიოდი კომისრის ოთახიდან. ერთი სიტყვით, სულ თამარის ირგვლივ ვტრიალებდი. მარტოდარჩენილი კი დიდხანს, დიდხანს ვფიქრობდი.

„ვერ ვიქცევი რიგიანად, ვამბობდი ჩემთვის. იქ ჩემი პატარა გოგია დედის საფლავს დასტრიალებს, უვლის... მე კი ვერთობი“... ხანდახან თავის გამართლებასაც ვცდილობდი. ზოგ შემთხვევაში ვაღწევდი კიდეც მიზანს და ამით მეტად კმაყოფილი ვიყავი.

„მშვენიერი ქალია თამარი, კეთილშობილი, განათლებული, ლამაზიც... უყვარს ჩემი ქვეყანა, ენასაც კი სწავლობს. არ იქნება გოგისათვის ურიგო დედა. კიდევ ცოტა და დავამთავრებ სამხედრო სამსახურს, თან წავიყვან... არკადი ტიაპკინიც ჩინებული ადამიანია. დავმოყვრდებით. რით არის ეს ცუდი?!...

შვილი? იქნებ არ გამიჯავრდეს, ჩემი ბიჭი. იქნებ გამიგოს. მართლაც და ხომ არ შეიძლება სულ ასე დავრჩე?!

* * *

ოფიცერთა სახლში ხშირად დავდივარ. ესაა ჩვენი მეთაურების თავშეყრის ადგილი.

წუხელ ერთად ვიყავით მე და თამარი, ვიცეკვეთ... ცეკვის დროს ცდილობდა ქართულად დამლაპარაკებოდა.

ჩემს პირად ცხოვრებაზე შეკითხვებით არ მაწუხებს. იქნებ სიძისაგან იცის რაიმე. მე კი ძალიან მაინტერესებს ვიცოდე თამარის შესახებ მეტი, მაგრამ ვკითხო?

* * *

ჩვენი ნაწილი ნოვოგრუდოკიდან ბარანოვიჩში გადავიდა. ისე უეცრად მოხდა ეს გადასვლა, რომ მე თამარის ნახვაც ვერ მოვასწარი.

ბარანოვიჩში უზარმაზარ ყაზარმებში განვლაგდით. საღამოს კომისარმა გამომიძახა.

— გიორგი, მე არ მცალია და თუ არ მიწყენ, გაბრუნდი ნოვოგრუდოკში, ოჯახი ჩამომიყვანე. აქ ალბათ კარგა ხანს მოგვიწევს ცხოვრება.

—ახლავე წავიდე?

— შენ იცი, რაც უფრო მალე ჩამომიყვან ჩემს ბიჭს, მით უკეთესი!

ჩემი დანაყოფი მგზავრობის შემდეგ ისვენებდა, დრო ბევრი მქონდა და უკვე ერთი საათის შემდეგ მატარებლით ისევ ნოვოგრუდოკისაკენ მივქროდი. აქეთობას სრულებით არ დავკვირვებივარ ამ გზას, არც იყო ამის დრო. ახლა კი თვალი გამექცა. მშვენიერი ადგილებია.

ტყე, ტყე და ისევ ტყე. მაღალი ნაძვები, ფიჭვები, შიგა და შიგ არყის ხეებიც გამოერევა. მართალია, ყველაფერი ერთფეროვანია და თითქოს მოსაწყენიც, მაგრამ თავის განსაკუთრებული სილამაზე მაინც აქვს ტყეს.

მატარებელმა რახრახით გადაუარა პატარა მდინარეს. ფეთქავს და ძაგძაგებს ორთქლმავალი და ერთ რიტმში მიაქროლებს ვაგონებს. ყურს ვუგდებ ამ რიტმს და, ასე მგონია, ორთქლმავალს კი არა და, მე მიმყავს ვაგონები...

ბარანოვიჩიდან ნოვოგრუდოკამდე ერთი საათის გზაა მხოლოდ. სადგურიდან არც ისე დაშორებითაა კომისრის ბინა. კიბეზე ავირბინე და ზარი დავრეკე. კარები არკადის მეუღლემ, ევგენიამ გამიღო. მივესალმე და ოთახში შევედი.

თამარი არ ჩანდა.

ევგენია ნიკოლაევნას მეუღლის დანაბარები გადავეცი.

— კარგად, შინაურულად ვიყავით აქ მოწყობილი, გიორგი. სწორედ არ მინდოდა აშლა, მაგრამ რას იზამ, ასეთია ჩვენი ცხოვრება და განა პირველად ხდება ასე?

— თამარი სად არის, ევგენია ნიკოლაევნა?

იგი თითქოს ელოდა ამ კითხვას. თავი ასწია, წუთით მიცქერდა დაკვირვებით. არაფერი მიპასუხა, მეორე ოთახში გავიდა და კარგა მოზრდილი კონვერტი მომაწოდა.

— წავიდა?

— წავიდა! გული კი დაწყდა, რომ წასვლის წინ ვერ შეგხვდათ. არც ასე მალე მოგელოდით უკანვე და წავიდა. ეს ბარათი დაგიტოვა.

კონვერტი ჩამოვართვი და სწრაფად გავხსენი. ევგენია ბარგის ჩალაგებას შეუდგა. მე სკამზე ჩამოვჯექი. კონვერტიდან სურათი გადმოვარდა, დავიხარე, ავიღე, დავხედე და... თამართან ერთად სურათიდან პატარა ლამაზი გოგონა მიცქეროდა. იმ წამსვე ვირწმუნე, რომ იგი თამარის შვილი იყო. ასეთი მსგავსება სხვაგვარად შეუძლებელია. ევგენია ნიკოლაევნა ბარგს ალაგებდა და ხანდახან ჩუმად გამომხედავდა. აი, რას მწერდა თამარი.

„ჩემო მეგობარო!

გამგზავრებისას ძალიან მინდოდა მენახეთ... რა მალე დავცილდით ერთმანეთს... შეიძლება, დიდხანს ველარ შეგხვდეთ, ანდა, კიდევ, ვინ იცის... ძალიან ძალიან მინდოდა მენახეთ-მეთქი, ვამბობ და ეს სრული სიმართლეა.

ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, კარგი გულითადი მეგობრები (არ დამძრახოთ ამ სურვილისათვის).

გამოგიტყდებით... (ეს შეიძლება პირადად ვერ მეთქვა) გამგზავრების წინ რომ მენახეთ, გადაგეხვეოდით...

ბარათი მიადვილებს ამის გამხელას.

გაგიკვირდებათ?

ნუ გიკვირთ! მე ვიცი, ვინა ხართ თქვენ. თქვენი ცხოვრების თითქმის ყოველი წვრილმანი ვიცი. არკადი მთელი ღამე მიამბობდა თქვენზე, თქვენს ოჯახზე, მეუღლეზე, შვილზე... მანვე მთხოვა, გაგცნობოდით, დამეგობრებოდით...

არ ვიცი, არკადის რა მიზანი ჰქონდა. ერთი კი ცხადია, მას ორმხრივი კეთილშობილური აზრი ამოქმედებდა.

თქვენი და ჩემი ცხოვრება ძლიერ წააგავს ერთმანეთს და ალბათ მას უნდოდა ჩვენს სახეზედაც დაენახა ღიმილი. მე არ ვიცოდი, როგორი იყავით გარეგნულად. გნახეთ და მომეწონეთ, როგორც კაცი და ადამიანი, სამშობლოს და ოჯახის მოყვარული. განათლებული და საამოდ მოსაუბრე. მე მიყვარს თქვენი ლამაზი ქვეყანა. სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში თბილისი, რუსთაველის მშვენიერი გამზირი, ულამაზესი ქართული ქალაქი. მე იგი ხელახლა მოვნათლე.

ჩემი გამოგონილი სახელი, დედოფალი, დავარქვი. ამაზე უკეთესი და შესაფერი ვერაფერი შევარჩიე. ეს მე თქვენთვის არ მითქვამს და ახლა არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა...

თქვენ ჩუმი ხართ და ცოტა გაუბედავიც. უფრო მოკრძალებული... ეს ყველაფერზე უფრო მომეწონა თქვენში. მოკრძალება დიახაც უპირველესი თვისებაა ადამიანისა. ადვილად შესამჩნევი, მაგრამ დაუფასებელი თვისება. მე მებრალება ის ქალი, რომელიც უდროოდ დაამიწა სიკვდილმა. მწამს, ბედნიერი იქნებოდა თქვენს გვერდით, ჭეშმარიტად ბედნიერი!

მგონი, ვაჭარბებ და ეს მე თვითონ აღარ მომწონს, მაგრამ ბოლომდე...

მეც შენი ბედისა ვარ, გიორგი. მეც მყავდა მეგობარი, ნამდვილი მეგობარი და აღარა მყავს. დამრჩა მხოლოდ ეს პატარა გოგონა, პატარა მარია. ჩემი სიხარული და ყველა ბედნიერება ამ გოგონაშია მომწყვდეული. იქნებ, სჯობდა, უფრო ადრე, ჩემი მანდ ყოფნის დროს მეამბნა ყველაფერი, მაგრამ რატომ?!...

მე მიყვარდა ჩემი ქმარი პირველი

სპეტაკი და უანგარო სიყვარულით. მის შემდეგ ველარ წარმომედგინა სიცოცხლე... მაგრამ ჩემმა მარიამ და დიდმა ცხოვრებამ არ მომცეს სიკვდილის უფლება, ბავშვს გაზრდა უნდა და იქნებ მეც მცირედი სარგებლობა მოვუტანო ქვეყანას. შენ შეგხვდი. წინასწარ მომზადებული და, რომ იტყვიან, დაკვეთილი იყო ეს შეხვედრა. თითქოს მას არავითარი ცვლილება არ უნდა მოეხდინა ჩემში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა...

მე უცილოდ უნდა გნახო შენ. უნდა შეგხვდე. ეს აუცილებელია ჩემთვის. წავედი უეცრად. გული მტკივა, რომ ვერ გამოგეთხოვე, მაგრამ გპირდები, როცა ხელმეორედ შევხვდებით ერთმანეთს, მხოლოდ ქართულად გელაპარაკო. ამას მე შევძლებ. შენ ხომ შესანიშნავად ჰფლობ რუსულ ენას. მე რატომ უნდა ჩამოგრჩე? მეორეც, მე ვგრძნობდი, რომ შენ დიდად გსიამოვნებდა ჩემი დამტვრეული ქართულის გაგონება. და მართლაც მინდა გაგახარო.

ჩემდაუნებურად გადავსულვარ „შენობით" მომართვაზე. ეს არ მწყინს, პირიქით, მომწონს კიდეც...

იყავი ბედნიერი. მომწერე წრფელად, ისე წრფელად, როგორიც თვითონ ხარ, როგორიც შენი გულია.

მაგრად გართმევ ხელს, ჩემო მეგობარო. თამარა როდიონოვა".

ბარათი წავიკითხე და ევგენია ნიკოლაევნას მივუახლოვდი.

— რატომ მისამართს არ მწერს. მე ხომ უნდა ვუპასუხო!

— ალბათ დაავიწყდა. ჩაიწერეთ, მე გეტყვით.

მისამართი ჩავიწერე.

ჩავალ თუ არა ბარანოვიჩში, მივწერ!

* * *

„ძვირფასო თამარ!"

თქვენი ბარათი მეორედ წავიკითხე და მხოლოდ ამის შემდეგ გწერთ პასუხს. შეიძლება, ეს პასუხიც არ იყოს, ჩასთვალეთ ისე, თითქოს პირველად მე გიგზავნიდეთ ბარათს. ჩემი ოჯახური ამბები არკადი პეტროვიჩს უთქვამს, ის ხომ ყველას გულის მესაიდუმლეა, ყველას ჭირისუფალი... ამ რამდენიმე ხნის უკან მან გამიშვა საქართველოში. ოდესმე მეც თან წამოგყვებიო, მითხრა. არ ვიცი, შეასრულებს თუ არა დანაპირებს. იგი ყოველთვის საპატიო და სასურველი სტუმარი იქნება ყოველი ქართველისათვის, მით უმეტეს, ჩემი დანგრეული ოჯახისათვის. მე არ მინდა, თავი შეგაწყინოთ მასზე საუბრით. არკადის ჩემზე უკეთ იცნობთ. თქვენი ბარათიდან ჩანს თქვენი სიყვარული სიძისადმი. ეს მე მიხარია, რადგან არკადი პეტროვიჩი ყველა სიკეთის ღირსია.

იმავე დღესვე მოვბრუნდი ბარანოვიჩიდან. სახლში რომ არ დამხვდით. რა თქმა უნდა, მეწყინა. რატომ გაემგზავრეთ ასე სწრაფად?...

„თქვენი და ჩემი ცხოვრება ერთმანეთს წააგავსო", — მწერთ, მართლაც...

გამოგიტყდებით, ამ უკანასკნელ დღეებში ბევრჯერ დავფიქრებულვარ ჩემს ცხოვრებაზე, მომავალზე, თქვენზე...

ბევრჯერ გამიკიცხავს საკუთარი თავი და ბევრჯერ გამიმართლებია. ძალიან მიყვარს ჩემი პოლკის კომისარი, ჩვენი არკადი პეტროვიჩი. ასე მგონია, ყოველი კომუნისტი სწორედ ისეთი უნდა იყოს, როგორიც არკადი ტიაპკინაა.

საქმიანი, კეთილი, მტკიცე. კლდესავით შეუვალი ხასიათი. ვაჟკაცური და მართალი ყოველ საქმეში. სამართლიანი და ძლიერი. პატიოსანი და კეთილშობილი. რწმენა და მომავლის დიდი იმედები რომ ასულდგმულებს, მუდამ ხალისიანი, ცეცხლოვანი და სათნო.

ახლაც ერთი რამ მიათკეცებს მისდამი სიყვარულს. როგორ გამიგო, როგორ ჩამხედა სულში! როგორ წაიკითხა ჩემი გაუმჟღავნებელი ფიქრი...

მე მომწონს, რომ თქვენ პატივისცემით იგონებთ მეუღლეს.

ასე ვარ მე თვითონ.

თამარი იყო ჩემი ოჯახის პირველი სიხარული და ჩემი ბედნიერებაც, ჩემი ბიჭის დიდებული დედა, ჩემი უახლოესი მეგობარი და...

აბა წარმოიდგინეთ, როგორ იმოქმედებდა ჩემზე მისი დაკარგვა. ჩვენ მართლაც უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. ბარათისათვის მადლობელი ვარ. ბარანოვიჩში კარგად მოვეწყეთ. ალბათ კიდევ გვინახულებთ (გაკვეთილები ხომ უნდა მოგცეთ).

იყავით ჯანმრთელად. აკოცეთ პატარა მარიას. გიორგი ლომიძე".

**27 ივლისი**

ბარანოვიჩის მახლობლად ტყეში ვართ დაბანაკებული საზაფხულოდ.

პატარა მინდორი კარვებითაა მოფენილი. კარვებს შორის გზა დაკვალულია და დაგეგმილი.

ბანაკი კეთილმოწყობილია ყოველმხრივ და ერთის შეხედვით მოიხიბლება ადამიანი.

ჯარისკაცები და მეთაურები დილიდან საღამომდე ტყეში არიან. ჯგუფჯგუფად სხედან ჩრდილში და საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადებას გადიან.

თავისებური გატაცება იცის სამხედრო ცხოვრებამ. ყოველდღიური ვარჯიში, წრთვნა, გართობა. ყველაფერი ეს საინტერესოა და მიმზიდველიც.

ჩემი დანაყოფის მებრძოლებმა ავტოპარკი ისე გაასუფთავეს, რომ მართლაც წამლად რომ უნდოდეს ადამიანს ბალახის ღერსაც ვერსად იპოვის.

საღამოს, მზე რომ მაღლა ნაძვებს მიეფარება, მოედნებზე იმართება თამაში, ფრენბურთში, კალათბურთში. მეც ხშირად ვთამაშობ და საფიქრალი დრო აღარ მრჩება. ასეც სჯობია. დიდი ხანია არ ჩამიხედავს ამ რვეულში.

თამარი ისევ მოსკოვშია. ბარათებსაც ხშირად მწერს. გუშინ ქართულად დაწერილი ბარათი მივიღე.

ჩამოსვლას მპირდება, მხოლოდ მაშინ, როცა საზამთრო ყაზარმებს დავუბრუნდებით. ველოდები და უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობ ამ ლოდინით.

ამ დილით გოგის წერილი მომიტანეს. ქობულეთში ყოფილა პიონერთა ბანაკში.

„შენს ბარათებს უფრო მეტი სიხარული ემჩნევაო", — მწერს. ალბათ რაღაც ვაგრძნობინე შვილს...

ახლა საღამოა. ჯარისკაცები მოედნებს მოჰფენიან. თამაშობენ, ცეკვავენ, ერთობიან.

მე კი ჩემს პატარა საველე მაგიდას ვუზივარ.

ცოტა რომ შევიცვალე, ეს ცხადია.

ეჰ, ან და რა უნდა ვქნა!

ასეთი ყოფილა ადამიანის გული. ცხოვრებაც თავისას მოითხოვს.

**3 აგვისტო**

ამ დილით კომისარმა გამომიძახა. ჩვეული ღიმილით შემომხედა, ხელი ჩამომართვა და თამარის ბარათიც გადმომცა.

ბარათი საველე ჩანთისაკენ წავიღე. კომისარმა შემაჩერა.

— წაიკითხე, მერე ვისაუბროთ!

ცოტა მეუხერხულა, მაგრამ რას ვიზამდი. იქვე ჩამოვჯექი. კონვერტი გავხსენი და...

— შენთვის წაიკითხე!

— აქ საიდუმლო არაფერია, არკადი პეტროვიჩ, შეიძლება ხმამაღლაც!

— შენთვის წაიკითხე, მე ცოტა საწერი მაქვს და ხელს შემიშლი!

ორივეს გაგვეღიმა.

ბარათი სწრაფად ჩავიკითხე. კომისარი რაღაცას წერდა, მაგრამ გულისყური ჩემსკენ ჰქონდა.

— ხომ კარგად ვარო? ბავშვზე არაფერს გწერს?

— დიახ, კარგად არიან! — ჩავილუღლუღე ჩემთვის.

—ჩემო გიორგი, თამარი დიდებული ქალია. მოსკოვში იცნობენ, აფასებენ და უყვართ. კარგი ოჯახიც ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ჩვენზე როდია და-

მოკიდებული. მოულოდნელად გარდაეცვალა მეუღლე და ის პატარა მარია ძუძუმწოვარა დარჩა. შენ კარგი ვაჟკაცი ხარ, ჩემო გიორგი, და თუ ერთმანეთს გაუგებთ, გულწრფელად გავიხარებ, ჩემი სერიოჟას გაზრდამ.

რა უნდა მეთქვა. ვდუმდი და არკადი, მგონი, ხვდებოდა ამ დუმილს.

— შენ არმიაში რატომ უნდა დარჩე! სპეციალისტი ხარ და სამოქალაქო სამსახურში მეტი სარგებლობა შეგიძლია მოუტანო ქვეყანას. მე მოგეხმარები, — განაგრძობდა კომისარი, — იცხოვრეთ ისე, როგორც თქვენ გინდოდეთ!

— არკადი პეტროვიჩ, ამხანაგო კომისარო, ვიცი, გამიგებთ და, ამიტომ მინდა, დაუფარავად გითხრათ ყველაფერი.

— მე გისმენ, გიორგი!

— მე დედა არ მახსოვს და მამა. ობლობაში გაზრდილი ვარ და ჩემით გავიკვლიე გზა ცხოვრებაში. დავვოჯახდი და ეს იყო ჩემი პირველი ბედნიერება. ხანმოკლე გამოდგა ჩემი სიხარული. ამ დარდმა გამათავა კაცი. შვილის სიყვარულმა შემომაბრუნა, თორემ არ ვიცი, სანამდე მივიდოდი გამწარებული.

ძნელია ბავშვისათვის უდედობა, მაგრამ გამოჩდნენ კარგი ადამიანები.

ჩვენში რა დალევს კარგ ადამიანს. პირველად მხოლოდ ერთი კვირით მომიხდა ჩემი ბიჭის დატოვება და მაინც მთელი ღამეები არ მეძინა. მერე შევეჩვიე. ბავშვთან ყოფნა სიცოცხლეს მერჩია, მაგრამ სახლში ვერ ვძლებდი. ოთახის ყოველი კუთხიდან თამარის სურათი მიცქეროდა და ვეღარ მოვისვენე. მიცქეროდა ისევ მოკრძალებით, როგორიც ის საერთოდ ცხოვრებაში იყო. მერე არმიაში გამიწვიეს და მეორე წელია შევრჩი. მე ვიცი, რომ არ შეიძლება ასე კენტად დავრჩე, მაგრამ როგორ მოხდება ეს ცვლილება, მეძნელება ამის თქმა...

დიდებული ადამიანია თამარა ნიკოლაევნა. მე აღარც კი მინდოდა ჯერჯერობით ამაზე ფიქრი, მაგრამ...

თქვენი უაღრესად დიდი მადლობელი ვარ, არკადი პეტროვიჩ!

კომისარმა მკლავში ხელი გამომდო და კარავიდან გამომიყვანა.

დიდხანს დავსეირნობდით ნაძვნარში და ვსაუბრობდით.

**20 ნოემბერი.**

ორ თვეზე მეტია, რაც ჩვენი ნაწილი ბარანოვიჩში დაბრუნდა.

საზამთრო ყაზარმებში განვლაგდით ისევ. რა დიდი დრო გასულა და მე თითქმის მიმავიწყდა კიდეც ჩემი რვეული. რატომ? განა არაფერი მქონდა ჩასაწერი? მქონდა, მაგრამ ადამიანს, თურმე, ხანდახან ისეთი ფიქრებიც ეწვევა, რომელსაც დღიურსაც ვერ ანდობს. სულის სარკეა დღიური და თითქოს არაფერი უნდა იყოს მისგან დაფარული. მაინც შემოვირჩინე რაღაც. არ ვწერ, არც მინდა ოდესმე გავიხსენო, თუ რა მაწვალებდა ამ დღეებში. გავა დრო და იქნებ მიმავიწყდეს კიდეც...

გარეთ თოვლია. ჩემი ფანჯრიდან თეთრად გადაპენტილი ნაძვნარი მოჩანს.

მე ეს ნაძვები თეთრჩოხიან, ტანბრგე, დარბაისელ ქართველ ბერიკაცებს მაგონებენ. ერთი სხვაობაა მათ შორის. მხოლოდ გაზაფხულდება, მზე ამობრძანდება და დახედავს ქვეყანას, ამ ტყეს, ამ ნაძვებს. ნაძვები დაიბერტყავენ მხრებიდან თოვლს, მზეს შეაგებებენ მწვანე ტოტებს, გაცოცხლდებიან, გაახალგაზრდავდებიან და კიდევ უფრო მეტად მიმზიდველნი გახდებიან.

ისინიც, ბერიკაცებიც შეარხევენ ბეჭებს სწორედ გაზაფხულზე, მაგრამ თოვლს ვეღარ ჩამოიბერტყავენ ხანდაზმული მხრებიდან.

მიყვარს აქაური ზამთარი. ჩუმი, მშრალი და მკაცრი ზამთარი.

წელს დიდ თოვლს წინასწარმეტყველებენ, თვითონ ტიაპკინიც ადასტურებს ამ წინასწარმეტყველებას.

აი, ახლაც წამოვიდა თოვლი. თოვს მადიანად, გულუხვად და მე მგონია. რომ ეს ფანტელები კი არა, ტყემლის

თუ ალუჩის ყვავილებია, დაფრენენ ჰაერში და ეს ხდება არა აქ, დასავლეთ ბელორუსიაში, არამედ შორს, ძალიან შორს, სამხრეთში, ჩემს ლამაზ ქალაქში.

ასე ვფიქრობ მე და მსიამოვნებს, რომ ფიქრით მაინც იქა ვარ, ჩემს მწვანე ქუჩაზე, ჩემს ბიჭთან...

რა უნდა დავწერო, არ ვიცი. მაინც ვზივარ, იქნებ გულს დავტყუო რაიმე...

თამარი არ ჩამოვიდა. გული დამწყდა ყმაწვილკაცივით.

ჩამოუსვლელობის მიზეზი მისაღებია და მაინც მოვიწყინე.

დღეისათვის ჩვენს შორის აღარაფერია დაფარული. გულახდილად ვწერთ ერთმანეთს. საახალწლოდ გვპირდება ჩამოსვლას და მაშინ...

ასე ხომ არ შეიძლება გაგრძელდეს. ხომ უნდა ექნეს დასასრული ამ დამოკიდებულებას. ამას ვამბობ, მაგრამ გოგიას გარეშე გადავწყვიტო?...

ის ხომ უკვე დიდი ბიჭია და რატომ უნდა ვაწყენინო.

საქართველოში წავალ თამართან ერთად. იმ კუდრაჭა გოგოსაც წავიყვან, თამარის წერილებში რომ მითვლის მოკითხვებს.

წავალ და, თუ გინდ მიძრახონ (რატომ უნდა მიძრახონ!), მაინც დავასრულებ ამ საქმეს.

რა იოლად ვამბობ!..

• • •

ორი დღეა ვწევარ. გავცივდი და ავად გავხდი. არკადი პეტროვიჩმა მინახულა გუშინ და მთხოვა, მათთან გადავსულიყავი. რა თქმა უნდა, არ დავეთანხმე. ცოტა სიცხეც მაქვს, მაგრამ ალბათ მალე გამივლის. კომისარს შვილი ახლდა. კარგი ბიჭია სერიოჟა. „თუ რამე დაგჭირდეთ, მე დამავალეთო“, მითხრა შვილის ტოლმა. ასე მეგონა, ჩემი გოგია მეუბნებოდა ამ სიტყვებს.

დღეს ბარათი უნდა მივწერო თამარს და შვილს.

ჯერ შვილს მივწერ.

**10 დეკემბერი**

ავადმყოფობის შემდეგ დღეს პირველად გამოვცხადდი ნაწილში. ყველას გაეხარდა ჩემი დანახვა. კომისრის სამუშაო ოთახისაკენ რომ მივდიოდი, ერთი მებრძოლი მორიდებით გადამიდგა წინ. შევხედე ქართველია, გამიხარდა.

— გიჭირს რამე, ბიჭო?

— მე მეორე ბატარეის მებრძოლი ვარ, ჩხეიძე, აქ კიდევ არიან ჩვენი ბიჭები და გთხოვენ...

— მე?

— დიახ, თქვენ! გასაჭირი არაფერი გვაქვს, ამხანაგო კაპიტანო! ისე, თქვენთან შეხვედრა უნდათ ბიჭებს!

ჩხეიძე იდგა და მადიანად იღიმებოდა.

— რა გქვია ამხანაგო ჩხეიძე?

— გივი, ამხანაგო კაპიტანო!

— სადაური ხარ?

— ზესტაფონელი!

— აი, რა, ჩემო გივი, მე ახლა კომისართან მივდივარ და, როგორც კი გავთავისუფლდები, მაშინვე თქვენთან მოვალ. უსათუოდ მოვალ!

— გელოდებით, ამხანაგო კაპიტანო!

ტიაპკინი კაბინეტში არ დამხვდა. დივიზიის პოლიტგანყოფილებაში წასულიყო, ასე რომ, ქართველ ბიჭებთან უფრო ადრე მივედი ,ვინემ მელოდნენ.

სათითაოდ ჩამოვართვი ხელი ყველას და ჩამოვჯექი. ვაკვირდები მათ სახეებს. თვითეული მათგანი რამდენჯერმე შემხვედრია ყაზარმებში, მაგრამ ასე გულთბილი საუბარი არ მქონია მათთან, დამნაშავესავით ვიჯექი თანამემამულეთა შორის.

— აბა, რა უნდა გეთქვათ, მეგობრებო?

ჩხეიძემ ამხანაგებს გადახედა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ მე დავუშალე.

— იჯექი, ასე ვისაუბროთ!

— დღეს ქალაქში გასვლის უფლება მოგვცა ზემდეგმა! — დაიწყო მორიდებულად გივიმ, მერე მის გვერდით

მჭდომ ჭმუხა ბიჭს თვალი ჩაუკრა და განაგრძო:

— ამას გარდა, აგერ, ჩვენმა ლევანმა ცოტა რამ მიიღო მშობლებიდან და გვინდოდა თქვენთან მოვსულიყავით ბინაზე, თუ ეს უხერხული არ იქნება.

შავშავი, ცინცხალი თვალებით მომჩერებოდნენ ქართველი ბიჭები. მეტად მასიამოვნა მათმა წინადადებამ.

რა თქმა უნდა, მადლობა ვუთხარი და საღამოსთვის შევითანხმე.

ადრიანად მოვიდნენ. ოთხნი იყვნენ. გივი ჩხეიძე, ლევან კობახიძე, ნოდარ ნიკოლეიშვილი და საშა პუშკარიოვი.

— მოშინაურდით, მოშინაურდით, ბიჭებო! — გავათამამე ჩემი სტუმრები თუ მასპინძლები.

გივიმ კარგა მოზრდილი ყუთი მაგიდაზე შემოდგა. ჯერ დანით შემოჭრა ტილო, მერე გახსნა.

ბამბებში საგულდაგულოდ შეხვეული ორი ბოთლი ხვანჭკარა ამოიღო, ამას არაყი, ღორის ლორი და სამი ქილა ბადრიჯნის საცივი ამოაყოლა, მერე ჩვენებური ხილით დაამშვენა მაგიდა.

— რაჭული ხვანჭკარაა, ბატონო გიორგი, ლორიც იქაურია, თქვენ ნაავადმყოფარი ხართ და ხვანჭკარა ინებეთ, მოგიხდებათ! — მეუბნება ჩხეიძე და იცინის.

— ცოტაა, მაგრამ რას იზამ! — არაყის ბოთლს თვალი შეავლო პუშკარიოვმა.

— ჩვენ არაყი გადავკრათ, კაპიტანმა ღვინო მიირთვას! — დააზუსტა კობახიძემ.

ბიჭების მოტანილ პურ-მარილს ჩემი რესურსებიც მივუმატე, ასე რომ მშვენიერი ვახშამი გამოგვივიდა.

ცოტას სვამდნენ, მაგრამ მაინც გამხიარულდნენ და, ბოლოს, ჩხეიძემ მრავალჟამიერიც კი შემოსძახა. სამივენი ხმაშეწყობილად მღეროდნენ.

პუშკარიოვიც აჰყვა. კარგი ყმაწვილია საშა, გულგახსნილი და კეთილი ბიჭი ჩანს.

გვიან წავიდნენ. მეგობრებს მადლობა გადავუხადე და კიბეზე ჩავაცილე.

არასოდეს დამავიწყდება ეს საღამო. ამ ორიოდე საათის განმავლობაში მეგონა, რომ საქართველოში ვიყავი და ქართულ პურ-მარილს შევექცეოდი...

მეორე ბატარეაში ხშირად უნდა შევიარო.

### 1 იანვარი

საკმაოდ დავლიე. ღვინო მომეკიდა, მგონი, დავითვერი კიდეც, მაგრამ ეს ორიოდე წინადადება მაინც უნდა ჩავწერო:

ახალ 1941 წელს კომისრის ოჯახში შევხვდი.

თამარი არ ჩამოვიდა. მხოლოდ დეპეშით მოგვილოცა ახალი წელი. ასეთივე მისალოცი დეპეშა მივიღე შვილისგანაც.

მე კი მინდოდა, ორივე გვერდში მყოლოდა დღეის დღეს.

დიდებული ადამიანია არკადი ტიაპკინი.

ცოლ-ქმარი თვალებში შემომყურებდა. ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩემთვის ესიამოვნებინათ. არკადი თამადობდა (ეს მე ვასწავლე). თამარის სადღეგრძელო განსაკუთრებული სასმისით შესვა.

გარეთ თოვლი დევს, დიდი თოვლი.

* * *

ერთფეროვნად მიდის ჩვენი ცხოვრება. გაზაფხულზე საქართველოში მივემგზავრები. მეც შენსავით ინჟინერი უნდა გავხდეო, — მწერს ჩემი ბიჭი. გახდეს ინჟინერი!

ახლა დანამდვილებით გვპირდება თამარი ჩამოსვლას — როგორც კი დათბება, მანდ გავჩნდებიო, — ახლა შუაგული ზამთარია და დათბობამდე ჯერ კიდევ შორსაა. ჩამოვა და, ალბათ, ჩვენს საქმესაც ეშველება.

მაშინ დავხურავ რვეულს.

არც მის ჩამოსვლამდე ღირს დღიურის გაშლა. ვინახავ მაგიდის უჯრაში. დაისვენოს და მეც დამასვენოს...

### 2 მაისი

ვერ შევასრულე პირობა. დღეს, გაზაფხულის ამ მშვენიერ დილით მოვნახე რვეული და ისევ მინდა გავესაუბრო გულს. გოგის ბარათი მივიღე. კონვერტში სურათიც იდო. დიდხანს ვუცქერდი შვილის სურათს. შავი, დიდრონი თვალები და გრუზა ხუჭუჭა თმა. როგორ უციმციმებს თვალები. დიახ, უციმციმებს, მე ამას ამ სურათით ვგრძნობ.

გაზაფხულსა ჰგავს ჩემი გოგია. არყის ხეს ვადარებ, მზის გამოჩენისთანავე რომ გამოიყრის კვირტებს. ჩემს ბიჭსაც აჩნია საულვაშეზე ღინღლი, ეს კვირტებია. თვითონაც კვირტია. გაზაფხულზე აფეთქებული კვირტი. მზე დაათბობს, გაიშლება ეს კვირტი და უფრო დამშვენდება, უფრო მიმზიდველი გახდება.

მე მგავს გოგია, ძალიან მგავს, მაგრამ მინდა, ჩემს გაბზარულ ცხოვრებას არ დაემსგავსოს მისი ცხოვრება.

გარეთ გაზაფხულია, მშვენიერი გაზაფხული.

ჩვენი ყაზარმების უკან ნაძვნარია. ჩვენ თითქოს ყოველდღე გაგვყავს მებრძოლები ამ ტყეში სავარჯიშოდ.

მე ვუკვირდები ტყეს, ვუკვირდები თვითეულ ხეს გულდაგულ და ვამჩნევ, ნამდვილად ვამჩნევ, თუ როგორ იცვლება ყოველდღიურად ტყე. მიდიხარ, მიაბიჯებ ხეებს შორის და დასუქებული კვირტების სურნელი გაბრუებს. თვალსა და ხელს შუა იზრდებიან ეს კვირტები, ფოთლებად იქცევიან, ლორთქო და ნაზ ფოთლებად. მიდიხარ და უცებ სახეზე გაგედება ახლადშეფოთლილი ტოტი არყის ხისა. ბავშვივით მოგითათუნებს ლოყაზე და გიხარია.

გაზაფხულია, მშვენიერი გაზაფხული.

ჩემს გამგზავრებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. გათავისუფლების საკითხი თითქმის შეთანხმებულია, მაგრამ ახლა მე თვითონ აღარ ვჩქარობ რატომღაც.

რაც უფრო ახლოვდება არმიიდან წასვლის დრო, მით უფრო მწყდება გული. საოცარი შეჩვევა იცის ჯარისკაცურმა ცხოვრებამ. რაკი გადაწყვეტილია ჩემი განთავისუფლება, რაღა მნიშვნელობა აქვს ერთ თვეს, შეიძლება ერთ თვეზე მეტსაც.

თამარს დღე დღეზე მოველით.

წუხელ უცნაური სიზმარი ვნახე.

ჩემს ოთახში ვწევარ შვილთან ერთად. ვეალერსები ბიჭს და მახარებს მისი ტიტინი. იღება კარი და თეთრ სამოსელში მორთული შემოდის თამარი, ჩემი მეუღლე, ჩემი გოგიას დედა. ხელში სულ თეთრი ყვავილების დიდი თაიგული უჭირავს. მოდის, მიღიმის და მიახლოვდება, ფრთხილად და მოკრძალებით, თან მილოცავს, მაგრამ ეს კი აღარ მახსოვს, რა მომილოცა.

შვილს თმაზე ხელი გადაუსვა, შუბლზე აკოცა და გაუჩინარდა.

უხასიათოდ გამომეღვიძა. წამოვდექი და დიდხანს დავაბიჯებდი ჩემს, არც თუ ისე განიერ ოთახში.

* * *

კომისარი მოსკოვში მიემგზავრება, რა თქმა უნდა, ბარათს გავატან თამართან და შევუთვლი, დააჩქაროს ჩამოსვლა.

### 16 ივნისი

ერთბაშად დაცხა. ასეთი მაღალი ტემპერატურა არ ახსოვთ აქაურ მცხოვრებლებს. ოთახში ჯდომა ჭირს. სული მეხუთება. ფანჯრებს ვაღებ, მაგრამ არ მშველის.

დღეს ბარათი გავუგზავნე ჩემს ბიჭს. ამ თვის ბოლოს მელოდეთ-მეთქი მივწერე.

თამარი ერთ კვირაში უნდა ჩამოვიდეს და რაღას გავუჩერდე აქ. ჩამოვა, მცირე ხანს აქ დავყოფთ და მერე გავემგზავრებით ქუთაისს. შვილისათვის არაფერი მიმიწერია ამის შესახებ.

### 20 ივნისი

ისევ მოგვიხდა გადასვლა. ახლა ჩვენი დივიზია ბელოსტოკში დგას.

დიდი ქალაქია ბელოსტოკი. დიდი და ლამაზიც. ბარანოვიჩთან შედარებით აქ შენობები უფრო ლამაზია, ქუჩები განიერი და სწორი.

თამარის დეპეშა მივიღე. კვირა დილით მელოდეთო, — გვწერს.

რა თქმა უნდა, დავხვდები. მომქანცა ამ ლოდინმა.

იქნებ სჯობდა, მე თვითონ ჩავსულიყავი მოსკოვში. რა საჭიროა მათი აქ ჩამოყვანა, მაგრამ არკადი ტიაპკინი?

**21 ივნისი**

საღამოა. საოცრად მშვიდი საღამო. ხანდახან მანქანები გაირიხინებენ ქუჩაში, წუთით ირღვევა მყუდროება და მერე ისევ მიწყნარდება, მიჩუმდება ყველაფერი.

ჩემი ოთახი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზეა. ახლა ფანჯარასთან ვზივარ და გავსცქერი ქალაქს.

ცა სუფთაა და რამდენი არ ვეძიე, ღრუბლის ფთილაც ვერ შევნიშნე ამ თვალგაუწვდენ სივრცეზე.

თეთრია და სუფთა ცა.

ხვალ დილით ჩამოვა თამარი.

ღამდება. მზე ჩაიმალა დასავლეთით, სხივები წითლად შეფენია ზეცას. თეთრი და წითელი ფერი არეულა ერთმანეთში და უფრო მეტს სილამაზეს ჰმატებს ცის დასალიერს.

სადღაც შორს კვამლისფერი გადაჰკრა ზეცას.

მე კი ვზივარ და უხეირო პოეტივით თვალი მიმისვია ცაზე.

სჯობია, დავიძინო. დილით არკადი ტიაპკინს უნდა გავუარო და პირდაპირ სადგურზე!..

ეს ცა მაინც სუფთაა და კასკასა, მაგრამ...

სად დაიკარგა წითელი სხივები!

ეს რა შავი, კუპრივით შავი ღრუბელი მოგორავს დასავლეთიდან. დაიგრგვინა, დაიგრუხუნა მოულოდნელად, გაუგონრად.

არასოდეს არ ხდება ასე, როგორ შეიძლება თეთრი ცის განრისხება. რა მოხდა?

ოჰო, რა ელვისებურად მიგრიავენ ღრუბლები, როგორ ფარავენ ყველაფერს!

ცხადია, გაავდრდება, სჯობია მივწვე.

**23 ივნისი**

ნახევარსაათიან შესვენებაზე ვწერ. ვინ იცის, რა გველის ერთი საათის შემდეგ, იქნებ უფრო მალეც. ირგვლივ ყველაფერს ცეცხლი უკიდია. იწვის ქალაქი. სიკვდილის სუნი დგას. აგერ, ახლაც სულ ახლო დაიწივლა ტყვიამ. მე ამცდა, მაგრამ ვიღაც აკვნესდა მოშორებით.

მე კი ვწერ, რადგან მინდა ის დავტოვო ამ რვეულში, რაც მთავარია.

ახლა მართლაც შეიძლება ვისმეს ჩაუვარდეს ეს რვეული ხელში. თავისებურად მოუყაროს თავი ამ ამბავს და მინდა წრფელი დავრჩე ბოლომდე.

კვირას, 22 ივნისს, დილის ოთხ საათზე მეხისმაგვარმა გრიგალმა წამომაგდო საწოლიდან. „ქვეყანა ხომ არ იქცევა, მეთქი", გავიფიქრე. არც შევმცდარვარ. სწრაფად ჩავიცვი და ტელეფონიც აწკრიალდა. ნაწილში მეძახდნენ დაუყოვნებლივ.

საველე ჩანთაში ჩავალაგე, რაც მჭირდებოდა, და ქუჩაში გამოვვარდი.

ქალაქს უკვე ეღვიძა. თვითმფრინავები გაბმული ღრიალით იკლებდნენ ყველაფერს. დასავლეთიდან ხანძარი გაუჩნდა ცას.

შეუჩერებლივ მივრბოდი, ჩემი დანაყოფისკენ, ჩემი ბიჭებისკენ.

აქა-იქ ეცემოდა და სკდებოდა ბომბები. იწვოდა სახლები, იყო ზარი და მოთქმა. გუგუნებდა საზენიტო არტილერია.

ვის ესვრიან? რა ხდება?

პოლკი მოწყობილი დამხვდა. კომისარს შევეჩეხე მოულოდნელად. იგი ვიღაცას უყვიროდა გაბრაზებით. ყაზარმები დაიცალა.

ნაწილი ეზოდან გავიდა და თვით-

ფრინავების ესკადრილიაც დაესხა ყაზარმებს.

ათიოდე წუთში მიწასთან გაასწორეს ყველა ნაგებობა.

კარგა მოთენებული იყო. ჩვენ უკვე ტყეში შევედით. მხოლოდ ახლა გახდა ნათელი, მხოლოდ ახლა გავიგეთ, რაც მოხდა.

ომი, ომი ფაშისტურ გერმანიასთან!

ო, რა მზაკვრულად წამოგვეპარნენ. სწორედ ისე, როგორც ის შავი ღრუბლები გუშინ საღამოს.

მშვიდობით, მშვიდო ცხოვრებავ, მშვიდობით, იმედებო...

კომისარმა გამომიძახა.

— გისმენთ, ამხანაგო ბატალიონის კომისარო!

— გიორგი, უნდა გაიმეტო თავი, ძმაო! უნდა გაბრუნდე ქალაქში და მიეშველო ევგენიას, სერიოჟას. ალბათ, თამარიც უკვე ბელოსტოკშია. იქნებ, მოახერხო და გაგზავნო ზურგში! გამიგე? აბა, შენ იცოდე!

— არის, ამხანაგო კომისარო! ყველაფერს გავაკეთებ. თქვენ ნუ იდარდებთ, არკადი პეტროვიჩ! რომელი მიმართულებით წახვალთ?

— არ ვიცი! — უცებ მიპასუხა კომისარმა და დაუმატა:

— უნდა დაგვეწიო, უნდა მოგვნახო! აბა, ახლა გასწი, ჩემო გიორგი, ეჰ, მოდი, ერთი ჩაგეხვეო!

მომიახლოვდა, ერთმანეთს ჩავეხვიეთ და ჩავკოცნეთ.

მანქანა არ მიძებნია, რადგან მანქანით მგზავრობა ბევრად უფრო საშიში იყო. ბელოსტოკიდან არც თუ ისე დიდი მანძილით ვიყავით დაშორებული და პირდაპირ სირბილით გავსწიე ქალაქისაკენ.

„მიხედე ევგენიას, სერიოჟას, ალბათ თამარიც უკვე ბელოსტოკშია", — მესმოდა კომისრის ხმა.

მართლაც და რა მოუვიდა თამარს, ტიაპკინის ოჯახს, იქნებ დავაგვიანე, იქნებ...

მოვრბოდი და ბომბების გრიალთან ერთად ფეხდაფეხ მომდევდა ეს შავი ფიქრები.

წინ, ოციოდე ნაბიჯში ბომბი სამსართულიან სახლს დაეცა და კინაღამ ნანგრევებში მოვყევი, ანგარიშს არ ვუწევ არაფერს, მივრბივარ სულმოუთქმელად. კიდევ ერთი შესახვევი, მერე მთავარი ქუჩა და ქუჩის გადაღმა სადგური, მაგრამ სადგურისკენ რატომ მივდივარ? ჯერ ხომ ტიაპკინის ოჯახში უნდა მივსულიყავი... შემოვბრუნდი და სწორედ ამ წუთში სატვირთო მანქანამ კინაღამ გამიტანა. ჩემდაუნებურად გავაყოლე თვალი ქოთქოთით მიმავალ მანქანას. მანქანა სავსე იყო ბავშვებით, ქალებით, ჩემოდნებით.

— გიორგი, გიორგი ვასილიჩ! — მომესმა მანქანიდან ევგენია ნიკოლაევნას განწირული ხმა.

— ბიძია გიორგი, ბიძია გიორგი! — ეს სერიოჟაა, არკადის ბიჭი. მანქანაზე სხედან, არა, უკვე წამომდგარან და მეძახიან, შველას მთხოვენ. ძალა მოვიკრიბე და გავიქეცი, გავიქეცი მთელი სისწრაფით, როგორც კი შემეძლო... თითქოს ვეწევი და ვეღარც ვეწევი მანქანას, ხელებს ვიწვდენ, ძარას ვეჭიდები... აღარ ვიცი, როგორ ავედი ძარაზე, როგორ მოვბრუნდი...

— არკადი ხომ ცოცხალია, გიორგი ვასილიჩ? — მეკითხება სახეაშლილი ევგენია ნიკოლაევნა.

— ხომ ცოცხალია მამაჩემი? — ჩამძახის სერიოჟა.

მე სულს ვიბრუნებ და დედაშვილს ვამშვიდებ.

— ცოცხალია, ცოცხალია, ევგენია ნიკოლაევნა, ჩემო სერიოჟა! თქვენთან გამომგზავნა, თქვენი დარდი აწუხებს.

მანქანა კი მირიხრიხობს და ჩვენ თავს ძლივს ვიკავებთ.

როგორც იქნა, მივაღწიეთ სადგურამდე. მეთაურთა ოჯახები მანქანიდან ჩამოდიან და, ვის როგორ შეუძლია, ისე მიიკვლევს გზას ბაქნისაკენ.

სადგურს ყოველი მხრიდან მოაწყდნენ ხალხითა და ბარგით გაჭედილი მან-

ქანები. ერთმანეთში ირევა ტირილი და ძახილი, ბავშვებისა და ქალების ხმები.

— აბა, რაც შეიძლება სასწრაფოდ მომყევით! — ვეუბნები ევგენია ნიკოლაევნას, ცალ ხელში ჩემოდანი მიჭირავს, მეორე ხელით კი სერიოჟას მივათრევ. მივდივართ, მივრბივართ... მესამე ლიანდაგზე სახალხო მატარებელი დგას. ხალხით სავსე მატარებელი. დასაჯდომ ადგილებზე ოცნებაც შეუძლებელია, ფეხზე დასადგომიც რომ მოგვახერხებინა!

მივადექი ერთ-ერთი ვაგონის ფანჯარას. სერიოჟა ავწიე. იგი ფანჯრის რაფას მოეჭიდა და ვაგონში გადახტა. ჩემოდანიც გადავეცი. ევგენია ნიკოლაევნა დიდი ვაივაგლახით ავიდა ვაგონში. სერიოჟა გაფითრებული დაგვხვდა, შეშინებოდა.

— ნახვამდის, ევგენია ნიკოლაევნა, ჩემო სერიოჟა. არკადი პეტროვიჩის დარდი ნუ გექნებათ. თქვენ თავს მიხედეთ როგორმე. თამართან ჩადით მოსკოვში, იქ დაგიკავშირდებით!

თამართან!

— თვითონ თამარი სად არის? — ერთსა და იმავე დროს ვიძახით მე და ევგენია ნიკოლაევნა.

ალბათ ამ მატარებლით ჩამოვიდა!

ევგენია ნიკოლაევნა გადამეხვია.

მე სერიოჟა ჩავკოცნე.

— შენ ერთადერთი მამაკაცი ხარ, სერიოჟა, ორ ოჯახში და, აბა, შენ იცი!

ბავშვი ყელზე მომეხვია და ერთხელ კიდევ ჩამკოცნა.

— მამას არ მოშორდე, ბიძია გიორგი!

უკან გამოსვლა უფრო გამიჭირდა, მაგრამ გამოვაღწიე, როგორც იქნა.

მივდივარ, ხალხს მივარღვევ, ვათვალიერებ ყველას და ყველაფერს, აქეთიქით ვაცეცებ თვალებს, ვეძებ, ვეძებ...

— გიორგი, გიორგი!

ოჰ, ნეტავ არ გამეგონა ეს ხმა. ნეტავ ეგრძნო თამარს და არ გამომგზავრებულიყო მოსკოვიდან. მოვიხედე და მხოლოდ მის ხორბლისფერ თმას და დიდრონ თაფლისფერ თვალებს მოვკარი თვალი.

ვიღაც მხრებზე აწვებოდა, ვიღაც უყვიროდა, ის კი მე მეძახდა, მე მეძებდა...

— თამარ, თამარ! ნუ გეშინიან, ცოცხლები ვართ!

ვაგონის ფანჯარასთან მივედი და ფეხის წვერებზე ავიწიე.

— ევგენია ნიკოლაევნა მეზობელ ვაგონშია, სერიოჟაც მასთან არის, შენთან მოდიან მოსკოვში, ჩვენც იქ დაგიკავშირდებით... არაფერი იდარდო, ყველაფერი კარგად დამთავრდება. ნუ სტირი, ნუ სტირი...

— მშვიდობით, გიორგი!

— არა, თამარ, ასე ნუ იტყვი, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს! ნახვამდის, თამარ!

თამარი ტიროდა. მეც არ ვიყავი მოლხენილი. ეჰეი, ბედო!

ამ დროს თამარის ახლო, ქვევიდან პატარა გოგონამ ამოჰყო თავი. თამარი წამოეშველა, ოდნავ ასწია და გადმოახედა.

ეს იყო ძალიან ლამაზი, თვალებცქრიალა გოგონა...

მატარებელი დაიძრა. მე კარგა ხანს მივდევდი ვაგონს, მივდევდი მანამ, სანამ შემეძლო. მატარებელი წავიდა. მე ვიდექი და დიდხანს გავცქეროდი გზას...

ჩემს უკან, მოშორებით ბომბი დაეცა. დაინგრა და დაიმალა სადგურის შენობა. კივილი, შემზარავი კივილი...

მაღლა ავიხედე. ფაშისტების თვითმფრინავებით დაფარულიყო ცა.

გავწევი.

გამუდმებით ცვივა ბომბები...

ცვივა სიკვდილი, ასე სუფთა და კასკასა ციდან.

ესკადრილია მწყობრად მიიწევს აღმოსავლეთისაკენ. მე გულაღმა ვწევარ და თვალს არ ვაშორებ თვითმფრინავებს.

მიფრინავენ, მიღრიალებენ სწორედ იმ მიმართულებით, საითაც მატარებელი წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვდექი. ცახცახებს სხეული და მიჭირს თავშეკავება.

ვდგავარ სისხლგამშრალი. ვუცქერი ცას და ველი... ველი და, ასე მგონია, მე მიმიზნებენ შავი მფრინავები. და მართლაც სწორედ ამ დროს მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა...

თვითმფრინავებმა ბომბები ჩამოყარეს, ჩემგან შორს, იქით, აღმოსავლეთისაკენ...

ძლივს მივათრევ ფეხებს. მივდივარ, მაგრამ საით! საღამო ხანს, როგორც იქნა დავეწიე ნაწილს. იმ წამსვე კომისარი ვნახე და დავამშვიდე.

— ჩასვი? შენ თვითონ ჩასვი მატარებელში? — მეათეჯერ მეკითხებოდა იგი.

— მე თვითონ, არკადი პეტროვიჩ. თამარიც ვნახე, ბავშვიც. მეზობელ ვაგონში იყვნენ. სანამ მატარებელი თვალს არ მოეფარა, არ წამოვსულვარ.

— იქნებ დაბომბეს!

— ასე რატომ ფიქრობთ, მშვიდობით ჩავლენ... გამხნევდით, არკადი პეტროვიჩ!

— გმადლობთ, ჩემო გიორგი! გმადლობთ, ძმაო! ახლა კი ბრძოლისთვის ვიფიქროთ და მოვემზადოთ!

მე ჩემი დანაყოფისაკენ გამოვსწიე.

აი, ახლაც უკვე აიშალნენ და მიდიან. ალბათ კარგა ხანს აღარ მომიწევს ამ რვეულში ჩახედვა და, საერთოდ, მომიწევს კი?

წინ ცეცხლია და სიკვდილი, მაგრამ ჯიუტი რწმენა გამარჯვებისა უკვე ჩასახლდა სულში. ერთი ათად უნდა ვიქცეთ. დაუნდობლად უნდა გამოვლადრო ყელი ყველას, ყველას, ვინც ასე მშვიდი და ლამაზი ცხოვრება დაგვირღვია. ვაი მას, ვისაც პირდაპირ შევხვდები, ვაი მას!..

მებრძოლებს ვაკვირდები. წარბშეკრულნი მიაბიჯებენ უხმოდ.

ესენიც ჩემსავით ფიქრობენ.

მე ამას ვგრძნობ.

— ამხანაგო კაპიტანო!

— ო, ეს შენ ხარ, ჩხეიძე. ყველანი ცოცხლები ხართ?

— ცოცხლები ვართ, ამხანაგო კაპიტანო!

— არ შეშინდეთ!

— რას ბრძანებთ, შიში რა სათქმელია, ოღონდ ეს მითხარით, სად მივდივართ? საით არის მტერი? ზევიდან გვცემს მხოლოდ, ფაშისტებს ვერ ვხედავთ. შეხვედრა კი გვინდა და მაშინ...

მე კარგად მახსოვს ამ ყმაწვილის მხიარული, თითქმის უდარდელი სახე, მაგრამ ეს ზესტაფონელი ბიჭი იმას აღარ ჰგავს, მაშინ რომ მღეროდა ჩემს ოთახში მრავალჟამიერს. სახე ჩამუქებია. თითქოს წლებიც მომატებია და თვალებში ნაღველი ჩასდგომია.

— შევხვდებით, ჩემო კარგო, სულ მალე შევხვდებით და აბა თქვენ იცოდეთ, თავი უნდა ისახელოთ. ახლა კი ნახვამდის, გივი! ყოჩაღად იყავით!

— ნახვამდის, ამხანაგო კაპიტანო! — ჩხეიძე წავიდა. მეც მალე გავყვები ამ ბილიკს.

ნეტავ, თუ მოვესწრები ჩემი გოგიას ნახვას! მივდივართ, წინ ბრძოლებია, წინ მტერია, წინ ომია და სიკვდილი.

მერე რა ვუყოთ...

მოდიან ჯარისკაცები, მე თვალებში ჩავცქერი მათ და ვხედავ ცეცხლს, მე გულებში ჩავცქერი მათ და ვხედავ ძალას.

ასე.

დავამთავრე ჩემი დღიური. წინ სროლაა. მოწინავენი უკვე ჩაებნენ ბრძოლაში...

* * *

უკანასკნელი გვერდიც ჩაათავა გოგიმ. მაგრამ მაინც თვალი ვერ მოეწყვიტა რვეულის დამღნარი ფურცლისათვის. იჯდა თავჩაღუნული, უძრავად.

საიდან გაჩნდა ცრემლი თვალებში.

აჰა, გოგი ლომიძის წინ გაირბინა მამის ცხოვრებამ.

ყოველი წვრილმანი აღიქვა შვილის გულმა, ირწმუნა და დაუჯერა მამის კალამს.

მამის ცხოვრება, არა ვისმეს ნაამბობი თავშესაქცევად, არამედ თვითონ გიორგი ლომიძის მიერ გამხელილი ცხოვრება.

ყოველი დღე, წუთი და საათი დამაფიქრებელი და უცნაურად ჩახლართული.

ცრემლი შეიმშრალა, თავი ასწია და უცებ შერცხვა...

რატომ აჩქარდა, რატომ ვერ მოერია გულს. რას ერჩოდა გიორგი ლომიძეს, სადაა მისი დანაშაული!

მამა უბრალოა, ბოლომდე ერთგული და მოსიყვარულე შვილის და ოჯახის.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გამოჩენილა ლომიძის ვარსკვლავი ცაზე, გამოჩენილა და ისიც არ ანთებულა, გამქრალა უკვალოდ... უკვალოდ?

ისევ გადაფურცლა რვეული. ახლა აღარ კითხულობდა, ფიქრობდა მხოლოდ.

„შენ მართალი ხარ, მამაჩემო, ცამდე მართალი, მაგრამ მაინც უბედური ხარ...

მე და მარინეც არაფერში ვართ დამნაშავენი. გმადლობთ შენ, გიორგი ლომიძე, რომ არ დამაშხამე ყმაწვილკაცობა, გმადლობთ შენ, ძვირფასო მამავ, რომ შენი წარსულით, შენი სინდისით გამათავისუფლე დღევანდელი შხამისაგან.

ჩვენ რა, შევხვდით და შევიყვარეთ ერთმანეთი...

ვის რა დაუშავა ამ სიყვარულმა. საბედისწეროდ გათენდა დღევანდელი დღე, მაგრამ, გმადლობთ შენ, მამაჩემო...

მაპატიე!“

კედელს გახედა, მაგრამ კედლის საათის გვერდით მამის სურათი აღარ ეკიდა. უცებ წამოხტა, სურათი აიღო და მოწიწებით ჩამოკიდა თავის ადგილზე.

თვალი ვერ მოაშორა სურათს.

თითქოს იღიმოდა გიორგი ლომიძე. ახლა მართლაც იღიმოდა. თითქოს სათქმელი გაემხილა და იღიმოდა...

„მაპატიე მამა!

მარინე?

მარინე ჩემია. ჩემი პატიოსანი და კანონიერი სიყვარულია.

ეს ყვითელი რვეულია ამის თავდები, მაგრამ“...

სად არის მარინე?

ვინ მოწამლა მისი კეთილი გული. ვის დასჭირდა ეს უსინდისობა.

იფიქრა და დიდხანს იტეხა თავი, მაგრამ ვერა, ვერას გზით ვერ მიაკვლია დამნაშავეს. მხოლოდ ერთხელ გაუელვა—ლოლისა? და იმ წამსვე ჩაიქნია ხელი.

მაინც ვინ მივიდა მარინესთან?

ან ახლა სად არის მარინე?

სად წავიდა! ვის მიაშურა!

უნდა მოიძიოს, უნდა იპოვოს. დღიურები წააკითხოს და...

„შენ ნუ დამიწყებ ძებნას, გოგი. საერთოდ ნუ დამიწყებენ ძებნას“.

„ვაი, თუ დავაგვიანე!

ჩემო მარინე, ჩემო გაწამებულო მეგობარო. ისევ მამაჩემმა გვიშველა. ისევ გიორგი ლომიძემ გაფანტა ეს სიმძიმილი. ნუ, ნუღარ შფოთავ! მე არა ვარ შენი“...

მაინც უსიამოდ შეირხა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წუთით...

მაინც სად არის მარინე?

ტელეფონის ზარმა გაიწკრიალა. ეკლად დაესო ეს ხმა გოგის გულს. ყურმილს ეცა და სანამ ყურმილს ყურთან მიიტანდა, ამის გაფიქრება მაინც მოასწრო:

„ნეტავ მარინეს ხმა გამაგონა ახლა და თუნდაც გამნახევრებოდეს სიცოცხლე“.

— გისმენთ!

— გიორგის ცოცხალს მოუსწარი, გოგი, საავადმყოფოში!

— რაო? — იღრიალა გოგიმ.—ვინ ხართ?

მაგრამ ყურმილში ხმა მიწყდა.

გიჟივით გავარდა ოთახიდან.

წვიმდა. ქარს დალეოდა ძალა.

გოგი ლომიძე მირბოდა უქუდოდ, თმაგაშლილი, გონწართმეული. საავადმყოფოში შევარდა. გრძელი დერეფანი გაირბინა. ვიღაც თეთრხალათიანმა ქალმა ერთ-ერთ პალატაზე მიუთითა და უნდოდა უბრად ჩაევლო, მაგრამ გოგიმ შეაჩერა.

ბავშვური გულუბრყვილობით შეხედა გაფითრებულ ქალს და ხმის კანკალით ჰკითხა:

— თქვენ, თქვენ რას მეტყვით?

ქალმა თითქოს გააღო პირი, თითქოს უნდა რაღაც თქვას, დაამშვიდოს, მაგრამ უცებ ტირილი წასკდა, თვალებზე ხელები აიფარა და გაიქცა.

— ვაი ჩემს თავს! — აღმოხდა გოგის. მოწყდა, მოითენთა. პალატისაკენ წავიდა წელმოწყვეტილი, კარებთან შეჩერდა. მთელი ტანით კანკალებდა, სახელურს ჩაეჭიდა და სული მოითქვა.

„ნუთუ ყველაფერი დამთავრებულია!?“

როგორც იქნა, შეაღო კარები, შევიდა, მაგრამ იმ წუთსვე ვერაფერი დაინახა. თვალებზე ბინდი გადაკვროდა. იქვე შედგა და კედელს აეყუდა. თავს ძალა დაატანა, ძალა მოიკრიბა. ოთახში ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ვერავინ შეიცნო, ვიღაც მიუახლოვდა. ჰო, ეს ვლადიმერია!

— რა ამბავია ჩემს თავს, ბატონო ვლადიმერ?

ჯუღელმა ხელი-ხელზე მოუჭირა და არაფერი არ უთხრა...

საწოლისკენ გადადგა ნაბიჯი. ჩხეიძე შენიშნა.

— შენ მაინც მითხარ, გივი!

გივი ხმამაღლა ტიროდა.

უკვე გვიანღა იყო. გიორგი ლომიძე საწოლზე უძრავად იწვა.

— მამა, ჩემო გატანჯულო მამა! — გოგი საწოლის წინ მუხლებზე დაეცა, გიორგის გაცივებულ ცხედარს, დადუმებულ გულს, ჯერ კიდევ დაუმჭკნარ ხელებს ჰკოცნიდა და ბღაოდა. გიორგი ლომიძე კი მშვიდად იწვა... თითქოს იღიმოდა. თითქოს ოდნავ გახსნოდა ბაგე და იღიმოდა. ოთახში ყველანი ტიროდნენ. ვლადიმერ ჯუღელსაც ცხვირსახოცი თვალებზე აეფარებინა და კუთხეში თავისთვის იცრემლებოდა.

* * *

გიორგი ლომიძე დიდი პატივით დაკრძალეს.

სამგლოვიარო პროცესია საავტომობილო ქარხნის საერთო საცხოვრებელი ბინიდან, ნინოშვილის ქუჩისაკენ გაემართა. ლომიძის ნეშთი ძელქვიანის სასაფლაოზე მიჰქონდათ. კუბოს გივი ჩხეიძე, ლადო ბრეგაძე, შოთა ვარდანიძე და ვლდამერ ჯუღელი შედგომოდნენ.

ძელქვიანის სასაფლაოზე სწორედ მეუღლის გვერდით გაეთხარათ სამარე.

ივლისის წყნარი საღამო იდგა.

კუბო სამარის წინ დაასვენეს. გოგი აღარ ტიროდა. გულხელდაკრეფილი იდგა და ხანდახან მამის მკერდზე დაწყობილ, უკვე დამჭკნარ ხელებს მიშტერებოდა. ორმაგად მკვდარი იყო, მამა დაჰკარგა, მერე რა მამა! ეგ ერთი, მაგრამ, თუ მარინე სადმე არსებობდა, თუ იგი ცოცხალი იყო გიორგი ლომიძის დასაფლავებაზე უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ აი, კუბო სამარეში ჩაუშვეს. მიწა ფრთხილად მიაყარეს, ზედ ყვავილების გვირგვინები შემოაწყეს.

ძელქვიანის სასაფლაოს ერთი საპატიო სამარეც შეემატა. ხალხი დაიშალა, სასაფლაოდან გავიდნენ. მარინე კი არა და არ გამოჩნდა.

იდგა გოგი გვირგვინით დაფარულ სამარესთან და მისი გონება ასეთ ფიქრებს უტრიალებდა.

ამ უცნაურ საქმეს თავად ვლადიმერ ჯუღელი ირკვევდა. მთელი ქალაქი შეანძრია. ვინ არ ჩარია, ვის არ შეატყობინა. მაგრამ მარინეს გზა-კვალს მაინც ვერ მიაგნო.

ლადო, გივი და შოთა თავის მხრივ ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ, გათენებიდან დაღამებამდე დარბოდნენ და

მარინე თითქოს მიწას ჩაეყლაპა, არა და არ ჩანდა.

სანდრო მელია არავის დაუნახავს იმ დღეებში.

ლადო გორდაძე ერთ-ერთი საფლავის რკინის ღობეს მიყრდნობოდა. სამუდამოდ გამოეთხოვა იმ ადამიანს, რომელმაც სიცოცხლე შეაყვარა და სწორ გზაზე დააბრუნა. იდგა, თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა, ვიღაცას დაეძებდა.

სამი ღამე, მელიას სახლთან ყარაულობდა, სამი ღამე თეთრად გაათენა და რომ ვერსად შეხვდა, კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ ლომიძის სიკვდილში ბრალი იმ გაიძვერას ედო. მთელი თვის ნაავადმყოფარს გავდა ლადო, ეს სამი დღეა ლუკმა არ ჩაუდევს პირში.

გორდაძეს გივი და შოთა მიუახლოვდნენ.

— ხომ არ დაგინახავს!—შეეკითხა გივი.

ლადომ თავი გააქნია და კბილები დააღრჭიალა. დღეს უფრო გაბოროტებული ჩანდა.

— წავიდეთ, ლადო, გოგის მივხედოთ!—მკლავში ხელი გამოსდო გივიმ. გორდაძემ გივის ხელი მოიშორა და წასასვლელად გაიწია.

— სად მიხვალ, ბიჭო!

— სანამ მელიას არ ვნახავ, ვერ მოვისვენებ, უნდა დავაღრჩო!—ამოიღრინა და წავიდა.

ბიჭები წამოეწიენ.

—ასეთი მუქარა მეორედ არ გავიგონო, ამას იმიტომ გეუბნები, ჩემო ლადო, რომ შენი თავი იმ კაცმა ჩამაბარა, რომელსაც ახლა მივაყარეთ მიწა.

— მე ბავშვი აღარ ვარ, გივი!

თვალები ცრემლებით ავსებოდა ლადოს.

შოთამ მხარზე ხელი გადახვია, დაუყვავა.

— მოვნახოთ, ერთად მოვნახოთ! სად წაგვივა. თვითონ ვლადიმერ ჯუღელი დაეძებს მას და, მგონი, იპოვის. ჩვენ რომ ავჩქარდეთ, არ ივარგებს? ბავშვები არც ჩვენ ვართ და მოდით, ერთად მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ. ახლა გოგის გავყვეთ, ხომ ხედავ, გამშრალია კაცი.

ლადომ გოგისკენ გაიხედა. გოგი ისევ ქანდაკივით იდგა მამის სამარესთან. მკერდზე ხელი დაიკრა გორდაძემ და ბიჭებს მიუბრუნდა.

— თქვენ გოგის ნუ მიატოვებთ, მეც მალე წამოგეწევით,—ეს თქვა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა, ყური მოჰკრა პროცესიას სანდრო მელიაც მიყვებოდაო, — თუ ძმა ხარ, გაყევი, შოთა,—ამ ხასიათზე მელიას სადმე რომ გადაეყაროს ხელში შემოაკვდება. გაჰყევი შორიახლო. ეტყობა რაღაც იცის, ის მაინც გაიგე სად მიდის. მე გოგის წავყვები სახლში. თქვენც იქ მიდით.

შოთა წავიდა. გივი გოგისთან დაბრუნდა.

ვარდენიძე შორიახლო მიჰყვებოდა ლადოს. ღამდებოდა და ეშინოდა, მხედველობიდან არ დაჰკარგოდა. ხან წამოეწეოდა, ხან კიდევ შეჩერდებოდა და იცდიდა.

ნინოშვილის ქუჩას მიჰყვებოდნენ.

მხოლოდ ერთხელ მოიხედა უკან შოთამ, მხოლოდ ერთხელ, და ამასობაში გორდაძე სადღაც მიიმალა.

შოთა გაიქცა.

ქუჩის მეორე მხარეს ბნელ ჩიხში გორდაძე მელიას გადაღგომოდა წინ. საყელოში ხელი ჩაევლო და იქვე გზის პირად მდგომ თუთის ხისკენ მიათრევდა.

— ვინა ხარ? ვაიმე მიშვ....

— ხმა, თორემ გაგათავებ!

— წაიღე, ყველაფერი წაიღე, ოღონდ სული შემარჩინე, ფულიც მაქვს, საათიც...

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ი. ა. გონჩაროვი

# ატლანტიკის ტროპიკებში

**(წერილი ვ. გ. ბენედიქტოვს)***

**(თავი წიგნიდან—„ფრეგატი „პალადა“)**

თქვენს პოეტურსა და მეგობრულ დალოცვაში, ვლადიმირ გრიგორიევიჩ, მითხარით, დედამიწას უნდა შემოუაროთო. აგერ მეოთხედი გზაც არ გამივლია, რომ ამ თვალუწვდენელ სივრცეზე, ატლანტიკის, სამხრეთ პოლარული და ინდოეთის ზღვების საზღვარზე, უკვე მომინდა გაგესაუბროთ; ახლა ყველას სძინავს, მხოლოდ მევახტე ოფიცერი, მე და ოკეანე ვფხიზლობთ. მინდა შევამოწმო, განა ამ სიშორიდანაც „მოგვწვდებათ გულითადი ხმა“, როგორც თქვენ მიწინასწარმეტყველეთ? სამწუხაროდ, ეს ჩვენს გულზე მეტად ფოსტის წესიერებაზე უფროა დამოკიდებული.

კი მინდა, მართალი ენით აგიწეროთ, სადა ვარ, რას ვხედავ, მაგრამ ბევრ რამეზე მეტისმეტად ბევრ სიტყვას ხარჯავენ, თუმცა სათქმელი არაფერია; ზოგიდან კი, რაც არ უნდა თავი მოიკლა, მქრქალ ასლსაც ვერ გადაიღებ, თუ თქვენი წარმოსახვის და ფერების ნიჭი არ ასესხეთ. ინგლისიდან მოგწერეთ, რომ სასწაულებმა ჭირი მოგჭამა, საზეიმო ამბები ჩვეულებრივად იქცევა, ჩვენც წარგვყვნა ეგრეთწოდებულ ამა ქვეყნის სასწაულების ნაადრევმა და ზეპირმა ცოდნამ, გვრცხვენია კიდეც ამ სასწაულების, ვისწრაფით კიდეც სასწაულებს პოეზიის ყოველგვარი სამოსი შემოვაგლიჯოთ, გვეშინია, ვინმემ არ დაგვწამოს, რომ სასწაულის გვჯერა ან ბალღებივით გვიტაცებს იგი: ჩვენ ხომ გავიზარდეთ, ჰოდა, გვირჩევნია მოწყენით ვიყურყუტოთ ან იქით მოვაწყინოთ ვინმე. სად ვეძიოთ პოეზია? ეს ანალიზირებულია, შესწავლილია და იდუმალების საფარვლისგან გაძარცული, ის უკვე მობეზრებული გვაქვს, სხვა მხოლოდ ბალღის ტიტინი აღმოჩნდა. სად გაქრა პოეზია, რა გზა დარჩენია პოეტს? ის თითქოს შტატგარეშე აღმოჩნდა. რა ქნას, თანამედროვე იდეა საგარეო ხიფთანივით პოეზიით შემოსოს თუ ძველებურად მშობლიურ ტყე-ველში იხეტიალოს, მთვარეს უცქიროს, ვარდები ყნოსოს, ბულბულებს უსმინოს ან, ბოლოს, აქ, ამ მცხუნვარე ცის ქვეშ ეძიოს იგი? მასწავლეთ, გეთაყვა.

მოგზაურობაში ჭერჭერობით იმდენად სიახლე კი არ მატყვევებს, რამდენადაც მოგონებები მხიბლავს. როცა პრაქტიკულად გავდივარ გეოგრაფიის ყოველ გაკვეთილს, მაგონდება შორეულ ქვეყნებსა და ზღვებზე რა გატაცებით, რა გზნებით ვფიქრობდი ოდესღაც და ხელახლა განვიცდი თითქოს ჩემს ბავშვობასა და ყრმობას. მაგრამ ხანდახან ბრაზიც ამიტანს. აგერ, საზღვაო რუკას დავყურებ, რომელიც ხაზებით, წერტილებით, ისრებითა და წარწერებით გადაუჭრელებიათ. „ამა და ამ განედზე, —ვკითხულობ ერთგან, — ამ და ამ გრადუსებზე ასეთი და ასეთი ქარი დაგხვდება“, თან თვეცა და რიცხვიც აწერია. „იქ ამ და ამ დროს გრიგალში მოხვდები“, — და ისიც სწერია, როგორ უნდა დააღწიო თავი მას. „ამ და ამ პარალელით იარე, იქ მუსონში აღმოჩნდები, ის კი ჩინეთსა და იაპონიამდე მიგიყვანს“. შემდეგ კიდევ უკეთესს წაიკითხავ: „ამა და ამ გრადუსზე პირველად დაინახავ ზვიგენს, აქ მფრინავ თევზებს“ და რა გგონია, მართლაც დაინახავ. „ს. გ.-ის $38^{\circ}$-ზე და ა. ს. ის $75^{\circ}$-ზე ჩიტები სხედანო“.—„ოჰ, ეს კი სისულელეა,—ვიფიქრე,—მართლაც ხომ არ სხედან და გველიან—მეთქი“. ყველას შევეხვეწე, როცა ამ ადგილს მივალთ, უთუოდ მაცნობეთ-მეთქი. ერთ დილას მითხრეს, უკვე მივედითო: ავიღე ჭოგრიტი და საკმაო მანძილზე შავი წერტილები გავარჩიე. მივუახლოვდი: ზღვის ფრინველთა გუნდი ტალღებზე ტორტმანებს. ბოლოს წაიკითხავ, რომ ატლანტიკის ტროპიკებში თერმომეტრი რეომიურით $23^{\circ}$-ზე მეტს არ აჩვენებს ჩრდილშიო. და მართლაც არ აჩვენებს.

მხოლოდ ერთი რამ არ შეუტანიათ რეპერის ცხრილში, ერთი არ დამორჩილდა ანგარიშსა და ციფრებს, მხოლოდ ამ ერთის აღნიშვნა ვერავინ მოახერხა რუკაზე...

* ი. ა. გონჩაროვის წიგნის — „ფრეგატი „პალადას“ ქართულ თარგმანს ბეჭდავს გამომცემლობა „ნაკადული“.

მაგრამ მაცალეთ და ამ სასწაულებს რიგის მიხედვით მივყვები, როგორც მე მივაღწიე იმათ.

უკვე მოგწერეთ, რარიგ მომხიბლა მადერის კუნძულმა (და ღვინომაც!). როცა თვალს მოეფარა მისი ჯადოქრული სურათი, ცოტა არ იყოს გული დამწყდა. ვითომ ამას მადერაზე მოგზაურობა ჰქვია? ესპანეთი ცხვირწინ გვიდევს, რაღაც სამასი მილი იქნება იქამდე! ეს ხომ ევროპის ჰოსპიტალია.

მაგრამ აი, ოცდაათ გრადუსზე გავედით: უფრო და უფრო დათბა. „ორთქლი ძვალრბილს არ დაგიმტვრევსო“,—გამოუგონიათ ჩვენში ანდაზა; მაგრამ ეს ანდაზა ღუმელის უარყოფით ქებას შეიცავს, ის ხომ სითბოს გარდა სხვა არას ანიჭებს ორგანიზმს. მზის სითბოზე, მით უმეტეს, აქაურ სითბოზე მაშ რაღა უნდა ითქვას! ღმერთო ჩემო! რა დღეში აგდებს ადამიანს? რარიგ უმსუბუქებს მორალურსა თუ ფიზიკურ სიმძიმილს! თითქო ლოდი მოგხსნესო, რა ლაღად სუნთქავ, გრძნობ, ფიქრობ... ასე გრძელდება კარგა ხანს, დღეცა და ღამეც! დიდხანს ვიტრიალებთ კიდევ ამ ლურჯ, მარად კაშკაშა ზაფხულის ჯადოქრულ წრეში. წარმოიდგინეთ, მთელი ორი წელიწადი სულ ზაფხული იქნება.

აბა, ჩვენი ჩრდილოეთის მინიატურული ზაფხულის რამდენი წამი ჩაეტევა შიგ! „სად ვართ, პაპავ, ახლა?“—ვკითხე ერთხელ. „აკი მესამეჯერ გითხარით დღეს; აღარ გავიმეორებ“, ბუზღუნებს პაპა, მაგრამ ჩვეულებრივ მაინც მეტყვის. „აბა წამოდით,—და ხელით წამათრევს იუტზე. —ეს რა არის? შეხედეთ!...“—„რა და ღრუბელი!—„ღრუბელს რა უნდა! კარგად დააკვირდით: ჰო, რა არის?“—„ღრუბელია-მეთქი!“—„ღრუბელიო! სადაა ღრუბელი? პალმას კუნძულია“. — „რას ამბობთ! კანარის კუნძულებია?“ — „ნეტა როგორ ვერ შეამჩნიეთ?“—„რა ჩემი ბრალია, თუკი აქ ღრუბლები ნაპირსა ჰგავს და ნაპირი ღრუბლებს. ტენერიფი სად იქნება?“ — ვეკითხები და ოქროსფერ ჯანღს თვალით ვბურღავ, მაგრამ მოლურჯო „ღრუბლის“ მკრთალი მოხაზულობის გარდა, ვერაფერს ვამჩნევ. „ვერ დაინახავთ,—მეუბნება პაპა,—მის პარალელზე ვართ, ოღონდ შორს“. „სანტაკრუცში თუ შევივლით?“ — „ისევ შევლა გაკერიათ პირზე. ხშირ-ხშირად გამოგვივა! ასე იაპონიამდე როდის მივაღწევთ“. — „პალმა რომელ გრადუსზეა?“ — „წადით და რუკაზე ნახეთ თვითონ“. რას წავიდოდი, ვიცოდი, რომ მეტყოდა და მართლაც მითხრა: „27°-ზე. გუშინ მთელი საათი განა ამაზე არ ვისაუბრეთ“. „დამავიწყდა“. — “ნეტავ მე რატომ არ მავიწყდება?“—„აბა, პაპა ტყუილად ხომ არ გქვიათ. ეს პასატი უბერავს?“—ვკითხე და გემსართავს მოვეჭიდე, დროდადრო შევეაყანყალებდა ხოლმე. „ეშმაკმა იცის მაგის თავი! ვერ გაარჩევ!—ბუზღუნებდა პაპა. — ჯერ ადრეა, მაგრამ კი ჰგავს. ორი-სამი დღე უნდა მოვიცადოთ“.

გიარა ორმა-სამმა დღემ, არაფერი შეცვლილა: იგივე ქარი მიაქროლებდა ჩვენს ხომალდს, იალქნებს ბერავდა და სიგრილეს გვფენდა. ის ოდითგანვე ასე ერთნაირად უბერავს, ზღვას ნელა ატორტმანებს, არც კითხვას გიშლის და არც წერას, არც ფიქრსა და ოცნებას. სიცივისა და რწევის შემდეგ ასეთი სითბო და სიმშვიდე იმდენად საგრძნობი იყო, რომ გახარებულს არც კითხვის გული მქონდა და არც წერის. მხოლოდ ოცნებებს მივეცი თავი. რაზე ვოცნებობდი? პეტერბურგი, მოსკოვი, თქვენ მაგონდებოდით? ვაი რომ არა. ჩემი ოცნება ხომალდს უსწრებდა. ინდოეთი, მანილა, სანდვიჩის კუნძულები, აი რა მიტრიალებდა თავში, როგორც მთვრალს მის თანამესუფრეთა სახეები ბუნდად ერევა თვალში.

22 იანვარს შტურმანმა ოფიცერმა ლ. ა. პ (ოპოვმა) დილის ჩაიზე მითხრა: „მომილოცნია, დღეს დილის რვა საათზე ჩრდილოეთის ტროპიკი გადავჭერითო“. — „მე კი ღამით შემცივდა-მეთქი“. „როგორ?“—„როგორ და შემცივდა: ეტყობა, ჩვენთაგან რომელიმე გაცივებულა, ან მე, ან ტროპიკები. ბანის ქვეშაზე ვიწექი და „ღამის ზეფირი მაფრქვევდა ეთერს“ შილიფად ჩაცმულს.

„აბა, მოჰყევით, ზღვა როგორია, ცა როგორი? რა ფერებია მანდ? — მესმის თქვენი კითხვები. — მზე როგორ ამოდის და ჩადის? ღამე რარიგ კაშკაშებს? ყველაფერი დიდებულია მანდ, არა?“ — „კარგია, თუმცა განსაკუთრებული არაფერია: ჩვენშიც იგეთია ზაფხულის ნარნარი დღე... იღუშებით? მაშ ნება მიბოძეთ, გკითხოთ: განა არის რაიმე ულამაზო ბუნებაში? მონახეთ გულში ბუნების სიყვარულის ნაპერწკალი, რომელსაც აჩშობს გრანიტის ქალაქი, ძილი მზის სინათლეზე, ფუსფუსი ბინდ-ბუნდში და ლამპის შუქზე, გააღვივეთ იგი, და აბა მაშინ სცადეთ ამოგლიჯოთ სურათიდან თუნდაც ერთი რომელიმე უშნო ადგილი. ყოველ შემთხვევაში, მე, მით უფრო თქვენ, მუდამ ასე გვემართებოდა ხოლმე: როცა ჩვენ სულს დროებით მაინც თავისი ტყვეობიდან ანთავისუფლებდნენ ყალბი და არანორმალური მოვლენები და შეგრძნებანი, როცა მწყობრად განლაგებულ ქუჩებსა და შენობებს შეჩვეული თვალი შემთხვევით, ერთი წუთით მაინც დაინახავდა პირველ ჰანჭყობიან მინდორს, ციცაბო ხრამს, როცა ვაშტერდებოდით ფიჭვნარის ტევრს, რარიგ შევხაროდით ყოველ კოლბახს, ქვიშნარიან ფერდობს და ჩირგვნარით შემოსილ ფლატეს, ყველაფერი პოვულობდა თავის ღირსეულ ადგილს ჩემს ფანტაზიაში და შედიოდა იმ მასალის მარაგში, რომლისაგან იქმნება უმაღლესი და უნატიფესი არტისტული მხარე ცხოვრებისა. ერთხელვე სულ-

ში აღბეჭდილი ეს მქრქალი, მაგრამ სიცოცხლით სავსე ჩამაფიქრებელი სურათები დღემდე რჩებიან სულში, და არაფერია, თუ მათ გვერდით სულში იჭრებიან ზეიმური, ხალისიანი და გასაოცარი მოვლენები.

თუკი სულს პოეზია მოსწყურებია, თუკი ბუნების თავისებურ, ბრწყინვალე სურათებს გთხოვს იგი, მათ სანახავად ტროპიკებში რად გინდათ გამგზავრება: სადაც არ ნახოთ ცა, ყველგან დახატეთ, დახატეთ ნევის პროსპექტის ტორზის ფილაქნიდან, როცა მზე სახლების სახურავების დაწვას და ლაპლაპს მოათავებს, ანიჩკოვისა და პოლიციის ხიდებ ქვეშ ჩაიღვრება და ჩეკუშას გაღმა მძიმედ ჩაესვენება; როცა ცა თითქო ღამის ბინდით მოიბურება, წუთით ჩაკრთება და მერე ისევ გაიკაშკაშებს. ასე ჩაფიქრდება ხოლმე ადამიანი, როცა რასმე ეძებს: სახე წუთით დაენისლება, და საძიებელს იპოვის თუ არა, მყის გაეხსნება, აცილდება ისევ მზე პეტერგოფს, მურინოსა და კრესტოვის კუნძულს ოქროს გადააფრქვევს. გამოტყდით, რომ მურიხოც, კუნძულებიც მაშინ დიდებული რამ სანახავია, ფინეთის ყურეც მდიდრულ ჩარჩოში ჩასმული სარკესავით ლაპლაპებს: იქაც ბრწყინავს და იქაც მარგალიტების, ზურმუხტის წყალჯავარი გადადის....

მაპატიეთ, ტროპიკებში მივცურავ და ჩეკუშაში კი ამოვყავი თავი, ფინური პეიზაჟი დაგიხატეთ; თუმცა იმის ბრალიცაა, რომ ტროპიკებზე სათქმელი ჯერ არაფერი მაქვს. ღმერთმანი, არ ვხუმრობ. ყოველ დღე, რა დროც არ იქნება, ვუყურებ ცას, მზეს, ზღვას, აგერ განედის 14°-ზეც გავედით, მაგრამ ცა კი ისევ ისეთია, როგორც ჩვენში იცის, ზემოთ, ზენიტისკენ ცისფერია, ჰორიზონტზე კი მომწვანო ხდება. ისევ თბილა, როგორც ჩვენში ივლისში იცის, ისიც ქალაქგარეთ, თორემ ქალაქში ქვა ახურებს და უფრო ცხელა. ჩვენ ტროპიკულად თეთრებში გამოვეწყვეთ, მერე კი გამოვუტყდით ერთმანეთს, თეთრები რომც არ ჩაგვეცვა, მაინც არ დავიხუთებოდით. რეომიური ჩრდილში 22°-ს გვიჩვენებდა. მზის სხივს ძალა ეკარგება ზღვაზე. ამასთან გემბანსაც წყლით რწყავენ და ზემოთ ტენტსაც ჭიმავენ. ირგვლივ არც კედლები გვეხვია და არც კლდეები, გემსართავებში ლაღად დაქრის პასატი. ცა ხშირად მოღრუბლულია, ასე რომ ვერც მზის ამოსვლას ვნახულობთ და ვერც ჩასვლას. უცბად ღრუბლებიდან ამოდის და ღრუბლებშივე ჩადის. „აბა, რა ზღაპრებს გვიყვებოდით, პაპავ, ტროპიკებში ასე ცხელაო, ასეთი საოცარი ღამეები იცისო, რა გვითხარით სამხრეთის ჯვარზე? რასაც არ ვხედავთ, სუსტია, სუსტი...“ — „ახლა ზამთარია, იანვარი, — ამბობს ის, ქუდს იბერავს და გაუპარსავ ნიკაპზე ოფლის წვეთებს იწმენდს. — მოიცათ, ეკვატორს გავცდეთ, — მაშინ იცოცხლეთ დაგცხებათ. სამხრეთის ჯვარი კი ახლა აი, აქ, მარცხენა ვანტის გაღმა უნდა იყოს!“ — და კოტიტა თითით ვანტაზე მაჩვენა. „აიჩემეს რაღა ეს ჯვარი,— ბუზღუნით დაეშვა პაპაბანის ქვენაზე, — მოიგონეს, ჯვარიო! აბა რა ჯვარი, გენაცვათ: ოთხი პატარა ვარსკვლავია... სჯობია დავწვე, თორემ...“ — და კიდეც მიიმალა.

ზემოთ ცა მოწმენდილია.

მილიონობით ვარსკვლავი ცისარტყელას ფერებით ბრწყინავს თითქოს სანთლებით გაჩახჩახებული ტაძრის კარი გაუღიათო.

ჩვენში ასეთ ციმციმს ხომ ვერასოდეს ნახავ. მერე რა თავდავიწყებით, რა გატაცებით ციმციმებენ, გგონია, ღამეც იმიტომაა ასე თბილიო! თვალს არასოდეს მოსწყინდება ამ მარად მოძრავი, თითქოს უცხო ენაზე რაღაცის მეტყველი ცის სურათი. ნახევარი საათით გადმოხვალ კაიუტიდან სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად და ორი-სამი საათი კი დამუნჯებული იდგები, თვალს ვერ მოწყვეტ ცას, თუ უნებურად არ დაგღალა და მოგეხუჭა. ზეპირად სწავლობ უფრო ახლოს მყოფ თანავარსკვლავედების მოხაზულობას, უმზერ ამ მწვანედ, ლურჯად თუ სისხლისფრად მოციმციმე შუქსა და მერე თვალი ირმის ნახტომის ვარდისფერ მორევში ჩაგეძირება.

გინდა გაიგო, რას გეუბნება მოიარებით ეს ციმციმი, რა აზრია ჩაქსოვილი ამ იდუმალ, გაუგებარ სიტყვებში? მაგრამ წახვალ ისე, ვერაფერს ახსნი და გამოიძიებ, წახვალ ფიქრებით გაოგნებული და მეორე დღეს კვლავ ხარბად ეწაფები ამ წიგნს.

ზღვა... აქ პირველად მივხვდი, რას ნიშნავს „ლურჯი“ ზღვა, აქამდე მხოლოდ პოეტებისაგან, მათ რიცხვში თქვენგან მსმენია. ჩვენში, ჩრდილოეთში ლურჯი ფერი ზღვისთვის საზეიმო მორთულობაა. იქ სხვა ფერსაც იკრავს ხოლმე, მაგალითად, ბალტიის ზღვა — ყვითელს, სხვები — მწვანეს, ეგრეთწოდებულ აქვამარინისას. როგორც იქნა ლურჯი ზღვაც ვნახე, თქვენ რომ თავის დღეში არ გიხილავთ. ზევიდან ოდნავ შეღებილი კი არა, მუქი ფერის იაკინთია, მზეშიც და ჩრდილშიც ერთნაირად ლურჯი. ველარ გამძღარხარ ამ თვალუწვდენელი წყლის მინდორზე ფერთა დიდებულ ციალით.

რაც არ უნდა ფიქრით მიეჩვიო, რომ აქაური კლიმატი ჩვენსაზე განსხვავებულია, რომ წლის დროები არეულია, მაინც ხანდახან შენდა უნებურად გაგიკვირდება, რომ ახლა იანვარი დგას, რომ თქვენ მანდ ბეწვებში იფუთნებით, ჩვენ კი წყალიც ვერ გვანიჭებს შვებას. მარტო ფადეევს არ უკვირს არაფერი: „თბილა, კარგიაო!“ — გაიძახის, ზამთარია, ზამთარი, ბატონო ჩემო,.

გემბანს კი წამდაუწუმ რწყავენ, მაგრამ ფიცარი სწრაფად შრება და ძლიერ სუნს აყენებს; ამ მზის ქვეშ კუპრს, ბაგირს, რკინასა თუ სპილენძს — ყველაფერს სუნი ასდის. დავინახეთ ერთი მფრინავი თევზი და ფრეგატთან ზვიგენიც დავლანდეთ. სხვა ცხოველები თვალითაც არ გვიხილავს. ზამთარი კვლავ თავისას აგრძელებს, ე. ი. ღრუბლები მჭიდროდ შემოხვევია ჰორიზონტს, საღამოობით ჰაერი შეხუთულია, მაგრამ თავსხმა წვიმა და კვლავ ლაღად შეგიძლია სუთქვა.

ჩემს ამხანაგებს უკვირთ, რომ ამინდი ტროპიკულს არ ჰგავს, ე. ი. როგორც მე ვთქვი ნისლიანია, არც სხვა მოგზაურების აღწერილი სხვა ნიშნებით მოგავს ტროპიკულ სარტყელს. ამბობდნენ, აფრიკის ნაპირის ბრალიაო, ან არა და გვინეის ყურის ჩვენთვის უცნობ თავისებურებათა მიზეზიაო. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ მეტწილ ზღვაოსანთა კვალს აღარ გავყოლივართ, რომლებიც ევროპიდან სამხრეთ ამერიკაში თუ აფრიკაში გამგზავრებისას ღმერთმა უწყის, რატომ ცდილობენ ეკვატორი რაც შეიძლება აფრიკიდან შორს გადაჭრან. ერთ-ერთმა უახლესმა მოგზაურმა, მგონი ბელჩერმა პირველმა შენიშნა, რომ აზრი არა აქვს ამერიკის ნაპირისაკენ გეზის მიახლოებას, მით უმეტეს, თუ კეთილი იმედის კონცხისაკენ ან ავსტრალიისაკენ მიემართები. ეს მხოლოდ გზას აგრძელებს. ამასთან ზიუიდოსტის პასატი ისედაც ამერიკისაკენ მიაქანებს ხომალდს და საკმაო დიდ კუთხეს აკეთებინებს. ამ საფუძვლიანი მითითების თანახმად ჩვენმა ადმირალმა ბრძანება გასცა, აფრიკისკენ აეღო გეზი, ასე რომ დასავლეთ სიგრძედის 14° და 15°-ს თითქმის არ გავშორებივართ.

ვერც შევნიშნეთ, როგორ შეუერთდა პასატს ჩრდილოეთის ქარი, მადერასაკენ რომ მიგვაქროლებდა. როცა დავრწმუნდით, რომ ეს ქარი შემთხვევითი არ იყო, ჭეშმარიტ პასატს წარმოადგენდა და ვეღარც დავკარგავდით, ადმირალმა გადაწყვიტა მწვანე კონცხის კუნძულებთან, აფრიკის მატერიკიდან ხუთასიოდე ვერსზე, კერძოდ სანტ-იაგოს კუნძულზე, პორტო-პრაიაში გაჩერებულიყავით და ახალი სანოვაგე გვეყიდა. ნავსადგური მეტად მოხერხებული ყოფილა ღუზის ჩასაგდებად. იქ დაგვხვდა ორი ამერიკული კორვეტი და ერთი ნავი, რომლებიც აგრეთვე იაპონიაში, კომოდორ პერის ესკადრაში მიეშურებოდნენ. მადერაზე გასეირნების სწორზე, ისევე კვირა დღეს, ჰორიზონტზე შორი-შორს გაბნეული დიდი და პატარა კუნძულები დავინახეთ. შორს მყოფი კუნძულები მუქ ლურჯად ჩანდა, უფრო ახლოს მურა ფერისა გვეჩვენა.

ყველაზე ახლოს მყოფი სანტ-იაგო უზარმაზარი წითელი თიხის ბელტი გვგონებოდა. ნელ-ნელა მივუახლოვდით: უფრო გარკვევით გამოჩნდა მისი მასივი, კლდეები ერთმანეთს გამოეყო. და როცა ერთნახევარ მილის მანძილზე ღუზა ჩავაგდეთ, მთელი კუნძული ხელისგულივით გადაგვეშალა. მადერიდან მწვანე კონცხის კუნძულამდე მერიდიანით ათას საზღვაო მილამდე თვლიან. ჩვენებურად ეს 1750 ვერსი გამოდის.

მარცხნივ და მარჯვნივ კლდეებია დაყუდებული, შუაში ველი მისდევს მთებისაკენ და ქვიშიანი ნაპირით თავდება, ჩვენგან მარცხნივ, ზედ ნაპირთან ცარიელი პატარა ტიტველი კუნძული ჩანს, მარცხნივ ერთმანეთზე ახორხოლავებულა კლდეები. ერთ კლდეზე მოკირწყლული გზა მიდის ზემოთკენ, პორტო-პრაიაში. გზის ქვემოთ, ზღვის ახლოს, კლდეთა ხეობაში თითქო ბალახი ამოყრილა — ხომალდიდან ასე გვეჩვენება. ნაპირზე, კლდეების ერთ კუთხეში შენობა და კარვები დგას დანარჩენი ნაპირი კლდეებ შუა მთლად მოშიშვლებული დაბლობია, ამ ქვიშის გროვაზე აქა-იქ დაინახავ ქოქოსის პალმებს, რაოდენ სავალალო, უბადრუკ, ტიტველ, გადახრუკულ სურათსა ქმნის ეს ყველაფერი! პალმებს მჭმუნვარედ ჩაუქინდრიათ თავი; არავინ ეფარება იმათ ჩრდილს, ცოცხზე დიდი არც იქნება.

ყველაფერს სძინავს, ყველაფერი დამუნჯებულია. მერე რა, რომ აქ პირველად მოხვდით, მაინც შეამჩნევთ, რომ ეს დროებითი შესვენება არაა, დიდი შრომისა და ჯაფის შემდეგ, რომ ეს მკვდარი სიმშვიდეა, რომ ეს სურათი არასოდეს იცვლება. ყოველივე ულმობელ სიცხეს გადაურუჯავს. მობრძანდით ორი წლის შემდეგ და იგივე ქვიშას, იმდენივე პალმას, სილაში ისევე მოკოტრიალე ზანგებსა და ზანგის ბიჭებს, ისეთივე კარვებს, ცას ნახავთ, მოთეთრო ალმურს რომ გადაიკრავს და თუკი წვიმა არ მიეშველა, რაც ხეობაში კლდეთა ჩრდილს შეჰფარებია, ყველაფრის დამწველ-დამბუგველია; წვიმა კი აქ ხანდახან რამდენიმე წელიწადში ერთხელ მოდის. მაგრამ როცა ტროპიკული თავსხმა წვიმა რამდენიმე საათით მაინც გაჟღენთს აქაურ ნიადაგს, მზე ქვასაც კი სულს ჩაუდგამს და სიცოცხლეს ჩაჰბერავს. შემაზრზენი რამ ვახლავთ ეს მარადიული სიჩუმე, დუმილი, საუკუნო ძილი თვალუწვდენელ ზღვის უდაბნოში. უკიდეგანო წყალი იმავე აფრიკის უდაბნოსავით გადაჭიმულა და როგორც ამ უდაბნოში ჩქარი ნაბიჯით მიიპარება ქარავანი, აქაოდა წყურვილმა ამ უწყლო სივრცეში არ მომისწროსო. ისევე სწრაფად მიექანებოდა სარკესავით პრიალა ზედაპირზე ხომალ-

დი, რომ მტილს აქ არ შეეჩერებია და მისი წყალობით წყურვილისა და შიმშილის მსხვერპლი არ გამხდარიყო. გემი თითო-ოროლა წერილებს გამოგზავნის ნაპირზე, სხვებს მიიღებს წასაღებად და საჩქაროდ სტოვებს ამ მკვდარ სავანს. მერე რა დიდებულია ცა, რა დიდებული ზღვაა აქ! რა ღამეები იცის! ვაი რომ უქმად ფუჭდება ეს ფერები, უქმად ეღვრება ტიტველ კლდეებს ამდენი სითბო! ადამიანი გაურბის ამ ძილის სამეფოს, ის ხომ აღუნებს ენერგიას, ჰკუას, გრძნობას და ქვად აქცევს ყველაფერს, რასაც სიცოცხლე ჰქვია. გამახსენდა გაქვავებულ სამეფოთა ზღაპრები. აი, სად ყოფილა თურმე, ეს ქვეყნები, მაგრამ მოვა ვინმე დევგმირი, დაამუშავებს აქაურობას, შემოიტანს ხელოვნებას, ცივილიზაცია გააღვიძებს საუკუნეების მანძილზე მძინარ მზეთუნახავს, ბუნებას და სულს ჩაუდგამს მათ. მგონი, არც ისე შორსაა ის დრო.

ახლა კი, ამ უსიცოცხლო, დადუმებულ სურათს რომ უყურებ, ძრწოლვა თუ ნაღველი ავიტანს. არაფერი მოძრაობს აქ; ყველაფერი სდუმს. ზემოდან კი თითქო განრისხებული ზეცა დაჰნათის. ზღვაში კი, ზღვაში სულ სხვას ეუბნება გულს ეს მეფური სიმშვიდე! ვაი იმ ქვეყანას, სადაც წვიმა არ მოდის: შიმშილით ამოძვრება სული. აქ მოდის ყავა, ბამბა, სამხრეთის ყველანაირი ხილი, ბრინჯი, მაგრამ გვალვაში მხოლოდ ზღვის მარილის ანაბარა რჩებიან. სწორედ ის წარმოადგენს აქაური წარმოების ერთ-ერთ მთავარ შემოსავალს.

ხომალდზე ადგილობრივი მოხელე, ზანგი გვეწვია. ფორმის ფრაკი ეცვა, სირმებით გაწყობილი. ჩვეულებისამებრ, ხომალდზე მყოფთა ჯანმრთელობა იკითხა, მერე ხომალდის სახელწოდება, ხალხის რაოდენობა, მოგზაურობის მიზანი და ყველაფერი გულდაგულ, მაგრამ დიდის გაჭირვებითა და მანჭვით ჩაიწერა რვეულში. მე გვერდით ვიდექი და ვუყურებდი, რა აჩხაბაჩხად გამოჰყავდა ასოები. ეტყობა, რა ტანჯვით მიუღია სწავლა.

მალე ნაპირისკენ გავეშურეთ: მადერასავით არც სურნელი, არც მუსიკა შემოგვხვედრია. თანდათან მაღალი და მაღალი ჩანდა კლდეები მიახლოებისას; ხეობაში ხომალდიდან რომ ბალახი შევამჩნიეთ, პალმის ტყეებად იქცა. მაგრამ მე მოგზაურის ალტაცებით გავცქეროდი ამ ნაპირსაც, აფრიკის ბუნების სამწუხარო ნიმუშს. ჩრდილოელის თვალს ყველაფერი აკვირვებს აქ: დახრუკული კლდეები და უდაბნოს მდუმარება, მზის სიუხვით უსიცოცხლოდ ქცეული მიწა და ტენის ნაკლებობა, ქვიშაში ფესვგადგმული პალმები, რომლებთაც $40^{0}$ სიცხისთვის მიუშვერიათ თავიანთი მარადმწვანე ფოთლები. იქნებ იმიტომაც გაკვირვებს ასე, რომ ჩვენც გვაქვს ჩვენი უდაბნოები, მშრალი ჰაერი, ასე უსიცოცხლოდ გადახრუკული ადგილები, ბოლოს მარადმწვანე ფიჭვები და $40^{0}$ სიცხეც.

ნაპირზე ზანგები, ზანგის ქალები და ტიტლიკანა გოგო-ბიჭები ირეოდნენ: ჩვენს ნავს ელოდნენ. მადერასავით არც აქ ჰქონიათ ნავმისადგომი, ნავი ნაპირს არ ადგება, თხუთმეტიოდე ნაბიჯზე ქვიშიან მარჩხობზე ჩერდება. ჩვენმა მეზღვაურებმა შარვლები აიკაპიწეს და ჩვენს გადასაყვანად წყალში ჩახტნენ. მაგრამ უმალ ნახევრადშიშველი ზანგები დაერჭვნენ ჩვენს გვერდით იგივე სამსახურის გასაწევად, წყალში ხომ არ ჩავუყრიდით შრომას: ხელები გავუწოდე, იმათაც მტაცეს ხელი, მათ შიშველ მხრებს მაგრად მოვეჭიდე და წუთში ქვიშიან ნაპირზე გავჩნდი. იქ პატარა საწყობი იდგა, როგორც მითხრეს, საბაჟო შენობა. დაკეტილი იყო, ირგვლივ ოთხ ბოძზე შესკუპებული კარვები შემორტყმოდა, პალმის ფოთლებით დახურული. „ხილი გაქვთ?“ — ვკითხეთ ზანგებს. ისინი მსწრაფლ გაიქცნენ და კლდეს მოეფარნენ. ჩვენ აღარ დავუცადეთ და მოკირწყლული გზით მთას ავყევით. მართალია, ზამთარი იყო, მაგრამ აფრიკულმა მზემ მაინც თავისი გვიქნა. ზღვაზე ამას ისე არა გრძნობ: სიცხეს ქარი ანელებს, სამაგიეროდ ნაპირზე რა ხდება! მთა არც მაღალი იყო და არც ციცაბო, მაგრამ რომ ავედით, ცოტა ხანს სულის მოსათქმელად გავჩერდით და შუბლი და საფეთქლები ცხვირსახოცით მოვიწმინდეთ. მთაზე, ნავსადგურის ზემოთ, ქვის ბაქანზე ბატარეია დაუდგამთ. ჩვენ მარცხნივ შევუხვიეთ და მალე ქალაქის მოედანზე გამოვედით. პორტუგალიელი და მულატი გუშაგები თავაზიანად გვიკრავდნენ თავს. მუნდირები ეცვათ, თუმცა ფეხშიშვლები კი იყვნენ. მულატები მაინცა და მაინც არ მომეწონა. თუ შავკანიანი ხარ, ისა სჯობს ნახშირივით შავი იყო და კანი კარგად გაწმენდილ ჩექმასავით გილაპლაპებდეს. ლამაზი თუ არა, ორიგინალური მაინც არის. ეს მქრქალი შავი, მოშავგვრემანო სხეულები კი თვალში უსიამოდ გეჩხირება.

მოედანზე ორი-სამი საკმაოდ დიდი სახაზინო ქვის სახლი იდგა, სხვათა შორის, საპატიმროც; შემდეგ ქუჩა მიჰყვებოდა. პატარა, ღარიბული, მაგრამ მაინც ქალუზებიანი, ქვის კერძო სახლები გულდავულ ჩაერაზათ. ქუჩამ ჩვენი სამაზრო ქალაქი მომაგონა ზაფხულის დღეს, როცა შუადღის მზე უწყალოდ აფრქვევს სხივებს და არა სულდგმული. არ ჭაჭანებს ქუჩებში; მხოლოდ ბალღები დარბიან თავშიშველი ქუჩაში და მათი წკრიალა ხმები არღვევს მდუმარებას. ყველას სძინავს თუ უბრალოდ ეზარება განძრევა. ხანდახან უნდილად გამოიხედავს ფანჯრიდან გულგრილი სახე და ისევ მიიმალება. ჩვენც გამოგვხედეს ორმა-სამმა ოფიცერმა ყაზარმიდან; ესაა და ეს, სხვაში არაფრით ჰგავს. მოედანზე დაბალი ბოძ

დგას ზედ რაც პორტუგალიის ბატონობის ნიშნად კუნძულების ჯგუფზე პორტუგალიის გვირგვინი წამოუმართავთ. მთელი მოედნის გაყოლებაზე და ქუჩაში ნამორებზე ცხენები და ქვეყნის ვირები მიებათ, მეტწილად ხის უნაგირები ედგათ ზურგზე.

ქუჩაში რომ მივდიოდით, შორიდან დავინახე, ჩვენი ერთი თანამგზავრი რომელიღაც სახლში შევიდა. ჩვენ სამნი ვიყავით. „სად წავიდა? მოდი, ჩვენც შევიდეთ-მეთქი“. იმ სახლისაკენ წავედით და პატარა, მოკირწყლულ ეზოში შევედით. ერთ კუთხეში ფარდული იყო, სადაც ვირი ება და ისეთი ჩათუნთულებული ღორი გაგორებულიყო, ტანი ველარ აეტანა სისუქნით. შემდეგ ჭრელი, ლამაზი ქათმები დავინახეთ, პატარა, ბელურასოდენა მწვანე თუთიყუშიც დანავარდობდა იქვე. პეტერბურგის ბირჟაზე ხანდახან მინახავს ხოლმე ასეთი. თუთიყუში ფეხებში გვედებოდა. ვილაცამ, მგონი, ფეხი დაადგა: აფრთხიალდა და კოჰლობ-კოჰლობით საჩქაროდ დაგვემალა კუთხეში ჩრდილოელ ბარბაროსებს. ხის კიბემ მეორე სართულის გალერეაში აგვიყვანა, მერე ოთახში შევედით. ხნიერი მანდილოსანი გამოგვეგება; თავი დავუკარით, იმანაც თავი დაგვიკრა. უხმოდ გვანიშნა სკამებზე დაბრძანდითო. დავჯექით და ინგლისურად გავუბით ბაასი. ქალმა პორტუგალიურად დაგვიწყო; ახლა ფრანგულზე გადავედით, მან ისევ თავისი გააგრძელა. წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ რაღაც გვითხრა და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან. ერთი წუთის შემდეგ მეტად ტურფა ყმაწვილი ქალი შემოიყვანა. ის მორცხვად მოპყვებოდა და სალამზე მორიდებით გვიპასუხა. ერთმანეთს გაოცებით გადავხედეთ... ეს რაღას უნდა ნიშნავდეს ვითომ? დიასახლისმა რისვაივაგლახით გაგვაგებინა, ფრანგულად ლაპარაკობს, თუ ესმისო. კითხვები მივაყარეთ, მაგრამ ან ლაპარაკი არ იცოდა, ან არაფერი ესმოდა, ან არა და პორტო-პრაიას ფრანგული სულ სხვა ენა ყოფილა. შიგა და შიგ ნახმარ თითო ოროლა ფრანგულ სიტყვებით ძლივს გავიგეთ, რომ ლისაბონიდან ჩამოეყვანათ, ჯერ გათხოვილი არ იყო და აქ ნათესავებში ცხოვრობდა. თუმცა ღმერთმა უწყის, რა გვითხრა: მისი სიტყვები ჩვენ ასე გადავუხურდავეთ. დავემშვიდობეთ და გამოვედით. „ნეტავ ვისთან ვიყავით მაინც, ბატონებო?“ — მკითხა ერთმა ამხანაგმა. „ღმერთმანი, არ ვიცი“. — „მაშ რატომ შევედით? — აღარ მომეშვა ის. „ვერც ამას გეტყვი. ტ. (ისმენევი) აქ შემოვიდა და ჩვენც მას შემოვყევით. მართლა, ის სადღაა?“ — „ის ამ სახლში არც შემოსულა, აგერ იქ... ჲი, გამოვიდა კიდეც“. მართლაც ტ. მეზობელ სახლიდან გამოვიდა. „სანოვაგე არაფრად ვარგა და ცოტაც იშოვება!“ კეთილ იმედის კონცხამდე როგორ ჩავალთ?“ ასე რომ მოგზაურების პირობაზე სულ უცხო სახლს ვწვევივართ!

ამ დროს ზანგმა შემოგვთავაზა, ცხენით ან ვირით ხომ არ გაისეირნებთო. ჩვენი მესამე თანამგზავრი მას გაჰყვა. მე და მ([illegible]) ჯ([illegible])კი ფეხით წამოვედით და მალე სოფელში ამოვუყავით თავი, რომელიც ქალაქის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ გარეუბანში უსარკმელო შელესილ ფაცხების გარდა ვერაფერს დაინახავდი. შიგ შევიჭყიტე და ღარიბული საოჯახო ხარახურისა და ხის სკამების გარდა, სხვა არა დამინახავს რა.

ახალგაზრდა ზანგები არ ჩანდნენ: ეტყობა, მინდვრად იყვნენ სამუშაოდ. მხოლოდ ბერიკაცები და დედაბრები დაგვიხვდნენ, მერე რა მახინჯები! ერთმა დედაბერმა პირდაპირ დაგვაფრთხო თავისი სიმახინჯით; ქუჩას გადადიოდა, სიბერით წელში ველარ გამართულიყო. შეხედულობით ოთხმოცდაათი წლისა უნდა ყოფილიყო. გაქაჩლებულ თავზე აქა-იქ დარჩენოდა ბღუჯა-ბღუჯად ჭაღარა. სამაგიეროდ, რამდენიმე მზეთუნახავიც ვნახეთ, რა თქმა უნდა, მათებურად. რა ტუჩები, რა თვალები ჰქონდათ! სხეული ატლასივით უბზიალებდათ. თვალებში გონიერება და სიკეთე ეხატებოდათ, მაგრამ ვნება უფრო მეტი იყო და ჩვეულებრივი შემოხედვაც ცოტა არ იყოს უტიფარი გამოუდიოდათ. ნელა ასწევს ქუთუთოს, ფართოდ გაიხსნება თვალი და რაც ვნებიან სხეულში ბუდობს, ყველაფერს ერთად შეგაფრქვევს. საკმაოდ მხატვრულად აცვიათ: ქვედა წელი, ზემოთ პერანგის ნაცვლად ერთ მხარზე გადაგდებული აქვთ ბამბის შალი, რომელიც მუხლამდე სწვდებათ, ცალი მხარი და მკერდი შიშველი დაუტოვებიათ. თავზე თავსაკრები წაუკრავთ და ძალიანაც კარგი, რომ წაუკრავთ: ევროპელის თვალს არ სიამოვნებს გაკრეჭილი ქალის ცქერა და ისიც ასე ხუჭუჭა თმიანისა. ამ ქალბატონებიდან რამდენიმე უკან აგვედევნა და დამტვრეული ინგლისურით (აქაც ინგლისელები, არ დაივიწყოთ!) ფულსა გვთხოვდნენ, ღმერთმა არ იცის რა მიზეზით. მათხოვრულად დიახაც არ ეცვათ. ვითომ რას გვთავაზობდნენ?.. მაგრამ იმათ აბდაუბდა სიტყვებში მხოლოდ money-ის[1] მოვკარით ყური. ტიტლიკანა ბავშვები დარბოდნენ, ბერიკაცები და დედაბრები ზოგი სახლების გარშემო ზლაზვნით დაბორიალობდნენ, ზოგი თავიანთ ქოხებში წამოწოლილიყვნენ. ინგლისელებიც დავინახე, მაგრამ ისინი კი არ იწვნენ მხართეძოზე, ცხენებით სადღაც მიეშურებოდნენ, ალბათ თავიანთ ყავის პლანტაციებში... ეს ის დევგმირები გახლავთ, ვინც მძინარე მზეთუნახავის გამოღვიძებას აპირებს.

ჩვენ ორმა მთელი სოფელი გავიარეთ და მინდვრად გავედით. სოფელი და ქალაქი კლდის პირზეა აგებული. ფერდობზე აქა-იქ ქოხები იდ-

[1] ფული. (ინგლ.)

გა, ან არადა ბაღები მოჩანდა. გზამ ველზე ჩამოგვიყვანა; ამ ყვითელსა და რუხ ქვიშის ზოლებს შუა ის აყვავებულ ოაზისს წარმოადგენდა. რა არ ხარობდა იქ? ჩვენთვის ყველაფერი უცხო იყო: ეს ჩვენი ხეების, ჩვენი ბალახის, ჩვენი ბუჩქების დეკორაციები არ იყო და ყველაფრის დამახსოვრებას ხარბად ვლამობდით: იქ მათმა შეჯგუფებამ დაგვაინტერესა, აქ ხის ცალკეულმა სურათმა, ფოთლების მოყვანილობამ, ბოლოს—ხილმა. ისე ვუყურებდით, თითქოს თავის დღეში ველარ ვნახავდით, თუმცა კარგა ხანს მხოლოდ ასეთი სურათი დაგვირჩებოდა საცქერლად. ვნახეთ ლეღვი, ქოქოსი, ბევრი ფორთოხლის ხე, მაგრამ ფორთოხლები არ ესხათ, ყვავილებისათვის თითქმის არ მოგვიკრავს თვალი; მწერებიც ცოტა იყო, ზამთარი იყო და ამიტომ. მხოლოდ ერთმა ფრინველმა გადაგვიფრინა თავზე, ჩვენებური ჰკის ოდენა იქნებოდა, ოღონდ გრძელი, ცისფერი კუდი ჰქონდა. ვავიარეთ ეს ჭალა თუ ბაღი — ბაღს იმიტომ ვეძახი, რომ ხეხილი აქა-იქ შემოეღობათ; შიგა და შიგ კარვებიც მოჩანდა, მოხუცი ზანგები იქ, როგორც ჩვენშია ხოლმე, ბაღს დარაჯობდნენ. ჭალის გაღმა მინდვრები იწყებოდა, ზოგი დაემუშავებინათ, ზოგი არა, აქა-იქ ტყე მოჩანდა, მაგრამ ველის იქით აღარ წავსულვართ, ძალზე ცხელოდა.

ნაპირზე ბაღებით დავბრუნდით, მთაზე აღარ ავსულვართ. სხვადასხვა ხეებთან ვჩერდებოდით. ნაპირზე გაცხოველებული ფუსფუსი დაგვხვდა. ბევრ ზანგს ფორთოხლებით სავსე კალათები მოეთრიათ, სხვებს ჩასაჯდომი საკაცეები მოეწყოთ ნავზე ჩვენს გადასაყვანად. ეს სპეკულიანტები ზოგი ქვიშაზე იჯდა, ზოგი გაშხლართულიყო და ჩვენ გველოდა. ერთ ჯგუფს მივუახლოვდი, ზანგები კარტს თამაშობდნენ. რა გგონიათ, რას თამაშობდნენ? თულფობიას! ეს შავი, მოლაპლაპე სახეები, ხუჭუჭი, თითქოს არყის ნახშირივით შეპუდრული თმა რომ არ მენახა, ვიფიქრებდი, უცბად რომელიღაც პროვინციის საფარეშოში შევეხეტე-მეთქი. დავაკვირდი თამაშს, მართლაც თულფობია გამოდგა. აგერ ერთმა მოთამაშემ მეფეს ველარ დაარტყა და მთელი გაქონილი კარტი აკრიფა, სხვებმა კი თეთრი კბილები დაკრიჭეს, გადავხედე დანარჩენებს და საჩქაროდ ვიბრუნე პირი. ორი პატარა გოგო, ალბათ დები, ერთად ისხდნენ, ერთს თავი მეორის კალთაში ჩაედო, ის კი... თუმცა თქვენც გენახვებათ ეს სურათი, როცა ჩვენ სოფლებს ზაფხულის დღეს ჩაუვლით... ზოგი ზანგი ერთმანეთში კინკლაობდა — ესეც გეცნობათ ალბათ: აბა, გაჩერდით ერთი მოსკოვსა და პეტერბურგში, სადაც კალაჩებს ჰყიდიან და ვისმე გამოევაჭრეთ: რარიგ აქაქანდებიან და აყაყანდებიან დანარჩენები! აქაც იგივე ამბავია და ალბათ ყველგან იგივე მეორდება. მაგრამ ტყუილად კი ჰქონდათ კინკლავი: ფორთოხლები ყველა ვიყიდეთ. მერე რამხელები იყო: ჩვენში თავის დღეში ასეთი არასოდეს ჩამოუტანიათ. ხოლო გემო რომ გავუსინჯე, მივხვდი, რომ აქამდე ხეირიანი ფორთოხალი თურმე არც მიჭამია.. იქნებ ეს ერთი შემხვდა-მეთქი ასეთი და მეორეც გავსინჯე: მეორეც, მესამეც და, საერთოდ, ყველა დიდებული რამ გამოდგა..

სანამ ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ცდებს ვატარებდი, სხვადასხვა მხრიდან ჩვენი თანამგზავრებიც დაბრუნდნენ და ჩემს მაგალითს მიჰყვნენ. ამ ერთ გასეირნებას ყველა მოუქანცავს; გაოფლიანებული, დამტვერილი, გაწითლებული, მზედამწვარი სახეები ჰქონდათ; მაგრამ ყველა მეტისმეტად კმაყოფილი იყო; ყველას რაღაც შესანიშნავი რამ ენახა ცალ-ცალკე. გადავწყვიტე ბებერი ზანგის ქალიდან (მე მუდამ მანდილოსნებს ვანიჭებ უპირატესობას) მთელი კალათა ფორთოხალი მეყიდა. მან მეორე კალათიდან კიდევ რამდენიმე საუკეთესო ცალი შეარჩია და ჩემი დასაჩუქრება დააპირა „Present, present“,[1] — გაიძახოდა ის. მაგრამ თავაზიანობაში არც მე დავუვდე ტოლი და ჯიბიდან ფული ამოვიღე, რომ მიმეცა. ბებრუხუნა საოცრად გამიბრაზდა და კინაღამ პირველი კალათაც არ წამართვა. ცოტა ინგლისური სცოდნოდა და სინიორ ფრანგს მეძახდა. რუსებზე არაფერი სმენოდა. იქვე, ნაპირთან ჩვენი მეზღვაურები ბანაობდნენ. ხან ნაპირზე გამოვიდოდნენ გასათბობად და ისევ წყალში ჩაცვივდებოდნენ. მაგრამ შავკანიანი ქალბატონები იმათ ზედაც არ უყურებდნენ: ეტყობა, უცხო არ იყო მათთვის.

მე და ჩემი ამხანაგები მზის ჩასვლისას ფრეგატზე გავბრუნდით. დაკვირვებით ვაცქერდებოდით ამ კლდეებს და მისი სურათი ხსოვნაში გვინდოდა ჩაგვებეჭდა. ნაპირი თანდათან შორს დარჩა, კლდეები თანდათან დაპატარავდა; ხეობაში ატეხილი ჭალა კვლავ ბალახივით გამოჩნდა შორიდან. ზანგები ნაპირზე თაფლის წვეთის ირგვლივ მოფუთფუთე ბუზებივით ირეოდნენ. ორი ჩვენი თანამგზავრი, რომლებიც ყურეში მდებარე პატარა უკაცურ კუნძულზე გაემგზავრნენ მწერების, ნიჟარებისა და მცენარეთა საძებრად, ორ ჭიანჭველასავით დაღოღავდნენ. ველი მიიმალა, კუნძული ახლა კვლავ დედაბერივით ჩამომჭკნარი და დამწუხრებული მოჩანდა, ოღონდ ამჯერად მზის ჩასვლას ძოწისფრად შეეღება მისი ლოყები.

ის იყო ჩვენი ნავი ხომალდს მიადგა, რომ უეცრად ს(ავიჩმა) გემბანიდან გადმოსძახა მენიჩბეებს: „აბა, ჩქარა იქით გასწიეთ, აგერ ვეებერთელა კუ დაცურავს, ალბათ სძინავს და დაიჭირეთო!“ გავტრიალდით, საითაც ს-მა მიგვითითა, მაგრამ კუს გაღვიძებოდა და წყალში ჩაიყურყუმელავა. ასე რომ ხელმოცარულნი დავბრუნდით. უფრო მეტ ხანს რომ გავჩერებულიყავით, აქაური მარილის აუზებსაც ვნახავდით.

1 საჩუქარი, საჩუქარი (ინგლ.)

კუნძულის მთავარი საწარმი მარილის მოპოვებაა. მოქცევის დროს აუზები ზღვის წყლით ივსება, მერე ორთქლდება და მარილის ნალექი ბლომად რჩება ხოლმე. მცხოვრებლები კიდევ რაღაც მცენარეულ საღებავს აკეთებენ, ცოტაოდენი ყავაც, შაქრის ლერწამი, ბამბა მოჰყავთ, მაგრამ მაინც მეტად ღატაკები არიან.

მეორე დღეს კვლავ გავაგრძელეთ გზა. დიდი ხანია პაპა გვაშინებდა, უქარო ზოლში, შტილში მოვხვდებით, რომელიც დედამიწას ეკვატორიდან რამდენიმე გრადუსზე შემორტყმია. იალქნიან ხომალდებისათვის შტილი ქარიშხალზე საშინელია. არაგოში ჩავიხედე და თავზარი დამეცა, თუმცა ჯერ არაფერი მენახა. მართლაც, რა გუნებაზე დადგება კაცი როცა მთელი თვე მოვიხდება ერთ ადგილზე ყურყუტი, ამ ალმაცერა სხივების ქვეშ, ნაპირიდან ათასი მილის დაშორებით, შიმშილითა და წყურვილით გატანჯული? უნებლიეთ თვალწინ დაგიდგება ის საშინელი სურათები, რაც ასეთ შემთხვევებში მომხდარა...

29 იანვარს ჩრდილოეთ განედის 3°-ზე პასატი დავკარგეთ და ამ საბედისწერო ზოლში აღმოვჩნდით. ათი კვანძის, მაშასადამე 17 ვერსის ნაცვლად საათში ორ, ერთნახევარ კვანძს ძლივს ვაკეთებთ. ხანდახან ქარი სულ ჩადგება, იალქნებიც ჩამოიყრებოდა და ანძებს ეხეთქებოდა. კითხვის თვალით ვიყურებით ირგვლივ, მაგრამ ცა და ზღვა ისე თვალის მომჭრელად ბრჭყვიალებს, თითქოს დაგვცინისო. ასე დასცინის ხოლმე ხანდახან ბოროტება სიძაბუნეს. დილით რომ ავდგებით, ეს გვაკერია პირზე: „აბა, მივდივართ თუ არა“. არა, თურმე მივლოლავთ და საათში ერთნახევარ კვანძს, ორ ვერსს ვაკეთებთ. ზღვა გალღობილ ლითონივით ტორტმანებს: არსად ელავს ქიცვი, არაფერი აღგაფუნებს წყალს. გვეგონა, ქარს ალბათ დიდხანს ვერ ველირსებით-თქო, მაგრამ ჩვენი შიში აქ კი არა, გაცილებით სამხრეთით, ეკვატორის მეორე მხარეს აგვიხდა, სადაც შტილი ყველაზე ნაკლებ გახლდათ მოსალოდნელი. 31 იანვარს შეირხა იალქნები, დაჰბერა ქარმა, ჯერ გაურკვევლად, ცვალებადად, მერე ჩრდილოეთ განედის 1°-ზე სანატრელმა, პასატმა დაქროლა. ჩვენ უკვე ეკვატორთან ვიყავით.

2 თებერვლის ღამეს, დასაძინებლად რომ მოვემზადე, მეგონა, დილას ეკვატორზე გადასვლას ვნახავ-მეთქი. მაგრამ 3 რიცხვში, დილის 8 საათზე, პაპამ უფროსებს მოახსენა, უკვე სამხრეთ ნახევარ სფეროში ვართო: დილის ხუთ საათზე ფრეგატს გადაუჭრია ეკვატორი დასავლეთ სიგრძედის 18°-ზე. ჩვენ მაინც ყველანი გამოვეფინეთ ზემოთ და გაფაციცებით ვიყურებოდით აქეთ-იქით, თითქო იმ ხის რკალის დანახვას ვაპირებდით, რომელიც ეკვატორის სახელწოდებით გლობუსებს არტყია ხოლმე.

ყველა ფიქრებს წაეღო. პ(იოტრ) ა(ლექსანდროვიჩი) ტ(იხმენევი) გიკს დაყრდნობოდა და სივრცეს გაჰყურებდა. ყველა ეკვატორითაა გართული. „პ. ა. აგერ ეკვატორსაც გადავაბიჯეთ, მალე კეთილ იმედის კონცხზე ამოვყოფთ-მეთქი თავს,“ — ვუთხარი მე. „ჰო, — ღრმად ამოიხვნეშა მან და გულგრილად გახედა ზღვის ფირუზისფერ ზედაპირს. — კი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა... ნეტავ საფუარს თუ ვიშოვით იქ?“ აბა მითხარით, რაც არ უნდა წმინდა ვალი ეკისროს, ამაზე მეტი გულდაგულობა შეიძლება განა, როგორც მაგალითად ამხანაგების სანოვაგეზე ეს ადამიანი ზრუნავს? ჩვენი კეთილი პ. ა...-ს უცბად თვალები რაღაც უჩვეულოდ გაუბრწყინდა. ვიფიქრე, ალბათ ეკვატორი დაინახა-მეთქი. ხელიც კი გაიშვირა. „შეხეთ, ვილაცას ისევ უჭამია ბანანები! — შესძახა მან აღშფოთებით, — ალბათ ზ(ელიონი) იქნებოდა, წუხელ ის იდგა ვახტზე“. საღამოს ხილს გემბანზე გამოკიდებდნენ ხოლმე, ქორფად შეინახებაო, დილით კი უთუოდ ნაკლული დახვდებოდათ. ტ(იხმენევი) მკაცრად იძიებდა დამნაშავეს, მაგრამ პასუხად მხოლოდ ცბიერ ღიმილს იღებდა.

გადასჭერ ტროპიკი და თან ეკვატორი,
და შენც იზეიმე, მეზღვაურებივით!

გახსოვთ რა დამავალეთ, თქვენო აღმატებულებავ, ვლადიმირ გრიგორიევიჩ: ფიქრში თქვენც მოგიწვიეთ ამ ნადიმზე, მაგრამ ის არ შედგა. არც არავის უფიქრია ამაზე — ჩვენმა მეზღვაურებმა მითოლოგიის არაფერი იციან, ამიტომ ნეპტუნის გამოწვევა თავში არ მოსვლიათ, ასე გასინჯეთ, ჩვენც არ მოგვილოცეს მის იდუმალ სამფლობელოებში შესვლა და არც ფული თუ არაყი შეუგროვებიათ ხარკის მისაცემად. ჩვენც აღარ გაგვიხსენებია, ასე რომ დღე ჩვეულებრივად გავატარეთ. მხოლოდ ღამით მიგვიპატიჟა კაპიტანმა ვახშმად. საპატიო სტუმარი პაპა გახლდათ: პირველი არ იყოს მისთვის ეს მგზავრობა და თბილის შამპანიურის ბაკალიც მის სადღეგრძელოდ დაილია. „რამდენჯერ გადაგიჭრიათ ეკვატორი? — ვკითხეთ ჩვენ. „თერთმეტჯერ“ — ნუ ტრაბახობთ, პაპავ, თქვენ მხოლოდ სამჯერ შემოუარეთ დედამიწას: მაშასადამე, ექვსჯერ გამოდის!“ — „ეგრეა, მაგრამ ერთხელ ზედ ეკვატორზე ხომალდს შტილმა მოუსწრო და სამჯერ თუ ოთხჯერ ეკვატორის ხან გაღმა, ხან გამოღმა გვატრიალა“.

ინგლისში ნაყიდ ორანძა ნავ „ვოსტოკზე“, რომელიც ჩვენ გამოგვყვა, ნეპტუნის ზეიმი გადაუხდიათ. მიხარია, რომ ჩვენს ხომალდზე ის არ მოხდა. როგორც გენებოთ და ეს ზეიმი ყურით მოთრეული ამბავი გახლავთ. პამპულაობა გაგაცინებს, როდესაც ადამიანი გულუბრყვილოდ პამპულაობს, თვითონაც ერთობა და სხვასაცართობს. მაგრამ როცა ადათის მიხედვით, განზრახ თავს იმასხრებს და სხვასაც ამასხრებს, მის მაგიერ შენ გრცხვენია და უხერხულობას

გრძნობ. ხოლო თუ ამას გართობის საბაბად მივიჩნევთ, ჩვენ არც ეს გვაკლდა. არა მარტო უქმე დღეებში, ჩვეულებრივ დღესაც სწავლებისა თუ მუშაობის შემდეგ მომღერლებსა და დამკვრელებს ზევით უძახიან ხოლმე. ჰოდა, ამ ლურჯ, კაშკაშა ცის ქვეშ, ამ უკიდეგანო სივრცეზე გაისმის რუსული სიმღერის თავაწყვეტილი სამხიარულო ჰანგი, თუმცა ღმერთმა არ იცის, რა ჰქონდათ ჩვენებს გასახარელი, გახურდება ცეკვა-თამაში ან არადა ისტორიული, რა ხანია მივიწყებული ტანჯვის გამომთქმელი თქვენთვის კარგა ნაცნობი, გულის მომკვლელი კვნესა და გოდების ხმა მოეფინება გარემოს. ესენი ერთმანეთს პაუზის გარეშე ენაცვლებიან: თავაწყვეტილი ქეიფის, ტრეპაკის ბრაგუნის თუ ისტორიული ქვითქვითის ხმაში აღარ ისმის ზღვის ტყლაშუნი და გემსართავების ჭრიალი. ასეთ გართობას მეზღვაურებისათვის მეტი შინაარსი აქვს, ვინემ ნეპტუნის ზეიმს: ყოველ შემთხვევაში, ამას არ ახლავს აფექტაცია, მით უმეტეს თუ ხაზინით დაწესებულის გარდა ზედმეტად გადააყლურწინებ სასმისს. თუმცა ხომალდზე მეზღვაურებს ეს არ აკლიათ: ოფიცერი მუდამ სასმელით უმასპინძლდება ხოლმე მეზღვაურს, თუკი რამე შეუსრულა ან მოემსახურა, როცა ნაპირზე მიდის თავის საქმისათვის, ოფიცერი უთუოდ მენიჩბეებს ფულს მისცემს დასალევად. ამგვარად, გადასაყლურწი ბევრი უგროვდებათ და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ისმევა კიდეც.

სამხრეთ ნახევარსფეროში საძაგელი ზუიდოსტის პასატი გვიშლიდა ხელს ცურვაში; მერიდიანით ველარ ვიარეთ: დიაგონალი ამერიკისაკენ გვიმრუდებდა გზას. დიდი, დიდი 6,7 კვანძი გაგვევლო." აი, თქვენი ზაფხულიც! —გვეუბნებოდა გაწითლებული, ოფლში გაღვრილი პაპა, რომელსაც ჩვეულებისამებრ ყველა ღილი შეკრული ჰქონდა, თუმცა პრიუნელის ფეხსაცმელები ეცვა. — აგერ ზვიგენები, სამხრეთის ჯვარი, აგერ „მაგელანის ღრუბლები" და „ნახშირის ტომრები"! აქ პირდაპირ გუნდებად დაფრიალებდნენ წყლის ზედაპირზე მფრინავი თევზები.

როცა მაგნიტური ეკვატორი გადავიარეთ, დამავიწყდა მაგნიტის ისარზე დამეხედა, ის ხომ ნამდვილს სამი გრადუსით რჩება უკან. ამბობენ, როცა ორივე პოლუსიდან თანაბარ მანძილზე აღმოჩნდება ხომალდი, ისარი ეკვატორის პარალელურად იხრება, მერე სამხრეთ პოლუსის მიახლოვებისას სწორდება, ჩვეულებრივ მიმართულებას იღებს და თვითონ პოლუსზე სრულიად ვერტიკალურად დგება. ასეა კი, ვ(ლადიმირ) გ(რიგორიევიჩ)? თქვენ გიყვართ, თვითონ ბუნებას ჰკითხოთ მის საიდუმლოთა ამბავი: ყველაფერს პოეტისა და მეცნიერის თვალით უცქერით:... 11°-ზე მზე უკვე ჩვენს ზემოთ გაჩერდა და სამხრეთისაკენ აღარ გადახრილა. ერთმა მესაჭე მეზღვაურმა ეს ამბავი განცვიფრებით აუწყა შტურმანს.

14 თებერვალს იმ უქარო ზონაში მოვხვდით, რისაც ასე გვეშინოდა ეკვატორთან. ისევ ერთი, ერთნახევარი კვანძით მივდივართ, ხანდახან სულაც არ ვიძვრით ადგილიდან. პირველად არხეინად შევხვდით ამ ამბავს, ვიფიქრეთ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაუბერავს მაღლიანადთქო; მაგრამ ბევრჯერ გათენდა და დაღამდა, ჩვენი იალქნები კი მაინც უმოძრაოდ ეკიდა, ფრეგატს მხოლოდ ერთ ადგილზე ატორტმანებდა ხანდახან საკმაოდ მძლავრი ფურთუნი, რაც ქარის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ქარი სადღაც სხვა ბედნიერ ადგილზე ქროდა და ჩვენთან მხოლოდ მისი სუსტი მონაბერი აღწევდა. ჰორიზონტს ღრუბლები დახვევოდა, გვეგონა წვიმა წამოვიდოდა და ამინდიც შეიცვლებოდა; კოკისპირული წვიმა მართლაც განუწყვეტლივ მოთქრიშინებდა, მაგრამ ქარის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ერთი საათის შემდეგ ისევ მზე დაგვკაშკაშებდა ძველებურად და ოკეანის უძრავ სივრცეს დაჰნათოდა.

ერთი კია, ამ უშფოთველ თბილ, მდუმარე სამეფოში გულარხეინად შეგეძლო ყოფნა: მაგიდაზე წიგნი, სამელნე თუ ჭიქა კვლავ იმავე ადგილას გხვდებოდა; არ გეშინოდა, ძილში კომოდი ან წიგნის თარო დაგეცემოდა და გაგჭყლეტდა. მაგრამ ზღვაში ორმოც დღეს გაძლება არ უნდოდა! ნაპირი ყველას ოცნებად გვექცა. რარიგ გაგვიხარდა, 16 თებერვლის დილას სამხრეთ ტროპიკი რომ დავტოვეთ. ამ დროს აქ აღმოსავლეთის ქარი სცოდნია და ჩვენებს იმის იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს იმედიც გაგვიცრუვდა. ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეს შიგა და შიგ მხოლოდ გროტის ტყლაშუნი არღვევდა. 21 თებერვლის ღამეს ისე დამცხა, დასაძინებლად კაიუტ-კამპანიაში გავწიე და ღია ბანის ქვენასთან დავწექი. უცბად გაშმაგებულმა ბრაგაბრუგმა, სტვენამ და ყვირილმა გამომაღვიძა. სახეზე რამდენიმე შხეფი დამეცა, „გრიგალია! ახლა დაუბერავს, მაგრამ რას დაუბერავსო!" — მითხრეს ასე. გაგიგონიათ, გრიგალმა გაგვიარა და ფრეგატი ისევ უმოძრაოდ გაწვა.

ამასობაში ყველიერიც დაგვიდგა. დიდად არავის მოულხენია, თუმცა პ(იოტრ) ა(ლექსანდროვიჩმა) თავი არ დაზოგა, ოღონდ ეს მხიარული რუსული უქმე, ასე თუ ისე მხიარულად გაგვეტარებინა. დააცხობინა ბლინები, ხიზილალის ნაცვლად სარდინები გაახსნევინა. ინგლისიდან წამოღებულ უკვე ჩაღვებილ ნაღებზე გვეხვეწებოდა, არაყანად წარმოიდგინეთო. ოკეანე ლამის შეძრა თავაწყვეტილი

quasi;[1]—სიმხიარულის გნიასმა და სიმღერებმა, რომელიც თათრების მონობის ხანას აგონებდა

[1] ყალბი (ლათ.)

კაცს. შრილით გაბეზრებული ხალხის მოწყენილ გუნებას ის მჭმუნვარე ჰანგები თითქო უფრო შეეხამებოდა. მაგრამ განა შეიძლება თუნდაც ატლანტის ოკეანის მცხუნვარე ფურთუნებში ყველიერმა რუს კაცს ცალყბა ღიმილი მაინც არ მოჰგვაროს სახეზე. იუტზე აქეთიქიც ბოლთას რომ ვცემდი, ერთიც ვნახოთ, მეზღვაურებში რაღაც უჩვეულო მოძრაობა შევამჩნიე: ხომალდზე კი ეს არც ისე იშვიათია. ჯერ ვიფიქრე, ალბათ რომელიღაც ბრასს მოათრევენ-მეთქი. მაგრამ ამას რაღაც არ ჰგავდა. თურმე ერთმანეთს აჩიკუდა მოჰკიდებიან და ანძების ირგვლივ დარბიან. ყველიერობას არ შეიძლება ყინულზე სიარული არ მოჰგონებოდათ და იმათაც ეს გართობა აჩიკუდით შესცვალეს. ყოველ შემთხვევაში, პ(იოტრ) ა(ლექსანდროვიჩზე) მეტი მოსაზრება გამოიჩინეს, ხიზილალის მაგივრად სარდინები რომ გამოგვიტანა. მერე როგორ ერთობოდნენ ყმაწვილი თუ ულვაშშეჭაღარავებული მეზღვაურები ამ აჩიკუდით ძალაუნებურად შენც გაგეცინებოდა ამ ბუნებრივ, ნაციონალურ პამპულაობის ცქერისას: ნეპტუნის სელის წვერებსა და ფქვილში ამოთხუპნილ სახეებს მაინც ისევ ეს მერჩივნა.

ამ ზოზინით მიმავალ ჩვეულებრივ დღეებს ერთი უჩვეულო, საზეიმო დღეც გამოერია. კვირას 1 მარტს, წირვის შემდეგ, როცა ჩვეულებრივ კამანდის შემადგენლობა შეამოწმეს და იკითხეს: ყველა თუ კმაყოფილია, პრეტენზია ხომ არავის აქვსო, ოფიცრები და მეზღვაურებიც ყველანი გემბანზე შეგროვდნენ, ყველამ ქუდი მოიხადა: ადმირალი წიგნით ხელში გაბრძანდა და პეტრე დიდის საზღვაო წესდება წაიკითხა.

შემდეგ ისევ ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა და ერთფეროვნად წაეწყო დღე დღეს. ფრეგატზე ისეთი სიმშვიდე მეფობს, ისეა მთელი ქვეყნისაგან მოწყვეტილი, ისე თბილა და დაჰნათის მზე, რომ თავი ერთ მივარდნილ ტრამალში, რუსულ სოფელში გეგონება. ადგები დილით, გუნებააუმღვრეველი, არსად მიგეჩქარება, მშვენიერ ჯანზე და მადაზე ხარ, თავიც დასვენებული გაქვს, პირდაპირ ოკეანიდან ამოღებულ რამდენიმე ვედრო წყალს გადაისხამ, გაისეირნებ, ჩაის დალევ და მერე საქმეს ჩაუჯდები. მზე უკვე მაღალზე წამოსულა; თაკარა სიცხეა: ასეთ დროს სოფელში არც კალოს სანახავად წახვალთ, არც ჰვავის. ფარდა ჩამოფარებულ აივანზე დაბრძანდებით. სხვა ყველა სულიერი ჩიტებიც კი, მზეს ჩრდილში დამალვია, მხოლოდ ჭიაფერს გამოუდვიათ თავი და თავთავებს დატრიალებენ. ჩვენც აქ გადაჭიმულ ტენტს ვეფარებით, კაიუტების სარკმელები და კარები მოფრიალებული გვაქვს. სიო ოდნავ უბერავს, სახესა და გადაღეღილ მკერდზე გველამუნება, მეზღვაურებმა უკვე ისადილეს (ისინი ადრიანად, ნაშუადღევს სადილობენ, როგორც სოფელში სჩვევიათ ხოლმე, დილის საქმეს რომ მორჩებიან). ზოგი ზარბაზნებს შუა დამსხდარა ჯგუფად, ზოგი გაწოლილა, ვინ საცვლებს იკერავს, ვინ ტანსაცმელს, ჩექმებს [illegible] თან ნელა ღიღინებს; ერდოზე ვიღაც ჩაქუჩს ურტყამს გრდემლს. მამლების ყივილის ხმა შორს ეფინება მშვიდ, უშფოთველ ოკეანეს. გესმის კიდევ რაღაც ფანტასტიური ხმები, თითქოს სადღაც შორს, ძალიან შორს ზარებს რეკენო... ოცნებებითა და უცხო მოლოდინით სავსე შენი გამახვილებული წარმოსახვა მდუმარების სამეფოში ქმნის ამ ხმებს, და ლურჯი ცის ფონზე რაღაც შორეული ლანდები გეზმანება...

გამოხვალ გემბანზე, გაიხედავ და წუთით დაგაბრმავებს ცისა და ზღვის თვალისმომჭრელი ბრწყიალი; ხომალდის სპილენძისა და რკინის ნაწილებზე სხივთა კონა ირეკლება; გემბანიც კი აუტანლად ბრჭყვიალებს და მისი სითეთრე თვალსა გჭრის. მალე სადილიც იქნება; ნეტავ რას მოიტანენ სადილზე? ბედად ტ(იხმენევი) დგას ვახტზე: იმას ვკითხავ. „დღეს რაა სადილად პ(იოტრ) ა(ლექსანდროვიჩ)?" ის იყო პასუხი უნდა მოეცა, რომ კაპიტანი გამოვიდა მოეჩვენა, ქარმა იმძლავრაო და ლისელების დადგმა ბრძანა. „აბა, ლისელ-ფალები!" —ბალღივით იბოხებს ხმას პ. ა. — ი და ლისელ-ფალების ნაცვლად კაპიტანს შესჩერებია. კაპიტანს ჩუმ-ჩუმად ეღიმება და გემბანზე ჩემთან ერთად სცემს ბოლთას. აი, კაპიტანმა ერდოზე რაღაც შენიშნა და იქით გასწია. „ჰო, სადილად რა გვექნება?" — ვეკითხები ისევ პ. ა-ს, რაკი კაპიტანი გაგვეცალა, „გუფთის წვნიანი, გიყვართ?" — „არა უშავს ოღონდ მწვანილი თუ ბლომად ექნა". სულით და გულით, ღმერთმანი, დამიჯერეთ, არ დავიშურებ, — დამიწყო მან მისთვის ჩვეული გრძნობითა და ენამზეობით,— თავს დავდებ, ღამეებს გავათენებ, ოღონდ წვნიანში მწვანილი მეტი იყოს, მაგრამ არ შემიძლია, ღმერთია მოწმე, არ შემიძლია... თუმცა, თქვენი გულისთვის... ჰეი, მორიგევ! წადი, კარპოვს უთხარი, რომ იანცევს კიდევ გამოართვას მწვანილი და წვნიანს დაუმატოს. ხომ ხედავთ, ამას თქვენი გულისთვის ჩავდივარ. თუკი კეთილ იმედის კონცხამდე მწვანილი არ გვეყო, ჯანდაბას, მლანძღონ!" მე გრძნობით ჩამოვართვი ხელი. „კიდევ რა იქნება? — ნაზად ვეკითხები მისი სიკეთით გულაჩუყებული. „კიდევ... ბრინჯიანი ქათამი.." — „ისევ ბრინჯიანი ქათამი!" — შევყვირე, შეწუხებულმა. „მაშ რა ვქნა, გეთაყვა — ერთი ჩემი ამბავიც იკითხეთ: ხუთიოდე ცხვარი, სამი ღორი, თხუთმეტი იხვი და ოცდაათიოდე ქათამი დამრჩა. ესაა და ეს: ახ ოცდაათიდან ესლა გადაგვრჩა — აბა, იფიქრეთ! ხომ შიმშილით დავიხოცენით!" — მაგრამ დაღონება რომ შემამჩნია, გულმა არ მოუთმინა. „რაც იყოს, იყოს, ხვალ ღორს დავაკვლევინებ..." — „ვახტაზე ლაპარაკი არ შეიძლება:

„ისევ ლისელ-სპირტი ხომ არ გინდათ დაამტკრიოთ!“ — უცბად მოგვესმა უკნიდან დაბრუნებული კაპიტნის მკაცრი ხმა. რა ვქნა ი(ვან) ა(ლექსანდროვიჩი) მელაპარაკება! მყისვე შესჩივლა პ. ა.-მ, ხელი ქუდთან მიიდო და „ლისელფალი გაასწორეთო!“ მრისხანედ შეუტია მეზღვაურებს. კაპიტანი ისევ გატრიალდა. პ(იოტრ) ა(ლექსანდროვიჩიც) მომცილდა. „სათმელი რომ არ დაგიმთავრებიათ“! ვუთხარი მე. მან შიშით მიიხედ-მოიხედა. „კიდევ შემწვარი იხვი, — წყრომით გადმომიჩურჩულა იუტიდან, ჩემთვის არც შემოუხედავს, — ნამცხვარი...„ ამ დროს კაპიტნის თეთრმა ქუდმა გაიელვა იუტთან და მიიმალა. „იალღოები ინბირის მურაბით... თავი დამანებეთ: თქვენი გულისათვის უბედურებას სულ როგორ უნდა გადავეკიდო!“ —გაბრაზებით შემომსისინა და საჩქაროდ გამეცალა, ისე რომ კინაღამ ზღვაში არ გადაალაჯა. „დესერტი არ იქნება, — დასძინა თითქოს თავისთვის, — ზ(ელიონიმ) და ბ(არონმა) ღამ-ღამობით ყველაფერი შესანსლეს. კვირას სულზე თითო ფორთოხალისა და ორ ბანანს ძლივს დაურიგებ“. ხანდახან თუ შენ არ შეეკითხე, იქით არ მოუთმენს გული და გეტყვის: „დღეს შამხი მოვალებინე და მუხუდოც გამოვატანინე მარაგიდან“. ჰოდა, მოწყალედ მთელ კერძებს ჩამოგითვლის.

ნასადილევს, საათის სამზე, მუსიკოსები ჰყავთ იუტზე და ვერდისა და ბელინის ჰანგები ოკეანეს ეფინებოდა. მაგრამ ნასადილევს მუსიკის თავი არავის აქვთ. დამკვრელებს ხელის გასაწაფად უფრო აკვრევინებენ. ამ კლიმატში ნაშუადღევის ძილი სიესტა აუცილებელია; ჩრდილოეთში რაც არ უნდა ცხელი დღე იდგეს თუ ჩრდილში ზიხარ, არც დაიღლები და არც დაოსდები, შეგიძლია იმუშაო კიდეც. მაგრამ აქ, ამ პაპანაქება სიცხეში, რაც არ უნდა თავი შეიკავო, მაინც დაიღლები, მაინც ტახტისკენ გეწევა გული, თუნდაც ტილოს თეთრი მსუბუქი პალტო გეცვას, პალსტუხი და ჟილეტი არ გაუხებდეს და ჩრდილს იყო შეფარებული. მხოლოდ და მხოლოდ ძილია შენი წამალი.

ამასობაში ცხელი დღეც მიიწურა: მზე დასალიერისკენ გადაიხარა. იცქირები სივრცეში და მაინც ვერაფერს ამჩნევ. ბეჯითად ვაკვირდებით ოკეანის გაშლილ სივრცეს და ვდუმვართ, აბა რა გვაქვს სალაპარაკო, კიდევ კარგი, თუ მფრინავი თევზების გუნდი ამოხტა და ბელურებივით გადაიფრინა წყალზე: მყის ყველა ხელს იმათკენ გაიშვერს, თვალები გაუბრწყინდებათ. „შეხეთ! შეხეთ!“ — აყვირდებიან ყველანი, მაგრამ ყვირილი რა საჭიროა, სუყველა ისედაც ამ საცოდავ თევზებს უყურებს, რომლებსაც ბონიტების გუნდი გამოჰკიდებია და იისფერი ზურგები წყლის ზედაპირზე უპრიალებთ. მიიმალებიან ისინი და მიიჩქმალება ყველაფერი, ოკეანე კვლავ უდაბური რჩება. ძილსა და სიმშვიდეს მოუცავს ზღვა და ცა, თითქოს სიმუდამოდ მისძინებიათ. ალბათ ასეთ ნეტარ, მშვენიერ, უმტკივნეულო სიკვდილს ინატრებს [illegible] ჭიდილითა და ბედის ტრიალით მოქანცული კაცი ალბათ ამიტომაც ეგზომ ანგარიშმიუცემლად წაგიღებს და შეგიპყრობს ნეტარი ფიქრები, აგრე გაგაშტერებს ამ მშვენიერი დიდებული სიმშვიდის სურათი და ფიქრსა და გრძნობას გიბოჭავს: ამ სივრცესავით დუმს სული და არაფერი არხევს მას. „რაღაც მოცურავს!“ — დაიყვირა ერთხელ ერთმა ჩვენგანმა ამ დროს და შორს გაიშვირა ხელი.. ყველამ იქით გავიხედეთ. ზოგი ჰოგრიტის მოსატანად გაიქცა. „ჰო, დაუმოწმა სხვამ, — შავ წერტილს ვხედავ“. კვლავ დუმილი. წერტილი თანდათან იზრდება. „რაღაც ყუთი უნდა იყოს“, — თქვეს მერე. „ყუთიო... ღმერთო ჩემო! შიგ რა არის?“ სუნთქვა შეგვეკრა მოლოდინში, ღმერთმა იცის, რა არ წარმოვიდგა. ყუთი თანდათან მოახლოვდა „საქათმეა!“ — შეჰყვირა ერთმა. ისევ სიჩუმე. „ჰო, მართლაც საქათმეა, — დაუმოწმა მეორემ, ბოლოს რომ დააკვირდა, — ალბათ, რომელიმე ხომალდზე ქათმები გამოელიათ და ზღვაში უკრეს თავი“. — მოიცათ, გეთაყვა, ლიმონების ყუთი ხომ არ იქნება?“ — ეჭვი შეაქვს ვინმე სკეპტიკოსს. „არა, — პასუხობს სხვა მოთვალთვალე, — ხედავთ, წინ ხარიხა აქვს“. კარგა ხანს ვადევნეთ თვალი საქათმეს, ვინემ არ მიიმალა და კარგა ხანს ვიმსჯელეთ, გადააგდეს თუ განწირულ ხომალდის ნამსხვრევიაო.

საათის ხუთზე მეზღვაურების ბანაობის დრო დგება. ჩაუშვებენ ზღვაში იალქანს და ისიც წყლით გაივსებოდა. მეზღვაურები ქიმიდან ხტებიან შიგ. მაგრამ თვალი კი გაფაციცებით უნდა გეჭიროთ მათზე: იალქნის გადაღმა მიუდით სული და ოკეანეში ლაღად ცურვა უნდათ. დახრჩობის შიში კი არ გვქონდა, ყველა ოსტატურად ცურავდა, ოღონდ ზვიგენების გვეფიქრებოდა. ისედაც ერთხელ მარსიდან იყვირა მეზღვაურმა “ვეება თევზი მოდისო!“ მოცურავეები ყველანი წყლიდან ამორეკეს. ზვიგენს ჯერ ცხვრის შიგნეული გადაუგდეს, რომელიც მყის გადასანსლა, მერე კი ბარჯით დაჭრეს. ზვიგენი ხომალდის ქვეშ მიიმალა და მის ადგილზე სისხლის ლაქა დარჩა. თან ორი თუ სამი თევზი მოჰყვებოდა, ლოცმანებს რომ ეძახიან. ისინი ხომ მუდამ დაჰყვებიან და მის გარშემო გველებივით იკლაკნებიან. პ(იოტრ) ა(ლექსანდროვიჩიც) გულდაგულ ფაციფუცობს ხოლმე ამ დროს. ასისთავივით ყველა გემბანს უვლის და ზარმაც მეზღვაურებს ზღვაში ყრის. „გასწი, გასწი, ყვირის იგი, — ტანსაცმელი რატომ არ გაგიხდია? ვიტული ან ფალდეევი სადღა არიან? ჩქარა წყალში! კოკებსაც დაუძახეთ და აბანავეთ!“

ექვსი საათისათვის სამუშაოს და სიესტის

დამთავრების შემდეგ, ზღვაოსანთა საზოგადოება გარეთ გამოეფინება ხოლმე გასაგრილებლად. მაშინ კი გადაიხსნებოდა გულისკარი ჩრდილოელთათვის უცხო, ნაზ და მგზნებარე სასწაულთა ჩასაბეჭდავად. დიახ, ეს სასწაულნი არ ემორჩილება არც გაანგარიშებას, არც ციფრებს, მეცნიერებისა თუ გამოცდილების ტლანქ შეხებას. აბა, მიდი და ჩაიწერე ტროპიკული ცა და მისი სასწაულები, აბა, გაზომე და გამოიანგარიშე ის უსაზღვრო შეგრძნება, რასაც გულაცახცახებული ნებდები, ვით სიყვარულის ტალღას. სადა ხართ, სად, ვ(ლადიმირ) გ(ეორგიევიჩ)? ჩქარა გამოსცურეთ ჩვენსკენ და გვითხარით, რა ჰქვია ამ ნაზ ჰაერს, რომელიც თბილი ტალღებივით გევლება, გელამუნება და განებივრებს, ამ ფანტასტიურად მოელვარე ცას, ამ ფერებს, ჩასულ მზეს რომ დაუფრქვევია? ოქროში გაბნეული ოკეანეა თუ ოკეანეში ჩაღვრილი ოქრო, ძოწისფერი ალი წაჰკიდებია ყველაფერს, ნაზად, სალუქად, უკვამლოდ იკმევა ეს მარადიული, ჩაუქრობელი ალი და მიწას ერთი პაწაწინა ბალახიც არ გაგონებს. ნეტარ სიმშვიდეს მისცემია ზეცა და ზღვა — ეს არც მკვდარი სიმშვიდეა და არც ძილის სამეფო: ეს თითქო გულით გამძლარ ვნების სიმშვიდე გახლავთ, რომელსაც ზეცა და ზღვა მისცემიან ნეტარი წამების შემდეგ და ახლა ჩახვეულ-ჩახუტულები ისვენებენ. მზე გაბედნიერებულ მიჯნურივით მიემართება და მისი საყვარლის სახეზე დაფიქრებულ ბედნიერების კვალი დაუტოვებია.

ამ ოქროდ მოგიზგიზე, თვალუწვდენელ ველზე ჯადოქრულ ქალაქთა, შენობათა, კოშკთა, ურჩხულთა თუ მხეცთა მთელი სამყარო ამართულა და მხოლოდ ღრუბლებს აღუმართავთ. აგერ შეხეთ, უზარმაზარი ციხე-კოშკი ნელა, უხმაუროდ წამოიმხო; დაინგრა ერთი ბასტიონი, მას მიჰყვა მეორე; იქ მაღალი კოშკი წამოქცეულა და საკუთარი საძირკველი ჩაუტანია. მაგრამ აგერ კვლავ მძიმედ ისხმება მთების, კუნძულების, ტყეების, გუმბათების ყალიბები. თვალმა ვერ მოასწრო მისი ასარკვა, რომ უკვე დნება და იშლება. მის ადგილზე ნელა გამოცურდა ხომალდი და ჰაერში დაეკიდა; ვეება ეტლიდან უკვე დევი ქალის ტანი გამოიკვეთა; მხრები შერჩა, მაგრამ თეძოები დაშლილა და აქლემის თავი გამოჩნდა; აგერ ჯარისკაცთა მთელი მწყობრი მოქრის, აქლემს მიეჯარა და მალე ჩანთქა კიდეც.

განცვიფრებული თვალი აქეთ-იქით იყურება, ვინძლო დაინახოს, ვისი ხელია, თამაშ-თამაშით რომ აგებს და არღვევს ჰაეროვან ზმანებათა რიგს. ნელი, ნარნარი რხევით ზანტად მოცურავს ოქროსფერ ჰაერში ეს ნაზი, გამჭვირვალე სურათები, ვითარცა ოცნებანი ტრიალებენ მითვლემილ სულში, ხან წარმტაც სახეებად იქცევიან, ხან იშლებიან, რა არის ფანტასტიურ ციმციმში კვლავ შეერწყან ერთმანეთს...

დაე მხატვრებმა გამონახონ ასეთი საღებავები, დაე თუნდაც გვითხრან, რა ჰქვია ამ ფერებს, რითაც მიმქრალ მზის ზეცა შეუღებია! შეხეთ: იისფერი საბური გადაეკრა ზეცას და ძოწისფერს შეერია; წუთიც და იქიდან მუქი მწვანე, ზურმუხტისფერი გამოსჭვივის: აგერ მისი რიდე ჩამოეფარა მთლიანად ცას. ვარდისფერი, პირისფერი ყავისფერი კოშკები, გუმბათები, ტყეები გაჩახჩახებულ ტაძრებივით სრიალებენ სწრაფად ჩაშვებული მზის უკანასკნელ სხივებზე... გაქვავებული, ხმაგაკმენდილი და დაბნედილი უცქერით მზისგან დარჩენილი ნაირფერ კვალს. მას მცხუნვარე, გამოსათხოვარი სხივი თვალის ნერგებს გიღიზიანებთ, მაგრამ პოეტური ფიქრის ბურანში წასული თვალს მაინც ვერ აშორებთ; ვერ სწოვებთ ამ ნეტარ სიმშვიდეს, გინდათ სულ ასე დაბნედილი დარჩეთ. გონს მოხვალ და ოხვრით იტყვი: ო, ნეტამც ყველგან და მარადის ეგეთი იყოს ბუნება, ეგზომ მგზნებარე და ეგზომ დიდებული სიმშვიდით, სიდარბაისლით სავსე! ნეტამც ცხოვრებაც მას ემსგავსოს!. ვნებათა გაგიჟებული ქარტეხილი, ღელვის განა ბუნებისა და ცხოვრების ნორმას წარმოადგენს, ის მხოლოდ გარდამავალი ეტაპია, მხოლოდ შფოთი და ბოროტება, შემოქმედების პროცესი, შავი სამუშაო გახლავთ — ბუნების ლაბორატორიაში სიმშვიდისა და ბედნიერების შესაქმნელად.

მზე ჯერ მთლიანად არ ჩასულა, ფიქრი მთლიანად არ ჩამოგყალიბებია, მაგრამ აბა უკან მიიხედეთ ერთი: დასავლეთზე ჯერ ოქრო და ძოწი გიზგიზებს, აღმოსავლეთი კი უკვე მილიონობით ვარსკვლავებით მოჭედილა და იქ მორცხვად, თეთრად ზომიერად კამკამებს სამხრეთის ჯვარი! სიბნელე ქუდივით გადაგეხურათ: გაქრა კუნძულები, გუმბათები, ურჩხულები. ვარსკვლავები ძალუმად, კადნიერად ციმციმებენ, თითქო ეშურებიან, ვინემ მთვარე ამოვა, მოვასწროთ ნავარდიო. თანდათან უფრო და უფრო იკენჭება ზეცა, გამოდის და გამოდის იქიდან ვარსკვლავთა ჯარი. აქამდე რომ ჰაეროვან კოშკებს აგებდა, კვლავ ის უხილავი ხელი ახლა საჩქაროდ ანთებს ყოველ კუთხეში სანთლებს და აი, გაბრწყინდა კიდეც ღამის ნადიმი! ახალმა ძალამ, ახალმა ფიქრმა, ახალმა ნეტარებამ დაისადგურა შენს სულში. გუშინდელივით ისევ ეძიებს ამ სინათლის ციმციმში აზრს, ხარბად კითხულობს ცეცხლის ასოებს და იქით მიილტვის.

მაგრამ აგერ ამობრძანდა მთვარე: ის არც მიმქრალია, როგორც ჩვენთან, არც ჩაფიქრებული, არც ნისლში მცურავი, ბროლივით წმინდად კამკამებს, ამაყად აფრქვევს თეთრ სხივებს, არც პოეტებს შეუმკიათ ჩვენები მრავალგზის და მაშასადამე. უმანკოებაც არ დაუკა-

რგავს. ის გადამწიფებული მზეთუნახავი არ გეგონოთ, დიანასავით მხნე, სიცოცხლით სავსე და კდემამოსილი ქალწული გახლავთ. მისი გამჭვალავი შუქი ცასა და ზღვას გადაეფრქვია; ვარსკვლავთ კადნიერი ციმციმი შეანელა და სათნოებით, დიდებულებით სავსე დილამდე გამეფდა ცაზე. ხომ არ გგონიათ, ოკეანემ დაიძინა? არა, ვარსკვლავებზე მეტად ის ციმციმებს და ათასფრად ელავს. ხომალდის ძირს პირი დაალო ცეცხლის უფსკრულმა, ხმაურით გამოიჭრა იქიდან ოქროს, ვერცხლისა და გავარვარებულ ნაკვერჩხალთა ღვარი. თვალი მოგეჭრათ, შემოქმედების ნეტარი სიზმრები შემოგეჯარათ... უძრავად მიშტერებიხართ ცას: ხან ოქროსფრად, ხან სისხლისფრად, ხან ზურმუხტის ნამით ივსება კონოპუსი, არგოს ხომალდის კაშკაშა მნათობი, ცენტავრის ორი უშველებელი ვარსკვლავი. მაგრამ აგერ სამხრეთის ჯვრის ოთხ ვარსკვლავზე სიყვარულით გადაიტანეთ მზერა და თვალმაც დაისვენა ამ უღვთო ბრჭყვიალისაგან. მორცხვად კამკამებენ ისინი, გგონიათ, ქკვიანურად, დაკვირვებით ჩამოგცქერიან. სამხრეთის ჯვარი... არ შეგმთხვევიათ (განა შეიძლება პოეტს არ შემთხვეოდეს) ქალის, სილამაზეს და მოხდენილობაზე ყურები გქონდეთ გამოჭედილი გაიცნოთ და თავბრუდამხვევი ვერა ჰპოვოთ რა მასში: უყურებთ ამ ქალს გაკვირვებული და ფიქრობთ: „რა აქვს გასარჩევი? ერთი უბრალო, მორიდებული ქალია, სხვებისგან ვერ გამოარჩევ..." უმზერთ დიდხანს, დიდხანს და უცბად გრძნობთ რომ უკვე თავდავიწყებით გიყვართ! პირველად რომ სამხრეთის ჯვარს ნახავთ, იგივეს იტყვით: ნეტავ რა აქვს არაჩვეულებრივიო? უყურებთ იმასაც დიდხანს დაბოლოს, შემოღამდება თუ არა, პირველად ამ ჯვარს დაუწყებთ ძებნას ცაზე, მერე ვარსკვლავებსაც მოავლებთ თვალს და ისევ იმას დაუბრუნდებით, ისევ იმას შეაცქერდებით ხშირხშირად და ღიღხნობით.

პაპანაქება დღეს დიდი ღამე მოსდევს, ნეტარი, ტკბილი, დახუთული ღამე. ზემოთ ციმციმებენ ვარსკვლავები, ქვემოთ ცეცხლის ღვარი იფრქვევა, ჰაერში ნეტარება გაღვრილ-გალურსულა. ღმერთო ჩემო! რა ტყუილად შთება ეს ღამეები: არავინ მღერის სერენადებს, არავინ ოხრავს, მიჯნურთა ჩურჩული არ არღვევს მყუდროებას, არ ისმის ბულბულთა ყეფა! მხოლოდ ფრეგატი მიარღვევს ტალღებს, შიგა და შიგ დაუძლურებული იალქანი დაიგმინებს თუ გატყლაშუნდება, ან კიჩოს ტალღა მიეხეთქება — მერე ისევ გამეფდება ეს საზეიმო, ეს დიდებული სიჩუმე!

უმზერთ ამ სასწაულთ, ციმციმისა და კამკამის სამეფოს უმზერთ დაბრმავებული და თვალმოჭრილი, თუმცა გამდიდრებული და გაბედნიერებული უჩვეულო ოცნებებით და ზმანებებით, უმზერთ ქანდაკებად ქცეული და ჩაფიქრებული ჩურჩულებთ: „არა, ეს არც რუქებზე მინახავს არც, ინგლისელებს და ამერიკელებს უთქვამთ არც, მასწავლებლებს უნიშნებიათ; მხოლოდ პოეტური გრძნობა მითქვამდა სულში, თუმცა მკრქალად და ბუნდოვნად; ის იყო, რომ ჯერ კიდევ ბალღს იდუმალად მიტყუებდა აქეთ და ჩამჩურჩულებდა:

აი, აზია, ადამის წინაპართა ქვეყანა, აგერ კოლუმბის ნორჩი მიწა! და შენც გასცურავ აქ.

იმ ძველთაძველ მუდამ ახალ ადგილებში, სადაც სულ სხვა ვარსკვლავები კიაფობენ, სად ჯვრის თანავარსკვლავედის შუქი ციმციმებს...

მაშ, ხელი მოჰკიდეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თქვენს ჩანგს, თქვენს პალიტრას, და გამოეშურეთ აქეთ, რადგან მხოლოდ თქვენს ენას, ამ ზეცასავით დიდებულ, ღმერთების მდიდარ ენას ძალუძს ილაპარაკოს აქაურ ბუნებაზე. მე კი უძლური აღმოვჩნდი და დადუმებას ვარჩევ ამიტომ!

1853 წლის მარტი
ატლანტის ოკეანე

თარგმანი ამირან გაგესკირიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო წულუკიძე

# ქართული მხატვრული სიტყვის მშვენება

> ჩემს მოკლე მოგონებებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც განუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში...
>
> დავით კლდიაშვილი

ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული დავით კლდიაშვილის მემუარებს „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელიც ასახავს მთელს ეპოქას და ამასთან იძლევა გასაღებს მწერლის ეთიკურ-ესთეტიკური მრწამსის გასარკვევად და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად. მემუარების დასასრულს მწერალი გადმოგვცემს ერთს საგულისხმო ეპიზოდს.

როცა „სამანიშვილის დედინაცვალი“ გამოქვეყნდა, — იხსენებს დავითი, — ბათუმის ბულვარში შემხვდნენ პეტრე უმიკაშვილი და არტურ ლეისტი.

— მე შენ ხმას არ გცემ,—შემომიტია პეტრემ.

— რატომ, ბატონო პეტრე, რატომ.— შევეკითხე.

— რატომ და იმიტომ, რომ ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა. გადმოიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში. რა სურათი იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახვინე პლატონს დედინაცვალი.

— არ ვიცნობდი ქართლსა და კახეთსო, — უპასუხნია დავითს.

მწერლის ეს აღიარება, რომ არ იცნობდა ქართლ-კახეთს და ამიტომ ვერაფერს დასწერდა, — მოწმობს, თუ რა პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა ის სინამდვილის, ცხოვრების ფაქტების შესწავლას მანამდე, ვიდრე კალამს აიღებდა ხელში.

დ. კლდიაშვილმა დახატა ის, მხოლოდ ის, რაც ზედმიწევნით იცოდა.

დ. კლდიაშვილის დაკვირვებათა არე და შემოქმედებითი ინტერესების სფერო არ არის ვრცელი, შეიძლება ითქვას, ძალიან შეზღუდულიცაა. — ეს არის ზემო იმერეთის სოფელი გასული საუკუნის დასასრულს და ჩვენი საუკუნის დამდეგს. მისი პირველი მოთხრობა „შერისხვა“ დათარიღებულია 1894 წლით, უკანასკნელი „ბაკულას ღორები“ 1920 წლით. დრო 1890 დან 1905 წლამდე იყო გარდამავალი პერიოდი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როცა ნატურალური მეურნეობის წიაღში შობილი საზოგადოებრივი ურთიერთობა საბოლოოდ სტოვებდა ისტორიის სარბიელს და გზას უთმობდა კაპიტალისტურ ეკონომიურ სისტემას და მის საფუძველზე აღმოცენებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ეს იყო ძველ წოდებათა — რეფორმის შემდეგდროინდელი გლეხობის და თავადაზნაურობის მწვავე ეკონომიური და მორალური კრიზისის წლები, როცა გლეხობა აუტანელ ხელმოკლეობას განიცდიდა, ხოლო თავადაზნაურობა სულს ღაფავდა როგორც წოდება, ისპობოდა, როგორც კლასი.

დავით კლდიაშვილმა ასახა ეს პროცესი მეტად ვიწრო მიკრორაიონის სინამდვილის მიხედვით, მაგრამ ასახა ისე-

თი ფსიქოლოგიური სიღრმითა და სიზუსტით, განზოგადების ისეთი ძალით, რომ მისმა მხატვრობამ გაუძლო ხანგრძლივი დროის გამოცდას, გადალახა სივრცე, — გახდა დიდად საინტერესო არამარტო იმ ეპოქის მკითხველისათვის, როცა დ. კლდიაშვილის მოთხრობები იწერებოდა, არამედ შემდგომი თაობებისთვისაც; უფრო მეტი — აღძრა ინტერესი არაქართველებშიც, სხვა ეროვნების მკითხველებშიც, რადგან დახატა ყველა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების დამახასიათებელი ისტორიული პროცესი, უტყუარი სიმართლით და შემაგონებელი ძალით წარმოსახა ეკონომიურ-სოციალური გარდატეხის ჟამს მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის სული.

არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ ვერცერთი სხვა ქართველი მწერლის ნაწარმოებებში მკითხველი ვერ დაინახავს საქართველოს იმ დროინდელ ვითარებას ისე ღრმად, როგორც დ. კლდიაშვილის მოთხრობებში. არ შევცდებით, თუ დიდ ქართველ მხატვარს — დ. კლდიაშვილს მივუსადაგებთ იმ სიტყვებს რაც ფრ. ენგელსმა თქვა ბალზაკის მისამართით: თვით ეკონომიური დეტალების მხრივაც კი, ბალზაკისაგან უფრო მეტი შევიტყე, ვიდრე იმავე პერიოდის ერთად აღებული ყველა სპეციალისტისაგან — ეკონომისტებისა, სტატისტიკოსებისა და ისტორიკოსებისაგანო. თანამედროვე მკითხველი დ. კლდიაშვილის მოთხრობებში იმერული სოფლის მაშინდელ მდგომარეობაზე უფრო მეტს ამოიკითხავს, ვიდრე იმდროინდელ ეკონომიკურ და სტატისტიკურ გამოკვლევებში.

ასეთია მხატვრული სიტყვის უპირატესი შემეცნებითი ძალა.

ქართველი გლეხობის და წვრილი აზნაურების ეკონომიური და სულიერი კრიზისის მეტად მძიმე სურათი გადაშალა მკითხველის წინაშე დ. კლდიაშვილის მხატვრობამ. მისი მოთხრობების პერსონაჟები გვანან წყალდიდობის დროს კალაპოტიდან ნაპირზე გამორიყულ თევზებს, რომლებიც ფართხალობენ, წვალობენ, ამაოდ ცდილობენ კვლავ დაუბრუნდნენ თავის სასიცოცხლო გარემოს. ეს შედარება ვრცელდება არამარტო ზემო იმერეთის წვრილ აზნაურობაზე, არამედ 90-იანი წლების ქართული სოფლის ყველა სოციალურ ფენაზე-გლეხობაზე, სამღვდელოებაზე, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილ დეკლასირებულ ელემენტებზე.

დ. კლდიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ქართული კრიტიკული ნარკვევებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს დ. კლდიაშვილი იყოს მხოლოდ და მხოლოდ თავადაზნაურობის, უფრო სწორად, გაღატაკებული წვრილი აზნაურების ყოფის აღმწერელი. ეს დებულება არ არის სწორი. დ. კლდიაშვილმა თუმც არა ისეთი სიცხოვლით და სიმძაფრით, მაგრამ მაინც საკმაო ექსპრესიულობით ასახა გლეხობის, სამღვდელოების და წვრილ მოხელეთა—ჩინოვნიკთა ცხოვრება. საკმაოა გავიხსენოთ მოთხრობები „შერისხვა“, „მრევლში“, „მსხვერპლი“, „ქამუშაძის გაჭირვება“ (ცალკეული ეპიზოდები)“ „მიქელა“, „ირინეს ბედნიერება“, დასასრულ, მცირე ფორმის დრამატული ნაწარმოები „უბედურება“ (სადაც უკიდურესი გაჭირვებისაგან სასოწარკვეთილი და ბნელი მისტიკის ტყვეობაში ჩავარდნილი გლეხობის ტრაგედიაა მოცემული), რომ ცხადი გახდეს დ. კლდიაშვილის უფრო ვრცელი თემატიკური დიაპაზონი და სოციალური ინტერესების უფრო ფართო სფერო, ვიდრე ეს, ერთი შეხედვით, გვეჩვენება. როცა გლეხობის ყოფიერების ამსახველ ზემოხსენებულ მოთხრობათა ციკლს ვეცნობით, უწინარეს ყოვლისა, თვალში გვეცემა აუტანელი სიღატაკის ნიადაგზე აღმოცენებული უმეცრება, რომელიც ასაზრდოებს ჩვენი მწერლის პერსონაჟების ველურ, შუასაუკუნეების დამახასიათებელ ურჯუკულ ცრუმორწმუნეობას. უძლურობა არსებობისათვის ბრძოლაში აიძულებს კლდიაშვილის სასოწარკვეთილ აზნაურებს და გლეხებს იწამონ

ზებუნებრივი ბოროტი და კეთილი ძალების არსებობა, თავისი უბედურება დააბრალონ ადამიანის სხეულში მოთავსებულ ავსულებს — „კუდიანებს“ და ბარბაროსული სისასტიკით დაშანთონ საცოდავი და უმწეო დედაბრები, საშველად მიმართონ „საიქიოდან დაბრუნებულებს“ და სხვ. კლდიაშვილის მოთხრობები დამარწმუნებელი ილუსტრაციაა იმისა, რომ „უძლურება ხსნას მუდამ სასწაულების რწმენაში ხედავს“ (კ. მარქსი), რომ ადამიანები ეძებენ გზებს ზეცისაკენ, იმ უბრალო მიზეზით, რომ გზადაბნეული არიან დედამიწაზე (გ. პლეხანოვი).

მიუხედავად ამისა, ზემოხსენებულ ცალმხრივ შეხედულებას დავით კლდიაშვილზე, როგორც წვრილი აზნაურობის ნივთიერი და სულიერი ყოფიერების გამომხატველ მწერალზე, მაინც აქვს თავისი საკმაოდ მტკიცე საფუძველი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ გლეხობა, მისი უქონლობა და უუფლებობა, სულიერი სიბეჩავე, დაჩაგრულობა, პარაზიტული ელემენტებისაგან მისი შევიწროვება, უმეცრება და ცრუმორწმუნეობა დ. კლდიაშვილზე ადრე არა ერთხელ ყოფილა შეუნელებელი და განუწყვეტელი ინტერესის საგანი ხალხოსნურ და არა ხალხოსნურ მწერლობაში. გლეხობა და მისი უილაჯობა თემატიურად არ წარმოადგენდა სიახლეს 90-ნი წლების ქართულ ბელეტრისტიკაში, რომელიც მოიცავდა ამ თემაზე დაწერილ ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც იყო ნიკო ლომოურის, სოფ. მგალობლიშვილის, ეკ. გაბაშვილის, ა. ერისთავ-ხოშტარიას, მელანიას, და, დასასრულ, ნინოშვილის მოთხრობები. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კლდიაშვილის ორმა პირველმა მოთხრობამ „შერისხვა“, „მსხვერპლი“ ვერ აღძრა ისეთი მძაფრი ინტერესი მკითხველებსა და ლიტერატურულ კრიტიკაში, როგორიც „სოლომონ მორბელაძემ“, „სამანიშვილის დედინაცვალმა“, „ქამუშაძის გაჭირვებამ“. თუმცა თავისი მაღალი მხატვრული ხარისხით და პრობლემისადმი ახალი მიდგომით დ. კლდიაშვილის პირველი ორი მოთხრობა წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში, რამდენადაც მათში უფრო რეალისტური სიცხადით არის წარმოდგენილი გლეხური ცხოვრების სინამდვილე და გაშიშვლებული არ არის ტენდენცია ისე, როგორც ტენდენციათა მოტრფიალე ხალხოსან მწერლების ნაწერებში.

მართალია, თემატიკურად არც თავადაზნაურობა წარმოადგენდა ახალ ობიექტს, — ილია ჭავჭავაძემ, გიორგი წერეთელმა და სხვა სამოციანელებმა დახატეს ამ პრივილეგიური წოდების ყოფისა და ინტელექტურ-მორალური ვითარების ღრმადდამაჯერებელი რეალისტური სურათები. მაგრამ ეს იყო ამ ფენის რღვევისა და დაშლის დასაწყის ეტაპზე, როცა იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ეკონომიურ უპირატესობას და წარმოადგენდა წამყვან ძალას ხალხის ცხოვრებაში. დ. კლდიაშვილმა შემოიტანა სიახლე ამ თემის დამუშავებაში იმით, რომ გვიჩვენა ეს წოდება მისი სრული დაქვეითების უკანასკნელ ეტაპზე, როცა თავადაზნაურობა სასიკვდილო აგონიას განიცდიდა. დ. კლდიაშვილმა წარმოადგინა ეს გარდუვალი ულმობელი ისტორიული პროცესი არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სახეებში, ცალკეულ ინდივიდთა ბედიღბლისა და თავგადასავლის ჩვენებით.

ფაქტიურად კლდიაშვილის პერსონაჟების უმრავლესობა უკვე აღარ შეადგენს ექსპლოატატორთა კლასს. მას ხელიდან გამოცლილი აქვს გლეხობის შრომის მითვისების ერთადერთი საშუალება — მამული, მიწა-წყალი. ბევრი აზნაურთაგანი უფრო უარეს და უკიდურეს ხელმოკლეობას განიცდის, ვიდრე მათი ნაყმევი გლეხობა, რადგან კლდიაშვილის აზნაური იარაღაყრილია, უმამულოა. ფიზიკური არსებობისათვის უაღრესად გამძაფრებულ ბრძოლაში. ამასთან შედარებით, გლეხკაცს ის უპირატესობა აქვს, რომ გლეხი იმთავითვე შეჩვეულა გულმოდგინე შრომას, კლდი-

აშვილის აზნაურს შრომა ან არ ემარჯვება ან ეთაკილება, ზოგიერთს ეხერხება გარჯა და უკვე აღარ თაკილობს მას, მაგრამ არ გააჩნია არც მამული და არც რაიმე ხელობა, რომ თავისი ფიზიკური ძალა თავის საკეთილდღეოდ გამოიყენოს. უფლებრივად ეს უქონელი აზნაურობა გლეხობაზე უფრო მძიმე მდგომარეობაშია: როგორც აზნაური მონაწილეობას არ ღებულობს გლეხობის სასოფლო საქმეებში, მაგრამ არც შეძლებული თავადაზნაურობა იკარებს ახლოს, მის გარეშე ხდება თავადაზნაურობის წოდებრივი საქმეების მოწესრიგება იქნება ეს წინამძღოლის—მარშლის, თუ სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის არჩევნები. ბოლო ხანებში წვრილ აზნაურობას წაართვეს უკანასკნელი პრივილეგიაც კი, რომელიც მას გლეხობისაგან ანსხვავებდა, — შეაწერეს გადასახადები ადგილ-მამულზე.

დ. კლდიაშვილის მოთხრობებში წარმოდგენილი აზნაურობა თავისი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობით ერთგვაროვანი მასა როდია. არის ძალიან მცირერიცხოვანი ჯგუფი აზნაურებისა (ჯიმშერ სალობერიძე, კირილე მიმინაშვილი და სხვ) რომელთაც რალაც მანქანებით ჯერ კიდევ შერჩენიათ იმდენი მამული, რომ შეუძლიათ გაუჭირვებლად და უდარდელად იცხოვრონ. მეორე ჯგუფს, უფრო მრავალრიცხოვანს, მამულის შემოსავალი ძლივს ყოფნის და სულ იმის ცდაშია, რომ ხელიდან არ გამოეცალოს ეს ერთად ერთი წყარო არსებობისა (პლატონ სამანიშვილი, ბესარიონ საჭარაძე და სხვ.); არიან აზნაურები, რომელთაც საკუთარი მიწა ვეღარ კვებავთ და დანაკლისს ივსებენ სხვადასხვა მაქინაციებით — შუამავლობით, მაჭანკლობით (სოლომონ მორბელაძე, სარდიონ ქველიძე და სხვ). ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს დ. კლდიაშვილის მოთხრობებში შეადგენენ აზნაურები, რომლებიც უბრალო მიწის მუშებად ქცეულან და არაფრით განსხვავდებიან გლეხებისაგან (ოტია ქამუშაძე, ძმები ბრეგაძეები, სეფე მარუშაძე და ბევრი სხვ). დასასრულ, არიან აზნაურები ქონებრივად სრულიად განადგურებულნი და სულიერად დაჩაგრებულნი, აპატიურნი, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული (ლევან ქამუშაძე, როსტომ მანველიძე და სხვები). სწორედ ამ ქონებრივი და მორალური მდგომარეობის შესაბამისად დ. კლდიაშვილს დიფერენცირებული და ინდივიდუალიზირებული ჰყავს აზნაურთა ხასიათები. დინჯი დარბაისელი, სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი და ხალისიანი მოსაუბრე ჯიმშერისაგან დიდად განსხვავდება დარდიანი, დაღვრემილი, გამრჯელი, ოჯახისათვის თავდადებული პლატონ სამანიშვილი. ამ უკანასკნელს თავისი უდარდელობით უპირისპირდება კირილე მიმინაშვილი, ქეიფის ძებნაში მუდამ გზადგაბმული, შფოთისთავი. წინდახედულსა და თავშეკავებულ ჭკვიან ბესარიონ ქარსაძეს — სამაჭანკლო საქმეებში ჩაფლული, მოუსვენარი, ხან აპილპილებული, ხან ჯავრისაგან გულგახეთქილი სოლომონ მორბელაძე.

მამაკაცებთან შედარებით უფრო მკრთალად გამოიყურებიან დ. კლდიაშვილის ქალები. მწერალს მათთვის არ მიუცია სამოქმედო სარბიელი, არ უჩვენებია ისინი მოქმედებაში. მეტწილად კლდიაშვილის მოთხრობათა პერსონაჟი-ქალები არიან გაწვალებული და გამწარებული თავისი ქმრების ჭირის მოზიარენი, გულშემატკივარნი, გამრჯე მეოჯახენი (მელანო, დარიკო „სამანიშვილის დედინაცვლიდან“, პელაგია—„სოლომონ მორბელაძიდან“). ყველაზე მკვეთრად გამოკვეთილი და ხორცშესხმულია ოტია ქამუშაძის ცოლი სონია და დედა ეკვირინე, რომელიც გუშინდელი „ბედნიერი“ დღის წარამარა გახსენებით და უკეთესი მომავლის ავადმყოფური, ჯიუტი რწმენით ამხნევებს თავის ახალგაზრდა რძალს, კეთილშობილ, სათნო სონიას, ქალაქელ ქალს, რომლის თვალითა და გულით მწერალს დანახული და განცდილი აქვს გაძვალტყავებული სოფლის ჭირვარამი და უპერსპექტივო ცხოვრება.

ამახსოვრდება მკითხველს მკვეთრი ფერებით დახატული გაქალაქებული აზნაურები (პორფირი ბიაშვილი, ბეგლარ ჯინჭარაძე და სხვ.), რომლებიც ცხოვრების ახალ პირობებს შეგუებიან, ზოგი სოფლის ადვოკატი გამხდარა, ზოგი კანცელარიაში მოხელედ მოწყობილა, არხეინად და ხალისიანად ცხოვრობენ, მაგრამ ეს პერსონაჟები როდი აძლევენ ტონს დ. კლდიაშვილის ნაღვლიან მოთხრობებს, მძაფრი დრამატიზმით გამსჭვალულს მწერლის მთელ შემოქმედებას.

სოლომონ მორბელაძის, პლატონ სამანიშვილის, ოტია ქამუშაძის მწარე თავგადასავალს, ლევან ქამუშაძის და როსტომ მანველიძის ბედს მკითხველი აღიქვამს როგორც აზნაურთა უკიდურესი დაქვეითების კულმინაციას, რომლის იქით უკვე აღარ არის სიცოცხლე, არის სიკვდილი, სრული ფიზიკური გადაშენება.

ნუთუ საშველი აღარ არის? ნუთუ თავისი პაპებივით და მამებივით ცხოვრების გარდაუვალი და დაუნდობელი განვითარების მსხვერპლი უნდა გახდეს ყოფილ აზნაურთა მთელი ახალი თაობაც, რომელსაც სიცოცხლის დაუკმაყოფილებელი წყურვილი და სასიცოცხლო ენერგია არ აკლია. მდგომარეობა არც ისე უიმედოა, არის გამოსავალი, — გვეუბნება მწერალი თავისი მოთხრობით („ქამუშაძის გაჭირვება“). აკი სოფელს გაექცა და ქალაქს შეაფარა თავი ოტიამ. იმაზე ადრე სოფლიდან გადაიკარგნენ და სადღაც რკინიგზაზე მეისრედ თუ დარაჯად მოეწყვნენ ლევან ქამუშაძის ვაჟები, მაგრამ შეუძლია თუ არა ქალაქს, მის სუსტ მრეწველობას, რომელიც ახლად ფეხადგმული ბავშვივით გაუბედავად მიაბიჯებს და ზოზინით მიიწევს წინ, შეიფაროს და სამუშაო მისცეს ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილ ადამიანებს, დაუსაქმებელი მუშახელის ესოდენ დიდ რეზერვს, რომელსაც ავსებს გაღატაკებული აზნაურობა და უღარიბესი გლეხობა, — აი საკითხი, რომელიც 90-იანი წლების დამლევს წამოჭრა ცხოვრებამ და რომელიც ასე მძაფრად დააყენა დიდი ცხოვრებისეული სიმართლით აღბეჭდილ თავის მაღალ მხატვრულ ნაწარმოებებში დავით კლდიაშვილმა.

თუ გავითვალისწინებთ ამ სასიცოცხლო პრობლემის აქტუალობას იმ ხანებში, ადვილად ასახსნელი და გასაგები იქნება ის ღრმა ინტერესი და ერთსულოვანი აღიარება, რომელიც ხვდა ახალგაზრდა მწერალს მკითხველთა საზოგადოებაში, პუბლიცისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკაში.

ქართველმა მკითხველმა მაშინვე შეიყვარა მწერალი მისი სიმართლისათვის, მხატვრულად ხორცშესხმული დიდი ჰუმანური იდეებისათვის, ყოველი ჩაგრულისადმი თანაგრძნობისა და გულშემატკივრობისათვის.

იმდროინდელმა პუბლიცისტიკამ, უწინარეს ყოვლისა, მარქსისტული აზროვნების წარმომადგენლებმა ჩვენში სწორად გახსნეს და მეცნიერულად დაასაბუთეს დ. კლდიაშვილის შემოქმედების სოციალური არსი. მეცნიერული სოციალიზმის იდეების პროპაგანდისტმა კრიტიკოსებმა და პუბლიცისტებმა ძალიან მაღალი შეფასება მისცეს დ. კლდიაშვილის მოთხრობებს განსაკუთრებით იმის გამო, რომ ქართული სინამდვილის ამსახველ მის ლიტერატურულ შედევრებში სრული გამართლება და დადასტურება ჰპოვა დიალექტიკურ-ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლურმა დებულებამ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების შესახებ. ერთ-ერთ მაშინდელ პუბლიცისტურ წერილში ასეთი აზრიც კი გამოითქვა: დავით კლდიაშვილის შემოქმედება რომ ფაქტი არ ყოფილიყო, მარქსისტულ კრიტიკას იგი უნდა გამოეგონებია ქართული მხატვრული ლიტერატურის ფაქტებით თავის თეორიულ დებულებათა ჭეშმარიტების ნათელსაყოფად.

აღიარებდა რა დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა უდავო მხატვრულ ღირებულებას, ალ. წულუკიძე დიდ მნიშვნელო-

ბას ანიჭებდა მათ, როგორც საარგუმენტაციო მასალას იმდროინდელი აქტუალური სოციალური პრობლემების გარკვევისა და გაშუქებისათვის. მეცნიერული სოციალიზმის ქართველი მიმდევრები, პირველ რიგში, ალ. წულუკიძე, ეყრდნობოდა რა მოთხრობების მაღალ იდეურ-მხატვრულ ღირსებას, სრულიად უმართებლოდ მიიჩნევდა ცნობილი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის მტკიცებას 90-იანი წლების ქართული მწერლობის დაქვეითებასა და ჩამორჩენილობის შესახებ. პირიქით, — ამბობდნენ მარქსისტულად მოაზროვნე კრიტიკოსები,—ეგნინოშვილის და დ. კლდიაშვილის ბელეტრისტული ნაწარმოებები, ასახავენ რა სრული სიმართლით საქართველოს სინამდვილეში მიმდინარე ეკონომიურ და სოციალურ პროცესებს, ქართული მხატვრული პროზის წინსვლისა და სრულყოფის უცილობლად დამადასტურებელი ფაქტია.

90-იან და 900-იან წლებში საინტერესო და საგულისხმო წერილები უძღვნეს დავით კლდიაშვილს კიტა აბაშიძემ, ივანე გომართელმა, რომანოზ ფანცხავამ, ილია ნაკაშიძემ, გრ. ყიფშიძემ და სხვებმა. ბევრი მათი მოსაზრება გაიზიარა და მიიღო საბჭოთა კრიტიკამ. მხოლოდ რამდენიმე დებულება უარყო როგორც ნაკლებ მეცნიერული, როგორც სუბიექტურ აღქმაზე და გემოვნებაზე დამყარებული.

აღსანიშნავია, რომ როგორც ძველი, ისე ჩვენი დროის კრიტიკის ყურადღების გარეშე დარჩა მწერლის მხატვრული აზროვნების თავისებურების გარკვევა და ანალიზი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხარვეზს შეავსებს დღევანდელი ჩვენი მხატვრული კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა.

როცა საკითხი დ. კლდიაშვილის მხატვრული აზროვნების თავისებურებას ეხება, ერთი რამ უდავოა: თავისი ესთეტიკურ-მხატვრული მრწამსით, სინამდვილისადმი დამოკიდებულებით, მწერლობის ამოცანების და დანიშნულების გაგებით, გამოსახვითი ხერხების მთელი თავისი სისტემითა და შემოქმედებითი მეთოდით დავით კლდიაშვილი უახლოვდება და ენათესავება მე-19 საუკუნის რუს და დასავლეთ ევროპელ დიდ რეალისტებს.

დავით კლდიაშვილი უდიდესი კეთილსინდისიერებით ასრულებს ხელოვნების უპირველეს კანონს, რომელიც შემდეგი სიტყვებით გამოხატა ჩვენი დროის დიდმა შემოქმედმა რომენ როლანმა: თუ შენ არაფერი გაქვს სათქმელი, გაჩუმდი, ხოლო თუ გაქვს სათქმელი, სთქვი და ნუ იტყუებ.

არავითარი აზრი ნაწარმოების გამოქვეყნებას არა აქვს, თუ იგი არ აშუქებს ახალ მოვლენას, ცხოვრების რომელიმე უცნობ მხარეს, თუ იგი არ გამოხატავს ახალ თვალსაზრისს ცხოვრებაზე. როცა კლდიაშვილი კალამს იღებდა ხელში, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელმძღვანელობდა ყველა ქვეყნის და ყველა ეპოქის უდიდესი რეალისტის ლევ ტოლსტოის ქვემოთ მოყვანილი დებულებებით: როცა ჩვენ ვკითხულობთ ახალი ავტორის მხატვრულ ნაწარმოებს, — ამბობს იგი, — მთავარი კითხვა, რომელიც ჩვენს სულში აღიძვრის, ყოველთვის ასეთია: აბა, ვნახოთ, რა კაცია ამ ნაწარმოების ავტორი, რითი განსხვავდება ყველა იმ ადამიანისაგან, რომელსაც ვიცნობ, და შეუძლია თუ არა მითხრას რაიმე ახალი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვუყურებდე ცხოვრებას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 900-იანი წლების ლიტერატურულმა კრიტიკამ გაარკვია, თუ რა და როგორი პასუხი გასცა ამ კითხვას თავისი შემოქმედებით დავით კლდიაშვილმა, რომელმაც შემოიყვანა რა ლიტერატურაში მანამდე უცნობი ადამიანები და ამასთან გამოთქვა რა თავისი თვალსაზრისი, თავისი დამოკიდებულება მათდამი და მათი ცხოვრებისადმი, დააყენა მეტად აქტუალური, სასიცოცხლო პრობლემები ქართველი მოაზროვნე საზოგადოების წინაშე.

თვალყურს ვადევნებთ და ვაკვირდებით რა კლდიაშვილის პერსონაჟებს, მათ

მწარე ცხოვრებას და თავგადასავალს, ავტორისაგან დამოუკიდებლად მივდივართ მხატვრულ სახეებში გატარებულ მის იდეებამდე და დასკვნამდე. ამ შედეგს კლდიაშვილი აღწევს სინამდვილისადმი აბსოლუტური ერთგულებით, ადამიანების, ფაქტების, მოვლენების ზუსტი ემოციური გადმოცემით, მოძრავი და დაუდგრომელი ცხოვრების სრული ილუზიის შექმნით. „სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „ბაკულას ღორები“, კლდიაშვილის თითქმის ყველა მოთხრობა ჩვენს შემეცნებაში შობს იმის ილუზიას, რომ ის, რაც გარდახდა სოლომონს, პლატონს, ოტიას, როსტომს და სხვა მომქმედ პირებს, ყველაფერი, რაც მათ განიცადეს და გადაიტანეს, განიცადა თვითონ მწერალმა და მათი სახეების ხორცშესხმისას ზუსტად გაითვალისწინა, თუ რა უნდა თქვას თუ რა უნდა გააკეთოს თვითეულმა მათგანმა. უფრო მეტიც: მწერალმა გაითვალისწინა ისიც, თუ რა არ უნდა ჩაედინათ, რა არ უნდა ელაპარაკათ გმირებს, რომ მათი ბუნებისათვის, მათი ხასიათისათვის შეუფერებელი ქცევა-მოქმედებით და ასეთივე სიტყვებით არ დარღვეულიყო, არ გაქარწყლებულიყო მხატვრული ნაწარმოების ემოციური და შთამბეჭდავი ზემოქმედების მთავარი პირობა — ილუზია (ლ. ნ. ტოლსტოის ტერმინია), რომლის წყალობით მკითხველი ცოცხლობს პერსონაჟების სულიერი ცხოვრებით, გრძნობებით და აზრებით.

იმ მიზნით, რომ მკითხველს გავახსენოთ, თუ რა დიდი ძალა და უნარი აქვს კლდიაშვილს ცხოვრების ცოცხალი ილუზიის შექმნისა, შევკვეცით მოვიტანთ ერთ სცენას „სამანიშვილის“ მეოთხე თავიდან:

„ეზოს კარებში ყმაწვილი ქალი გულზე აკუტებული ბავშვით თავზე ადგა გლეხს, რომელიც ბოსტანს რავავდა. ქალი მობრუნდა, რაკი გლეხმა ანიშნა სტუმრის ეზოში შემოსვლა, მიაჩერდა მას და, რა იცნო თავისი ძმა პლატონი, უცბად ჩამოსვა მიწაზე ბავშვი, გაისწორა თავსაფარი და ერთის ძახილით, სიხარულით აფრენილი გამოექანა ძმისაკენ. ბავშვმა შექმნა ღრიალი, აბღავლდა მეორე იქვე მყოფი უფროსი გოგოც, მაგრამ დარიკოს მათი აღარაფერი ეყურებოდა.....

— რას შვებით ძმაო, ხომ კარგად ხართ? — წუწუნით იკითხა დარიკომ.

— მადლობელი ვარ... ვართ ისე, რავარც იცი... მიუგო პლატონმა.

— ჩემი რძალი ხომ კარგადაა, შენი ჭირიმე?.. ბავშვები?....

— არიან, ღვთის მადლით...

— მამა?... ვაი მისი გაძაღლებული სიცოცხლე, — ამოიხვნეშა დარიკომ.

— რა ვქნა, ძმაო, ველარ მივხედე მე უბედურმა ამ გაჭირვების, გამწარების ხანს... რა ვქნა, მარტოდ ვწრიალებ ამ ოჯახში, ერთი საათით ვერ მიმიტოვებია.... ვისზე დავტოვო, შენი ჭირიმე?.. და ამასობაში, ველარც მე განახეთ და თქვენგანაც დავიწყებული შევიქენი, ძმაო!... წუხს კიდევ უბედური? ან კი რა გაახარებს მის გულს, დედაჩემის დამკარგველს!... ხომ არ ავადმყოფობს მაინც, შენ დაგენაცვლე?

— ავადმყოფობას რა უნდა მასთან?... ავად კი არა... ჰმ!.. — გაიფრუტუნა პლატონმა.

— ჩემი მომდურავი კი იქნება და მემართლება კიდევაც, — ისევ ამოიოხრა დარიკომ.

— ტყვილა წუხარ მაგას, ჩემო დარიკო... ჩვენ აღარავის ვახსოვართ, ჩემო დაო.

დარიკომ გაკვირვებული სახის მეტყველებით გადახედა ძმას. მისი სიტყვა მეტად ეუცნაურა და ვერც მიუხვდა, რას ნიშნავდა იგი.

— მამაშენი რომ მწუხარეა, ისევე ყოველი ჩვენი კეთილი შეაწუხოს ღმერთმა!... რას ამბობ, მწუხარე კი არა, საქორწილოდ ემზადება ის კაცი! — გაიცინა პლატონმა.

— რა ხუმრობა იცი, პლატონ! — იწყინა დარიკომ.

— შენ არ მომიკვდე, არ გეხუმრებოდე!...

დარიკო გაშტერდა.

— იმას აღარც დედაშენი ახსოვს, აღარც მკვდარი და აღარც ცოცხალი ვინმე!...

— პლატონ, პლატონ! ძმაო!...

— აგერ ნახავ!... საქმე გადაწყვეტილია!

— რა არი ახლა, პლატონ? გადავირევი ეს არის!... ტყვილია...

ძლივს სიტყვას ამბობდა შეწუხებული ქალი, რომელსაც ხუმრობა ეგონა ძმის ნათქვამი.

— ცოლ-შვილს გეფიცები!... ქალს თხოულობს... რა მეხუმრება, კაცი გულზე ვსკდები!

— უიმე, უიმე — იყვირა დარიკომ და გამწარებული ლოყაზე ხელს ირტყამდა. — უიმე! უიმე!... ეს რა გეიგონა ჩემმა ყურებმა!..

უკანასკნელი მისი სიტყვა პლატონს აღარ გაუგონია, იმიტომ, რომ ეზოში შემოჯირითდა თავისი ლამაზი წაბლისფერი ცხენით კირილე და ერთი ყიჟინით მიმართა ცოლისძმას:

— პლატონს, პლატონს ვახლავარ!.. პლატონს ვახლავართ! დარიკო, კედელს ნახშირი, ნახშირი კედელს!... ასე უნდა შე პატიოსანო კაცო, მოყვრის მივიწყება?... რავა მშვიდობით, პლატონ ჩემო? ჩემი სიმავრი როგორ არი... ჩემი ძვირფასი ბეკინა? ხომ ყოჩაღათაა კიდევ?

— სხვაგან რომ დაყიალობ, იქაც მივიდოდი, ვნახავდი და საკითხავი აღარ ვექნებოდა! — უთხრა მოწყენით დარიკომ ქმარს.

— მივსულიყავი!... სადაც მგლოვიარობაა, იქ რა მიმიყვანს! მაინც რომ აღარაფერი გეშველათ, თქვე დალოცვილებო! — მიუბრუნდა კირილე ცოლისძმას. — გაგიგონია ამდენს ხანს მგლოვიარობა?

— შენ არ იცი, თვარა კაი ხანია გათავებული გვაქვს, — მიუგო ღიმილით პლატონმა.

— ქეიფის მეტი რომ არაფერი გაგონდება, ნეტავი შენ, შე უბედურო! წაულაპარაკა დარიკომ.

— ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები! — წამოიძახა კირილემ და წამოიჭიმა ფეხზე ამდგარი. — მიმინოს შვილები.... მიმინოს!. ჩვენთან რა უნდა მწუხარებას... ჩვენ თავს არავის დავატყვევებინებთ... გვაროვნობით ვართ ასე... სადაც სიამეა და მოლხენა, იქ ჩვენც ვართ, ასე მოგვდგამს გვაროვნობით!... კაცი მუდამ მხიარული უნდა იყვე და სხვასაც იამება შენი შეხედვა! აბა, ასე უნდა, შენ რომ ხარ? ძმა მოგივიდა და ასე მოწყენილი ხარ, არ გრცხვენია? — და კირილემ გულიანად გადაიხარხარა. — მართლა, რანაირი ხარ, დარიკო ჩემო... შე ქალო, ძმის მოსვლა გეწყინა თუ?

— რა ცუდი ამბავი მოუტანე მერე! — ღიმილით თქვა პლატონმა და დარიკოს გადახედა.

— ჰო!

— ქორწილში პატიჟობს....

— არიქა, მიშველე, პლატონ! ვინ, ვინ, თუ ღმერთი გწამს?

— მამა მაგისი!

— ა?.. მამა მაგისი?

— ჰო, ქალს თხოულობს შენი სიმავრი! და შენ იცი, კირილე, რავა მოულხენ!

— ხუმრობ თუ მართალს ამბობ, პლატონ?— გაკვირვებით შეეკითხა კირილე.

— შენ ნუ მომიკვდები, მართალს ვამბობ.

— ხა, ხა, ხა, ხა, — გადაიხარხარა კირილემ. — ხა, ხა, ხა, ხა!... აი და ბეკინა!.. აი და შენი ჭირიმე!... შენ გენაცვალე შენს ლამაზ წვერებში! ხა, ხა, ხა! შერცხვენილი ვიყვე, თუ სანაქებოდ არ მოვულხინო...

— ჯერ, შე კაი კაცო, ქალია მოსანახი!

— ქალის მეტი რაა დედამიწაზე!... რალას აგვიანებთ?.. მაშვალი ვინა გყავთ?

— მე ვარ! მიუგო პლატონმა.

კირილე ერთი შეჩერდა და მერე გადაიხარხარა თავისი რიხიანი სიცილით“.

ასეთ ზედმიწევნით ბუნებრივ, ცოცხალ მოძრაობასა და საუბარში ჰყავს დ. კლდიაშვილს წარმოსახული ადამიანები ყველა მოთხრობაში. დასთან და სიძესთან პლატონ სამანიშვილის შეხვედრის ამ სცენაში ჩვენ არა მარტო ყურით ვისმენთ მათ საუბარს, ყოველ მათ რეპლიკას, კილოსა და ინტონაციას, თვალითაც ვხედავთ მათი სახეების გამომეტყველებას, სხეულის მოძრაობას, ჟესტიკულაციას, ვხედავთ ისე ცოცხლად და აშკარად, რომ გვინდა ხელით შევეხოთ მათ. პლატონი, დარიკო, კირილე თვითონ თავის ყოფაქცევით გვიჩვენებენ თავისთავს, საკუთარი სიტყვებით გვიამბობენ სხვაზე და საკუთარ თავზე, ერთი სიტყვით, სუნთქავენ და ცოცხლობენ დამოუკიდებლად ავტორისაგან, რომელიც თავს ნებას არ აძლევს ჩაერიოს მათ მოქმედებაში თავისი შენიშვნებით და კომენტარებით.

დ. კლდიაშვილი, როგორც ადამიანის სულის მცოდნე ფსიქოლოგი, უმალვე ერკვევა თავისი გმირების ცვალებად განწყობილებებში და პოულობს გამოსახვით საშუალებებს მათ გადმოსაცემად. დიალოგი, შინაგანი მონოლოგი, რომელთაც მის მოთხრობებში ტექსტის თითქმის სამი მეოთხედი უჭირავთ, გმირის ხასიათის, ტემპერამენტის, მთელი მისი შინაგანი სამყაროს გახსნის მთავარი საშუალებაა. ადამიანის გარეგნობის დასახატად და სულიერი მოძრაობის გადმოსაცემად დ. კლდიაშვილი იშვიათად მიმართავს მეტაფორებს, შედარებას, და თუ მიმართავს, იგი აღებულია ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო, სალაპარაკო ენიდან და არ გვაოცებს თავის მოულოდნელობით და იშვიათობით. მაგალითად, შედარებები — „ბეკინამ ქორივით გადახედა შვილს“, „სოლომონი თოფის წამალივით აფეთქდა“, „სარდიონი მოშივებული მგელივით აღარაფერს ერიდებოდა“, „დამფთხალი ბავშვები თაგვებივით ღობეს გაეკრნენ,“ — გლეხობის ყოფაში საყოველთაოდ გავრცელებული გამოთქმებია, მაგრამ მწერლის მიერ მოვლენებისა და ხასიათების

მართალი გადმოცემის კონტექსტში, ხშირი ხმარებისაგან გაცვეთილ ამ შედარებებს, უბრუნდებათ პირვანდელი სიცხოველე და წინანდელი გამომსახველობა.

მხატვრული ოსტატობა სხვა არაფერია, თუ არა საჭირო და აუცილებელი დეტალების მიგნების უნარი. თუ წიგნს კითხულობ და ყოველ დეტალზე სიმართლის გრძნობა გეუბნება — ეს ტყუილიაო, და თუ ეს გრძნობა ამასვე ეუბნება ყველას, ამასთან ძალიან ხშირად,— ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნს არა აქვს და არც ექნება არავითარი მხატვრული ღირებულება (ბალზაკი).

დ. კლდიაშვილი მოვლენების არსისა და საგნის შინაგანი აზრის გამსხნელი დეტალის შერჩევის დიდი ოსტატია. მის მოთხრობებში ვერ წააწყდებით ისეთ დეტალს, რომ სიმართლის გრძნობამ გითხრას — ეს არ არის სწორი, ეს სიყალბეაო. საკმაოა დავუკვირდეთ აზრს ისეთი დეტალებისას, როგორიც არის ლატაკი აზნაურებისა და გლეხების ჩხუბი იმაზე, თუ ვის ეკუთვნის ეკალას ბუჩქები, ან ლატაკი აზნაურისაგან საგანგებოდ გაწაფული ნაგაზის სანადიროდ წანწალი ცხელი კეციდან ჭადის გამოსატაცებლად პატრონისათვის, ან შიმშილისაგან გამწარებული, სალორეში გამომწყვდეული ღორების ჭყვირილი, რომ კოცხლად და ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა ქონებრივ და სულიერ დაკნინებამდე მიუყვანია სილატაკეს დ. კლდიაშვილის პერსონაჟები.

ყოველ დეტალს ცხოვრებიდან იქნება იგი აღებული თუ ბუნების მოვლენებიდან, მწერალი არჩევს იმ თვალსაზრისით, რომ, რაც შეიძლება, მეტი სიმართლით და სიცხოვლით წარმოგვიდგინოს ადამიანის სულის მოძრაობა. თვით პეიზაჟიც კი ამ ამოცანას ემსახურება. ნაზი ფერებით, აკვარელის ხერხებით დახატული ბუნების სურათები მის მოთხრობებში ყოველთვის გარკვეულ სიუჟეტურ ფუნქციას ასრულებენ და მეტწილად წარმოადგენენ ფონს ადამიანების სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად. რა სევდიან იერს ატარებს და რა რიგად შეესატყვისება სონიას („ქამუშაძის გაჭირვება“) განწყობილებას ზამთრის ასეთი პეიზაჟი.:

„ზამთრდებოდა. ფოთოლგაცვენილი, გატიტვლებული ხეები აღარ მალავდნენ, უფრო გამოაჩინეს დაბალი, პატარ-პატარა, ზოგან მერცხლის ბუდესავით ფერდობებზე მიკრულ-მიკოსებული სახლები, სახურავებიდან ამომავალი კვამლის შავბურთთავდადგმული.... ტყვიისფერ ცისქვეშ საცოდავად გამოიყურებოდა სიცივისაგან შეშინებული არემარე. მყინავი, ნემსებივით მჩხვლეტავი ცივი ქარი უსიამოვნოდ სისინებდა გაფშიკებული ხის შტოებში... დაიწყო თოვა და რამდენიმე დღის განმავლობაში სპეტაკმა თოვლმა მოჰფარა არემარე. სოფლისთვის რომ შეგეხედათ, იტყოდით თითქოს განგებ ჩაურგავთ აქა იქ პაწაწინა ხის კოლოფებიო, ისე მოსჩანდა სახლები იმ ღრმა თოვლში. ახლა სრულიად მიწყდა ყოველივე მოძრაობა, შეიკრა მეზობლებში სავალი გზები. ყველანი თავიანთ სახლებში უსხდნენ ცეცხლს და გარეთ გამოსვლას ერიდებოდნენ. ამგვარ დატყვევებულ-დამწყვდეულ მდგომარეობაში ჩავარდნილ სონიას სული უწუხდა, მისთვის აუტანელი ხდებოდა ქვეყნიერებასთან ეს დაშორება, თითქოს სადმე უდაბნოში იყო, თითქოს მის გარშემო სხვა სულიერი არავინ ყოფილიყოს ასეთი მოწყვეტილი და განმარტოვებული ცხოვრებით“.

უფრო ნათელი ფერებით და ხალისიანი განწყობილებით აქვს დახატული ავტორს ზემო იმერეთის გაზაფხული, მინდვრად სახნავ-სათესად გასული მშრომელებით, და შემოდგომა, აჭრიალებული ურმებით, ვენახებში და სიმინდის ყანებში შეფენილი სოფლელებით..

ჭეშმარიტად სანიმუშოა სიუჟეტის გაშლის და ნაწარმოების კომპოზიციური გამართვის კლდიაშვილისეული ხელოვნება. მისი მოთხრობები განტვირთულია ყოველგვარი ზედმეტი ეპიზოდისა და აღწერილობისაგან. ამბის განვითარება ძალზე დინამიკურია, განსაკუთრებით „სამანიშვილის დედინაცვალში“, რომელიც მეტწილად მოულოდნელ პასაჟებს ემყარება. მოულოდნელობა დიდ როლს თამაშობს დიალოგის დინამიკურ წარმართვაშიც.

მრავალშვილიანი პლატონი და მელანო იმ განზრახვით, რომ ჯერ კიდევ ქარმაგ ბეკინას ცოლის თხოვის სურვილი

არ გაუჩნდეს, აორკეცებენ მამის მოვლას და პატივისცემას, მაგრამ მოულოდნელად ბეკინას „ბოროტი“ სურვილი მაინც დაებადება. ცოლის თხოვის საჭიროებას ბერიკაცი მოულოდნელად ასაბუთებს იმითაც, რომ მჭურს შრომა შევუმსუბუქო საოჯახო გარჯით წელში გაწყვეტილ მელანოსო. პლატონი, რომელიც ლამის ჭკუაზე შეშალა მამის უცნაურმა ახირებამ, მოულოდნელად თვითონ კისრულობს საჩოთირო როლს — მაჭანკლობას. ბრეგაძის ქვრივის — ორნაქმარევი ელენესათვის სრულიად მოულოდნელია გასაოცარი წინადადება მესამედ გათხოვდეს და ისიც ბერიკაცზე. და რაკი ბრეგაძეების ღატაკ ოჯახს არავითარი სახსარი არ გააჩნია გადაუხადოს ქორწილი დედინაცვალს, მოულოდნელად გადაწყდება გაუგონარი ამბავი — ხნიერი დედაკაცის მოტაცება. მრავალი ასეთი უცნაური პერიპეტიის შემდეგ, ორნაქმარევი დედინაცვლის ძიების და პოვნის ეპოპეა თავდება პლატონისათვის მოულოდნელი კატასტროფით — უშვილო ელენეს შვილი შეეძინება. ყველა ეს მოულოდნელობა ბუნებრივი და ლოგიკურია და არა ნაძალადევი, ყურით მოთრეული სასაცილო სურათების შესაქმნელად. კომიკური მდგომარეობის მთავარი დასაყრდენია მოულოდნელობანი „სოლომონ მორბელაძეში“, „დარისპანის გასაჭირში“, განსაკუთრებით, „ბაკულას ღორებში“, რომელიც მოულოდნელი პერიპეტიებით და ფინალით სანიმუშო მოთხრობას წარმოადგენს ქართულ იუმორისტულ ნოველისტიკაში. ბაკულას ღორები ანადგურებენ გალაქტიონის ბოსტანს. როცა არ გასჭრა ხვეწნა-მუქარამ, გალაქტიონი მეზობლის შესამჩნევლად ქალაქიდან მოიპატიჟებს რომელიღაც სამმართველოს უფროსს თანაშემწით. გახურებული ქეიფის შუაგულში ცაცხვქვეშ გაშლილი სუფრისაკენ შურდულივით გამოექანებიან საჭმლის სუნით გაბრუებული და გამგელებული ცხვრები და ღორები, უტიფრად შევარდებიან სუფრის ქვეშ, არ ერიდებიან არც ნაგაზის კბილებს, არც სტუმარ-მასპინძლისაგან დატრიალებულ ჯოხებს, ფაცურობენ, რომ რაც შეიძლება, მეტი ნასუფრალს მოსდვან ტუჩი. დამშეულ ცხოველთა ეს მოულოდნელი თავდასხმა იწვევს გაოცებას და თან დაუსრულებელ სიცილხარხარს. საპატიო სტუმრებმა ბაკულა ვერ შეაშინეს, პირიქით, სრულიად მოულოდნელად თვითონ აღმოჩნდენ შეშინებულნი: მათზე ვიღაცას შეუტანია დაბეზღების ქაღალდი — დაუწერია, როგორ გაილეშნენ, როგორ აირივნენ ღორებში, როგორ გახდნენ მთელი სოფლის სასაცილო და ამით შეურაცხყვეს ჩინოვნიკის მუნდირი სამმართველოს უფროსმა და მისმა თანაშემწემ. ამ სასაცილო ამბავში ყველაზე მოულოდნელი ის არის, რომ ის ვიღაც მაბეზღარი აღმოჩნდა... თვითონ გალაქტიონი.

კლდიაშვილს დიდი მხატვრის ყველა თვისება აღმოაჩნდა იმისათვის, რომ პლასტიკურად და მთელი ცხოველმყოფლობით წარმოესახა ცხოვრება მისი წინააღმდეგობით და სირთულით.. მართალია, ეს არის პატარა ადამიანების სამყარო, მისი პერსონაჟები კაცუნები არიან, მაგრამ ამ პატარა, ჩვეულებრივ ადამიანებში, რომელთაც არ გააჩნიათ მაღალი ეთიკური იდეალები და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ცხოვრობენ, მწერალმა დაინახა დიდი, ეპოქალური სოციალური ამბები. ყოველი დიდი ნიჭი მცირედში ამჩნევს დიადს, ჩვეულებრივში — არაჩვეულებრივს. „პოეზიისათვის არ არსებობს არც უაღრესად მცირე და არც უაღრესად დიადი, — ამბობს გეორგ ბრანდესი, — საწყალი პარფიუმერის ბრძოლაში თავისი არსებობისათვის მე შემიძლია ამოვიკითხო ჰეროიკული პოემა. უბრალო ადამიანების კერძო ცხოვრების ამბები, თუ ისინი დაკავშირებულია მათ გამომწვევ მიზეზებთან, თუ მონახულია მათი სათავე, ჭეშმარიტ მხატვარს შეუძლია ისეთივე მნიშვნელოვანი და საინტერესო გახადოს, როგორც უდიდესი გარდატეხანი ხალხების ისტორიაში“. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ იცის

არა ერთი დიდი მწერალი-რეალისტი, რომელიც ამართლებს ბრანდესის ამ დაკვირვებას. ასეთ მწერალთა პლეადას ეკუთვნის დავით კლდიაშვილი.

ერთხანს ქართულ კრიტიკაში ფეხმოკიდებული იყო აზრი, და იგი დღემდე დაძლეული არ არის, თითქოს დ. კლდიაშვილი იყოს მამხილებელი მწერალი-იუმორისტი, თითქოს იგი გესლიანად დასცინოდეს და შოლტავდეს თავის პატარა გმირებს, მათ სულიერ-გონებრივ უმწეობას და დაბალ მიწიერ ინტერესებს. ეს არის სრული გაუგებრობა.

დ. კლდიაშვილი არის მახვილი თვალის და მძაფრი განცდების რეალისტი მწერალი, რომელიც ასახავს ცხოვრებას მდინარებაში, მთელი მისი შუქჩრდილებით, ცხოვრებას ჭრელს, სადაც არის მწუხარებაც და სიხარულიც, სიმწარეც და სიტკბოებაც, ავიც და კარგიც, სატირალიც და სასაცილოც. როგორც მართალი და ობიექტური შემოქმედი, დ. კლდიაშვილი იჩენს იშვიათ ტაქტს და ზომიერებას, იმ მხრივ, რომ არ აზვიადებს არც კარგს და არც ავს. და თუ მის შემოქმედებაში მწარე და სამწუხარო უფრო მეტია, ვიდრე საამო და სასიხარულო, თუ მის კომიკურ და სასაცილო ამბებში შერეულია სევდა და ნაღველი, ეს იმიტომ, რომ თვით იმდროინდელი სინამდვილე იყო ასეთი. ჩვენი მწერლის მიმართება, ცხოვრებისადმი და ადამიანებისადმი დამოკიდებულება არ ყოფილა სატირულ-კომიკური, ირონიულ-იუმორისტული. იგი ყველგან სერიოზული, ღრმად დაფიქრებულია ადამიანის ბედიბალზე, კეთილი, სათუთი და გულისხმიერია საწყალი და დატანჯული ადამიანებისადმი მაშინაც კი, როცა ისინი სასაცილო მდგომარეობაში არიან. მათ მიმართ მწერალს ვერ უპოვით ვერც ერთ ეპითეტს, ვერცერთ შედარებას, ვერცერთ გამოთქმას, რომელიც ამჟღავნებდეს ავტორის ზიზღს ან სიძულვილს, გულისწყრომას ან აღშფოთებას, გესლიან ირონიას ან ბოროტ დაცინვას. მხოლოდ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულ, თვითკმაყოფილ თავისი მდგომარეობით გადიდგულებულ, გაამპარტავნებულ პორფირი ბიაშვილს და ბეგლარ ჯინჭარაძეს თუ მოიხსენიებს მწერალი ისეთი სააუგო და გასაკიცხი ეპითეტებით, როგორიც არის ხრიკოსანი, ეშმაკი, უგულო, თავით ფეხებამდე ეგოისტი და სხვა. ყველა დანარჩენი პერსონაჟის მიმართ მწერალი არის ძალიან თავშეკავებული, კეთილად განწყობილი, გულშემატკივარი და ზოგჯერ ალერსიანიც კი. იგი მათ არაფერში სდებს ბრალს, არ კიცხავს, გაშოლტვაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია! მწერალი სასტიკ მსჯავრს სდებს და შეაჩვენებს მხოლოდ სოციალურ სისტემას, რომელმაც ადამიანები ასეთ უბადრუკ და უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა. ამაშია დავით კლდიაშვილის დიდი ადამიანობა და ჰუმანიზმი.

თუ ღრმად ჩავუკვირდებით კლდიაშვილის მოთხრობებს წერის მანერის და გამოსახვითი ხერხების შერჩევის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ მწერალი არ იყენებს ისეთ გამოსახვით საშუალებებს, რომელიც სჩვევიათ სატირიკოს და იუმორისტ მწერლებს, — გროტესკს, თხრობის ირონიულ კილოს, კომიკურ ალოგიზმებს, ცრუ პათეტიკას, წვრილმანებზე და სულელურ ამბებზე მოჩვენებითი სერიოზული მსჯელობის კილოს და სხვას, რომელთაც ვხედავთ ბევრ სატირიკულ-იუმორისტულ ნაწარმოებში, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში“. დ. კლდიაშვილს აქვს წმინდა იუმორისტული ხერხით დაწერილი მხოლოდ ერთი მოთხრობა „ბაკულას ღორები“, რომელიც სწორედ იმის გამო, რომ იუმორისტისათვის დამახასიათებელი ხერხებით არის შექმნილი, მკითხველში აღძრავს სევდაგაურეველ, უდარდელ სიცილს და რომელიც, რა თქმა უნდა, ღრმა აზრს არ არის მოკლებული.

დ. კლდიაშვილის მთელი შემოქმედების, სტილისა და წერის მანერის მართებულ გაგებას დიდი პრაქტიკული მნი-

შენელობა ჰქონდა და აქვს ჩვენი ქართული ხელოვნებისათვის. დიდხანს ქართულ სცენაზე და კინოში კლდიაშვილის პიესები და გასცენირებული მოთხრობები ვერ იქნა განხორციელებული კლდიაშვილისეული ე. ი. ცხოვრებისეული სიმართლით იმიტომ, რომ ზუსტად გარკვეული აზრი არ არსებობდა მისი შემოქმედების ჟანრობრივ არსზე, მწერალი აღიარებული იყო ან წმინდა წყლის სატირიკოსად, დაუნდობელ და ულმობელ მამხილებლად, ან უდარდელი სიცილის აღმძვრელ იუმორისტად. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ „ირინეს ბედნიერებას“ და „დარისპანის გასაჭირს“ არ ხვდათ წარმატება ქართულ სცენაზე მანამდე, სანამ არ გამოჩნდნენ ისეთი მსახიობები, როგორიც იყვნენ ვასო ბალანჩივაძე, ვალერიან შალიკაშვილი, შალვა ღამბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, როგორიც არიან აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე, რომლებიც ღრმად ჩაწვდნენ და გაიგეს ავტორის ჩანაფიქრი. დ. კლდიაშვილის შემოქმედების ჟანრობრივ ხასიათში გაურკვევლობამ შეცდომაში შეიყვანა ისეთი დიდი ხელოვანიც კი, როგორიც იყო კოტე მარჯანიშვილი. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟების გროტესკულმა და გაშარჟებულ განსახიერებამ ეკრანზე, გააყალბა სახეებიც და სიტუაციებიც. ამავე მიზეზით იგივე დაემართათ „სოლომონ მორბელაძის“ დამდგმელ ახალგაზრდა კინორეჟისორებს. ხანგრძლივი სიცოცხლე ხვდა ეკრანზე დ. კლდიაშვილის მოტივებზე შექმნილ მხიარულ კინოკომედიას „დაკარგულ სამოთხეს“ (რეჟისორი დ. რონდელი). მაგრამ არც იგი შეესატყვისება, პირიქით, რამდენადმე ეწინააღმდეგება იმას, რაც თავის მოთხრობებში გამოხატა დ. კლდიაშვილმა. ეს კინოკომედია არის მწერლის მოტივებისაგან თითქმის დამოუკიდებელი ნაწარმოები, მოვლენების საკუთარი გააზრებით და მიზანდასახულებით.

ამრიგად, ქართული კინოხელოვნება ჯერ კიდევ ვალშია დ. კლდიაშვილის შემოქმედების წინაშე. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ქართული კინოხელოვნება ღირსეულად მოიხდის ამ ვალს, მაგრამ რა დიდებულადაც არ უნდა განასახიერონ ეკრანზე დავით კლდიაშვილის მოთხრობები, კინო ვერ შესცვლის დავით კლდიაშვილის პროზას, ვერ გაუტოლდება მისი სიმართლის შთამაგონებელ ძალას, რადგან ერთი ხელოვნების ენიდან მეორე ხელოვნების ენაზე გადატანილი ნაწარმოები მაინც ჰკარგავს პირველქმნილის თვისებურებას და ნაწილს ავტორის სულისას.

დავით კლდიაშვილმა აღბეჭდა თავისი დროის სინამდვილე, ასახა 90-იანი წლების ქართული სოფლის მწვავე დრამატიზმით აღსავსე თავგადასავალი. მისი პატარა ადამიანები ჩვენს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებაში აღარ არიან და არც არასოდეს განმეორდებიან, მაგრამ ისინი მუდამ იცოცხლებენ დავით კლდიაშვილის მხატვრულ სიტყვაში, რომელიც იყო, არის და დარჩება ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის უკვდავ მშვენებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო გერსამია

# შეხვედრები დიდ ქართველ მწერალთან

(მოგონებები)

დავით კლდიაშვილი ქუთაისთან ყოველთვის ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. მან თავისი ბავშვობა იქ გაატარა და იქვე მიიღო დაწყებითი სწავლა. ბათუმში სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში ქუთაისის ხშირი სტუმარი იყო, ხოლო 1909 წელს, როცა სამხედრო სამსახურს თავი დაანება, ქუთაისში დაბინავდა. იქ დაიწყო მუშაობა ქალაქის თვითმმართველობაში საქმისმწარმოებლის თანამდებობაზე და განაგრძო მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე

მე მაშინ ვსწავლობდი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. დ. კლდიაშვილის ქუთაისში გადმოსახლების ამბავი ჩვენ, მოწაფეებმა, ცოტათი მოგვიანებით გავიგეთ. დავითის შვილმა, ამჟამად ცნობილმა მწერალმა სერგო კლდიაშვილმა, ჩვენს გიმნაზიაში დაიწყო სწავლა. მოწაფეთა შორის მაშინვე გავრცელდა ხმები: მწერალ დავით კლდიაშვილის შვილია და დავითი მთელი თავის ოჯახით ქუთაისში დასახლდაო...

მოწაფეთა ერთი ნაწილი ძალიან ხშირად დადიოდა ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველოში. ამ დაწესებულების ხშირი სტუმრები იყვნენ, აგრეთვე, ქუთაისში მცხოვრები მწერლები, კორესპონდენტები, არალეგალური ორგანიზაციების წევრები და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის ერთი ნაწილი. მათ შორის ხშირად ჩამოვარდებოდა ლაპარაკი მწერლობასა და სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე. ისინი სამკითხველოს გრძელი დარბაზის რომელიმე კუთხეში, ან შენობის შესასვლელ მცირე დერეფანში მოიყრიდნენ თავს და მკითხველებისათვის ხელი რომ არ შეეშალათ, დაბალი ხმით მუსაიფობდნენ. ჩვენც, ახალგაზრდები, ზოგჯერ მათ გვერდში ავიტუზებოდით და მუსაიფს ყურს ვუგდებდით.

ერთხელ 1909 წლის შემოდგომაზე შევედით წიგნთსაცავში. იქ მაგიდასთან იდგა გამგის მოადგილე პროკოფი გუჯაბიძე. ეს გუჯაბიძე მეტად საინტერესო ადამიანი იყო. სასკოლო განათლება დიდი არ ჰქონდა, მაგრამ ძლიერ ბევრს კითხულობდა, საკმაოდ განვითარებული კაცი იყო და სხვადასხვა გაზეთისა და ჟურნალის თანამშრომლად ითვლებოდა. წერდა იუმორისტულ ლექსებსა და სცენებს ხალხის ცხოვრებიდან, სტატიებს ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე და ა. შ. ჰქონდა რამდენიმე ფსევდონიმი, მათ შორის: „პროკოფია ასკანელი", „ასკანელი კაიბიჭი" და „ასკანელი მუშა". ერთხელ სწორედ იმ დროს მივუსწარით, როცა ის რაღაც წიგნს თუ ჟურნალს კითხულობდა და თან იცინოდა... სიცილის მიზეზი ვკითხეთ.

— „სამანიშვილის დედინაცვალს" ვკითხულობ, მშვენივრად არის დაწერილი, ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან ამოღებული სურათების უკეთესად დახატვა თითქმის შეუძლებელია. დავით კლდიაშვილი უეჭველად დიდი მწერალიაო, — გვითხრა.

ერთმა ჩვენთაგანმა წიგნი გამოართვა და ფურცვლა დავუწყეთ.

— მაგას ფურცვლა კი არა, წაკითხვა უნდა, — დამცინავი კილოთი გვითხრა და განაგრძო. — გეტყობათ, არც ერთს არ წაგიკითხავთ. ეს კი არ გეპატიებათ. მე მესამედ ვკითხულობ და უფრო დამაინტერესა. აქ, ბიბლიოთეკაში, კლდიაშვილის მოთხრობა მოიპოვება, მოგცემთ და წაიკითხეთ.

მისი რჩევა შევასრულეთ. პირველ რიგში წავიკითხეთ „სამანიშვილის დედინაცვალი". ეს ნაწარმოები ისე მოგვეწონა, რომ ზოგიერთი ადგილი ზეპირადაც კი ვისწავლეთ. „სამანიშვილის დედინაცვლის" წაკითხვის შემდეგ ჩვენი შთაბეჭდილება პ. გუჯაბიძეს ვუამბეთ. მან გვითხრა:

— თქვენ, ალბათ, თვით დ. კლდიაშვილიც არ გყავთ ნახული. ესეც არვარგა, ის ქალაქის თვითმმართველობაში მსახურობს, წადით და ნახეთ. შორიდან მაინც იცნობდეთ. ის ადვილი სანახავია, სამხედრო ფორმა აცვია, სხვა მოსამსახურეებს კი — სამოქალაქო ტანისამოსი.

მეორე დღესვე წავედით ქალაქის თვითმმართველობაში. ის დაწესებულება მაშინ მოთავსებული იყო პუშკინის ქუჩაზე, იმ შენობაში, სადაც ამჟამად სახელმწიფო ბანკია. შევედით დიდ დარბაზში, გამოჩნდა ორივე მხარეზე გაკეთებული გრძელი ტიხრები, ტიხრებს იქით

სიგრძეზე ჩალაგებული იყო საწერი მაგიდები. ავიარ-ჩამოვიარეთ, მაგრამ სამხედროფორმიანი ვერავინ ვნახეთ. ერთი მაგიდის ახლოს ტიხართან შევჩერდით. კარგა ხანს ვიდექით. ბოლოს მაგიდასთან მჯდომი გამოგველაპარაკა:

— ყმაწვილებო, თქვენ ვის უცდით?

— მწერალს დავით კლდიაშვილს... — მიუგო ერთმა ჩვენგანმა.

— ჰოო, ასე იტყოდით, რომ გაჩერებულხართ. ის დღეს სამსახურში არ მოსულა, ვგონებ, უქეიფოდ უნდა იყოს, — თავაზიანად მოგვცა პასუხი და ჩვენც გულდაწყვეტილი იქაურობას გავეცილდით.

1910 წლის იანვარია. ერთ დღეს, სასწავლებელში მიმავალმა აფიშა წავიკითხე: თეატრში იმართება იაფფასიანი წარმოდგენა და წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის კომედია „ირინეს ბედნიერება". ამ წარმოდგენას დავესწარი. წარმოდგენა შესანიშნავად ჩატარდა. მთავარ როლს — ფილიპე ბარბაქაძეს ანსახიერებდა მსახიობი ვასო ბალანჩივაძე, აბესალომ სალამთაძეს — ანდრო მურუსიძე. პავლე როდამიშვილს — პლატონ კორიშელი. მათმა თამაშმა ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა. განსაკუთრებით მოგვხიბლა ვ. ბალანჩივაძემ. მისი ფილიპე ბარბაქაძე რაღაც არაჩვეულებრივი იყო... მას აქეთ, აგერ 51 წელიწადზე მეტია და ახლაც თვალწინ მიდგას პირველი მოქმედების პირველი გამოსვლა: კაკლის ხის ქვეშ გრძელი სუფრაა გაშლილი, მას სტუმრები უსხედან და ჩვენებური ქეიფია გაჩაღებული, გათავდა ცეკვა... ფილიპე შემორბის, ცალ ხელში მწვადებჩამოცმული შამფური უჭირავს, მეორე ხელში კი — თეფში ცხელი ღომით. მორბის დაქიჩმაჩებული და ხმამაღლა იძახის: „მიირთვით, მიირთვით, თქვენი ჭირიმე"... შემოვიდა და თან შემოიტანა სიცოცხლე და მხიარულება. ამ ერთი სცენით ჩამოაქანდაკა ტიპი. მსახიობმა ეს ადგილი ისე ოსტატურად გააკეთა, რომ ეს სცენა ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თვალწინ მიდგას, ისე დამამახსოვრდა. თვალწინ მიდგას, აგრეთვე, სცენა, როცა ფილიპე და ვიქტორი ირინეს გათხოვების შესახებ ლაპარაკობენ: მსახიობი ვ. ბალანჩივაძე გვერდზე გადახრილია, ფეხებგადაჯგიმული დგას, მარჯვენა ხელი შუბლზე აქვს მიფარებული საჩრდილობლად და მტკიცედ წარმოსთქვამს სიტყვებს: „უკაცრავად ვარ... სწორედ უკაცრავად და თქვენს რჩევას მე ვერაფრის გზით ვერ მივიღებ... ჰმ, სალამთაძეს უარი ვტკიცო, ვიღაც როდამიშვილის გულისათვის... არა, ბიძია"... მას ასეთ პოზით მოლაპარაკეს აშკარად შევამჩნევდით, რომ თავს ძლიერ შეურაცხყოფილად გრძნობს და გაგულისებულია...

წარმოდგენას თვით დ. კლდიაშვილი რატომღაც არ დასწრებია. დამსწრე საზოგადოება დარბაზის ყოველ კუთხეს გაფაციცებით ათვალიერებდა და დროგამოშვებით გაისმოდა სიტყვები: „სად არის ავტორი? ავტორი რატომ არსად ჩანს?"

ამ წარმოდგენის შემდეგ დ. კლდიაშვილისადმი ინტერესი უფრო გაიზარდა. ბიბლიოთეკაში ხშირად გაიგონებდით „დავით კლდიაშვილის ნაწერები მომეცითო".

1910 წლის ოქტომბერში დ. კლდიაშვილი პირველად ვნახე სცენაზე. თეატრში გაიმართა ილია ჭავჭავაძის ტრადიციული საღამო. აფიშაში გამოცხადებული იყო, დ. კლდიაშვილი მიიღებს მონაწილეობასო. ილიას საღამოს ყოველთვის დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა და თეატრი ახლაც გაჭედილი იყო ხალხით. რეფერატის შემდეგ სალიტერატურო განყოფილება დაიწყო. გამოვიდა რამდენიმე პოეტი და საკუთარი ლექსები წაიკითხეს. მსახიობებმა ილიას ლექსები წაიკითხეს... მერე გამოვიდა სცენაზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, დაბალი, სუსტი აგებულების, სანდომიანი სახის კაცი, რომელსაც ჭაღარა ჰქონდა შერეული, ცოტათი მკრთალი ფერი ედო, ნაავადმყოფარს ჰგავდა. ატყდა დარბაზში ტაშის გრიალი.

„დავით კლდიაშვილი!.. დავით კლდიაშვილი!" გაისმა აქა-იქ ხმები და ყველა სცენას მიაჩერდა... ტაში შეწყდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დავითმა ერთი ადგილი წაიკითხა მოთხრობიდან „სამანიშვილის დედინაცვალი", სახელდობრ, რომელი ადგილი, სამწუხაროდ, აღარ მაგონდება... კითხულობდა დაბალი ხმით, უპათოსოდ და უჟესტიკულაციოდ, სრულიად უბრალოდ... ეტყობოდა, დეკლამაციაში გაწვრთნილი არ იყო და არც ეხერხებოდა. კითხვა დაამთავრა თუ არა, მსმენელებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „იმერეთის სერვანტესს", როგორც მას ქუთაისლები ეძახდნენ, საზოგადოება დიდად აფასებდა და პატივს სცემდა.

შემდეგ დ. კლდიაშვილს ხშირად ვხვდებოდი ქუჩაში და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში", მაგრამ პირადად გაცნობის საშუალება არ მომეცა და გული მწყდებოდა.

1911 წელს, როგორც იქნა, გამოიცა დ. კლდიაშვილის თხზულებათა პირველი ტომი, რომელსაც დართული ჰქონდა კიტა აბაშიძისა და ივ. გომართლის კრიტიკული წერილები, მას მალე მეორე ტომიც მოჰყვა. გამოჩნდა თუ არა წიგნები მაღაზიებში, მკითხველებმა მაშინვე დაიტაცეს. ბიბლიოთეკაშიც (მაშინ ერთად-ერთი ბიბლიოთეკა არსებობდა ქუთაისში) დავითის ნაწერთა რაოდენობა ერთი ხუთად გამრავლდა და უფრო ფართო წრეს მიეცა მისი წაკითხვის საშუალება.

1912 წლის გაზაფხულის მიწურულია. მე უკვე ოცი წლის ჭაბუკი ვარ, საორმაბათო გა-

ხეთ „თემის“ კორესპონდენტად ვითვლები. ერთ კვირა დღეს ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთიდან“ გამოსულნი, გაზეთებით ხელში, კანტორის გვერდზე ვმუსაიფობთ: პოეტი ვარლამ რუხაძე, პოეტი გელა-გელაზანია (ბარნაბა), მასწავლებელი და ჟურნალისტი ლადო ბზვანელი-ნაცვლიშვილი და მე. ამ დროს გამოჩნდა დ. კლდიაშვილი, ნელი ნაბიჯით მოგვიახლოვდა, დაგვინახა თუ არა, ღიმილით მოგვესალმა. შევიდა კანტორაში. გაზეთები შეიძინა და ჩვენ შემოგვიერთდა. ყველას თავაზიანად ჩამოართვა ხელი. მე კი ამხედ-დამხედა და ღიმილით თქვა:

— ამ ყმაწვილ კაცს კი ვერ ვიცნობ!...

— ეს ყმაწვილი კაცი, ბატონო დავით, გახლავთ გაზ. „თემის“ კორესპონდენტი — უპასუხა ვ. რუხაძემ და ჩემი სახელი და გვარი დაუმატა. დავითმა მეც თავაზიანად ჩამომართვა ხელი, ჩამაკვესა თვალები და თქვა: „აკი გამიკვირდა თქვენთან რომ იდგა, ვინ უნდა იყოს ეს ყმაწვილი მწერლებთან რომ დგას მეთქი, გავიფიქრე“.

ცოტა ხანს დარჩა, ჩვენთან ტკბილად გააბა ლაპარაკი სხვადასხვა საკითხებზე. მერე მოიბოდიშა, მეჩქარებაო, თქვა, გამოგვემშვიდობა და გაუდგა გზას.

დ. კლდიაშვილმა პირველ გაცნობისთანავე ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა. აღმოჩნდა თავაზიანი, უბრალო, დინჯი, სერიოზული, მიმზიდველი და ტკბილად მოსაუბრე ადამიანი. მე კი სხვანაირად მყავდა წარმოდგენილი. მეგონა, ის იყო ოხუნჯი, დამცინავი, ჩქარი, სხაპა-სხუპით მოლაპარაკე და ამაყი. ასეთი შეხედულება შემიმუშავდა, როცა მისი ნაწერები წავიკითხე და სამხედრო ფორმაში პირველად ვნახე, სრულიად სხვა თვისებებით აღჭურვილი აღმოჩნდა. გამიკვირდა და ეს გაკვირვება ჩემთან მოსაუბრეებს გადავეცი... გელამ მიპასუხა:

— რასაკვირველია, შემცდარი შეხედულებაა. იუმორისტ და სატირიკოს მწერლებიდან იშვიათად ნახავთ ისეთებს, რომლებსაც ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობის დროს უყვარდეთ ხუმრობა, აჩქარება, განუწყვეტელი ოხუნჯობა, დაცინვა, ვისმეს მასხარად აგდება და სხვა ამისთანები. ისინი უფრო თავდაჭერილი, დინჯი და სერიოზული არიან.

— დავით მესხი-„თომა პუსაც“ ხომ იუმორისტი მწერალია,—ჩამოართვა სიტყვა ლადო ბზვანელმა,—მაგრამ იგი თითქმის სულ მოღუშულია, იშვიათად იცინის, საერთოდ ცოტას ლაპარაკობს, არას დროს არ ხუმრობს და თუ მის ნაწერებს არ იცნობთ, ფიქრადაც არ მოგივათ, რომ ის იუმორისტი მწერალია.

ამ შეხვედრის შემდეგ დავითსა და ჩემს შორის ნაცნობობა გაიბა, ხოლო როცა მე გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში მუშაობა დავიწყე, მომეცა საშუალება, უფრო ახლო გავცნობოდი, რადგან იგი რედაქციაში ხშირად დადიოდა და ხანგრძლივად რჩებოდა სამუსაიფოდ.

დ. კლდიაშვილი ჩუმი, გულწრფელი, უანგარო და კეთილშობილი მოღვაწე იყო. რაინდული თვისებებით აღჭურვილი და გამბედავი ადამიანი, თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი უსაზღვროდ უყვარდა და თუ საჭიროება მოითხოვდა, პირად ინტერესებს უკანა პლანზე დასწევდა, სამშობლოს ინტერესებს თავს ანაცვალებდა... აკი ასეც მოიქცა. რუსეთის მეფის არმიაში ბრწყინვალე ოფიცრად ითვლებოდა და თავის აზროვნებაში მცირე კომპრომისი რომ დაეშვა, უფროსების წინაშე ქედი ოდნავ მაინც რომ მოეხარა, მაშინ მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელნი წინადადებას არ მისცემდნენ სამხედრო სამსახურს თავი დაანებე და წადიო, არამედ გენერლის წითელ ლენტს გაიკრავდა გვერდზე და ნივთიერადაც სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა. მაგრამ ეს არ მოისურვა. რწმენას არ უღალატა. პოლკოვნიკის ხარისხამდე ძლივს მიაღწია და გაჭირვებამ საქმისმწარმოებლის უბრალო თანამდებობაზე ამოაყოფინა თავი. გენერლის ხარისხი, რომელიც იმ დროს ესოდენ სანუკვარი იყო თავად-აზნაურობისათვის, დ. კლდიაშვილმა უარყო და საქმისმწარმოებლობით დაკმაყოფილდა. ეს ამბავი კი აშკარად მოწმობს, რომ ის დიდი მოქალაქე, დიდბუნებოვანი და მოწინავე იდეების მატარებელი ადამიანი იყო, რომელიც თავის სამშობლო ქვეყნის ინტერესებს ყველაფერზე უფრო მაღლა აყენებდა.

დ. კლდიაშვილმა ქალაქის თვითმმართველობაში რამდენიმე წელიწადი იმსახურა. არ მოსწონდა იქაური ატმოსფერო... მაშინდელი ქალაქის თავი, თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირები მას ავიწროებდნენ... ბოლოს იქ მუშაობა მობეზრდა და სამსახურისთვის თავის დანებება საბოლოოდ გადაწყვიტა. მისდა საბედნიეროდ, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში გაიხსნა საქმისმწარმოებლის ადგილი და ამ დაწესებულების ხელმძღვანელებმა მოიწვიეს სამუშაოდ. შავი ქვის მრეწველთა საბჭო იმ დროს ითვლებოდა ისეთ დაწესებულებად, სადაც თავისუფლად იკრიბებოდა ქუთაისის მოწინავე ინტელიგენცია, მსჯელობდა საზოგადო საქმეებზე და მას აწესრიგებდა. აქვე იმართებოდა სჯა-ბაასი და კამათი პოლიტიკურ საკითხებზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და ა. შ. ამ დაწესებულებას სათავეში უდგნენ ცნობილი მოღვაწეები და მწერლები: გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი (საბჭოს თავმჯდომარე), კიტა აბაშიძე (თავმჯდომარის მოადგილე), იასონ ბაქრაძე (საბჭოს მდივანი), აგრეთვე ალ. კრინიცკი-დარახველიძე, სერაპიონ მიქაძე და სხვები. აი, ამ პირთა წყალობით ეს დაწესებულება იქცა ქართული

კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხების დამმუშავებელ-მომწესრიგებელ ერთ-ერთ თვალსაჩინო კერად. დ. კლდიაშვილიც მათ შეუერთდა. ამით ამ დაწესებულების ავტორიტეტი საზოგადოებაში უფრო გაიზარდა. დავითიც იქ უფრო თავისიანებში გრძნობდა თავს, კმაყოფილი იყო. ხშირად ამბობდა. „მრეწველთა საბჭოში მუშაობა რომ დავიწყე, სულიერად დავისვენეო".

დავითი მარტო სამსახურით არ კმაყოფილდებოდა და მხურვალე მონაწილეობას იღებდა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობაში. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობას და ხშირად იტყოდა:

— სახალხო უნივერსიტეტს მშრომელ ხალხში განათლება შეაქვს, მეცნიერების სხვადასხვა დარგში დიდ ცოდნას აძლევს. ხალხის განათლებას კი ჩვენი ერის გათვითცნობიერებისა და სამშობლო ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროა ამ დაწესებულებას, რითაც კი შეგვიძლია, დავეხმაროთო.

და, მართლაც, დავითი შეძლებისამებრ ეხმარებოდა... ერთ დროს ის სახალხო უნივერსიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი იყო, მერე — გამგეობის წევრი. დაუზარებლად ეხმარებოდა სხვადასხვა ღონისძიებათა ჩატარებაში, განსაკუთრებით კი სალიტერატურო-საკონცერტო დილა-საღამოების მოწყობაში.

1913-14 წელს ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ სათეატრო სეზონი ვერ მოაწყო. ქუთაისის საზოგადოება უთეატროდ რჩებოდა. ამ დროს სახალხო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა სახალხო წარმოდგენების მმართველი დრამატული წრე, რომელშიც გარდა სცენისმოყვარეებისა, მუშაობდნენ მსახიობები: ვ. ბალანჩივაძე, გ. თუთბერიძე, ნემო და სხვები. ეს პირები მორიგეობით დგამდნენ სპექტაკლებს. დრამწრეს ყავდა თავისი გამგეობა, რომლის წევრადაც მეც ვიყავი. დრამწრე მუშაობდა სახ. უნივერსიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობით. გამგეობამ მეთვალყურეობის გასაწევად დრამწრეს დ. კლდიაშვილი მიამაგრა, ისიც ხშირად ესწრებოდა რეპეტიციებს, რჩევა-დარიგებას აძლევდა რეჟისორებს და როლების შემსრულებლებს. ზოგჯერ, რეპეტიციის დაწყებამდე, საუბარს გამართავდა დრამწრის წევრებთან, განსაკუთრებით ესაუბრებოდა სახალხო წარმოდგენების მნიშვნელობაზე, დისციპლინაზე, ზნეობის საკითხებზე და სხვ. მახსოვს, ერთხელ რაღაც გაუგებრობაზე აშენდა მთელი ინტრიგა. ეს ამბავი დავითის ყურამდე მივიდა. მან რეპეტიციის დაწყებამდე, გამართა თათბირი, ასეთი ინტრიგები დაგმო და მოკლედ შემდეგი თქვა: ინტრიგები, საერთოდ, საზოგადო საქმეებს დაღუპვის გზაზე აყენებს. თქვენში შექმნილმა ინტრიგამაც შეიძლება დრამწრე დაშლამდე მიიყვანოს, წარმოდგენები შეწყდეს და ქუთაისის მოსახლეობას კულტურული საზრდო მოაკლდეს. სცენის მოღვაწეები თავისი კეთილსინდისიერებით, თავისი ზნეობით მაგალითს უნდა აძლევდნენ ხალხსო. ასეთი ხასიათის საუბრებს ხშირად ატარებდა დრამწრეში დ. კლდიაშვილი.

დავითი იყო აგრეთვე დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრიც.

არც ერთი იუბილე, ეროვნული მნიშვნელობის ზეიმი ან სხვა ხასიათის წამოწყება არ ჩატარდებოდა დ. კლდიაშვილის მონაწილეობის გარეშე. 1913 წელს ქუთაისში რომ დიდი ზეიმით ჩატარდა ჩვენი საყვარელი მსახიობის ლადო მესხიშვილის იუბილე, მისი მთავარი ორგანიზატორი დავითი იყო.

სალიტერატურო საღამოებში მონაწილეობის მიღება არ უყვარდა, ამბობდა: რა უნდა წავიკითხო, პატარა მოცულობის ისეთი არაფერი მაქვს დაწერილი, 10-15 წუთის განმავლობაში რომ შეიძლებოდეს წაკითხვა, მოთხრობიდან წაკითხული ნაწყვეტები კი მსმენელებზე შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს. ესეც არ იყოს, მე კარგი მკითხველიც ვერ ვარო,—დაუმატებდა... მაგრამ საღამოს მომწყობნი მაინც არ ეშვებოდნენ, თხოვნა-მუდარით აწუხებდნენ, ისიც ხათრიანი კაცი იყო და მონაწილეობის მიღებაზე თანხმდებოდა... ამიტომ არც თუ ისე იშვიათად ღებულობდა მონაწილეობას სალიტერატურო საღამოებში.

იმ პერიოდში, კარგად არ მახსოვს—სახელდობრ, რომელ წელს, 1913 წლის მიწურულში თუ 1914 წლის დასაწყისში, დავითი ავად გახდა. შემდეგ განიკურნა, მაგრამ ხელჯოხით დაიწყო სიარული.

1914 წლის ზაფხულის მიწურულში მსოფლიო ომი დაიწყო. გამოცხადდა მობილიზაცია. ჯარში გაიწვიეს სათადარიგო ოფიცრები და მათ შორის დ. კლდიაშვილიც.

ერთ დღეს დავითი შემხვდა. ბოლო ხანებში, მუდამ თანამგზავრად გადაქცეული ხელჯოხი გადაუგდია, ხმალი გადაუკიდია და ქუჩაზე მარჯვედ მოაბიჯებს. გამოველაპარაკე. მითხრა ახლად შექმნილი სათადარიგო დრუჟინის უფროსად დამნიშნესო. დრუჟინა უნდა ჩამოყალიბებულიყო დაბა ახალსენაკში და დავითიც იქით მიემგზავრებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

ოქტომბრის დამლევი იქნებოდა, მე ახალსენაკის მაზრის სამხედრო უფროსისგან უწყება მივიღე: ამა და ამ რიცხვში შესამოწმებლად გამოცხადდიო. ცოტა არ იყოს გამიკვირდა, ქუთაისში ვარ დაბადებული და ქუთაისის ბინადარ მცხოვრებად ვითვლებოდი, ამ დროს ქუ-

თაისის მაგიერ, ახალსენაკის სამხედრო უფროსთან რისთვის უნდა გამოვცხადებულიყავი. მერე, რაც მთავარია, იქ მეორედ გამომიძახეს შესამოწმებლად. პირველად 1913 წელს, როცა 21 წელიწადი შემისრულდა და ჯარში გაწვევის ვადა დამიდგა, მაშინ შემამოწმეს და თვალების ტკივილის გამო დამიწუნეს... რას იზამ, სამხედრო უწყებასთან ურჩობა არ შეიძლება, ისიც ომიანობის დროს... წაველი და გამოვცხადდი. თურმე ზემოხსენებული დრუჟინისათვის ვუნდოდი, მაგრამ იმისათვისაც არ გამოვდექი და დამიწუნეს.... მაგრამ ეს სხვათაშორის. ჩემი საქმე გავათავე. ქუთაისში უნდა დავბრუნდე, მატარებლის წასვლამდე დიდი დროა და ქუჩაში დავხეტიალებ. შორიდან ქართული მხედრული სიმღერა მომესმა. მოვიხედე. დარაზმული ჯარის ნაწილი მოდის. გაოცებული შევდექი. ჯარმა სიმღერით ჩამოიარა. ჩემს გარდა სხვებიც შედგნენ და ჯარს მიაჩერდნენ. ერთმათგანს გამოვესაუბრე, და მითხრა: ახლადშედგენილი დრუჟინის ნაწილია, მისი მეთაური პოლკოვნიკი კლდიაშვილია და ჩვენებური სიმღერები მან შემოიღო.

— მწერალი დავით კლდიაშვილი?—შევეკითხე მოსაუბრეს.

— დიახ, ბატონო! მწერალი დავით კლდიაშვილი, იცნობთ?

— დიახ ვიცნობ, კარგად ვიცნობ...

— აქებენ, ძალიან კარგი კაცია და გაბედულიცო,—ჩამილაპარაკა და მომცილდა.

მეც ჩემს გზას გავუდექი. მატარებლის წასვლამდე სამი საათია. განვაგრძე ხეტიალი, ბოლოს მომბეზრდა, სადგურისაკენ გავსწიე და ბაქანზე დავსეირნობ, უცებ დავინახე, დ. კლდიაშვილი მოდის. ძლიერ მესიამოვნა. მარჯვედ მოაბიჯებს. ყოჩაღად გამოიყურება. ერთმანეთს ხალისიანად შევხვდით.

— რაზედ ჩამოსულხარ?—მისალმებისთანავე მკითხა.

— სამხედრო უფროსმა გამომიძახა.

— ალბათ, ჩემი დრუჟინისათვის უნდოდი, მერე რა ჰქენი?

— დამიწუნეს, ბრუციანი ხარო, მითხრეს,—წახუმრებით მივუგე.

— კარგი უქნიათ. ზოგი ჰირი მარგებელია, ვისთვის ან რისთვის უნდა შეაკლა თავი. ჩვენს ხალხს ეს ომი რად ჰირდება!

— ბატონო დავით! ჯანმრთელად გამოიყურებით, უჯობობაც გიხდებათ.

— გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, ნათქვამია. უცნოური (ასე იცოდა ამ სიტყვის გამოთქმა) ამბავია, სანამ კანცელარიაში ვიჯექი, მუდამ უქეიფოდ ვიყავი და ჯოხით დავდიოდი, ახლა, როცა ჯარში ვარ, თავს უფრო კარგად ვგრძნობ. ასე იცის გაჭირვებამ, გამოგაკეთებს ადამიანს.

შემდეგ ჯარის ნაწილის ქართულ სიმღერაზე ჩამოვუგდე ლაპარაკი. ვუთხარი, ხალხს ძალიან უკვირდა და თანაც უხაროდა, ქართულად რომ მღეროდნენ, და შევეკითხე, ამის ნება როგორ დაგრთეს მეთქი! გაიღიმა და მითხრა:

— სიმღერა ჯარს ამხნევებს. გამხნევება კი ჯარისკაცებს ისე არას დროს არ სჭირდება, როგორც ომიანობის დროს. დრუჟინაში მეტწილად ქართველები მყავს. რუსული სიმღერები არ იციან, ვისარგებლე ამ შემთხვევით და ქართულად ვამღერებ.

— უმაღლესი მთავრობა ამაზე რას იტყვის?

— მთავრობა ახლა დაბნეულია. მას ომის მეტი არაფერი აინტერესებს. ოღონდ ომი მოიგოს და სიმღერას ვინ დაეძებს. თუ გინდა, ჯარმა სპარსულად იმღეროს. ახლა ამისთვის არავის სცალია.

კიდევ მცირე ხანს ვისაუბრეთ და ერთმანეთს დავცილდით. ამის შემდეგ გავიდა ორ წელიწადზე მეტი და დავითი არსად შემხვედრია.

1916 წლის ივნისიდან მე ბათუმში დავიწყე სამსახური და იქ დავბინავდი. დ. კლდიაშვილი ამ დროს თავის დრუჟინით ოსმალეთის საზღვართან იყო დაბანაკებული, სოფ. პირონიტის კომენდანტის თანამდებობა ეკავა. რამდენიმეჯერ ბათუმში ჩამოვიდა, ყოველთვის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებაში შეივლიდა, ინახულებდა გამგეობის თავმჯდომარეს ს. მდივანს და სხვებს, აწვდიდა ცნობებს ლაზებისა და სხვა ქართველ მაჰმადიანთა მდგომარეობის შესახებ. ასეთ მუსაიფს რამდენიმეჯერ მეც დავესწარი, ლაზებით აღტაცებული იყო, უქებდა ხასიათს, შრომისმოყვარეობას და აღფრთოვანებით აღნიშნავდა, რომ, მართლია, ოსმალებს მათზე დიდი გავლენა მოუხდენიათ, მაგრამ მათი სავსებით გადაგვარება მაინც ვერ მოუხერხებიათ, მათ უნდა მიშველება, ქართული სკოლების გახსნა და სხვა კულტურულსაგანმანათლებლო ორგანიზაციების მოწყობაო. მოითხოვდა, საქველმოქმედო საზოგადოებამ ლაზეთში გულშემატკივარი პირები გაგზავნოს, ამ პირებმა მთელი კუთხე შემოიარონ, ხალხის ყოფა-ცხოვრება შეისწავლონ, გამოარკვიონ მათი სულიერი განწყობილება და თან ეროვნული გრძნობების გაღვივების მიზნით ფართო პროპაგანდა გასწიონო.

—ეს კიდევ ცოტა არისო.—თქვა ერთხელ დავითმა — სკოლების გახსნა ახლავე დავიწყოთ. იქ ქართული სკოლის გახსნის მსურველები ბლომად არიან. ახლა ომიანობაა, მთავრობას ახლადდაპყრობილ ქვეყანაში პოლიტიკისათვის არ სცალია. მას უფრო მეტი ტერიტორიის შემოერთება და საერთოდ ომის მოგება აინტერესებს. ახლა უფრო მოგვცემენ ქართული სკოლების გახსნის საშუალებას, ამიტომ ამ მდგომარეობით უნდა ვისარგებლოთ, რის გა-

კეთებასაც მოვასწრებთ, უნდა გავაკეთოთო.

ერთი სიტყვით დ. კლდიაშვილმა, როგორც ბათუმის განყოფილებაში ისე თბილისის ცენტრალურ გამგეობაში, ამ საკითხზე იმდენი ილაპარაკა, რომ ყველა აამოქმედა. გადაწყდა ლაზეთში ნიადაგის მოსასინჯავად სპეციალურ პირების გაგზავნა. და გაიგზავნა კიდეც. ამას გარდა რამდენიმე სხვა პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა... მაგრამ ამ დროს 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო და მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად შეიცვალა.

თებერვლის რევოლუციის დაწყების შესახებ ცნობებმა საქართველომდე რომ მოაღწია, მაშინ დავითი შემთხვევით ქუთაისში იმყოფებოდა. ქუთაისში პირველი მიტინგი გამართულა. ტრიბუნაზე სალაპარაკოდ ისიც გამოსულა და ხალხისთვის მხურვალე მისასალმებელი სიტყვით მიუმართავს.

დავითი ტრიბუნაზე მეც მინახავს. ეს იყო 1917 წლის ბოლო თვეებში, გენერალ კორნილოვის კონტრრევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირებით, კარგად აღარ მახსოვს, ზუსტად როდის მოხდა. ბათუმში შმაევსკის თეატრში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. მიტინგს დ. კლდიაშვილიც დაესწრო და სალაპარაკოდ გამოვიდა. ლაპარაკობდა ხმამაღლა გამყივანი ხმით და აღელვებით. გმობდა შავი გენერლის კონტრრევოლუციურ მოქმედებას და ხალხს მოუწოდებდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ის ერთხელ კიდევ ვნახე ქუთაისში ტრიბუნაზე. ეს იყო 1918 წლის შემოდგომაზე. რაღაც საკითხთან დაკავშირებით, ქუჩაში გაიმართა დემონსტრაცია და სახელდახელო მიტინგი. გამოიტანეს ტაბურეტი და შუა ქუჩაზე დადგეს. ამ ტრიბუნაზე პირველად დავითი ავიდა და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა.

დავითმა კარგად დალაგებული და გადაბმული ლაპარაკი იცოდა, მაგრამ ხმა მიტინგისთვის არ ყოფნიდა. ლაპარაკობდა აღელვებით და გულწრფელად, ზომიერი ჟესტებით. მისი ლაპარაკი მსმენელის გრძნობებზე მოქმედებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორატორი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ის მაინც არ იყო.

ცნობილი ამბავია, რომ ზემო აჭარის მცხოვრები სოფ. ხულოს მბრძანებელი ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი 1917 წლის რევოლუციამ ძლიერ შეაშფოთა, რადგან ატყობდა, თუ რევოლუცია გაიმარჯვებდა, მას ხალხზე ბატონობა ხელიდან გამოეცლებოდა. ისიც ცნობილია, რომ ხიმშიაშვილი რუსეთის მთავრობის უკმაყოფილო იყო და მისი სიმპათიები თურქებისაკენ იხრებოდა, მის ორიენტაციას იცავდა. მან ისარგებლა რევოლუციური მოძრაობით, აშკარად ამხედრდა ახალი მთავრობის წინააღმდეგ და თურქეთის მფლობელობაში აჭარის გადასვლისათვის ნიადაგის მზადება დაიწყო. ამ მიზნით თვით აჭარაში გაიჩინა რამდენიმე მომხრე და მათი მეშვეობით ხალხში პროპაგანდა გაშალა. ბათუმში თურქული პარტიის აგენტებს დაუკავშირდა და ისინიც მუშაობაში ჩააბა. პარალელურად თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა და აჭარაში აჯანყების მოწყობისათვის დახმარება ითხოვა... ბოლოს აჭარაში ანტიქართულმა მოძრაობამ სერიოზული სახე მიიღო. ბათუმის ოლქის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქცია და ზემო აჭარაში მდგომარეობის გამოსარკვევად, აგრეთვე, ხალხის მოთხოვნილებათა შესასწავლად თავის წარმომადგენლები გაგზავნა. ეს პირები იყვნენ: საქველმოქმედო საზოგადოების სკოლების ზედამხედველი აჭარაში არსენ წითლიძე, იმავე საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობის მდივანი კოტე კობახიძე, ბათუმის ქართული სკოლის გამგე ალექსანდრე მგელაძე (მწერლობაში „შხანკოლა“) და აპოლონ წულაძე (მწერლობაში „პიტნა“). გაგზავნილი პირები იქ თითქმის ათ დღეზე მეტს დარჩნენ, მთელი ზემო აჭარა ფეხით შემოიარეს. საჭირო ცნობები დააგროვეს და საკითხი კარგად შეისწავლეს. დაბრუნდნენ თუ არა ბათუმში, ქალაქის თვითმმართველობაში გაიმართა საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და ლეგალურად მოქმედ პარტიათა კომიტეტების გაერთიანებული თათბირი. მაშინ ზემო აჭარაში დაბანაკებული იყო დ. კლდიაშვილი თავის რაზმით, და ისიც მიწვეული იყო. სხდომაზე თათბირს ატარებდა საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. ანჯაფარიძე. შესასწავლად გაგზავნილმა პირებმა ყველაფერი დაწვრილებით გააცნეს თათბირს. ბოლოს ხაზგასმით აღნიშნეს: ზემო აჭარის მოსახლეობა რევოლუციურ მოძრაობას ვერ გრძნობს. ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი კვლავ უსაზღვროდ ბატონობს. მისი აგენტი ბეგები და უცხო ელემენტები ხალხში დაძვრებიან და კონტრრევოლუციურ განწყობილებას აღვივებენ. აგრეთვე, ანტიქართულ იდეებს ავრცელებენ. საჭიროა ქმედითი ზომების მიღება, იქაურ ბეგებისა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მოქმედ სხვა ელემენტების ალაგმვაო...

საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ზოგიერთები, მათ შორის, ზემო აჭარაში მდგომარეობის შესასწავლად გაგზავნილი პირები მოითხოვდნენ ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის და სხვა მის მსგავს კონტრრევოლუციონერთა დაპატიმრებას. ზოგი იმ აზრის იყო, რომ საჭიროა, ახალმა მთავრობამ ჯემალ ბეგი და მისი ამყოლ-დამყოლნი მოიმადლიეროს და საჭირო ღონისძიებები მათი დახმარებით გაატაროს ცხოვრებაში. ერთმა პირმა ასეთი წინადადებაც კი შემოიტანა:

კლდიაშვილს მთელი აჭარა კარგად იცნობს. ის ხალხში დიდი პატივისცემითა და ნდობით სარგებლობს. მისი რაზმელები შევსვათ ცხენზე, ხუთიოდე ზარბაზანი, ამდენივე ტყვიამფრქვევი გავაყოლოთ და ზემო აჭარაში გავგზავნოთ. მან იქ შეიარაღებული რაზმით აიარ-ჩამოიაროს, საჭირო პირებთან მოლაპარაკება გამართოს. თუ საჭიროდ დაინახავს, ზოგს დაემუქროს კიდეც.

კამათის დროს დ. კლდიაშვილი ჩუმად იჯდა და, ეტყობოდა, მოლაპარაკეებს აღელვებით ადევნებდა თვალყურს... გადაწყდა მისი ზემო აჭარაში გაგზავნა, ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით... ამ დროს დავითმა სიტყვა ითხოვა და თქვა: დიდი ხანია ყველამ კარგად ვიცით, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი თურქეთის ორიენტაციისა და იმ აზრისაა აჭარა კვლავ თურქეთს დაუბრუნდეს. ეს ახალი ამბავი არ არის. ისიც ცნობილია, რომ ჯემალ ბეგი დიდი მემამულეა და როგორც მდიდარ ბეგს, მთელი ზემო აჭარა ხელში ჰყავს ჩაჭერილი და ბატონობს. სრულიად ბუნებრივია, ასეთი პირი რევოლუციის მხარეზე არ იქნება. რადგან რევოლუცია მას ბატონობას ხელიდან გამოაცლის... ფრონტი დაშლილია, ჩვენს საზღვრებს ჯარი ვერ დაიცავს, თურქეთს ბათუმი და მისი ოლქი დიდი ხანია სურს ხელში ჩაიგდოს. ამისათვის მხოლოდ მოხერხებულ დროს უცდის. ასეთი მდგომარეობით ისარგებლა ჯემალ ბეგმა და ამოძრავდა. მან გადაწყვიტა ჩვენს ისტორიულ მტერს გაუწოდოს ხელი, დაეხმაროს და თავის ძველი ზრახვები განახორციელოს... ჩვენ ორიოდე ზარბაზნით და ტყვიამფრქვევით მას ვერ შევაშინებთ, რადგან მას გვერდში თურქეთი უდგას. ჩემი აჭარაში წასვლით არაფერი გაკეთდება, პირიქით, შეიძლება ამას ბევრი უსიამოვნება და ზიანიც კი მოჰყვეს. დრო არ უნდა დავკარგოთ, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი და მისი მომხრეები დაჩქარებით მოვაცილოთ აჭარას და ასეთნაირად თურქეთს მოვკვეთოთ მათი ინტერესების დამცველი მარჯვენა ხელი. ამის შემდეგ უშუალოდ ხალხთან მივიდეთ, მასთან კავშირი განვამტკიცოთ და შესაძლებლობის კვალობაზე დახმარება გავუწიოთ... მაგრამ ჩემი იქ წასვლა თუ აუცილებელი იქნება, მზად ვარ ჩემს სამშობლოს მსხვერპლად შევეწირო. მე თვით გამოვძებნი ისეთ სამხედრო პირებს, რომლებიც თავს არ დაზოგავენ და ჩემთან ერთად წამოვლენ. მაგრამ ვიმეორებ, ეს ექსპედიცია სარგებლობას ვერ მოიტანს. ხიმშიაშვილი და მისი დამქაშები უნდა მოვაშოროთ იქაურობას და ხალხს ამოვუდგეთ გვერდში, ასე დაამთავრა გრძნობითა და ტემპერამენტით წარმოთქმული თავისი სიტყვა.

მისმა გულწრფელად წარმოთქმულმა აზრიანმა სიტყვამ ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... შემდეგ თავმჯდომარემ მდუმარება დაარღვია და განაცხადა:

— ეს დადგენილება ძალაში დავტოვოთ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მივანდოთ იმოქმედოს დროისა და გარემოებების მიხედვით და, თუ საჭიროდ დაინახავს, თათბირის ეს დადგენილება განახორციელოსო.

თავმჯდომარის წინადადება თათბირმა მიიღო და კრება დაიშალა... მართალი რომ ვთქვა, აღარ მახსოვს, აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ეს დადგენილება გამოიყენა თუ არა... მაგრამ ერთი ამბავი კი გამიგონია. დ. კლდიაშვილი თავის სურვილით თუ სხვისი დავალებით, ასულა ქედასა და ხულოში, უნახავს იქაური გავლენიანი პირები, მათთან მოლაპარაკება გაუმართავს ზემოდხსენებულ საკითხებზე. ყველგან დიდი პატივისცემით მიუღიათ და ნადიმებიც კი გაუმართავთ... მაგრამ, ჩანს, ამ მოლაპარაკებას შედეგი არ მოყოლია... ერთი კი ცნობილი ამბავია: 1917 წლის მიწურულში ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი თურქეთში გადავიდა, იქ ფაშობა მიიღო. შემდეგ თურქეთის ჯარს ჩამოუძღვა და 1918 წლის გაზაფხულზე თურქეთმა ბათუმი და მისი ოლქი დაიკავა.

1918 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში, ბათუმის ოკუპაციის შემდეგ ქუთაისში გადმოვსახლდი. გაზეთ „ჩვენი მეგობარის“ ფურცლებზე გამოვაქვეყნე ვრცელი წერილები „სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი“. აქ ვაკრიტიკებდი ბათუმის ოლქის მაშინდელ მთავრობის პოლიტიკას და ვიცავდი იმ აზრს, რომ საჭირო იყო უფრო გადამჭრელი ზომების მიღება ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. მაშასადამე, მხარს ვუჭერდი დ. კლდიაშვილის იმ შეხედულებებს, რაც გამოთქვა ზემოხსენებულ თათბირზე. წერილების გამოქვეყნების შემდეგ გავიდა ორიოდე კვირა. დავითი გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ რედაქციაში შემხვდა. ჩემი ნახვა ძლიერ გაუხარდა, გულთბილად მომესალმა და მითხრა:

— წავიკითხე შენი სტატიები. მართალი ხარ. გახსოვს, თათბირი? დაიჯინეს, გინდა თუ არა, კლდიაშვილი წავიდეს რამდენიმე ქეციანი ზარბაზნით და ოსმალეთი დააშინოსო, როცა მას ასეთი მომხრეები ჰყავდა აჭარაში, როგორიც ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი და მისი ამყოლ-დამყოლნი იყვნენ. საჭირო იყო მათი დაპატიმრება და აჭარიდან გასახლება... უცნაური ხალხია ეს ჩვენი მენშევიკები. დაჯდენ ორ სკამზე, არც მწვადი უნდოდათ დაეწვათ და არც შამფური... იყოყმანეს, იყოყმანეს და ამასობაში აჭარა და ბათუმი ხელიდან გამოგვეცალა... ჩემი საყვარელი ბათუმი — თითქმის კვნესით წარმოთქვა ეს სიტყვები და გამომემშვიდობა...

1919 წლიდან დ. კლდიაშვილს მე იშვიათად ვხვდებოდი. ის, რამდენადაც მაგონდება, ჯერ თავის საყვარელ სოფ. სიმონეთში ცხოვრობდა, შემდეგ კი თბილისში გადმოსახლდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა გოზალიშვილი

# დავით კლდიაშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

(გამოუქვეყნებელი წერილების პუბლიკაციით.)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ საქართველოსთან აჭარის შემოერთების შემდეგ, 1881 წელს ბათუმში, თავისი ხარჯით, გახსნა პირველი ქართული სახალხო სკოლა აჭარაში.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მესვეურები — დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, ამ სკოლის საშუალებით, მიზნად ისახავდნენ თურქეთის უღელქვეშ დაბეჩავებულ, ჩამორჩენილ მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელებას; კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასა და, ამრიგად, ეროვნული თვითშემეცნების გაღვივებას.

ამ კეთილშობილური ამოცანის განხორციელებისათვის გაწეულ დიდ შრომაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის სასიქადულო მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს — დავით კლდიაშვილს.

სამხედრო-სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, დავით კლდიაშვილი ხანგრძლივი დროის, 26 წლის განმავლობაში, 1882 წლის სექტემბრიდან ბათუმში ცხოვრობდა. მას მოვლილი ჰქონდა მთელი აჭარა. კარგად იცნობდა საქართველოს ღირსშესანიშნავ მხარეს. ზედმიწევნით იცოდა მისი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები, ხალხის ყოფა-ცხოვრება და ჭირ-ვარამი.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ბათუმის ქართული სკოლისადმი. სკოლასთან არსებობდა სამზრუნველო კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები — გრიგოლ ვოლსკი (თავმჯდომარე), დავით კლდიაშვილი, ექვთიმე ბერძენიშვილი (ხაზინადარი), ივანე მესხი, ნიკო საბაშვილი (საბაევი) და სხვები[1].

„სამზრუნველო კომიტეტი", რომლის საქმიანობაში დავით კლდიაშვილი ენერგიულად მონაწილეობდა, ბათუმის ქართული სკოლის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საქველმოქმედო მიზნით ხშირად მართავდა სახალხო საღამო-სეირნობას, ქართულ წარმოდგენებს, აგროვებდა კერძო პირებისაგან შემოწირებულებას და სხვ.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობა დიდად აფასებდა დ. კლდიაშვილის მიერ საზოგადო საკითხებზე წამოყენებულ აზრსა და ყოველთვის ანგარიშს უწევდა მას.

1901 წლის 27 დეკემბერს ბათუმის ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის სახელით დავით კლდიაშვილი წერდა[1]:

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას.**

**ბათუმის სკოლის სამზრუნველო კომიტეტი ამით აუწყებს პატივცემულ გამგეობას, რომ მას აქვს სახსარი გაისტუმროს მესამე მასწავლებლის ხარჯი, აქვს ღონე, რომ აძლიოს ამ მასწავლებელს 500 მანეთი წლიურ ჯამაგირათ. მოახსენებს რა ამას, კომიტეტი პატივცემულ გამგეობას სთხოვს, რომ ეს მასწავლებელი, რაც შეიძლებოდეს, მალე იქმნას დანიშნული.**

**ამასთანავე კომიტეტი ვალად რაცხს აცნობოს გამგეობას, რომ სკოლის ინტერესები მოითხოვენ კომიტეტის წევრთა რიცხვი შემატებულ იქნას ათამდინ მაინც. ამ ხანად კომიტეტში მყოფნი ხუთი წევრი ვერ შეძლებს წესიერად გაუძღვეს სკოლის შემატებულ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, რადგან ამ წევრთ მათ საკუთარ საქმე-სამსახურის გამო, არ აქვთ იმოდენი თავისუფალი დრო და მოცალეობა. რომ სკოლას იმაზედ მეტად ემსახურონ ვიდრე აქამდისინ ემსახურებოდნენ. ზოგიერთნი წევრთაგანი კომიტეტისა გასვლასაც აპირებს კომიტეტიდან, სკოლის სამსახურისათვის დროის უქონლობის გამო. აუწყებს რა ყოველ ამას, კომიტეტი სთხოვს უმორჩილესად გამგეობას, აცნობოს კომიტეტს თუ რა გზით უნდა მოხდეს ამ კომიტეტის ახალ წევრთა შემატება-არჩევნების მოხდენით აქაურ წევრთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებისა თუ სხვა საშუალებით. კომიტეტი უმორჩილესი მთხოვნელია**

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 481, საქმე № 670. ფურც. 12.

[1] დოკუმენტების ტექსტებს ვაქვეყნებთ მთლიანი სახით.

გამგეობის წინაშე ამ საქმის დაჩქარებისა, რადგან სკოლის ინტერესები ამაზედაა დამოკიდებული.

სკოლის კომიტეტი მთხოვნელია აგრეთვე, რომ გამგეობამ მადლობა გამოუცხადოს გაზეთის საშუალებით ბათუმის ქართველი საზოგადოების სახელით ბატ. იაკობ გოგებაშვილს უხვი შემოწირულებისათვის ბათუმის სკოლის საშუალებათა გასაძლიერებლად.

ბათუმის სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრი

დავ. კლდიაშვილი[1].

დეკემბრის 27-ს 1901 წ.
ქ. ბათუმი".

ბათუმის სკოლის სამზრუნველო კომიტეტის მუშაობას ეხება აგრეთვე დავით კლდიაშვილის მეორე წერილი, გაგზავნილი 1902 წლის 2 დეკემბერს. წერილის ადრესატი არა ჩანს. მიმართული უნდა იყოს ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის, ან თავმჯდომარის ამხანაგის ნიკო ცხვედაძისადმი. დ. კლდიაშვილი წერილში წერდა:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

გთხოვთ უმორჩილესათ მოახსენოთ წერა-კითხვის საზოგადოების პატივცემულ გამგეობას, რომ მე იძულებული ვარ გამოვიდე ბათუმის ქართული სკოლის მზრუნველ კომიტეტისაგან. მიზეზი ამისა გახლავს ჩემი პირადი სამსახური, რომელიც ისე მოეწყო ამა დეკემბრის პირველიდან, რომ თითქმის სრულიად აღარა მაქვს თავისუფალი დრო და მოკლებული ვხდები ყოველმხრივად რაიმე მონაწილეობა მივიღო სკოლის სამზრუნველო კომიტეტში.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ დღეს სამზრუნველო კომიტეტიდან რაოდენათმე თავისუფალი მხოლოდ ერთი წევრი რჩება, ბატ. ექვ. ბერძენიშვილი, 14 იანვარი კი ძრიელ ახლოს არის. თუ რომ გამგეობა არ შეავსებს სამზრუნველო კომიტეტს ამ მოკლე ხანში, ადვილად შესაძლებელი იქნება, რომ ჩვეულებრივი საღამო 14 იანვრისა ვეღარ მოეწყოს, სკოლას მოაკლდეს ეს უმთავრესი მისი მაცოცხლებელი წყარო და, რასაკვირველია, იგი ჩავარდება განსაცდელში და თვით წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასაც მიეცემა ძნელად მოსაგვარებელი საკითხი, თუ როგორ შეავსოს ეს დაკარგული შემოსავალი. საქმე მეტად საჩქაროა და გადადება დიდათ აზარალებს სკოლასაც და გამგეობასაც.

ვიმეორებ ჩემს თხოვნას: აცნობოთ პატივცემულ გამგეობას, რომ მე ბათუმის სამზრუნველო კომიტეტში წევრობას თავი გავანებე ჩემი პირადი სამსახურის შეცვლილი პირობების გამო.

დავ. კლდიაშვილი[1].

დეკემბრის 2, 1902 წ.
ქ. ბათუმი".

სამზრუნველო კომიტეტის თაოსნობით ბათუმის სკოლის სასარგებლოდ ყოველი წლის 14 იანვარს, ნინოობის დღეს, იმართებოდა საღამო.

დავით კლდიაშვილის ინიციატივით ასეთი საღამო ჩატარდა 1902 წელს. საღამოზე მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან მოწვეული იყო აკაკი წერეთელი. ამის შესახებ ჩვენს ხელთ არის საზოგადოების საქმის მწარმოებლის, საზოგადო მოღვაწის პეტრე მირიანაშვილის 1902 წლის 12 იანვრის თარიღით გაგზავნილი წერილი ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის ნიკო ცხვედაძისადმი. იგი წერდა:

„აკაკის ტელეგრამა მოუვიდა ბათუმიდან. ნინოობის სადღესასწაულოდ იბარებენ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.

აკაკიმ თქვა, მე ფული არა მაქვს, რომ წავიდე, ბათუმის სკოლა თქვენი სკოლაა და სახარჯოს თუ მომცემთ, წავალო.

მგონია, შეიძლებოდეს აკაკის დაკმაყოფილება ასე: იმ ორასი მანეთიდან, გოგებაშვილმა რომ შემოსწირა ბათუმის სკოლას, თხუთმეტიოდე მანეთი სახარჯოდ აკაკის მივსცეთ. ფული კი ბათუმის კომიტეტს როცა უგზავნიდეთ, ორასი მანეთით ნაკლები გაუგზავნოთ და ვსთხოვოთ, ის დაკლებული, ე. ი. 15 მან. კომიტეტის შემოსავლით შეავსონ, ხოლო კონცერტის ანგარიშში აკაკისათვის სახარჯოდ გამოიყვანონ.

მიბრძანეთ, როგორ მოვიქცე. ბათუმელი კომიტეტის წევრი „убедительно" ჰპათხოვს აკაკის ჩასვლას. ტელეგრამას ხელს აწერს დავით კლდიაშვილი.
საქმის მწარმოებელი პ. მირიანაშვილი.

ნ. ცხვედაძის მიერ ბარათზე მიწერილია: „ილიას ჰკითხეთ. ჩემის მხრით შეიძლება, როგორც იწერებით. ნ. ცხვედაძე".

პ. მირიანაშვილის მიერ იქვე მიწერილია: „თ. ილია ჭავჭავაძე საგურამოს იყო წასული. საქმის მწარმოებელი პ. მირიანაშვილი"[2].

---

1. საქ. ცსსა, ფონდი 481, საქმე № 815. ფურც. 1. დ. კლდიაშვილის ავტოგრაფი. წერილში აღძრულ საკითხებზე იხ. ახალი ამბავი, გაზ. „ივერია", 29 დეკემბერი, 1901, № 282, გვ. 2. ნ. ჩ.-ს „წერილი ბათუმიდან", „კვალი", 1 იანვარი, 1902, № 1, გვ. 20-21; ახალი ამბები, გაზ. „ივერია", 3 იანვარი, 1902, № 2.

1 საქ. ცსსა, ფონდი № 481. საქმე № 771 ფ. 26, დ. კლდიაშვილის ავტობიოგრაფია.

2 საქ. ცსსა, ფონდი 481, საქმე № 750 (815), ფ. 13-14; იქვეა ფ. 21-გრ. ვოლსკის მიერ 1902 წლის 21 იანვარს ბათუმიდან გამოგზავნილი წერილი ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობისადმი, საიდანაც ჩანს, რომ ბათუმში კონცერტის მონაწილეობისათვის ჩასულ აკაკის საგზაო ხარჯების სანაზღაურებლად 40 მანეთი მიუღია

წერილის ბოლოზე აკაკის ავტოგრაფული მინაწერიდან: „მივიღე ოცდახუთი მანეთი. აკაკი“. ჩანს, რომ პ. მირიანაშვილის მიერ საგზაო ხარჯების გაღების შემდეგ, აკაკი წერეთელი თბილისიდან ბათუმში გამგზავრებულა დავით კლდიაშვილის, გრ. ვოლსკის და ივანე მესხის მიერ 1902 წლის 14 იანვარს მოწყობილ საღამოზე მონაწილეობის მისაღებად.

ბათუმში მოწყობილ საღამოზე მონაწილეობის მისაღებად აკაკი წერეთლის ჩასვლის შესახებ დ. კლდიაშვილი მოგვითხრობს თავის მოგონებაში „ჩემი ცხოვრების გზაზე“. „პირველი საღამო არაჩვეულებრივი რამ იყო ბათუმისათვის, — წერდა იგი. თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყუილა არ ჩაუვლია და საღამომ დიდებულად ჩაიარა: საღამოზედ მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურზედ დაუხვდა მთლად ქართველობა და რომელიც გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში, აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა მქუხარე ვაშა... აკაკიმ საღამოზე წაიკითხა თავისი ლექსები და, რაღა თქმა უნდა, დიდად აღაფრთოვანა ხალხით გაჭედილი დარბაზი.

საღამომ დიდი ფული შემოიტანა — სამი ათასზე მეტი, — და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა. თოთხმეტი იანვრის საღამო, ნინოობა, მაცოცხლებელ წყაროდ შეიქმნა სასწავლებლისათვის — გაჭირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოამაგრებინა...

შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. — ბათუმის წერა-კითხვის სკოლამ დიდძალი შეგნებული ახალგაზრდობა მისცა ხალხს“[1].

დავით კლდიაშვილი ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის წინაშე დამსახურებული ყურადღებით და ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი ყურადღებას იმსახურებდა არა მარტო თავისი უმწიკვლო, უანგარო, საზოგადოებრივი მოღვაწეობით. არამედ, იგი უფრო მეტად პოპულარული და საყვარელი იყო თავისი სამწერლო-სალიტერატურო მოღვაწეობით. მწერლის მოთხრობები და კომედიები, რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდებოდა, საერთო პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა.

დავით კლდიაშვილი, 1899 წლის 1 სექტემბერს, ბათუმიდან გამოგზავნილ ბარათში მორიდებით წერდა:

**ქართული დრამატიული საზოგადოების კომიტეტს![2]**

**ვთხოვ კომიტეტს მიიღოს გასარჩევად ჩემი პიესა სახელწოდებით „ირინეს ბედნიერება“ საპრემიოდ წარმოდგენილ პიესებთან ერთად. თუ იმ მიზეზით, რომ პიესა დაბეჭდილია[1] და საპრემიო პიესებთან არ მიიღება, ვთხოვ კომიტეტს, ამ შემთხვევაში, იგი ცალკე განარჩიოს, თუ რამდენად გამოსადეგია იგი სცენისათვის და შესაძლებელია თუ არა მისი მიღება ქართულ თეატრში წარმოსადგენათ.**

**დავ. კლდიაშვილი.**

**სექტ. 1. 1899 წ.**

**ქ. ბათუმი.**

**ადრესი: ქ. ბათუმი. დავით კლდიაშვილს.**

„ირინეს ბედნიერება“ პირველად თბილისში დაიდგა, ხოლო მეორედ ქუთაისში ლადო მესხიშვილმა წარმოადგინა. პიესის წარმოდგენამ ბრწყინვალედ ჩაიარა და დამსწრე საზოგადოება აღაფრთოვანა. კმაყოფილებით აღსავსე მწერალი წერდა: „...ეს იყო გრძლად გაბმული სიხარულის წამები, დაუვიწყარი წამები... ძვირფასმა ლადომ მაჩუქა ის დაუვიწყარი წუთები“[2].

დ. კლდიაშვილის შემოქმედებიდან, პირველად ცალკე გამოცემად, მოთხრობა „ქამუშაძის გაჭირვება“ დაიბეჭდა წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის მიერ 1900 წელს.

ამის შემდეგ, სულ მალე ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობამ გადაწყვიტა დ. კლდიაშვილის მოთხრობების ცალკე წიგნად გამოცემა. ამის გამო გამგეობამ 1901 წლის 24 იანვარს ავტორს წერილით მიმართა:

**„საზოგადოების გამგეობამ განიზრახა თავის ხარჯით დაბეჭდოს თქვენი მოთხრობანი: „სოლომონ მორბელაძე“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ თითო თხზულება ათასორას ეგზემპლიარად, პირობით, რომ ჯერ თავისი დანახარჯი ამოიგოს და მერმე წმინდა მოგება შუა გაჰყოს: ერთი წილი თქვენ მოგართვას, ხოლო მეორე თავისთვის დაიტოვოს.**

**გაუწყებთ რა ამას, გამგეობა გთხოვთ აცნობოთ, თანახმა ბრძანდებით თუ არა ამ პირობით დაუთმოთ დასაბეჭდად გამგეობას ზემოხსენებული მოთხრობანი[3]“.**

საზოგადოების ყურადღებით კმაყოფილმა დ. კლდიაშვილმა 1901 წლის 17 თებერვალს ბათუმიდან ნიკო ცხვედაძეს თანხმობის წერილი გაუგზავნა. იგი მას წერილში სწერდა:

---

[1] დ. კლდიაშვილი „ჩემი ცხოვრების გზაზე“, მოთხრობები და პიესები, სახელგამი, თბილისი, 1947, გვ. 691-693.

[2] ბარათის ავტოგრაფი. ნახ. საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში № 18630.

[1] „ირინეს ბედნიერება“ პირველად დაიბეჭდა ჟურ. „მოამბეში“, 1897 წელს, ის. № 12.

[2] „ჩემი ცხოვრების გზაზე“. სახელგამი, თბილისი, 1947, გვ. 926.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 481, საქმე № 799, ფურც. 1. მიმართვის შავი დაწერილია საზოგადოების მდივნის პ. მირიანაშვილის ხელით, დედანზე ხელი მოუწერია — „თავმჯდომარის მაგიერ“ ნიკო ცხვედაძეს.

დიდად პატივცემულო ბ. ნიკოლოზ ზებედესძევ!

უმორჩილესი მთხოვნელი ვარ აცნობოთ პატივცემულ გამგეობას წ. კ. გ. გამ. (გეობის) საზოგადოებას, რომ მე დიდის სიამოვნებით ვუთმობ ჩემს მოთხრობებს „სოლომონ მორბელაძე“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ დასაბეჭდათ და გამოსაცემად იმ პირობით, როგორც ეგ აღნიშნულია გამგეობის მიერ ჩემდამი მომართულ წერილში.

ამასთანავე უნდა ვაცნობო გამგეობას, რომ მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“ ისე ვერ დაიბეჭდება, როგორც იგი დაბეჭდილია ჟურნალ მოამბეში და სწორეთ იმიტომ, რომ შიგ მეტის-მეტი კორექტურული შეცდომებიცაა და ბევრ ადგილას სიტყვებიც უცნაურათ გადამახინჯებული. მე შევასწორებ ყოველ ამას და ამ ერთი კვირის შემდეგ ვაახლებ გამგეობას ამ შესწორებულ მოთხრობას. „სოლომონ მორბელაძე“ კი „მოამბიდანაც“ გადმოიბეჭდება, რადგან კარგათ არის ნაბეჭდი, მძიმე შეცდომა მხოლოდ 39 გვერდზედაა. „ხელ-მოკლე აზნაურის“ მაგიერ დაბეჭდილია „სულ-მოკლე“. ყოველ შემთხვევაში გამგეობა ძლიერ დამავალებს, თუ კორექტურულ ფურცლებს მეც არ მომაკლებს, რომ გადავსინჯო ხოლმე.

მთხოვნელი ვიქნები აგრეთვე, რომ მოთხრობები დაიბეჭდოს იმ ფორმატით, როგორითაც დაბეჭდილია ბ. ვაჟა-ფშაველას თხზულებანი.

გასწორებულ მოთხრობას „სამანიშვილის დედინაცვალი“, ამ ერთი კვირის შემდეგ ვაახლებ გამგეობას.

დავშთები მარად პატივისმცემელი თქვენი

დავ. კლდიაშვილი[1].

თებერვლის 17, 1901 წ.

ქ. ბათუმი.

საზოგადოების გამგეობამ დ. კლდიაშვილის 1901 წლის მარტის პირველ რიცხვებში № 108-ით შემდეგი პასუხი მისწერა:

ბატონ დავით კლდიაშვილს

ამა წლის თებერვლის 21 დღის დადგენილებისამებრ გამგეობა გიცხადებთ მადლობას თქვენის ორი მოთხრობის „სოლომონ მორბელაძის“ და „სამანიშვილის დედინაცვლის“ დათმობისათვის, პირობით, საზოგადოებამ რა გაიღალდოს დაბეჭდის ხარჯი, წმინდა მოგების ერთი წილი თქვენ მოგართვას, ხოლო მეორე თავისთვის დაიტოვოს.

გიგზავნით რა ამასთანავე ბარათსა, გამგეობა პატივისცემით გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბარათსა და შემდეგ უკანვე დააბრუნოთ.

ბარათი

1901 წ. მარტის 10 დღესა, მე ამისა ქვემორე ხელის მომწერელი დავით კლდიაშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობას ვუთმობ დასაბეჭდად ჩემს ორს მოთხრობას: „სოლომონ მორბელაძეს“ და „სამანიშვილის დედინაცვალს“, პირობით, რომ გამგეობამ რა დაბეჭდოს, ხარჯი გაიღალდოს. წმინდა მოგების ერთი წილი მე მომცეს, ხოლო მეორე თავისთვის დაიტოვოს, რასაც ხელს ვაწერ

დავ. კლდიაშვილი.

ქ. ბათუმი[1].

დ. კლდიაშვილს, მიღებისთანავე, ხელმოწერილი აღნიშნული ბარათი 10 მარტის რიცხვით დაუბრუნებია. იგი წერდა:

„დიდად პატივცემულო ბ. ნიკოლოზ ზებედესძევ!

გაახლებთ ამ ბარათს ჩემგნით ხელმოწერილს და ამ დღეებშივე გაახლებთ შესწორებულ მოთხრობასაც. დროს უქონლობის გამო ვერ მოვასწარი მისი შესწორება და ამიტომ ჩემი პირვანდელი დაპირება ვერ შევასრულე, რაზედაც ბოდიშს ვიხდი. ამხანად კი უკვე დავათავე, რამდენადაც შემეძლო გასწორება და სულ მოკლე ხანში გაახლებთ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი

დავ. კლდიაშვილი“[1].

ამის შემდეგ სულ მალე მწერალს თავისი მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“ გაუსწორებია და წერილთან ერთად ნ. ცხვედაძისათვის გაუგზავნია. იგი ნ. ცხვედაძეს წერდა:

„დიდათ პატივცემულო ბ. ნიკოლოზ ზებედესძევ!

ამასთანავე გაახლებთ შესწორებულ ჩემს მოთხრობას „სამანიშვილის დედინაცვალი“. გთხოვთ უმორჩილესად ამგვარათვე იქმნეს გასწორებული ის ეგზემპლიარიც, რომელიც თქვენგნით მიეცემა სტამბაში. მთხოვნელი

---

1 საქ. ცსსა, ფონდი № 481, საქმე № 798, ფურც. 1. წერილის თავზე ნ. ცხვედაძის მიერ მიწერილია: „20 თებერვალს, 1901 წ. მოხსენდეს წერა-კითხვის გამგეობას. აგრეთვე მოხსენდეს, რომ ბ. ნ. ლომოურიც სრულიად თანახმაა, საზოგადოებამ დაბეჭდოს მოთხრობები, რომლებიც გამგეობამ ამოარჩია. პირობის ქაღალდი უნდა შედგეს და გაეგზავნოს ორივეს. ნ. ცხვედაძე“.

1 საქ. ცსსა, ფონდი № 481, საქმე № 798, ფურც. 2-3. ბარათზე ხელმოწერა ბრჭყალებში ჩასმული დ. კლდიაშვილის ავტოგრაფია. ტექსტი 3. მირიანაშვილის ხელით ნაწერია

2. იქვე, ფურც. 5. ბარათზე ნ. ცხვედაძის მინაწერია: „13. III. 1901. № 39. — მოხსენდეს კრებას. თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ცხვედაძე, 13 მარტს 1901 წ.“

ვარ აგრეთვე იმისაც, რომ გამგეობამ შემაძლებინოს მოთხრობის კორექტურის გადათვალიერება; ეს ჩემთვის დიდი დავალება იქნება და იმედი მაქვს, რომ თხოვნას ამისრულებს გამგეობა.

ამას გარდა, უმორჩილესად ვითხოვ, რომ ოც-ოცი ეგზემპლიარი ორივე მოთხრობისა დაიბეჭდოს ჩემთვის სქელ თეთრ ქაღალდზედ, რის ფასს, რასაკვირველია, მე გადავიხდი. ეს, ჩემგან შესწორებული ეგზემპლიარი, გთხოვთ უკანვე დამიბრუნოთ, როცა სასტამბო ეგზემპლიარი შესწორდება ამიდგან.

ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენს ხანს გავაჩერე. იგი ვერ გაახლეთ დროზედ, მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, დრო არა მქონდა საამისო და სწორედ ამიტომ ახე დავიგვიანე ამის გამოგზავნით.

დავშთები თქვენი დიდად პატივისმცემელი

დავ. კლდიაშვილი[1]“.

მოთხრობისა და წერილის მიღების შემდეგ საზოგადოების გამგეობას უმსჯელია და 1903 წლის 3 მაისს № 193-ით დ. კლდიაშვილისათვის შემდეგი პასუხი მიუწერია:

„ბ. დავით კლდიაშვილს.

გამგეობის დადგენილების თანახმად პატივისცემით გაუწყებთ, მოწყალეო ბატონო, რომ თქვენი მოთხრობანი „სოლომონ მორბელაძე“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ უნდა დაიბეჭდოს გრამატიკულის შეცდომების გასწორებით და რომ კორექტურის გამოგზავნა მოუხერხებელია, რადგანაც არც ერთი ტიპოგრაფია არ დათანხმდება ამაზე[2]“.

ამრიგად, 1901 წლის მეორე ნახევარში ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობამ დავით კლდიაშვილის მოთხრობები: „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „სოლომონ მორბელაძე“, ცალკე წიგნად გამოცემული, ქართველ საზოგადოებას პირველად მიაწოდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, სამხედრო სამსახურის მწყობრში ჩაყენებული მწერალი დროს მაინც პოულობს და ყოველდიურ საჭირბოროტო საზოგადოებრივ, თუ კერძო საკითხების მოსაგვარებლად საზოგადოების გამგეობასთან აწარმოებს საქმიან მიმოწერასა და ურთიერთობას. შორეულ აჭარის, ლივანის მთებში დაბანაკებული მწერალი-მხედარი 1915 წლის 14 აგვისტოს საზოგადოების გამგეობას თხოვდა აღმოეჩინა დახმარება სტიპენდიის დანიშვნით ერთერთ ქართველ ღარიბ სტუდენტისათვის.

ოფიციალურ თხოვნასთან ერთად, საზოგადოების გამგეობის მდივანს ვარლამ ბურჯანაძეს იგი პირად წერილსაც უგზავნის, სადაც დ. კლდიაშვილი „ლივანის მაღალ მთებში“ თავის ცხოვრების შესახებაც წერდა:

...ახლა ორიოდე სიტყვას ჩემს შესახებ, რადგან ვიცი სულ დავიწყებული არ გეყოლები. ძველ ლივანას მთებში, მურღულის ხეობის ზემოთ, ზედ სამძღვარზედ, წინ ამართულია თოვლიანი მთები და ისეთ სიმაღლეზედ ვართ, რომ ხშირათ ახლა საღამოობით სიცივის ასაცილებლად ცეცხლს ვინთებთ. ჩემი დრუჟინის როტები ცალკ-ცალკე დგანან, ზოგი ოცი ვერსის დაშორებით. დავდივარ მათ დასათვალიერებლათ ცხენით, უცნაური გზებით, ხან ერთ, ხან მეორე როტასთან.

როგორც ეტყობა, აქ მალე მოთოვს და მკაცრ სიცივეს დაიკავებს. სანახავათ ძლიერ სასიამოვნო სანახავებია. საცხოვრებლათ კი ღმერთმა დაგვიფაროს, ჩემო ვარლამ, რამდენათაც გაგვეწყობა, ქვეყნიერებასთან კავშირს არ ვწყვეტთ. — მოგვდის გაზეთები, თუმცა დრო გამოშვებით, მაგრამ აქ დაგვიანებულათ ამბის გაგებაც კარგზედ-კარგია.

დაწვრილებით ახლა ვერ გწერ და როცა ბედის წყალობით ეგებ შევხვდებით კიდევ ცოცხლები ერთმანეთს, მაშინ კიდეც მოგლალავ იმის გადმოცემით, რაც გადმოსაცემია და საინტერესოა გასაგებათ. მანამდი კი ნახვამდის ჩემო ძვირფასო ვარლამ.

შენთვის ყოველივე კეთილის მსურველი

დავ. კლდიაშვილი[1].

14 მარიობ. (ისთვე), 1915 წ.

P. S. ამ თხოვნის თაობაზედ ორიოდე სიტყვით ამბავი მაცნობე ჩემო ვარლამ. მისამართი ასე იყოს: Через сел. Борчха, Батумской области. Командиру 585 п. Кубанской Дружины, (полковник) Клдиашвили. მარკა არ უნდა.

შენი დავით კლდიაშვილი.

საგულისხმოა აგრეთვე დ. კლდიაშვილის წერილი საზოგადოების გამგეობისადმი, 1916 წლის 11 იანვარს თბილისში დაწერილი. ამ წერილში იგი წერდა:

„ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობას.

სრულიად მოულოდნელად დღეს ისეთ გარემოებაში ჩავვარდი, რომ იძულებული ვარ შევაწუხო საზოგადოება და ვითხოვო შემწეობა გამიწიოთ სტიპენდიის დანიშვნის სახით ჩემი შვილისათვის, სიმონისათვის, რომელიც სწავლობს ოდესის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზედ. მას აქვს სტიპენ-

1 იქვე, ფურც. 7.

2 იქვე, ფურც. 12; ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის მიმართვის (შავი) ტექსტი დაწერილია პ. მირიანაშვილის ხელით.

1. საქ. ცსსა, ფონდი № 481, საქმე 6325, ფურც. 163.

დია დანიშნული ქიათურის შავი-ქვის სამრეწველო საბჭოსაგან, მაგრამ დღეს ეს სტიპენდია არ ეძლევა, რადგან საბჭოს არავითარი საამისო სალხარი არა აქვს. არ შევაწუხებდი საზოგადოებას ამ თხოვნით, რომ მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არ ჩავვარდნილიყავი სრულიად მოულოდნელად და უსამართლოთ. მდგომარეობა კი მით უფრო ძნელი ასატანია, რომ ორი ვაჟი უმაღლეს სასწავლებელში მყავს შესანახი და ორი ქალიშვილი გიმნაზიებში. იმედი მაქვს ამ ჩემს თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებს წ. კ-ხ. გამგეობა.

დავ. კლდიაშვილი[1].

11 იანვარი 1916 წ.

ქ. თბილისი.

წერილიდან, როგორც ჩანს, დავითის შვილს — ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტს სიმონ კლდიაშვილს ქიათურის შავი-ქვის სამრეწველო საბჭოს მიერ სტიპენდია ჰქონია დანიშნული, მაგრამ იგი, თურმე, სტიპენდიას ვერ იღებდა. ამ მდგომარეობით შეწუხებულ შვილზე მზრუნველ მამას დახმარებისათვის წერილით მიუმართავს კიტა აბაშიძისათვის, რომელიც ქიათურის შავი-ქვის სამრეწველო საბჭოს გავლენიანი წევრი იყო. ჩვენს ხელთ არის კიტა აბაშიძის საპასუხო წერილი დ. კლდიაშვილისადმი. მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი წერილია, რომელშიც ცნობილი ლიტერატურის კრიტიკოსი გვაძლევს ზოგიერთ შტრიხს მწერლის კეთილშობილური ბუნების წარმოსადგენად. კიტა აბაშიძე მწერალს სწერდა:

„ჩემო ძვირფასო და საყვარელო დათიკო!

შენი ორი წერილი მომივიდა. ერთით კიდევაც ვისარგებლე და „ძმურ სიტყვაში" გამოვსქიმე. ამდენი ხანია აღრესი არ ვიცი შენი თორემ მოწერა მინდოდა. რა ამდენი თხოვნა გჭირია შენის შვილის შესახებ. ნუ თუ არ იცი, რომ შენ ჩვენთვის, ყველასათვის ასე ძვირფასი ხარ, რომ შენთვის არას დავიშურებთ. იქნება პირში კიდევაც გაწყენიებთ, კიდევაც გაგაჯავრებთ, ჩემო კეთილო და კარგო დათიკო, მაგრამ შენ რომ კაცს არ უყვარდე, არ შეიძლება და არა მარტო შენი დიდის ნიჭის გამო, რომელიც ყველა ჩვენ მიერ თაყვანსაცემელია, მაგრამ ერთი-ორად უფრო შენის კეთილისა და კარგის გულის გამო, შენის მაღალის სულის, შენის მგრძნობიერის არსების გამო. ის, რაც შენ განსხვავებს ჩვეულებრივ ადამიანთაგან, შენი ნიჭი, ჩვენზედ მაღლა სდგას — იმის თაყვანისცემისა და დაფასების სფერა სხვაა, მაგრამ ადამიანთა განწყობილება, გრძნობათა სფერა, სფერა გულისა კიდევ სხვაა და შენი ძალა და მეუფება იქაც გვიმორჩილებს და გვიმონებს.

იყავი კარგად, ჩემო დათიკო. ძალიან მეშინია, არ შეგაწუხოს ომის დროის ცხოვრებამ, რომელიც მრავლის ნაკლოვანებებით არის აღსავსე. ნუ თუ არ შეიძლებოდა, რომ მაგ[1]... შენ აგცდენოდა, მაგრამ მგონი შენც უფრო კარგად გრძნობ შენს თავს, მანდ მაგ ბრძოლის ველზედ.

შენი შვილის საქმე გადავსწყვიტეთ და როგორც კი შემოვა საბჭოში, მიიღებს რაც საჭიროა, რაგვარი მოწმობაც საჭირია. სტიპენდიას კი ვერ გაუგზავნით ჯერჯერობით. ჩვენი საქმეები ისეა, რომ თუ ვერა მოვახერხეთ რა, საშობაოდ უნდა მთელი დაწესებულება მივაკეტოთ.

კარგად იყავ ჩემო საყვარელო დათიკო და ჩვენო დათიკო. ყველანი მრავალ მეგობრულ სალამს გიძღვნიან გიორგი, იაზონი, საშა, დათიკო და ყველა ჩვენი ამხანაგები და მახლობლებ-ნაცნობები. ვიჩქარი ამ წერილის წერას.

მეგობრულად გესალმები მარად შენი კიტა[2]".

აქვე ვაქვეყნებთ დავით კლდიაშვილის იმ წერილს, რომელიც კიტა აბაშიძემ ალმანახ „ძმური სიტყვაში" გამოაქვეყნა (1915 წ. № 1. გვ. 2):

ჩემო კარგო კ...!

თავდაპირველად სალამი, სალამი გულითადი... ამ წამში მე ვიმყოფები აჭარაში ბორჩხას ზევით, ეგრედ წოდებულ „შუახევის წყალის" ხევში.

ბორჩხიდან გზა შეუხვევს ამ ხეობაში და მიჰყვება მთების ნაპირებით. გზა უცნაური, ვიწრო, ზოგ ალაგას ისეთნაირია, რომ თავბრუ-მეხვევა, როცა ზევიდან გადაიხედავ...

ხშირად სოფლები გვხვდება ხოლმე... მაგრამ დღეს შიგ აღარავინ სულიერთაგანი აღარ მოიძებნება...

ყველაფერი დაცარიელებულია, უპატრონოდ დაგდებული. სახლები ჩამტვრეულ-ჩალეწილი, უმეტესად კი დამტვრეულ-დამსხვრეული.

სახლებთან თითქმის ყველგან თუთუნის საშრობებია, რომელიც სავსეა მზეზეც გასახმობად გამოკიდებული თუთუნის აკიდოებით.

ეს აუარებელი სიმდიდრე ყრია უპატრონოდ. ამდენი ნაშრომი იღუპება მოუვლელობით... უკაცრავად, „პატრონი", რასაკვირველია, ნაოხარ საქონელს ყოველთვის გამოუჩნდება და აქაც გამოჩნდა ერთი პატრონი. ბათუმელ ერთ მეთუთუნეს უყიდია ეს თუთუნი და ფული ამ თუთუნში აღებული უნდა გადაეცეს „წითელი ჯვრის საზოგადოებას", რასაკვირველია „ომში

1 საქ. ცსსა, ფონდი 481. საქმე № 6837, ფ. 128. ავტოგრაფი, თავზე დარტყმულია საზოგადოების შტამპი წარწერით: „გადაეცა ადმ. სექციას 11. I. 1916 წ. № 17".

1 აქ სიტყვა გაურკვეველია.

2 საქ. სახ. ლიტ. მუზ. № 14718. წერილი უთარიღოა. დაწერილი უნდა იყოს 1915 წლის ნოემბერ-დეკემბერში

დაჭრილთა და დაზარალებულთა სასარგებლოდ"...

უნდა ნახო, რამდენი ყანებია აქ თუთუნისა? და რარიგად ნაკეთები? გული გაგინათლდება და იმავე დროს მწუხარებით აგევსება: ყველაფერი ეს მიტოვებული, გაოხრებული და გავერანებული.

აჭარის წყლიდან მოკიდებული ეს ამოდენა მხარე სულ ერთნაირად დაცარიელებულია, არსად, არსად ქართველი მაჰმადიანი აღარ მოიძებნება, წამლად რომ გინდოდეს ვერ ნახავ...

ამ სივრცეში მათი ჭაჭანება აღარ არის.

სად წავიდა ამოდენა ხალხი? სად გადაიკარგა, სად აიჩინა ბინა ამ აუარებელმა მცხოვრებელმა?

აქ კი გულსაკლავად არის მიტოვებული ქონება, სიმდიდრე, საცხოვრებელი და სამკვიდრო.

ჩვენს მახლობლად სოფელია — ვეება სოფელი, მშვენიერი სახლებით მორთული, ყანებით სავსე. რა ხეხილი გინდა, რომ აქ არ ნახო?

და ეს არე-მარე ჩაჩუმებული, ჩადუმებული, ოხრად მიტოვებული, სამარეს დამსგავსებული რაღაც საბედისწერო დუმილს მოუცავს, დუმილს, რომელიც თუ დაუკვირდები, თუ ყურს დაუგდებ, თავზარდამცემი სიმფონიით არის სავსე. ხოლო ამ იდუმალებით მოცულს და სიჩუმეში ნაშობ სიმფონიას დაარღვევს ხოლმე ხანდისხან შიმშილით მიხრწნილი ძაღლის ყმუილი — ბუნებაში უცნაური ქვითინის ხმა გაისმის.

სახლები სავსე, გატენილი იყო ყველაფრით. ეხლა კი აღარაფერია, გარდა აუარებელი მიყრილ-მოყრილი და დამსხვრეული ჭურჭლისა.

და მერე ნეტავ განახვა, რა ძვირფასი ჭურჭელია, რა ხელოვნურად გაკეთებული.

ათვალიერებ და რწმუნდები, რომ აჭარელს ჰქონია უნარი შრომისა. ჰქონია სურვილი ცხოვრების მშვენივრად და ლამაზად მოწყობისა და ამის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა და მეცადინეობა არა ჰკლებია.

და მით უფრო გეჩაგრება გული, მით უფრო კვნესის შენი ოხერი სული, მით უფრო გეცრემლება თვალები და ნაღვლით ივსება მთელი შენი უმწეო არსება.

ნუთუ არის სადმე სამართალი, თუკი ასეთი ხალხი, ასეთ უბედურებასა და ცეცხლში ჩააგდო ჩვენზედ ამხედრებულმა, ჩვენმა დაუძინებელმა მტერმა, — ჩვენმა უპირო ბედმა?"

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ თავისი ფაქტიური არსებობის უკანასკნელ პერიოდში, დაიწყო ზრუნვა დავით კლდიაშვილის თხზულებათა ორტომეულის გამოსაცემად. ამ დროის ცხოვრების საერთო პირობების გაძვირებამ მწერლის ოჯახურ-მატერიალური პირობებიც გააუარესა. ამას ზედ დაერთო აგრეთვე ჯანმრთელობის გაუარესება. მის თხზულებათა ბეჭდვისათვის გაღებული ჰონორარი ოდნავადაც არ იყო საკმარისი. ეს ნათლად ჩანს ქვემოდ მოტანილი წერილებიდან.

წერილში, რომელიც დაწერილია 1919 წლის 25 ივნისს[1], დავით კლდიაშვილი ვარლამ ბურჯანაძეს სწერდა:

**ძვირფასო ვარლამ!**

ხელმეორედ გაწუხებ ისევ იმავე საქმის თაობაზედ, „სახალხო საქმის", 25 ივნისის ნომერში ეწერა[2], რომ წ.-კ. საზ. გამგეობამ დაამტკიცაო ავტორთა ჰონორარების ზომაო. ჩემო ვარლამ, შემატყობინე რა რიგად, რამდენად მეხება კერძოთ მე ეს დამტკიცება, შემატყობინე თუ ჩემთვისაც საჭირო რამ არის, შემიძლია თუ არა ერთი წილი მაინც მივიღო ახლა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ან მე ანდა ჩემი შვილი ჩამოვალთ. მეტის მეტი გაჭირვებაა და ამიტომ არ გასვენებ ამ შეკითხვებით. ამიტომ ასე მოუსვენარს მხდის გამოქვეყნებული დადგენილება საზოგადოების გამგეობისა.

დარწმუნებული ვარ საზ(ოგადოებ)ის გამგეობა მეც მომაქცევს ამ ავტორთა რიცხვში, რომელთ გაუსწორდება ახალი დადგენილების თანახმად.

გთხოვთ, ჩემო ვარლამ, მომწერო ამ წერილის მომტანის ხელით პასუხი. ნუ დაიზარებ ჩემო ვარლამ.

შენი ერთგული დავით კლდიაშვილი.

**25 ივნისი (1919 წ.)**

მომდევნო წერილშიც იგივე მდგომარეობაა მოცემული. ვ. ბურჯანაძეს მწერალი სწერდა:

**„ძვირფასო ვარლამ!**

შეგიწუხე სული ამოდენა წერილებით, მაგრამ იმედია აქედან მიმიხვდები, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფები. არის საჭიროზედ უსაჭიროესი ჩემი წასვლა წყალტუბოს. ავად ვარ, — მაგრამ არავითარი საამისო საშუალება არა მაქვს. მეტისმეტად მჭირდება შატილოვთან მისვლა, — თვალების გამო, ნათქვამიც აქვს, უსათუოდ მოდიო. — ვერ წამოვსულვარ ხელცარიელი, რომ ვარ. სხვაფრივაც მეტად სამძიმო პირობებში ვარ. საქმე ისე მაქვს, რომ უსა-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი № 481. საქმე № 6342, ფ. 2. იქვეა (ფურც. 3). დ. კლდიაშვილის დეპეშა ვ. ბურჯანაძესთან ქუთაისიდან: „მოუთმენლად ველი წერილს. კლდიაშვილი". თავზე მიწერილია: „განიხილა გამგეობამ 9. XII. 1919. ოქმი № 30". ამის მიხედვით თარიღდება მისი შემდეგი წერილებიც.

[2] დ. კლდიაშვილს მხედველობაში აქვს — „„ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში. ნორმა ავტორთა დაჯილდოებისა", გაზ. „სახალხო საქმე", 25 ივნისი, 1919, № 558, გვ. 3.

თუოდ თბილისში უნდა გამოვემგზავრო — სამხედრო მინისტრთან, მაგრამ განძრევის არავითარი ღონე არა მაქვს. აი ამიტომ გაწუხებ. გამაგებინო — მერგება მე რამე საზოგადოებისაგან თუ არა. თუ მერგება — ერთრიგად მეშველება, თუ არა და აღარ ვიცი რა დღეში ჩავარდები. ამიტომ გაწუხებ, ჩემო ვარლამ, და გთხოვ თუ ჩემი პატივისცემა გაქვს, ყველაფერი შემატყობინე იმის შეხახებ, თუ რამდენად შემეხება ის ჰონორარის ნიხრი, რომ გამოაცხადეთ და თუ რამე მისაღებია, როდის შეიძლება ნაწილის მიღება მაინც. თუ გიყვარდე, პასუხი ამის მომტანს გამოატანე. დაკარგე ხუთი მინუტი ამ პასუხისათვის. თუ ვინიცობაა საჭირო გახდეს, ჩემი მისამართი ახეა: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა, ხუჯაძის სახლი.

ჩემო ვარლამ პასუხი გამოატანე ამ ყმაწვილს.

შენი ერთგული დავით კლდიაშვილი[1]".

როგორც ჩანს, საზოგადოების გამგეობა მატერიალური სახსრების სიმცირის გამო ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში ყოფილა. მიუხედავად ამისა, ქართველ მწერალთა თხზულებების ბეჭდვისა და გამოცემის საქმეს მაინც ახერხებდა. მწერლებს ამით არსებობის შესაძლებლობას აძლევდა და ნაწილ-ნაწილ ურიგებდა მათ ჰონორარის სახით.

დავით კლდიაშვილს არ აკლდა საზოგადოების მხრით ყურადღება და მზრუნველობა, მაგრამ საერთო გაჭირვებული ცხოვრების პირობებიდან თავის დახწევა მაინც უძნელდებოდა.

1919 წლის 30 ოქტომბერს დ. კლდიაშვილმა საზოგადოების გამგეობას განცხადებით მიმართა. განცხადებაში იგი წერდა:

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას.**

**დავით კლდიაშვილის**

**განცხადება**

**გთხოვთ იმის ანგარიშში, მე რომ მერგება ჰონორარი ჩემი წიგნების გამოცემისათვის, აძლიოთ ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში ათას-ათასი მანეთი ჩემს ქალიშვილს ნინოს.**

**დავით კლდიაშვილი[2].**

**30 ოქტომბერი 1919 წ.**

**ქ. თბილისი.**

დავით კლდიაშვილის მიერ ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის სახელზე დაწერილი უკანასკნელი განცხადება დათარიღებულია 1920 წლის 8 აპრილით. მწერალი ამ განცხადებაში წერდა:

**„წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას.**

**დავით კლდიაშვილის**

**განცხადება.**

---

1 საქ. ცსსა, ფონდი № 481, საქმე № 6342, ფ. 1. წერილი უთარიღოა, დაწერილი უნდა იყოს 1919 წ. ივლისში.

2 საქ. ცსსა, ფონდი № 481, საქმე № 6342 ფ. 7.

გამგეობასაც მოეხსენება, რომ მე ამ ხანად არსად სამსახურში არ ვიმყოფები და ცხოვრებისათვის საშუალებას შეადგენს ის მცირე პენსია, რომელიც მეძლევა განათლების სამინისტროდან. ამ პენსიით ცხოვრება, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია და მეც მეტ შევიწროებაში ვიმყოფები და თუ კიდევ ვუძლებ გაჭირვებას, ამახში მშველის ის ფული, რომელიც მიმიღია ჩემი ნაწერების ჰონორარათ. ყოველ ამის გამო, მოგმართავთ თხოვნით, რომ ჩემი მოთხრობების გამოცემის ანგარიშის შეყენების დროს ჰონორარი მიანგარიშოთ ოცი პროცენტიდან, რითაც ერთგვარ საშუალებასაც მომცემთ და თან გამისწორებთ, ავტორს, წიგნის მაღაზიების პატრონებთან, რომელთ ეძლევათ გამოცემა ოცი პროცენტის დათმობით.

იმედი მაქვს, რომ გამგეობა ყურადღებას მიაქცევს ამ ჩემს განცხადებას, დააკმაყოფილებს ჩემს თხოვნას, ისე კი, რომ გამოცემის ფასმა არა სასურველათ არ იმატოს.

დავით კლდიაშვილი[1].

**8 აპრილი 1920 წ.**

**ქ. თბილისი."**

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მიერ, მისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში, ქართველ მწერალთა გამოცემულ წიგნებს შორის აღსანიშნავია დავით კლდიაშვილის მოთხრობათა ორტომეულის 1920 წლის მშვენიერი გამოცემა, რომელშიც თითქმის მთლიანად შევიდა მწერლის ყველა თხზულება. თხზულებათა პირველ ტომს დართული აქვს კიტა აბაშიძისა და ივანე გომართლის კრიტიკული წერილები დავით კლდიაშვილის შემოქმედებაზე.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენისთანავე მწერალს წილად ხვდა ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული. „ბედს ვერ დავემდურები, ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავეთ. — ასე წერდა თავის თავზე დავით კლდიაშვილი, — ვიმეორებ ბედი მწყალობდა. სიყვარულიანი, თბილი, ენერგიის გამაღვიძებელი სიტყვა ზედმეტადაც მხვდებოდა. კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი, ილ ,ნაკაშიძე, ხომლელი (აკაკის კრებულში), საშა წულუკიძე (ნოვოე ობოზრენიეში), თავიანთ თანაგრძნობით პირდაპირ მაქეზებდნენ და მიწვევდნენ სამუშაოდ". („ჩემი ცხოვრების გზაზე" გვ. 923-24).

---

1 საქ. ცსსა, ფონდი № 481, საქმე № 6342, ფ. 10. იქვეა (ფურც. 11) დ. კლდიაშვილის განცხადება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისადმი. „გთხოვთ ჩემი ხვედრი ფულიდან მომცეთ ხუთმეტი ათასი (15.000) მანეთი. დ. კლდიაშვილი". ზედ მიწერილია: „მიეცეს 15.000 მან. დადგ. გამგეობის ოქმი № 14. 15. IV (1920 წ.)".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავროსი კალანდაძე

# დიდი ადამიანთმცოდნე

**სამწერლო ასპარეზზე ა. მ. გორკის გამოსვლის 70 წლისთავის გამო**

უმამაცესმა თავდავიწყებით შეიყვარა ულამაზესი, მაგრამ ამაყმა, ცბიერმა და თავნება სილამაზემ საპასუხო სიყვარულისათვის დიდი მსხვერპლი მოითხოვა: ლაღსა, თავისუფალსა და შეუპოვარ მამაცს საჯაროდ უნდა დაეკოცნა ხელფეხი ლამაზისათვის, ქედი მოეხარა მის წინაშე, დაჰმონებოდა და დამორჩილებოდა მას. შედრკა მამაცი, კიდევ უფრო გაზვიადდა ლამაზი. და იმ წუთს, როდესაც თითქოს სიყვარულის ეს მკაცრი პირობა უნდა ასრულებულიყო, უმამაცესმა ულამაზესს მკერდში დანა ჩასცა. გულგანგმირულმა მაინც მოასწრო მკერდიდან დანა ამოეგლიჯა, განზე გადაეგდო, თავისი შავი თმის ნაწნავით ჭრილობა დაეფარა, გაეღიმა და გარკვევით ეთქვა: „მშვიდობით, ლოიკო! მე ვიცოდი, რომ შენ ამას მოიმოქმედებდი“. იცოდა, რადგან მას — სახემშვენიერ ბოშა ქალს — რადოს შეეძლო შეეყვარებინა მხოლოდ მამაცი ვაჟკაცი — ბოშა ლოიკო ზობარა. ხოლო თუ ლოიკო თავისუფლებას დათმობდა, სილამაზის მონად იქცეოდა, მაშინ იგი მამაციც აღარ იქნებოდა და რადოც მას ველარ შეიყვარებდა. ალბათ ლოიკომაც იცოდა ეს. ამიტომაც მხოლოდ მკვდარი სატრფოს ხელ-ფეხის დაკოცნა დააპირა, მაგრამ მასაც ამ დროს ზურგში მახვილი ჩასცა რადოს მამამ. ასე შეიწირა უმამაცესიც და ულამაზესიც ადამიანის თავისუფლებისა და ადამიანის ვნებათა გამოუვალმა, გადაუწყვეტელმა წინააღმდეგობამ. ეს ამბავი ამიტომ გაიხსენა ხანდაზმულმა ბოშამ — მაკარ ჩუდრამ, რომ გაემაგრებინა თავისი რწმენა შეუზღუდავი პიროვნული თავისუფლებისა და სიმარტოვისა.

„მაშ, შენ ეხეტები ქვეყნად? ეს კარგია! — ეუბნება იგი თანამოსაუბრე ავტორს, — შესანიშნავი ხვედრი აგირჩევია, შავარდენო, ასეც უნდა: იარე და უცქირე, როცა ცქერით გულს იჯერებ, დაწექი და მოკვდი — ეს არის და ეს... სასაცილონი არიან ისინი, ეს შენი ადამიანები. ერთად შექუჩებულან და ერთმანეთს ჰჟლეტენ, დედამიწაზე კი, შეხე, რაოდენი ადგილია... აბა, შავარდენო, გინდა ერთი ამბავი გიამბო? შენ კი დაიხსომე და თუ დაიხსომებ, — შენს დღეში თავისუფალ ფრინველად იფრენ“. და მაკარ ჩუდრა ჰყვება სწორედ რადოსა და ლოიკოს თავგადასავალს. ივი გატაცებულია ამ თავგადასავლის შინაგანი აზრით, დე, თუნდაც საკმაოდ გულუბრყვილო, მაგრამ მაინც ცხოველი საქვაკუთხედო აზრით. ავტორი კი თავის მხრივ გატაცებულია ამ პრიმიტულ-რომანტიკული ადამიანების მარტივი, მაგრამ ბობოქარი შინაგანი სამყაროთი, მათი მკაცრი რომანტიკით. შემთხვევით როდი წერს იგი მათ პორტრეტებს და გარემოს სურათებს მოჭარბებული საღებავებით.

მაქსიმ გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, რომელიც ამ 70 წლის წინათ — 1892 წელს დაიწერა თბილისში და იმავე წლის 12 სექტემბერს დაიბეჭდა თბილისურ გაზეთ „კავკაზში“, თავისი უშუალო ნიშნებითა და ხელშესახები ფაქტურით, როგორც ვხედავთ, მოთხრობას თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს დაწერის ადგილსა და გა-

რემოსთან. მაგრამ, როგორც ცნობილია, თვითონ გორკის აღიარებით, საქართველოს თვალწარმტაცმა ბუნებამ და ამ ქვეყნის ხალხის რბილმა, რომანტიკულმა ხასიათმა მისცა ერთგვარი პირველადი ბიძგი მის შემოქმედებას, ხელი შეუწყო იმას, რომ ყოფილი მოხეტიალე კაცი გამხდარიყო დიდი რუსი მწერალი. ვინ იცის, რა იდუმალ ხვეულებად ჩაექსოვა მწერლის შემოქმედებას, კერძოდ მის პირველ მოთხრობას, საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი. იქნებ საქართველოს მცხუნვარე მზის, მისი მთა-ბარის ნაირფერებისა და მისი ხალხის თავისებური ტემპერამენტის საგრძნობი წილიც არის იმ ელვარე ფერადებში, რაც ასე ახასიათებს გორკის შემოქმედებას, განსაკუთრებით მის პირველ პერიოდში, და რაც მწერლისათვის, ალბათ, ქვეყნის სასიცოცხლო ძალების გამოღვიძებისაკენ ლტოლვის ესთეტიკურ უკუფენას წარმოადგენდა. უშუალოდ კი, როგორც ვიცით, საქართველოსა და ქართველი კაცის თემას გორკი შეეხო ზოგიერთ თავის ნაწარმოებში.

მთავარი კი ის არის, რომ დიდი მწერლის შემოქმედების პირველი აკვანი თბილისში დაირწა.

მართალია, „მაკარ ჩუდრა“ არ მიეკუთვნება გორკის პირველხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს. მაგრამ მას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მწერლის მთელ შემოქმედებაში. ამ მოთხრობაში მკაფიოდ იჩინა თავი მწერლის უდიდესმა ფერმწერულმა ნიჭმაც და აქვე დაისახა მისი შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემაც — ადამიანის შინაგანი თავისუფლების თემა.

ადრეული გორკი, ალბათ, სადღაც უთანაგრძნობდა თავის მაკარ ჩუდრას, უთანაგრძნობდა თავის დაუოკებელ ლტოლვაში დიდი შინაგანი თავისუფლებისაკენ, ხიბლავდა იგი, როგორც თავისთავს დანდობილი ადამიანი, როგორც ძალაგამძლე და ჭირთამთმენი, როგორც სიცოცხლისა და ქვეყნიერების მოტრფიალე არსება. მაგრამ თუ თვით მოთხრობაში არ არის მკაფიოდ და ძალუმად უარყოფილი ჩუდრას ანარქისტული ინდივიდუალიზმი, ყოველ შემთხვევაში, შემდეგში გორკიმ არაერთხელ უარყო, დაჰგმო და ამხილა იგი ცხოველი მხატვრული ძალით, როგორც ანტისოციალური და ანტიპროგრესული მოვლენა. ამავე დროს გორკისათვის ყოველთვის უცხო იყო ადამიანის სულიერი სამყაროს ყოველგვარი გამარტივება, მისი რთული შინაგანი კანონებისა და იმპულსების დაყვანა რაიმე მექანიკურ ერთეულებამდე და შუქისა და ჩრდილის უბრალო განაწილებამდე. შემთხვევით როდი უწოდა გორკიმ მწერლობას ადამიანთმცოდნეობა. დიახ, ყოველგვარ კოსმონავტიკაზე ადრე არსებობდა მწერლობა, როგორც ადამიანის სულის კოსმონავტიკა. ადამიანის სულის კოსმოსი კი ისევე უსასრულოა დროსა და სივრცეში, როგორც გარე კოსმოსი, და იქაც არა ნაკლებ რთული კანონები მოქმედებენ და არანაკლები საიდუმლოებანი, ვიდრე გარე კოსმოსში.

„მაკარ ჩუდრა“ პირველი გორკისეული განუმეორებელი გასვლა იყო ადამიანის სულის, ადამიანის პრობლემატიკის ორბიტზე. მაკარ ჩუდრათი დაიწყო გორკის ადრინდელი რომანტიკული გმირების მთელი სერია. ამ გმირების მარტივი, მაგრამ მონუმენტურად გამოკვეთილი ცხოველი ხასიათები, მათი ფერწერის რომანტიკულად ამაღლებული სტილი, ძალუმი ფერადები და მთელი მხატვრული მასალის ცხოველმყოფელობა — ყოველივე ეს იმთავითვე ადამიანის ძალთა ესთეტიკურ აპოლოგიად ჟღერდა. „მაკარ ჩუდრაშივე“ გამოჩნდა გორკი, როგორც მგზნებარე მომღერალი ყოველივე ამაღლებულისა, ქმედითისა და გმირულისა ადამიანში. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის კვირაძალში გაისმა გორკის შთაგონებული სიტყვა ადამიანისა და ადამიანის გონების სიდიადის შესახებ, ადამიანისა, ვინაც მოწოდებულია იაროს, „სულ წინ, სულ

მაღლა“ და „ყოველი თავისი ნაბიჯით შეამკოს ცხოვრება, ისე როგორც მზე ამკობს დედამიწას თავისი უხვი სხივებით“. შემოქმედების პირველ პერიოდშივე პროზაულ პოემაში — „ადამიანი“ გორკიმ დასახა თავისი მთავარი თემა, განსაზღვრა თავისი შემოქმედების ფილოსოფიურ-ჰუმანისტური საფუძველი.

მართალია, გორკის ადრეული ნაწარმოებნი ჭარბად იყო შეფერადებული რომანტიკული პათეთიკით, მათ გმირებს უეჭველად დაჰკრავდათ გამონაკლისობის, ბუნტარული სიმარტოვის იერი და თვით მწერლის მხატვრულ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობანი, მაგრამ მისი მთავარი გზა მაინც მტკიცედ მიემართებოდა ეპოქის დიდი სიმართლისაკენ, მომავალ რევოლუციურ გარდაქმნათა მაუწყებელ ქარიშხლებისაკენ, სინამდვილის ფართო რეალისტური სურათებისაკენ. მხატვრის ძლიერი ნიჭი, ვითარცა შუქის დიდი ნაკადი, ცხოვრების რთული გამოცანებისა და საკითხების წყვდიადიდან ჰკვეთდა სიმართლის ზოდებს, მრავალნაირი ხასიათების ცოცხალ სახეებს, სინამდვილის გრანდიოზულ სურათებს.

გორკი, როგორც ღრმა სოციალური პათოსის მწერალი, როგორც მუშათა კლასის რევოლუციური სულისკვეთების გამომხატველი მხატვარი, განსაკუთრებული მოვლენა იყო არა მარტო რუსულ, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. განსაკუთრებული იყო მისი ცხოვრების გზაც — უბრალო თვითნასწავლი მოხეტიალე კაციდან მსოფლიო რეზონანსის მქონე მწერლამდე.

შეიძლება ითქვას, რომ გორკიმ განსაკუთრებული სიღრმით გამოხატა ადამიანისა და ადამიანობის ყველა მწვავე საკითხის სოციალური შინაარსი. გორკის სიდიადე იმაშიც მდგომარეობს, რომ მან მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ყველაზე სრულად, ღრმად, ყოველმხრივად და ახლებურად დაამუშავა შრომის თემა, შრომისა, როგორც მთელი საზოგადოების და ცალკეულ პიროვნებათა ნამდვილი ადამიანური სულიერი ძალების ერთადერთი წყაროსი. ეს თემა წითელ ზოლივით გასდევს გორკის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს. გორკი ღრმა მხატვრული ანალიზის ძალით გვიჩვენებს ადამიანის პიროვნების დაცემას ან ამაღლებას იმისდა მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაშია იგი შრომასა და მოქმედებასთან. შემოქმედებითი შრომისაგან მოწყვეტილი და პარაზიტიზმით შეპყრობილი ადამიანის პიროვნება ირღვევა, იშლება მწვავე შინაგანი წინააღმდეგობებით, იგი ჰკარგავს სულიერ სისადავესა და ჰარმონიას, კნინდება და იფიტება... და პირიქით, მხოლოდ შემოქმედებითი შრომა ბადებს დიდ მთლიან ხასიათებს, ძლიერსა და ლამაზ პიროვნებებს.

გორკის ღრმად სწამდა ადამიანის ყოვლისშემცნობი გონების ძალა, სწამდა მშრომელთა ყოვლისდამძლევი ენერგია, სწამდა და სჯეროდა ადამიანის დიადი გარდაქმნის შესაძლებლობა... და რაც მთავარია, მის შესანიშნავ ნაწარმოებებს, ძალუძთ გადასდონ ეს რწმენა მკითხველებს, შთააგონონ მათ ჰუმანიზმის, პროგრესის, შემოქმედებითი შრომისა და ადამიანური სილამაზის ცხოველმყოფელი იდეები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიმიტრი ბენაშვილი

# ფილოსოფიური მოტივები გალაკტიონის შემოქმედებაში

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, ერთი მხრით, მემკვიდრეა თხუთმეტ საუკუნოვანი, მდიდარი ქართული ლიტერატურისა და, მეორე მხრით, მისი განვითარების ახალი ეტაპია არა მარტო მხატვრული იდეების, არამედ მხატვრული ფორმების განვითარების თვალსაზრისით.

ამ დებულებას ბრწყინვალედ ადასტურებს გალაქტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკა. ფილოსოფიური პრობლემების მხატვრული გააზრება გალაქტიონისა ეხმიანება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკას. მაგრამ გალაქტიონი ამ სფეროში რჩება უაღრესად ორიგინალურ, თვითმყოფ პოეტად. მის შემოქმედებაში ღრმად იჭრება ახალი დროის (ე. ი. მე-20 საუკუნის) პრობლემატიკა, მისი იდეები და წარმოსახვის მხატვრული ფორმები პრინციპულად განსხვავდება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური პრობლემატიკისაგან. მაგრამ ისინი ერთიმეორის გაგრძელებას წარმოადგენენ სინამდვილის ფილოსოფიური აღქმისა და ადამიანის უმაღლესი სულიერი ინტერესების გაგებაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი და გალაქტიონ ტაბიძე სხვადასხვა ეპოქის შვილები არიან, მაგრამ სულიერად მონათესავენი. სულიერი ნათესაობა კი ყველაზე დიდი ფაქტორია მხატვრულ შემოქმედებაში.

თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკა განაპირობა ეროვნულმა კატასტროფამ და ამ კატასტროფის ნიადაგზე წარმოშობილმა ადამიანურმა ტრაგედიამ, გალაქტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკა, ერთი მხრით, შედეგია პირველი რევოლუციის დამარცხებისა, ხოლო მეორე მხრით, მე-20 საუკუნის პირველი ათეული წლების მიერ მწვავედ დასმული „ყოფნა-არყოფნის“ ფილოსოფიური პრობლემატიკისა. ამით განსხვავდება გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკა ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკისაგან. ეს განსხვავება ერთნაირი ძალით ეხება არა მარტო პოეტურ იდეებს, არამედ მხატვრულ ფორმასაც. მაგრამ სინამდვილის მხატვრული აღქმის ასპექტში ისინი რომელიღაც წერტილში ერთმანეთს ხვდებიან. ადამიანის ურმესი სულიერი ინტერესების ემოციურ მსოფლშეგრძნებაში, მის ფილოსოფიურ განჭვრეტაში გალაქტიონი სადღაც სულიერ ნათესაობას ამყარებს ნიკო ბარათაშვილთან.

გალაქტიონის ლირიზმი აღსავსეა ემოციით. მისი ლექსის მუსიკალური პულსი მძაფრია და მკითხველს ყოველთვის ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას. მაგრამ ეს თვისება როდი იყო მარტოოდენ მისი ინდივიდუალური ნიშანი. ამაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი ვითარება. მაგრამ სინამდვილესთან დამოკიდებულების დროს დიდი პოეტი თავის უმაღლეს ამოცანას მხოლოდ მაშინ სწყვეტს, როდესაც ადამიანის ურმეს სულიერ ინტერესებს შესატყვისი ფორმის მეშვეობით რეალური არსებობის უფლებას ანიჭებს.

თავისთავად ამ ამოცანის გადაწყვეტა ურთულესი პრობლემაა და პოეტისაგან მოითხოვს არა მარტო შემოქმედებითი წარმოსახვის უდიდეს უნარსა და ცხოველმყოფელ ფანტაზიას, არამედ ცხოვრების ყოველმხრივ ცოდნას, ადამიანის სულიერი ვითარების, მისი ფიქრებისა და ვნების გაგებას. მხოლოდ ამგვარი ცოდნით შეიძლება შინაარსში ჩაძირვა და ხელოვნებითი მშვენიერის შექმნა. ამ გზით პოეტი უახლოვდება ჭეშმარიტ იდეალს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ადამიანის სულის უმაღლესი ინტერესების გაცნობიერებას გრძნობად ფორმაში.

ამრიგად, ადამიანის სულიერი ცხოვრებისა და სინამდვილის ფილოსოფიური გააზრება და მისი მხატვრული გადაწყვეტა პოეტისაგან მოითხოვს არა მარტო პოეტურ გენიას, არამედ თვით სიცოცხლის მიზნის დაფიქრებულ განსჯას.

„ყოფნა-არყოფნის“ მარადიული პრობლემის მხატვრულ-ფილოსოფიური გადაწყვეტა პოეტის წინაშე ბუნებრივად აყენებდა კითხვას: რისთვის დავიბადეთ და რა არის სიცოცხლის მიზანი? ეს კითხვა უფრო მძაფრ ფორმაში ვლინდებოდა ხოლმე მაშინ, როდესაც სოციალურა

კატასტროფის შედეგად ადამიანი იმსჭვალებოდა ფილოსოფიური სევდით. ამ დილემის წინაშე დადგა გალაქტიონი პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

* * *

გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში, სადაც ყველაზე ღრმად იგრძნობა არა მარტო სევდიანი კილო, არამედ სინამდვილის ფართო მხატვრული შემეცნება, გამოირჩევა ლექსი „სანთლები“, რომელიც შეესიტყვება პოეტის შემოქმედების პირველი პერიოდის ლეიტმოტივს. ანთებული სანთლების სახით გალაქტიონს სიმბოლურად წარმოდგენილი აქვს საკუთარი იდეალები, რომლებიც გაჩნდნენ სიჭაბუკის გაზაფხულზე. ბობოქარი ზღვა ხელს უშლის პოეტს იდეალებთან მიახლოვებაში. ასე სცილდება ერთმანეთს ოცნება და სინამდვილე, რომლის მხატვრული გააზრება შემოქმედში აღძრავს სევდას. ასე ანადგურებდა არაგონიერი სინამდვილე ნათელ იდეალებს, რომლისაკენაც მიისწრაფოდა პოეტი მთელი თავისი შეგნებით.

მას აქეთია, იალქანი ზღვაზე მიფრინავს,
მისთვის ერთია სად დახუჭავს ოცნება თვალებს,
მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს.
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს.

იბადება კითხვა: ვინ არის მართალი ამ ჭიდილში? დოგმატიკური თვალსაზრისით (რომელიც ვულგარული სოციოლოგიის პრიზმის წარმოადგენს) სინამდვილის უარყოფა პოეტის მიერ თვით პოეტის სისუსტეზე მიგვითითებს თითქოს. ამგვარი თვალსაზრისი შემცდარია, რადგან ყოველი სინამდვილის მიღება როდი ითვლება პოეტის ღირსებად. ამიტომ, სრულიად ლოგიკურად, გალაქტიონმა არ მიიღო ის სინამდვილე, სადაც ბატონობდა სისხლი და ცრემლი, ციმბირი და სახრჩობელა, სადაც ადამიანის უფლება ფეხქვეშ იყო გათელილი. ამგვარი სინამდვილის უარყოფა პოეტის კეთილშობილებაზე მიგვითითებს.

ამრიგად, პოეტის სინამდვილესთან დამოკიდებულების ანალიზის დროს მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ კითხვა: როგორია თვითონ სინამდვილე, რომელთანაც შემოქმედი ამყარებს გარკვეულ დამოკიდებულებას? გონიერია იგი თუ არაგონიერი? ღირსია იგი იმისა, რომ პოეტმა მოხვიოს ხელი და გულში ჩაიკრას, როგორც საკუთარი სულის ნაწილი, თუ ხელი ჰკრას მას და ბრძოლა გამოუცხადოს?

სინამდვილე, რომელმაც გალაქტიონს სიჭაბუკის იდეალები დაუმსხვრია და თვით პოეტი სადღაც სანაპიროზე გარიყა უსახოდ მიტოვებული, ვერ გახდებოდა გალაქტიონის ტრფობის საგანი. სამაგიეროდ იმავე მკაცრმა სინამდვილემ, დამსხვრეული ოცნებებისა და იდეალების ნიადაგზე, პოეტის სულში წარმოშვა ღრმა სევდა. მაგრამ გალაქტიონის სევდა იმანენტურად ატარებდა საზოგადოებრივ ხასიათს. პოეტის სევდას საყოველთაო-სახალხო ხასიათი ჰქონდა მისი ისტორიული აუცილებლობის ნიადაგზე. ამრიგად, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სევდა გალაქტიონის პოეტურ სულში მონოლითურად გაერთიანდა და სრულიად ახალი ასპექტით გაშუქდა ადამიანის ხვედრი მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების მიჯნაზე.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი. როდესაც საუბარია ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ სევდის მთლიანობაზე, სრულიადაც არ ნიშნავს მათ იმგვარ შერწყმას, როდესაც იკარგება პიროვნული. პირიქით, გალაქტიონის ფილოსოფიურ პოეზიაში საზოგადოებრივი წარმოდგენილია ინდივიდუალური ასპექტით.

ამ ასპექტით არის განათებული გალაქტიონის „ლურჯა ცხენები“. ლურჯა ცხენების ფლოქვების ხმაურში ჩვენ გვესმის გალაქტიონის ძახილი სულიერი განახლებისა. აქ ფსიქოლოგიური ტკივილი ძვლებამდეა დასული. ჩვენ ვგრძნობთ ამ ტკივილს, რომელსაც იწვევს ცივი და მიუსაფარი მდუმარება. პოეტის წარმოსახვაში ჩამავალი მზით ნაფერი „ნისლის ნამქერი“ აელვარებდა სამუდამო მხარის ნაპირს, სადაც:

არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა.

ამ ასპექტში ბუნებრივად იბადება კითხვა: ჩვენი ხალხის კოსმოგონიური შეხედულება ხომ არ არის წარმოსახული „ლურჯა ცხენების“ საწყისს სტრიქონებში? იქნებ გალაქტიონი აქ გულისხმობს „მკვდრის მზეს“, რომელიც მხოლოდ „მიცვალებულთა სამყაროს“ ანათებს?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მეორე კითხვაც უნდა დაისვას. რას გულისხმობს პოეტი „სამუდამო მხარეში“? ბიბლიის მიხედვით „სამუდამო მხარე“ ეწოდება „სულთა სამყოფელს“, სადაც ადამიანი განთავისუფლებულია ყოველგვარი მიწიერი ინტერესებისაგან, ე. ი.

ყოველივე იმისაგან, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს და სიცოცხლეს ანიჭებს.

გალაქტიონი თუ „ლურჯა ცხენების“ დასაწყის სტრიქონებში ემოციურად წარმოგვისახავს ჩვენი ხალხის კოსმოგონიურ წარმოდგენებს „მკვდრის მზეზე“ და მისგან განათებულ „მიცვალებულთა სამყაროზე“, რომელსაც პოეტი ალეგორიულად „სამუდამო მხარეს“ უწოდებს, მომდევნო სტროფებში გაცოცხლებულია ბიბლიური ლეგენდა „სულთა სამყოფელის“ შესახებ, სადაც მხოლოდ სიმწუხარე მეფობს.

სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ
სამარეში.
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!

თითქოს აპოკალიპსისებური წინასწარი ხილვითაა მოცემული სიკვდილ-სიცოცხლის შერკინება. გალაქტიონი თავისი მწუხარე თვალებით ხედავს მკვდრის მზით განათებულ საფლავებს, სადაც სიცოცხლის ნაცვლად დარჩენილა ფერფლი და ნაცარი. ამ მწუხარე ხილვის ჟამს ლურჯა ცხენები, რომლებიც ლექსში წარმოდგენილია, როგორც მარადიული სიცოცხლის გამარჯვება სიკვდილზე, თავიანთი ფლოქვების ხმაურით იჭრებიან სიკვდილის საბრძანებელში.

სიზმარიან ჩვენებით—ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება.
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის
სიმხურვალეში,
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის
ტრიალი,
ჩქარა. გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა
ცხენები!

ამრიგად, თუ ლექსის დასაწყისში ულრმესი მწუხარებით აღსავსე პოეტი წარმოგვისახავს „სულთა ადგილსამყოფელს“, სადაც არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს სიცოცხლისა და მხოლოდ „სიჩუმისა და მდუმარების“ ღმერთი მბრძანებლობს, მეორე ნაწილში ამ სიჩუმისა და მდუმარების სამყაროში შემოიჭრებიან ლურჯა ცხენები, როგორც სიცოცხლის მახარობლები. სიცოცხლისადმი სიყვარულის ლეიტმოტივი იგრძნობა ლექსის არა მარტო რიტმში, არამედ ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში.

სიცოცხლისადმი სიყვარულის აპოლოგიაა ლექსის ფინალი.

მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და
ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო
მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის
ტრიალი,
ჩქარა გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა
ცხენები.

როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის „მერანი“, ასევე გალაქტიონისათვის „ლურჯა ცხენები“ სიმბოლოა ბედთან ჭიდილისა.

მერანისა და ლურჯა ცხენების ექსპრესიულ დინებაში ჩვენ ვგრძნობთ სინამდვილის უარყოფას და ახალი სინამდვილისკენ მისწრაფებას. ამ ძიების დროს ისინი მზად არიან გასწირონ საკუთარი სიცოცხლეც კი, რომელიც ერთხელ ეძლევა ადამიანს ბუნებისაგან და ერთხელვეართმევს იგივე ბუნება. მათ ჭენებას არ აქვს საზღვარი, რადგანაც თავათ ბუნებაც დაუბოლოვებელია და უსაზღვრო. ნ. ბარათაშვილსა და გალაქტიონს ერთი მიზანი ასულდგმულებს—ეს არის ჭეშმარიტების მუდმივი ძიება. მათში სევდას აღძრავს არა იმის შეგნება, რომ ჭეშმარიტების ძიება ამაოა, საერთოდ, როგორც ეს ეჩვენებოდა ლეოპარდისა და შატობრიანს, არამედ ის გარემოება, რომ მას ვერ ხახულობდნენ იმ სინამდვილეში, რომელშიაც უხდებათ ცხოვრება და მოღვაწეობა; ამ ნიადაგზე აწმყოს უარყოფენ მომავლის სახელით. ორივეს სწამს, რომ მერანისა და ლურჯა ცხენების ნაკვალევი მომავალ თაობას გაუადვილებს გზაზე სიარულს. ამ შეგნებით შედიან ისინი საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში და იმსჭვალებიან იმავე ინტერესებით.

თუ გონების თვალით დავაკვირდებით „მერანსა“ და „ლურჯა ცხენებს“, დავინახავთ, რომ მათ აქვთ არა მარტო საერთო, არამედ განსხვავებული პოეტური ასპექტი. ბარათაშვილის „მერანში“ სჭარბობს ეპიკური საწყისი, ხოლო გალაქტიონის „ლურჯა ცხენებში“ — ლირიკული. ბარათაშვილის რიტმი მღელვარეა და ქარიშხალის ასოციაციებს იწვევს, გალაქტიონის რიტმი თრთის და ნიავივით ეალერსება ადამიანის სულს.

ამრიგად, ლექსის შინაგან არქიტექტონიკაშიც მკვეთრად ჩანს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და გალაქტიონ ტაბიძე სხვადასხვა ეპოქის შვილები იყვნენ და სხვადასხვა დროის ბეჭედი აზჩნევია მათ შემოქმედებას. ისინი

განსხვავდებიან სამწერლო პრობლემატიკითაც. მაგრამ მათ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აქვთ რაღაც საერთო, სულიერი ნათესაობა, რომელიც მკვეთრად გამოჩნდა „მერანში“ და „ლურჯა ცხენებში“.

• • •

დიდი პოეტის ყოველ ლექსს აქვს თავისი ისტორია. მკითხველმა ყოველთვის როდი იცის ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შექმნის მიზეზები. ყოველთვის არ არის მართალი მოსაზრება, რომ მიზეზის შესახებ თვით ლექსი უნდა იძლეოდეს შესაფერის წყაროებს! მეცნიერული ფსიქოლოგია დაგვიმოწმებს ფაქტს, რომ ხშირად პოეტში შთაგონებას აღძრავს ისეთი ფაქტორი, რომელიც პოეტური განზოგადების შედეგად, ლექსში სრულიად კარგავს თავის პირვანდელ ფორმას. ეს თვისება ყველაზე მეტად ჩანს ფილოსოფიური ხასიათის ლექსებში.

გალაქტიონის „ორი ზარი“ დაწერილია რეაქციის პერიოდში დაღუპული მეგობრების სახსოვრად. მაგრამ პოეტური განზოგადების შედეგად შთაგონების პირველი წყარო ისე გადადნა გრძნობად ფორმაში და იმგვარ პრობლემატიკის არეში შეიჭრა, რომ სრულიად დაკარგა პირველადი, კონკრეტული მნიშვნელობა. ეს არის ერთად-ერთი ლოგიკური გზა ჭეშმარიტი შემოქმედებისა.

ამ ლექსის ლირიკული გმირი ღამით მიდის სასაფლაოზე, რათა ინახულოს ძველი ტაძარი. ტაძრის ხილვამ მასში აღძრა სამრეკლოზე ასვლისა და ზარის დარეკვის სურვილი. ზარების ხმაზე ლირიკული გმირი განიმსჭვალა რაღაც უცნაური პათოსით, რომელიც სიცოცხლესთან იყო დაკავშირებული. ზარების გუგუნით მას სურდა მიცვალებულთა გაღვიძება.

მსურდა, რომ ყველას გაღვიძებოდა,
ვისაც სძინავდა ცივ სამარეში.
ვინაც მიყვარდა, ან პატივს ვცემდი,
ჰემს განუსაზღვრელ სიმწუხარეში.
რომელთაც სწამდათ ქვეყნად სიცოცხლე,
და დღეს საფლავის ფარავდა ლოდი,
ძათ მოუხმობდი სასოწარკვეთით,
ზარის მწარე ხმით მათ ვეხაძოდი...

პოეტი შეაშფოთა მეორე ზარის ხმამ, რომელიც ქვესკნელიდან ისმოდა. ეს უკანასკნელი მოუწოდებდა სააქაოში მყოფ ადამიანებს, რათა საიქიოში ეძებათ სამუდამო ნავთსაყუდარი.

და, ქვესკნელიდან თითქო იმავ დროს,
მიცვალებულთა რეკავდა ზარი,
და ეძახოდა მათ, ვინც აქ დარჩათ
მათ. რომელთ სწამდათ ყოფნის ზღაპარი.
კუბოს ფიცარზე ძვლების რახუნით,
მკვდართა გუგუნით თრთოდა ქვესკნელი,
შეერეოდა ცოცხალთ ძახილი
და მკვდართა მოდგმა უკანასკნელი.

პოეტის ემოციაში, ორი ზარის სახით, ცოცხალთა და მიცვალებულთა დუელი წარმოსახულია, როგორც რეალური სინამდვილის უკუფენა.

და ორი ზარი საბედისწერო
ერთმანეთისთვის მიუწვდომელი,
დაცინვა იყო ვით ორი სული,
ვით ის ქვეყანა და ეს სოფელი.
და დიდხანს, დიდხანს ვუსმენდი გუგუნს,
და დიდხანს დიდხანს ზარი ჰგოდებდა...
მაგრამ ამაოდ მოვუწოდებდი,
მათ, ვინც ამაოდ მომიწოდებდა.

ჩვენ მიერ განხილულ ლექსში გალაქტიონი არ დგას პანთეისტურ თვალსაზრისზე სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის მხატვრული წარმოსახვის დროს. გალაქტიონისათვის სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებებია. იქ, სადაც სიცოცხლე ბრძანებლობს, სიკვდილის ცნებაც გამქრალია. ხოლო სადაც სიკვდილი მეფობს, სიცოცხლე განდევნილია. ლექსის ქვეტექსტში, კერძოდ, იქ, სადაც საუბარია სიცოცხლეზე, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, გალაქტიონი, წინააღმდეგ პანთეიზმისა, გრძნობს, რომ სიცოცხლე იმანენტურად თავისთავში ატარებს სიკვდილის ჩანასახს, რომელიც დროთა სვლაში, კონკრეტულად (და არა საერთოდ) სძლევს მას. გალაქტიონის სევდაც ამ ობიექტური კანონზომიერების შეცნობის შედეგია.

სიკვდილ-სიცოცხლის მუდმივი ჭიდილი, ან ორი ფენომენის ბრძოლა სიცოცხლისადმი სიყვარულით განმსჭვალავს პოეტს. ჩვენ აზრს ადასტურებს „ორი ზარის“ ბოლო სტრიქონები.

მაგრამ ამაოდ მოვუწოდებდი,
მათ ვინც ამაოდ მომიწოდებდა.

სიცოცხლე საბოლოოდ მაინც ძლევს სიკვდილს. ასეთია გალაქტიონის აზრი.

გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკიდან ყველაზე ტრაგიკულად ჟღერს ლექსი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. ამ ტრაგიკულმა ტონმა ქართულ სალიტერატურო კრიტიკას მისცა საბაბი მის უარსაყოფად. თუმცა სუბიექტურად ყველა გრძნობდა რომ ამ ლექსის სახით გალაქტიონმა გვაჩვენა საკუთარი გულის ტკივილი, პოეზიის მაღალი მხატვრული ფორმა და უნაზესი ემოცია.

გალაქტიონის ღრმა სევდამ მთელი სიმძაფრით ამ ლექსში გამოამჟღავნა თავისი ხასიათი. მაგრამ პოეტის მიერ სინამდვილის ამგვარ წარმოსახვას უეჭველად ჰქონდა მიზეზი. ჩვენ ასეთ სინამდვილეს არაგონიერი ვუწოდეთ. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს გალაქტიონის სევდიანი კილო, რომელიც ლოცვის ფორმას ატარებს.

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

ლექსი წმინდა ეროვნულ ელფერს ატარებს. ამიტომ რაიმე რემინისცენციები ამ ლექსში გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. რითმაც „სილაჟვარდე“ და „სილაში ვარდი“ პოეტური აღმოჩენაა.

მაგრამ ჩვენთვის ამ ლექსის ანალიზის დროს უპირველესი მნიშვნელობა აქვს პოეტის სულიერი ცხოვრების ცნებების ენაზე ახსნას.

დღიურ ჭირვარამით დაღლილი და დათენთილი პოეტი შუაღამის ჟამს მიდის ღვთიშობლის ხატთან, რათა აღავლინოს ლოცვანი. მაგრამ აქ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ხატთან დამხობილი პოეტის ხმაში ისმის არა ვედრება, არამედ საყვედური ქვეყნის უკუღმართობის გამო. გალაქტიონი ამხელს თვით ღმერთს, როგორც ბოროტების წყაროს. ამიტომ მიმართავს იგი უზენაესს:

და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!
შეხედე დატკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!
სად არის ჩემი სამაგიერო?
ხაბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული.
და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე,
ხიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება.

არ ვიცი, რატომ ხედავდა ქართული სალიტერატურო კრიტიკა ამ ლექსში სარწმუნოებრივ აღმსარებლობას და რატომ მიაჩნდა იგი რელიგიის აპოლოგიად?! გონების თვალით თუ შევხედავთ ჭეშმარიტი ხელოვნების ამ ბრწყინვალე ნიმუშს, განსაკუთრებით თუ შევიცნობთ მის ქვეტექსტს, ჩვენ იქ შევიგრძნობთ გალაქტიონის ბობოქარ, მაგრამ ნათელ პოეტურ სულს, რომელიც ჭეშმრიტების სიყვარულის გამო ერკინება თვით უზენაესსაც კი.

ბოროტებას, რომელიც შემოეჭდო მგოსნის სულს და რომელიც არაგონიერ სინამდვილეში ბატონობდა, როგორც უხეში ძალა, გალაქტიონი მიაწერს უზენაესის ნებას. ამიტომ გმობს მას. პოეტისათვის ერთად-ერთ მიმზიდველ სახეს წარმოადგენს მაცხოვრის მშობელი —მარიამი და იგი პოეტურ ასოციაციებში ცოცხლდება როგორც დედა, როგორც ქალი, როგორც რეალური პიროვნება.



ამიტომ რეფრენის სახით ლექსის ფინალში კვლავ მეორდება მარიამის სახე, როგორც დედის სინონიმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე!

სუფთა, აუმღვრეველი, გამჭვირვალე ფერებით ქსოვს გალაქტიონი მხატვრულ სახეებს! შუქისა და ჩრდილის საზღვართან დგას პოეტი და მათი შეხამების ფონზე წარმოსახავს ადამიანის სულს ადამიანური ვნებებით, სიხარულითა და სიმწუხარით.

• • •

გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დროისა და სივრცის მხატვრულ შეგრძნებას. დროისა და სივრცის პრობლემატიკაზე დაწერილი ლექსების ციკლიდან ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გალაქტიონის ლექსი „რომელი საათია?“ აქ საქმე მარტო სიტყვათა დამთხვევაში, როდია! არამედ იმ სულიერ განწყობილებაში, რომელსაც წარმოშობს დროისა და სივრცის შეგრძნება. ამ შეგრძნების დროს გალაქტიონი გულგრილი ვერ დარჩებოდა მეცნიერივით, თუ ყველაფერს წარმავლობის ბეჭედი აზის, მაშინ სად განისვენოს სულმა, ვის წინაშე მოიდრიკოს მუხლი? აი, რა აწვალებს გალაქტიონს. დრო და სივრცე დავიწყების უფსკრულში მარხავს ყოველივეს, ვის წინაშეც თაყვანისცემა და აღტაცება შეგვეძლო. შემოქმედს არ შეუძლია გულგრილად შეხედოს სიცოცხლის დაღუპვას. რაკი მშვენიერი აუცილებლობის ლოგიკით დროსა და სივრცეში ნადგურდება და დავიწყების მტვერით იფარება, მაშინ საჭიროა ბრძოლა მის წინააღმდეგ. ასეთია გალაქტიონის აზრი. მაგრამ რა საშუალება გააჩნია პოეტს დროისა და სივრცის დასამორჩილებლად? მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნება. სიტყვაში, ფერში, ბგერაში ცნაურდება უკვდავება. იგი ებრძვის დროსა და სივრცეს, როგორც სიცოცხლე ებრძვის სიკვდილს.

საათის გულისცემა ადამიანს აახლოვებს სიკვდილთან. ამიტომ პოეტს შეეძლო გაემეორებინა გოეთეს სიტყვები: დროისა და სივრცის დაძლევა მხოლოდ პოეზიით შეიძლება.

ამ ჭრილშია გახსნილი გალაქტიონის ლექსების ციკლი, რომელიც წარმოგვისახავს დროისა და სივრცის მხატვრულ კონცეფციას.

გალაქტიონის „მე და ღამე“ ფილოსოფიური ლექსების ციკლს განეკუთვნება. სრულიად სამართლიანად, პოეტი მას თვლიდა ერთ-ერთ უბრწყინვალეს შედევრად თავის შემოქმედე-

ბაში. ქართული სალიტერატურო კრიტიკა გრძნობდა ამ ლექსის მაღალ მხატვრულ ღირსებას, მაგრამ ის მიაჩნდა დეკადენტურ ნაწარმოებად.

სამწუხაროდ, „მე და ღამის“ მხატვრული და იდეური კონცეფცია ჯერ კიდევ არ არის გახსნილი და ამ ნიადაგზე პოეტის „საიდუმლო“, რომლის შესახებაც საუბარია ლექსში, ჯერ კიდევ საიდუმლოდ რჩება.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.

ამ ორი ტაეპის ცნების ენაზე გაშიფვრა მთელი ლექსის მხატვრული კონცეფციის გაგების საშუალებას მოგვცემდა. მაგრამ იმისათვის რომ გაიშიფროს, საჭიროა თითოეული ტაეპის ანალიზი და ამ ნიადაგზე აიხსნას პოეტის „საიდუმლო“.

ლექსის შესავალი ნაწილი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ გარემოცვაზე, რომელშიაც გალაქტიონი იმყოფებოდა „მე და ღამის“ დაწერის მომენტში.

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,
სიო სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.
მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.
ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

შუაღამე, პოეტის წარმოსახვაში, იწვის, დნება. სარკმლიდან მონაქროლი ნიავი ველთა ზღაპარს უამბობს „მუზების ღმერთს“. მთვარეს ვერცხლის საბანი გადაუხურავს გარემოსათვის, და ამ ფონზე ნიავის შერხევაზე ცახცახებს სარკმლის წინ მდგომი იასამანი. მტრედისფერი ცა ლურჯი სვეტებით ებჯინება დედამიწას და გრძნობით ავსებს შემოგარენს. რაღაც საიდუმლო შუქი, რომელიც ციდან ეშვება პოეტის ადგილსამყოფელში, სავსეა უხვი გრძნობებით „ვით ამ ღამეს ჩემი გულიო“—ამბობს გალაქტიონი.

ამგვარი საშუალებით ბუნების სამეფოდან ადამიანური ვნებისაკენ ვიკაფავთ გზას. პეიზაჟით ავტორს შევყავართ საკუთარი სულის ხვეულებში. შესასვლელზე ავტორს საკუთარი სისხლით წაუწერია შემდეგი სიტყვები:

დიდიხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.
ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი;
ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი ღვინით სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელს სიღრმეში მოვათავსე.

ციტირებული ტაეპების ანალიზის დროს ხაზი უნდა გაესვას ერთ მეტად საყურადღებო მომენტს: პოეტი ამბობს, რომ საიდუმლოს მეც ვატარებ გულშიო. ე. ი. ამავე საიდუმლოს ატარებს სხვაც და ამ სხვაზე პოეტი ტექსტში აშკარად მიგვითითებს.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის, როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე.

ბუნებრივია, რომ მხოლოდ ღამემ იცოდა საიდუმლოება პოეტის განზრახვისა, რომელიც მტანჯველი შემოქმედებითი პროცესის გზით იქცა ლექსად. ბუნებრივია ის გარემოებაც, როცა პოეტი გვესაუბრება უძილობაზე, მარტოდ-მარტო დარჩენაზე, ობლობაზე, რომ მხოლოდ ღამე იყო სულიერი მეგობარი გალაქტიონისა.

ამრიგად, პოეტის საიდუმლო, რომელიც მხოლოდ თეთრმა ღამემ იცის, როგორც შემოქმედებითი აქტის მოწმემ, მუზაა, რომელიც ევლინება გალაქტიონს, როგორც შთაგონება.

აქედან სრულიად ნათელია, რომ ლექსი „მე და ღამე“ არ არის დეკადენტური ნაწარმოები; რომ ის არ არის დაცემისა და პესიმიზმის აპოლოგია, როგორც ეს ესმოდა კრიტიკას. მხატვრული წარმოსახვის ფორმა ლექსისა რეალისტურია რომანტიკული კოლორიტით შეფერილი.

ლექსის ლეიტმოტივი იმ აზრის აღიარებაა, რომ ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედება არის უღრმესი სულიერი ტანჯვის შედეგი. ის, რაც იოლად ეძლევა მკითხველს და ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას, თვით პოეტისათვის ჯვარცმაა. პოეტი ქმნის მშვენიერს, რომელიც ალა-

მაღლებს სულს, ბადებს გრძნობებს, რომლებიც წარუშლელ კვალს სტოვებენ ადამიანში. ჭეშმარიტ პოეტურ ნაწარმოებში არ არის არცერთი ზედმეტი სიტყვა, ყოველივე ეს მოითხოვს ზომიერების გრძნობას, რეალისტურ ალღოს, აუცილებლობის რკინის კანონის დაცვას. შემოქმედება, როგორც გოეთე ამბობს ეკერმანთან საუბარში, მთელი სულიერი და ფიზიკური ბუნების ძალთა თავმოყრაა. იგი ეუფლება არა მარტო მხედველობასა და სმენას, არამედ ხუთივე გრძნობას. გარდა ამისა, იგი ეუფლება სხეულსაც, აზრსაც, გონებასაც, ნებისყოფასაც, გრძნობასაც, ფანტაზიასაც.

ეს გზა მძიმე და ძნელია. სწორედ ამ სიძნელეებზე გვესაუბრება გალაქტიონი „მე და ღამეში".

• • •

ვინც გონების თვალით კითხულობს გალაქტიონის ლექსების სათაურებს, მან არ შეიძლება არ იგრძნოს ლოგიკური დამთხვევა სათაურისა—ტექსტის იდეურ პრობლემატიკასთან. მხოლოდ ლექსის სახელწოდებაც კი ემოციურად განაწყობს მკითხველს და წინასწარ ფსიქოლოგიურად ამზადებს მისი მხატვრული აღქმისათვის.

ლექსი „უდაბნო" ამ მხრივ განსაკუთრებით იქცევს მკითხველის ყურადღებას. ეს ლექსი გამოხატავს შემოქმედის ტრაგედიას, სულით ობლობა აქ შეგრძნობილია მთელი სიმძაფრით. მარტოობის სევდა დაუფლებია მგოსნის სულს და მოსვენება დაუკარგავს მისთვის.

რევოლუციამდელმა სალიტერატურო კრიტიკამ ეს ლექსი გამოაცხადა „უსასოო პესიმიზმის" შემცველ ნაწარმოებად. რევოლუციის შემდეგდროინდელმა კრიტიკოსების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ამგვარ შეფასებას და მკითხველებს ამ ლექსის წინააღმდეგ განაწყობდნენ. ისინი შეთანხმდნენ იმაში, რომ „უდაბნო" წარმოადგენდა დეკადენტიზმის აპოლოგიას. ზერელე შეხედვით საანალიზო ნაწარმოები, მართლაც, სტოვებს ამგვარ შთაბეჭდილებას; მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით ლექსის იდეურ და მხატვრულ პრობლემატიკას, ჩვენ დავინახავთ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენებს. იქ ერთი იოტიც არ არის დეკადენტიზმისა და „უსასოო პესიმიზმის".

„უდაბნო" დაწერილია რევოლუციამდე და განეკუთვნება იმ სინამდვილეს, რომელსაც ზემოთ არაგონიერი ვუწოდეთ. ეს სინამდვილე მიმართული იყო ჭეშმარიტი ადამიანური იდეალების წინააღმდეგ. თავისუფლების ცხოველი სუნთქვა რეაქციის ბატონობის შედეგად მინელდა. ცრემლი და სისხლი მუდმივი თანამგზავრი იყო ადამიანებისა. ეს მძიმე დრო განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ისეთი ფაქიზი და გულწრფელი პოეტისათვის, როგორც გალაქტიონია. ამიტომ უმეგობროს, სულით ობოლს, დამჭკნარ ფოთოლს, მარტოდ-მარტოს უწოდებს საკუთარ თავს. „დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა". ასე გოდებდა პოეტი. კიდევ მეტი:

მოვკვდე და გული ვის დავწყვიტო ვინ
დავაობლო
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი
სამშობლო.

იქნებ, ეს მძიმე, სევდიანი სტრიქონები აძლევდა უფლებას კრიტიკოსებს, რომ პოეტისათვის დეკადენტი ეწოდებიათ! აქ უნებურად გვაგონდება მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის ერთი ლექსისა, სადაც ნათქვამია:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის
არი,
ის არი მხოლოდ სამწუხარო და სავალალო,
რომ შენ მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ
არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი
გავუზიარო!..

ბარბარე ჯორჯაძე გამწარებული წერდა: რამ დააბრმავა ილია ჭავჭავაძე, რომ თავის სამშობლოში, ქართველთა შორის ვერ დაინახა კაცი, რომელსაც საკუთარი ფიქრის გაზიარების ღირსად გახდიდა. ასეთი გულგრილი კრიტიკა ლექსში მხოლოდ სიტყვებს კითხულობს და ვერ გრძნობს ამ სიტყვების ქვეტექსტს, იმ ცეცხლს, რომელიც შემონთებული აქვს პოეტის სულს. განა მოტანილი სტრიქონებისათვის შეიძლება ილიას პესიმისტი ვუწოდოთ? დიდი სევდა ყოველთვის როდია პესიმიზმი! მით უფრო ისეთი სევდა, რომელსაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვს და გამოწვეულია დროის უკუღმართობით

ისტორიული აუცილებლობის ძალით გალაქტიონის დიდ სევდასაც საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა; იგი არ იყო პირადი კაპრიზის შედეგი და არ შეიძლება მხოლოდ სუბიექტური ინტერესების სფეროთი განისაზღვროს. სუბიექტური ინტერესები პოეტისა ორგანულად ემთხვევა ობიექტურ აუცილებლობას... აქ არის პოეტის გენიის ძალა.

რად მინდა მივწვდე მიუწვდომელს, ვრცელს
და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავცილდები მაინც
ვერასდროს.
მეგობრობაში, სიყვარულში, შურში,
მტრობაში,
მარტო ვიქნები, და რა ვპოვო მარტოობაში?
ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი
სიმღერა?
წუთით მიტაცებს, სამუდამოდ წაღლოლს ვერ
შლის, ვერა!

და თუ შორს ვინმე ტკბება ჩემი სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის გავყვე ჩემის წამებით?
ან მეგობრის თუ მომესმა ნეტარი ხმობა,
შემეძლება კი სიყვარული და მეგობრობა?

ჩვენ აქ მოწმენი ვართ დიდი ადამიანის დიდი სევდისა, რომელიც შორეული ასოციაციებით ეხმაურება ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიას. რომანტიკულად განწყობილი ორი სული ესაუბრება ერთმანეთს დიდ კაცობრიულ ტკივილზე, და გვიხარიან, რომ ეს ორი გენიოსი, თავიანთი დიდი სიბრძნით, ერთი მხრით, ებჯინება ეროვნულ ნიადაგს, მეორე მხრით, თავისი დროის მსოფლიო პოეტური კულტურის უკანასკნელ მიღწევებს. და მართლაც, ბარათაშვილისა და გალაქტიონის სევდა მარტო ეროვნული და სუბიექტური როდია, არამედ ზოგადკაცობრიულიც არის. ეს არის ადამიანური ტრაგედია, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს დეკადენტიზმთან.

გალაქტიონი ამბობს: „რათ მინდა მივწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს? ჩემს უდაბნოს ვერ გავცილდები მაინც ვერასდროს". მიუწდომლობის მიწვდომა იყო ყოველი გენიოსის ოცნება. ის აძლევდა სტიმულს შემოქმედებაში. გოეთეს აზრით, მიუწვდომელია მხოლოდ მშვენიერი. ის ჩვენში აღძრავს ვნებებს, ემოციებს, სიყვარულს, განცვიფრებას, ამაღლებს ჩვენს სულს და გვაძლევს სიცოცხლის პათოსს. მაგრამ ყოველივე ამის მიღწევა მძიმეა და ძნელი. შემოქმედისათვის ის უდრის ჯვარცმას. უნდა დაივიწყო პირადი ცხოვრება და მთელი გულის უმცირესი ნაწილიც კი არ უნდა დაიტოვო შენთვის. ყველაფერი უნდა მისცე მას, თვით სიცოცხლეც კი. ასეთია დიდი პოეტის ბედი. სამაგიეროდ, ის უკვდავი ხდება შთამომავლობის ხსოვნაში.

გალაქტიონი რაღაც საოცარი, მტანჯველი სტრიქონებით გაახსენებს ხოლმე მკითხველს, რომ მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში ის მარტოდ-მარტოა. ამ გარემოებათა გამო პოეტი სვამს კითხვას: „და რა ვპოვო მარტოობაში?"

ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა, ჩემი სიმღერა
წუთით მიტაცებს, სამუდამოდ წყლულს ვერ შლის ვერა!
და თუ შორს ვინმე ტკბება ჩემი სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს.... მე ვის გავყვე ჩემის წამებით?

ტრაგიკული კითხვაა დაყენებული, მაგრამ ის პერსონალურად ეხება მხოლოდ პოეტს: „მე ვის გავყვე ჩემის წამებით". ამბობს იგი. მაგრამ ქვეტექსტში ვგრძნობთ, რომ მიუხედავად ასეთი ტრაგიზმისა, პოეტი მაინც კმაყოფილია იმის შეგნებით, რომ შორს, სადღაც ადამიანები ტკბებიან მისი სიმღერის სევდიანი ხმებით, რომ ამ ხმას, როგორც მოწოდების ზარს, მიყავს საზოგადოება ახალი სინამდვილისაკენ.

პოეზიის ამ დიდი ამოცანის შემწეობით გალაქტიონი იმსჭვალება მიუსაფარ ბედთან შერკინების სურვილით.

ო, სად ხარ, სადა უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო!

„უდაბნოს" ანალოგიურ ასოციაციებს აღძრავს ლექსი „კორდზე". ღამეული მგზავრი-მხედარი შეაყენებს ლურჯა ცხენს, რათა უსმინოს სიჩუმეს. ბუნების განუსაზღვრელი სამეფო მინელებული მთვარის შუქის ფონზე გარინდულა.

რა სიწყნარეა, .ო, ღმერთო ჩემო

სამღურავივით აღმოხდება პოეტს. მას არ უნდა არც მდუმარება და არც კმაყოფილება, რადგანაც ორივე სიკვდილის სინონიმია. მყუდრო სავანე სევდით ავსებს ისედაც ბედგამწარებული პოეტის სულს. ახლა მისთვის სანატრელია ქარიშხალი, როგორც ახალი ცხოვრების წინამორბედი. ამ შეგნებით უხმობს იგი ქარს:

ჰეი, გაიღვიძე ქარო ძლიერო,
გამოაღვიძე მიდამო მკვდარი,
გასწი უამბე ადამიანებს—
ჩემი ოცნება მიუსაფარი.
და თუ მათ შორის აღმოჩნდა ერთი
უუშორესი თანამგრძნობელი,
ისიც დიდია მისთვის, ვისთვისაც
ზღვა-უდაბნოა მთელი სოფელი.

მიუსაფარი და ბედგამწარებული პოეტი მაინც ეძებს კავშირს ადამიანებთან, რადგან მან იცის რომ ისინი შეუმსუბუქებენ მძიმე ტკივილებს, რომელიც სინამდვილემ წილად არგუნა სიტყვის ოსტატს. იგი მაძიებელი სულია და ძიების შედეგად მიღებული დაკვირვება უნდა რომ გაუზიაროს ადამიანებს. ამიტომ ჭეშმარიტებას არ იქნება მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ გალაქტიონის უკიდურესად სევდიან ლექსებშიც კი მოიძებნება ოპტიმისტური პათოსი, მომავლის სიყვარული, ახალი სინამდვილისაკენ შეუნელებელი მისწრაფების სურვილი. ამ მხრივაც გალაქტიონი სულიერ ნათესაობას ამყარებს ნიკოლოზ ბარათაშვილთან.

ამავე მოტივზეა დაწერილი ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც იწყება ასე:

ხშირად ვოცნებობ და შევცქერი ცას,
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას.
მე ვმღერი მაშინ და მთრთოლვარე ხმას

სევდით ვუერთებ ჩამქრალ გულის თქმას.
ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს,
მეგობრებს, სატრფოს ეშხით მღელვარეს.

ძახილი სიცოცხლის მიზნისადმი, ადამიანებისადმი, მეგობრებისადმი, მათთან კონტაქტის დამყარების სურვილი, რათა პოეტი გამოვიდეს უიმედობის რკალიდან, ბრწყინვალედ ჩანს ისეთი ულრმესი სევდის შემცველ ლექსში, როგორიცაა „სად“? თავისთავად სათაური მიგვანიშნებს იმ შინაგან ჭიდილზე, რომელიც ხდებოდა პოეტის სულში. ეს ჭიდილი სინამდვილესთან ან შემოქმედებითი კატასტროფით უნდა დამთავრებულიყო, ან არა და პოეტს უნდა დაემსხვრია ბორკილები, რომლებითაც იმავე სინამდვილემ შებოჭა გალაქტიონის თავისუფლება.

ეს ჭიდილი მთელი სიმძაფრით გამოვლინდა დასახელებულ ლექსში.

საით მივყევარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს მე საქართველო,
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?
არ ვიცი, მაგრამ უმიზნო დღეებს
ვითვლი და ვითვლი — ყმაწვილურ ჟინით,
ყოველ დღეს გულის ტკივილით ვხვდები
და ვეთხოვები მწარე ქვითინით.
მარტოდ-მარტო ვარ... ვისაც ოცნება,
ედემის ციურ ხატებად სთვლიდა,
ვისაც სიყრმიდან მე თაყვანს ვცემდი,
ყველა მომცილდა, ყველა წავიდა.
აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს,
ძველ ოცნებაზე რომელი არ სწუხს?
ვწუხვარ, ვეძახი ჩემს სიყმაწვილეს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს.

პოეტის ეს დიდი მწუხარება ჩვენ გვესმის და ვუთანაგრძნობთ მას. გვესმის მისი სულის ტკივილები და ვრძნობთ, თუ რა ძნელია მარტოდ-მარტო დარჩენა ამ ვრცელსა და უსაზღვრო წუთისოფელში. კიდევ მეტი გვესმის იქ, თუ ჟამთავითარების უკუღმართობის გამო როგორ უსულგულოდ მოსცილდნენ მეგობრები, რომელთაც პოეტი სიყრმიდანვე თაყვანსა სცემდა და „ედემის ციურ ხატებად სთვლიდა“. როგორ იქცა გუშინდელი ჭეშმარიტება სიყალბედ და მშვენიერება საძულველად. ეს დიალექტიკური ბრუნვა ცხოვრებისა, რომელსაც ყველაფერში აუცილებლობის დამხობის ბეჭედი აჩნევია—პოეტში აღძრავს სინანულს დაღუპულ სიცოცხლისადმი, სევდას დაკარგულისადმი. ამ პროცესში პოეტი ბუნებასავით გულგრილი ვერ დარჩებოდა.

ბრწყინვალე მხატვრული ფერებით ავტორი ქმნის პლასტიკურ სურათებს საკუთარ სევდის გამო. თითქოს ჯადოქარის ხელით ცოცხლდება ჩვენს სულში ყოველივე ის, რაც ოდესღაც აწუხებდა პოეტს, მას კი ბევრი რამ აწუხებდა. კერძოდ, აწუხებდა კითხვა, თუ რას მისცემდა საქართველოს მისი ქნარი? ეს წუხილი ზოგადი წუხილია, რომელიც ესთაფეტასავით გადადიოდა თაობიდან თაობაზე.

პოეტი უყვირის, ეძახის სიცოცხლის მიზანს. „ვწუხვარ, ვეძახი სიცოცხლის მიზანს“. მაგრამ ეს კეთილშობილი მოწოდება მაშინდელმა სინამდვილემ ყელში ჩაუწყვიტა პოეტს.

დამარცხებული პოეტი იძულებულია მიმართოს ზეცას, რადგანაც დედამიწაზე გზა აუბნიეს. ის წერს ლექსს სათაურით „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“.

ვეწვევი განდეგილ მამათა
„უმანკო ჩასახვის“ სავანეს;
იქ შავი თოვლივით დამათოვს
ჭვარტლი და ბურუსი თავანის.
სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის,
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის.

ეს საოცრად ორიგინალური რიტმის ლექსი დიდი ექსპრესიით შთაგვაგონებს, რომ შეუძლებელია ზეცისა და პოეტის მორიგება, მათი თანაარსებობა. სინამდვილისაგან დევნილი პოეტი ვერც ზეცაში ნახულობს პასუხს იმ წყეულ კითხვებზე, რომელიც სიჭაბუკეში აწვალებდა მგოსნის სულს. მამათა მყუდრო სავანის შესავლ კარებთან თვით უზენაესს წაუწერია შემდეგი სიტყვები:

ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის.

ტაეპში სამგზის მეორდება საბედისწერო სიტყვა, რომ „საშველი არ არის“.

გალაქტიონი წინასწარ გრძნობდა, რომ ზეცისაგან კანონიერი პასუხი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. არაგონივრულია არა მარტო მიწიერი სინამდვილე, არამედ ზეციერიც. მამათა სავანიდან გამოსვლის ჟამს პოეტი ერთხელ კიდევ მიმოავლებს თვალს ზეციურ გარემოს, სადაც შეუბრალებელი „უდაბნოს ქარები“ დაჰქრიან.

დაქრიან უდაბნოს ქარები.
მტანჯავენ და ვიცი გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!
გრიგალის სადაურ შებერვას
მისდევენ ფოთლების შავები...
თებერვალს უხმობენ, თებერვალს
სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები.

ამ ფონზე ოაზისივით მოჩანს ლექსის ფინალი.

და ვიცი ღელვათა საგანი,
როდესაც ღამეა უკუნი
და ჩემი მდუმარე საკანი
და ცეცხლის მფარველი გუგუნი.

პოეტი ისევ უბრუნდება მიწას, რადგანაც მხოლოდ აქ, ადამიანთა შორის შეიძლება ჭეშმარიტი ცხოვრება; ცხოვრება, რომელიც ალსავსეა შემოქმედებითი ცეცხლით. ამიტომ ისევ ღამე, ისევ ოთახის სარკმელი, საიდანაც ნათელი სვეტივით ეშვება მუზა, როგორც შთაგონების წყარო. ამრიგად გალაქტიონმა ისევ შემოქმედებით განიკურნა სულიერი ჭრილობანი, ისევ პოეზიამ მისცა მომავლის რწმენა. ამიტომ მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

• • •

მაგრამ ამ განუსაზღვრელ ბუნების სამეფოში პოეტს მარტო თავისი მდგომარეობა როდი აწუხებს. ის გოდებს უბინაოთა ბედზე, რომელთაც არა აქვთ თავშესაფარი. კიდევ მეტი: მას ებრალება ბუნების სტიქიონი,—ქარის სახით რომ ევლინება მგოსნის ადგილსამყოფელს.

წუხელის ღამით ქარი დაჰქროდა
და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა;
მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,
მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა.

გალაქტიონისათვის ქარიშხალი სიმბოლოა თავისუფლებისა; უდიდესი მტერი რუტინისა და კონსერვატიზმისა. ამ სულიერი ქარიშხლებით არის ალსავსე ლექსი „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“. სიტყვა „ანგელოზი“ გალაქტიონის შემოქმედებაში სინონიმია თავისუფლებისა. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ტაეპი სხვა ლექსიდან: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი სდგას ანგელოსი“.

საანალიზო ლექსი ერთ-ერთი ბრწყინვალე შედევრია ქართულ სალირიკო პოეზიაში. ლექსის რიტმი სრულიად უჩვეულო, ორიგინალურია; რითმა — ახალი.

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა.
მშვიდობით. მშვიდობით! ამაოდ დაგენდე,
ელვარე სალამოვ, ალმას საყურეთა!
ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,
უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!
გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო
შენს ფეხქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.

ამ ლექსის გამო მცირე მინაწერში გალაქტიონი ამბობს: „ეს მცირე ნობათი მიმართულია ეგოიზმის, აულაგმავი პატივმოყვარეობის და ბიწიერების წინააღმდეგ, რომელიც ბატონობს ჩვენს დროში“. რევოლუციამდელი სინამდვილე პოეტს წარმოდგენილი აქვს ტანჯვის და უბედურების სამყოფელ ადგილად, სადაც ეგოიზმი და პატივმოყვარეობა იფარება ოქროსა და აბრეშუმის ქვეშ; სადაც კეთილშობილება და გულწრფელობა ფეხქვეშ არის გათელილი; ხოლო ბიწიერება ნილაბით დაბრძანდება, როგორც დენდი. ამ გარემოცვაში ადამიანის გენია ვერ იპოვიდა ღირსეულ დამფასებელს, და ის გარბის, როგორც დაწყევლილი და მოკვეთილი. განდევნის ჟამს პოეტი მიმართავს ანგელოზს და არა დემონს, როგორც ბოდლერი. ანგელოზი კი გალაქტიონის ცნობიერებაში, როგორც უკვე იყო ნათქვამი, წარმოისახება, როგორც თავისუფლება, როგორც კეთილისა და ახალი ცხოვრების საწყისი.

უკუღმართი სინამდვილე ამსხვრევდა ყველა დიდებას; ადამიანის გენია ჰქრებოდა ლუკმაპურისათვის ძიებაში; ხუნდებოდა პოეტის საყვარელი ფერები, კეთილშობილი იდეალები. ამ მძიმე ხვედრის შეგნებით გალაქტიონი შემოქმედებითი ფანტაზიით ქმნის ახალ სინამდვილეს, რომლის ფესვები ჩამარხულია მყობადში. ძველი ცხოვრებისადმი ზიზღი ჩაწერილია დაწყევლის ეტრატში, რომელიც ანგელოზს უჭირავს ხელში.

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი
და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის,
ამაოდ დაგენდე, და ჩვენ ერთმანეთი
ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!
ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები —
სალამო კანკალებს, შიშით და რიდობით —
სალამო ნელდება და კვდება ვარდები...
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით.

ასე სცილდება სინამდვილეს უნაზესი პოეტი. სცილდება საზოგადოებას, რომლის სულშიც აღარ ფეთქავდა ჭეშმარიტი სიცოცხლის ნიშანწყალი, სადაც ცინიზმი და უსაზღვრო ეგოიზმი თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა.

ამ პირობებში სიმღერის სევდიანი კილო და რომანტიკული კოლორიტი სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური იყო გალაქტიონისათვის. ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო გალაქტიონს არ შეეძლო საზოგადოების გარეშე ცხოვრება, მაგრამ რეალური სინამდვილე აიძულებდა პოეტს უარეყო ის, რაც გულით უყვარდა; დაეწყვიტა შემაკავშირებელი სიცოცხლის ძაფები მასთან.

ეს მძიმე მომენტი იყო გალაქტიონის ცხოვრებაში და ამიტომაც ტრაგიკული. თუ საანალიზო ლექსში პერგამენტზეა საუბარი, რომელიც ანგელოზს უჭირავს ხელში, ეს მისი სულის ნაწილია. ამიტომ პერგამენტის წაკითხვა ყველას როდი შეუძლია, მით უფრო გაგება ყოველივე იმისა, რაც იქ სისხლით არის ჩაწერილი. ეს ამწუხრებს პოეტს. მიხვდებიან კი თანამედროვენი, თუ რა ჭვარცმა იყო პოეტისათ-

ვის ტრაგიკული კონფლიქტი სინამდვილესთან?

ბუნებრივად მეორე კითხვაც იბადება: ნუთუ რევოლუციამდელი გალაქტიონის ადამიანური სევდა შედეგი იყო დეკადენტიზმის, დაცემულობის განწყობილებისა, კეთილშობილი იდეალების უარყოფის? ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა ხომ ჯერ კიდევ გალაქტიონის სიცოცხლეში ერთხმად ადასტურებდა, რომ მისი შემოქმედების პირველი პერიოდი დეკადენტიზმის, დაცემულობის და სულიერი პროსტრაციის ემბაზში იყო განბანილი!

მაგრამ აქ მესამე კითხვაც ჩნდება: მაშ რატომ გვიყვარს ასე უსაზღვროდ გალაქტიონის პირველი პერიოდის შემოქმედება? რატომ ვთვლით მას ქართული პოეზიის ერთ-ერთ დიდ მწვერვალად? რატომ ვუწოდებთ ამ პერიოდში შექმნილ ლექსებს ქართული პოეზიის შედევრებს?

სულიერი ცხოვრების დეკადანსს არც ერთ ქვეყნის ლიტერატურაში ჯერ არ შეუქმნია ისეთი რამ, რომელსაც ერი ნაციონალურ სიამაყედ აცხადებდეს. გალაქტიონი კი ქართული პოეზიის ეროვნული სიამაყეა, მისი დიდება და სახელი.

პოეტის სულიერი კონფლიქტი არაგონიერ სინამდვილესთან მის დიდებაზე უფრო მეტს მეტყველებს, ვიდრე ნაკლზე. სინამდვილის უარყოფა ყოველთვის როდია დეკადანსის შედეგი, ანდა ნაკლი პოეტისა. სინამდვილე, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის ცრემლზე, სისხლზე და ძვლებზე არ არის ღირსი ჭეშმარიტი პოეტის ყურადღებისა. კიდევ მეტი, ის სიძულვილის ღირსია. მაშ რატომ იყო ვალდებული გალაქტიონი—დამორჩილებოდა სინამდვილეს, რომელიც მასში აღძრავდა ზიზღს. მაგრამ სინამდვილისადმი ზიზღი როდი აიძულებდა გალაქტიონს გულგრილი დარჩენილიყო საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ, რომლებიც აღალვებდნენ მისი თანამედროვე ადამიანების პროგრესულ ნაწილს.

ამ გარემოებას ბრწყინვალედ ადასტურებს ფილოსოფიური ხასიათის ლექსი „წერილი მეგობრისადმი“.

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც
ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო
ფრთები,
განა არ არის საშინელი საცოდაობა
ისეთ ქვეყანას,—როგორც ჩვენი
საქართველოა,
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს!

შეიძლება იმათ, რომლებიც იცავენ გალაქტიონის დეკადენტობას, გვითხრან. რომ ბოდლერიც ეტრფოდა რევოლუციასთან კავშირს, რომ ის 1848 წლის რევოლუციაში ბარიკადებზეც იღებდა მონაწილეობას. მაგრამ ბოდლერი, მიუხედავად თავისი უზარმაზარი ტალანტისა, მაინც დეკადენტი დარჩა, გალაქტიონი კი — რომანტიკოსი. ბოდლერი თავის აღსარებაში რევოლუციასთან დამოკიდებულების შესახებ წერს: „რევოლუცია ცრურწმენაა მხოლოდ“.

აქვს რაიმე საერთო ბოდლერის აღსარებასთან გალაქტიონის შემოქმედებას? არავითარი, გალაქტიონი ეძიებს ჭეშმარიტებას და ვერ უპოვია. ეს არის წყარო გალაქტიონის სევდისა. გალაქტიონი თავისი დროის სინამდვილესთან კონფლიქტშია და ცდილობს შექმნას ახალი სინამდვილე, რომელიც ეყრდნობა მომავალს. ბოდლერს ეზიზღება აწმყოცა და მომავალიც. ბოდლერის „ბოროტების ყვავილებმა“ სიმპათია დაიმსახურა სენტ-ბევისა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ბოდლერი შექმნა ცივილიზაციამ, რომელიც ხმელსა და გამოფიტულს ნიადაგს ჰგავს, რომელიც იძლევა შხამიან ბალახს. გალაქტიონი წარმოშვა ეპოქამ, რომლის წიაღშიაც მწიფდებოდა რევოლუციების ქარიშხალი. პოეტის „ლურჯა ცხენები“, წინააღმდეგ „ბოროტების ყვავილებისა“ მახარობელია ძველის ნგრევისა და ახალის დაბადების.

წამოყენებულ თეზისს ადასტურებს ფილოსოფიური ციკლის ერთი ბრწყინვალე ნიმუში „შემოდგომის დღე“. რომანტიკოსისათვის შემოდგომა თავისთავად მიმზიდველია, როგორც თემატიკისა, ისე პოეტური პრობლემატიკის თვალსაზრისით. შემოდგომის მწუხრზე პოეტის ნაღვლიანი კილო უფრო კოლორიტული ხდება. თითქოს იდენტურობა მყარდება სიტყვის ოსტატის განწყობილებასა და შემოდგომის ნაირფერებს შორის. აქ უფრო მეტად იგრძნობა შუქისა და ჩრდილის ერთ-მეორეში გადასვლა, ერთმანეთის შენაცვლება.

შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე,
დღე ნაღვლიანი, ლონე მიხდილი;
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
როგორ ირხევა გაძარცული ტყე.
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე.
სავსე ვარ რაღაც იდუმალ გრძნებით,
გამოუთქმელი მიტაცებს შვება!
რა არის იგი? ბედნიერებით
გამოწვეული უბედურება.
თუ უბედობა სიმწარე—ვნებით.

მაგრამ პოეტის ამ ღრმა სევდაში იჭრება იმედის მომცემი სინათლის სვეტი, რომელიც ახალ სინამდვილეზე, ან უკეთ, მომავალზე მიგვანიშნებს. ეს ტენდენცია საერთოდ იგრძნობა რომანტიკოსების შემოქმედებაში, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკულ პოეზიაში. ოპტიმიზმ-ს ნათელი სვეტით არის განათებული მისი ლექსების ფინალი. სიმბოლიზმს

ამგვარი რამ არ ახასიათებს. გალაქტიონი აქაც სულიერ (და მხოლოდ სულიერ) ნათესაობას ამყარებს ბარათაშვილის პოეზიასთან.

დამშვიდდი, გულო: შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშვიდდი, გულო.
წავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღსდგება გამქრალი ვნება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!

როგორც აქ მოტანილი ტაეპიდან ჩანს, შენაცვლება ჩრდილისა და შუქისა იგრძნობა არა მარტო მხატვრულ ფორმაში. ამ ორი ასპექტით არის განათებული გალაქტიონის მთელი შემოქმედება პირველ პერიოდში. ეს ტენდენცია მკვეთრად ჩანს ლექსში „ეფემერა“. აქ ისევ მეორდება ლურჯა ცხენების მოტივი. აპოკალიპსისეური ცხენების ფეხთა ხმაურში ჩვენ ისევ გვესმის ცხოვრების განახლების მახარობელთა ხმა, რომელიც გვაუწყებს, რომ მუდმივი ნგრევა და მუდმივი აღდგენა ახალ ფორმაში—არის განუსაზღვრელი ბუნების სამეფოსა და სიცოცხლის კანონი; რომ ბუნებაში ნგრევის სტიქიასთან ერთად მოქმედებს აღდგენის სტიქია; რომ ყველაფერზე ბატონობს დრო და სივრცე; და არაფერი არ არის დროისა და სივრცის გარეშე. მაგრამ პოეტი იმასაც კარგად გრძნობს, რომ ის ერთად-ერთია ამ საუკუნის შემოქმედთა შორის, რომლის ბედი ცაშია გადაწყვეტილი.

ვწუხვარ: ერთად-ერთი ვარ და ზეცაზე
სწერია,
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები.
ბედი ქროლვის გარეშე ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.

მაგრამ ეს თვისება არ მიაჩნია გალაქტიონს საკმარისად დიდი პოეტისათვის. დიდი პოეტი მხოლოდ მაშინ არის უძლეველი და მხოლოდ მაშინ ბრწყინავს მისი გენიის ძალა, თუ ის ებჯინება ეროვნულ ნიადაგს. გალაქტიონისათვის არ არსებობს მსოფლიო-ეროვნულის გარეშე. მხოლოდ ეროვნულის გზით მსოფლიოსაკენ.

წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა ქართული,
ძაფი ნერვი არ არის ჩემში არა პოეტის.

ამ ტაეპის ლეიტმოტივი სიმბოლიზმისა და დეკადენტიზმის კოსმოპოლიტური ბუნების წინააღმდეგ არის მიმართული. ჭეშმარიტი პოეზია ეროვნულის გარეშე დგას—აცხადებდა ვერლენი. გალაქტიონი აქაც ანტითეზაა დეკადენტიზმისა.

საანალიზო ლექსის ფინალში გალაქტიონი ისევ მოძრაობის, მოქმედების, სიცოცხლის აპოლოგეტად რჩება.

დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით
გართული,
იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელმართული,
ლანდი არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა.
დარჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა—
[illegible]ებაში,
ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს!
ცხენთა შეჯიბრებაზე, ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა
ცხენებო!

თავისი სინდისის წინაშე მარტოდ დარჩენილი პოეტი ისევ და ისევ სამგზის მოუწოდებს ლურჯა ცხენებს შეჯიბრებაზე, სადაც უნდა გადაწყდეს „ყოფნა—არყოფნის“ მარად ძველი და მარად ახალი კითხვა. არის თუ არა ადამიანი სიცოცხლის ღირსი? ეს კითხვა აწვალებს გალაქტიონს, როგორც პოეტს. ის კარგად გრძნობს, რომ ადამიანი ხშირად არის ჭურჭელი ბოროტებისა. მის სულში ცოცხლობს კაენიც, ლიუციფერიც, დემონიც, მეფისტოფელიც. მაგრამ ბოროტება, რომელსაც ადამიანი სჩადის ადამიანის მიმართ, განპირობებულია არა ადამიანის შინაგანი ბუნებით, როგორც ამას დეკადენტები ფიქრობდნენ, არამედ სინამდვილით. ამიტომ გალაქტიონი ათავისუფლებს ადამიანს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. გამოცვალეთ სინამდვილის მიერ შექმნილი პირობები, რომელიც ადამიანს აიძულებს ბოროტების ჩადენას, და იმავე წამში თქვენს წინაშე დადგება ცოდვათაგან გაწმენდილი, კეთილშობილი ქმნილება. პოეტი მთელ თავის შემოქმედებაში მხარს უჭერს თეზისს, რომ ბუნებით ადამიანი არ იბადება ბოროტი. მხოლოდ სინამდვილე აიძულებს ბოროტების ჩადენას.

შეგებრალება თვითონ კაენიც,
თუ კი პოეტის ჰქვია სახელი.

აქ პოეტი სინონიმია კეთილშობილების, მხურვალე მლოცველის, რომელსაც ცხოვრება ვერ გარყვნის და ვერ მოუსპობს სულიერ თავისუფლებას.

* * *

გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში საპატიო ადგილი უჭირავს ცხოვრებისეულ პრობლემებს, რომლებიც ერთსა და იმავე დროს კონკრეტულიც არის და ზოგადიც. პრობლემატიკის ამ სფეროს განეკუთვნება „მესაფლავე“. ამ ლექსში მთავარი ლირიკული გმირი თვით მესაფლავეა, მაგრამ ის პრინციპულად განსხვავდება შექსპირის ხუმარა მესაფლავეებისაგან. გალაქტიონის მესაფლავე თავისუფალია ცინიზმისაგან. თავისმა მძიმე პროფესიამ მესაფლავე დაარწმუნა ცხოვრების მიერ წამოყენებულ ერთ-ერთ თეზისში; რომ ამ ქვეყანაზე ვინც კვდება, მას დავიწყების ფერფლი მოსავს და ყველა ჩვენთაგანს ავიწყდება. პოეტს არ შეუძლია ირწმუნოს ეს ულმობელი კანონი ცხოვრებისა. მას ვერ წარმოუდგენია იმის დავიწყება,

რაც გიყვარს, რაც წარმოადგენდა შენი სულის ნაწილს, რაც ოდესღაც მშვენიერი იყო შენთვის.

მაგრამ მესაფლავე თავისას არ იშლის! მისთვის სინამდვილე უფრო სარწმუნოა, ვიდრე პოეტური ფანტაზია. მესაფლავე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მხოლოდ დროებითია ყოველივე წარმავალის გახსენება. ის, რაც გუშინ ჩვენთვის სათაყვანებელ არსებას წარმოადგენდა და რომლის წინაშეც მუხლს ვიყრიდით,—სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ფერფლია და ნაცარი.

პოეტს არ უნდა დაიჯეროს ყოველივე ეს. მაგრამ იმისათვის, რომ მესაფლავის მიერ წამოყენებული დებულება დაარღვიო, საჭიროა შესატყვისი ფაქტები. პოეტიც მიცვალებულთა ადგილსამყოფელში ეძებს მაგალითს მესაფლავის მოსაზრების უარსაყოფად. პოეტმა რამოდენიმეჯერ შენიშნა შავებში ჩაცმული ქვრივი, რომელიც დამხობია ქმრის სამარეს და შემდეგი სიტყვებით დასტირის მას:

გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც
ღამის მოჩვენება
არ მეღირსოს კვალ-არეულს სიმშვიდე და
მოსვენება,
შენი სახე გულს კაწრავდეს, როგორც ვიყო,
სადაც ვიყო,
თუ ოდესმე არ მახსოვდე, თუ ოდესმე
დაგივიწყო.

ქალის საქციელით აღფრთოვანებული პოეტი მიუბრუნდება მესაფლავეს, როგორც მკაცრ მსაჯულს, რათა ამხილოს მისი დებულების არაჭეშმარიტება.

მესაფლავე! კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად
ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს
ავიწყდება?

ამ კითხვაზე მესაფლავე უნდობლად იღიმება. ღიმილში ნათლად ჩანს ფაქტი, რომ პოეტის აღფრთოვანება ჯერ ნაადრევია; რომ მესაფლავემ უფრო მეტი იცის ამ საქმის შესახებ, ვიდრე პოეტმა. წლების გამოცდილება არწმუნებს მესაფლავეს, რომ შავებში ჩაცმული ქალის ერთგულების ფიცი მოჩვენებაა მხოლოდ და ამიტომ დროებითი. მას მრავალჯერ გაუგონია ამგვარი სიტყვები, მაგრამ დრო ფანტავს მას უსაზღვრო სივრცეში.

ურწმუნო მესაფლავის პასუხით გამწარებული პოეტი იმავე სასაფლაოზე მოწმე ხდება მეორე მსგავსი ფაქტისა. ახალგაზრდა ვაჟი ასამარებს სატრფოს, რომელიც სიცოცხლეში მისი თაყვანისმცემელი კერპი იყო. ჭაბუკი, სატრფოს კუბოსთან მუხლზე დამხობილი, მარადიული სიყვარულის ფიცს აძლევს ქალს, რომელიც სამუდამოდ გაშორდა მას.

პოეტი ნიშნისმიგებით იმავე სიტყვებით მიმართავს სკეპსისის შხამით მოწამლულ მესაფლავეს:

„მესაფლავე! კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად
ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს
ავიწყდება?

პოეტი ყოველდღე მოწმე ხდება ცოცხლად დარჩენილ ადამიანების გოდებისა მიცვალებულთა საფლავებზე. მაგრამ ერთ დღეს მან იხილა სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა, რომელმაც პოეტს საშინელი გულისტკივილი აგრძნობინა. მგლოვიარე სატრფოები ერთმანეთის სიყვარულით განიმსჭვალნენ და მიატოვეს სასაფლაო. ველურმა ბალახმა დაფარა მიტოვებულთა საფლავები და დროთა ქარიშხლისაგან დამსხვრეული ჯვრები მიწაზე დაცვივდნენ.

განისვენეთ, განისვენეთ, დავიწყებულ არსთა
ძვლებო,
თქვენს ყოფაში მე ბევრი მაქვს მწუხარე
ჟამს საოცნებო.

ამ სიტყვებით მთავრდება გალაქტიონის მწუხარე ლექსი. ამრიგად, მესაფლავემ გაიმარჯვა. მართლაც, დრო ყველაზე დიდი მსაჯული აღმოჩნდა. მაგრამ აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: ნუთუ სიკვდილმა გაიმარჯვა სიცოცხლეზე? ამ კითხვას ლექსის მიხედვით ორი მხარე აქვს: ზოგადი და კონკრეტული. კონკრეტულად სიკვდილი სძლევს სიცოცხლეს და დავიწყების უფსკრული ფარავს გარდაცვალებულის ხსოვნას. მაგრამ ზოგადად მაინც სიცოცხლე იმარჯვებს ორთა ბრძოლაში. ორი ჭირისუფალი შეერთდა სასაფლაოზე, რათა ახალი სიცოცხლე და ახალი ბედნიერება შექმნან მათ. როგორც გალაქტიონი ამბობს; ორივეს მომავალი ასულდგმულებს. სიცოცხლის ძახილი იმდენად ძლიერია, რომ მან ორივე გლოვისა და მწუხარების სფეროდან გამოიყვანა და ახალი სიხარულისა და ბედნიერების სამფლობელოს კართან მიიყვანა.

ამ ფონზე გალაქტიონი დასტირის დაკარგულთ, რომელთა ხსოვნა სამუდამოთ გაქრა. სამაგიეროთ პოეტი შეგნებულად იზიარებს და უთანაუგრძნობს ახალ სიცოცხლეს, რომელიც შექმნა ორი ადამიანის შეერთებამ.

ეს არის დიდი კანონი ცხოვრებისა და გალაქტიონი მხარს უჭერს ამ კანონს.

დროთა ვითარებაში პოეტი პერმანენტულად უბრუნდება შავი ყორანის სიმბოლიკას. ცნობილია, რომ შავი ყორანი, როგორც უბედურების მაუწყებელი. ჯერ კიდევ შორეული საუკუნეების სიღრმეში ხალხურმა სიტყვიერებამ წარმოგვისახა. შემდეგ ანტიკურმა და შუა საუკუნეების სიტყვაკაზმულმა მწერლობამ მიაქცია ყურადღება. ბოლოს მსოფლიო რომანტიზმმა შავი

ყორანის სიმბოლიკური ცნება მიიღო, როგორც ბოროტების შემცველი ფენომენი, მაგრამ არცერთი პოეტის შემოქმედებაში ამ ცნებას არ მიუღწევია ისეთ სიმაღლემდე, როგორც ნიკო ბარათაშვილის „მერანში“.

მერანისა და ყორანის შერკინების ფონზე ბარათაშვილი ქმნის იდეურ და მხატვრულ კონცეფციას, სადაც კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლა მოჩანს, როგორც ლოგიკური ფაქტორი ცხოვრებისა. ის არ განისაზღვრება დროის ლოკალით და მუდმივი ფაქტორის მნიშვნელობა ენიჭება.

გალაქტიონიც ამ ჭრილში ათავსებს შავი ყორნის სიმბოლიკას, მაგრამ ფორმისა და შინაარსის პრობლემატიკა სხვადასხვა გვარად წყდება, რადგანაც სხვადასხვა დროის ფაქტორები მოქმედებენ.

ბედგამწარებული პოეტი ცხოვრების დიდ გზაზე მიისწრაფის ახალი სინამდვილისაკენ, ახალი იდეალებისაკენ. შავი ყორანი გამყივარი ხმით აფრთხილებს პოეტს: ნუ იხედები წინ, რადგანაც წინ არაფერია ისეთი, რომელიც ეთანხმებოდეს შენს იდეალებს. ნურავის ნუ ელი ამ გზაზე, რადგანაც ეს არის დაწყევლილი გზა და ამ გზაზე მოსიარულეს სიცოცხლის ფასად უჯდება ჭეშმარიტების მოპოვება. მაგრამ პოეტი ტანჯვით და მწუხარებით აგრძელებს მძიმე გზას. უეცრად გზა ყორნისფერი ხდება.

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეში გაჭირდა გავლა.
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.
გადაიფრინა და მომაგონა
დრო, უბედობის გვერდით მხლებელი,
ჟამი ყველაფრის მქმნელ-გარდამქნელი,
სივრცე ყველაფრის მიმტოვებელი.

შავი ყორანის ფონზე დრო და სივრცე პოეტის მიერ კვლავ წარმოსახულია, როგორც უფსკრული, სადაც ყველაფერი ინთქმება. უფსკრულის თავზე დამდგარა ბელზებელი სიკვდილის ცელით, რათა აღასრულოს დროისა და სივრცის ბრძანება.

ამ განწყობილებით გალაქტიონი წერს ლექსს „მას გახელილი დარჩა თვალები“.

მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო
მზე მიიცვალა ღია თვალებით.
ის მიიცვალა რაღაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალებით.

მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები!

მზის გარდაცვალების აბსტრაქტულ წარმოდგენაში პოეტს ესმის სამგლოვიარო ხმა. ამ ხმაზე ყველაფერი ყვითლდება. ეს გარემოება პოეტში აღძრავს კოსმიურ სევდას. ამ სევდით არის გამოწვეული სტრიქონები:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩემი და ფერმიხდილი?
მე გზა არ ვიცი უახლოესი;
ერთად ერთი გზა არის სიკვდილი.

მაგრამ ეს არ არის სიკვდილის აპოლოგია, როგორც სჩვეოდათ ხოლმე დეკადენტებს. აქ სიკვდილზე საუბარია, როგორც აუცილებლობაზე. რაკი მზე გვანიჭებს სიცოცხლეს და მის გარეშე შეუძლებელია რაიმე სიცოცხლე, პოეტი იძულებულია მიმართოს თვითმკვლელობას, რადგანაც წყარო სიცოცხლისა—მზე, დროისა და სივრცის ბორკილებით შებოჭილი, გარდაიცვალა. მზის გარეშე სიცოცხლე კი სიცოცხლედ აღარ ღირს. თუ გონების თვალით შევხედავთ ციტირებულ ტაეპებს, დავინახავთ, რომ იქ არის სევდა სიცოცხლეზე.

ამ შეგნებით არის გამოწვეული გალაქტიონის დაუძლეველი ლტოლვა ქარებისაკენ, როგორც ცხოვრების განახლების სიმბოლოსაკენ.

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ!
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს...
ვერ გპოვებ ვერადროს, ვერადროს...
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველდროს, ყოველთვის, ყოველგან.
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის,
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის.

ამ ფონზე გალაქტიონის სევდიანი სახე ერთხელ კიდევ გაიელვებს „მგლოვიარე სერაფიმებში“. პოეტი გაიხსენებს მთელ თავის ცხოვრებას. მძიმე გზა, რომელიც ცხოვრებაში ტანჯვით გაიარა პოეტმა, აქ წარმოდგენილია, როგორც ტანჯვისა და დიდების გზა. მე პოეზიამ სიკვდილისა და დავიწყების მსახვრალ ხელს ამარიდაო,—ამბობს პოეტი. პოეზიამ მე მარგუნა ერთი მხრით, დაფნები, ვით კეისარს, მეორე მხრით, ვცლიდი შხამით სავსე ფიალებს. როცა მოვკვდები, საფლავზე დადგებიან ცაცხვები. მოვლენ პოეზიით შთაგონებული ადამიანები და იტყვიან: „აი ჭეშმარიტი პოეტი“; თანაც დასძენენ:

როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაქტიონი.

დასკვნა: გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკის სევდიანი კილო გაპირობებულია ეპოქის ხასიათით. სინამდვილის ფილოსოფიური წარმოსახვა მხატვრულ ფორმაში და იმ პრობლემატიკის ესთეტიკური აღქმა, რომელიც ერთი მხრით პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ წარმოიშვა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში, მეორე მხრით, „ყოფნა-არყოფნის“ მარადიული პრობლემის გააზრებით გადაიქცა გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკის ორგანულ ნაწილად. ეპოქის ხასიათთან ერთად, გალაქტიონის პოეტურმა ინდივიდუალობამ განსაზღვრა მისი ფილოსოფიური ლირიკის ბუნება. ამავე გარემოებით არის მოძებნილი დიდებული მხატვრული ფორმა, რომელიც ადეკვატურია პოეტის მდიდარი სულიერი ცხოვრებისა.

გალაქტიონი თავის ფილოსოფიურ ლირიკაში როდი ემორჩილება უნუგეშო ხვედრს, რომელიც მაშინდელმა სინამდვილემ არგუნა პოეტს. არაგონიერ სინამდვილესთან სულიერი კონფლიქტი განსაზღვრავდა გალაქტიონის პოეზიის ძალასა და სიმდიდრეს. აწმყოს უარყოფა მომავლის სახელით—იყო სასიცოცხლო დევიზი პოეტისა.

გალაქტიონის პოეტური სტიქია იყო მუდმივი ძიება და სწრაფვა ახალი სინამდვილისაკენ.

გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკა ადასტურებს გალაქტიონის მხატვრული ხილვის არა მარტო ფართო ჰორიზონტს, არამედ მისი წარმოსახვის მხატვრული ფორმის ორიგინალობას, რომელიც განსხვავდება ქართული პოეზიის დღემდე არსებული კლასიკური ფორმებისაგან.

როცა გალაქტიონის ორიგინალურ ფორმაზეა საუბარი, აქ არ უნდა ვიგულისხმოთ მისი ლექსების მხოლოდ რიტმისა და რითმის სიახლე, რომლებიც თავის მხრივ მართლაც, გაუმეორებელნი არიან ქართულ ლიტერატურაში, არამედ საუბარია მთელ კომპლექსზე, მთელ მხატვრულ ქსოვილზე, სადაც სინამდვილის მხატვრული წარმოსახვიდან გამორიცხულია ხბოსებური აღტაცება, — გამოწვეული რაღაც წუთიერი, არამკვიდრი უშუალო შთაბეჭდილებიდან. სინამდვილის მხატვრული აღბეჭდვა გულისხმობს მის გულში შეჭრას, მისი ყველა საიდუმლოს გახსნას, მასში მოქმედი ძალების შეჯახების ნიადაგზე გამოწვეული ტრაგედიის ღრმა შეცნობას, ადამიანთა სულიერი ცხოვრების სწორად გაგებას, რომ ეს ნახული და განცდილი გადაადნოს შემოქმედების სულის ბრძმედში, რათა რეალურმა სინამდვილემ ხელოვნებაში იპოვოს თავისი მხატვრული ასახვის შესატყვისი ფორმა.

გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკა ადასტურებს, რომ მის ყოველ ლექსში იგრძნობა დიდი ჰორიზონტი პოეტური ხედვისა და ცხოვრების მხატვრული შემეცნების უდიდესი სიღრმე. ის რეალურ სინამდვილეს უმზერს, როგორც მიუდგომელი მსაჯული. მან კარგად იცოდა მისი ავიცა და კარგიც. ის ეძებდა მშვენიერს, მაგრამ გვერდს არ უვლიდა მახინჯს. მან იცოდა, რომ მშვენიერი მთელ თავის ბუნებას ააშკარავებდა სიმახინჯის გვერდით. პოეტი ეტრფოდა შორეულსა და მიუწვდომელს, მაგრამ აწმყოს როდი უარყოფდა წარსულის სახელით. აწმყოს იგი აფასებდა მხოლოდ მომავლის, უკეთესი მერმისის თვალსაზრისით.

გალაქტიონმა იცოდა სიმღერა მთელი გულით, და მისი გულწრფელობა აღემატებოდა ადამიანურ შესაძლებლობას. იგი გულდაკოდილი მღეროდა, მაგრამ ნათლად ხედავდა მომავალი დღის განთიადს.

გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში აისახა გარკვეული ეპოქის ადამიანების სიხარულიცა და მწუხარებაც, მაგრამ ის არ მომკვდარა ამ ეპოქისა და ადამიანების სიკვდილთან ერთად. მხატვრული განზოგადების კოლოსალურმა უნარმა, რომელიც ჭეშმარიტი შემოქმედის ბუნებრივი თვისებაა, გალაქტიონს მისცა საშუალება თავისი დროის ტკივილებზე ემღერა ისე, რომ ის საყოველთაო ზოგადი, სხვა დროისა და ადამიანებისათვისაც ახლობელი, მათი სულიერი ცხოვრების ნაწილიც ყოფილიყო. ამიტომაა, რომ ყოველი ახალი თაობა გალაქტიონის ფილოსოფიურ ლირიკაში იპოვის ესთეტიკური სიამოვნების უშრეტ წყაროს.

ასეთია გალაქტიონის ფილოსოფიური ლირიკა მისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კოჭლავაშვილი

# გიორგი წერეთელი და ჭალის ნავთობის საკითხი

გიორგი წერეთელს, ისევე როგორც სხვა მოწინავე ქართველ მოღვაწეებს, საქართველოს დაწინაურების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თავის „მგზავრის წერილებში“ იმ დროს ჯერ არ არსებული „კავკასიის სამთო შკოლების“ ინსპექტორად „დანიშნა“ კაკოლიკი — შემდგომში ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის ცნობილი ქართველი მრეწველის პროტოტიპი.

გიორგი წერეთელმა ხელი მოკიდა ჭალის ნავთობის საბადოთა დამუშავებას და ამ საქმეში ჩააბა ცნობილი ქართველი მემამულე — „რაციონალიზატორი“ ივანე მუხრანბატონი. უკანასკნელთან ერთად დააარსა სპეციალური კომპანია, რომელმაც ფართო მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა საბადოების დასაზვერავად, და დღე-ღამეში 20 ფუთ ნავთობს იღებდა[1]. საბადოების ექსპლოატაცია დაიწყო 1882 წლიდან. ბევრი ჭაბურღილიდან ნავთობმა შადრევნებად ამოხეთქა[2]. ამ ახალმა წამოწყებამ სპეციალისტებისა და მეწარმეთა ყურადღება მიიპყრო. იგი დაუთვალიერებია ინჟინერ სტ. გულიშამბაროვს და საბადოებისათვის მაღალი შეფასება მიუცია[3]. სარეწავს პრაქტიკულად ხელმძღვანელობდნენ გიორგი წერეთელი და ივ. მუხრანბატონის ძმა — მიხეილი.

საბადოების უფრო ფართო მასშტაბით დამუშავების მიზნით კომპანია ცდილობდა ახალი კაპიტალის მიზიდვას, ღრმა ბურღვაზე გადასვლას, უახლესი ტექნიკის გამოყენებასა და საღ. ყვირილამდე ნავთსადენის გაყვანას. ამისათვის გიორგი წერეთელს შეუდგენია ჭალის საბადოების დაწვრილებითი აღწერა, რომელიც ცალკე ბროშურად დაიბეჭდა და დაინტერესებულ კომპანიებს დაეგზავნა[4]. მაგრამ კომპანიონების გამონახვა ადვილი არ იყო, განსაკუთრებით ჭალის საბადოებისათვის, რომლის დამუშავებას ართულებდა რკინიგზის სიშორე და საჭაპანო გზის უვარგისობა. ამიტომ კომპანიას დახმარებისათვის მიუმართავს ნიკო ნიკოლაძისათვის, რომელიც მაშინ რკინიგზის სისტემაში მუშაობდა, მსხვილ მრეწველთა შორის დიდი გავლენით სარგებლობდა და დაინტერესებული იყო საქართველოში ნავთის მრეწველობის განვითარებით. 1883 წლის დამდეგს მ. კ. მუხრანბატონს მისთვის გადაუგზავნია გიორგი წერეთლის მიერ შედგენილი ბროშურა და კომპანიის სახელით წერილი, რომლითაც აცნობებდა, რომ ჭალის ნავთობის საბადოებით დიდად დაინტერესდა ინჟ. ბუნგე და მან წინასწარი მოლაპარაკებაც კი დაიწყო გიორგი წერეთელთან. ამავე საბადოებით სხვებიც დაინტერესებულან, სარეწავი ადგილზე დაუთვალიერებიათ, მაგრამ ვერ შეთანხმებულან და უკან გაბრუნებულან. ამიტომ გიორგი წერეთელსა და მ. კ. მუხრანბატონს გადაუწყვეტიათ სხვა კომპანიები გამოენახათ და თხოვნით მიუმართავთ ნიკო ნიკოლაძისათვის: „ჩვენ, გიორგი ექვთიმეს ძესთან ერთად, გადაწყვიტეთ მოგმართოთ უკიდურესი თხოვნით, რათა ჩვენი ახლად აღმოჩენილი ნავთობი გამოუცხადოთ, ვისაც საჭიროდ დაინახავთ. უპირველეს ყოვლისა, სასურველი იქნებოდა მოელაპარაკებოდეთ პალაშკოვსკის. მისი აზრი აქ ბუნგეზეც იმოქმედებს... (მასთან) ჩვენ პირობებში ვერ ვთანხმდებით. ნავარაუდებია ნავთობის ექსპლოატაცია 2 ან 3 მილიონი ფუთის რაოდენობით. თუ ეს განხორციელდა, მაშინ მოგება კოლოსალური იქნება“.[1]

საბადოების უფრო ფართო ექსპლოატაციის დაწყება კომპანიას გათვალისწინებული ჰქონდა 1883 წლის მაისიდან, თუ საჭირო ფულად სახსრებს გამონახავდა. ამიტომ გიორგი წერეთელი ენერგიულად ცდილობდა, როგორმე შეძლებული კომპანია მიეზიდა. 1883 წლის მარტში ის ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „ძმაო ნიკო! დიდი ხანია შენთვის წიგნი უნდა მომეწერა, მაგრამ აქამდის ვერ შევიხვედრე ჰარჯვე დრო. ახლა მით უფრო ვიჩქარი, რომ ბუნგეც მად არის. გაზეთებიდან შეტყობილი გექნება, რომ ჭალის მთაში ბევრი ნავთი გამოჩნდა და ძალიან კარგის თვისებისა; თვითონ ბუნგემ გამართა ჩემთან მოლაპარაკება კომპანიის შედ-

---

1 „დროება“, 1881, № 114, გვ. 2.

2 ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივი საქ. საჯარო ბიბლიოთეკაში, საბ. № 40-913.

3 „Кавказ,“ 1882, № 131, 154.

4 ნიკო ნიკოლაძის არქივი, საბ. № 40-873.

1 იქვე.

გენაზე, მაგრამ, როგორც შევატყვე, ვერც გაბედა საქმე დაებოლავებინა კაპიტალის უქონლობის გამო. ახლა საქმე ამნაირ მდგომარეობაშია: სანდრო ერისთავმა მოიყვანა ერთი ფრანცუზი კაპიტალისტი სახელად ლესკანი, რომლისთვისაც თავის გოგირდის მადანი ჩირკატში მიუყიდნია. ის ფრანცუზი აპირებს, მგონია, ჩვენთან კომპანიის შედგენას. მე ახლა ერთი კომბინაცია მაქვს, რომელიც, ვფიქრობ, პალაშკოვსკისათვისაც დარჩება სასარგებლო და ჩემთვისაც. ამისათვის გთხოვ, ამ საქმეში დამეხმარო. აი, საქმე როგორ არის. მე შემიძლია ჭალის მთაში დიდი მონაწილეობა ვიყიდო იაფად. მაგალითად, პირობა შემიძლია მივსცე ათას თუმნად ვუყიდო მონაწილეობა არა ნაკლებ ორი ათასი დესეტინისა. ასე რომ დესეტინა მოდის ხუთ მანეთად. უკეთუ ეს მონაწილეობა ექვსი თვის განმავლობაში არ ჩავაბარო კუპჩით, მე ხელი ავიღო ჩემს კანტრაქტზე იმის სასარგებლოთ, ვინც მიშოვის ათას თუმანს... მაგრამ საჭიროა ეს საქმე მაისამდის შევასრულოთ, თორემ მერე ნავთის ექსპლოატაცია დაიწყება და მაშინ ამ კომბინაციას არაც თუ ათას თუმნათ, ვეღარც ასი ათას თუმნად ვიშოვით. მაშ ერთი შენებურად დაფაცურდი და უთხარი პალაშკოვსკის ასე: **Хотите ли сделаться собственником двух тысяч десятин нефтенос ой земли. Если желаете. то выдайте через г. Б нге г. Церетели 10 т/рубл..** დღეს თუ ხვალ ჭალის დღეს თუ ხვალ ჭალის მთის საქმე დიდს წარმატებაში წავა და საჭიროა მაგრად ჩავსდგათ ფეხი შიგ... მე მგონია პალაშკოვსკისა და ბუნგესათვისაც ის აჯობებს, რომ მონაწილეობა იშოვნონ ჭალის მთაში ასე იაფად. თუ გარეშე კომპანია გაკეთდა, ეგენი მაინც ბატონები იქნებიან ექსპლოატაციისა, და თუ თვითონ დაიწყეს ექსპლოატაცია, მაინც უფრო იაფათ დაუჯდებათ წარმოება ერთი ათასად"[1].

ნიკო ნიკოლაძე თავიდანვე ცხოველ ინტერესს იჩენდა ჭალის ნავრობის საბადოებისადმი და ენერგიულად ეხმარებოდა „საზოგადოებას". საარქივო საბუთებიდან ჩანს, რომ მას სპეციალური შენიშვნებიც გამოუგზავნია „საზოგადოებისათვის". სამწუხაროდ, ამ საბუთს არქივში ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ სხვა მასალებიდან ჩანს, რომ ნიკო ნიკოლაძე „საზოგადოებას" ურჩევდა, რათა არ ვატაცებულიყო საბადოს მხოლოდ ექსპლოატაციით და უფრო ფართოდ მოეწყო გეოლოგიური დაზვერვა. ეს შენიშვნა „საზოგადოებამ" უყოყმანოდ მიიღო. მ. მუხრანბატონი ნ. ნიკოლაძეს სთხოვდა, რათა მოლაპარაკებოდა ნავთის ცნობილ მრეწველს ნობელს, რომლისთვისაც ზემო იმერეთის „საზოგადოებას" თავისი განაცხადი ადრევე გაუგზავნია ბაქოში. როგორც ირკვევა, ნობელს ეს განაცხადი დასკვნისათვის თავის ამხანაგობისათვის გადაუგზავნია პეტერბურგში, მაგრამ მან ეს საკითხი უყურადღებოდ დატოვა, რადგან ნობელის კომპანია ახალი სარეწავის აღმოცენებას ეწინააღმდეგებოდა, როგორც მოსალოდნელ კონკურენტს.

ჭალის ნავთის სარეწავი, მართლაც, დასაწყისშივე ერთგვარ კონკურენციას უწევდა ბაქოს მრეწველობას, რადგან ბაქოდან ნავთის ტრანსპორტირება რთული იყო და ძვირი ჯდებოდა. ზემო იმერეთის „საზოგადოებას" თბილისში, მადათოვის კუნძულზე გახსნილი ჰქონდა სავაჭრო საწყობი. ზემო იმერეთიდან ნავთი ტიკებით ჩამოჰქონდათ სად. გომში, ხოლო იქიდან თბილისში რკინიგზით. ტრანსპორტირების ასეთი სირთულის მიუხედავად, ჭალის ერთი ფუთი ნავთი თბილისში 90 კაპიკად იყიდებოდა, მაშინ, როდესაც საჭაპანო გზით ჩამოტანილი ბაქოს ნავთი 50 კაპიკით უფრო ძვირად ფასობდა. სწორედ ამან განაპირობა დასაწყისში ზემო იმერეთის „საზოგადოების" წარმატება, რაც დიდხანს არ გაგრძელდა. მალე ბაქოს მრეწველობა რკინიგზით უშუალოდ დაუკავშირდა ევროპისა და რუსეთის ბაზარს; ზემო იმერეთის ჯერ ისევ სუსტმა სარეწავმა ვეღარ გაუძლო ბაქოს კაპიტალის მძლავრ შემოტევას და თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. „საზოგადოება" იძულებული გახდა თბილისში სავაჭრო საწყობის მოქმედებაც შეეწყვიტა[1].

მიუხედავად ამისა, ჭალის ნავთობისადმი ინტერესი არც შემდგომ შენელებულა, განსაკუთრებით, გიორგი წერეთლის მხრით. ამ საბადოების ექსპლოატაციით დაინტერესებული იყო აგრეთვე ნიკო ნიკოლაძე. გიორგი წერეთლის თხოვნით მან გამონახა შეძლებული კომპანია, რომელიც თანახმა იყო მონაწილეობა მიეღო ჭალის საბადოთა დამუშავებაში[2]. მაგრამ ამ კომპანიას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია.

გიორგი წერეთელს გათვალისწინებული ჰქონდა ერთდროულად ზემო იმერეთის მანგანუმის, ტყვია-ვერცხლისა და სხვა საბადოების დამუშავებაც, თუ ამ საქმეს სხვა რომელიმე კომპანია მოკიდებდა ხელს. ნიკო ნიკოლაძემ „საზოგადოებას" ამ საქმეშიც დიდი დახმარება აღმოუჩინა დაინტერესებული კომპანიის გამოძებნით. ამით აღფრთოვანებული გიორგი წერეთელი თავის „შეფს" — ნიკო ნიკოლაძეს სთხოვდა, საქმე ბოლომდე მიეყვანა, რითაც

[1] ნიკო ნიკოლაძის არქივი, საბ. № 40-1402; სიმ. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბილისი, 1949, გვ. 135-136.

[1] იქვე, საბ. № 40-877.

[2] იქვე, საბ. № 40-874.

— წერდა ის, — „მეგობრულად ხელს გამოგვიწვდი ჩვენი მშობლიური მხარის წარმატებისათვისო"[1].

მაგრამ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა გიორგი წერეთლის ეს აღტაცებაც. საქმე ისაა, რომ არც ამ ახალმა კომპანიამ არ ისურვა მონაწილეობა მიეღო ჭალის საბადოთა დამუშავებაში. ეს წამოწყებაც ბაქოს მაგნატებმა ჩაშალეს, რასაც მ. კ. მუხრანბატონი ადრევე ითვალისწინებდა. იგი ნ. ნიკოლაძეს სწერდა, რომ ზემო იმერეთის „საზოგადოების" მთელი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იქნება კონტრაგენტიო: „თუ კონტრაგენტი ბაქოს მრეწველია, მაშინ მას ადვილად აღეძვრება სურვილი, რათა თეძელეთის ნავთის საქმე დაამუხრუჭოს. კონტრაქტი მხოლოდ შენიღბავს ასეთი მოღვაწის ჭეშმარიტ მისწრაფებას. რომ ბაქოს ინტერესებისათვის ჩვენი ნავთის საქმე ჩაშალოს... თუ ეს პიროვნება (კონტრაგენტი) ახლოა ამიერკავკასიის რკინიგზის ინტერესებთან, ამ შემთხვევაშიც ის თეძელეთის ინტერესებს ბაქოს სასარგებლოდ გასწირავსო"[2].

ეს ეჭვი უსაფუძვლო არ იყო, რადგან ბაქოს მსხვილი მონოპოლისტები ყოველ ახალ სარეწავს წარმოშობისთანავე ახშობდნენ. მაგალითად, როგორც კი მაიკოპის საბადოები გამოჩნდა, ბაქოს მრეწველებმა მყისვე შეიძინეს ნავთობიანი ნაკვეთები, მაგრამ მათ დამუშავებას განზრახ აყოვნებდნენ. ამავე მონოპოლისტთა მცდელობით ჩაიშალა ნიკო ნიკოლაძის პროექტი შავიზღვისპირეთში ნავთის დიდი ქარხანა-კომბინატის აგებაზე.

რკინიგზის მცირე გამტარუნარიანობა და ნავთსადენის საკითხის ხელოვნურად დაყოვნება მნიშვნელოვნად აფერხებდა ბაქოს მრეწველობის უფრო სწრაფ განვითარებას. ამ საკითხებზე ნ. ნიკოლაძე მწვავე პოლემიკას აწარმოებდა ბაქოს მრეწველებისა და რკინიგზის ხელმძღვანელ მოღვაწეთა წინააღმდეგ, აგრეთვე ცნობილ რუს მეცნიერ დ. ი. მენდელეევთან. ილია ჭავჭავაძემ რამდენიმე სპეციალური სტატია მიუძღვნა ამ საჭირბოროტო საკითხებს, მაგრამ ტრანსპორტი მაინც დიდხანს მოუგვარებელ პრობლემად დარჩა ბაქოს მრეწველობისათვის.

ამიტომ გიორგი წერეთელი ცდილობდა საჩქაროდ შეედგინა ახალი კომპანია და საჩხერეში რკინიგზა გაეყვანა. ამ მიზნით ის ხშირ-ხშირად უგზავნიდა წერილებს ნ. ნიკოლაძეს სხვადასხვა თხოვნებით. ასე, მაგალითად, 1883 წელს, 24 დეკემბერს ის ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „ჭალის მთის შესახებ წიგნი მოგწერე და კიდევ გწერ. რაკი რკინიგზა გაგვყავს, რაც შეიძლება მალე გააბედვინე ბუნგეს. რომ შემოვიდეს ამხანაგად... აწ შენი საქმეა და ეცადე ახლავე გადააწყვეტინე, რომ ეს მშვენიერი მთა მტკიცედ გვქონდეს ხელში. მე მგონია ფალაშკოვსკი უფრო დაგვყვება ამ საქმეში. ის დაიხმარე და იმის შემწეობით მალ თუ არ გადაწყვიტეთ, მერე, ბუნგე რომ წამოვა, უფრო ძნელი იქნება. ბუნგე ცოტა არ იყოს მძიმე და შეუგნებელი კაცია; „Пллашковский солее широкая натура"[1]

მეორე დღეს, ე. ი. 25 დეკემბერს, გიორგი წერეთელი იმავე ადრესატს აცნობებდა: ბუნგეს გავუგზავნე წერილი იმაზე, რომ ინგლისიდან წინადადება მივიღე ჭალის მთის საბადოების დასამუშავებლადო[2]. ორი დღის შემდეგ ისევ სწერდა ნიკოლაძეს, რომ ჭალის მთის ნავთობის საკითხებზე პეტერბურგში აგზავნის სანდრო ერისთავს[3]. კიდევ ორი დღის შემდეგ გ. წერეთელი კვლავ აცნობებდა, „ჭალის „მარგანეცის საქმე ძალიან კარგი საქმეა, მომეხმარე ბუნგესთან", რომელიც ერთდროს დაინტერესებული იყო ამ საკითხითო[4]. იმავე დღეს ვინმე ლიბერმანისათვის გაუგზავნია წერილი ჭალის მანგანუმის საბადოს დამუშავებაზე[5]. 1884 წლის 2 თებერვალს ნიკო ნიკოლაძეს სწერდა, მეისნერის ინჟინრები ყვირილის რკინიგზის ტრასას სწავლობენ და გეგმას ადგენენო[6]. 25 თებერვალს, მასვეატყობინებდა, რომ ჭალის მთა იჯარით აიღო, მოლაპარაკებას აწარმოებდა გლეხებთან, დამთავრდა ჭიათურის რკინიგზისათვის დასახული ტრასის გამოკვლევა და სხვ.[7] ერთი კვირის შემდეგ, 3 მარტს, კი სწერდა ხონის რკინიგზის. ბათუმში ნავთის გაყიდვისა და, ამასთან დაკავშირებით, სავაჭრო კანტორის მოწყობისა და სხვათა შესახებ[8], მეორე დღეს — ისევ ჭიათურისა და ხონის რკინიგზებზე[9].

1884 წლის 31 მარტს გ. წერეთელი პეტერბურგში მყოფ ნ. ნიკოლაძეს უკვე იმედგაცრუებული ურჩევდა: „წამოდი ჩემსკენ, დროა რის ეს უკანასკნელი ათი წელიწადი ალაგობრივ ვიშრომოთ, რომ რაც დაგვიწყია, იქნება რამდენიმე ნაბიჯით წინ წავსწიოთ ეს საქმეები... ვგონებ ამ აპრილის გასვლამდის მეც მშვეპიერათ გავათავო ჭალის მთის საქმე და მაშინ ნახავ, რა ძვირფასი ვიქნებით ერთმანეთის"[10].

ვინ იცის, გიორგი წერეთელმა კიდევ რამ-

1 იქვე, საბ. № 40-871.
2 იქვე, საბ. № 40-878.

1 სიმ. ხუნდაძე, დას. შრ., გვ. 138.
2 ნიკო ნიკოლაძის არქივი, საბ. № 13-320.
3 იქვე, საბ. № 13-321.
4 იქვე, საბ. № 13-335.
5 იქვე, საბ. № 13-335.
6 სიმ. ხუნდაძე, დას. შრ., გვ. 142-143.
7 იქვე, გვ. 146, 148.
8 იქვე, გვ. 150-151.
9 იქვე, გვ. 152-153.
10 იქვე, გვ. 155.

დენი, ჩვენამდე მოუღწეველი, ბარათი გაუგზავნა ნ. ნიკოლაძესა და სხვა პირებს ჭალის მთის საკითხებზე, მაგრამ დამოწმებულიდანაც ნათელია, როგორ დაუცხრომელ ინტერესს იჩენდა ის ჭალის საბადოებისადმი, ამის შედეგად ზემო იმერეთის საბადოებმა ბევრი საზღვარგარეთული კომპანია მიიზიდა. ისინი ადგილზე ეცნობოდნენ საბადოებს, მიჰქონდათ ნიმუშები და გიორგი წერეთელს ნაირნაირ დაპირებებს აძლევდნენ. გიორგი წერეთელი 1884 წლის 30 ნოემბერს ნიკო ნიკოლაძესატყობინებდა: „ჩემთან ჭალის მთაში იყვნენ გერმანიის კაპიტალისტების წარმომადგენელი იოლესი და ბელგიის ტყვია-ვერცხლის სამთო მადნის დირექტორი ბილპაცი. ეს უკანასკნელი ძალიან დახელოვნებული ინჟინერი ყოფილა და ავტორიტეტიც ჰქონია. იოლესმა მითხრა, ეს კაცი მიტომ წამოვიყვანე, რომ ამის დაკლადს დიდი მნიშვნელობა ექნება ბერლინისა და დრეზდენის კაპიტალისტების წრეშიო. ამ ბილპაცს ჭალის მთა მოეწონა თავის ნიმუშებით. წაიღეს რკინის ნიმუში, ვერცხლ-ტყვიის მადნის ნიმუში, ოთხი ბოჭკა, ასე ოც ფუთამდი, თედელეთის ნავთი, გიშრის ნიმუში, ქვანახშირის ნიმუში, მარგანეცის ნიმუში და სხვა. დასწერეს ჩემთან წინდაწინი პირობა და ითხოვეს ექვსი თვის ვადა, რომლის განმავლობაში იმათ უნდა გამოგზავნონ ინჟინრები იზისკანიისათვის და ნამდვილი კანტრახტის შესაკრავათ. მე ჯერ კიდევ არ მჯერა ეს ამბავი, თორემ თუ საქმე ასრულდა, მოვითქვამთ სულს. ამავე კომპანიამ იყიდა პირობით სოლომონ შაბუროვისაგან ჩათახის ზავოდი, ნოვოროსიისკში ნავთის ადგილები ლევან მელიქოვისაგან და მოელაპარაკა მირზოევს მისი ზავოდისა და ალაგების ყიდვაზე სამ მილიონათ. ისინი უნდა დაბრუნდნენ ჩემთან მარტში. კარგი იქნება, რომ პალაშკოვსკის ზავოდი მივაყიდვინოთ ამ კომპანიას. ამას მიტომ გეუბნები, რომ მითხრეს, გაარიგე გაყიდვაო. იმათ თქვეს, რომ გერმანიაში დგება აქციონერული კომპანია მათის მოქმედებით, რომელსაც ექნება ორმოცი მილიონი ტალერი ფონდი კავკასიის მადნების საზოგადოთ საექსპლოატაციოთო. რამდენად რიგიანი კაცები არიან, ამას გამოაჩენს დრო, ვნახოთ“[1]

მაგრამ პრაქტიკულად არც ამ კომპანიას გაუკეთებია რამე. სხვათა შორის, გიორგი წერეთელი თავიდანვე დარწმუნებული არ ყოფილა იოლეს-ბილპაცის დაპირებათა რეალობაში და ის ამ შემთხვევაშიც მართალი აღმოჩნდა. ამიტომ მან საზღვარგარეთულ კომპანიებს, საერთოდ, ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა. ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა ხელი აიღეს უცხოური კაპიტალის გამოყენებაზე და შეეცადნენ ამ საქმეში ისევ ადგილობრივი და რუსეთის კაპიტალი ჩაებათ. 1886 წლის 12 ივლისს გიორგი წერეთელი ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „სმირნოვი... დაიმედებული შენი სიტყვებით, უკანასკნელს ღონისძიებას ხმარობს, რომ ნიმუშები მიაწოდოს ბათუმს როტშილდის ნავთის ზავოდს“[1], ხოლო ორი წლის შემდეგ აცნობებდა: „ი. ბ. გოლდფარბი ის კომისიონერია, რომელიც ჭალის საქმეების მოგვარებაში მეხმარებაო“[2].

80-იან წლებში, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა ჭიათურაში რკინიგზის შტოს გაყვანა, რასაც წინაღუდგა კავკასიის სამთო სამმართველო და სამთო დეპარტამენტი ცენტრში. ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვა მოწინავე ქართველი და რუსი მოღვაწენი აღნიშნული შტოს გაყვანის საჭიროებას ასაბუთებდნენ ერთდროულად ჭალის ნავთობის ექსპლოატაციის აუცილებლობით. გიორგი წერეთელი 1884 წელს ვინმე იასონ კაპანაძის წერილის[3] საპასუხოდ აღნიშნავდა, რომ ზემო იმერეთი საუნჯეა ბუნებრივი სიმდიდრეების, მათ შორის ნავთობის, რომლის დამუშავება დაიწყება ახლო მომავალში და რკინიგზას დატვირთავსო[4]. თედელეთის ნავთობის ექსპლოატაციის აუცილებლობით ასაბუთებდა საჩხერემდე რკინიგზის გაყვანის საჭიროებას აგრეთვე საჩხერის რაიონის მემამულე გიორგი წერეთელი[5]. ინჟ. ბ. სტატკოვსკი, რომელიც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ნიკო ნიკოლაძესთან, ჭიათურის რკინიგზის საჭიროების დასაბუთებისას აღნიშნავდა, რომ ჭალის ნავთობს დიდი მომავალი აქვს და რკინიგზის გაყვანა ხელს შეუწყობს ზემო იმერეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებასო[6]. აკაკი წერეთლის უფროსი ძმა — დავითიც საჩხერემდე და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიამდე რკინიგზის გაყვანას ამავე გარემოებით ასაბუთებდა მინისტრისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში[7].

---

[1] ნიკო ნიკოლაძის არქივი, საბ. № 13-338. გიორგი წერეთლის ამ წერილის პუბლიკაციაში დაშვებულია უხეში კორექტურული შეცდომა: „შაბუროვისაგან ჩათახის ზავოდის“ ნაცვლად დაბეჭდილია: „შამუროვისაგან ჩანახის ზავოდი“. (ს. ხუნდაძე. დას. შრ., გვ 162).

[1] იქვე, საბ. № 13-343.

[2] იქვე, საბ. № 13-347.

[3] გაზ. „დროება“, 1884. № 208.

[4] გაზ. „დროება“, 1884. № 216.

[5] ნიკო ნიკოლაძის არქივი, საბ № 51-88.

[6] საქ. ცსსა, ფონ. 264. საქ. 1307, ფურ. 59.

[7] აკაკი წერეთლის სახელობის სხვიტორის სახელმწიფო მუზეუმი, დავ. წერეთლის არქივი, განყ. 1, საბ. № 12. განყ. III, საბ. № 45.

მაგრამ, ჭიათურა-საჩხერეში რკინიგზის გაყვანამ ჭალის მთის პრობლემა მაინც ვერ გადაწყვიტა, რადგან ბაქოს მრეწველობამ თავისი განსაცვიფრებელი წარმატებით სრულ მონოპოლიურ მდგომარეობას მიაღწია ნავთის მსოფლიო ბაზარზე.

მიუხედავად ამისა, გიორგი წერეთელს გული არ გატეხია, ის კვლავ თავს დასტრიალებდა ჭალის საკითხებს და ცდილობდა აქაური სიმდიდრეების ხალხის სასარგებლოდ გამოყენებას. 1893 წლის 7 სექტემბერს ის თავის მეუღლეს — ცნობილ ქართველ მოღვაწეს — ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს სწერდა, რომ დაიწყო ჭალის მთის სიმდიდრეების აღწერა მათი პოპულარიზაციის მიზნით. „ჩვენი მარგანეცისათვის თუ ამხანაგი ვიშოვნე, რომ ამ ზამთარში დავიწყოთ მუშაობა, მაშინ ნახავ, გაისათ ოოგორ ფეხზე დავდგებით. ბევრი ფული არ არის საჭირო, ერთი ათას თუმნამდის თუ გაბედოს ვინმემ, საკმაო იქნება“[1]. ორი წლის შემდეგ, (1895 წ.) კი კმაყოფილებით აცნობებდა: „...ამას გარდა, კაცები ვიშოვნე აქ ნავთის ჭების გასაკეთებლად და კეროსინის სახდელათ“[2].

90-იან წლებში ჭალის საბადოებით ხელახლა დაინტერესებულან უცხოური კაპიტალისტები. 1895 წლის 11 მარტს დ. საჩხერიდან გიორგი წერეთელს თავისი მეუღლისათვის მიუწერია: „აქ მოვიდენ ინგლისელი კამპანიიდან ინჟინრები. ეს არის ახლა გავისტუმრე... ისინი უნდა დაბრუნდნენ თხუთმეტი აპრილისათვის და იმ დროს დაიწყებენ გამოძიებას... ამბობენ, რაც ნიშნები ვნახეთ, იქიდანაც ჩანსო, რომ აქ მადნეულობა ბლომათ უნდა იყოსო“[3]. სამი თვის შემდეგ გიორგი წერეთელი მეუღლეს დამატებით აცნობებდა, რომ ის მონაწილეა ერთ-ერთი კომპანიისა, რომელიც აპირებდა ჭალის ნავთობის დამუშავებასა და „კეროსინის ალაგობრივ გაყიდვას“[4].

სოფ. სავანეს მცხოვრებმა კოწია ქავთარაძემ გვაცნობა, რომ გიორგი წერეთელს 90-იანი წლების მეორე ნახევარში ჭალის მთის დასათვალიერებლად ერთი გერმანელი ჩაუყვანია საჩხერეში. მას იჯარით აუღია ნაკვეთები და მცირე რაოდენობით ნავთობის ამოღებაც დაუწყია. მაგრამ მალე შეუწყვეტია მუშაობა.

ზემო იმერეთის ნავთობის საბადოთა დამუშავების ცდებს შემდგომაც ჰქონია ადგილი. მაგრამ აქ რაიმე მნიშვნელოვანი სარეწავი, თუგინდ 80-იანი წლების მსგავსი, აღარ მოწყობილა.

ამრიგად, საქართველოში რეფორმისშემდგომ პერიოდში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ზემო იმერეთის ნავთობის საბადოს შესწავლასა და მის ნაწილობრივად დამუშავებას. მაგრამ ბაქოს ნავთის მრეწველთა ცდით ჭალის საბადოების ფართო ექსპლოატაცია ჩაიშალა.

მიუხედავად ამისა, მწერალი სიკვდილამდე მზრუნველობით დასტრიალებდა თავს ჭალის განძეულს და სხვებსაც უხმობდა ამ კუთხის მთელემარე მწარმოებლურ ძალთა ამოძრავებისაკენ.

იგი ასეთივე გულმოდგინებითა და შეუპოვრობით იღწვოდა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მრავალ უბანზე, უპირატესად კი მსხვილი მრეწველობის ხაზით, რომელიც, გ. მ. თუმანიშვილის გადმოცემით, მას ქვეყნის ცივილიზაციის — მწარმოებლურ ძალთა განვითარების უდიდეს ფაქტორად მიაჩნდა[1].

ეს იყო გ. წერეთლის ერთგვარი სტიქია და ერთ-ერთი საზრუნავი ახალგაზრდობიდანვე. მაგრამ ცარიზმის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა მწერლის ამ სანუკვარი ოცნების განხორციელება.

საქართველოში მსხვილი მრეწველობა, აგრეთვე ნავთის წარმოება ფართოდ განვითარდა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში. ბაქოს ნავთის მრეწველობის კოლოსალური ზრდის მიუხედავად, საქართველოს ნავთის საბადოებს, მათ შორის ჭალის ნავთს, მნიშვნელობა ახლაც არ დაუკარგავთ და მომავალში მათი უფრო დიდი მასშტაბით დამუშავების მიზნით მიმდინარეობს ფართო გეოლოგიური შესწავლა.

1 „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1. თბ., 1935, გვ. 532. მ. დუდუჩავას პუბლიკაცია.

2 იქვე, გვ. 533.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 534.

1 Г. М. Туманов, Характеристики и воспсминания, 1900, გვ. 16.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სეით იაშვილი

# ნახული და გაგონილი*

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მე ოდესის უნივერსიტეტში გავემგზავრე, რადგან ამ ქალაქში ცხოვრება, პეტერბურგსა და მოსკოვთან შედარებით, ბევრად უფრო იაფი იყო. ამას გარდა, ოდესის უნივერსიტეტში სტუდენტების რიცხვის სიმცირის გამო, სახელმწიფო სტიპენდიის მიღება უფრო ადვილი იყო. რაც შეეხება ფაკულტეტის არჩევას, — ჩვენ — ახლადკურსდამთავრებულებს, ნამეტნავად პანსიონერებს, არ გვქონდა ნათლად გამორკვეული და არ ვიცოდით, რომელ ფაკულტეტზე შევსულიყავით და რა იყო ჩვენი ნამდვილი მიდრეკილება. იმ ხანებში ქართველი ახალგაზრდობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებით იყო გატაცებული და ამიტომ მეც საბუნებისმეტყველო დარგის შესწავლით დავინტერესდი და ავირჩიე ხსენებული ფაკულტეტი. ოდესაში აგვისტოს მეორე ნახევარში გავემგზავრე ი. მოსეშვილთან, ნ. აბდუშელიშვილთან და ბ. მიქელაძესთან ერთად. ბათუმში პირველად ზღვის საუცხოო ბულვარის ნახვამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

რამდენიმე საათის შემდეგ, გემი გავიდა ოდესის მიმართულებით, მაგრამ ვაი ამისთანა გასვლას! ატყდა საშინელი ღელვა. ჯერ წამოიწყო ეგრეთწოდებული მკვდარი, გულისშემაწუხებელი ოდნავი ფრთონა, რომელიც შემდეგ მძლავრ ღელვად გადაიქცა. სახლისოდენა ტალღები ასკდებოდნენ გემს. მალე მგზავრებს აუტყდათ ზღვის ავადმყოფობა, რომელიც თითქმის ყველას მოედო. როგორც შემდეგ ამბობდნენ, დაუავადებელი გადარჩით გემის მზარეული, ორიოდე მატროსი და მე. ისე გავკადნიერდი, რომ საჭმელიც კი მოვითხოვე და მადიანად შევექცეოდი, რასაც ლანძღვა-გინებით შეხვდნენ ჩემი ამხანაგები, რომელნიც მეტად შეწუხებულნი იყვნენ ზღვის ავადმყოფობით. საბედნიეროდ, ღელვა მხოლოდ რამდენიმე საათს გაგრძელდა და შემდეგ დადგა საუცხოო ამინდი. მეხუთე დღეს ოდესაში ჩავედით. გამაოცა ოდესის განიერმა ქუჩებმა, მრავალსართულიანმა სახლებმა, ხალხის გამალებულმა მისვლამოსვლამ და ნავსადგურში თავმოყრილმა აუარებელმა გემებმა.

ახალჩასულებს დიდი დახმარება გაგვიწია ძველმა სტუდენტმა ი. ბაქრაძემ რჩევა-დარიგებით და შესაფერისი ბინის შოვნით. ი. ბაქრაძე იმ წელს მეორედ შედიოდა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. რამდენიმე წლის წინათ, სიღარიბის გამო, იგი იძულებული გახდა უნივერსიტეტიდან გამოსულიყო. შემდეგ სამსახურში შევიდა, მოაგროვა ცოტაოდენი ფული და ახლა ისევ დაუბრუნდა უნივერსიტეტს, ჩვენთან ერთად საქართველოდან ჩამოვიდნენ გ. ჯავახიშვილი და პ. მამრაძე. ჩვენზე ერთი წლით ადრე ჩასულნი დაგვხვდნენ ს. მდივანი, ალ. მდივანი, ივ. ჯაფარიძე, ხ. ღლონტი და ვ. კორძაია, უფროს კურსებზე იყვნენ საბა კლდიაშვილი, სვ. ლორთქიფანიძე, სვ. კვიტაშვილი, კ. ჯაყელი, აპარლები ის. კაიკაციშვილი და რ. ნიჟარაძე.

დაიწყო სწავლა უნივერსიტეტში. აქ დაგვხვდა პოლიციური ორგანიზაცია: ინსპექტორი თანაშემწეებით და პედელებით. ამ ორგანიზაციის მოვალეობა იყო ყური ეგდო სტუდენტების ყოფაქცევისათვის. ჩვეულებრივი ფორმის გარდა, სტუდენტისათვის ამ წელს სავალდებულო იყო კიდევ თეთრი გახამებული საყელო. მე, როგორც მოვიხსენიე, ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე შევედი. ჩემს დროს უნივერსიტეტის რექტორი იყო ცნობილი პროფესორი თ. შვედოვი. კითხულობდა ფიზიკას. თვალსაჩინო მეცნიერიც იყო და საუცხოო ლექტორიც. შვედოვის ლექციებს, მათემატიკოსთა და ბუნებისმეტყველთა გარდა, სხვა ფაკულტეტების დიდძალი სტუდენტობა ესწრებოდა.

ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე ჩემს დროს დეკანად იყო ჩვენი თანამემამულე პროფესორი პ. გ. მელიქიშვილი, გამოჩენილი ქიმიკოსი, რომლის შრომები საზღვარგარეთაც ცნობილი იყო. მას ერთ-ერთ შრომაში რუსე-

* მოგონებათა ფრაგმენტები წიგნიდან „ჩემი წარსული“.

თის სამეცნიერო აკადემიის პრემია ჰქონდა მიღებული. ეს შრომა იყო „ზექანგების“ კვლევის ახალი თეორიის დებულებების დახასიათება“. მეორე ჩვენი თანამემამულე ვ. მ. პეტრიაშვილი იყო ტექნიკური ქიმიის კათედრის გამგე. ორგანულ ქიმიასა და აგრონომიას კითხულობდა — პეტრე მელიქიშვილი, ზოოლოგიას — რეპიასოვი, ფიზიოლოგიას — ვერიგო, მცენარეთა ანატომიას და ფიზიოლოგიას — რიშაკი, მცენარეთა მორფოლოგიასა და სისტემატიკას— კამენსკი, გეოლოგიასა და პალეონთოლოგიას — სიდორენკო, ფიზიკურ გეოგრაფიასა და მეტეოროლოგიას — კლასოვსკი, არაორგანულ ქიმიას — ტანატაჩი, გისტოლოგიას — მ. ბურცევი.

უნივერსიტეტის სხვა პროფესორთაგან აღსანიშნავია ს. ვოევოდსკი, რომელიც რომისა და საბერძნეთის ისტორიას კითხულობდა. ამ პროფესორს მთელი უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები უსმენდნენ. ავადმყოფი მეცნიერი ეტლით მოჰყავდათ, ძლივძლივობით აიყვანდნენ ხოლმე კათედრაზე, და იქ კი სრულიად გამოიცვლებოდა. არც ავადმყოფობა ემჩნეოდა და აღარც დაღლილობა. ისეთი გატაცებით კითხულობდა, რომ აუდიტორია სულგანაბული უსმენდა, ხოლო ლექციის დასასრულს, შთაბეჭდილებით დატყვევებული მსმენელები დიდხანს იყვნენ გარინდებულნი.

პირველ წელიწადს (1897/98 სასწავლო წელს) სახლიდან მოშველებული ფულით იოლად წავედი. ბეჯითად ვმეცადინეობდი იმ იმედით, რომ მეორე კურსზე გადასასვლელ გამოცდებს ფრიადზე ჩავაბარებდი და სახელმწიფო სტიპენდიას მივიღებდი. მართლაც, მეორე კურსზე უკვე სტიპენდიანტი ვიყავი, თვეში ოცი მანეთი მეძლეოდა და თან სწავლის ფულიდან მათავისუფლებდნენ. გარდა ამისა წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ დახმარების სახით სტიპენდიანტებს 8-10 მანეთი გვეძლეოდა თვეში.

სანამ სტიპენდიას დამინიშნავდნენ, ჩემთან ლაბორატორიაში მოვიდა ოდესის ათლეტური საზოგადოების გამგეობის ორი წევრი, გამეცნენ და მთხოვეს იმ საზოგადოების წევრი გავმხდარიყავი. მეორე დღეს წავედი საზოგადოებაში. გამომცადეს სიმძიმეების აწევ-დაწევაში და მიმიღეს წევრად. მომცეს სპეცტანსაცმელი და თვეში თხუთმეტი მანეთი დამინიშნეს. საზოგადოებაში მხოლოდ ერთი თვე ვიმუშავე, რადგან შემდეგ უკვე სახელმწიფო სტიპენდია დამენიშნა.

1898 წელს ოდესაში პირველად გაიმართა ქართული საღამო, რომლისათვისაც მზადებას ორი თვით ადრე შევუდექით. საღამო ბრწყინვალედ ჩატარდა. მონაწილე ქართველი სტუდენტები ნაციონალურ ტანისამოსში ვიყავით გამოწყობილი. საღამოს წარმატებას ხელი შეუწყეს ოდესის მაშინდელმა გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა შუვალოვმა და მისმა მეუღლემ, რომელნიც სტუდენტ ალ. ჯორჯაძის ნათესავები აღმოჩნდნენ.

სალამოს საკონცერტო განყოფილება კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ოპერის „თამარ ცბიერის“ შესავლით იწყებოდა, მომღერალთა გუნდის ლოტბარად მელიტონი გვყავდა პეტერბურგიდან მოწვეული. საზღვარგარეთიდან მოპატიჟებული გვყავდა აგრეთვე ცნობილი ტენორი მიშელ დარიალი — ჩვენი თანამემამულე მ. ნანობაშვილი. საკონცერტო განყოფილებამ მეტად კარგად ჩაიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩვენმა ცეკვა „ქართულმა“ ხომ პირდაპირ ოლტაცება გამოიწვია! მოცეკვავეების მისამართით დაუსრულებელი ოვაციები იმართებოდა. მოცეკვავეებად პეტერბურგიდან და კიევიდან მოწვეული იყვნენ „ქართულის“ ცნობილი მოცეკვავენი: — სტუდენტი ქალი მარო რომანიშვილისა (კიევიდან), სტუდენტები იოსებ მაყაშვილი (პეტერბურგიდან) კოტე ანდრონიკაშვილი (კიევიდან), ხოლო საქართველოდან — მელ. ქარციძე, ამ პირველი ქართული საღამოს შესახებ ოდესის გაზეთები აღფრთოვანებულ რეცენზიებს ათავსებდნენ ერთი თვის განმავლობაში.

საღამოს გამართვიდან ერთი თვის შემდეგ, 6 დეკემბერს, გაიმართა ოფიციალური, ნიკოლოზობის სახელწოდების, სტუდენტების საერთო ბალი, რომლის გამგე იყო გენერალ-გუბერნატორი შუვალოვი. ბალის ოფიციალური განყოფილების დასრულების შემდეგ, საზოგადოებამ დაჟინებით მოითხოვა „ქართულის“ შესრულება. შუვალოვმა ალ. ჯორჯაძე მიიხმო და თხოვა ქართველ სტუდენტებს ეცეკვათ „ქართული“. ჯორჯაძემ ეს ამბავი ჩვენ გადმოგვცა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით, რადგან ჩვენ შორის მოცეკვავე არავინ გვეგულებოდა, მით უმეტეს, მოცეკვავე ქალი. ამ დროს ორკესტრმა კიდევაც დაუკრა „ქართული“. ვნახოთ, უცბად გამოვარდა ერთი სტუდენტი —სომეხი, ჩამოუარა და ვიღაც ქალი გამოიწვია. ქალი გამოდგა საუცხოო მოცეკვავე (როგორც შემდეგ გავიგეთ, ამ ქალს თბილისში მიეღო საშუალო განათლება), ხოლო სტუდენტი —„ქართულის“ ყოვლად უხეირო შემსრულებელი. მაშინ ალ. ჯორჯაძე მოულოდნელად გამოვარდა წრეში და დაუარა კახურად, წაართვა კავალერს ქალი და თვითონ აცეკვა, რასაც დაუსრულებელი ოვაციები მოჰყვა.

1899 წელს გაზაფხულზე ოდესაში დაიწყო სტუდენტების მოძრაობა, „არეულობა“, რომელშიაც, რასაკვირველია, ქართველმა სტუდენტებმა თითქმის ასი პროცენტით მიიღეს მხურვალე მონაწილეობა. იმ დროს ოდესის უნივერსიტეტში 600-მდე სტუდენტი ითვლებოდა, ხოლო ქართველი სტუდენტების რიცხვი დაახლოებით ოცს აღემატებოდა. ამ მოძრაობაში ქართველი სტუდენტებიდან აქტიურ მონაწილეო-

ბას ილებდნენ, რამდენადაც მახსოვს, კოტე ჯაყელი, ს. მდივანი, ვ. ჯაფარიძე, ალ. კლდიაშვილი, ს. ლორთქიფანიძე, ალ. ორბელიანი, გ. ჯავახიშვილი, ნ. აბდუშელიშვილი და სხვები.

სტუდენტების საერთო კრება უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში მიმდინარეობდა. კრების თავმჯდომარედ საერთო კრებამ ერთხმად აირჩია კ. ჯაყელი. ის დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა, რაც ჩვენ ქართველებს გვახარებდა.

მაშინ იგი ფილოლოგიურ ფაკულტეტის მე-4 კურსზე სწავლობდა. იყო ნიჭიერი და კარგი ორატორი; მაგრამ საბოლოო კრებაზე, სადაც საერთო გაფიცვა უნდა გადაწყვეტილიყო (რასაც შეიძლებოდა უნივერსიტეტის დახურვა მოჰყოლოდა), კრების თავმჯდომარეს კ. ჯაყელს რაღაც ყოყმანი დაეტყო, კრება უკვე აღარ მიჰყავდა იმ მიმართულებით, რომელიც ქართველების კერძო კრებაზე, ჯაყელის მონაწილეობითვე ერთხმად გამომუშავდა (ე. ი. იქ სტუდენტები საერთოდ მოვითხოვდით სრულ გაფიცვას).

მაგრამ ახლა საერთო კრებაზე, თავმჯდომარის მერყევი მოქმედების გამო, პროტესტი განვაცხადეთ და მოვითხოვეთ თავმჯდომარის გადაყენება, რამაც ჯერ საერთო კრების გაკვირვება, ხოლო შემდეგ აღშფოთება გამოიწვია. უკვირდათ, ქართველები ქართველის წინააღმდეგ, რად ამხედრებულანო. ჩვენ კი კრებაზე განვაგრძობდით ყვირილს: „ძირს თავმჯდომარე“, „გამოვცვალოთ თავმჯდომარე“ და ა. შ., ბოლოს პროტესტებმა და ყვირილმა რომ ვერა გააწყო რა, სტუდენტმა ალ. ორბელიანმა სიტყვა მოითხოვა და განმარტა: თავმჯდომარემ აზრი გამოიცვალა, შეშინდა, გაფიცვის წინააღმდეგი გახდაო. ამიტომ საჭიროა მისი დაუყოვნებლივ გამოცვლაო. ახლა კი დაიჯერა კრებამ ქართველების გულწრფელი განცხადება. და თავმჯდომარე ერთხმად გადააყენეს, მის მაგივრად უკრაინელი გ. პეტროვსკი აირჩიეს, რომელმაც კრება კალაპოტში ჩააყენა. გადაწყდა საერთო გაფიცვის გამოცხადება.

ამის შემდეგ უნივერსიტეტში თითქმის სულ შეწყდა ლექციების კითხვა. თითო-ოროლა პროფესორი შეუდგებოდა ხოლმე ლექციების კითხვას მეტად მცირერიცხოვან სტუდენტთა დასწრებით, მაგრამ გაფიცვებმა მათაც მალე შეაწყვეტინეს ლექციების კითხვა.

მალე გაფიცვის მეთაურები დაიჭირეს. სულ 100-ზე მეტი სტუდენტი იყო დაპატიმრებული, მათ შორის ქართველები: კ. ჯაყელი, გ. ჯავახიშვილი, ხ. ღლონტი და მე, ხოლო ნ. აბდუშელიშვილი ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს, ჯარისკაცად გაგზავნეს.

დაპატიმრებულნი ოდესის ციხის ახალ კორპუსში მოგვათავსეს. ეს კორპუსი კი ძალიან მკაცრ საპატიმროდ ითვლებოდა. ყველა ცალცალკე კამერებში ჩაგვამწყვდიეს; კამერა ძალიან პატარა ძოცულობის იყო და მომცრო სარკმელი მაღლა კედელში იყო მოთავსებული, ასე რომ, იქიდან თუ მოვინდომებდით გადახედვას, მაგიდა უნდა მიგვედგა. კამერას კარებში ჰქონდა დატანებული პატარა მრგვალად გამოჭრილი სარკმელი, საიდანაც გვითვალთვალებდა შეიარაღებული დარაჯი.

დაპატიმრებამდე ვცხოვრობდი ე. წ. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, რომელიც მოთავსებული იყო ზღვისპირა ქუჩაზე. ეს სახლი 12 ოთახისაგან შესდგებოდა, თვითეულ ოთახში სამი ან ორი სტუდენტი ცხოვრობდა. მე ვცხოვრობდი აჭარელ ო. ნიჟარაძესთან, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთან, რომელიც გაფიცვისა და, საზოგადოდ, სტუდენტების არეულობის წინააღმდეგი იყო.

აპრილის შუა რიცხვებში, ღამის სრულ თორმეტ საათზე ჟანდარმის ოფიცერი, თავის თანაშემწეებით, ჩემს ოთახში გამოცხადდა, სწორედ ჩემს საწოლს მოადგა. გამაღვიძეს, საწოლზე დამჯდარს იქით-აქეთ ამომიდგნენ და დაიწყეს ჩხრეკა. ჩემთან მცხოვრებ ნიჟარაძესაც გამოეღვიძა და დამცინავი ღიმილით დამიწყო ცქერა. ჩხრეკის დროს, რაკი ჩვენი წიგნები და ბარგი არეული იყო, ნიჟარაძის წიგნები და ბარგიც გაჩხრიკეს, მე ვერაფერი საწინააღმდეგო ვერ აღმომიჩინეს, ხოლო ნიჟარაძის წიგნებში იპოვეს პროკლამაციები.

ჩხრეკის დამთავრების შემდეგ ორივეს გვითხრეს: დაპატიმრებული ხართო. ნიჟარაძე სახტად დარჩა, დიდი პროტესტი განაცხადა, არა ვარ გაფიცვის მომხრე, გამოცდებისთვის ვემზადებიო და ა. შ., მაგრამ არა გაუვიდა რა, ისიც ციხეში შემოიყვანეს, ხოლო ცალ-ცალკე ეტლით წაგვიყვანეს. მე გვერდით მომიჯდა ჟანდარმის ოფიცერი, ხოლო წინა სკამზე ორი ჟანდარმი მოთავსდა. ნიჟარაძე მეორე დღესვე გაათავისუფლეს.

ციხის ალაყაფის კარებთან რომ მიმიყვანეს, იმავე დროს მეორე ეტლიც მოადგა ციხეს და გამიკვირდა: იმ ეტლში დაპატიმრებული კოტე ჯაყელი იჯდა... ორი სამი დღის შემდეგ, ისიც გაათავისუფლეს. კ. ჯაყელმა იმ წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ქ. ლონდონში დაინიშნა რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში.

ციხეში მეორე დილითვე მეზობელი კამერებიდან მომესმა კაკუნი, და მალე შევისწავლე სალაპარაკო ანბანი. გამოირკვა, რომ სტუდენტების არეულობის აქტიური წევრები, ოვით კრების თავმჯდომარე პეტროვსკი და კრების მდივანი (გვარი აღარ მახსოვს), ყველა დაეჭირათ, და ერთი კორპუსის ცალ-ცალკე კამერებში ვისხედით. მალე ისე გავიწაფეთ გადალაპარაკებ-გამოლაპარაკებაში, რომ კრების გამართვაც კი მოხერხდა ასეთ გარემოებაში. თავმჯდომარედ იგივე პეტროვსკი ავირჩიეთ. ასეთ კრებებზე

ვმსჯელობდით არეულობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ციხის რეჟიმის შესახებ და სხვ.

ამავე კორპუსში იჯდა სერიოზული პოლიტიკური ჯგუფის მონაწილე დ. ბრონშტეინი. ციხის ადმინისტრაციის ჩვენი კორპუსის დაპატიმრებულნი, ჟანდარმის თანხლებით, ეზოში ცალცალკე გაჰყავდა 15 წუთით სასეირნოდ. ამით ისარგებლა ბრონშტეინმა და ერთხელ, როცა ისიც სასეირნოდ გაიყვანეს, გაექცა ჟანდარმს და სხვა კორპუსის ეზოში შევარდა, რომ დაენახა და გამოლაპარაკებოდა ცხრა თვით უნახავ თავის ამხანაგებს. ამის გამო ციხის ადმინისტრაციამ ბრონშტეინი ერთი კვირით კარცერში ჩასვა. ეს ამბავი სტუდენტებმა შევიტყვეთ, კრება გავმართეთ და გადავწყვიტეთ, მოგვეთხოვა ადმინისტრაციისაგან ბრონშტეინისათვის სასჯელი მოეხსნა. ადმინისტრაციამ სტუდენტების მოთხოვნა უარყო. გადავწყვიტეთ გაფიცვა მოგვეწყო, რაც პირველ ხანებში, თავმჯდომარის კარნახით, ერთბაშად ზარის რეკით, კედელზე სპილენძის ჩაიდანის ერთსა და იმავე დროს, რახუნით, ყვირილით და ა. შ. გამოიხატა. როცა ამ საშუალებამ არ გასჭრა, მაშინ შიმშილობა გამოვაცხადეთ. ამ ამბავმა მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დააყენა, თვით გენერალ-გუბერნატორი მოვიდა ციხეში, ეთათბირა ცალკე კამერებში სტუდენტებს. თათბირს მოჰყვა ბრონშტეინის კარცერიდან გათავისუფლება.

რამდენიმე კვირის შემდეგ, ადმინისტრაციამ დაიწყო სტუდენტების დაკითხვა, რაც მეტად უხეშად და ჯალათურად იყო მოწყობილი. დაკითხვა ხდებოდა ღამით: მოდიოდა ჟანდარმი და გამოიძახებდა სტუდენტს კამერიდან. შემდეგ ორი ჟანდარმის თანხლებით პატიმარს კარგა ხანს ატარებდნენ ვეებერთელა ციხის ბნელ დერეფნებში, მოულოდნელად შეიყვანდნენ ძალზე განათებულ ოთახში. აქ წითელმაუდგადაფარებულ მაგიდას უსხდნენ ჟანდარმის გენერალი და სხვა ოფიცრები და ასე აწარმოებდნენ დაკითხვას.

მეც დამკითხეს და გამათავისუფლეს. დავკარგე წელიწადი, რაკი შემდეგ კურსზე გადასასვლელ გამოცდებზე არ გამოვცხადდი და მომისპეს სახელმწიფო სტიპენდია.

როგორც სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში, ოდესაშიც არსებობდა ეროვნებათა სათვისტომოები — ქართველებისა, სომხებისა, პოლონელებისა და უკრაინელებისა. ჩემს დროს ყველაზე შემჭიდროებული და გავლენიანი ქართველების სათვისტომო იყო.

პოლონელებთან და უკრაინელებთან გულთბილი დამოკიდებულება გვქონდა. პოლონელები ყოველ წელიწადს მართავდნენ ეროვნულ დღესასწაულს, რომლისზედაც მხოლოდ ბარათებით იყო ხალხი მიწვეული. ამ საღამოებზე პოლონელები მხოლოდ ქართველების სათვისტომოს წევრებს უგზავნიდნენ მოსაწვევ ბარათებს. თავიანთ საღამოებზე პოლონელები ნაციონალურ ტანსაცმელებში იყვნენ გამოწყობილი და სტუმრებს მხოლოდ პოლონურ და ფრანგულ ენებზე ელაპარაკებოდნენ, მხოლოდ ჩვენ ქართველები ვიყავით გამონაკლისი: ჩვენ რუსულად გველაპარაკებოდნენ.

სხვათაშორის, ამ საღამოზე ერთი ნაცნობი პოლონელი სტუდენტი მეკითხება, იცნობთ თუ არა იშვიათი სილამაზის ცოლ-ქმარს — გამრეკელსა და ოთარ დადეშქელიანს. მე ვუპასუხე — პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ნახული მყავს ქუთაისში, ცოლქმარი — გამრეკელი და დადეშქელიანი თავისი განსაკუთრებული სილამაზით ყველას ყურადღებას იქცევდა. ამის შემდეგ პოლონელმა თქვა, — ეს წყვილი რომ პარიზში ჩამოვიდა, მაშინ მეც იქ ვიყავი და ვხედავდი ქუჩაში გამოსულებს. მათ აუარებელი ხალხი მისდევდა და განცვიფრებული უყურებდაო.

ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტობა დიდს ანგარიშს უწევდა ქართველთა სათვისტომოს. ჩემს დროს ოდესის უნივერსიტეტში ქართველების სათვისტომოს დაუკითხავად, მისი უშუალო მონაწილეობისა და დახმარების გარეშე, არც ერთი საქმე არ კეთდებოდა. ხშირად სხვა სათვისტომოებში წამოჭრილ უთანხმოებათა გამორკვევასა და გადაჭრას ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ანდობდნენ. სტუდენტების სასამართლოში მოსამართლეებად ხშირად ქართველ სტუდენტებს ირჩევდნენ.

ჩვენს სათვისტომოს ჰქონდა დამხმარე სალარო და პატარა სამკითხველო. სათვისტომოსაც უფრო კულტურული, შემოქმედებითი ხასიათი ჰქონდა. თუმცა შემუშავებული გეგმით განზრახული იყო საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა, რეფერატებისა და მოხსენებების წაკითხვა და ა. შ.; სინამდვილეში ჩვენი გეგმა და განზრახვები ქაღალდზე რჩებოდა. იმ ხანებში ნამეტნავად გვიტაცა ოდესის საუცხოო თეატრმა. იმ დროის მსოფლიოში საუკეთესო მომღერლები ყოველ ზამთარს ოდესაში იყვნენ მოწვეული: ბატისტინი, მაზინი, ჯირალდონი (ქართველების სიძე, — ერისთავის ქალი ჰყავდა ცოლად), ქალები — ტეტრაცინი, პატი და სხვები. სტუდენტებს ოდესის სახელმწიფო თეატრში დათმობილი ჰქონდათ მშვენივრად მოწყობილი ქანდარა ხავერდგადაკრული სკამებით. სტუდენტებისათვის ბილეთი ღირდა 15 კაპიკი, მაგრამ ძნელი იყო ბილეთების შოვნა, — ღამის თევა იყო საჭირო. ერთ ზამთარს ოდესის თეატრში მღეროდნენ განთქმული მომღერლები: ცოლქმარი მედეა და ნიკოლოზ ფიგნერები. წარმოდგენების მსვლელობაში მოხდა ფიგნერსა და სტუდენტებს შორის „კონფლიქტი", ნ. ფიგნერმა სტუდენტები უდიერად მოიხსენია, — სტუდენტების მიერ ჩემი მოღვაწეობის შეფასებას მე ანგარიშს არ ვუწევო; სცენაზე რომ ჩემს მაგიერ ჩემი საცვლები გამოვკი-

დო, სტუდენტები მაინც ოვაციას გამიმართავენო. ამის პასუხად სტუდენტობამ ფიგნერს საშინელი „ობსტრუქცია“ მოუწყო, რომელიც რამდენჯერმე გამეორდა. ერთხანს ფიგნერების გამოსვლები შეწყდა, სტუდენტების წინაშე ფიგნერმა ბოდიში მოიხადა და მხოლოდ ამის შემდეგ განახლდა მათი გამოსვლები.

ზოგჯერ, ახალი წლის შესახვედრად, ან, როცა რომელიმე სტუდენტს ღვინო ჩამოუვიდოდა, ქართველი სტუდენტობა მართავდა ქართულ სუფრას პატრიოტული სიტყვებითა და სიმღერებით... მაგრამ იგი არც თავის პირდაპირ მოვალეობას — აკადემიურ ცხოვრებას ივიწყებდა, თავის სპეციალობაში ჯეროვნად და წარმატებით მეცადინეობდა.

ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარეებად სხვადასხვა დროს იყვნენ ს კვიტაშვილი, ი. ბაქრაძე, ს. ლორთქიფანიძე, კ. ჯაყელი. სათვისტომოს უცვლელი მოლარე იყო ალ. ორბელიანი. ჩვენი სალარო მეტად ღარიბი იყო. იგი სულს იბრუნებდა მხოლოდ ი. მ. ჯიშკარიანის[1] მიერ ციმბირიდან საახალწლოდ გამოგზავნილი 100 მანეთით.

ალ. ორბელიანი იყო შვილიშვილი პოეტ ვახტანგ ორბელიანისა და შვილი ცნობილი ვექილის ნიკოლოზ ორბელიანისა, რომელსაც თავისი დიდი მამული იმ დროს უკვე გაეფლანგა. მაგრამ თავადი ბარიატინსკის ერთ-ერთი მემკვიდრე აღმოჩნდა და საკმაოდ დიდი თანხა ერგო (ამბობდნენ, ორი თუ სამი მილიონი). ჩემს დროს ალ. ორბელიანი უკვე ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის ქიმიის განყოფილების მეოთხე კურსზე იყო. იგი სერიოზულ სტუდენტად ითვლებოდა, მცოდნე იყო უცხო ენებისა. ალ. ორბელიანი უკვე სადიპლომო გამოცდებს აბარებდა, როცა პეტერბურგიდან მამის დეპეშა მოუვიდა: დიდ მთავრებთან აფრიკაში ლომებზე სანადიროდ მივდივარ და შენც უნდა წამოხვიდეო. ალექსანდრემ მამის ხათრი ველარ გატეხა, თანაც თვითონ ნადირობის მოყვარული იყო. ამიტომ მიატოვა სახელმწიფო გამოცდები და გაეშურა მამასთან.

სვიმონ ბექანის-ძე ლორთქიფანიძე პროფ. პ. მელიქიშვილმა დასტოვა ქიმიის კათედრაზე ლაბორანტად. სვიმონი გულმოდგინედ შეუდგა მეცნიერულ მუშაობას, მაგრამ არ დასცალდა, მალე გარდაიცვალა. მას დარჩა ხელნაწერი თარგმანი „ქიმია ყოველდღიურ ცხოვრებაში“.

ალექსანდრე (საბა) გრიგოლის-ძე კლდიაშვილი 1900 წელს პროფესორმა ვ. მ. პეტრიაშვილმა ოდესის უნივერსიტეტის ტექნიკურ ქიმიაში ლაბორანტად მიიწვია. ამის შემდეგ საბა უნივერსიტეტის ოჯახის წევრი გახდა და ჩაება მისთვის საინტერესო მეცნიერულ მუშაობაში. საბა საყვარელი ადამიანი იყო, ნიჭიერი, პატიოსანი, თავდაბალი, სამაგალითო ამხანაგი, თავისი ქვეყნის დიდი მოყვარული, ენაწყლიანი და კარგი მოსაუბრე. ზაფხულობით საბა ყოველთვის ჩამოდიოდა თბილისში თავის ძმასთან არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილთან, რომელიც ქართული გიმნაზიის (ახლა უნივერსიტეტის) შენობის მშენებლობის უფროსად იყო მიწვეული. მშენებლობის ხშირი სტუმარი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მშენებლობის მსვლელობას. აქ გაიცნო საბამ ილია, რომელმაც საბა მოხიბლა თავისი ღრმა და შინაარსიანი საუბრით. შემდეგშიაც საბა, საქართველოში ჩამოსვლისას, ყოველთვის ნახულობდა ილიას და ჰქონდა მასთან საუბარი საზოგადოებრივ საქმეებზე.

როგორც ცნობილია, საბა კლდიაშვილი შავრაზმელებმა მოჰკლეს 1905 წელს ოდესაში. ოდესიდან მისი ცხედარი ქუთაისს გადმოასვენეს და იქ „მთავარანგელოზის“ ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს, ხოლო თბილისში სიონის ტაძარში მას პანაშვიდი გადაუხადეს. პანაშვიდს დაესწრო ილია ჭავჭავაძეც, რომელმაც პანაშვიდის შემდეგ მასთან მოსაუბრე საზოგადო მოღვაწეებს უთხრა: „ვიცნობდი, რა კარგი და ნიჭიერი ახალგაზრდა დავკარგეთ! სწორედ უბედური ხალხი ვართ“.

მესამე კურსზე სპეციალობად ავირჩიე ტექნიკური ქიმია, რომლის კათედრის გამგედ პატივცემული ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილი იყო. ჩემს დროს ამ დარგზე 10–12 სტუდენტი სწავლობდა. ამიტომაც იქმნებოდა საჭირო იარაღებისა და რეაქტივების გამოყენების უფრო მეტი საშუალება. თუმცა ვ. პეტრიაშვილის მუშაობის ძირითადი საგანი ტექნიკური ქიმია და მასთან დაკავშირებული მეღვინეობა, მერძეველობა და ფართო მოხმარების ცხიმეულობა იყო, მაგრამ ორგანულ და ფიზიკურ ქიმიაშიც ვ. პეტრიაშვილის გამოკვლევებმა მას არა მარტო რუსეთში მოუხვეჭეს სახელი, მას ფართოდ იცნობდნენ საზღვარგარეთაც. ამ მხრივ საგულისხმოა ინგლისის ქიმიური საზოგადოების პრეზიდენტის უილიამ უინის სიტყვა . „მსოფლიო ქიმიისათვის რუს ქიმიკოსთა შრომების მნიშვნელობის შესახებ“ ამ სიტყვაში, რომელიც 1924 წელს წარმოსთქვა, ის აღნიშნავდა იმ დიდ წვლილს, რომელიც შეიტანა ვ. პეტრიაშვილის გამოკვლევებმა მსოფლიო ქიმიის საგანძურში. იმავე დროს ქართველი მეცნიერი განაგებდა ქალაქის სურსათ-სანოვაგის საკონტროლო ლაბორატორიასაც. ვ. პეტრიაშვილმა დასწერა პირველი ქართული ქიმიური ნაშრომები და შეადგინა ტერმინოლოგია. დაუვიწყარია ამ იშვიათი ადამიანისა და სპეციალისტის სადა ენითა

[1] ცნობილი პედაგოგი ი. მ. ჯიშკარიანი იმ ხანებში ციმბირში მსახურობდა და იქიდან სხვადასხვა ქალაქთა სათვისტომოს საახალწლოდ ყოველ წელიწადს ას-ას მანეთს უგზავნიდა. ი. ჯიშკარიანი 1939 წელს გარდაიცვალა თბილისში.

და ღრმა ცოდნით წაკითხული ლექციები. მსმენელები პირდაპირ პეტრიაშვილის კაბინეტში შემოუსხდებოდით ხოლმე პროფესორის სამუშაო მაგიდას და იქ გვიკითხავდა ის შინაარსიან ლექციებს.

სტიპენდიის ჩამორთმევის შემდეგ, ეკონომიურად ცუდი პირობები შემექმნა. სახლიდან რომ ვერაფერს ვღებულობდი, კერძო გაკვეთილების ძებნას შევუდექი და თუმცა ბევრ დროს მართმევდა და გრძელი მანძილიც მქონდა სასიარული, მაინც იოლად გავდიოდი. მესამე კურსზე ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ვ. პეტრიაშვილის შუამდგომლობით, დამიბრუნდა სტიპენდია. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: ჩემი ამხანაგი სტიპენდიანტი ი. მ-ლი გახდა ავად და იმის მინდობილობით წავედი სტიპენდიის მისაღებად უნივერსიტეტის ინსპექტორ ლაგადოვსკისთან, რომელიც არიგებდა ხოლმე სტიპენდიებს. ლაგადოვსკის წარვუდგინე ამხანაგის მინდობილობა, მანაც გადმომცა ხუთი თვის სტიპენდია — ასი მანეთი. ეს ამბავი შემოდგომაზე იყო. მეც ფული ჩავიბარე და მოვდივარ. ინსპექტორმა მომაძახა კარებში: თქვენ კი რატომ არ იღებთ სტიპენდიასო. მე ვუპასუხე, ჩამორთმეული მაქვს სტიპენდია-მეთქი. თქვენ პროფ. ვ. პეტრიაშვილის შუამდგომლობით დაგიბრუნეს სტიპენდიაო და გადმომცა ასი მანეთი.

ისეთმა სიხარულმა ამიტაცა, რომ აღარ მახსოვს, ხელი როგორ მოვუწერე და მეოთხე სართულიდან როგორ ჩამოვირბინე პირველ სართულში, სადაც ამხანაგები მიცდიდნენ. ეს ამბავი ვახარე თუ არა, მათ „მაღარიჩი" მომთხოვეს. მეც, რასაკვირველია, იმ ღამესვე გავუმართე ამხანაგებს სტუდენტური, მაგრამ უხვი ვახშამი, მრავალნაირი საუზმით და ლუდით.

ვ. პეტრიაშვილი ჩვენთვის — ქართველი სტუდენტობისათვის სწორედ რომ მამა იყო. დაუვიწყარია მისი რჩევა-დარიგება, მზრუნველობა, ნუგეშისცემა უცხო ქვეყანაში. ეს იყო სპეტაკი მოქალაქე-მეცნიერი, თან ძალზე სტუმართმოყვარე. ვ. პეტრიაშვილს მხარში უდგა მეგობარი — მეუღლე ეკატერინე თავდგირიძისა.

ვ. პეტრიაშვილს საზოგადოდ მთელი სტუდენტობა, განურჩევლად ეროვნებისა, დიდს პატივს სცემდა, ხოლო უნივერსიტეტის პროფესორების პროგრესული ნაწილი ხშირად დადიოდა მასთან და მის გულთბილ მეუღლესთან — ეკატერინე ყარამანის ასულ თავდგირიძესთან. ვ. პეტრიაშვილის ოჯახში ხშირად დაიარებოდა ცნობილი ექიმი ი. ბარდახი, რომელიც უსასყიდლოდ წამლობდა მუშებსა და ღარიბ ხალხს. ოდესის ნავსადგურში იმ დროს ასზე მეტი ქართველი მუშა იყო. ბარდახი დიდი მეგობარი იყო ქართველი სტუდენტებისა. იგი მოდიოდა ჩვენთან და გვიწვევდა თავის ოჯახშიც. ქართველი სტუდენტების ძველ თაობას ბარდახი საქართველოში წამოეყვანა და უჩვენებია მისთვის ქუთაისი, გელათი, მოწამეთა, თბილისი. ბარდახი აღტაცებული იყო საქართველოს ბუნებით და ყოველივე ნახულით. თავისი შთაბეჭდილებანი ბარდახს „ოდესკი ლისტოკში" მოეთავსებინა...

ახლად კურსდამთავრებული ს. მდივანი ვ. პეტრიაშვილმა ქალაქის ლაბორატორიაში მოაწყო. ზამთარში ყინვები რომ დაიწყო, სვ. მდივანი რამდენიმე დღეს სამსახურში ვერ გამოცხადდა. როცა ვ. პეტრიაშვილმა იკითხა მიზეზი, უთხრეს: პალტო არა აქვსო. ვასილი მოსეს-ძე მაშინვე წავიდა სახლში და იქიდან მდივანს ბინაზე თავისი პალტო წაუღო.

სვ. მდივანი ცოცხალი, მოხერხებული ახალგაზრდა იყო, მას ამხანაგები „ჩახმახას" ვეძახოდით. ერთხელ ათიოდე სტუდენტი საზაფხულო არდადეგების დაწყებისას ისეთს უმწეო ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავვარდით, რომ არც სამშობლოში გამომგზავრების ფული გვქონდა და არც იქ საცხოვრებელი საშუალება. ერთს თუ ორს სტუდენტს შერჩენოდა კიდევ სტუდენტების სასადილოს რამდენიმე აბონემენტი. ახლა ამ აბონემენტებს ვინაწილებდით, და სამ დღეში ერთხელ თუ შეგვხვდებოდა სადილი.

ასეთი მდგომარეობის გამო ხშირად ვიკრიბებოდით და ვბჭობდით, როგორ გამოვსულიყავით მძიმე მდგომარეობიდან. ამ კრებებზე ზოგი ისეთს წინადადებებსაც კი აყენებდა: თბილისსა და ქუთაისში მივვმართა სათავადაზნაურო ბანკების გამგეობისათვის, რომ ჩვენთვის დახმარება აღმოეჩინათ. მაგრამ ვერ შევთანხმდით, გვერცხვინებოდა ჩვენს ქვეყანაში ვინმეს შეწუხება.

ასეთს საგონებელში ჩავარდნილებს მოგვევლა სვ. მდივანი — მე მყავს, — განაცხადა მან, — ერთი მდიდარი ამხანაგი შჩერბინსკი, რომელიც დიდი სიმპათიით გვექცევა ქართველებს და იმასა ვთხოვ რამდენიმე ას მანეთს და, იქნებ, ხელი გაგვიმართოს, რომ სამშობლოში შევძლოთ დაბრუნებაო.

შჩერბინსკი, მართლაც, ვეებერთელა მამულებისა და უამრავი ქონების პატრონი იყო. იმ დროს იგი ბუნებისმეტყველების ფაკულტეტს ამთავრებდა სვ. მდივანთან ერთად. შჩერბინსკი უკვე მეოთხედ გადიოდა სახელმწიფო გამოცდებზე; სამჯერ ეცადნა გამოცდების ჩაბარება. მაგრამ სამჯერვე ჩაიჭრა ქიმიაში პ. მელიქიშვილს. შჩერბინსკი ხშირად იტყოდა ხოლმე: „ქიმიაში ვერა გავიგე რა, იზომერიას მეტიო".

ამ წელს ჩშერბინსკიმ, თურმე, ყოველ საგანში რეპეტიტორად დოცენტები დაიჭირა და როგორც იქნა, ჩააბარა გამოცდები და მიიღო დიპლომი. შჩერბინსკიმ მელიქიშვილის მოლბობა მოახერხა ოდესის ბობოლა ქალების დახმარებით. ერთს დღეს, როგორც ამბობდნენ, პეტრე, საშინლად მორცხვი და მორიდებული საზოგადოდ-და, კერძოდ, ქალების საზოგადო-

ბაში, მდიდრულ კარეტაში ენახათ ბობოლა ქალებთან ერთად.

ჩვენც, რასაკვირველია, ვთხოვეთ სიმონს შჩერბინსკისთან საქმის მოგვარება. ორი თუ სამი დღის შემდეგ მდივანმა შეგვატყობინა: შჩერბინსკი თანახმაა, ფულს გვასესხებსო. თან დაუმატა: მე ორი დღე მოვუნდი შჩერბინსკის ძებნასა და ძლივსძლივობით კაფე-შანტანში ვიპოვნეო. ახლა ვინმე სხვა აირჩიეთ ფულის გამოსართმევადო. შჩერბინსკი დამპირდა, ვისაც გამოგზავნით, იმას გადავცემ ფულსო. შჩერბინსკისაგან ფულის გამორთმევა მე და ლ. კ-ს დაგვავალეს. ჩვენც შევუდექით მთელ ქალაქში შჩერბინსკის ძებნას. მას რამდენიმე ბინა ჰქონდა ოდესაში და საგანგებოდ დაქირავებული ოთახები კიდევ სხვადასხვა სასტუმროსა და კაფეშანტანებში. მე და ჩემმა ამხანაგმა მთელი დღე ვეძებეთ შჩერბინსკი, მაგრამ ვერას გავხდით. ახლა ღამით უნდა დაგვეჭირა ის სადმე კაფეშანტანში, მაგრამ კაფეშანტანებში გასართობები და დროსტარება ნაშუაღამევის ორ საათზე თავდებოდა. ჩვენ მხოლოდ ამ დროს შეგვეძლო კაფეშანტანში თავისუფლად შესვლა, რადგან კონცერტისა და გასართობების დროს ბრწყინვალე საზოგადოებაში ჩვენი ძალზე დაძველებული და ჭუჭყიანი სტუდენტური „ტუჟურკით“ შესვლა კიდევაც რომ მოგვენდომებია, უფულოდ არ შეგვეძლო.

ბოლოს შევედით კაფეშანტანის დაცარიელებულ ბალში, შევეხვეწე ოფიციანტს ოთახიდან შჩერბინსკი გამოიძახეთ მეთქი. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, გამოვიდა შჩერბინსკი, ჩემმა ამხანაგმა გააცნო ჩვენი მოსვლის მიზანი და თან მეტად მუქ ფერებში აუწერა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა. შჩერბინსკიმ ჩემს ამხანაგს უპასუხა: არაფერია, არაფერი, ნუ წუხდებით განმარტებითო, და ამოიღო, აღარ მახსოვს, 500 თუ 600 მანეთი და გადასცა ჩემს ამხანაგს, რომელმაც ჩემის გაგებით, ძალიან დამამცირებლად გადაუხადა მადლობა. მაგრამ რას იზამ: კაცია და გუნებაო.

წამოვედით, მაგრამ ახლა ჩვენ მოგვივიდა ერთმანეთში ლაპარაკი. მე ვესაყვედურებოდი: არ იყო საჭირო აგრე თავის დამცირება და ისეთ მუქ ფერებში ჩვენი მდგომარეობის აღწერა, როგორც შენ განმარტე, ამით შენ შეარცხვინე ქართველობა-მეთქი. მოვედით ამხანაგებთან, ფული გავინაწილეთ და გამოვემგზავრეთ სამშობლოში.

შემოდგომაზე ჩვენ ჩვენი საწილო მოვაგროვეთ და დიდის მადლობით დავუბრუნეთ შჩერბინსკის.

ვ. მ. პეტრიაშვილთან და მის მეუღლესთან — ეკატერინე ყარამანის ასულთან დაახლოებული იყო ბესარაბიელი მსხვილი მემამულე მ. კონსიოტი თავის ოჯახით. მას ჰყავდა ქალ-ვაჟი: კოსტია და ელენე. კოსტია ეკატერინეს ძმის ნიკო თავდგირიძის უნივერსიტეტის ამხანაგი იყო, უნივერსიტეტი ერთად დაემთავრებიათ. ელენე კონსიოტი ძლიერ უნდოდა ეკატერინეს პეტრიაშვილისას, რის გამოც ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ელენე ქართული ენის შესწავლასაც კი შეუდგა და დიდი ნიჭიც გამოიჩინა ამ საქმეში. წერა-კითხვის შეთვისების გარდა, იგი ქართულად ლაპარაკსაც კი ახერხებდა.

ერთხელ კოსტია კონსიოტიმ თავის მამიდასთან წაგვიყვანა ნ. თავდგირიძე და რამდენიმე ქართველი სტუდენტი. კონსიოტის მამიდამ ძალიან გულთბილად მიგვიღო თავის სასახლეში, გაგვაცნო თავისიანები და პატარა ხანს უკან მიგვიწვია საუზმეზე. სასტუმრო ოთახიდან სასადილოში უნდა გავსულიყავით, ხოლო კარების მაგივრად ამ ოთახებს შორის ექვნებითა და მძივებით აჭრელებული ფარდები იყო ჩამოშვებული. — აბა, თავადიშვილო, — მივმართეთ სტუდენტებმა ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილ ნ. თავდგირიძეს, — გაგვიძეხი!...

თავდგირიძესაც არ სცოდნოდა, როგორ უნდა გასულიყო ზიზილპიპილოთი აჭრელებულ ამ ფარდებში და იმის მაგიერ, რომ ხელებით ნაზად გაეწია ფარდები იქით და აქეთ, პირდაპირ თავით ეძგერა ფარდებს და ისე გავიდა მეორე ოთახში, რამაც გამოიწვია საშინელი ხმაური და დიასახლისის დაბნეულობა.

— რა ჰქენი, ნიკო? მიმართა დიასახლისმა და თან აჩვენა, როგორ უნდა გაეწ-გამოეწია ფარდები და გასულიყო მეორე ოთახში. საუზმეზე და შემდეგ სადილზედაც ჩვენ, საზოგადოებაში სრულიად გამოუსვლელთ და გამოუცდელთ, აღარ ვიცოდით სად წაგვეღო ხელი და ფეხი, ხან ვწითლდებოდით, ხან ვყვითლდებოდით და ლაპარაკშიაც კი „არას“ მეტს ვერაფერს ვამბობდით. თან ისეთი უცნაური საჭმელები მოჰქონდათ სუფრაზე, რომ გადმოღებასაც ვერ ვახერხებდით. ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ისე უშნოდ გადმოიღო ოფიციანტის მიერ ლანგარით მოწოდებული თევზი, რომ გადმოღებისას თევზი გაუცურდა და იატაკზე დაეცა. ახლა დაბნეული ამხანაგი გაპრიალებულ იატაკზე შორს გაცურებულ თევზს გამოეკიდა, მაგრამ სანამ დაეწეოდა, ლაქიამ უკვე მოაწესრიგა ეს საქმე... ატყდა ერთი სიცილი და ხარხარი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა ნიშნიანიძის ლექსების კრებული

შოთა ნიშნიანიძის ახალ წიგნში — „ზეთისხილის რტო“ მოთავსებულ ლექსების ერთ-ერთი ძირითადი თემაა ომისა და მშვიდობის თემა, რომელიც ამჟამად მთელი მსოფლიოს ხალხებს ყველაზე მეტად აღელვებს. „ზეთისხილის რტო“ — მშვიდობის სიმბოლო — წიგნის სათაურშივე ამხელს ავტორის მისწრაფებას. ეს მისწრაფება მკაფიოდ ჩანს კრებულის პირველსავე ლექსში, სადაც პოეტი იგონებს წარსული ომის საშინელებას და ნატრობს, რომ ჩვენს თაობას მეტი ომი აღარ ენახოს, „ის ომი იყოს პირველიც და უკანასკნელიც“.

ამ ლექსში ჭარბობს პუბლიცისტური პათოსი, მომდევნო ლექსში კი იგივე თემა სულ სხვაგვარად არის გაშლილი და დანახული. პოეტური სახეებითა და მოხდენილი გამოთქმებით მდიდარი ეს ლექსი — „ჯარისკაცის დაბრუნება“ ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ კრებულში.

პოეტი იგონებს ოცი წლის წინანდელ ამბავს, როცა, ფოსტალიონს ეზოში თავისავე ჩრდილმა შემოასწრო და „სახლში ლამედ შეეყუდა“. ამით ავტორი გვაგრძნობინებს, რომ ფოსტალიონმა ცუდი ამბავი მოუტანა ოჯახს. მაგრამ დედა მაინც ელოდა შვილს და ისე გარდაიცვალა, რომ მისი დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს:

ასეთები ვართ...
ყველაფერს ვკარგავთ,
ჩარჩოში ვრჩებით, ჩრდილად, თარგებად;
დავიკარგებით...
მოვკვდებით... მაგრამ
იმედი მაინც არ იკარგება.

და აი, პოეტს ეჩვენება, თითქოს წამომდგარან დამარხული ჯარისკაცები და მივიწყებულ სახლ-კარს ეძებენ. ბრუნდება ჯარისკაცი და თვალს ავლებს თავის კარმიდამოს, მოივლის ვენახსა და ბოსტანს, ათვალიერებს ბეღელს, უალერსებს პირუტყვს... ჭიშკართან კი წარბშეკრული სინამდვილე იცდის: „ნახვის დრო მორჩა, ჯარისკაცო, აბა, წავიდეთ, გელიან ძმათა სასაფლაოზე“.

შემდეგ პოეტი ოცნებიდან ისევ სინამდვილეს უბრუნდება და ჯარისკაცის ეზო-კარიდან ბერლინამდე გაჭიმულ გზას დაღუპული კაცის ეპიტაფიას ადარებს. აქ ლექსის ლირიკულ მდინარებას ბუნებრივად ენაცვლება ამაღლებული ტონი:

ო, გზებო,
ცაში ელვისტეხად ნუ აიჭრებით,
ველზე სანგრებად ნუ გახონდებით,
არ წაიყვანოთ,
არ დაკარგოთ ჩვენი ბიჭები,
არ დაგვიქვრივოთ გოგონები ასე კოხტები.
ტყვიები ლულებს არასოდეს უბრუნდებიან!

პოეტის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პატრიოტიზმის თემას. სამშობლოს წმინდა სიყვარულის გამომხატველად შ. ნიშნიანიძე ხან ვაჟკაცურ შეძახილს მიმართავს, ხან მშობლიური ბუნების სურათებს გვიხატავს ხან კი ასეთ უნაზეს საალერსო სიტყვებს პოულობს:

მე შენს სადღეგრძელოს
როგორ უნდა ვუქლო?
ჩემო საქართველო —
შვლის პატარა ნუკრო!
შე პატარა ყანავ,
გარჯით მოწეულო,
შე გამზრდელო ნანავ,
დედის ბოძებულო!
სიხარულის ცრემლო,
ჩუმად მოსაწმენდო,
სიმღერაო ჩემო,
ჩემო ერთადერთო.

შ. ნიშნიანიძის ლექსებში იგრძნობა ჰუმანიზმი, გულკეთილობა, სიყვარული ადამიანისადმი და ყოველივე ადამიანურისადმი. ერთ-ერთ ლექსში პოეტი ნატრობს ფესვთა სიჯიუტეს და ყლორტთა სინორჩეს: „სიმღერის დედავ... მოეცი თესლის უკვდავება ჩემს ყოველ სიტყვას, რათა ვადიდო შემოქმედი ადამიანი“.

შ. ნიშნიანიძე მძაფრად გრძნობს და ხატავს სოფლის ბუნებას, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მიმზიდველ პეიზაჟებს. ამ შემთხვევაში მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მო-

ხდენილი შედარებებისა და პოეტური სახეების სიუხვე. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ავტორი თვალსაჩინო პოეტურ ორიგინალობას აღწევს: ახალი ხნულის სირბილე მას ფუნჩულა ლეკვივით ედება ფეხებში, სოფლის შუკებსა და ბილიკებს ისე შეიცნობს, „როგორც თმის ღერებს სავარცხელი შეიგრძნობს ხოლმე", „გაზაფხულის დღე და სიხალისე ტანზე აცვია, როგორც პერანგი" და ა. შ.

პოეტური სახეებისა და შედარებათა მიმზიდველობისა და ორიგინალობის საილუსტრაციოდ კრებულიდან კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ისინი უსარგებლოდ იკარგებიან, რადგან მთლიანად ლექსს აკლია დიდი საზოგადოებრივი პათოსი და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნაწარმოები დაწერილია ამა თუ იმ მოხდენილი შედარებისათვის და არა პირიქით.

ეს ითქმის განსაკუთრებით იმ პატარა ლექსებზე, რომლებიც პოეტს „ჩანახატების" სათაურით აქვს გაერთიანებული. აქ მოცემულია მართლაც მოხდენილი შედარებები, რომლებიც ცოცხალ სურათებს ქმნიან: „ბუჩქი კრუხივით გაფოფრილა და სოველ ფრთებქვეშ შეუფარია სოკოები ჰუჰულებივით", „მეტყევეს წელში გაურჭვია კაუჭა წალდი, თითქოს ნისკარტით ჩაფრენია მუხას კოდალა", „სიმინდებს მოპარულივით უბეში უდევთ წყვილ-წყვილი ტარო". ვიმეორებთ, ეს შედარებები კარგია, მაგრამ სულ ეს არის და ეს: ლექსები დაწერილია თითო ამგვარი შედარებისთვის. უკეთესი იქნებოდა, პოეტს თვითეულ ამათგანზე ცალკე ლექსი კი არ აეგო, არამედ უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოების პოეტურ სამკაულებად ექცია ისინი.

ერთ-ერთ უსათაურო ლექსში პოეტი მიმართავს თავის ყრმობისდროინდელ სატრფოს, — არა მგონია, შენს დავიწყებას ოდესმე თუ შევძლებო. ამავე დროს კი იქვე ეუბნება მას: „შენ ჩემს გულში გაირბინე, ვით ღიმილმა ტუჩებზე". შეუსაბამო შედარებაა: პირიქით, გოგონა ღიმილივით უკვალოდ არ გამქრალა პოეტის გულიდან, თუკი მისი დავიწყება შეუძლებელია.

შ. ნიშნიანიძის ლექსებს ახასიათებს ინტონაციური მრავალფეროვნება, მუსიკალური ჟღერადობა და სიმსუბუქე. კრებულში შეტანილია რამდენიმე მშვენიერი ურითმო ლექსი (როგორიცაა, მაგალითად, „სახლი ორი მაქვს"), მაგრამ, საერთოდ, პოეტი რითმას საგანგებო ყურადღებას აქცევს. მის მიერ ნახმარი ბევრი რითმა გაუცვეთელი და უზადოა. გვამახსოვრდება, მაგალითად, ასეთი რითმები: ყულფებად-უფლება, ნაოცნებარი-საოცრებანი, ალაზანთან-ალაზათა და სხვანი. ერთ დროს ჩვენი პოეტების ღირსება იმითაც იზომებოდა, თუ რამდენ ახალ რითმას იხმარდა რომელიმე მათგანი. შ. ნიშნიანიძე ამგვარ შეჯიბრში საპატიო ადგილს დაიჭერდა. მართალია, ამ მხრივ გატაცება და გადაჭარბება დასაგმობია. მაგრამ არც ისეთი უყურადღებობა ვარგა, როგორსაც ბოლო დროს ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი იჩენს რითმის მიმართ. შ. ნიშნიანიძეს კი ამის თაობაზე საყვედური არ ეთქმის.

პოეტს შეიძლება ვუსაყვედუროთ ზოგიერთი სახის ბუნდოვანების გამო. მისთვის ნაკლებ დამახასიათებლად მიგვაჩნია აგრეთვე აღმოსავლურ მოტივებზე დაწერილი რამდენიმე ლექსი. მაგრამ, საერთოდ, როგორც იდეური სიჯანსაღითა და სიძლიერით, ისე პოეტური კულტურის მხრივ „ზეთისხილის რტო" უდაოდ მოწონებას იმსახურებს.

ზურაბ ჭუმბურიძე

## მეტი სიფრთხილით მოვეკიდოთ მხატვრულ თარგმანს

ბათუმის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ცნობილი თურქი მწერლის რეშად ნური გუნთექინის რომანი „ნარჩიტა", რომელმაც საკმაოდ დიდი პოპულარობა მოუტანა მწერალს თურქეთის საზღვრებს გარეთაც.

სამწუხაროდ, ამ რომანის ქართველი მთარგმნელი მას მეტად ზერელედ მოკიდებია. მთარგმნელი ხშირად ვერ იგებს ორიგინალს, ზოგჯერ შეგნებულად „ამშვენიერებს" მას და არაიშვიათად სცოდავს მშობლიურ ენასაც. გარდა ამისა, არის ადგილები, სადაც თავს იჩენს რუსული თარგმანის გავლენა. მაგალითად, ორიგინალში წერია: „შვილო, სწორედ რომ მაოცებს შენი კაცთმოყვარეობა — მითხრა — კიდევაც იცინი?" ქართულ თარგმანშია: „თქვენმა უდამიანობამ გამაოცა, შვილო რა გაცინებს"? გვ. 111 შეადარეთ რუსულს: „Поражаюсь твоей бесчеловечности, дочь моя, и ты еще смеешься" (გვ. 139).

ორიგინალში წერია: „ისეთი ხმით დაასლოკინა, გეგონებოდათ, მუცელში თოფის წამალი აუფეთქდაო, და აქეთ-იქით თავის ქნევას მოჰყვა". ქართულ თარგმანშია: „ჰურიე ჰანიმმა თვალი გაახილა და, თითქოს მუცელში ბომბი გახეთქოდეს, ისე გააბა ყვირილი" (გვ. 111). შეადარეთ რუსულს: „Она громко икнула, словно в желудке у неё взорвалась бомба, замотала головой и принялась кричать" (გვ. 139).

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ რომ თარგმანში ასეთი ადგილები შედარებით ცოტაა.

მთარგმნელი დარწმუნებულია, რომ სრულყოფილად ფლობს თურქულ ენას და სწორედ იქ, სადაც იგი დაჯერებულია, რომ ჩაწვდა დედანის არსს, ვერ იგებს უბრალოდ თურქულ წინადადებასაც კი. ამას ყველაზე ნათლად ცხადყოფს ქვემოთ მოტანილი მაგალითები:

ორიგინალში წერია: „დედა მე ლანდად მახხოვდა. ის ისე მქრქალად წარმომიდგებოდა, როგორც ზოგიერთ უპატრონოთ მიტოვებულ ოთახში დარჩენილი ძველი სურათი, რომელსაც მტვერი და ჭუჭყი დადებოდა და საღებავი გადარეცხოდა".

ქართულ თარგმანშია: „დედა მე ლანდად მახსოვდა. ერთადერთი ძველი სურათი დროჟამისაგან გაცრეცილი, რომელიც ჩვენი ოთახის კედელზე ეკიდა, ჩემში აღარც მწუხარებას და აღარც სიხარულს არ იწვევს" (გვ 94).

ორიგინალში წერია: „ვინც არ იცის, ეგონება, რომ ამ ქალის ქმარმა იქორწინა და სახლში მეორე ცოლი მოიყვანა. ვალაჰი, მას გული კი არ შეუღონდა, უბრალოდ სიბრაზით მოუვიდა".

ქართულ თარგმანშია: „ეს თქვენ თავს არ დააბრალოთ, მაგ ქალის ქმარმა მეორე ცოლი მოიყვანა და მისგან მოდის". (გვ. 129).

ორიგინალში წერია: „უკვე საქმეს იმედის თვალით ვუყურებდი, მინდოდა, გამგეს ყელზე მოვხვეოდი და წვერის თეთრი ნახევარი დამეკოცნა".

ქართულ თარგმანშია: „გამგემ კმაყოფილი იერით შემომხედა, საქმე გაგიკეთეო. მეც სიხარულისაგან მზად ვიყავი, მოვხვეოდი და წვერების თეთრი ნახევარი დამეკოცნა" (გვ. 102).

ორიგინალში წერია: „შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა: აი, მოლას რძე მართლაც რომ რძეა .თქვენი სტამბოლური რძე მასთან შედარებით ნარგილეს წყალივითაა".

ქართულ თარგმანშია: „შემდეგ მე მომიბრუნდა —მაგის რძე ცარიელი წყალია. მართლაც სტამბოლისა არ გეგონოს". (გვ. 109).

ორიგინალში წერია: „ერთ დღეს, როცა ჰაჯი კალფა თავის ვაჟიშვილზე მესაუბრებოდა, მითხრა რომ"...

ქართულ თარგმანშია: „ერთ დღეს, როცა თავის ვაჟს რაღაცას ედავებოდა, მითხრა"... (გვ. 119).

ორიგინალში წერია: „ხანდახან აქა-იქ ვხვდებოდით ცალკეულ გლეხებს, მოჭრიალე ურმებს, რომლებიც თითქოს დაღლილობისაგან კვნესოდნენ და ზურგზე ფიჩხმოკიდებულ ფეხშიშველა ქალებს".

ქართულ თარგმანშია: „გზაში აქა-იქ სოფლები გვხვდებოდნენ. გვხვდებოდნენ აგრეთვე ფეხშიშველა ქალები, რომლებსაც იმოდენა ტვირთი მოედოთ, რომ ძლივსღა სუნთქავდნენ". (გვ. 130).

ორიგინალში წერია: „კვლავ გადავუხვიე".

ქართულ თარგმანშია: „ისევ გამოვდარა" (გვ. 121).

შეიძლებოდა კიდევ მაგალითების დასახელება, მაგრამ ესეც საკმარისია. ვგონებთ, ზემოხსენებული მაგალითები კომენტარებს არ საჭიროებენ. ვისაც ოდნავი წარმოდგენა აქვს თურქული ენის გრამატიკაზე, მას ასეთი შეცდომები არ ექნება.

მთარგმნელი უპირველეს ყოვლისა სათარგმნი ნაწარმოების სულს უნდა ჩასწვდეს და იგი გააქართულოს ისე, რომ მას ნაციონალური კოლორიტი არ დაუკარგოს. თუ კი ქართული ითმენს ამა თუ იმ ფრაზის სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნას, მაშინ მთარგმნელს უფლება არ აქვს მისი გადაკეთებისა. მაგრამ თუ ქართული ენის ბუნება მოითხოვს ამას, მისი გადაკეთება აუცილებელიცაა, გარკვეული უპირატესობა უნდა მიეცეს ქართული ენის ლაკონიურობას და ექსპრესიულობას. მოვიყვანოთ თუნდაც ასეთი ნიმუში სარეცენზიო წიგნიდან:

ორიგინალში წერია: „იმ წამს ტყვიაც რომ გესროლათ, ერთი წვეთი სისხლიც არ გამოუვიდოდა".

მთარგმნელი ამ წინადადებას ასე წარმოგვიდგენს: „ინსპექტორისთვის დანაც რომ დაგეკრათ იმ წუთს, სისხლი არ გამოუვიდოდა" (გვ. 233). ასეთი „გადაკეთება" მიზანშეწონილია და საჭიროც არის. ქართველი არ იტყვის ტყვიაც რომ გესროლათ, არამედ ჩვეულებრივ ამბობს: დანაც რომ დაგეკრათ, წვეთი სისხლი არ გამოუვიდაო...

მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ თარგმანში ეს ერთადერთი ადგილია, რომელიც ამართლებს მთარგმნელს. სხვა შემთხვევებში მთარგმნელი თავის სურვილის მიხედვით, ამა თუ იმ წინადადებას თავისებურად „ალამაზებს", ასე, მაგალითად:

ორიგინალში წერია: „ეე... ეს მართლაც რომ კარგია".

ქართულ თარგმანშია: „ოჰ. როგორ გამეცინა, როგორ გამეცინა". (გვ. 100).

ორიგინალში წერია: „განა შეიძლებოდა, მასზე ადრე გამეგო ჩემი ამბავი"

ქართულ თარგმანშია: „ის კი არ იცოდა, იგი (ამბავი - ე. ჯ.) ისე ვერ შემოფრინდებოდა ჩემს ჩაკეტილ ოთახში, რომ გზაში არ დაეჭირა თვითონ მას". (გვ. 121).

ზოგჯერ მთარგმნელი ისე ცვლის ორიგინალს, რომ ძნელად საცნობი ხდება. აბა, სცადეთ და შეადარეთ, თუ რამ საერთო ნახოთ:

ორიგინალში წერია: „ამაო ცდაა. ამაზე მეტს ვეღარ ავიტან"...

ქართულ თარგმანშია: „მოითმინე, მოითმინე, გულო მეტსაც უნდა გაუძლო"... (გვ. 137).

ორიგინალში წერია: „ახლა, როცა ფანჯარაში შემოჭრილ ჩინარის ფოთლებს ვეთამაშები

და ამას ვფიქრობ, თან ტირილი მინდა, თან კი მეცინება“.

ქართულ თარგმანშია: „ახლა როცა ჩინარის ტოტზე შემოსკუპებულ ჩიტებს ვუყურებ, ტირილი მინდა“. (გვ. 178).

ორიგინალში წერია: „რა სხვადასხვა ხასიათი აქვთ ამ ჩინოვნიკებს, ღმერთო ჩემო“.

ქართულ თარგმანშია: „რა მლიქვნელური და უბადრუკია ჩინოვნიკის ბუნება“ (გვ. 100).

ზოგჯერ მთარგმნელი შეგნებულად უხვევს რა ორიგინალს, ამახინჯებს ავტორისეულ აზრს:

ორიგინალში წერია: „თითქოს სიზმარში იყო მხოლოდ ტუჩები აამოძრავა: ხომ ხედავ, ნარჩიტა სამუდამოდ მოკვდა“.

ავტორს სურს თქვას: ძველი მოუსვენარი და დაუდეგარი ნარჩიტა სამუდამოდ მოკვდაო.

მთარგმნელი ამ წინადადებას სრულ სხვაგვარად იაზრებს და ასე უხეიროდ თარგმნის: „ქიმრონის მხარს დაეყრდნო და ჩასჩურჩულა: „ხომ ხედავ. ნარჩიტა ფიქრებში ჩაიძირა“. (გვ. 320).

მთარგმნელი უნდა ეცადოს ქართული ენა გაამდიდროს ლექსიკითა და ხატოვანი თქმებით. ზოგჯერ ხერხდება ამა თუ იმ ხატოვანი თქმის სიტყვა-სიტყვით თარგმნა, რაც ამდიდრებს ქართული ენის სალაროს. მაგალითად:

ორიგინალში წერია: „ეს ისეთი პასუხი იყო, რომ გამდინარე წყალსაც შეაჩერებდა. მაგრამ ის სრულიადაც არ შეკრთალა, პირიქით, გადაიხარხარა და მითხრა“.

ვფიქრობთ, ამ თურქული ხატოვანი თქმის სიტყვა-სიტყვითი გადმოღება ზიანს არ უნდა აყენებდეს ქართულ ენას.

მთარგმნელი კი ასე თარგმნის: „მან ხშირად ახირებული ლაპარაკი იცოდა, ახლაც ასე მეგონა, მაგრამ ამჯერად გადაიხარხარა და მითხრა...“ (გვ. 265)

ასეთი თვითნებური გადაკეთების მაგალითები მრავალია.

ბოლოს ორიოდე სიტყვით ქართულ ენასაც შევეხოთ. ძირითადში, ავტორი მიმართავს მოკლე, მარტივ წინადადებას. ამით სურს ენას ექსპრესიულობა მიანიჭოს. ამბობენ, თითქოს ქართული ვერ იტანს რთულ ქვეწყობილ წინადადებებსო, რა თქმა უნდა, ეს მცდარი აზრია, გავიხსენოთ თუნდაც ალ. ყაზბეგის ენა, თუ რა დინამიკა იგრძნობა მის რთულ და ვრცელ წინადადებებში. ხშირად გამარტივებული წინადადება სულ მთლად აფუჭებს საქმეს. დააკვირდით რა არაბუნებრივად ჟღერს:

„მე მას ადგილზე დაჯდომის ნება მივეცი“ (გვ. 47). „ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ამოიღო და მოცემული შეკითხვების პასუხების წერას შეუდგა“ (გვ. 109), „რა მოხდებოდა, რომ მისგან საუბრის გაბმის თავმდაბლობას ინებებდეთ?“ (გვ. 49). „ბუნებრივია, არც თქვენთვის უნდა იყოს სახარბიელო თქვენ შვილზე ასე გულაყრილი ქალიშვილი რძლად“. (გვ. 122) და სხვ.

აქა-იქ თავს იჩენს ენისათვის საზიანო კალკი: „ვისთან მაქვს საუბრის ბედნიერება?“ (გვ. 207), „ეს შენიშვნა ჩვენ ყურიდან ყურში გავუშვით“ (გვ. 193).

ვხვდებით მრავალ უხეშ სტილისტურ შეცდომას: „მაგრამ ენის კუთხეში ისეთი რამ მაქვს შენახული შენთვის სათქმელად“. (გვ. 56), ენას კუთხე არა აქვს. „განა გალიიდან გამოქცეული ჩიტი არა ვარ ახლა? (გვ. 90). ჩიტი გალიიდან პრ გარბის.

„ხშირად მეშინოდა, პირიდან არ გამომვარდნოდა (!) საწყენი რამ“ (გვ. 28) (უნდა იყოს პირიდან არ დამცდენოდა).

„საჭიროდ ჩავთვალე ჩემი ბავშვური სიცელქით დასვრილი ხელები დამემალა“ (გვ. 39) (სიცელქით ხელები არ ისვრება. უნდა იყოს სიცელქის დროს, სიცელქეში) და სხვ.

მეტი სიფრთხილით მოვეკიდოთ მხატვრული ნაწარმოების თაგმნას.

**ელიზბარ ჯაველიძე**

# მასალები საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის

მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ერთ ერთი ძირითადი დარგია. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა შედეგად ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობი, უმჯობესდება ღვინის წარმოების საქმე. მოწინავე აგროტექნიკური წესებისა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევათა მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად, უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საუკუნეთა განმავლობაში ხალხის მიერ დაგროვილი ცოდნის გამოვლენას და აგრეთვე მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის ღრმად შესწავლას.

მიმდინარე წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდა მეღვინეთა მსოფლიო კონგრესი. ჩვენთან, მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკურ ქვეყანაში თავი მოიყარა დედამიწის მრავალი კუთხიდან ათობით სპეციალისტმა. მათ დააინ-

ტერესებთ არა მარტო საბჭოთა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის თანამედროვე მდგომარეობა, არამედ სამამულო სოფლის მეურნეობის ამ უძველესი დარგის ისტორიაც. და სწორედ ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ვ. სიჭინავას წიგნი „მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში".

ავტორის მიზანია შეძლებისდაგვარად შეავსოს ის ხარვეზი, რაც აკად. ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" II ტომის გამოსვლის შემდეგ (1934 წ.) ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის კვლევაში წარმოიშვა და სურს შემდგომ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების და გამოცემული შრომების მონაცემები შეაჯამოს. ამასთანავე, გააშუქოს „თუ რამდენად მართებულია ბევრი რუსი და უცხოელი ბოტანიკოსებისა და სხვა მკვლევართა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო მივიჩნიოთ ვაზის კულტურის პირვანდელ სამშობლოდ და ქართველი ერის წინაპარ ტომებს მივაწეროთ მისი შემოღების პრიორიტეტი". (გვ. 5).

წიგნი შედგება ცხრა თავისაგან. პირველ თავში მიმოხილულია მსოფლიოში მოარული ლეგენდები მევენახეობის შესახებ. შემდეგ თავში ავტორი ცდილობს, შესაბამისი მეცნიერებათა მონაცემების გამოყენებით, გაარკვიოს ვაზის ასაკი და ასაბუთებს, რომ თანამედროვე კულტურული ვაზის წინაპარი ველური ვაზის ნაშთები აღმოჩენილია მეოთხეული პერიოდის ქანებში, ხოლო აღრინდელი ველური ვაზი დასაბამს იღებს მეოთხეულის პერიოდის დასაწყისიდან.

საქართველოს ჰავა და ნიადაგი ვაზის ზრდა-განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელია. ეს მტკიცდება, როგორც ძველ ისტორიკოსთა, ისე თანამედროვე მეცნიერთა შრომებით. ბოტანიკოსები საქართველოს ტერიტორიას მიიჩნევენ ველური ვაზის ერთერთ სამშობლოდ.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის არსებობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალები ენეოლითის პერიოდიდან გვხვდება, კერძოდ დიხა-გუძუბაში (ანაკლია) აღმოჩენილი ყურძნის წიპწები და ვაზის ლერწების ნაშთები, ამავე პერიოდიდან აღმოსავლეთ საქართველოშიაც მოგვეპოვება მევენახეობა-მეღვინეობის არსებობის უტყუარი ნიშნები, მაგალითად ე. წ. ამფორები (თრიალეთიდან), რომელიც კ. მოდებაძემ ღვინის შესანახ ჭურჭლად მიიჩნია. საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითურ ფენაში უხვად არის აღმოჩენილი თასები, ჯამები, ფიალები და სხვადასხვაგვარი ფორმის სასმისები. საფიქრებელია, რომ მათ უფრო ღვინისათვის იყენებდნენ. დიხა-გუძუბას მსგავსად ქართლშიც აღმოჩნდა ყურძნის წიპწები. მაშასადამე არქეოლოგიური მონაპოვარი მეტყველებს, რომ საქართველოში 5000 წლის წინად „იცნობდნენ ვაზის კულტურას" (გვ. 32).

მეცნიერების მ. კოსვენის, ა. ნეგრულის, პ. ჟუკოვსკის ვარაუდით ვაზის კულტურის დასაბამი ნეოლითის პერიოდიდანაა. ასევე ნეოლითის პერიოდიდან უნდა ვიგულისხმოთ ვაზის კულტურის დამკვიდრება საქართველოში. ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე მევენახეობა-მეღვინეობის არსებობის დასამტკიცებლად გაცილებით უხვი მასალები მოგვეპოვება ბრინჯაოს ხანიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასმისები: ბრინჯაოს თასი (ტყვიავი), ოქროსა და ვერცხლის თასები (თრიალეთი) და სხვა.

შუა ბრინჯაოს ხანიდან საგულისხმებელია მევენახეობის მფარველი ღვთაების კულტის არსებობა, რაც მტკიცდება არქეოლოგიური მასალებით. საქართველოში ყოფილა აგრეთვე, გავრცელებული დიონისეს კულტიც, რაც მანიშნებელია ექვთიმე ათონელის ცნობა და ეთნოგრაფიული მონაცემები.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ წერილობითი ისტორიული ცნობები მეტად მცირეა. უმეტესად მათ ვხვდებით ძველ ბერძენ მწერალთა ნაშრომებში (ქსენოფონტე, სტრაბონი, პროკოფი კესარიელი).

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ვაზის კულტურის განვითარებას ხელი შეუწყო. ამ რელიგიამ ღვინო აღიარა „ღვთაებრივი ნაწილის" შემცველ ნივთიერებად და აქცია ღვთისმომსახურეობის აუცილებელ ატრიბუტად. ქრისტიანულ ხალხებში მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ ვაზის ჯვარი. ამასთანავე ეკლესიათა კარები ხშირად ვაზის ხისგან კეთდებოდა. აქედან ჩანს, რომ ვაზი ძველთაგანვე „წმიდა" მცენარედ ითვლებოდა.

წიგნის ავტორი განიხილავს მკვლევართა შეხედულებებს მევენახეობის პირვანდელი სამშობლოს შესახებ და კრიტიკულად მსჯელობს ამ თვალსაზრისით წამოყენებულ მრავალ თეორიაზე: „ყველა ამ მასალის გაცნობის შემდეგ, თუ ჩვენ შევაჯამებთ არქეოლოგიური ძეგლებიდან, ისტორიული წყაროებიდან და მეცნიერთა გამოკვლევებიდან მიღებულ მონაცემებს, მაშინ დავინახავთ, რომ ეს მასალები არსებითად ავსებენ ერთი მეორეს და იძლევიან გარკვეულ პასუხს, რომლის მიხედვით საქართველო მიჩნეული უნდა იქნეს მევენახეობისა და მეღვინეობის სამშობლოდ და ერთ-ერთ ძირითად კერად მსოფლიოში". (გვ. 72) ამ მოსაზრებას ამტკიცებს საქართველოში აბორიგენულ ვაზის ჯიშთა გასაოცარი სიუხვე. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოვლენილი და შესწავლილია 420 ადგილობრივი ჯიში. ამპელოგრაფიული სადგურების მონაცემებით ეს ციფრი გაცილებით გაზრდილია. ვაზის ჯიშთა ფონდის

ასეთი სიმდიდრე თავისთავად მაჩვენებელია, რომ საქართველო მევენახეობის ერთ-ერთი უმთავრესი კერა ყოფილა. ამიტომაც აქედან ბევრი ვაზის ჯიში გავრცელებულია უცხო ქვეყნებში, კერძოდ საბერძნეთში, იტალიაში, არაბეთში, გერმანიასა და სამხრეთ რუსეთში. ქართული ვაზის სახელწოდებას ხშირად თარგმანის სახით ხმარობს მრავალი ხალხი.

ქართული ვაზის ჯიშთა დასავლეთ ევროპაში გავრცელება გაპირობებულია იმ პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობით, რაც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში და უფრო უწინარესაც დაიწყო ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან. კავკასია ოდითგანვე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „გზა და ხიდი" იყო. აქ გამავალი საერთაშორისო გზებით ხდებოდა „ქართველი ხალხის კულტურულ მიღწევათა ექსპორტიც". (გვ. 102). ჩვენი მონასტრები, რომლებიც უცხოეთში მდებარეობდნენ, აშენებდნენ ვენახებს და საფიქრებელია, რომ მათ ხელი შეუწყვეს იქ ქართული ვაზის დამკვიდრებას.

აბორიგენულ ვაზის ჯიშთა სიმრავლე და მაღალხარისხოვნება ნათლად მეტყველებს ქართველი მეურნის შემოქმედების უნარსა და გამჭრიახობაზე. ჩვენს სამშობლოში დამზადებული ღვინოები საერთაშორისო დეგუსტაციებზე ყოველთვის დიდ მოწონებასა და მაღალ ჯილდოებს იმსახურებენ.

ადგილობრივი ამპელოგრაფიული ტერმინები ფართო გავრცელებას პოვებენ უცხო ენების ლექსიკაში. თვით ტერმინი „ღვინო" ბევრმა ხალხმა ქართულიდან შეითვისა.

ამ მოკლე მიმოხილვითაც კარგად ჩანს, თუ რამდენად საინტერესო საკითხებია აღძრული სარეცენზიო წიგნში. ავტორს უხვად გამოუყენებია სპეციალური ლიტერატურა და მკითხველამდე მიუტანია მეცნიერთა ბევრი საინტერესო მოსაზრება. მაგრამ წიგნს გააჩნია ნაკლოვანებები.

ავტორი ნათლად ვერ აზუსტებს კვლევის ძირითად საგანსა და მიზანდასახულობას. ამან გამოიწვია თემათა მრავალფეროვნება და მსჯელობის არათანმიმდევრულობა. საილუსტრაციოდ ავიღოთ მესამე თავი: აქ ლაპარაკია მევენახეობის იარაღებზე, მეღვინეობისათვის საჭირო ჭურჭლეულზე, სასმისებზე, ერთი სიტყვით ყველა იმაზე, რაც კი ჩვენს არქეოლოგიას დღემდე მოუპოვებია ამ დარგში, მაგრამ ყველაფერი ეს უსისტემოდ არის თავმოყრილი, რაიმე მეთოდიკის გარეშე.

რატომღაც მკვლევარი მითს არგონავტებზე, ბიბლიასა და ჰომეროსის ქმნილებებს „ლეგენდებში" განიხილავს და საბოლოოდ აკეთებს დასკვნას: „ასეთ გულუბრყვილო და ცრუმორწმუნეობით სავსე ლეგენდებს რასაკვირველია არა აქვს მეცნიერული ღირებულება მევენახეობა და მეღვინეობის წარმოშობისა და ხანდაზმულობის საკითხის დასადგენად". (გვ. 14). ჯერ ერთი, ჰომეროსის პოემები, ბიბლია და თქმულება არგონავტებზე უფრო ისტორიული წყაროებია ვიდრე ავტორისეული გაგებით „ლეგენდები", მერე კიდევ, თუ საერთოდ „ლეგენდებს" არა აქვთ „მეცნიერული ღირებულება", მაშინ რატომ მოგვაქვს ისინი მეცნიერულ შრომაში?!

საქართველოში ვაზის კულტურის „შემოღების" დათარიღების დროს ვაწყდებით მთელ რიგ შეუსაბამობას. ავტორი ეყრდნობა ენეოლითური ხანის არქეოლოგიურ მასალას და ამტკიცებს: „ენეოლითის პერიოდში ანუ ჩვენი დროიდან დაახლოებით 5000 წლის წინათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში იყენებენ ვაზის კულტურას" (გვ. 32). ცოტა ქვემოდ ვკითხულობთ: „საქართველოში ვაზის კულტურა გაშენებული იყო ენეოლითის პერიოდში". თუ ვაზი „გაშენებული" იყო, მისი „გაცნობა" გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. ალბათ, ესა აქვს გათვალისწინებული მკვლევარს, როცა გვარწმუნებს: „ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი (უნდა იყოს მოტანილი ლ. ფ.) არქეოლოგიური მასალების მიხედვით, საკმაო საბუთი გვაქვს იმისათვის, რომ საქართველოში ვაზის კულტურის შემოღების ხანად ვიგულისხმოთ ნეოლითის პერიოდი ანუ ჩვენი დროიდან დაახლოებით 6–7 ათასი წლის წინა პერიოდი" (გვ. 33) აქ ჯერ ერთი „დამარწმუნებელი" არქეოლოგიური მასალები მოტანილია ენეოლითის პერიოდიდან, ნეოლითის პერიოდის პრიმიტიულ სამეურნეო იარაღებზე მხოლოდ გაკვრით არის ნათქვამი (გვ. 27). მეორეც, თუ 5000 წლის წინათ იცნობდნენ ჩვენი წინაპრები ვაზის კულტურას, „6-7 ათასი წლის წინა" პერიოდიდან როგორღა „შემოიღეს"?! ამ საკითხს მკვლევარი უბრუნდება მე-7 თავში: „ზემოთ მოყვანილი არქეოლოგიური მასალები ჩვენ საკმაო საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართველი ხალხის წინაპარი ტომები ვაზის კულტურას იცნობდნენ ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდში ანუ ჩვენი დროიდან დახლოებით 6000 წლის წინათ. ხოლო ენეოლითის პერიოდში, როგორც იმდროინდელი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ, საქართველოს ზოგიერთ რაიონში უკვე შემოღებული ყოფილა ვაზის კულტურის გაშენება და მეღვინეობა". (გვ. 116.) თუ შევეცდებით დავადგინოთ ვაზი როდის იქცა ჩვენს ქვეყანაში კულტურულ მცენარედ ეს მეტად რთული საკითხია. მართალია ჰიპოთეზების წამოყენება შეიძლება, მაგრამ საკუთარი ვარაუდები ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ.

ლევან ფრუიძე

# კიბერნეტიკა და ფსიქოლოგია

ი. ბჟალავას წიგნი „კიბერნეტიკა და ფსიქოლოგია“, მკითხველს აცნობს ფსიქოლოგიის ურთიერთობას ძველ და ახალ ფიზიკასთან, ფსიქიკური მოვლენების ოდენობაში გამოხატვის გზებს, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის თავისებურებას და სხვა. ალბათობის თეორიის ელემენტების გადმოცემითა და მათემატიკური ლოგიკის ძირითადი პრინციპების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია, როგორ ჩაისახა კიბერნეტიკული კვლევა და როგორ მოახერხა მეცნიერების ამ ახალმა დარგმა ინფორმაციის თეორიაზე დაყრდნობით სხვადასხვა დისციპლინათა გაერთიანება საკუთარი მიზნის გარშემო. ერთ-ერთ ასეთ დისციპლინას, რომელსაც ემყარება კიბერნეტიკა, არის უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია, რომელნიც ადამიანის თავის ტვინში მიმდინარე პროცესებს სწავლობენ. მეცნიერების ამ ახალ დარგს, ტვინი როგორც ქცევის მექანიზმი აინტერესებს, როგორც ორგანო, სადაც წარმოებს ინფორმაციის მიღება და გადამუშავება.

თავის ტვინი რამდენიმე მილიონი წელი ყალიბდებოდა და ამით აიხსნება ის საოცარი სპეციალიზაცია, რომელიც 12 მილიარდზე მეტი უჯრედისათვისაა დამახასიათებელი. სირთულეს ისიც ქმნის, რომ ქცევის რომელიმე აქტის შესასრულებლად ნერვული უჯრედების რაოდენობას როდი ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ იმ რთულ არქიტექტონიკას, რომელსაც თვით ეს უჯრედები ქმნიან სხვადასხვა სახის ქცევაში მონაწილეობის მისაღებად. მოქმედება ორგანიზმის მდგომარეობას ემორჩილება, ხოლო ორგანიზმის ძირითადი თავისებურებას შეადგენს ის, რომ იგი ავტორეგულიაციის უნარითაა აღჭურვილი.

მხედველობაში გვაქვს ჰომეოსტაზის მოვლენა, რომელიც ემსახურება ორგანიზმში დარღვეული წონასწორობის აღდგენასა და მუშაობის ოპტიმალური რეჟიმის დაცვას. აქ ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითის დასახელებაც საკმარისი იქნება. ორგანიზმის იონიზირებულ ელემენტებს შორის წონასწორობის დარღვევას, — რეაქციის, — ტუტოვანობისაკენ გადახრას თან სდევს თირკმლების გაძლიერებული მოქმედების გამო სხეულიდან ზედმეტი სითხის გამოდენა და დარღვეული წონასწორობის აღდგენა. თუ მანქანამ სამუშაო რეჟიმიდან გადაუხვია, იგი თვითონ ახერხებს ისე აეწყოს, რომ მექანიზმების მოქმედება ძველ მდგომარეობას უბრუნდება.

თვითრეგულიაციის მექანიზმის მოქმედება, როგორც მანქანაში, ისე ცოცხალ ორგანიზმში ემყარება უკუქცევით კავშირებს ამის მიხედვით ხორციელდება იმპულსების ისეთი შერჩევა, რომელიც გარკვეული მოქმედების შესასრულებლად არის საჭირო. შეიძლება წიგნში განხილული ერთ-ერთი მაგალითის გარჩევით დავკმაყოფილდეთ. ფარვანაც და ჩიტიც ერთი მექანიზმით მოქმედებენ, რომელსაც თვითრეგულიაციის (სერვომექანიზმი) მექანიზმი ეწოდება. ორგანიზმი და გარემო ქმნის ერთს მთლიანობას, სადაც მათ შორის არსებული ანატომიური და ფიზიკური განსხვავება მხედველობაში არ არის მიღებული. ორგანიზმი და გარემო ფუნქციონალურად განუყოფელია და ამიტომაც მიუთითებენ, რომ ორგანიზმის მოქმედება ემყარება გარემოს ზემოქმედებით მასში ჩამოყალიბებულ ფუნქციონალურ ერთეულთა სისტემას.

ორგანიზმის მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი, როგორც საერთოდ ყოველი ცოცხალი არსება, მოთხოვნილების გარეშე წარმოუდგენელია. მოთხოვნილების აქტივაციის შემთხვევაში, თუ ეს შიმშილს ეხება, ორგანიზმში წინასწარ ამოქმედდება ენერგია, რომელიც დანაკლისის შესავსებად მოუწოდებს მას. თუ ამ დანაკლისის შესავსებად პურია საჭირო, მისი დაკმაყოფილება არ მოხდება მანამ, სანამ პურს არ ვიშოვით და პირში არ ჩავიდებთ. პურის შოვნამდე იწყება გარემოს ზემოქმედება გარკვეული მოთხოვნილებით სტიმულირებულ ორგანიზმზე, რომელსაც თან სდევს ისეთი მთლიანი ხასიათის ცვლილება, რომელიც წინ უსწრებს მოქმედების დაწყებას საჭმლის საშოვნელად და არსებითად გამოხატავს ყოველი ცოცხალი არსების მომართვას rcspz- განწყობას გარკვეული მოქმედებისათვის, ასე ყალიბდება ორგანიზმში მისი ქცევის აქტების გარკვეული მიმართულებით მიმდინარეობის დასაყრდენი.

ფიზიოლოგიაში ელექტრო-ენცეფალოგრაფიული მეთოდით შესაძლებელი აღმოჩნდა აგზნების რეგისტრაცია, რომელიც წინ უსწრებს ქცევის აქტებად ჩამოყალიბებული მოქმედების დაწყებას. ბარტყებს კვერცხიდან გამოჩეკის მომენტიდანვე აღმოაჩნდა სმენის იმ ორგანოს უკეთ განვითარება, რომელიც ჭამის სიგნალის აღქმას ემსახურება. ცხოველს თანმიმდევრობით მივაწოდოთ ბგერა და სინათლე, ამას მოჰყვება თავის ტვინის ქერქში ჩვენ მიერ მიწოდებულ გამღიზიანებელთა მიმართების შესატყვისი ცვლილების ფიქსაცია. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი ბგერითი გამღიზიანებლის მიცემით ტვინის იმავე ნაწილში, რომელშიაც სინათლის აღქმა მიმდინარეობდა, წარმოიშობა სავსებით ისეთივე ცვლილება, რომელიც სინათლის მიცემით გამოიწვეოდა (ჯასპერი). ცნობილია ი. ბჟალავას ექსპერიმენტი, რომელიც ეხება თანამიმდევარი ოპტიკური გამოხატულებისა და ბგერით გამღიზიანებლის შეუღლებას, რომლის 200-250-

ჯერ გამეორების შემდეგ მხოლოდ ბგერითი გამღიზიანებლის მოსმენა ადამიანში იწვევდა მხედველობის ქერქში ისეთ ცვლილებას, თითქოს იგი სინათლით ყოფილიყო გაღიზიანებული. ამ ექსპერიმენტულ ფაქტებში წარმოდგენილია ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობის პრინციპი, საიდანაც ჩანს, რომ იგი წინასწარ ითვალისწინებს მოვლენას, რომელიც ჯერ არ მომხდარა, მაგრამ აუცილებლად უნდა მოხდეს. განწყობის საშუალებით ორგანიზმი ინფორმირებულია არა მარტო იმის შესახებ, რაც უნდა განხორციელდეს, არამედ იმის შესახებაც, როგორ უნდა გაკეთდეს იგი, ე. ი. მიღწეულია ამოცანის გადაჭრა ინდივიდისთვის სასურველი მიმართულებით. ამგვარად, განწყობა არის ის, რაც ჯერ კიდევ აშკარა სახით, არა, მაგრამ ტვინში კოდირებულია, როგორც მომავალში განსახორციელებლად მზა მექანიზმი, როგორც გარკვეული მოქმედების მოდელი. ერთი სიტყვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განწყობის სახით ტვინში წინასწარ პროგრამირებულია ამა თუ იმ გარემოში ინდივიდის მოქმედების, მისი ქცევის თითოეული აქტები.

ამის დამადასტურებელი ფაქტები დღეს ქცევის ფიზიოლოგიაშიც არის ცნობილი. მხედველობაში გვაქვს ლიაპიკის მიერ მითითებული „ცენტრალური სინქრონიზმი“, რომელიც, მისი აზრით, წინასწარ აწესრიგებს ეფექტორებისათვის განკუთვნილი იმპულსების მარეგულირებელი „ისრის“ გადასმას. ამის ანალოგიური როლი აქვს დაკისრებული უხტომსკის დომინანტას, აგრეთვე ანოხინის აკცეპტორს. მხოლოდ განწყობის საფუძველზე არის შესაძლებელი განხორციელდეს წინასწარი ასახვა, რომელსაც ანოხინი „Опережающее отражение“-ს უწოდებს.

ფსიქიკური და ფიზიკური პროცესების ერთ მთლიან სისტემად აწყობის გარეშე გაუგებარი აღმოჩნდება *უკუქცევითი რეაქციების არსებობა*, რომელიც წარმოადგენს თვითრეგულიაციის განხორციელების აუცილებელ კომპონენტს. საქმე ისაა, წერს ი. ბჟალავა, რომ აქ საქმე ეხება არა მარტო რეაქციის დახშულ წრედში მოძრაობასა და ინფორმაციის უკუქცევას, არამედ მოწონებასა და, როგორც ანოხინი მიუთითებს. მასზე სანქციის დადებას. ასეთი მოვალეობის შესრულებას სხვადასხვა უჯრედებს შორის გაკაფულ გზებსა და აგზნებას ვერ დავაკისრებთ, რადგანაც ასეთი კონცეფცია არც ერთს შეიძლება ჰქონდეს და არც მეორეს.

ერთი სიტყვით, თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიაშიც გამტკიცდა აზრი, რომ ერთადერთი ცნება, რომელიც გასაგებს გახდიდა კიბერნეტიკისათვის ესოდენ საინტერესო პრობლემას, არის ცოცხალი ორგანიზმის და, მაშასადამე მანქანისაც გარკვეული მოქმედებისათვის *აწყობა* (შეიძლება გვეთქვა მომართვა). ამ მზა მექანიზმით ხორციელდება უკუქცევითი კავშირი, ე. ი. კომუნიკაცია და კონტროლი. ამის დასამტკიცებელი ფაქტები უხვად არის წარმოდგენილი სარეცენზიო წიგნში.

ამის საფუძველზე გასაგებია ი. ბჟალავას ღონისძიება დაგვიხასიათოს განწყობა, როგორც ქცევის კიბერნეტიკული მოდელი. პირველ რიგში, იგი ქცევის სტატისტიკურ მოდელს არჩევს და გვიჩვენებს რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ესტესის მსჯელობაში განწყობას. ასევე დამუშავებული აქვს მას მეხსიერების, აღქმის, აზროვნების კიბერნეტიკული მოდელი. ამის შემდეგ საჭირო იყო განწყობის კოდის სახით წარმოდგენა, ი. ბჟალავას ამ მიმართულებითაც გადაუდგამს ნაბიჯი და მისი დამახასიათებელი ნიშნები კოდებად დაშიფრულია მოცემული, ამდენად, რასაკვირველია, ამ მოვლენის სწრაფგამომთვლელი მანქანისათვის პროგრამის სახით მიწოდება გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიოთ.

თუ ქცევის მოდელია განწყობა, მაშინ მის მხრივ ცვლილებას უნდა მოყვეს უკუქცევითი კავშირების არანორმალური მოქმედება, ე. ი. ისეთი სურათის მიღება, რომელიც ავადმყოფის ქცევისათვის არის დამახასიათებელი. ი. ბჟალავაც ასე იქცევა და სპეციალურ თავს მიუძღვნის: „ფსიქიკური დაავადება და უკუქცევითი კავშირები“-ს გარჩევას.

საბოლოოდ მოკლედ ვეცდებით გადმოვცეთ, თუ როგორ ესმის ავტორს მანქანის აზროვნება და მასთან დაკავშირებული სადაო საკითხები. ი. ბჟალავას მითითებული აქვს, რომ ორგანიზმისათვის მექანიკის კანონები არ არის უცხო, მაგრამ ორგანიზმის მოქმედების მხოლოდ ამ კანონებზე დაყვანა შეუძლებელია. მექანიზირებული პროცესების მონაწილეობიდან არც აზროვნება არის სავსებით თავისუფალი, „მაგრამ არსებითია არა ეს, — წერს იგი, — არამედ ის, რაც ყოველი ცოცხალი არსებისათვის არის დამახასიათებელი და თავის ბუნებით არა მანქანურია, არამედ *ბიოლოგიური*“. რკინიდან ადამიანი არასოდეს არ გაკეთდება და ასევე არ არის მოსალოდნელი რომ ლითონიდან შექმნილი მექანიზმები მოგვცემენ ნამდვილი აზროვნების პროდუქტს. ვინც სხვაგვარად ფიქრობს ცდება, იგი დიდი ხნიდან მივიწყებულ ვულგარულ მატერიალიზმს უბრუნდება. კიბერნეტიკის მიზანი არ არის ადამიანის, მისი ფსიქიკური აპარატის შემცვლელი ავტომატის შექმნა, არამედ ისეთი აპარატის შექმნა, რომელიც მას დახმარებას გაუწევს და გაუადვილებს გონებრივ მუშაობას.

ი. ბჟალავას წიგნი „კიბერნეტიკა და ფსიქოლოგია“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ მაღალ დონეზე დგას საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერება.

ანზორ შავგულიძე,
ელენე ინწკირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

## „ხელოვნება“

**ნათელა ურუშაძე** — სესილია თაყაიშვილი. რედ. მ. მრევლიშვილი. გვ. 126, ფასი 65 კაპ.
**ქართველი მსახიობი ქალები** — რედაქტორი ი. გრიშაშვილი. გვ. 151, ფასი 65 კაპ.
**მამია ასათიანი** — დოდო ანთაძე. რედ. ალ. ადამია. გვ. 57, ფასი 30 კაპ.
**ლილი გვარამაძე** — მთაწმინდელი მოცეკვავე. რედ. ვ. ჭელიძე. გვ. 57, ფასი 35 კაპ.
**მიხეილ მრევლიშვილი** — პიესები. რედ. ვ. ჭელიძე. გვ. 142, ფასი 1 მან.
**ლ. გვახავა-სანაძე** — ერმიტაჟი. რედ. გ. ჯამბურია. გვ. 134, ფასი 64 კაპ.
**ვალერიან კანდელაკი** — ორი პიესა. რედ. ალ. ადამია. გვ. 125, ფასი 30 კაპ.
**ა. ცამციშვილი** — უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი. რედ. ელ. მაღრაძე. გვ. 192, ფასი 1 მან. 20 კაპ.
**ირინე უზნაძე** — 11 საუკუნის დეკორატიული ძეგლი ლაშედან. რედ. შ. ამირანაშვილი. გვ. 67, ფასი 35 კაპ.
**ტატიანა ჩიტალაძე** — სტვირის კვალდაკვალ. რედ. რ. თვარაძე. გვ. 116, ფასი 55 კაპ.

## „ნაკადული“

**თ. დოსტოევსკი** — ყმაწვილი. თარგ. ც ი ა ლ ა ჩ ხ ე ი ძ ი ს ა. რედ. მ. ბერძნიშვილი. გვ. 615, ფასი 1 მან. 20 კაპ.
**ქოსატყუილა** — რედ. მ. ამაშუკელი. გვ. 20 ფასი 30 კაპ.
**პ. ერშოვი** — კუზიანი კვიცი. — თარგ. გ რ. ც ე ც ხ ლ ა ძ ი ს ა. რედ. ნ. ჩაჩავა. გვ. 55. ფასი 45 კაპ.
**ალექსანდრე შანიძე**.— ლომი და მელა. რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 28, ფასი 18 კაპ.
**დაუკარ ჩემო ჩონგურო** — ხალხური ლექსები. რედაქცია და წინასიტყვაობა (ა ლ. ღ ლ ო ნ ტ ი ს ა.) რედ. რ. ორჯონიკიძე. გვ. 74, ფასი 30 კაპ.
**ალენ ბომბარი** — უხომალდოდ ოკეანეში. თარგ. ვ. კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა და რ. ა რ ო ნ ი შ ი ძ ი ს ა. რედ. მ. ქახრაკია, ჯ. ჭანტურაია. გვ. 245, ფასი 85 კაპ.
**თ. ჯანგულაშვილი, გ. ფირცხალავა** — მოგზაურობა მწერალთა. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 69, ფასი 13 კაპ.
**ჯადოსნური კვერცხი** — (რუმინული ზღაპარი) თარგ. ქ ე თ ე ვ ა ნ ნ ა დ ი რ ა ძ ი ს. რედ. მ. ამაშუკელი. გვ. 16, ფასი 4 კაპ.
**თინათინ კვირიკაძე** — ყურშა, ლალი და ფრინველები. რედ. გ. კაჭახიძე გვ. 15, ფასი 10 კაპ.

გასწორება. ჩვენი ჟურნალის № 8-ში 157-ე გვ. პირველი სვეტის 26-ე სტრიქონში (ზემოდან) გაზაფხული-ს ნაცვლად უნდა იყოს გახაზული, ხოლო 158-ე გვერდის მეორე სვეტის მე-8 სტრიქონში (ქვემოდან) ოთხივე-ს ნაცვლად — მეოთხე.

ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „САБЧОТА МЦЕРАЛИ“